

ბორის უნივერსიტეტი

ელდარ მამისთვალიშვილი

**საქართველოს
საგარეო პოლიტიკა და
დიპლომატია**

I

(XV-XVI სს.)

კუძღუნი
პროფესორ გივი ჟორდანიას
ნათელ სსნოვნას

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2009

შინაარსი

XV-XVI საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების შესწავლა ნაკარნახევია სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნებით. XX ს. უკანასკნელ მეზუთედსა და XXI ს. პირველ ათწლეულში რადიკალურად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, გაიზარდა მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. საქართველო კვლავ, ისევე როგორც ანტიკურსა და შუა საუკუნეებში, თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობის გამო, წამყვანი სახელმწიფოების ინტერესების სფეროშია. დღეს სახეზეა და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობა. ვერ კიდევ მიმდინარეობს ბრძოლა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის მასზე გავლენის მოპოვებისათვის. წარსულის გამოცდილების შესწავლასა და პრაქტიკულ საქმიანობაში გათვალისწინებას მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგის მოტანა შეუძლია დღევანდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში მიზნები თითქმის იგივე, გარდასული ეპოქებისა დარჩა, შეიცვალა მათი განხორციელების მეთოდები და საშუალებები.

წიგნში განხილული საკითხები სასწავლო დისციპლინის სახით მრავალი წელია ისწავლება გორის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობაზე. იგი გამოქვეყნებული მონოგრაფიის სახით მნიშვნელოვანი დამხმარე სახელმძღვანელო იქნება სტუდენტებისათვის, ისარგებლებენ ისტორიკოსები და ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული ადამიანები.

The study of the foreign political relationship of Georgia in the XV-XVI centuries has a scientific and practical aim. In the last quarter of the XX century and in the first ten-year of the XXI century the international status of our country radically changed and also its geopolitical importance grew. Due to its special geographical and strategic location Georgia is again interesting for the leading countries, as it was in the ancient epoch and in the Middle Ages. Today it is already a fact and in the future the importance of our country will grow. The struggle for having Georgia under the influence still exists between the leading countries of the world. The study of the past experience and its usage in practical activities nowadays can be positive for the right direction of the foreign policy of Georgia. The aims of the relationships between the countries remain the same, but the methods and means of their realization are changed.

The problems examined in the book have been lectured as an educational discipline at Gori University within the speciality of history over a long period of time. Its publication as a monograph will be of great use for the students as well as for historians and all people interested in the past of our country.

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009
© ელდარ მამისთვალიშვილი

ISBN 978-9941-0-1421-5

საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები (XV-XVI)

შესავალი.....	5
1. საქართველოს საგარეო ურთიერთობანი XV ს. პირველ ნახევარში.....	22
2. ევროპული ანტიოსმალური დიპლომატია და საქართველო (XV ს. 50-60-იანი წლების მიჯნა).....	39
3. საერთაშორისო ურთიერთობანი ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად XV ს. 70-იან წლებში და საქართველო.....	64
4. ქართული დიპლომატია ევროპაში მოკავშირის ძიებაში (XV ს. 90 წლები).....	94
5. საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობანი და დიპლომატია XVI ს. დასაწყისიდან – 70-იან წლებამდე.....	102
6. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო (1578-1590 წწ.).....	185
7. საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობანი და დიპლომატია XVI ს. 80-იან წლებში.....	265
8. საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობანი და დიპლომატია XVI ს. 90-იან წლებში.....	291

სამცხე-საათაბაგოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან (XV ს. II ნახევარი – XVII ს. I მეოთხედი)

1. სამცხელები სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე დინასტიურ ბრძოლაში	333
2. ათაბაგი ქაიხოსრო II და დედისიმედ II.....	383
3. საათაბაგოს ურთიერთობა ირან-ოსმალეთთან XVI ს. ბოლო მეოთხედსა და XVII ს. I მეოთხედში	398

ოდიშის სამთავროს საგარეო
ურთიერთობების ისტორიიდან

1. ოდიშის სამთავროს გენუის რესპუბლიკასთან ურთიერთობის ისტორიიდან.....	444
2. ოდიშის სამთავროს ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიიდან(XVI ს. 50-იანი წლები).....	468
წყაროები და ლიტერატურა	476
MAMISTVALISHVILI ELDAR – FOREIGN POLICY AND DIPLOMACY OF GEORGIA IN 15TH - 16TH CENTURIES.....	497
МАМИСТВАЛИШВИЛИ Э.М. – ВНЕШНЯЯ ПОЛИТИКА И ДИПЛОМАТИЯ ГРУЗИНСКИХ ЦАРСТВ И КНЯЖЕСТВ В XV-XVI ВЕКАХ.....	510
საძიებლები	524

**საქართველო და ანტიოსმალური
კოალიციები (XV-XVI სს.)¹**

შესავალი

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და იგი ძირითადად ვაჭრობას გულისხმობს. აღმოსავლეთთან ვაჭრობამ დიდი როლი შეასრულა ევროპაში ისეთი დარგების განვითარებაში, რომელთა პროდუქცია საგარეო ბაზარზე ორიენტირებული იქნებოდა. ყველაზე ადრე ასეთი წარმოება გაჩნდა იტალიაში, რომელიც თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობაში ბუნებრივ შუამავლად იქცა. იტალიის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების (ჯერ ამაღფი, შემდეგ პიზა, გენუა, ვენეცია, უფრო გვიან ფლორენცია) ეკონომიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით ჯვაროსნული ლაშქრობების დროს და მის შემდგომ გაიზარდა.

XIII ს. შუა ხანებიდან ჯვაროსნული ლაშქრობები ანაქრონიზმად გადაიქცა. პალესტინის პლაცდარმები, რომელთა შენარჩუნება უადრესად ძვირი ჯდებოდა, სასურველ სარგებელს არ აძლევდა არც იტალიის სავაჭრო ქალაქებს და არც დასავლეთი ევროპის დიდ სახელმწიფოებს. პირველი ოთხი ლაშქრობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მათი წყალობით ევროპელებმა გაიცნეს და აითვისეს აღმოსავლეთის სავაჭრო-საქარავნო გზები. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა შემთხვევით არ დასრულდა კონსტანტინოპოლის აღებით. ეს ქალაქი უმნიშვნელოვანესი საზღვაო და სახმელეთო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. ამ გზებზე გაბა-

¹ „საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები (XV-XVI სს.)“ წარმოადგენს ავტორის მიერ 1981 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიის – „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით)“ გადამუშავებულ და შეესწავლულ ვარიანტს. ბოლო წლებში გამოქვეყნდა საინტერესო დოკუმენტები და გამოკვლევები, რის გამოც აუცილებელი გახდა ადრე გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების გადახედვა, ან ახალი ფაქტებით განმტკიცება.

ტონებით დაინტერესებული იყო იტალიის ქალაქები. 1204 წელს შექმნილი ლათინთა იმპერია მაშინვე ვენეციელების აღმოსავლეთთან ვაჭრობის დასაყრდენად გადაიქცა.

იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები – ვენეცია, გენუა, პიზა, ფლორენცია, მილანი, სიენა, ლუკა – XII-XIII საუკუნეებში სწრაფად ვითარდებოდნენ. მათ მოიძვეს ჯვაროსნული ლაშქრობების პირველი ნაყოფი. ევროპის ბაზრის გაფართოვება, აღმოსავლეთთან ვაჭრობის ზრდა, სირიის, პალესტინის, მცირე აზიის, ბალკანეთის მდიდარ ოლქებზე ყაჩაღური თავდასხმები – ყველაფერი ეს ხელს უწყობდა იტალიის ქალაქების აყვავებას. XIII საუკუნეში ისინი გადაიქცნენ ხელოსნური წარმოების უმსხვილეს ცენტრებად. ფლორენციულმა მაუდმა, ლუკას აბრეშუმმა, გენუის ხავერდმა, მილანის იარაღებმა, ვენეციურმა შუშამ სახელი გაითქვა არა მხოლოდ იტალიაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ამუშავებდნენ რა უპირატესად უცხოეთიდან შემოზიდულ ნედლეულს (ინგლისური და ესპანური მატყლი, ლითონი – ჩეხეთის, საქსონიის, შვედეთის, ინგლისისა და ავსტრიის მალარობიდან), ფლორენციელები, გენუელები, ვენეციელები, ლომბარდიელები აფართოებდნენ თავიანთ საქმიანობას საფანგეთში, ინგლისში, არაგონში, კასტილიაში, პორტუგალიაში, გერმანიაში. სულ უფრო იზრდებოდა იტალიელი ვაჭრებისა და ბანკირების გავლენა.

ჯვაროსნული ლაშქრობების უმნიშვნელვანესი შედეგი ის იყო, რომ აღმოსავლეთთან ვაჭრობაში შუამავლის როლი, რომელიც წინათ აღმოსავლელ ვაჭრებს – ბერძნებს, არაბებს, სირიელებს და ებრაელებს ეკუთვნოდათ, ახლა იტალიელების მონოპოლიად გადაიქცა. ეს უკანასკნელნი თვითონ იძენდნენ საქონელს აღმოსავლეთში და ევროპის ქვეყნებში მიჰქონდათ. აღმოსავლეთთან ვაჭრობაში განსაკუთრებით დაწინაურდა გენუა, პიზა და ვენეცია. მათმა ფლოტმა არაერთხელ გაუწია დახმარება ჯვაროსან რაინდებს. სამაგიეროდ ამ ქალაქებმა დიდი პრივილეგიები მოიპოვეს ჯვაროსნების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე. ყველა მნიშვნელოვან ნავსადგურში მათ თავიანთი ფაქტორიები დაარსეს. დაპყრობილ ადგილებში თანდათან ფეხი მოიკიდეს ხმელთაშუა

ზღვის სანაპიროზე მდებარე სხვა ქვეყნების ქალაქებმაც: მარსელმა¹, ნარბონამ, მონპელიემ, ბარსელონამ. ამავე დროს აღმოსავლეთში საქმიანობას იწყებენ ფლორენციელი ვაჭრებიც.

ჯვაროსნული ომების შემდეგ დასახლებულმა ქალაქებმა აღმოსავლეთის ვაჭრობიდან ბიზანტიელები განდევნეს. იტალიელებმა აღმოსავლეთთან ვაჭრობის სადავები იმდენად იგდეს ხელთ, რომ ისინი ბიზანტიელ ვაჭრებს კონკურენციას უწევდნენ თვით ბიზანტიაშიც კი.

ყველას მიანც ჩრდილო იტალიის ორმა ქალაქმა-რესპუბლიკამ – ვენეციამ და გენუამ აჯობა. მათი სიმდიდრისა და ძლიერების მთავარი წყარო ევროპასა და აღმოსავლეთს შორის სატრანზიტო ვაჭრობა იყო. ამავე დროს ვენეციის და გენუის შინაგანი წყობილება შესანიშნავად შეეხამებოდა ფართო სავაჭრო საქმიანობას. მთელი ძალა-უფლება ვაჭარ-პატრიციებს ეკუთვნოდათ, მათი იყო აგრეთვე ვაჭრობიდან მიღებული მოგების უდიდესი ნაწილი.

გენუასა და ვენეციას შორის მუდმივი კონკურენცია და მტრობა სუფევდა. წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამძაფრდა XIII ს. დასაწყისიდან, რომელმაც სისხლისმღვრელი კოლონიური ომის სახე მიიღო. ომმა სირია და მთელი ხმელთაშუა ზღვა მოიცვა და არც მაშინ შეწყდა, როცა საერთო მტერი – მუსლიმები ანტიოქიასა და ტრიპოლს დაეუფლნენ და 1291 წ. ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნების უკანასკნელი დასაყრდენი აკრაც დაეცა. ისინი ურთიერთ შეუღლს განაგრძობდნენ შემდეგ საუკუნეებშიც. ბრძოლა მწვავე ხასიათს ატარებდა, კონსტანტინოპოლის დაცემაც, გარკვეული გაგებით, მათ შორის გაუთავებელი ბრძოლის შედეგი იყო, მაგრამ ერთმანეთის საბოლოო განდევნა მათ ვერასოდეს მოახერხეს. ზოგირთ ადგილებში უპირატესობა თუ ვენეციელებს ჰქონდათ, სხვაგან გენუელები პირველობდნენ. საერთოდ კი, სავაჭრო

¹ საფრანგეთის მონაწილეობა აღმოსავლეთის (ლევანტის) ვაჭრობაში სისტემურ ხასიათს იძენს და განსაკუთრებით ვითარდება XV ს. შუა ხანებიდან, შარლ VII-ის მრჩველისა და ხაზინადრის ჟაკ კერის უშუალო მოღვაწეობის შედეგად. **Плешкова А., Левантская торговля Франции в середине XV века (торгово-предпринимательская деятельность Жака Кера).** «Вестник Московского университета», серия IX, история, М., 1970, с. 55.

კავშირს ორივე მხრივ ყველგან ინარჩუნებდა მანამდე, ვიდრე ისინი საბოლოოდ ოსმალებმა არ განდევნეს.

მოკლედ გადავხედოთ ევროპის ქვეყნების, მათ შორის იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების – ვენეციის და გენუის, ურთიერთობას აღმოსავლეთთან.

* * *

გენუა აქტიურად მონაწილეობდა პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და დიდი სარგებელიც ნახა. იგი ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა. ჯვაროსნების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე გენუამ დააარსა სავაჭრო კოლონიები, რომლებიც შემდეგ ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საშუაშაველო ვაჭრობის ცენტრებად გადაიქცა. იმავე დროიდან იწყება გენუის ბრძოლა მისი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრისათვის – თავიდან მოიცილოს ჩრდილო იტალიის სხვა სავაჭრო ქალაქების – პიზისა და ვენეციის კონკურენცია. დასახელებული ქალაქები იმავე დროს ურთიერთ კონკურენტებიც იყვნენ. გზიდან მათ ჩამოშორებას გენუისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გენუელი ვაჭრები აღმოსავლეთში თავიანთი კაპიტალის დაბანდებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და იქიდან იღებდნენ ყველაზე მეტ მოგებას¹.

ჯვაროსნების მიერ ბიზანტიის იმპერიის მოსპობას და და ამის შედეგად ვენეციის გაძლიერებას გენუა ვერ ურიგდებოდა. 1261 წლის 13 მარტს მიხეილ პალეოლოგმა და გენუის წარმომადგენლებმა ნიმფეაში გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის რატიფიცირება მოხდა გენუაში იმავე წლის 10 ივნისს. ხელშეკრულება მიმართული იყო ვენეციელებისა და ლათინთა იმპერიის წინააღმდეგ. გენუელებს ყოველგვარი დახმარება უნდა გაეწიათ ბიზანტიის იმპერიის აღდგენისათვის მებრძოლი პალეოლოგებისათვის, სამაგი-

¹ Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dalla origini fino al di nostri. Commentari storici, dell'avvocato Michele Giusaeppe Canale, v. II, Genova, 1855.

ეროდ ისინი ყველა იმ პრივილეგიას მიიღებდნენ, რომლებსაც ვენეციელები ფლობდნენ¹.

პაპის თხოვნამ და ეკლესიიდან განკვეთის მუქარამ მიზანს ვერ მიაღწია. გენუელები ფლოტსა და ჯარს მხინც გულმოდგინედ ამზადებდნენ ლათინების ბიზანტიიდან განსადევნად. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ პალეოლოგი 1261 წლის 25 ივლისს კონსტანტინოპოლს გენუელების დახმარების გარეშე დაუფლა², ნიმფეის ხელშეკრულება მაინც ძალაში დარჩა.

ხელშეკრულებაში ხაზგასმული იყო შავი ზღვის შესახებ, რომლის ნაპირების „ათვისებას“ გენუელებმა და ვენეციელებმა ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ XII საუკუნეში³, მაგრამ მაშინ ბიზანტიის იმპერიას ჯერ კიდევ შესწევდა იტალიელებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ძალა. იგი იტალიელებს შავსა და აზოვის ზღვებში ნაოსნობას უკრძალავდა. მაგრამ XIII ს. შუა ხანებში, როცა მონღოლების ლაშქრობებმა მთელ ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში პოლიტიკური გართულებები გამოიწვია, იქ გამავალმა სავაჭრო გზებმა მნიშვნელობა დაკარგა. ამას მოჰყვა სავაჭრო-საქარაუნო გზების ჩრდილოეთით გადანაცვლება⁴. შეცვლილ ვითარებაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთმა სანაპირომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რაც გენუელებს მხედველობიდან არ გამოორჩათ.

ნიმფეის ხელშეკრულებით, გენუელებს უფლება მიეცათ ბაჟების გარეშე ეცურათ შავ ზღვაში. იქვე აღნიშნული იყო, რომ ყველა სხვა „ლათინებს“, განსაკუთრებით ვენეციელებს, ეკრძალებოდათ შავ ზღვაში შესვლა. გამონაკლისი დაშვებული იყო პი-

¹ Heyd W. Geschichte des Levantehandels im Mittelalter, II B., Stuttgart, 1879, S. 471-472.

² გენუელებმა, იმპერატორის ნებართვით კონსტანტინოპოლში ვენეციელების ციხე დაანგრეს და ქვეტი გენუაში წაიღეს ძვირფასი ტროფეის სახით. გენუელებმა ამგვარად იძიეს შური იმისათვის რაც ვენეციელებმა გენუელთა კოლონია აკონის აღების შემდეგ ჩაიდინეს. Ibidem, S. 272.

³ Miklosich et Müller, Acta et diplomata graeca medii aevi, III, Vien, 1865, p. 35.

⁴ Скржинская Е. Р., Генуэзцы в Константинополе в XIV в., «Византийский временник», I, М., 1947, с. 222.

ზელების მიმართ, რომლებსაც იმპერატორთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ¹.

1266 წ. გენუელებმა ოქროს ურდოს ყაენთან შეთანხმებით ყირიმში მიიღეს ქ. ფეოდოსია, რომელსაც კაფა ეწოდა. შემდეგში ეს ქალაქი გენუელების შავ ზღვაში მთავარ დასაყრდენად გადაიქცა.

XIV ს. პირველ ათწლეულში გენუელებს შავი ზღვისპირეთში რამდენიმე ათეული კოლონია ჰქონდათ. გენუის დროშა ფრიალებდა აზოვის ზღვის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურზე – ტანაზეც (ქ. აზოვი). ტანადან სევასტოპოლისამდე (ცხუმი/სოხუმი) გენუის 39 კოლონია და დასახლება არსებობდა².

შავი ზღვის აუზში გაბატონების დროს გენუელების უმთავრეს მიზანს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ინდოეთთან ვაჭრობაში მონოპოლიის მოპოვება წარმოადგენდა³.

ამგვარად, გენუის სახით ჩამოყალიბდა უზარმაზარი კოლონიური სახელმწიფო, რომლის სამფლობელოები კაფადან სეუტამდე (მაროკო) იყო გადაჭიმული. მისი სიძლიერე სამხედრო წარმატებებშიც გამოიხატა. მან ჯერ პიზა დაამარცხა 1284 წელს, ხოლო 1298 წელს ვენეცია.

კაფა აღმოსავლეთთან ვაჭრობის უმსხვილეს ცენტრად გადაიქცა. იქ მიჰქონდათ და იქიდან გაჰქონდათ იმ დროის ყველა მნიშვნელოვანი საქონელი. მის მახლობლად მცხოვრები ხალხებისაგან ნაყიდი პროდუქტებით (ხორბალი, ტყავი და სხვ.) გენუელები დასავლეთ ევროპას ამარაგებდნენ. იქვე იყო მარილის საბადოები,

1 Heyd W., *Op. cit.*, S. 473.

2 Зевакин Е. С. и Пенчко Н. А. *Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе. «Исторические записки»*, 13, Л., 1936, с. 79

3 ინდოეთთან ვაჭრობის გაფართოების მიზნით, გენუელებმა შეადგინეს იმ დროისათვის მეტად გაბედული პროექტი, რომელიც გულისხმობდა შემდეგს: გენუელებმა არლუნ-ყაენს (1284-1291) შესთავაზეს სპარსეთის ყურეში ერთობლივად შეექმნათ განსაკუთრებული ნავსადგური, რომელსაც დაუკავშირებოდა ინდოეთთან მთელი ვაჭრობა. ამ პროექტის განხორციელება ვეღარ მოხერხდა გენუაში გველეხებსა და გიბელინებს შორის დაწყებული ბრძოლის გამო. იხ. Манандян Я. А., *О торговле и городах Армении в связи мировой торговли древних времен (V в. до н. эры – XV в. н. эры)*, Ереван, 1954, с. 297-298.

რომლის პროდუქცია სხვა საექსპორტო საქონელს შორის პირველ ადგილზე იდგა. კავკასიის მთიელი მოსახლეობა მონებით ვაჭრობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, რაშიც გენუელები უდიდეს მოგებას ნახულობდნენ. კაფელი ვაჭრები ევროპულ ნაწარმს ტანაში რუსულ, ჩინურ და ინდურ საქონელზე ცვლიდნენ¹.

მიუხედავად იმისა, რომ კაფას მეტროპოლიისაგან ფინანსიური და პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული, მაინც გენუის უზენაისი ხელისუფლების ცნობა სავალდებულო იყო. კაფას კონსულს, ისევე როგორც სხვა კოლონიების კონსულს, გენუა ნიშნავდა. იგი კაფასა და შავი ზღვის სხვა კოლონიებში საერთო, რესპუბლიკისათვის სასარგებლო პოლიტიკას ატარებდა. გაცხოველებული ვაჭრობიდან მიღებული მოგების და გადასახადების დიდი ნაწილი მეტროპოლიის განკარგულებაში გადადიოდა.

გენუას სავაჭრო კოლონიების მმართველობა დაყოფილი ჰქონდა სამად: დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში განლაგებულ კოლონიებს განაგებდა უმუალოდ თვითონ; პერა განაგებდა მორეაში, არქიპელაგზე, მაკედონიაში, ბულგარეთსა და ანატოლიაში არსებულ კოლონიებს; კაფა – ყირიმის, ტამანის, საქართველოს (სევასტოპოლისი/ცხუმი და ქუთაისი), აზერბაიჯანის და სპარსეთის საკონსულოებს².

რომის პაპებმა აღმოსავლეთში კათოლიკობის გავრცელების ცენტრად კაფა აირჩიეს. 1318 წელს გაიხსნა კაფას ეპარქია, 1333 წელს კი – მისიონერთა მონასტერი, სადაც ბერები აღმოსავლურ ენებს სწავლობდნენ და შემდეგ კათოლიციზმის საქადაგებლად სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნებოდნენ.

გენუელებს წარმატებებით ტკობის საშუალებას ვენეციელები არ აძლევდნენ. ისინი ვერ ეგუებოდნენ შავ ზღვაში თავიანთი პოზიციების შესუსტებას. ამ ორ ქალაქ-რესპუბლიკას შორის არ წყდებოდა დავა, რომელიც არაერთხელ სისხლისმღვრელ ბრძო-

1 Мурзакевич Н., *История генуэзских колоний в Крыму, Одесса, 1837, с. 35-38.*

2 Там же, с. 40.

ლაში გადაიზარდა. ამ ბრძოლის კულმინაციას წარმოადგენდა კიოჯას ომი (1380 წ.), რომელის შემდეგ დადებული ტურინის ზავი (1381 წ.) ვენეციელების ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში სრული ბატონობის საწყისად გადაიქცა. მიუხედავად ამისა, თავიანთი მოხერხებულობისა და გამბედაობის წყალობით, ვენეციელებმა დიდად შელახული პოზიციები კონსტანტინოპოლში 1453 წლამდე, ხოლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე 1475 წლამდე შეინარჩუნეს.

* * *

ვენეციის როგორც მსხვილი სავაჭრო ცენტრის განვითარება IX-X საუკუნეებში დაიწყო. მისი სავაჭრო ოპერაციები ამ დროისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბიზნტიაში, სირიასა და ეგვიპტეში შეძენილი საქონლით მომარაგებით განისაზღვრებოდა.

ვენეციის აყვავება იწყება ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს, XI-XII საუკუნეებში, როდესაც ევროპელ რაინდებს ამ ქალაქის გემებზე, საბრძოლო იარაღებზე და სხვა სახის საქონელზე დიდი მოთხოვნა ჰქონდათ. ვენეცია, თავისი გემებით ჯვაროსნების აღმოსავლეთში გადაყვანის სანაცვლოდ, დაპყრობილ ტერიტორიებზე ფართო სავაჭრო პრივილეგიებს იღებდა.

როგორც უკვე ითქვა, იტალიის ქალაქების და, მათ შორის ვენეციის, ლევანტში ვაჭრობას ბიზანტიის იმპერია აფერხებდა. იქ მის პრივილეგიებს განსაკუთრებით XII საუკუნიდან შეეკვეცა მოქმედების სფერო. ბიზანტიის იმპერატორმა მანუილ I-მა (1143-1180), ვენეციელი ვაჭრების გავლენის შესუსტების მიზნით, კავშირი დაამყარა გენუელებთან (1169 წ.) და პიზელებთან (1170 წ.) და მათ მნიშვნელოვანი სავაჭრო პრივილეგიები მიანიჭა. ვენეციელები უბრძოლველად არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს. ბიზანტიის პრობლემის თავიანთ სასარგებლოდ გადაჭრის კარგი პირობები ვენეციელებს შეექმნათ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. ვენეციის დოჟმა ენრიკო დანდოლომ „გადაწვიტა ჯვაროსნული სისულელიდან სავაჭრო ოპერაცია გაეკეთებინა“ და მათ ისეთი პირობები

შექმნა, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ კონსტანტინოპოლზე გავლით მცირე აზიაში გადასულიყვნენ. ჯავროსნებმა ბიზანტიის იმპერია გაანადგურეს და მის ნაცვლად ლათინთა იმპერია შექმნეს.

ახლად შექმნილი იმპერიის ტერიტორიების 3/8 ვენეციელების ხელში აღმოჩნდა. ეს ძირითადად ის ადგილები იყო, რომლებსაც სავაჭრო საქმიანობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებთან ვაჭრობის ცენტრებად ვენეციელებმა ტანა და სუდაკი გადააქციეს, ხოლო შავი ზღვის სამხრეთი ნავსადგურებით ისინი ამიერკავკასიასა და სომხეთს უკავშირდებოდნენ¹.

ამგვარად, ლათინთა იმპერიის შექმნასთან ერთად შეიქმნა კიდევ ერთი იმპერია – ვენეციის კოლონიური იმპერია², რომელმაც დიდხანს ვერ იარსება. იგი დაეცა 1261 წელს.

XV ს. დასაწყისში ბიზანტია ოსმალებთან ბრძოლაში დასუსტდა, ოსმალეთის მზარდი სახელმწიფო კი თემურლენგმა გაანადგურა. ამით ისარგებლა ვენეციის რესპუბლიკამ და დასუსტებული მეტოქეების ხარჯზე თავისი სამფლობელოები კიდევ უფრო გაზარდა. იმავე საუკუნის შუა ხანებისათვის ვენეციის არისტოკრატიული რესპუბლიკა ყველაზე ძლიერი საზღვაო სახელმწიფო იყო ევროპაში და იგი თავისი აყვავების უმაღლეს მწვერვალზე ავიდა. ვენეციელ ვაჭრებს ურთიერთობა ჰქონდათ მაშინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან.

ვენეციის რესპუბლიკას დიდად განვითარებული მრეწველობაც ჰქონდა. მისი მრეწველობის პროდუქტები – ოქროს, ვერცხლის და სპილოს ძვლის სამკაულები, შუშის ნაწარმი და სხვადასხვა იარაღები განთქმული იყო მთელ მსოფლიოში. დიდი ყურადღება ეთმობოდა გემთმშენებლობას. ვენეციის მრეწველობის ამ განვითარებულ დარგებში ისახებოდა კაპიტალისტური წარმოების ელემენტები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვენეციური ოქროქსოვილის შესახებ, რომლითაც იგი აღმოსავლეთის ქვეყნებსაც კი

1 Бер А., История всемирной торговли, ч. I, М., 1876, с. 176.

2 Соколов Н. П., Образование Венецианской колониальной империи, Саратов, 1963, с. 87.

კონკურენციას უწევდა. ოქროქსოვილის წარმოება აღჭურვილი იყო შესანიშნავი ტექნიკით. საერთოდ, აბრეშუმის წარმოებამ ვენეციაში თავისი აყვავების უმაღლეს დონეს XV საუკუნეში მიაღწია¹. მაგრამ ვენეციის ეკონომიკური ძლიერება, როგორც ითქვა, დამყარებული იყო საგარეო ვაჭრობაზე. სხვადასხვა ქვეყნებს შორის საშუამავლო ვაჭრობამ ვენეცია ძლიერ და მდიდარ სავაჭრო-არისტოკრატიულ რესპუბლიკად გადააქცია.

* * *

იმისათვის, რათა უკეთ იქნეს გაგებული ვენეცია – აყ-ყოიუნლუს (თეთრბატენიანთა) სახელმწიფოს პოლიტიკური ურთიერთობა XV ს. 50-70-იან წლებში, (მასში ჩაბმული იყო საქართველოც), აქვე მოკლედ უნდა ითქვას მათ შორის ვაჭრობაზეც, რაც უპირველესყოვლისა განაპირობებდა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირის არსებობასაც.

XV ს. მეორე ნახევარში აყ-ყოიუნლუს ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლებიც ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს დედაქალაქი თავრიზი მდებარეობდა იმ საქარავნო გზების გადაკვეთაზე, რომლებიც მოიმართებოდა ჩინეთიდან, ავღანეთიდან, ხვარაზმიდან, საქართველოდან, ერაყიდან და ლურისტანიდან და ამიტომ იგი ვაჭრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად ითვლებოდა. იქ თავს იყრიდა აბრეშუმის ნაწარმი და ყაჭი შირვანიდან და გილანიდან, სანელებლები და საღებავები ინდოეთიდან, ჩინეთიდან და შუა აზიის ქვეყნებიდან. აღმოსავლეთის ეს საქონელი მიდიოდა ტრაპიზონის, ჰალეპის, ბეირუთის, დამასკოს, ტრიპოლის, ბურსას და კონიის ბაზრებისაკენ², საიდანაც შემდეგ ევროპაში გაჰქონდათ.

1 Zwiedinek-Südenhorst H. v., Venedig als Weltmacht und Weltstadt. Biefeld und Leipzig, 1839, S. 66.

2 Махмудов Я. М., Взаимоотношения государство Ак-коюнду с Венецией (60-70 гг. XV века). Автореферат диссертации, Баку, 1966, с. 7-8.

თავრიზის ასეთი კარგი მდებარეობის გამო აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს სატრანზიტო ვაჭრობიდან მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა. ამავე დროს იგი თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა დასავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ვენეციასთან ვაჭრობაში. აყ-ყოიუნლუს ექსპორტის საგანს ძირითადად აზერბაიჯანული ყაჭი წარმოადგენდა, რომელზეც დიდი მოთხოვნილება ვენეციის აბრეშუმის წარმოებას ჰქონდა. სამაგიეროდ, შემოდოდა ვენეციის მრეწველობის საგნები – ატლასი, ყუმაში და სხვ.

საგარეო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. იგი ვენეციასთან ვაჭრობის დროს ფართოდ იყენებდა ოსმალეთის ტერიტორიაზე არსებულ სავაჭრო ცენტრებსაც, რომელთა შორის გამოირჩეოდა ქ. ბურსა. თავრიზი ამ ქალაქს საქარავნო გზით უკავშირდებოდა. მრავალნაირი აღმოსავლური საქონელი, რომელიც თავს იყრიდა თავრიზში, შემდეგ მიედინებოდა ტოგატში, საიდანაც შირვანიდან, განჯიდან, საქართველოდან და სომხეთიდან მოსულ ქარავნებთან ერთად მიემართებოდა ბურსაში¹.

როგორც ითქვა, აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოდან ვენეციაში ძირითადად ყაჭი გაჰქონდათ, მაგრამ მასზე მოთხოვნა იზრდებოდა ოსმალეთის ქალაქებშიც, სადაც ვითარდებოდა აბრეშუმის წარმოება. მზა პროდუქციის ევროპაში გატანით დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალეთის ვაჭრები. ამიტომ აზერბაიჯანისა და ირანის ყაჭის ევროპაში გატანა ოსმალეთის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ამიტომ, სულთნის ბრძანებით იზრდებოდა გადასახადი როგორც აყ-ყოიუნლუს ვაჭრების მიერ ბურსაში შეტანილ აბრეშუმზე, ასევე ვენეციელების მიერ იქიდან გატანილზე². ამგვარი საბაჟო პოლიტიკა დიდად აფერხებდა ვენეციასა და აყ-ყოიუნლუს შორის ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობას. უფრო მეტიც, სულთანის ყოველნაირად ცდილობდა ყველა იმ გზების ხელში ჩაგდებას, რომლებითაც აბრეშუმი ევროპაში გაჰქონდათ. ამ გეგმის განხორციელებას

1 Тамже.

2 Тамже, с. 9.

ემსახურებოდა მის მიერ ტრაპიზონის იმპერიის და ყარამანიის საამიროს დაპყრობა.

აღნიშნულ მიზეზთა გამო აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს უპირველეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანად ოსმალეთის მიერ სავაჭრო გზებზე შექმნილი დაბრკოლებების გადალახვა გადაიქცა. მას ევროპასთან კავშირის დამყარება უშუალოდ სურდა.

ლევანტის ვაჭრობის ჯერ შეფერხება, შემდეგ მისი დაქვეითება დაკავშირებული იყო ოსმალეთის ექსპანსიასა და სავაჭრო პოლიტიკასთან. მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა ის ვრცელი ტერიტორიები, რომლებითაც წინათ ევროპა და აღმოსავლეთი ერთმანეთს უკავშირდებოდა. აყვაგებული სავაჭრო ცენტრების აწიოკება-განადგურება ისედაც ახდენდა გავლენას სავაჭრო საქმიანობაზე. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, „რომ ოსმალეთი დაინტერესებული იყო არა წარმოებით, არამედ საბაჟო შემოსავლის გაზრდით“¹, მაშინ გასაგები გახდება, როგორი ზღუდე აღიმართა ევროპა-აღმოსავლეთის ურთიერთობის გზაზე.

* * *

ოსმალეთის ექსპანსია საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ ლევანტის ვაჭრობის შემდგომ არსებობას. იგი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაცემამდე დაემუქრა აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოებებს. ამიტომ ევროპაში ადრევე მიაქციეს ყურადღება ოსმალეთისაგან თავდაცვისა და მისი განადგურების საკითხს. იმავე დროს ნათელი იყო, რომ მარტოდმარტო ვერც ერთი ევროპული სახელმწიფო ოსმალეთს ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ კონსტანტინოპოლის დაცემამდე დიდი ხნით ადრე შემუშავდა ანტიოსმალური ჯვაროსნული ომის იდეა, მაგრამ მისი წარმატებით განხორციელება ვერ მოხერხდა.

1396 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ მოეწყო ჯვაროსნული

1 გაბაშვილი ვ., XVI-XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე. კრებულში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 168.

ლაშქრობა. იმავე წლის 25 სექტემბერს ნიკოპოლთან ბრძოლაში დასავლეთის რაინდთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკი მარცხი განიცადა. ამის შემდეგ ოსმალეთი შეიჭრნენ ატიკასა და პელოპონესში, იწყება მათი თავდასხმები უნგრეთზე, რამაც შემდეგში სისტემატური ხასიათი მიიღო.

1400 წელს სულთანმა ბაიაზიდ II-მ (1389-1402) ალყა შემოარტყა კონსტანტინოპოლს და დანებება მოსთხოვა. ბიზანტიის იმპერატორმა მანუილ II პალეოლოგმა (1391-1425) ევროპის სახელმწიფოებს დახმარება სთხოვა და პირადადაც ეწვია მათ, მაგრამ ცარიელი დაპირებების მეტი ვერაფერი მიიღო.

ვიდრე იმპერატორი დამხმარე ძალებს ევროპაში ეძებდა, უნებლიე მხსენლად ბიზანტიას თემურლენგი მოევიდნა. მან ადრევე მიიპყრო ევროპელთა ყურადღება. თემურის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია, ევროპელთა ვარაუდით იმ საუკეთესო ძალებს წარმოადგენდა, რომლის ოსამლეთისათვის დაპირისპირება შეიძლებოდა. გარდა ამისა საყოველთაოდ ცნობილი იყო თემურის დიდი ინტერესი სხვა ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების დამყარებისა და სავაჭრო-საქარავნო გზების დაუფლებისადმი. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ლაშქრობები ოქროს ურდოს, ამიერკავკასიისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. იმისათვის რათა სავაჭრო ურთიერთობა მხოლოდ მისი იმპერიის ტერიტორიაზე გამავალი გზებით განხორციელებულიყო და კონკურენტები ჩამოეცილებინა, თემური მთლიანად სპობდა იმ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებს, რომლებზედაც ხელი მიუწვდებოდა. მისი ასეთი მოქმედების თავალსაჩინო მაგალითია ოქროს ურდოს უმნიშვნელოვანესი ქალაქის სარაი ბერქეს მიწასთან გასწორება¹. თემურის მიერ 1400 წელს ბაღდადის სავაჭრო გზის დანგრევით განსაკუთრებით დაწინაურდა სამხრეთ სომხეთის გზა, რამაც გააძლიერა თავრიზის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში².

იმისათვის რათა საბოლოოდ მოესპო ჩრდილოეთის სავაჭრო

1 Якубовский А. Ю., Феодализм на Востоке. Столица Золотой Орды, Сарай Берке, Л., 1932, с. 3.

2 Манандян Я. А., Ук. Труд., с. 308.

გზა და ამით ოქროს ურდო დაესუსტებინა, როგორც ჯოსაფატ ბარბარო და ამბროჯო კონტარინი გადმოგვცემენ, თემურმა ისე გაანადგურა აღნიშნულ გზაზე არსებული ქალაქი ასტრახანი, რომ მას XV ს. 70-იანი წლების შუახანებისათვის აღრინდელი ბრწყინვალეების ნიშანიც კი აღარ ჰქონდა¹.

როგორც ითქვა, ჩრდილოეთის გზამ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ვაჭრობის საქმეში. მაგრამ თემურის ლაშქრობების შემდეგ მან მნიშვნელობა იმდენად დაკარგა, რომ ევროპელთათვის უფრო ხელსაყრელი იყო სპარსეთის გზებით ესარგებლათ. ჩრდილოეთის გზის გადაკეტვამ, თავისთავად გაზარდა ამიერკავკასიის სამხრეთით გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის მნიშვნელობა².

ამგვარად, თემურლენგის მიზანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი გზების დაუფლება იყო. ამის განხორციელება კი ოსმალეთთან შეტაკებისა და მის განადგურების გარეშე მიუწვდომელი იქნებოდა. ეს ორი მტაცებელი XV ს. დამდეგისათვის ერთმანეთის მეზობლობაში აღმოჩნდნენ. თემური დასავლეთისაკენ, ბაიაზიდი კი აღმოსავლეთისკენ მიიწვედა. ოსმალები თურქმანთა ინტერესებს შავ ზღვაზე გამავალი გზებზე გაბატონებითაც ლახავდნენ.

თემურლენგის ბრძოლა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზების დასაპყრობად მხედველობიდან არ გამორჩათ ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს, უფრო მეტიც, იმ ქვეყნებმა, რომელთა ტერიტორიებსაც ოსმალთა საფრთხე ემუქრებოდა, მაშინვე შეაფასეს თემურის ძალა, როგორც ოსმალეთის განადგურების საშუალება. როდესაც ცხადი გახდა, რომ ოსმალეთსა და თემურის სახელმწიფოს შორის შეჯახება გარდაუვალი იყო, გენუელებმა კავშირი დაამყარეს თურქმანებთან. ოსმალებისაგან განადგურების წინაშე მდგომმა ბიზანტიელებმაც გენუელებს მიბაძეს. ბერძნებმა

და გენუელებმა თემურს აცნობეს, რომ ოსმალებთან ომის შემთხვევაში მას დაეხმარებოდნენ. სახელდობრ, ისინი ჰპირდებოდნენ, რომ მოკლე ხანში შეაიარალებდნენ რამდენიმე გალერას და ბალკანეთში მყოფ ოსმალებს სულთნის დასახმარებლად მცირე აზიაში გადასვლის საშუალებას არ მისცემდნენ.

დაიწყო ომი. თემურლენგის ლაშქარმა 1402 წლის 20 ივლისს ანგორასთან ოსმალების ლაშქარი გაანადგურა და სულთან ბაიაზიდ II-ც დაატყვევა. ამ ბრძოლის მოწმენი გახდნენ კასტილიის მეფის ელჩები¹. რუი გონსალეს დე კლავიხოს² მიხედვით, ბიზანტიელებმა და გენუელებმა დაპირება არ შეასრულეს და არამცთუ ბოსფორი და დარდანელი არ გადაკეტეს, არამედ დამარცხებულსა და დევნილ ოსმალებს მიემხრნენ და ისინი საბერძნეთში გადაიყვანეს. შემდეგ, როგორც კლავიხო დასძენს, მათი ასეთი მოქმედებისათვის თემურის რისხვა მის სამფლობელოებში მცხოვრებ ქრისტიანებს დაატყდათ³.

ანგორასთან გამარჯვების შემდეგ თემურლენგმა ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება სცადა. მან სულთანის ეპისკოპოსი იოანე გალიფანტელი ევროპაში გაგზავნა, რომელმაც ყველა ძლიერი მმართველი მონიხსულა და თემურის სახელმწიფოსთან ვაჭრობის სარგებლიანობაში მათი დარწმუნება

1 Clavijo – *Historia del gran Tamorlan e Itinerario y enarracion del viage e relation de la Embajada que Ruy Gonzalez de Clavijo le hizo, per Mandado del Rey Don Henriquez terceiro de Castilla, Sevilla, 1582, p. 4.*

2 კლავიხო (დაბადების წელი უცნობია, გარდაიცვალა 1412 წელს), კასტილიელი დიდებული, თავისი დროისათვის კარგად განათლებული იყო. კასტილიის მეფე ენრიკე III-მ (1390-1407) ელჩად გააგზავნა თემურ-ლენგთან სამარყანდში. ეს მოგზაურობა გაგრძელდა თითქმის სამი წელი. იგი მთელი მოგზაურობის დროს წერდა დღიურებს. მისი ჩანაწერები შეიცავს ძვირფას ცნობებს, რომლებიც მოკლებულა შუა საუკუნეების მოგზაურთა თხზულებებისათვის დამახასიათებელ ფანტასტიკურობას, რაც მათ მეტ დამაჯერებლობას მატებს. კლავიხოსა და მისი „დღიურების“ შესახებ დაწერ. იხ. რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1992, გვ. 34.

3 Clavijo, p. 94

1 Ramusio G. B., *Seconda volume della Navigazioni et Viaggi...*, Venezia, 1559, p. 98 r, 121r.

2 კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით) თბ., 1968, გვ. 116.

სცადა. ამ მოლაპარაკებების შესახებ მცირე რამაა ცნობილი¹. მოლაპარაკებებმა და ურთიერთობის გაგრძელებამ აზრი დაკარგა თემურლენგის გარდაცვალებისთანავე. მისი იმპერია დაიშალა. თემურისაგან განადგურებული ოსმალეთი მალე წელში გაიმართა და ევროპის სახელმწიფოებს კვლავ პრობლემები შეუქმნა. 1429 წელს ქ. ლუცკში, ლიტვის დიდი სამთავროს ტერიტორიაზე, შედგა ევროპის სახელმწიფოთა მეთაურების ყრილობა. მას ესწრებოდნენ: ლიტვის მთავარი ვიტოვტი, პოლონეთის მეფე იაგაილო, გერმანიის იმპერატორი სიგიზმუნდი, რომელიც იმავე დროს უნგრეთის მეფეც იყო, დანიის მეფე ერიკ VII, პრუსიისა და ლივონიის მაგისტრები, ყირიმის ხანი, პაპის ლეგატი და ბიზანტიის იმპერატორის იოანე VIII პალეოლოგის წარმომადგენლები.

ყრილობამ სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწია, რადგან მონაწილეებს შორის ინტერესთა სხვადასხვაობა იყო.

დიდი ხნის დამთავრებული არ იყო ლუცკის ყრილობა, რომ მთელი ევროპა შეაძრწუნა ოსმალების ახალმა წარმატებებმა დუნაისპირეთსა და ეგეოსის ზღვაში. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალების მიერ სალონიკის აღება, როდესაც სალონიკის ბერძნულმა მოსახლეობამ კათოლიკე ლათინების (ვენეციელების) ხელში ყოფნას ოსმალები არჩია². ვენეციელები იძულებული გახდნენ სალონიკის დაკარგვა სულთანთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით ეცნოთ³.

აღმოსავლეთის მართლმადიდებლურსა და დასავლეთის რომის კათოლიკურ ეკლესიებს შორის განხეთქილებამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ იგი გადამწყვეტ დაბრკოლებად გადაიქცა ოსმალეთის წინააღმდეგ ძალების გაერთიანების გზაზე. იმდროინდელი ევროპის მეთაურებს ორი ეკლესიის გაერთიანების გარეშე, არსებული საშიშროების აღმოფხვრა შეუძლებლად მიაჩნდათ.

1 Хенниг Р., Неведомые земли. Перевод с немецкого А. В. Лисовской, предисловие и редакция И. П. Магидовича, т. III, М., 1962, с. 403-404.

2 Zinkeisen J. W., Geschichte des osmanischen Reichs in Europa, I, Hamburg, 1840, S. 568-569.

3 Krumbacher K., Geschichte der byzantinische Literatur von Justinian bis zum Ende des ostromische Reiches (527-1453), München, 1897, S. 301.

საქმეს ვერც ფლორენციის უნიამ (1439 წ.) უშველა, რადგან იგი ორი ეკლესიის თანასწორუფლებიან გაერთიანებას კი არ გულისხმობდა, არამედ მთელი მართლმადიდებლური ეკლესიის პაპისადმი დამორჩილებას. ამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ მართლმადიდებლური ქვეყნების მოსახლეობის ფართო ფენები, რომლებიც კათოლიკურ ეკლესიისადმი დამორჩილებაში ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას ხედავდნენ. უნიამ ორი ეკლესიას შორის არსებული წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაამწვავა. კრების დასარულს, როდესაც პაპმა და იმპერატორმა განიზრახეს კრების მონაწილეებისათვის თავიანთ სასურველ დოკუმენტზე ძალით მოეწერილებინათ ხელი, დელეგატთა ერთი ჯგუფი გაიპარა. მათ შორის იყვნენ საქართველოს წარმომადგენლებიც.¹

1442 წელს პაპმა ეგვანი IV-მ (1431-1447) ყველა სახელმწიფოს მეთაურს ენციკლიკა გაუგზავნა და ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისაკენ მოუწოდა. პაპის მოწოდებას სიამოვნებით გამოეხმაურნენ ბურგუნდიელი, გერმანელი, ჩეხი, უნგრელი და პოლონელი რაინდები. ბიზანტიის იმპერატორმა უარი სთქვა ჯვაროსნების დახმარებაზე. მონაწილეობა არ მიიღეს, აგრეთვე, ფრანგმა და ინგლისელმა რაინდებმა, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ გადამწყვეტ ფაზაში შესულ ასწლიან ომში.

ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო, მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია, რაც მის წინამორბედებს.

სხვადასხვა ქვეყნებისაგან, განსაკუთრებით კი რომიდან და ვენეციიდან დახმარების მიღების იმედით, 1444 წ. გაზაფხულზე პოლონეთისა და უნგრეთის ლაშქარმა პოლონეთ-უნგრეთის მეფის ვლადისლავ III და უნგრეთის ვოევოდა იანოშ ჰუნიადის მეთაურობით დაიწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1444 წ. 10 ნოემბერს ბულგარეთში ვარნასთან.

1 კასრაძე ტ., რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში (სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1947, გვ. 79; ყუყუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, თბ., 1970, გვ. 21.

პოლონელ-უნგრელთა ლაშქარმა სასტიკი მარცხი განიცადა. ეს იყო მარცხი არა მხოლოდ ბრძოლის ველზე დამარცხებულთა, არამედ მთელი ევროპისაც. ამ დროიდან იწყება ოსმალეთის ძლევამოსილი წინსვლა, რაც ბიზანტიის იმპერიის მოსპობითა და ევროპისა და მცირე აზიის ხალხების დამონებით დამთავრდა.

1. საქართველოს საგარეო ურთიერთობანი XV ს. პირველ ნახევარში

XIV ს. 80-იანი წლებიდან იწყება საქართველოს განსაკუთრებით ტრაგიკული პერიოდი. თემურლენგმა მრავალი ქვეყანა გაანადგურა. უბედურებამ საქართველოსაც უწია. 1386-1403 წლებში თემურის ურდოებმა მრავალგზის დალაშქრეს საქართველო, რასაც თან ახლდა არნახული სისასტიკე და აოხრება.

თემურლენგის შემოსევებმა წარუშლელი კვალი დააჩნია საქართველოს შემდგომ პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას: ეკონომიკა მოიშალა, მოსახლეობა შემცირდა, ქვეყანა პოლიტიკურად დასუსტდა. მაგრამ თემურმა მაინც ვერ შესძლო ქართველი ხალხის დამორჩილება. ისინი მრისხანე დამპყრობლისადმი ქედის მოხრას კი არ ფიქრობდნენ, არამედ ყოველ ხელსაყრელ ვითარებას იყენებდნენ, რათა აღედგინათ საკმაოდ შელახული საერთაშორისო პოზიციები და ამ მიზნით აქტიურ საგარეო პოლიტიკასაც კი ატარებდნენ. ქართველთა ასეთ მოქმედებაზე მეტყველებს თუნდაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი ალინჯის მაგალითი, რომლის შესახებ დამატებითი ორიდე საყურადღებო ცნობა დაგვიტოვა გერმანელმა ჰანს შილტბერგერმა¹.

¹ ჰანს შილტბერგერი დაიბადა 1380 წელს ბავარიაში, ფრაიზინგის მახლობლად. 1394 წლიდან იყო რაინდ რაიხარტინგენის საჭურველთმტვირთველი. 1396 ნიკოპოლთან ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს. ის სულთნის მონად აქციეს. თემურის ტყვეობაში აღმოჩნდა მის მიერ ანგორასთან ოსმალების დამარცხების (1402 წ. 20 ივლისი) შემდეგ. თემურის სიკვდილის შემდეგ თემურიდების სამსახურში იყო. სამეგრელოში ყოფნის დროს იგი სხვა ოთხ ქრისტიანთან ერთად გაიქცა და ბათუმის მი-

შილტბერგერი მოგვითხრობს თემურლენგის მიერ ბაბილონის (ბაღდადი) აღებას და მისი მოსახლეობისადმი ჩვეული სიმკაცრით მოპყრობის ამბავს და განგრძობს: თემური „შემდეგ წავიდა ერთი ციხის [დასაპყრობად], რომელიც წყალში იდგა. დააშრო წყალი და [ფსკერზე] იპოვა ტყვიის სამი სკივრი, რომლებიც სავსე იყო ოქროთი. ის სკივრები მეფემ დაამალვინა, რათა თუ ციხე იქნებოდა აღებული, ოქრო გადარჩენილიყო¹. ამოიღო თემურმა სკივრები, შემდეგ აიღო ციხე, [სადაც] 15 დამცველი იყო და ბრძანა მათი ჩამოხრჩობა. ციხეშიც იპოვა კიდევ ორი სკივრი, რომლებიც სავსე იყო ვერცხლითა და ოქროთი. ისინიც თან წაიღო“².

შილტბერგერმა ალინჯის დასახასიათებლად ყველაზე მნიშვნელოვნად (მაშინ, როცა ირანის სხვა ადგილებს კლიმატის, ნაყოფიერების, ხელოსნობისა და სხვა ნიშნების მიხედვით ახასიათებს) მიიჩნია ის დიდი წინააღმდეგობა, რაც მას თემურლენგისათვის გაუწევია 16 წლის განმავლობაში³.

ალინჯის შესახებ ცნობები, განსაკუთრებით თუ ისინი XIV ს. დასარულსა და XV ს. დასაწყისის ამბებს ეხება, საინტერესოა იმდენად, რამდენაც ამ ციხესთან დაკავშირებულია აღნიშნული პერიოდში ქართველთა მამაცობის ერთ-ერთი საყურადღებო მომენტი.

თემურლენგის მიერ ალინჯის ციხის აღება და აურაცხელი

დამოებიდან ფრანგების გემს გაჰყვა. საბოლოოდ, 1427 წელს, დიდი თავგადასავლების შემდეგ, ის სამშობლოში დაბრუნდა.

შილტბერგერმა თავისი თავგადასავალი აღწერა „მოგზაურობის წიგნში“. დაწვრილ. იხ. მამისთვალისშვილი ე., საქართველო ჰანს შილტბერგერი „მოგზაურობის წიგნში“. „მაცნე“ ისტორიის სერია, №2, თბ., 1980, გვ. 103-119.

¹ ალინჯა რომ საიმედო თავშესაფარი და განძის შესანახი ადგილი იყო, ამის შესახებ შილტბერგერის მიერ გადმოცემული ამბავი ძალიან გადაჭარბებული არ უნდა იყოს. ამ ციხეში აურაცხელი სიმდიდრე სხვა დროსაც ყოფილა დაცული. **Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды. Извлечения из персидских сщчинений собранные В. Г. Тизенгаузенем и обработанные А. А. Ромаскевичем и С. А. Волиным, II, М.-Л., 1941, с. 94.**

² შილტბერგერი, გვ. 106-107.

³ Langmantel V., Hans Schiltbergers Reisubuch nach der nürberger Handschrift, Tübingen, 1885, s. 69.

განძის ხელში ჩაგდება, 1401 წლის ამბავს უნდა ასახავდეს, რომლის მხილველი შილტბერგერი არ ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ რაც იგი 1402 წელს, თემურის ტყვეობაში მოხვდა, საშუალება ექნებოდა, აღნიშნული ცნობები უშუალოდ ციხის დამპყრობელებისაგან მოეპოვებინა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობა, სადაც ალინჯის ციხის დამცველების მიერ მტრისათვის 16 წლის განმავლობაში გაწეულ წინააღმდეგობაზეა გადმოცემული. როდესაც კომენტარს უკეთებდა შილტბერგერის ამ ცნობას ფ. ბრუნს მას საეჭვოდ მიიჩნევდა. ფ. ბრუნს ეჭვის გამოთქმის საფუძველს აძლევდა პირველ რიგში ის, რომ არავითარი საბუთი არ მოიპოვებოდა, რომელშიც რაიმე იქნებოდა ნათქვამი ალიყის ასეთი ხანგრძლივობის შესახებ. და მეორეც, იგი ეყრდნობოდა სხვა ავტორების და მათ შორის მ. ბროსეს წიგნში არსებულ ცნობებსაც. მ. ბროსეს ნაშრომში ნათქვამია, რომ 1393 წელს ქართველებმა ტახირი გაათავისუფლეს ალინჯის ციხიდან. აქედან გამომდინარე ფ. ბრუნმა ივარაუდა: შეიძლება იმათ, ვისგანაც შილტბერგერმა ეს ამბავი გაიგო, დრო გააორკეცეს და თექვსმეტ წელიწადს იმიტომ ამბობსო¹.

ასეთი მოსაზრება სწორი არ არის, რადგან მ. ბროსეს ნათქვამიდან, სხვა აზრის გამოტანა უფრო შეიძლება. აი რას ამბობს მ. ბროსე: „ტახირმა, ბაღდადის მფლობელის აჰმედის შვილმა, ჰულალუ-ყაენის შთამომავალმა, რომელიც განდევნეს თავისი დედაქალაქიდან 1393 წ., თავი შეაფარა ალინჯაყის ციხეში, სადაც ის დიდხანს ვერ შეიპყრა თემურმა. ივერიელებმა ამით ისარგებლეს და წავიდნენ ტახირის შესაწევნელად, დაამარცხეს თათრები და აიძულეს ისინი ციხეს შემოცლოდნენ, ხოლო ტახირი თან წამოიყვანეს“².

ამონარიდიდან ჩანს, რომ თემური ალინჯას არც 1393 წელს ფლობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ტახირისათვის თავშესა-

1 Путешествие Ивана Шилтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 года по 1427 года. Перевод с немецкого и снабдил примечаниями Ф. Брун. «Записки Императорского Новороссийского университета», год первый, т. 1, Одесса, 1867, с. 50.

2 ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1895, გვ. 222.

ფრად არ გამოდგებოდა, გამოდის, რომ ის ტახირს ადრევე ეკუთვნოდა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ადგილსაც, სადაც მ. ბროსე ამბობს: ტახირმა „1393 წ. თავი შეაფარა ალინჯაყის ციხეში, სადაც ის დიდხანს ვერ შეიპყრა თემურმა“. ამგვარად, გამოდის, რომ არც ერთ შემთხვევაში არ რჩება წელთა ის რაოდენობა, რომლის გაორკეცება 16 წელს მოგვცემდა.

დაგუბრუნდეთ თემურის მიერ ალინჯის ალიყის შემორტყმისა და მეციხოვნეთაგან გაწეული წინააღმდეგობის ამბავს.

ალინჯა თემურს დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა. მან დაიპყრო აზერბაიჯანის დიდი ნაწილი და მიაღწა ალინჯას. როცა პირდაპირი იერიშით ვერ აიღო, ალყაშემორტყმული დატოვა¹. კლავიხო ასე გადმოგვცემს ამ ეპიზოდს: „როცა თამურბეკმა სპარსეთის სულთანზე, რომელსაც ამაღს უწოდებდნენ, გაიმარჯვა და მისი მიწები დაიპყრო, ის (აჰმედ ჯალაირი – ე. მ.) ამ ციხე ალინჯაში დაიმალა. თამურბეკს იგი და მისი ხალხი სამ წელს ჰყავდა ალყაში, შემდეგ ის ბაბილონის სულთანთან გაიქცა, სადაც დღესაც იმყოფება“².

კლავიხოს ცნობას, თემურმა ციხე რომ ვერ აიღო, ადასტურებს სპარსელი ისტორიკოსი შარაფ ად-დინ ალი იეზდი³. მ. მინორსკის თქმით: სხვადასხვა ურიცხვ ციხეებს შორის, რომლებიც თემურმა აიღო, არც ერთს არ გაუწევია ისეთი წინააღმდეგობა, როგორც ალინჯამ. იგი ზოგიერთი შუალედით წინააღმდეგობას უწევდა 14 წლის განმავლობაში“⁴.

ი. ჰამერი შარაფ-ად-დინის ცნობებზე დაყრდნობით, აღნიშნავდა, რომ ალინჯის განთქმული ციხე თემურამდე (1386 წ.) ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ აიღო. თემურმა მხოლოდ მეოცე დღეს

1 История Азербайджана, I. С древнейших времен до присоединения Азербайджана к России, Баку, 1953, с. 199.

2 Clavijo, p. 103.

3 შარაფ ად-დინის მიხედვით, თემურის ლაშქარს პირველი შეტევისას ალინჯის ციხის გარეთ არსებული სიმაგრეები აუღია, დამცველები კი ციტადელში გამაგრებულან. იხ. Minorsky M. V., Transcaucasica. Livre de lecture sur l'histoire de la Géorgie et du proche-orient, Tbilissi, p. 1963, p. 41.

4 იქვე.

შედლო შეუპოვარი დამცველების წინააღმდეგობის გატეხა და დამცველნი ხელშეკრულნი ციხის კედლებიდან სრამში გადაყარეს¹. ამასვე ამბობს მარი ბროსეც ოღონდ მასთან ალინჯის აღების წელია 1387².

თუ ზემოთ მოხმობილ ცნობებს გავიზიარებთ, მაშინ გასაგებია, რომ თემურმა აზერბაიჯანში პირველად შეჭრისას 1386 წელს ნახჭევანის მიდამოებში ჯელაიერების უძლიერესი ციხე-სიმაგრე ალინჯა აიღო. სავარაუდოა, თემურმა, ჯერჯერობით უცნობ ვითარებაში, ეს ციხე ისევ დაკარგა და ძველი მფლობელი ჯელაიერები დაეპატრონენ. იმისათვის, რათა გაირკვეს როდის დაკარგა თემურმა ალინჯა, ჯერ მ. ბროსეს მოვუსმინოთ: „1712 წ. ბერძნული, ხოლო 1400 წ. ქრისტეს დაბადებიდან, თემური მივიდა თავრიზში და ბაღდადის სულთნის, აჰმედის შვილის, სულთან თაჰერის ციხე-სიმაგრე, ალინჯა დაიპყრო, რომელიც (თაჰერი – ე.მ.) ძალიან მამაცი იყო და რომელსაც ნათესაობის მიზეზით ქართველები უჭერდნენ მხარს. იგი 15 წელიწადს დარჩა ამ ციხე-სიმაგრეში. ბოლოს იძულებული გახდა გამოსულიყო იქიდან და იბერებთან გაიქცა“³. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ თაჰერი საქართველოსთან მატრიმონიალურად დაკავშირებული ყოფილა⁴, თუმცა ცნობილი არ არის, ეს კავშირი როდის, რა ვითარებაში და რომელი ქართველი დიდებულის ოჯახთან დამყარდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველებსა და ჯალაირებს შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა.

სხვადასხვა ავტორები ალინჯის დამცველების მიერ თემურისათვის გაწეულ წინააღმდეგობას სხვადასხვა ხანგრძლივობით (18, 15, 14 წელი) განსაზღვრავენ, მაგრამ ამჯერად ამას გადამწყვეტი

მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ თემურმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო ციხის აღება და მის ამ წარუმატებლობაში ქართველების ხელიც ერია.

თუ გავითვალისწინებთ იმ პოლიტიკურ ვითარებასაც, რაც ოქროს ურდოს ყაენის, თოხთამიშის ირანის აზერბაიჯანში შეჭრის შედეგად შეიქმნა¹, მაშინ საკვებით დასაშვებად მიმაჩნია, ვივარაუდო, რომ ალინჯის მფლობელთან საქართველოს მეფე ბაგრატ V-ის (1360-1493) ურთიერთობა უფრო ინტენსიური იყო თემურის მიერ ჯალაირების პირველად (1385 წ.) დამარცხების შემდეგ. ხოლო როდესაც თემურის აზერბაიჯანში მეორედ შეჭრის შემდეგ მისი აგრესიის საშიშროება ქართველებისა და ჯალაიერებისათვის ცხადი შეიქმნა, არ არის გამორიცხული, რომ ისინი შეთანხმდნენ ერთიანი ძალით მოეხდინათ ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის (იგი საქართველოსაკენ მომავალ საქარავნო გზაზე მდებარეობდა) – ალინჯის დაცვა.

თემურლენგს ალინჯა პირდაპირი იერიშით რომ ვერ აუღია, ლაშქრის ნაწილი მის მოალყედ დაუტოვია, ხოლო დანარჩენი სომხეთისა და საქართველოსკენ დაუძრავს². როგორც ცნობილია, თემური საქართველოში პირველად 1386 წელს შემოიჭრა. მასმასაღამე, ალინჯის ალყაში მოქცევაც ამავე წელს უნდა მომხდარიყო, რასაც მ. ბროსეს მიერ მითითებული 15 წელი მართლაც ემთხვევა (1401-1386=15).

სპარსული წყაროების მიხედვით, თემურლენგმა ალინჯის ციხეს მრავალრიცხოვანი მოალყეები დაუყენა. ალყა მრავალი წელი გაგრძელდა.

ვფიქრობ, ცხადია, რომ ქართველები ალინჯასთან უფრო დიდი ხნის წინათ დაკავშირებულნი იყვნენ, ვიდრე დღეისათვის ცნობილია. როდესაც ბატონიშვილმა მირანშაჰმა ალინჯის ციხეს მალაღი კედელი შემოავლო და ციხეში ველარც ვერავინ შედიოდა და ვერც გამოდიოდა, გიორგი მეფემ განიზრახა ბატონიშვილი თაჰერი

1 იხ. ივ ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 281, 409.

2 История Азербайджана, I, с. 284, 287-289.

1 Hammer J., *Geschichte des Osmanischen Reiches*, I, 1300-1520, Pest, 1834, S. 219.

2 აღმოსავლელი ავტორების გავლენით, მ. ბროსე 1387 წელს მიიჩნევს თემურის მიერ აზერბაიჯანის დაპყრობის დროდ, რაც სინამდვილეში 1386 წელს მოხდა. Brosset M., *Histoire de la Géorgie, de plus l'antiquité jusqu' au XIX^e siècle. I partie, II livraison, St.-Peterbourg, 1850, p. 666*, შენ. 3.

3 Brosset M., *Op. cit.*, p. 667-668, შენ. 3.

4 Minorsky, *Op. cit.*, p. 43.

ციხიდან გამოეყვანა და მეციხოვნეები სურსათ-სანოვაგით მოემარაგებინა¹. ამ საკმარის რთული ამოცანის გადასაწყვეტად მეფე გიორგიმ მთელი საქართველოს სამხედრო ძალის მობილიზება მოახდინა და ჩრდილო კავკასიიდან მთიელებიც გადმოიყვანა². მეფე გიორგის ჯარმა იმარჯვა და ალინჯის ციხიდან თაჰერი გამოიყვანა, მეციხოვნეებს სურსათი და იარაღი დაუტოვა, გარნიზონი გააძლიერა და მისი მეთაურობა სამ ქართველ აზნაურს ჩააბარა, არეზისპირეთი მოარბია და დიდი ნადავლითა და თაჰერით დაბრუნდა. სარწმუნოდ მეჩვენება დ. ნინიძის მოსაზრება, რომ ქართველების ეს გამარჯვება 1396 წელს მოხდა, რის აღსანიშნავად ამავე წელს მოიჭრა გიორგი მეფისა და აჰმად ჯალაიერის სახელზე მონეტა³. „ჯალაიერებთან მოკავშირეობას, ერთი შეხედვით, საქართველოსათვის თითქოს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ გიორგი მეფე შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო და მომავალზე ფიქრობდა. მომავალში კი თაჰერი საუკეთესო კანდიდატი იქნებოდა ჯალაირთა სამეფო ტახტზე, რომლის მოკავშირეობა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა საქართველოს თემურის მემკვიდრეებთან ომში“⁴. სხვათაშორის ალინჯის ძლიერ შეჭირვებულმა დამცველებმა კიდევ სთხოვეს გიორგი მეფეს დახმარება. მას თხოვნის დაკმაყოფილება განუზრახავს კიდევ, მაგრამ თემურის ჯარი საქართველოს მოადგა და, რა თქმა უნდა, განზრახვაზე ხელი აიღო. ალინჯა დაეცა 1401 წელს.

თემურის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს საგარეო ურთიერთობის შესახებ რამდენიმე ცნობარუი გონსაღეს დე კლავიზომ დაგვიტოვა. იგი თავის დღიურებში საქართველოსა და მის მეფეს პირველად მაშინ ახსენებს, როდესაც მოგვითხრობს მდ. არაქსზე მდებარე დიდი ქალაქის კალმარინის შესახებ. როგორც ვარაუდობენ, ეს უნდა იყოს ქალაქი სურმარი⁵.

1 ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 99.

2 ქართლის ცხოვრება IV, გვ. 270.

3 ქართული დიპლომატია, II, თბ., 1998, გვ. 531.

4 ტაბატაძე კ., დასახ. ნაშრ., გვ. 101.

5 Рюи Гонзалес де Клавихо. Дневник путешествия ко двору Тимура в Са-

ამ ქალაქის მიდამოების აღწერის შემდეგ კლავიზო მოგვითხრობს, რომ ეს ქალაქი მის მისვლამდე რვა წლით ადრე ოქროს ურდოს ყაენს თოხთამიშს აუღია. კლავიზოს ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გაუგია, რომ თოხთამიშმა ბრძოლით ქალაქს ვერ სძლია, მაგრამ მოსახლეობამ მას მაინც შესთვალა წლიური ხარკის გადახდა. თოხთამიშმა ამ წინადადებით თითქოს კმაყოფილი დარჩა და დამატებით ქალაქის დამცველი ჯარის ნახევარი მოითხოვა, რათა საქართველოში მეფე სორსოს (Reysorso) წინააღმდეგ გაელაშქრა¹.

თოხთამიშს საქართველოს დალაშქრვა, შეიძლება, მართლაც განზრახული ჰქონდა, მაგრამ თუ ამის განხორციელებაში მას რაიმემ ხელი შეუშალა, ეს თემურლენგის მის წინააღმდეგ წამოსვლა და დადევნება უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, თოხთამიშმა თემურლენგთან შეჯახების შიშით უკან, ულუსში გაბრუნდა². მაგრამ, სინამდვილეში, საქმე გვაქვს სულ სხვა ვითარებასთან.

ესეობდა რა თოხთამიშის ირანის აზერბაიჯანში 1385 წლის ლაშქრობას, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ოქროს ურდოს მბრძანებელი კავკასიონის გადმოსასვლელებს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე ვერ გადმოლახავდა და, მაშასადამე, საქართველო და ოქროს ურდო მოკავშირეები იქნებოდნენ. თემურლენგის კავკასიაში შემოჭრის უმთავრესი მიზეზი გადმოსასვლელების ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო³. სავსებით სწორია ივ. ჯავახიშვილის

марканд в 1403-1406 гг. Подлинный текст с переводом и примечаниями, составленный под редакцией И. И. Срезневского, СПб., 1881, с. 399; Путешествие Ивана Шильберга, с. 48.

1 რუი გონსაღეს დე კლავიზო, გვ. 34. ვფიქრობ, საქართველოსთან დაკავშირებული სახელების დამახინჯება გამოცემლის მიერ ხელნაწერის მცდარად ამოკითხვის შედეგია. ამიტომ ვხედავთ ქართველთა მეფის, საქართველოს და ქართველების სახელთა შემდეგ ფორმებს: გიორგი VII – სორსო-სოროსო-სორდო-გორგო, საქართველო – ჯურგანია-გურგანია, ქართველები – გრეიგანოს.

2 Греков Б., Якубовский А., Золотая Орда и ее падение, М.-Л., 1950, с. 333.

3 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 409-410. ი. სრუხნევსკის სამართლიანი შენიშვნით კლავიზოს მიერ გადმოცემული ამბავი რვა წლის წინათ კი არა, 18 წლის წინათ, ე.ი. 1386 წელს მოხდა (Рюи Гонзалес де Клавихо, с. 413). ამ წელს

ნათქვამი, ჩემი მხრივ მხოლოდ იმას დავამატებ, რომ საქართველოსა და ოქროს ურდოს კავშირი თემურლენგის მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდა, რაზეც ქვემოთ ითქმევა.

როდესაც კლავიზო, ყარაბღის ველზე დაბანაკებული ომარ მირზას ლაშქარში მომხდარ არეულობაზე მოგვითხრობს, რაც ერთ-ერთი დიდებული ომარ მირზაზე თავდასხმის მცდელობას გამოუწვევია, ამბობს: „... ურდოში ხმა გავარდა, ამბობდნენ, ედიგეი (**hedigui**) და თათრეთის იმპერატორი (**emperador de tartalia**) და მეფე გიორგი (**Rey Soroso**) თავს დაგვესხნენო“¹. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თურქმანებში, გიორგი VII ცნობილი იყო, როგორც ედიგეის² მოკავშირე.

თუ საქართველო-ოქროს ურდოს მოკავშირეობას გავიზიარებთ, მაშინ თოხთამიშის მუქარა საქართველოს მიმართ ქალაქის დამცველთა მოსატყუებელ ფანდად უნდა მივიჩნიოთ.

თოხთამიშის მიერ კალმარუნის ალყა, როგორც კლავიზო გადმოგვცემს, ადგილობრივი მოსახლეობისაგან გავონილი ჰქონდა და ამიტომ ძნელია დადგენა, რას გულისხმობდა იგი, როცა ამბობდა – ეს ამბავი რვა წლის წინათ მოხდაო. კლავიზო კალმარინს 1404 წლის 29 მაისს მიადგა. მის მიერ მოთხრობილი ამბავი თუ 8 წლის წინათ მოხდა, მაშინ 1396 წელი უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, მას თოხთამიშის 1394 წელს აზერბაიჯანში მეორე ლაშქრობა ჰქონდა მხედველობაში. მართალია, არც ეს წელი ემთხვევა ზუსტად მის ნავარაუდევ წელს, მაგრამ შედარებით ახლოს კი არის. ეს მეორე ლაშქრობა რომ ჰქონდა მხედველობაში, კლავიზო ამიტომ უნდა ასახელებდეს საქართველოს მეფედ გიორგი VII-ს (1393-1407).

როდესაც კლავიზო სხვა ადგილას თხრობას იწყებს საქართველოს მეფის მიერ მოწყობილი ლაშქრობის შესახებ, ზედმეტადაც

კი მიიჩნია მეფის სახელის (**Sorso**) ხსენება, რადგან იგი მკითხველისათვის უკვე ნაცნობად მიიჩნია და აღნიშნა: „ამ დროს წამოვიდა საქართველოს (**Rey de gurgania**) ის მეფე, რომლის შესახებ უკვე მოისმინეთ“¹. როგორც ის შემდეგ ამბობს, მუსლიმანებში დიდი შიში და დაბნეულობა განსაკუთრებით იმას გამოუწვევია, რომ ქრისტიანებს მაჰმადიანებზე გაუმარჯვიათ. კლავიზო იქვე იძლევა იმის განმარტებას, თუ რად უწოდებენ მუსლიმანები ქრისტიანებს ურჯულოებს (**cafars**) და რა იგულისხმება ამ სახელწოდებაში. იმ დროისათვის, როგორც ცნობილია, არც ამიერკავკასიაში და არც მის მეზობლად სხვა ქრისტიანი მეფე, რომელსაც **Sorso** ანუ გიორგი ერქვა და თანაც ქრისტიანი იყო, სხვა არავინ იყო, თუ არა მეფე გიორგი VII.

კლავიზომ თავის მოგზაურობა დღიურების სახით აღწერა. უნდა აღინიშნოს, რომ დღიურები ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია ესპანეთიდან სამარყანდისაკენ მოგზაურობის პერიოდში, ხოლო უკან, სამარყანდიდან ესპანეთში დაბრუნებისას, მათში გადმოცემულია მხოლოდ ის მნიშვნელოვანი ამბები, რაც იმ დროისათვის მოხდა.

კლავიზოსა და მის თანამგზავრებს თემურლენგის გარდაცვალების ამბავმა აზერბაიჯანში მიუსწრო. ამ ცნობამ დიდი მღელვარება გამოიწვია, რის გამო კასტილიელებს, თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ, 6 თვე და 3 კვირა (1405 წლის 1 თებერვლიდან 22 აგვისტომდე) თავრიზში დარჩენა მოუხდათ.

კლავიზოს თავრიზულ ჩანაწერებში არის საქართველოს მეფე გიორგი VII-ის შესახებ ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც ნათელს ჰფენს ამ დაუღალავი და შეუპოვარი მეფის მოღვაწეობის ერთ ეპიზოდს

კლავიზო მოგვითხრობს, რომ „საქართველოს მეფე (**Rey de gurgania**), რომლის შესახებ უკვე მოისმინეთ, შეიჭრა ყარსისა (**avenique**) და არზრუმის (**azeron**) მიწებზე, რომლებიც დიდ სომხეთშია (**armenia la mayor**), მივიდა თავრიზამდე, გაძარცვა და გადაწვა მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი. ისეთი

¹ რუი გონსალეს დე კლავიზო, გვ. 36.

თოხთამიში პირველად შეიჭრა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

¹ რუი გონსალეს დე კლავიზო, გვ. 35.

² ედიგეი, თეთრბატკნიანთა ამირა, პირველ ხანებში თემურს თოხთამიშის წინააღმდეგ ეხმარებოდა. თოხთამიშის განადგურების შემდეგ (1391 წ.) თემურს უღალატა. 1397 წლიდან ოქროს ურდოს მბრძანებელი გახდა და თემურის დაუბინებელ მტრად გადაიტყა. Греков Б., Якубовский А., Золотая Орда и ее падение, с. 333.

დიდი შიში გამოიწვია, რომ თავრიზელი მუსლიმანები (**moros**) ფიქრობდნენ, რომ ბატონი [ომარ მირზა] მოვიდოდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. სამაგიეროდ თავის ცნობილ ძველ რაინდს, რომელსაც ომარ თობანი (**homar toban**) ერქვა, უბრძანა ხუთი ათასი მხედრით წასულიყო და საქართველოს მეფე ამ მხარის საზღვრებიდან განედევნა. მასთან შეერთება უბრძანა თავრიზისა და სხვა მხარეების ერთგულ ჯარებს. სულ შეიკრიბა დაახლოებით, თხუთმეტი ათასი მხედარი. მათ დიდი სისწრაფით გაიარეს ეს ქალაქი თავრიზი და გაჩერდნენ ალა-თადის (**alacao**) ველთან, რომელიც დიდ სომხეთშია. მეფე გიორგიმ (**soroso**), გაიგო რა ამის შესახებ, მოვიდა ხუთი ათასი მხედრით, ერთ ღამეს თავს დაესხა მათ, დაამარცხა, მრავალი მათგანი ამოწყვიტა და იმათ, ვინც გადარჩნენ, თავი შეაფარეს თავრიზს¹.

კლავიზოს დღიურები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართველი მეფის მიერ თავრიზის მიდამოების დალაშქრა მოხდა 1405 წლის 19 მაისიდან 11 ივლისამდე პერიოდში². საქართველოს მხედრობის მიერ მსგავსი სამხედრო ოპერაციის შესახებ არც ერთი ქართული ცნობა არ გავაჩნია, მაგრამ კლავიზოს მონათხრობს ერთგვარად ეხმაურება XV საუკუნის სპარსულენოვანი ისტორიკოსი მირზონდი (1433-1498), რომელიც გვამცნობს: „მოვიდა ცნობა, რომ ქართველებმა სიმამაცის ფეხი საზღვარს გადმოაბიჯეს, თავს დაესხნენ განჯასა და ნახჭევანს და ხალხის ქონება და სისხლი ხელყვეს. ბასთან ჯაგირმა, არდებილის გამოჩენილმა მბრძანებელმა და მოხელეებმა აჯანყების გამო სასწრაფოდ შეაფარეს თავი შირვანის შეიხ იბრაჰიმ ვალისთან... ომარ მირზამ ბრძანა, რომ ომარ თობანი, ბარლას თუქალი და სხვა მხედართმთავრები მალზულანგურჯად წოდებული ადგილის დასაცავად წასულიყვნენ...“³

1 რუი გონსალეს დე კლავიზო, გვ. 36-37.

2 19 მაისს ომარ მირზამ კასტილიელებს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ბოლიშს იხდოდა მისივე ბრძანებით თავრიზის ხელისუფალთა მიერ ელჩობისათვის ქონების ჩამორთმევის გამო. **Clavijo, p. 234**; ხოლო 11 ივლისს ომარ მირზამ თავისი ძმის, აბუბეჟრის ციხიდან გაქცევის ამბავი გაიგო.

3 მირზონდი, თარიღე როუბათ ას-საფა, VI, თეირანი, 1923, გვ. 511. იხ. აგრეთვე, რ. კიკნაძე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის

ქართველების ლაშქარმა ომარ თობანი და მისი ამირები დაამარცხა და მარანდამდე სდია“⁴.

რ. კიკნაძის აზრით, მირზონდის მიერ აღწერილი ამბავი 1405 წლის ზაფხულში მოხდა². ამგვარად კლავიზოს და მირზონდის ცნობა დროის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა (კლავიზოსთან 1405 წ. 19 მაისიდან 11 ივლისამდე, მირზონდთან 1405 წ. ზაფხული), მაგრამ მგონია, მირზონდის ცნობის კიდევ უფრო დაზუსტება შეიძლება. თუ ამ ორი ავტორის მონათხრობს ჩავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ლაპარაკია ორ სხვადასხვა ლაშქრობაზე, რომლებიც გიორგი VII-მ თემურის სიკვდილის შემდეგ მოაწყო. ამის თქმის საფუძველს პირველ რიგში გვაძლევს აღწერილი ლაშქრობების სხვადასხვა მიმართულება; რაც შეეხება ომარ თობანს, რომელსაც ორივე ავტორი მთავარსარდლად ასახელებს, შეიძლება ითქვას შემდეგი: ომარ თობანი თემურის მომხრეთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფში იყო, რომელმაც ხელი შეუწყო მის აღზევებას. იგი თემურს ემსახურებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მისი თანამებრძოლიც იყო. იგი უშუალოდ მონაწილეობდა თემურის სხვადასხვა ლაშქრობაში, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის შთამომავალთა სამსახურში დარჩა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გიორგი VII-ის წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქრის მეთაურად, თუნდაც ორჯერ, ომარ თობანი ყოფილიყო. არც ის არის გასაკვირი და სრულიად დასაშვებია, რომ ორივე წყაროში ნათქვამია მის დაამარცხებაზე.

ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ, თუმცა ნაკლებმნიშვნელოვან გარემოებას, მაგრამ მაინც: კლავიზო ჯარის სარდლად მხოლოდ ომარ თობანს ასახელებს, მირზონდი კი ამბობს: ომარ მირზამ „ომარ თობანი, ბარლას თუქალი და სხვა მხედართმთავრები“ გაგზავნაო. დასახელებულ მეთაურებს, რომ კლავიზოს მიერ აღწერილ ლაშქრობაში მონაწილეობა ერთად მიეღოთ, მაშინ ისიც ორივეს დაასახელებდა, რადგან იგი მირზონდზე ნაკლებად კი არა,

ისტორიიდან. თსუ შრომები, 108, 1964, გვ. 378-379.

1 მირზონდი, VI, გვ. 513.

2 კიკნაძე რ., დასახ. ნაშრ., გვ. 378.

შეიძლება უკეთაც იცნობდა მაშინდელი ირანის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას, თუნდაც იმიტომ, რომ კლავიზო უშუალოდ ამკვირვებელი იყო, მირზონდი კი წინამორბედთა ცნობებს ემყარებოდა.

ჩემი აზრით, ხსენებულ ორ ცნობაში ორ სხვადასხვა დროს მოწყობილ ლაშქრობას თუ ვიგულისხმებთ, მაშინ პირველ მომხდარ ფაქტად კლავიზოს მონათხრობი უნდა ჩაითვალოს. ცნობა ქართველების ლაშქრობის შესახებ კლავიზოს ჩართული აქვს ომარ მირზას მამისა და ძმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ინტრიგების შესახებ საკმაოდ დეტალურ მოთხრობაში.

უპირატესობა კლავიზოს ცნობას იმიტომ უნდა მიენიჭოს, რომ იგი თავის დღიურებში არ ახსენებს აჰმად ჯელაირსა და ყარა-იუსუფს, რომლებიც ერთად მოქმედებდნენ. კლავიზო, რომელიც მისი დროის ირანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური ამბებისა და მათში მოქმედი მთავარი მოქმედი პირების შესახებ შესაშურ ცოდნას ამჟღავნებს, არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა აჰმად ჯელაირისა და ყარა-იუსუფის საქმიანობა. ამიტომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კასტილიელის თავრიზში ყოფნისას ისინი ასპარეზზე ჯერ არ ჩანდნენ. სომეხი ისტორიკოსი თომა მეწობელი აღნიშნავს, რომ ყარა-იუსუფი სომხეთსა და აზერბაიჯანში 1395 წლიდან 1406 წლამდე არ გამოჩენილა¹.

ამ საინტერესო საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება მირზონდი, რომელიც ქართველთა ლაშქრობას, აჰმედ ჯელაირის ეგვიპტიდან წამოსვლას და მის მიერ ბაღდადის აღებას ერთდროულად გადმოგვცემს. იგი წერს: „ცნობა მოვიდა, რომ სულთანმა აჰმედის მისრეთიდან (ეგვიპტე – ე.მ.) დაბრუნდა და ბაღდადი დაიპყრო... ომარ მირზამ ბრძანა, რომ ომარ თობანი, ბარკას თუქალი და სხვა მხედართმთავრები მალხულანგურჯად წოდებული ადგილის დასა-

ცავად წასულიყვნენ. ამირ სუნჯაკი კი ურიცხვი ჯარის ერთი ნაწილით ბაღდადში გაგზავნა, რათა ის ვილაიეთი სულთნისათვის წაერთმია“¹.

ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ მირზონდის მიერ აღწერილი ეპიზოდი – ქართველების ლაშქრობა და ყარა-იუსუფისა და აჰმედ ჯელაირის მიერ ბაღდადის აღება – მოხდა 1406 წლის ივნისში, კლავიზო, რომელიც 1406 წლის მარტში უკვე კასტილიაში იმყოფებოდა, რა თქმა უნდა, თავის დღიურებში ვეღარ შეიტანდა ისეთ რამეს, რომელიც აზერბაიჯანსა და სომხეთში მისი კასტილიაში დაბრუნების შემდეგ მოხდა.

ვფიქრობ, ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კლავიზო და მირზონდი მეფე გიორგი VII-ის მიერ თურქმანების წინააღმდეგ მოწყობილ ორ სხვადასხვა ლაშქრობაზე გადმოგვცემენ ან მირზონდმა ერთმანეთში აურია სხვადასხვა დროს მომხდარი ამბები.

რადგან კლავიზოს გადმოცემა სხვა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, ამიტომ ი. სრეზნევსკი გიორგი VII-ის მეთაურობით მოწყობილ ლაშქრობას საეჭვოდ მიიჩნევდა და ვარაუდს გამოსთქვამდა, კლავიზომ გიორგის ხომ არ მიაწერა თურქმენ ყარა-იუსუფის ნამოქმედარი². როგორც დავრწმუნდებით, ი. სრეზნევსკის მიერ გამოთქმული ეჭვი ნაჩქარევი იყო. რას ეყრდნობოდა იგი, როცა ამბობდა, რომ ასეთ ლაშქრობა ყარა-იუსუფმა მოაწყო?

ყარა-იუსუფი ცნობილია, როგორც თემურლენგის ერთ-ერთი შეუპოვარი მოწინააღმდეგე. იგი იყო შავბატკნიანთა (ყარა-ყონლუ) გაერთიანებული ტომების ამირა, წარმოშობით ბაჰარლუს ტომიდან. მან, აჰმედ ჯელაირთან ერთად, თემურისაგან დევნილმა, ჯერ ოსმალეთის სულთან ბაიაზიდ I-ს შეაფარა თავი³, ხოლო

1 მირზონდი, გვ. 511.

2 Рюн Гонзалес де Клавихо, с. 411.

3 საყურადღებოა, რომ ფარსადან გორგიჯანიძე თავის „ისტორიაში“ თემურსა და ბაიაზიდს შორის ომის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად ამ უკანასკნელის მიერ აჰმედის შეფარებასა და მისი თემურისათვის გადაუცემლობას ასახელებს. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, ნაკვ. II, 1925, გვ.

1 Фома Мецопский, История Тимура-Ленга и его преемников, Баку, 1957, с. 64. ლ. მელიქსეთ-ბეგს თომა მეწობელის თხზულების ქართულ თარგმანში ეს ადგილი გამოტოვებული აქვს. თომა მეწობელი. თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბ., 1937.

თემურის მიერ ბაიაზიდის დამარცხების შემდეგ, ეგვიპტეში გაიქცა. თემურის მოთხოვნით, ეგვიპტის სულთანმა ფარაჯმა იგი შეიპყრო, რამდენიმე ხანს ტყვეობაში ჰყავდა და თემურისათვის გადაცემას აპირებდა კიდევ, მაგრამ თემურის სიკვდილმა იხსნა. სულთანმა ყარა-იუსუფი გაათავისუფლა და თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცა. ყარა-იუსუფმა შეაგროვა ათასი მხედარი და აზერბაიჯანისაკენ წავიდა¹.

თემურლენგი გარდაიცვალა 1405 წლის 18 თებერვალს ქ. ოტარარაში, ხოლო ზემოაღნიშნული ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 1405 წლის 19 მაისსა და 11 ივლისს შორის. ამ დროისათვის კი ყარა-იუსუფი კლავიხოს მიერ დასახელებულ ადგილამდე ვერ მივიდოდა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ ცნობა თემურლენგის სიკვდილის შესახებ შუა აზიიდან ეგვიპტემდე დაიგვიანებდა და, მეორეც, ყარა-იუსუფისათვის საჭირო იქნებოდა გარკვეული დრო ჯარის შესაკრებად. მაშინ ყოველივე ამის გაკეთება დროის მცირე მონაკვეთში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო².

ი. პეტრუშევიკის მიხედვით, სირიიდან წამოსულმა „აჰმედმა და ყარა-იუსუფმა 1406 წლის ივნისში აიღეს ბაღდადი და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიძრნენ სამხრეთ აზერბაიჯანისაკენ. 1406 წლის ივლისის დასასრულს ორივე მოკავშირე თავრიზს მიუახლოვდა“³.

ამგვარად ქართველთა ლაშქრობა შედგა 1405 წლის ზაფხულში, ხოლო აჰმედ ჯალაირისა და ყარა-იუსუფისა კი 1406 წლის ზაფხულში.

ცნობილია, როგორ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ქართველი ხალხი გიორგი VII-ის მეთაურობით დამპყრობთა წინააღმდეგ ჯერ კიდევ თემურლენგის სიცოცხლეში.

1403 წელს მეფე გიორგისა და თემურლენგს შორის დადებული ზავით, საქართველო თურქმანების ვასალურ მდგომარეობაში

რჩებოდა. ზავის დადების შემდეგ თემურს საქართველო აღარ დაულაშქრავს, იგი ჩინეთის დასაპყრობად წავიდა. გიორგი მეფეს საშუალება მიეცა ქვეყანაში მშვიდობა დაემყარებინა, ძალები მოეკრიბა და თვალყური ედევნებინა ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებისათვის. როგორც ჩანს მეფე გიორგიმ ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა და ქვეყნის მტრისაგან გაწმენდას და ერთიანობის აღდგენას შეუდგა.

თემურის სიკვდილის შემდეგ იმპერიაში დაწყებულ გამათავისუფლებელ მოძრაობას მის მემკვიდრეებს შორის პირველობისათვის ბრძოლა დაერთო, რამაც გიორგი მეფეს აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. მან გაითვალისწინა აზერბაიჯანში დაწყებული სახალხო მოძრაობის მნიშვნელობა საქართველოსათვის და მაშინვე, 1405 დასაწყისში, მოძრაობის მეთაურს შირვანშაჰ იბრაჰიმს¹ დაუკავშირდა. ქართველმა მეფემ იბრაჰიმთან კავშირი იმითიც განამტკიცა, რომ მას გადასცა ცოტა ხნის წინ დაპყრობილი განჯა და ნახჭევანი².

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მეფეს სწორად შეუფასებია ომარ თობანის მორჩილებაში არსებულ ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება. ომარ მირზამ ყარაბაღში გაიგო თავისი პაპის სიკვდილი. მან განიზრახა დაწყებული არეულობით ესარგებლა და თავისი მამის – მირან-შაჰის და უფროსი ძმის – აბუბექრის დევნა დაიწყო. მან ძმა დაატყვევა და სულთანის საპყრობილეში ჩააგდო, მამა კი ვერ მოიხელთა³. მირან-შაჰის თავისუფლება ომარის მდგომარეობას არყვედა. ამით იყო გამოწვეული, რომ მან მონაწილეობა არ მიიღო მის სამფლობელოებში შეჭრილი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში. იმის ფიქრიც შეიძლება, რომ იგი ქართველთა თავდასხმას შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე საკუთარი მამის დატყვევებას.

1 Петрушевский И. П., Ук. труд, с. 154; Али – заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв., Баку, 1965, с. 394.

2 კიკნაძე რ., დასახ. ნაშრ., გვ. 379.

3 Clavijo, p. 232-233.

1 Enzyklopaedie des Islam, II, Leipzig, 1927, S. 793.

2 Петрушевский И. П., Государство Азербайджана в XV веке. «Сборник статей по истории Азербайджана», вып. I, Баку, 1949, с. 156.

3 Там же, с. 157.

აღწერილი ვითარება საშუალებას აძლევდა მეფე გიორგის მცირე ჯარით შეჭრილიყო განდგომილი ივანე ათაბაგის სამფლობელოში, დაემორჩილებინა იგი და ლაშქრობა გაეგრძელებინა მეზობელ ტერიტორიებზე, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის საქართველოს არც სამხრეთით მოსაზღვრე ოლქებში და არც თვრიზის მიდამოებში თურქმანებს სერიოზული სამხედრო ძალა არ ჰყავდათ.

მანც, ლაშქრობის მთავარი მიზანი საათაბაგოს შემომტკიცება უნდა ყოფილიყო და აი რატომ: მესხეთის მფლობელი ივანე ათაბაგი მეფე გიორგის გადაუდგა 1402 წელს და კონსტანტინე ბატონიშვილთან, მეფის ძმასთან, ერთად თემურლენგს მიემხრო¹. თემურის საქართველოში ბოლო ლაშქრობის დროს ისინი მტრის მხარეს იყვნენ². საქართველოს სამხრეთი საზღვრისა და ქვეყნის გულისაკენ მიმავალი გზის დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის შემდგომი მოქმედებისათვის. გიორგის შემდგომ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს ყარსისა და ნახჭევანის აღება, რასაც მირხონდი გადმოგვცემს.

გიორგი VII-ის საქართველოს პოლიტიკური გაძლიერებისათვის ბრძოლის მიუხედავად, თემურის ლაშქრობებმა ქვეყანას ისეთი დიდი დასვა, რომ მისი გამოსწორება შეუძლებელი იყო. საქართველოს სახელმწიფოს სამფლობელოები ტერიტორიულად შემცირდა. ოდესღაც მეგობრული თუ ყმადნაფიცო მეზობლების ადგილას საქართველოსადმი მტრულად განწყობილი თემურიდები გაბატონდნენ.

თემურიდების განდევნიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ საქართველოს ახალი მტერი გამოუჩნდა ყარა-ყოიუნლუს (შავბატკინთა) თურქმანების სახით. მათთან ბრძოლაში დაიღუპნენ მეფეები – გიორგი VII (1407 წ.) და კონსტანტინე (1412 წ.).

1 ჯავახიშვილი ივ., დასავ. ნაშრ., გვ. 419.

2 კაციტაძე დ., „ისკანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ. თსუ შრომები, 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1966, გვ. 383; ნინიძე დ., საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დამდეგს. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1998, გვ. 538-541.

2. მპროკული ანტიოსმალური დიპლომატია და საქართველო (XV ს. 50-60-იანი წლების მიჯნა)

ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ და ბიზანტიის იმპერიის მოსპობამ მთელი ქრისტიანული სამყარო საგონებელში ჩააგდო. ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა თვალნათლივ დაინახეს, როგორი დიდი საშიშროება ემუქრებოდა მათ არსებობასაც. ამიტომ იყო, რომ კონსტანტინოპოლიდან ადრიანოპოლში დაბრუნებულ მეჰმედ II-ს მეზობელი ქვეყნების ელჩები ძვირფასი საჩუქრებით ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს. ეს იყო საშინელი ძალის წინაშე ნებაყოფლობით ქედის მოხრა. მაგრამ ოსმალეთის ამ მეზობლების წარმომადგენლებს შორის არ იმყოფებოდნენ ტრაპიზონისა და საქართველოს წარგზავნილები.

კონსტანტინოპოლის დაცემამ განსაკუთრებული საზრუნავი ევროპის ქვეყნების განვითარების გზაზე დამდგარ მრეწველობას და ვაჭრობას გაუჩინა. ამიტომ იყო, რომ მცირე აზიასა და ბალკანეთში ოსმალების გაბატონებით ყველაზე მეტად ის სახელმწიფოები შეწუხდა, რომელთა ეკონომიკური ინტერესებიც ილახებოდა. დაპყრობილი ტერიტორიებიდან ოსმალების განდევნა გადაუდებელ ამოცანად იქცა, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე, მაშინ არც ერთ ქვეყანას არ შეეძლო. საჭირო იყო სხვადასხვა სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების გაერთიანება და მათი დაპირისპირება სულ უფრო მზარდი ოსმალეთისათვის.

ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის დაწყების იდეა, ისევე როგორც წინათ, ახლაც რომის პაპს ეკუთვნოდა. სიენას ეპისკოპოსი ენეას სილვიუს პიკოლომინი (შემდეგში პაპი პიუს II, 1458-1464), 1454 წელს თავის ერთ-ერთ წერილში, რომლის ადრესატი ცნობილი უნგრელი ჰუმანისტი, ეპისკოპოსი ჯოვანი (იანოშ) ვიტეზი იყო, იმედს გამოსთქვამდა, რომ ჩამოყალიბდებოდა ანტიოსმალური კოალიცია, რომელშიც უნგრეთთან, გერმანიასთან და რუსეთთან ერთად შევიდოდნენ პაპი, ვენეციის რესპუბ-

ლიკა, ტრაპიზონის იმპერატორი და ქართველთა მეფე¹. პაპმა ნიკოლოზ V-მ ევროპის მეფე-მთავრებს მოუწოდა, გაერთიანებული ძალით ებრძოლათ მეჰმედ II-ის (1444-1446, 1451-1481) წინააღმდეგ. მაგრამ ამ მოწოდებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო ცდილობდა, ცალკე, სხვებისაგან დამოუკიდებლად, მოეგვარებინა ოსმალეთთან თავისი ურთიერთობა. ასე მოიქცა, მაგალითად, ვენეციის რესპუბლიკა, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აღმოსავლეთთან ვაჭრობით.

ევროპის ძალების გათიშვის მიზნით, მეჰმედ II, ცდილობდა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსთან მაინც ჰქონოდა მშვიდობიანი ურთიერთობა. მართლაც, შესთავაზეს თუ არა ვენეციელებმა მას ხელშეკრულების დადება, მაშინვე დათანხმდა და 1455 წლის 18 აპრილს შეთანხმება გაფორმდა, რომლის ძალით, ვენეციელებს ოსმალების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ვაჭრობის უფლება ეძლეოდათ.

ვენეციელებს ესმოდათ, რომ მეჰმედ II დროს მოგებას ცდილობდა და ხელშეკრულებას პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დაარღვევდა. ამიტომ ისინი არც ოსმალების მოწინააღმდეგეებთან წყვეტდნენ კავშირს. მომდევნო წელს ვენეციას უკვე ვხედავთ იტალიის სახელმწიფოების ლიგაში. ლიგის შექმნის ინიციატორი იყო პაპი ნიკოლოზ V. მაგრამ ლიგა პაპის გარდაცვალებისთანავე დაიშალა. ახლად არჩეულმა პაპმა კალიქსტუს III-მ მთელი ყურადღება ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს მიაპყრო² და მაშინვე ცოტა ხნის წინათ დაშლილი ანტიოსმალური ლიგის აღდგენას შეუდგა. იგი ამითიც არ დაკმაყოფილდა და ოსმალეთის მოწინააღმდეგე არაქრისტიანულ ქვეყნებშიც ელჩები დააგზავნა.

1456 წ. კალიქსტუს III-მ ცნობილი დიპლომატი, ფრანცისკანელთა ორდენის წევრი, ლუდოვიკო ბოლონიელი აღმოსავლეთში

გაგზავნა¹. ლუდოვიკოს დაევალა ტრაპიზონის, საქართველოს, სომხეთისა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს შესწავლა და აზრის შესწავლა. პაპს აინტერესებდა, როგორ პოზიციას დაიკავებდნენ ისინი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაერთიანებული ძალებით ოსმალეთთან ომის შემთხვევაში.

ევროპაში, განსაკუთრებით კი პაპის კურიაში, ცნობილი იყო, რომ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არსებობდნენ ისეთი ქრისტიანული სახელმწიფოები, რომლებიც ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად ხელში იარაღს აიღებდნენ².

ლუდოვიკო ბოლონიელი მაშინვე შეუდგა მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილის მქონე, მაგრამ ერთიან საბრძოლო გეგმას მოკლებული, სამეფო-სამთავროების დარაზმვას. იმავე 1456 წელს იგი საქართველოში მოვიდა და ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის შესახებ იქადაგა³. ლუდოვიკოს საქართველოში ანტიოსმალური განწყობა დახვდა.

1 ლუდოვიკოს წინაპრები ბოლონიიდან იყვნენ, წარჩინებული სევერის გვარიდან. 1438 წელს ლუდოვიკოს ოჯახი ფერარაში გადასახლდა და ამის შემდეგ ისინი წარმოშობის ადგილის (ბოლონია) მიხედვით, ბოლონიელებად იწოდებოდნენ. თუმცა ლუდოვიკო, მანამდეც (1431 წლიდან) ცნობილი იყო. ლუდოვიკო ბოლონიელის (**Lodovico da Bologna**. წესით, ქართულადაც ასე უნდა მოვიხსენიებდეთ – ლოდოვიკო და ბოლონია, მაგრამ ქართულში მ, თამარაშვილის მიერ დამკვიდრდა „ლუდოვიკო ბოლონიელი“) სახელით. 1431 წლიდან ლუდოვიკო ფრანცისკანელთა ორდენის კაპიტულის ბერია. 1437 წელს პაპმა ეგენი IV-მ ლუდოვიკო სხვა ორ ბერთან ერთად გააგზავნა აღმოსავლეთში. ცნობილია, რომ ამ მოგზაურობის დროს ლუდოვიკო იმყოფებოდა კავასა და იერუსალიმში. 1454 წელს პაპმა ნიკოლოზ V-მ იერუსალიმში მცხოვრები ლუდოვიკო კათოლიკური რწმუნის პროპაგანდისათვის გააგზავნა ეთიოპიასა და ინდოეთში, საიდანაც ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა. Severi Bargellesi Angolo, Nuovi documenti su fr. Lodovico da Bologna, al secolo Lodovico Severi, Nuncio Apostolico in oriente (1455-1457). Archivio franciscanum historicum, 69, 1976, p. 3-14. ლუდოვიკო ბოლონიელის ბიოგრაფიაზე ვრცლად იხ. პაიჭაძე დ., ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989, გვ. 76-80.

2 Breve relazione delle milizia terestre e marittima che ha in essere Amurat II con le entrate e uscite e ordini del suo imperio nell' anno 1575. In: Alberi E. Relazioni degli Ambasciatori Veneti al Senato. Serie III, v. II, Firenze, 1844, p. 408.

3 Авалов З., Забитая вариация об одной исторической теме (из истории Восточного вопроса XV столетия), Прага, 1925, с. 243.

1 Der Briefwechsel des Eneas Silvius Piccolomini, Hrsg. R. Wolkan, III. Abteil, Bd. I, Wien, 1918, S. 551.

2 Hergenröther J., Abriss der Papstgeschichte, Würzburg, 1879, S. 61; Julien F. Papes et Sultan, Paris, 1879, p. 104.

ლუდოვიკო ბოლონიელს ასეთივე ვითარება დახვდა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც და იგი რომში დიდად კმაყოფილი დაბრუნდა.

ვიდრე აღმოსავლეთის ამბებს შეიტყობდა, პაპმა საკუთარი ხარჯით რამდენიმე გალერა შეაიარაღა და მათი ოსმალების წინააღმდეგ საომრად გაგზავნა სურდა, მაგრამ მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე პაპი ვარაუდობდა. ვენეციელებმა მის მოწოდებას უარით უპასუხეს იმ მიზეზით, რომ ოსმალებთან ურთიერთობის გაუარესება არ სურდათ. მათი აღმოსავლეთთან ვაჭრობა ოსმალების მიერ ჯერჯერობით არ იზღუდებოდა. გენუელები თავიანთი უშუალო მეზობლებისაგან მოსალოდნელი საფრთხის აცილებაზე უფრო ზრუნავდნენ¹.

პაპი გრძნობდა, რომ ევროპის შეიარაღებული ძალების გაერთიანებას ვერ შეძლებდა და იმედის თვალი მთლიანად აღმოსავლეთზე გადაიტანა. მან 1457 წ. სცადა უშუალოდ დაემყარებინა კავშირი აფ-ყოიუნლუს მბრძანებელ უზუნ ჰასანთან², რომლის სახელი ევროპაში უკვე საკმაოდ ცნობილი იყო.

როგორც უკვე ითქვა, ლუდოვიკო ბოლონიელი აღმოსავლეთიდან კმაყოფილი დაბრუნდა და პაპს საქართველოს შესახებაც მრავალი საინტერესო ცნობა მიუტანა. მოხიბლულმა პაპმა ლუდოვიკოს უკან, აღმოსავლეთში დაბრუნება უბრძანა და თან წერილიც გაატანა, რომელითაც პაპი სპარსეთსა და საქართველოში მცხოვრებ ყველა ქრისტიან მორწმუნეს მიმართავს. წერილი დათარიღებულია 1457 წლის 19 დეკემბრით³.

წერილიდან ირკვევა, რომ ლუდოვიკოს პაპისათვის მოუხსენებია: საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ იგი „ბარბაროსთა და ურწმუნოთა სიმრავლით გარემოცულია, მრავლად არიან იქ კათო-

ლიკენი¹ და მისდევნენ ჭეშმარიტებისა და საუკუნო ცხოვრების გზას“².

რომში ფრიად კმაყოფილი დარჩენილან ქართველების იმ სურვილითაც, რომ, პაპს მათთვის საკუთარი პატრიარქის არჩევის უფლება მიუცია. მან ლუდოვიკოს გადასცა წერილი, რომლითაც იგი ქართველებს უწონებდა სურვილს და უფლებას აძლევდა, პატრიარქად აერჩიათ ის პიროვნება, ვისაც თვითონ ინებებდნენ და წარდგენილი კანდიდატურის დამტკიცებასაც ჰპირდებოდა. ამასთანავე პაპი ქართველებს სთხოვდა ლუდოვიკოსათვის აღმოეჩინათ დახმარება, რათა მას პაპის ყველა დავალება ადვილად შეესრულებინა³.

პაპს ცალკე წერილი გაუგზავნა სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე II-მ. იმავე წლის 22 დეკემბერს პაპმა საპასუხო წერილიც ლუდოვიკოს გამოატანა. წერილი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში გამოკვეთილად ჩანს პირველობის პრეტენზიებით შეპყრობილი ათაბაგის ნამდვილი სახე. აქვე ისიც ჩანს, რომ პაპი მზადაა დააკმაყოფილოს ათაბაგის ზოგიერთი მოთხოვნა, მაგრამ ის ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთად უნდა იყოს „საქართველოს მეფესთან და იმ ადგილების სხვა მმართველებსა და ქრისტიან ერებთან მშვიდობის შესახებ. ამ მშვიდობის საშუალებით თქვენ ადვილად შეძლებთ შეუდგეთ ურწმუნო ბარბაროსთა გაწყვეტას, რომლებიც თქვენთან ახლოს ცხოვრობენ. იმავე ნუნციოს (ლუდოვიკო ბოლონიელი – ე.მ.) მონათხრობიდან შევიტყვეთ შენი პირობა გაგრძელდეს ომი ყველა ქრისტიანის მტრის – თურქის წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც ამბობ, ბრძოლის ველზე ყოველთვის ამარცხებდი ხოლმე... ხოლო რაც შეეხება შენთვის ადმირალობის (sic!) ანუ მთავარსარდლობის ბოძებას მთელ სამხედრო ძალებზე, რასაც თქვენი ქვეყნების ქრისტიანები ბარბაროსებზე სალაშქროდ მოაგროვებენ, ჩვენ შენ ამისათვის სრულიად ღირსეულად გთვლით და შენ შეგიძლია მამაშენის მსგავსად მთავარ-

1 Silberschmidt M., Das orientalische Problem zur Zeit der Entstehung des Türkische Reiches nach venezianische Quellen, Leipzig-Berlin, 1923, S. 113.

2 Muratori L. A. Geschichte von Italien von Anfange der christliche Zeit-Rechnung bis auf des Jahre 1500. Aus dem italienischen übersetzt, Theil IX, Leipzig, 1750, S. 377.

3 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 51.

1 ამ ცნობას პაპისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

2 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 50-51

3 იქვე, გვ. 51.

სარდალი იყო. ასე რომ, ჩვენ შენ ამ წოდებას გიწყალობებთ¹. ოლონდაც თქვენს შორის, იქაური ქვეყნების ქრისტიანებს შორის მშვიდობა და თანხმობა იყოს“². წერილში ისიცაა ნათქვამი, რომ პაპმა დასავლეთის ქრისტიანებსაც მოუწოდა თურქებთან საბრძოლველად და სათანადო წერილითაც მიმართა, რომლის ასლს, დამაჯერებლობისათვის, ათაბაგს უგზავნიდა. „ასე რომ, მთელი შენი ზრახვები, სურვილები და გეგმები ურწმუნოთა განადგურებას მიაპყარი, ისე, როგორც უკვე დაწყებული გაქვს, იმ რწმენით, რომ გამარჯვება შენ და სხვა ქრისტიანებს დაგრჩებათ, ამის შესახებ ბევრის თქმაა საჭირო, რასაც სიტყვიერად გადმოგცემს ჩვენი ნუნციო, რომელსაც სავსებით შეგიძლია ენლო“ – ასე ამთავრებს თავის წერილს პაპი კალიქსტუს III³.

პაპმა სათანადო წერილებით აღჭურვილი ლუდოვიკო დაუყოვნებლივ აღმოსავლეთში გაგზავნა⁴, რომელმაც, შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც საქართველოში პირველად ყოფნისას, ახლაც

1 ყვარყვარე ათაბაგის მოთხოვნა მთავარსარდლობაზე, განპირობებული იყო ქართული სამართლით (იხ. „კელმწიფის კარის გარიგება“. წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები: 1. კელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 24-25). ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ყვარყვარე თავის პრეტენზიას ამ სახელის მემკვიდრეობითობით (მამიდან შეილზე) გადასვლით ამართლებს. ვფიქრობ, პაპი იმ ლაშქრის მთავარსარდლობაზე დათანხმდა, რომელსაც საქართველოს სამეფო-სამთავროები („თქვენი ქვეყნები“) შეკრებდნენ. ვასუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, „იყო ესე ყუარყვარე ქედმაღალი, დიდებისმოყუარე, მზურჩნელი და მეშფოთე“ (ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვასუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. IV. 704). მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლაში.

2 პაიჭაძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

3 იქვე, გვ. 85.

4 მ. თამარაშვილს მიაჩნდა და მისი გავლენით მეც ასე მეგონა, რომ ლუდოვიკოს აღმოსავლეთში გამგზავრების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კალიქსტუს III-ის სიცოცხლეში, რომელიც ლუდოვიკოს გამგზავრებაზე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა. ამიტომ ის ახალი პაპის არჩევამდე რომში დაყოვნდა და შემდეგ შესდგა მისი გამგზავრება (თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 56; მაშისოვალიშვილი ე., საქართველოს. სგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981, გვ. 41), რასაც, მოყვანილი წერილი უარყოფს.

პირადად, პაპის დავალებით (ამის შესახებ წერილშიც აღნიშნული იყო), მოინახულა ყვარყვარე ათაბაგი და პირადად გადასცა წერილი. წერილის შინაარსი და პაპის დაპირებები უნდა გამხდარიყო მთავარი მიზეზი ათაბაგის აქტიურობისა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად.

ლუდოვიკოს რომიდან გამგზავრების შემდეგ, არ გაუვლია დიდ ხანს, რომ 1458 წლის 6 აგვისტოს პაპი კალიქსტუს III გარდაიცვალა. 19 აგვისტოს არჩეული იქნა პიუს II (ენეა სილვიუს პიკოლომინი), რომელმაც ანტიოსმალური ჯვაროსნული ომის იდეის განხორციელებას კიდევ უფრო ენერგიულად მოჰკიდა ხელი. ამის შემდეგ რომში მალე დაბრუნდა ლუდოვიკო, მაგრამ არ ჩანს ზუსტად როდის. ყოველ შემთხვევაში ის ოქტომბრის დასაწყისში რომშია. 4 ოქტომბერს პიუს II აჯამებს და აფასებს აღმოსავლეთში მისი მოგზაურობის შედეგებს. პაპი ლუდოვიკოს მიმართავს: „თქვენ წარგზავნეთ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანებრივის სარწმუნოებისა და სამოციქულო საყდრის პატივის საქმეთა გამო; მღვდელთ მთავრები, მეფენი და ეგრეთვე ქრისტიანე ერი, რომლებიც სცხოვრობენ ურწმუნოთა შორის, მრავლად ნახეთ იქა, განამტკიცეთ და განამდიერეთ სარწმუნოებაში, რაოდნათაც კი შეგეძლოთ... მათ შორის არიან... ეგრეთვე ქართველთ კათალიკოსი, მეფე სპარსეთის (გიორგი), მეფე ქართველებისა (სამცხის ათაბაგი), მეფე სამეგრელოსი (ბენდია), იმპერატორი ტრაპეზუნტისა და ეგრეთვე სპარსეთის ერი (ქართლის ერი), რომლებიც ეკლესიის წესსა და დოგმატებზე შეერთებულნი არიან და რომლებიც დიდ პატივსცემენ წმინდა ფრანჩესკეს მონაზონებს“¹.

დღეისათვის ცნობილი ქართული და ევროპული წყაროები არ გვაძლევს საშუალებას დარწმუნებით ვთქვათ, შეძლო თუ არა ლუდოვიკო ბოლონიელმა პაპის ეპისტოლე სამცხის ათაბაგისათვის გადაეცა. ზოგად ხაზებში მხოლოდ ის ვიცით, რომ ლუდოვიკო ბოლონიელს საქართველოში ფეოდალური აშლილობა დახვდა. ერთმანეთს ებრძოდნენ მეფე გიორგი VIII, იმერეთის მეფე ბაგრატე და

1 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 51-52.

სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II. ლუდოვიკომ მათი შერიგება შესძლო და ფიცი დაადებინა, რომ ურთიერთმტრობაზე ხელს აიღებდნენ და მთელ ძალას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარდნენ.

საქართველოში საქმის მოგვარების შემდეგ, ლუდოვიკო სომხეთსა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ესტუმრა. იქაც ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის თანხმობა მიიღო და როდესაც უკან გამობრუნდა, მათი ელჩებიც თან წამოიყვანა. 1459 წ. იგი ისევ საქართველოში მოვიდა. აქ მეფე გიორგიმ და ყვარყვარე ათაბაგმა ლუდოვიკო ბოლონიელს ბურგონის ჰერცოგ ფილიპე კეთილისათვის¹

1 ფილიპე III კეთილი (1419-1467), ბურგუნდიის ჰერცოგი იყო 1419 წლიდან და მის სახელთანაა დაკავშირებული საჰერცოგოს გაძლიერება და ტერიტორიული გაფართოება. ასწლიანი ომის დროს ის ჯერ ინგლისელებს ემხრობოდა (მონაწილეობდა ქ. კომპიენის აღებაში 1430 წელს, როცა დაატყვევეს ჟანა დ'არკი), შემდეგ ფრანგების მხარეს გადავიდა (1435 წ.) და პიკარდიის ოლქის სანაცვლოდ საფრანგეთის კანონიერ მეფედ აღიარა შარლ VII. ფილიპე III-მ ქორწინების, ფულის, დახვეწილი დიპლომატიის წყალობით თავის სამფლობელოებს შეუერთა ნამიურის, ენოს, ზელანდიის და ჰოლანდიის საგრაფოები, ბრაბანტის, ლიმბურგისა და ლუქსემბურგის საჰერცოგოები და სხვ. ამგვარად, ფილიპე III გადაიქცა ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს მბრძანებლად. ამ სიძლიერის სიმბოლოს წარმოადგენდა მის მიერ 1429 წელს დაარსებული „ოქროს საწმისის ორდენი“.

ასწლიანი ომი დამთავრებული არ იყო, როდესაც ფილიპე სერიოზულ ინტერესს ამჟღავნებდა აღმოსავლეთის საკითხებისადმი. მან 1421 წელს, როდესაც ინგლისელების მხარეს იყო, ოსმალეთის შესახებ ცნობების მოპოვების მიზნით, ინგლისის მცირეწლოვანი მეფის ჰენრი VI-ის რეგენტთან, ჰერცოგ ბედფორდთან ერთად ჯილბერ და ლანუა გააგზავნა. 1431 წელს იმავე მიზნით გაგზავნილი იქნა ბედფორდის მრჩეველი ბერტრადონ დე ლა ბროკიერი. 1443 წელს მან პოლონეთის მეფე ვლადისლავ II-ის და უნგრეთის ვოევოდა იანოშ ჰუნიადის დასახმარებლად საზღვაო ექსპედიცია გააგზავნა ვალერან დე ვაგინის მეთაურობით, მაგრამ 1444 წ. 10 ნოემბერს მოკავშირეებმა ოსმალებთან ბრძოლაში მარცხი განიცადეს. ბურგუნდიის ექსპედიციის ზომიერება გაითანტნენ და მძარცველობას მიეცეს ხელი. ერთ-ერთმა რაზმმა საქართველომდეც კი მოაღწია ჟოფრუა დე ტუზის მეთაურობით და თავს დაესხა ბათუმს, მაგრამ გურიის მთავარმა დაატყვევეა. ტუზის განთავისუფლება მოხდა მხოლოდ ტრაპიზონის კეისრის შუამდგომლობით (Карпов С. П., Трапезунтская империя и западноевропейские государства в XIII-XV вв., М., 1981, с. 156-157).

ფილიპე III ჯერ კიდევ ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებად 1452 წელს ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი ომის დაწყების ინიციატივით გამოვიდა და ამ წინადადებით თავისი ეპისკოპოსი საფრანგეთის მეფის კარზე გაგზავნა (Карпов С. П., Ук. соч., с. 116).

(იგი ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატორად გამოდიოდა და მზადყოფნასაც გამოსთქვამდა თავისი შეიარაღებული ძალებით აქტიური მონაწილეობა მიეღო ოსმალების წინააღმდეგ ომში) განკუთვნილი წერილები გადასცეს და პაპის ელჩს გამგზავრებისას თავიანთი ელჩებიც გააყოლეს¹.

ჰერცოგ ფილიპესათვის განკუთვნილი წერილებით ვიგებთ, რომ ლუდოვიკო ბოლონიელის მოღვაწეობის შედეგად ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საქართველო დარაზმულა. ბრძოლის სურვილი განუცხადებიათ: მეფე გიორგის, ათაბაგ ყვარყვარეს, სამეგრელოს მთავარ დადიანს და გურიის მთავარს. გარდა ქართველი მეფე-მთავრებისა, კოალიციაში უნდა შესულიყვნენ: ტრაპიზონის იმპერატორი, მცირე სომხეთის მთავარი, ყარაბაღის ამირა და აყ-ყოიუნლუს მბრძანებელი. დასახელებული სახელმწიფოებიდან განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაში ტრაპიზონის იმპერია იმყოფებოდა.

როგორც ცნობილია, ტრაპიზონის იმპერია, XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ხელისუფლების უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა და მისთვის, ამ ერთმორწმუნე და ქართული სამეფო კარის მონათესავე ქვეყანას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს პატარა სახელმწიფო, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების – ირანის, ინდოეთის, ჩინეთის – სავაჭრო ურთიერთობაში. სატრანზიტო ვაჭრობა მას დიდ შემოსავალს აძლევდა. ეს კი სხვა გარემოებებთან ერთად, სხვისი ტერიტორიების მარცვით დაინტერესებული ოსმალეთისათვის, ტრაპიზონის იმპერიის წინააღმდეგ დაპყრობითი ომის დასაწყებად საკმაო მიზეზს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ოსმალებისაგან განადგურების საფრთხის წინაშე მდგომ ტრაპიზონის იმპერიაში შინაგანი ძალების მობილიზაცია კი არა, პირიქით, დეცენტრალიზაცია ხდებოდა. მისი მმართველი წრეები ოსმალეთის თავდასხმის მოგერიებას მხოლოდ ევროპისა და აღმოსავლეთის ძალების გაერ-

1 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 57-59. ელჩები ფოთიდან გემით გაემგზავრნენ, მდ. ღუნაის აპყვნენ და უნგრეთში მივიდნენ. Карпов С. П., Ук. труд, с. 199.

თიანებაში და მათზე დაყრდნობით, ოსმალეთის განადგურებაში ხელდავლენენ. ასეთი შეხედულება იმპერატორ იოანე IV-ის დროს (1446-1458) ჩამოყალიბდა. ამ მიზნით დაამყარა იოანემ ურთირთობა უზუნ ჰასანთან, რაც ბოლოს იოანეს ქალიშვილის თეოდორას მასზე გათხოვებით კიდევ უფრო განმტკიცდა. როგორც თანამედროვე ანონიმი ავტორი გადმოგვცემს, უზუნ ჰასანმა იოანეს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველგვარი დახმარება აღუთქვა¹.

იოანეს საქართველოს მეფე-მთავრებისაგან დახმარების მიღების იმედიც ჰქონდა. საქართველოს სამეფო კართან ნათესაურ კავშირში იყო. მას ცოლად ჰყავდა მეფე ალექსანდრე I-ის ასული².

იოანეს გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ, დავითმა იოანეს პოლიტიკა გააგრძელა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ოსმალების თავდასხმას ტრაპიზონი მომზადებული დახვედროდა. საკუთარი ძალები რომ არ ჰყოფნიდა, დავითმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მრავალი მებრძოლი დაიქირავა³. იარაღი ვენეციისა და გენუის გემებით მოზიდეს და ქალაქის კედლებზე ქვემეხები დააყენეს. მართალია, უზუნ ჰასანი ტრაპიზონის სახელმწიფოს ეხმარებოდა, მაგრამ იმდენად მცირედ, რომ კომნენოსები იძულებულნი გახდნენ კილიკიის, სინოპისა და ყარაბაღის მთავრებისთვის დახმარება ეთხოვათ, მაგრამ იმ დროს ისინი იმდენად დასუსტებულნი იყვნენ, რომ მათგან სერიოზული დახმარების მიღება საეჭვო ჩანდა. იმავე დროს დავით კომნენოსი მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს მეფე გიორგი VIII-სთან, დადიანთან და ყვარყვარესთან. მან არც კავკასიის მთიელები დატოვა თხოვნის გარეშე და მათ მეფე გიორგის დროშის ქვეშ გაერთიანებისაკენ მოუწოდა. გიორგი VIII-ის ანტიოსმალური განწყობილება მაშინ, ალბათ, ცნობილი იყო.

1 Ramusio G. B. *Seconda volume della Navigazioni et Viaggi...*, Venezia, 1559, p. 84r.

2 Fallmerayer Jac. PH., *Geschichte des Kaiserthums von Trapezunt*, München, 1827, S. 260.

3 *Ibidem*, S. 262.

ქართველებს ოსმალეთის განადგურების საკუთარი გეგმა ჰქონდათ. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ქართველ მეფე-მთავრებს უნდოდათ საქმე ისე მოეწყოთ, რომ ოსმალთა სრული დამარცხება, საბოლოო განადგურება და თვით სახსენებლის მოსპობაც კი შესაძლებელი გამხდარიყო. ამისათვის ქართველებს ოსმალთა წინააღმდეგ ერთმანეთთან თანხმობრივი მოქმედება მიაჩნდათ საჭიროდ ისე, რომ ოსმალეთისათვის ორთავე მხრით შეეტიათ და სამხედრო მოქმედება ეწარმოებინათ“¹. ყვარყვარე ათაბაგი ბურგონის ჰერცოგს აცნობებდა: „ამასაც გპირდებით, რომ ერთი ზაფხულის განმავლობაში დავიპყროთ მთლად ანატოლია და ყველა ქვეყნები, რომელიც კონსტანტინეპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს, ხოლო იმის მეორე კერძო ადგილები, რომლებიც საბერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს, თქვენ დაგიტოვებთ დასაპყრობად; მისი აღება ადვილი იქნება, რადგან, როდესაც სულთანი ასე ორ ჯარს შუა მოექცევა, ვეღარ გაუძლდება, მალე დაიძლევა და, ამნაირად, მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ“².

გაგზავნილი წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართველი მეფე-მთავრები იმ დროისათვის საკმაოდ დიდი შეიარაღებული ძალის გამოყვანას კისრულობდნენ. ბურგონის ჰერცოგისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, მათ როგორი წვლილის შეტანა სურდათ ოსმალების საბოლოო განადგურების საქმეში. მეფე გიორგი წერდა: „მე თვითონ პირადად 40.000 კაცით უნდა წავიდე... სამეგრელოს მეფე ბედიანი მზად არის მთელი თავისი ჯარით; ყვარყვარე, საქართველოს ხელმწიფე თვით მოდის 20.000 ცხენოსნით; ანაკოსიის ხელმწიფე რაბა (ფაბია) შემოგვპირდა წამოსვლას თავისი ძმებით, თავადებით და მთელი თავისი სამხედრო ძალით“³.

წერილში არ არის აღნიშნული რამდენი მებრძოლი უნდა გაეყვანა სამეგრელოს მთავარს. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით,

1 ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 68.

2 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 58-59. მ. თამარაშვილის მიერ თარგმნილი დოკუმენტი როდესაც ორიგინალს შევადარე აღმოჩნდა, რომ მათ შორის მცირე სხვაობა იყო და შევეცადე საინტერესო ადგილები დამეზუსტებინა.

3 იქვე, გვ. 59-60, 596-597.

სამეგრელო-აფხაზეთის მთავრებს 10.000-მდე მებრძოლი უნდა გაეყვანათ და ამრიგად, მთლიანად საქართველოს ლაშქარი 70.000-მდე კაცს შეადგენდა¹.

ქართველთა ლაშქრის სულ სხვა რაოდენობაა ტრაპიზონის იმპერატორის დავით კომნენოსის 1459 წ. 22 აპრილს იმავე ფილიპე ბურგონელისათვის გაგზავნილ წერილში. მასში ნათქვამია, რომ გიორგი გაიყვანდა 60.000 მებრძოლს, ყვარყვარე – 20.000, სამეგრელოს მთავარი თავის შვილთან ერთად – 60.000, აფხაზეთის მთავარი თავისი ძმებითა და თავადებით – 30.000².

გამოდის, რომ ქართველთა ლაშქრის რაოდენობა 170.000 კაცს მიაღწევდა. ამას დაემატებოდა ჯიქებისა და ალანების რაზმებიც, რომლებიც საქართველოს ლაშქარს შეუერთდებოდნენ და მეფე გიორგის დროშის ქვეშ იომებდნენ.

ალბათ, სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს ჯარის ის რაოდენობა, რომელიც დასახელებულია მეფე გიორგის წერილში. ტრაპიზონის იმპერატორი, სავარაუდოა, შეგნებულად აზვიადებდა ლაშქრის რაოდენობას, რათა შთაბეჭდილება მოეხდინა ბურგონის ჰერცოგზე და ისიც მთელი თავისი შესაძლებლობით დახმარებოდა კოალიციას.

საინტერესოა, ვინ იყვნენ მეფე გიორგის წერილში დასახელებული მოკავშირენი.

მეფე გიორგი, რომელიც თავის თავს „პერსთა (ე.ი. სპარსთა) მეფეს“ უწოდებდა, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, წერილის დედანში, „აფხაზთა მეფე“ ეწერებოდა, მაგრამ გადამწერმა დაამახინჯა³. მართლაც, აქ რომ ალექსანდრე დიდის ძეზე, მეფე გიორგიზეა ლაპარაკი, ამაზე მიუთითებს მ. თამარაშვილის ამონაწერი ვადინგოს ანალებიდან, რომელსაც შემდეგ გავეცნობთ.

სამეგრელოს მთავარი ბელიანი (ან ბენდიანი), ყვარყვარეს წერილში მეფის ტიტულით განდიდებული, ამ პერიოდისათვის საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი მთავართაგანი იყო.

სამცხე-საათაბაგო XV ს. მეორე ნახევარში დამოუკიდებელ

პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ათაბაგ ყვარყვარე II დიდის დროს სამცხე-საათაბაგომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ათაბაგი მეფისაგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. ყვარყვარეს ძლიერებაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი ევროპაში მეფედ იყო ცნობილი.

ყვარყვარე თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებზეც. XV ს. მეორე ნახევარში, როგორც ჩანს, ათაბაგის ხელისუფლება დასავლეთით შავი ზღვისპირეთის გარკვეულ ნაწილზეც ვრცელდებოდა. მ. ბროსეს მიხედვით, ბათუმი 1459 წ. უკვე ყვარყვარეს მფლობელობაში ყოფილა, მაგრამ იმ წყაროთი, რომელსაც იგი ეყრდნობოდა, ამგვარი დასკვნის გაკეთება ვერ ხერხდება¹. ამბროჯო კონტარინიმ 1474 წლის ზაფხულში საქართველოში იმოგზაურა და ბათუმშიც იყო. მისი თქმით, ყვარყვარეს შავი ზღვის პირას ორი ქალაქი: ბათუმი და კალტინეა ეკუთვნოდა².

თითქოსდა კონტარინის ცნობის საწინააღმდეგოს გადმოგვიცემს ბარბარო, როცა იგი აღნიშნავს, რომ სამეგრელოს მთავარი ბელიანი შავი ზღვის პირას ფლობს ბათუმსა და სევასტოპოლისს³. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ შემთხვევაში ბარბაროს სხვა პერიოდი აქვს მხედველობაში. სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებით ბარბარო საქართველოში, კერძოდ, მის შავი ზღვის სანაპიროებზე, რამდენჯერმე იყო. ასეთ საქმიანობას კი იგი 1436-1451 წლებში ეწეოდა. თავის „მოგზაურობაში“ საქართველოს შესახებ ცნობებს,

1 მ. ბროსეს ვარაუდით, ყვარყვარეს წერილი ბურგონის ჰერცოგისათვის გაიგზავნა ბათუმიდან, რაც იმის საბუთად მიაჩნდა, რომ ბათუმი ყვარყვარეს მფლობელობაში იყო. მ. ბროსე ამის გამო წერდა: „**Sa lettre est daté de Bata, en Carceche, que je crois être Batou, dans la principauté d'Akhal-Tzikhe**“ (Brosset M. *Additions et éclaircissements jusqu'en 1469 de J.C., St.-Petersbourg, 1851, p. 409*). უნდა შევნიშნო, რომ აღნიშნული წერილი ბროსეს თავის თხზულებაში სრულად არ აქვს მოყვანილი. მ. თამარაშვილის წიგნში კი ლათინურ ენაზე მოცემულ იმავე წერილში ბათუმი საერთოდ ნახსენები არ არის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მ. ბროსემ ლათინური წყაროს „**Vata in Carceche**“ გადმოიღო როგორც „**Bata en Carceche**“ (იხ. თამარაშვილი მ. დასახ. ნაშრომი, გვ. 394-3 96.).

2 Ramusio, 114 v.

3 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 55.

1 ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 69.

2 Fallmerayer Jac. PH., Op. cit., S. 267.

3 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., , გვ. 67.

გარდა ერთისა, რომელიც უზუნ ჰასანის 1477 წლის შემოსევას ასახავს, შეტანილია თხზულების პირველ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „მოგზაურობა ტანაში“.

26 წლის შემდეგ (1477 წ.) ბარბაროს კიდევ მოუხდა ყოფნა საქართველოში, მაგრამ მაშინ მას აღარ ჰქონდა საშუალება ამჯერად საინტერესო ადგილების შესახებ ცნობები შეეგროვებინა. ამას გარდა საჭიროა ისიც გავიხსენოთ, რომ ბარბარომ თავისი „მოგზაურობა“ სიცოცხლის ბოლო პერიოდში აღწერა, მაშინ, როდესაც კონტარინი „დღიურებს“ ადგილზევე ადგენდა. ამიტომ კონტარინის დღიურები, ამ შემთხვევაში, უფრო სანდოა.

კონტარინი ბათუმის შესახებ სახვავანაც გვაწვდის ცნობას, რომელიც კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ ეს შავი ზღვისპირა ქალაქი ათაბაგს ეკუთვნოდა¹. ყვარყვარე, საქართველოს მთავარი, სამცხე-საათაბაგოს მფლობელი, ანტიოსმალური კოალიციის შექმნით განსაკუთრებით დაინტერესებული ჩანს.

ქართველ მეფე-მთავრებს შორის დასახელებული რაბია, მ. თამარაშვილს აფხაზეთის მთავარი ეგონა, ივ. ჯავახიშვილმა კი იგი ანაკოფიის ერისთავად ივარაუდა². ორივე მეცნიერის მოსაზრება სწორია. მხოლოდ დაზუსტების მიზნით უნდა ითქვას, რომ რაბია აფხაზეთით დასახლებული მთელი ტერიტორიის ერისთავი კი არ იყო, არამედ მხოლოდ იმ ნაწილისა, რომელიც საბედიანოში არ შედიოდა, მას აფხაზეთის საერისთავო ეწოდებოდა და XV ს. მეორე ნახევარში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. აფხაზეთის საერისთავო გადაჭიმული იყო ანაკოფიიდან ნიკოფსიამდე³. **Anocacia, Anocasia** და **Angosia** რომ ნამდვილად ანაკოფიას ნიშნავს, ამაზე მიუთითებს ჯორჯო ინტერიანოს **Agaxia**-ც, რომელიც, მისივე თქმით, ჩერქეზეთს ესაზღვრებოდა და კოლხეთის ნაწილს შეადგენდა⁴. ვენეციელი დიპლომატი ამბროჯო კონტარინიც

საქართველო-ჩერქეზეთის გზაზე ასახელებს ერთ გეოგრაფიულ პუნქტს, რომელსაც **Avogasia** ერქვა¹. უდავოა ყველა შემოჩამოთვლილი სახელის მსგავსება სხვადასხვა პერიოდის იტალიურ რუკებზე ანაკოფიის აღნიშვნასთან (**Avogaxia, Anagsia, Avogia**), რაც ცხადყოფს ივ. ჯავახიშვილის ვარაუდის საფუძვლიანობას.

1460 წ. საქართველოს ელჩები რომში მივიდნენ და პაპს წარუდგინეს მოკავშირეთა განსხვავებული სია, ვიდრე ეს ბურგონის ჰერცოგისთვის გაგზავნილ წერილებშია მოცემული. მათ პაპს მოახსენეს, რომ „ჩვენთან მოკავშირეებად არიან: ბენდას – სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე; ბაგრატი – იბერთა, რომლებიც ეხლა გიორგიანებად იწოდებიან და მანია – გურიის ერისთავი; ისმაილი – სინოპის ბატონი; კასტიმენე, რომლის მამა სპელიარი იყო; ფაბია – ანგოზიის მთავარი; კილიკიის მთავარი ყარამანი“².

როგორც წერილებიდან და ელჩების პაპთან განცხადებიდანაც ჩანს, „ქართველი პოლიტიკოსები მართო ქრისტიან მეზობლებთან თანამშრომლობით არ დაკმაყოფილებულან და თავიანთი გეგმა სარწმუნეობრივი ზღუდეებით კი არ შემოუფარგლავთ, არამედ ამ საქმის განხორციელების დროს საფუძვლად პოლიტიკური თვალსაზრისით უხელმძღვანელიათ“³. წერილებში, მართალია ზოგადად, მოცემულია ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმაც და თითოეული მოკავშირის მოვალეობა.

ყვარყვარე II ათაბაგის წერილის მიხედვით, 1459 წ. უზუნ ჰასანიც ანტიოსმალურ კოალიციაში იმყოფებოდა. „რადგან ჰასანბეგ აქეთ მხარეს, კონსტანტინოპოლელი ოსმალების საზღვარზედ არის, – წერდა ყვარყვარე, – დაგვიპირდა, რომ გზას მოგვცემს, რათა ანატოლია დავიპყრათ და თვითონაც პირადად უნდა მოვიდეს

Venezia, Aldus, 1502, p. 6.

1 Ramusio, p. 119 v.

2 ვადინგოს „მცირე ანალებიდან“ ამოღებულ საბუთში, სადაც ჩამოთვლილია მოკავშირეები, მ. თამარაშვილს თავის „ისტორია კათოლიკობისასა“-ში, გამოტოვებული აქვს ადგილები. მისი აღდგენა მ. თამარაშვილის ფონდში დაცული მასალებით ხერხდება. იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: მ. თამარაშვილის ფონდი, №1053.

3 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 70.

1 Ramusio, p. 119 r-119 v.

2 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 58; ჯავახიშვილი ივ. დასახ. ნაშრ., გვ. 68.

3 Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959, с. 177.

4 Interiano Giorgio. La vita et sito de Zichi, chiamati Circassi, historia nobile,

ჩვენთან ყოველი თავისი ჯარით ასაღებად ბურსის ქალაქისა, რათა იგი თავისთვის დაიკავოს. ესეთი კავშირი მასთან იმ პირობით დავდეთ, რომ მუდამ იქნეს ქრისტიანობის დიდი მეგობარი; ეგრეთვე უკეთ თქვენ ლათინის მბრძანებლები და ერნი წამოხვალთ წმინდა ადგილი იერუსალიმის დასაპყრობად, ის ვალდებულია ყოველნაირად შეგეწიოსთ თქვენ, რაოდენათაც კი შეუძლია“¹.

კოალიციის აღმოსავლელი წევრების ჯარის საერთო რაოდენობის დასადგენად საჭიროა დავუბრუნდეთ მეფე გიორგის მიერ ბურგონის ჰერცოგ ფილაპესათვის გაგზავნილ წერილს. მასში ნათქვამია, რომ ტრაპიზონის იმპერატორს 30 ხომალდი და 20 ათასი მებრძოლი უნდა გაეყვანა, მცირე სომხეთის მფლობელს ბერდებეკს – 20 ათასი მებრძოლი², ხოლო უზუნ ჰასანს კი – 50 ათასი³.

ამგვარად, აღმოსავლელ მოკავშირეთა ლაშქარში იქნებოდა დაახლოებით 160 ათასი მეომარი, რაც, როგორც ჩანს, მათ საკმარისად არ მიაჩნდათ და 1459 წელს ევროპაში ელჩობა გაგზავნეს, რომელშიც კოალიციის თითქმის ყველა წევრის წარმომადგენელი შევიდა.

ელჩობას მიუძღვოდა ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელსაც, როგორც პაპი პიუს II ბურგონის ჰერცოგს აცნობებდა, აღმოსავლეთის მეფე-მთავრების ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმასთან ერთად მათი წარმომადგენლების ევროპაში ჩაყვანაც ევალებოდა⁴.

ევროპაში „დავით ტრაპიზონის იმპერატორი გზავნის მიხეილ აღდიგიერს; გიორგი პერსთა, დიდი არმენიის და მცირე იბერიის მეფე, რომლის მამა ალექსანდრე იყო, ნიკოლოზ თბილელს; ასევე იმპერატორის სიძე (უზუნ ჰასანი – ე.მ.), მესოპოტამიის მეფე, თუმცა არაქრისტიანი, მაგრამ ქრისტიანების მეგობარი, რომლის

მამა თურქმანი კარაილუკი იყო – თურქმან მაჰუმუტს; ყვარყვარე, რომელიც დიდ იბერიას ფლობს, რომლის მამა გაცაბეკი იყო, ქასქადან ახალციხელს; სომხეთის ბატონი – მალუს არმენიელს“¹.

ელჩები ჯერ საქართველოში შეიკრიბნენ, შემდეგ ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, გაიარეს სამხრეთ რუსეთის ველები და მივიდნენ ტანაში, გადალახეს მდ. დონი, აყვნენ მდ. დუნაის და უნგრეთამდე მიაღწიეს².

სავარაუდოა, ელჩები გზაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ მესვეურებთან, მაგრამ ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი ცნობილი არ არის. თვალს თუ გადავაკვლით XV ს. 50-იან წლებში იმ ქვეყნების მდგომარეობას, სადაც ელჩებს ყოფნა მოუხდათ და მოლაპარაკებებიც უნდა ეწარმოებინათ, მაშინ გასაგები გახდება როგორი მხარდაჭერა შეიძლებოდა მიეღოთ.

უნგრეთი დიდად დაინტერესებული იყო ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გაშლით. მეფე მათიამ კორვინმა ელჩები გულითადად მიიღო და დაპირდა, მხარს დაუჭერდა საერთო საქმეს³, მაგრამ მაშინ იგი გადაუდებელი პრობლემებით დაკავებული იყო. კერძოდ, იმპერატორი ფრიდრიხ III ჰაბსბურგი მას ტახტს ეცილებოდა.

ელჩები გერმანიში ეახლნენ ფრიდრიხ III (1452-1493) ჰაბსბურგს. მის მიერ ელჩების მიღება და მათთან განხილული საკითხების შესახებ გადმოცემულია იმპერატორის მიერ გიორგი VIII-სა

1 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: მ. თამარაშვილის ფონდი, №1053, გვ. 30. შდრ. ფალმერაიერის ნაშრომში (Fallmeyer Jac. PH., Op. cit., S. 268) მოცემული პაპის წერილი ბურგონის ჰერცოგისადმი, სადაც არც ყველა ელჩია დასახელებული და სახელებიც დამახინჯებულია.

2 მ. თამარაშვილის ფონდი, №1053, გვ. 31. განსხვავებული მარშრუტი წარმოადგინა ლ. ტარდიმ: ელჩები ფოთიდან გემით გაემგზავრნენ, მდ. დუნაის აპყვნენ და უნგრეთში მივიდნენ. ტარდი ლ., ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში. კრებულში: ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, II, თბ., 1978, გვ. 199.

3 Breyer A., Ludovico da Bologna and the Georgian Embassy of 1460-61. In „Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie“, XIX-XX (1965), Paris, 1965, p. 181.

1 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 58, 595.

2 Ibidem, S. 267

3 თ. უსპენსკი ასახელებს 20 გალერას და 20 ათას მებრძოლს (Успенский Ф. Р., Очерки из истории Трапезунтской империи, Л., 1929, с. 135). ივ. ჯავახიშვილი იმავე წერილზე დაყრდნობით წერს, თითქოს იმპერატორს 30 ხომალდი და 30 ათასი მეომარი უნდა გამოეყვანა (ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 70). სინამდვილეში კი ისეა, როგორც აღვნიშნე (იხ. თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 59, 596).

4 Ibidem, S. 268.

და ყვარყვარე II ათაბაგისათვის გაგზავნილ წერილებში, რომლებიც დათარიღებულია 1460 წლის 17 ოქტომბრით. ფრიდრიხი იწონებს იმ ენთუზიაზმს რაც ქართველებს ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოუმჯავანებიათ. მისი აზრით ეს ხელს შეუწყობდა დასავლეთის ქრისტიანების დარაზმვასაც¹. ასეთი ზოგადი ფრაზებია იმპერატორის წერილებში, მათში არც ერთი კონკრეტული წინადადება ან დაპირება არ არის.

ელჩები შემდეგ იტალიისაკენ გაემშურნენ. ვენეციის სენატმა მათ ღირსეული მიღება მოუწყო, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა ყვარყვარე ათაბაგის მიერ ვენეციის დოჟისათვის გაგზავნილ წერილს. ათაბაგს პირველ რიგში აინტერესებდა შედეგები მანტუის საეკლესიო კრებისა, რომელიც მიზნად ისახავდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. „ამისათვის ვთხოვთ, – წერს ყვარყვარე, – კეთილი ინებოთ და შემატყობინოთ, თუ რა ღონეს ხმარობთ კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად, რათა მე ჩემის მხრივ, ჩემი ვალის მოხდა შევძლო“. იმავე დროს ყვარყვარე დოჟს აცნობებს, რომ ლუდოვიკო ბოლონიელის ჩაგონებით შეურიგდა მეფე გიორგის, მეფე ბაგრატს, ბედიანს და ამის შემდეგ „აქაურმა ყველა ქრისტიანმა“ გააფორმა ხელშეკრულება მთელი თავიანთი შეიარაღებული ძალების ურწმუნოთა წინააღმდეგ გამოსაყვანად, „როდესაც თქვენი ბრწყინვალება და პაპი შეგვატყობინებს დროს, დღესა და საათს გალაშქრებისათვის“.

ამავე წერილში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ყვარყვარესეული დაყოფა უფროს-უმცროსობის მიხედვით. ყვარყვარეს თავის თავი საათაბაგოს სრულუფლებიან ბატონ-პატრონად მიაჩნია, მაშინ როდესაც, მისი აზრით, გურია და აფხაზეთი „სამართლიანად“ ითვლება მეფე გიორგის ქვეშევრდომად, ბედიანი, სამეგრელოს ბატონი კი იმერეთის მეფე ბაგრატის მორჩილია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყვარყვარეს ამ წერილის ტონი, ადრინდელთან შედარებით, ისეთია თითქოს სამცხის ათაბაგი არის აღმოსავლეთის კოალიციის შეიარაღებული ძალების სარდალიც და პოლიტიკური ლიდერიც: „იმპერატორი

ტრაპეზუნდისა, მისი სიძე უზუნ ჰასანი და ბერდებეკ არმენიელი დამოყვრდნენ და შეგვპირდნენ მოგვცენ გზა ხმელეთსა და ზღვაზე და მთელი თავიანთი ძალებით ჩვენთან ერთად მათი მტრების – ოტომანი თურქების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ასე რომ, ღმერთის წყალობით ვიმედოვნებთ დავიპყროთ ანატოლია, თქვენს ბრწყინვალებას კი ვთხოვთ კეთილი ინებოთ და მთელი ძალები კონსტანტინოპოლის აღებას მოახმაროთ“¹.

ვენეციის რესპუბლიკა ამ დროს ჯერ კიდევ მშვიდობიანი გზით ცდილობდა ოსმალეთთან სავაჭრო და პოლიტიკური საკითხების მოგვარებას. ამ მიზანს ემსახურებოდა 1460 წელს ვენეციას ოსმალეთის 1454 წლის ხელშეკრულების განახლება. ვენეციელებმა აღმოსავლელ ელჩებთან რესპუბლიკისათვის ყველაზე საინტერესო საკითხზე, ვაჭრობაზე, დაიწყეს საუბარი², მაგრამ რაზე შეთანხმდნენ უცნობია. ცხადია ვენეცია ომში არ ჩაებმეოდა და არც ამგვარ დაპირებას მისცემდა ელჩებს.

1460 წლის დეკემბერში ელჩები ფლორენციაში ყოფილან. ფლორენციელებს, აღმოსავლეთთან ვაჭრობით ვენეციელებზე არანაკლებ დაინტერესებულებს, ტრაპიზონის ელჩთან 14-15 დეკემბერს სავაჭრო ხელშეკრულება გაუფორმებიათ³. ელჩებმა, როდესაც თავინთ მთავრებთან წასაღები და პაპთან სარეკომენდაციო წერილები მიიღეს, ისინი რომის გზას დაადგნენ. 1460 წლის 20 დეკემბერს მათ რომს მიაღწიეს, სადაც „მათ მიეგებენ სასულიერო დასნი და ეპისკოპოსები და დიდის პატივით მიიღეს, როგორც მეფეთა ელჩნი, დააყენეს სამთავრო სახლებში და მთავრობის ხარჯითვე შეინახეს“⁴.

აუდიენციის დროს საქართველოს წარმომადგენლებმა პაპ პიუს II-ს განუცხადეს, რომ ქართველი მეფე-მთავრები მხარს უჭერდნენ

1 იქვე, გვ. 94-95.

2 მ. თამარაშვილის ფონდი, №1053, გვ. 31.

3 ხელშეკრულების თანახმად, ფლორენციელებს ტრაპიზონში საქონლის საწყობისა და საკონსულოს ქონების უფლება ეძლეოდათ. მათ შემოტანილ საქონელზე ღირებულების 20% უნდა გადაეხადათ, გატანილზე კი გადასახადი არ ვრცელდებოდა. **Heyd W. Geschichte des Levantehandels im Mittelalter, II B., Stuttgart, 1879, S.362-363.**

4 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 61.

1 პაიჭაძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 91-92.

1459 წლის მანტუის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნასა და ჯვაროსნული ომის დაწყებას ისახავდა მიზნად. „ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნათ ჩვენს მთავრებს, – უთხრეს პაპს ქართველებმა, – რადგან მათ სძულთ ოსმალები და თქვენ კი უყვარხართ და პატივს გცემენ ისე, როგორც ქრისტეს ნაცვალსა: მზად არიან თქვენი ბრძანების აღსრულებისათვის. ჩვენს მთავრებს ერთმანეთში მძულვარება და ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა ნუნციომ რა უბრძანა, მაშინვე შერიგდნენ და აწ მზად არიან დაუწყონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ უბრძანებთ“¹. მათ პაპს ისიც მოახსენეს, რომ აღმოსავლეთში მეჭმედ II-ის წინააღმდეგ საომრად 120 ათასი მეომარი გამზადებული იყო. ამავე დროს ქართველებს თავიანთი მოთხოვნაც წაუყენებიათ: მათ ოსმალეთთან ომში მხოლოდ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მონაწილეობა არ აკმაყოფილებდათ. ისინი მოითხოვდნენ, რომ ომში პაპსაც მიეღო მონაწილეობა. ისინი პაპს ეუბნებოდნენ, ჩვენ ომს მაშინ დავიწყებთ, „როდესაც თქვენ ინებებთ და თქვენც დასავლეთელებთან ერთად ეომებით ოსმალებს“². პაპი ფრიად კმაყოფილი დარჩა ქართველების გულმოდგინებით და მათ არ დაუმალა, ევროპის სახელმწიფოების მეთაურებმა როგორი უყურადღებობა გამოიჩინეს ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეისადმი. მან ელჩებს ურჩია, საფრანგეთის მეფე და ბურგონის ჰერცოგი პირადად მოენახულებინათ და მოლაპარაკებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ისინი, როგორც პაპმა უთხრა, მხარდაჭერას აუცილებლად მიიპოვებდნენ. ელჩების მოთხოვნა, რომ პაპს გზის ხარჯები აენაზღაურებინა, დააკმაყოფილეს. მათ სხვა აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ საფრანგეთისაკენ გზას დასდგომოდნენ³. საფრანგეთისაკენ მიმავალი ელჩები, პაპისაგან სარეკომენდაციო წერილებით აღჭურვილნი ეწვივნენ ფლორენციას (1461 წ. თებერვალი) და მილანს (მარტი).

1 იქვე, გვ. 61-62.

2 იქვე, გვ. 62.

3 იქვე, გვ. 63.

1461 წლის მაისში¹ ელჩები საფრანგეთის მეფე შარლ VII ვალუას წინაშე წარდგნენ და თავიანთი მისვლის მიზეზი მოახსენეს. ამ ვიზიტიდან შემოგვრჩა აღმოსავლელი ელჩების საინტერესო დახასიათებები. მემათიანე სწერს: „მივყვეთ ელჩთა სახელებს: პირველი იყო ანტიოქიის პატრიარქი, ეწოდებოდა ძმა ლუი დე ბოლონია, იყო კორდილიერი², ჰგავდა კეთილშობილ პრელატს, ატარებდა კორდილიერების სამოსს და სრულიად არ იცოდა ლათინური, მაგრამ ლაპარაკობდა ბერძნულად და ცოტა იტალიურად, იყო დოქტორი და ელჩობის თავი.

აგრეთვე იყო რაინდი, სახელად მიქაელი, რომელიც იყო ტრაპიზონის იმპერატორის წარგზავნილი, იყო მშვენიერი რაინდი, დიდი და საპატივცემლო, ჭკვიანი და კარგი შინაარსის ადამიანი.

აგრეთვე იყო სხვა რაინდიც, სახელად მეტრ³ ნიკოლი, წარმოგზავნილი ელჩად სპარსთა მეფის მიერ. იგი იყო ლამაზი კაცი, ახოვანი, ძველებური და მშვენიერი მანერებით.

აგრეთვე იყო კიდევ ერთი ელჩი, სახელად მეტრ კასტოდინესი, საქართველოსა და მესოპოტამიის მეფის ელჩი. იყო ჩინებული კაცი, ჩინებული მანერებით, დიდი და მსხვილი, კეფის ტონზურაზე⁴ ორი გვირგვინი ჰქონდა, ორი საყურე ყურებში, იყო ქოსა, როგორც ყმაწვილი ან ქონდრისკაცი; მაგრამ მიუხედავად ამისა, შესახედავად მშვიდი და სათნო.

აგრეთვე იყო კიდევ ერთი ელჩი, სახელად მაჰონი, რომელიც იყო მცირე თურქთა (აყ-ყოიუნლუს – ე.მ.) ელჩი დიდი თურქების წინააღმდეგ. მცირე თურქებს სურდათ ქრისტიანებთან ერთად გაელაშქრათ დიდი თურქების წინააღმდეგ და ისინი ამისათვის 50.000 კაცს გამოიყვანდნენ.

აგრეთვე იყო ერთი რაინდი, სახელად მამარტი; იგი სომეხთა

1 Heyd W., *Op. cit.*, S. 363.

2 ფრანცისკანელების სამონაზვნო ორდენის განშტოება.

3 მეტრი (ფრანგ.) მასწავლებელი, დამრიგებელი; პატივისცემით მიმართვა ადამიანისადმი, რომელიც განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული მეცნიერების, ხელოვნების ან ლიტერატურის დარგში.

4 ტონზურა (ლათ. ვარცხნილობა) ამოპარსული ადგილი თხემზე, რომელიც მიუთითებს კათოლიკური სამღვდელოებისათვის მიკუთვნებულობაზე.

მეფის ელჩი იყო, მხიარული, ჭკვიანი და კეთილშობილი კაცი, გამოირჩეოდა სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრის ოსტატობით.

აგრეთვე იყო სხვა რაინდიც, სახელად მესირ ჰანსი, რომელიც იყო იოანე პრევსტიერის ელჩი, გასაოცრად დიდი სწავლული და ჩინებული ასტროლოგი¹.

საფრანგეთის მეფემ ოსმალეთთან ომზე უარი განაცხადა. ამისათვის მას სერიოზული მიზეზი ჰქონდა: საფრანგეთს ასწლიანი ომის ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოეშუშებინა და არც მისი სახელმწიფოებრივი ინტერესები არ მოითხოვდა ოსმალეთის საწინააღმდეგო ომში ჩაბმას.

ელჩებმა იმავე თვეში ბურგონის ჰერცოგი ფილიპე სენტ-ომერში ინახულეს. ჰერცოგმა კარგად მიიღო ისინი, მაგრამ შარლ VII-ის მსგავსად მანაც განაცხადა, კოალიციის შექმნის შესახებ მე არაფერი ვიციო².

ელჩები ფლანდრიაშიც იყვნენ. მათ გენტში 4-8 ივლისი გატარეს.

ელჩების საფრანგეთში ყოფნის დროს გარდაიცვალა შარლ VII და ტახტი დაიკავა ლუი XI, რომლის მეფედ კურთხევის ცერემონიალს რეიმსში ისინიც დაესწრნენ³.

როდესაც პაპმა ლუი XI-ს ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა შესთავაზა, მან მაშინვე თანხმობა განაცხადა და 70 ათასი მეომრის გამოყვანასაც დაჰპირდა, სამაგიეროდ ისეთი მოთხოვნები წამოაყენა, რომლის დაკმაყოფილება პაპის ძალებს აღემატებოდა.

ლუი XI-საც მხოლოდ თავისი სამეფოს ინტერესები ამოძრავებდა და მას სრულიად არ აწუხებდა „მეორე რომის“ (კონსტანტინოპოლი) და არც „ქრისტეს საფლავის“ (იერუსალიმის) ბედი. ელჩებმა ინახულეს ახლად ნაკურთხი მეფე, მისგან დახმარების პირობა ვერ მიიღეს და „ესრეთ სულ ცარიელნი და დაღ-

ონებულნი უკან გამობრუნდნენ“⁴. ისინი 1461 წლის 27 ოქტომბერს მილანში მივიდნენ, ხოლო 20 ნოემბერს უკვე რომში იყვნენ. პაპმა ელჩები ცივად მიიღო, რისთვისაც მას, როგორც ჩანს, საფუძვლიანი არგუმენტები ჰქონდა. ყველაფერი ლუდოვიკო ბოლონიელის ავანტიურასთან იყო დაკავშირებული. ფიქრობდნენ, რომ აღმოსავლურ პრობლემებსა და ელჩებს ლუდოვიკო პირადი მიზნებისათვის, კერძოდ, პატრიარქის ტახტის მოსაპოვებლად იყენებდა. ამაზე დაწვრილებით სხვა დროს ითქმევა.

ელჩები ევროპიდან სამშობლოში დახმარების მიღების იმედ-დაკარგულნი დაბრუნდნენ. რაც დრო გადიოდა ოსმალეთი მით უფრო ძლიერდებოდა და მისთვის სერიოზული მოწინააღმდეგე არც დასავლეთში და არც აღმოსავლეთში ჯერჯერობით არავინ ჩანდა.

აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო მხოლოდ მაშინ იწყებდა გაძლიერებას და ოსმალეთთან არსებული წინააღმდეგობის გადალახვას მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ სულ უფრო მზარდი ოსმალეთისაგან მის სამფლობელოებსაც საშიშროება ემუქრებოდა, თვითონ აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოც, ოსმალეთის სახელმწიფოს ზოგიერთი ტერიტორიის დაპყრობას ფიქრობდა. როგორც ყვარყვარეს წერილშია ნათქვამი, უზუნ ჰასანს იმ დროისათვის უდიდესი სავაჭრი ცენტრის, ქ. ბურსის დაპყრობა სურდა. იგი ასევე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მეჰმედ II არ დაპატრონებოდა ტრაპიზონს, რომლის საშუალებითაც აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო ევროპასთან ვაჭრობდა.

სულთანის საქმის კურსში იყო თავისი მტრების საქმიანობის შესახებ. მან მათი ცალ-ცალკე განადგურება განიზრახა და, პირველ რიგში, მახვილი ტრაპიზონისკენ მიმართა. ტრაპიზონის დაპყრობით მეჰმედ II ერთდროულად ორ დიდ საქმეს გააკეთებდა: ჯერ ერთი, იგი მოსპობდა ტრაპიზონის იმპერიას, როგორც მტერს და, მეორეც, ამავე ღონისძიებით დაასუსტებდა აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს.

ტრაპიზონის დაცემა იმპერატორმა დავითმა თავისი უტაქტო

1 პაიჭაძე დ., დასხ. ნაშრომი, გვ. 106.

2 Heyd W., Op. cit., S. 363-364.

3 თამარაშვილი მ., დასხ. ნაშრ., გვ. 63.

1 თამარაშვილი მ., დასხ. ნაშრ., გვ. 63.

მოქმედებითაც დააჩქარა. მოკავშირეებისაგან დახმარების დაპირებით გადიდებული უზუნ ჰასანის ელჩების პირით სულთანს ყოველწლიური გადასახადის გაუქმება მოსთხოვა¹.

უზუნ ჰასანის შუამდგომლობამ და იმპერატორის პრეტენზიებმა სულთნის განრისხება გამოიწვია. მან დიდი ჯარის შეკრება ბრძანა, მაგრამ მიზანი არავის გაუმხილა², რადგან მეზობლების მიერ ტრაპიზონისათვის დახმარებას გამორიცხულად არ თვლიდა. ამიტომ სულთანმა გეგმა შეცვალა და თავდაპირველად ტრაპიზონის მოკავშირეების შემუსვრა განიზრახა.

მეჭმედ II-მ ჯერ სინოპის საამიროს შეუტია, რომელიც ტრაპიზონის უახლოესი მეზობელი და მოკავშირე იყო. ოსმალებმა სინოპი აიღეს 1461 წელს და უზუნ ჰასანის სამფლობელოებისაკენ გაემართნენ.

უზუნ ჰასანმა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება არჩია და მეჭმედ II-სთან მოსალაპარაკებლად თავისი დედა სარა-ხათუნი გაავზავნა. XV ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის ლაონიკე ხალკოკონდილეს გადმოცემით, მეჭმედს სარა-ხათუნისათვის განუცხადებია: იგი იმ შემთხვევაში გაბრუნდებოდა უკან. „თუ უზუნ ჰასანიც, თავის მხრივ, პირობას დადებდა, რომ მის ტერიტორიებს არ დაესხმოდა და მხარდაჭერას და დახმარებას არ გაუწევდა ტრაპიზონის მეფეს“³. როგორც ჩანს მშვიდობიანი შეთანხმება არ მოხერხდა. მეჭმედ II-მ ერზინჯანთან დაამარცხა უზუნ ჰასანი და უკან გაბრუნდა.

მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის დუკას ცნობით, სპარსეთიდან წამოსული სულთანი თავის ლაშქრით საქართველოში შემოსულა. ეს ისტორიკოსი წერს, რომ მეჭმედმა „განვლო არმენია, გადალახა მდ. ფაზისი, ზოგიერთი ქვეყანა ბრძოლით აიღო, ხოლო

1 გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VIII. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაყჩინიშვილმა, თბ., 1970, გვ. III.

2 Chalcocondilae Laonici. De rebus turcicis, Bonae, 1838, პ. 492. „გეორგიკის“ მე-8 ტომში, სადაც ლაონიკე ხალკოკონდილეს თხზულების ქართული თარგმანია, ეს ადგილი გამოტოვებულია.

3 გეორგიკა, VIII. გვ. 32.

რომლის იარაღით დამორჩილება შეუძლებელი იყო გვერდი აუარა და სურსათის ნაკლებობით შევიდა კოლხეთში“¹.

ამგვარად, ზემომოყვანილი ცნობა თუ სიმართლეს შეეფერება, მაშინ გასაგები ხდება, რომ მეჭმედ II-მ მიზანს მიაღწია. მან ტრაპიზონის სამეფოს მეზობელი მოკავშირეებისაგან დახმარების მიღების საშუალება მოუსპო. მართლაც, ოსმალების პირისპირ მართოდ-მართო დარჩენილი ტრაპიზონი იძულებული გახდა 1461 წ. 26 ოქტომბერს მტერს უბრძოლველად დანებებოდა.

ტრაპიზონის იმპერიის დაცემა დიდი დარტყმა იყო მისი მოკავშირეებისთვის. ეს ფაქტობრივად ოსმალეთის აღმოსავლელი მოწინააღმდეგეების მარცხს ნიშნავდა.

მომხდარი ფაქტი განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოსათვის, რომელმაც ტრაპიზონის სახით არა მხოლოდ ერთმორწმუნე, არამედ, ამავე დროს, საქართველოს სამეფო კართან ნათესაურ კავშირში მყოფი სახელმწიფო დაკარგა.

ტრაპიზონის იმპერიის დაცემა დიდი დანაკარგი იყო უზუნ ჰასანისათვისაც. მან მოყვარესა და მოკავშირესთან ერთად ზღვაზე გასასვლელიც დაკარგა. ამის გამო იყო, რომ იგი ოსმალებთან შემდგომი ბრძოლის დროს უპირველეს მიზნად ტრაპიზონის იმპერიის აღდგენას ისახავდა.

როდესაც ოსმალეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძალების გაერთიანების პირველ ცდაზე საუბარი უკვე დავამთავრე, არ შეიძლება არ გავიხსენო ერთი მოსაზრება, რომელიც წამოაყენა გერმანელმა მეცნიერმა ვალტერ ჰინცმა. იგი ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთში ტრაპიზონ-საქართველო-მესოპოტამიის (ე.ი. აყ-ყოიუნლუს) სამთა კავშირი არსებობდა და ამ კავშირში წამყვანი მდგომარეობა აყ-ყოიუნლეს სახელმწიფოს ეკავა². მაგრამ, ამგვარი მოსაზრების მტკიცების საფუძველს არ გვაძლევს XV საუკუნის 50-იანი წლების დასასრულისა და 60-იანი წლების

1 ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით, „კოლხეთი“ სინონიმია „ტრაპიზონის სამეფოსი“, იქვე, შენ. 2, გვ. 27- 28.

2 Hinz W. Irans Aufstieg zum Nationalstaat im fünfzehnten Jahrhundert, Berlin und Leipzig, 1936, S. 43.

დასაწყისის ის დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, რომლებსაც უკვე გავეცანით. პირიქით, წამყვანი ადგილი საქართველოსა და ტრაპიზონს უფრო ეკავა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უზუნძასანი გარკვეულ გავლენას ახდენდა საქართველოს მეფე-მთავრებზე მათ შორის მშვიდობის დამყარებისათვის, რადგან მის მიზნებს შეესაბამებოდა ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის წინააღმდეგ. ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ აყ-ყოიუნლუს მუსლიმანური სახელმწიფო სამხედრო თვალსაზრისით ჯერ იმდენად ძლიერი არ იყო, რომ ევროპის სახელმწიფოთა კარზე, ამასთან ერთად სხვა მომენტებიც არ გაეთვალისწინებინათ და აქცენტი გადაეტანათ მის შეიარაღებულ ძალებზე. მას ჯერ კიდევ არ დაესრულებინა ყარა-ყოიუნლუს თურქმანებთან ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. შემდეგ, 60-იანი წლების შუახანიდან, მდგომარეობა სრულიად შეიცვალა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო გადაიქცა ოსმალეთის მთავარ მეტოქედ აღმოსავლეთში. შეცვლილი ვითარება უზუნძასანის დიპლომატიურ და სამხედრო საქმიანობაში და მისადმი ევროპელთა დამოკიდებულებაშიც აისახა, რაც ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული.

3. საქრთაშორისო ურთიერთობანი ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად XV ს. 70-იან წლებში და საქართველო

1463 წელს დაიწყო ვენეცია-ოსმალეთის ომი. როგორც უკვე ითქვა, ამ ომისათვის საკმაოდ ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები არსებობდა. ომის პირველი წელი ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. იმავე დროს რესპუბლიკა ჩრდილო იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან კონფლიქტისაც არ ერიდებოდა, რითაც იგი საგრძნობლად დასუსტდა.

ვენეციელები მალე დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით ოსმალეთს ვერ დასძლევდნენ და განიზრახეს ამ ომისათვის ჯვაროსნული ხასიათი მიეცათ, რომლის განხორციელებას

ერთ დროს თვითონვე უშლიდნენ ხელს. მაგრამ როდესაც ვითარება მათთვის არახელსაყრელი შეიქმნა, ჯვაროსნული ომის დაწყება, უკვე სასურველი იყო.

ვენეციის რესპუბლიკამ ისევე, როგორც ერთ დროს რომის პაპმა, ოსმალეთის მეზობლების ანტიოსმალურ ლიგაში ჩაბმას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. მან კარგად იცოდა, თუ რადიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პოზიციას, რასაც ომის დროს დაიკავებდნენ ოსმალეთის აღმოსავლელი მეზობლები, ისინი, რომლებიც ცოტა ხნის წინათ თვითონვე სთხოვდნენ ვენეციელებს და ევროპის სახელმწიფოებს ანტიოსმალური ლიგის შექმნას.

1463 წლის 2 დეკემბერს ვენეციის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება დაკავშირებოდა უზუნძასანს და ყარამანიის მთავარ ფირ ახმედს, რომელთანაც 1453 წლიდან სავაჭრო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. სენატმა ვენეციელ დიდებულს ანდრეა კორნაროს დაავალა დასახელებულ მბრძანებლებთან გამგზავრებულის იმ შემთხვევაში თუ კორნარო უზუნძასანის კარზე მისვლას ვერ შეძლებდა, მაშინ იქ ლაზარო კვირინო უნდა გაეგზავნა¹. სენატის იმავე სხდომაზე გადაწყდა, გაეგზავნათ ელჩები ბურგონის ჰერცოგთან, საფრანგეთის, სიცილიისა და პორტუგალიის მეფეებთან. დაადგინეს გაეგზავნათ წერილები უნგრეთისა და ჩეხეთის მეფეებთან ოსმალეთის წინააღმდეგ „ომში მოსაპატიჟებლად“.

ანდრეა კორნარომ თავისი მისია ყარამანიაში წარმატებით შეასრულა², ხოლო, ვენეციის სენატის დავალების თანახმად, ლაზარო კვირინო უზუნძასანთან გაგზავნა. ლაზარო კვირინო პირველი ოფიციალური წარმომადგენელი იყო ვენეციის რესპუბლიკისა უზუნძასანის კარზე³.

ვიდრე კვირინო დანიშნულების ადგილს მიაღწევდა, მანამდე

1 Berchet G. *La Repubblica di Venezia e la Persia*, Torino, 1865, p. 103-104.

2 *Ibidem*, p. 104

3 Marin. *Storia civile e politica del commercio de'Veneziani di Carlo Antonio Marin Patrizio Veneto*, v. IV, in *Vinegia*, 1800, p. 186. ზ. ავალიშვილი, რუმინელი ისტორიკოსის იორგას ნაშრომზე დაყრდნობით, ფიქრობდა, რომ ვენეცია-აყ-ყოიუნლუს ურთიერთობა დაიწყო 1471 წელს. ლაზარო კვირინოს შესახებ იხ. Berchet G., *Op. cit.*, p. 104; Foscarini M. *Della Letteratura veneziana, libro otto*, v. I, Padova, 1752, p. 409.

უზუნ ჰასანმა, შეიტყო თუ არა ვენეცია-ოსმალეთის ომის დაწყება, საჭიროდ ჩათვალა ვენეციასთან კავშირის დამყარება და თავისი ელჩი მამეტანაზაბი (**Mametanzab**) გააგზავნა. ელჩი ალექსოა და როდოსზე გავლით 1464 წლის 13 მარტს ვენეციაში ჩავიდა¹. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. გადაწყდა, ორივე სახელმწიფოს ერთდროულად, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, დაეწყო საომარი მოქმედება. უზუნ ჰასანის ლაშქარს 1465 წლის მარტში დარღვევამდე უნდა მიეღწია და ამგვარად ხელი შეეწყო ვენეციის ფლოტის კონსტანტინოპოლზე თავდასხმისათვის. ის ტერიტორიები, რომლებსაც უზუნ ჰასანი დაიპყრობდა, მის სამფლობელოებს შეუერთდებოდა, ხოლო ვენეციის ფლოტის დახმარებით დაპყრობილი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები ვენეციის რესპუბლიკის საკუთრებაში გადავიდოდა. რათა ომი საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანათ, მოკავშირეებს ეკრძალებოდათ ოსმალეთთან სეპარატიული ზავის დადება.

მეჰმედ II პასიური დამკვირვებელი არ იყო. იგი ჯეროვნად აფასებდა ვენეციის ძალას და ცდილობდა მოეძებნა მოკავშირეები მის წინააღმდეგ. 1464 წელს მილანში მივიდა ოსმალეთის ელჩი, რომელიც ღირსეულად მიიღეს, მაგრამ ვენეციის წინააღმდეგ დახმარებაზე უარი მოახსენეს².

ვენეცია-ოსმალეთის ომის დაწყება პაპმა პიუს II-მ ხელსაყრელ მომენტად ჩათვალა და თვითონაც დაიწყო ჯვაროსნული ომის იდეის განხორციელებისათვის მოქმედება. მისი მოღვაწეობა მიმართული იყო ისეთი ანტიოსმალური ლიგის შექმნისაკენ, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა მთელი ქრისტიანული სამყარო³, მაგრამ პაპმა ვერაფერს მიაღწია.

1465 წელს ვენეციაში მივიდა უზუნ ჰასანის მეორე ელჩი. მას ევალეობდა 1464 წლის ხელშეკრულების განმტკიცება⁴. აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს იმ დროს ჯერ კიდევ არ შეეძლო ომში ჩაბმა.

იგი ყარა-ყოიუნლუს (შავბატკნიანები) ებრძოდა. ვენეციისა და აყ-ყოიუნლუს კავშირს რესპუბლიკისათვის მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მეჰმედ II იძულებული იყო ყურადღება აღმოსავლეთის საზღვრებისთვისაც მიექცია.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ოსმალეთთან ომის პირველ პერიოდში (1463-1471) ვენეცია ვერც აღმოსავლეთიდან და ვერც დასავლეთიდან რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდა, მას ომის წარმოება მხოლოდ საკუთარი ძალებით მოუხდებოდა. ოსმალეთთან ომი დიდძალი ფულადი სახსრების მობილიზებას მოითხოვდა. ვენეციის ხაზინა კი თანდათან ცარიელდებოდა, რასაც აღმოსავლეთთან ვაჭრობის შეკვეცამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ვენეციის ხელისუფლებამ სცადა სხვა სახელმწიფოებისაგან ფულადი დახმარება მაინც მიეღო, მაგრამ ამის მიღწევა მაშინდელ ევროპაში იოლი საქმე არ იყო.

1468 წელს იტალიაში შეიქმნა ლიგა, რომლის წევრებსაც სხვადასხვა ვალდებულებებთან ერთად ანტიოსმალური ომის საწარმოებლად ყოველწლიურად 100 ათასი ლუკატი უნდა შეეგროვებინათ. ლიგის შექმნის ინიციატორი იყო პაპი პავლე II (პიეტრო ბარბო, 1464-1471), რომელმაც დებულებაში მუხლი ფულადი გადასახადის შესახებ ვენეციელების წაქეზებით შეიტანა და ხელშეკრულებასაც პირველებმა მათ მოაწერეს ხელი. მაგრამ ნეპოლიტანიის მეფე ფერდინანდმა, მილანის ჰერცოგმა და ფლორენციის რესპუბლიკამ განცვიფრება გამოხატეს პაპის ამ ღონისძიების გამო. პაპს ვენეციისადმი მიკერძოება დააბრალებს და განაცხადებს, რომ იგი როგორც ვენეციის ყოფილი მოქალაქე, რესპუბლიკისათვის დახმარებას ცდილობდა. ამავე დროს ისინი პაპს იტალიაში მშვიდობის დამრღვევსა და ყაჩაღს უწოდებდნენ. ამ აზრს სხვა სახელმწიფოთა მეთაურებიც იზიარებდნენ¹. ვენეციისათვის მისი მეზობლების ამგვარი განწყობილება უაღრესად არასასურველი იყო. უფრო მეტიც: მისი მეტოქეები – ფლორენცია

1 Berchet G., Op. cit., p. 104.

2 Leo H. Geschichte von Italien, Hamburg, 1829, S. 163.

3 Julien F., Papes et Sultan, Paris, 1879, p. 104-106

4 Махмудов Я. Взаимоотношения государства Ак-коюнлу с Венецией (60-70 гг. XV века). Автореферат, Баку, 1966, с. 11.

1 Muratori L. A., Geschichte von Italien von Anfange der christliche Zeit-Rechnung bis auf des Jahre 1500. Aus dem italienischen übersetzt, Theil IX, Leipzig, 1750, S. 417.

და გენუა, სულთანთან შეთანხმებით ვენეციელებს თანდათან დევნიდნენ აღმოსავლეთის ვაჭრობიდან და მათ პრივილეგიებს ეპატრონებოდნენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ოსმალეთსა და ვენეციას შორის შეთანხმება არ მომხდარიყო და სულთანს მის წინააღმდეგ აქეზებდნენ. ფლორენციისა და გენუის ჯაშუშები ხელთ იგდებდნენ თუ არა ვენეციელების სხვადასხვა ქვეყნებთან გაფორმებულ ანტიოსმალური ხასიათის დოკუმენტებს, მაშინვე სულთანს გადასცემდნენ¹. ისინი სულთანს სხვა ქვეყნებთან შუამავლობდნენ ვენეციის წინააღმდეგ. მათივე დახმარებით იქმნებოდა ოსმალეთის საომარი გეგმები.

როგორც ითქვა, ვენეცია-ოსმალეთის ომის პირველი პერიოდი ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. ვენეციელები თუ ზღვაზე გასაქანს არ აძლევდნენ ოსმალების ფლოტს, სამაგიეროდ ოსმალები ხმელეთზე მძლავრობდნენ. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ძალთა თანაფარდობა ოსმალების სასარგებლოდ იცვლებოდა. ოსმალეთის ფლოტი იმდენად გაძლიერდა, რომ ვენეცია მარცხს მარცხზე განიცდიდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1470 წ. 12 ივნისს ოსმალების მიერ კ. ნეგროპონტეს (ეგბეა) დაპყრობა. რესპუბლიკისათვის ეს იმდენად დიდი დატყმა იყო, რომ იგი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა იმ პირობით, რომ კუნძულს უკან დაუბრუნებდნენ. სულთანმა ამის გაგონებაც კი არ ისურვა.

ნეგროპონტეს დაცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ იტალიაზე. თითქოს ისეთი ვითარება შეიქმნა, როცა იტალიის სახელმწიფოების ერთმანეთთან შეკავშირება შეიძლებოდა. მართლაც 1471 წლის იანვარში ჩამოყალიბდა ახალი ლიგა, რომელშიც შევიდნენ: ფლორენციის რესპუბლიკა, არაგონის სამეფო, ფერარისა და მოდენის საჰერცოგოები, მანტუისა და მონფერატის სამარკიზოები, სავოის საჰერცოგო და სიენისა და ლუკას რესპუბლიკები².

1 Zinkeisen I., W. *Geschichte des osmanischen Reiches in Europa*, II, Gotha, 1854, S. 435.

2 Galibert L., *Histoire de la République de Venise*, Paris, 1847, p. 156

ლიგაში განხეთქილების შეტანის მიზნით, ოსმალებმა ვენეციელებს საზავო მოლაპარაკების დაწყება შესთავაზეს³. ვენეციელები-სათვის გასაგები იყო სულთნის მანევრი და გადაწყვიტეს დრო არ დაეკარგათ და შემდგომი ბრძოლისათვის მომზადებულიყვნენ.

ვითარება იცვლება აღმოსავლეთშიც. იქაური მეფე-მთავრები ხელახლა იწყებენ მოკავშირეების ძებნას დასავლეთში.

XV ს. 70-იანი წლების დასაწყისში აყ-ყოიუნლუს სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. მისი სამფლობელოები, კატერინო ძენოს მიხედვით, „შემოსაზღვრული იყო აღმოსავლეთიდან მდინარე ინდით და სათათრეთით², დასავლეთით — სამცხით, ტრაპიზონით, ყარამანიით, სირიით, მცირე სომხეთითა და მდინარე ევფრატით. სამხრეთიდან არაბეთითა და ინდოეთის ზღვით, ჩრდილოეთიდან კასპიის ზღვით³.

ევროპაში უზუნ ჰასანსა და მის ლაშქარზე დიდ იმედს ამყარებდნენ. უზუნ ჰასანს იმედის თვალთ შეჰყურებდნენ როგორც ცოტა ხნის წინათ ტრაპიზონიდან განდევნილი კომნენოსები, ასევე ოსმალების მიერ დამარცხებული ყარამანიელები. ვენეცია ცდილობდა დაკარგული სამფლობელოების დაბრუნებას და ვენეციის სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობის აღდგენას აღმოსავლეთში. კათოლიკური ევროპის მეთაურს, პაპს, უზუნ ჰასანის ხელით სურდა ქრისტიანთა კეთილდღეობის მოგვარება.

ამავე პერიოდში, კოალიციის შექმნის მიზნით, მყარდება კავშირი საქართველოს სამეფო-სამთავროებსა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს შორის. დოკუმენტებში აისახა ის ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობა, რასაც ისინი ერთობლივად აწარმოებდნენ ევროპის სახელმწიფოებთან ანტიოსმალური ძალების გაერთიანების მიზნით. უზუნ ჰასანისათვის ოსმალეთთან ომის პი-

1 Leo H., *Op. cit.*, S. 173.

2 XV საუკუნის მოგზაურები სათათრეთში გულისხმობდნენ ოქროს ურდოს, ყივჩაღეთს.

3 Zeno, *Dei commentarii del viaggio in Persia e del guerra persiane*, Venezia, 1558, p. 8. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალ-იშვილმა, თბ., 1981, გვ. 20.

რობებში საქართველოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ ერთი, სამხედრო თვალსაზრისით, უზუნ ჰასანისათვის მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მეფე-მთავრებისაგან დახმარების მიღებას იმ სახით, როგორც ისინი 60-იანი წლების დასაწყისში სავარაუდო მოკავშირეებს ჰპირდებოდნენ. საქართველოსთან კავშირს პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. მაშინ აღმოსავლეთში საქართველოს გარდა სხვა ქრისტიანული სახელმწიფო აღარ არსებობდა. ევროპასთან ურთიერთობის დროს კი, როდესაც რელიგიური მოტივები დიდ როლს ასრულებდა, ამ გარემოებას ისეთი მოქნილი პოლიტიკოსისათვის, როგორც უზუნ ჰასანი იყო, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა აღნიშნულისა, საქართველო უზუნ ჰასანისათვის ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის დროს არა მარტო მოკავშირე შეიძლებოდა ყოფილიყო, არამედ შუამავალიც ევროპის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებისას.

უზუნ ჰასანს კარგად ესმოდა, როგორი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში ისეთი აზრის შექმნას, თითქოს აყ-ყოიუნლუს მბრძანებელი ქრისტიანების მეგობარი იყო და ამის დასტურად ქართველებთან მოჩვენებითი მეგობრობის დემონსტრირებაც საკმარისი იქნებოდა. მართლაც, ერთ-ერთი ლათინური ქრონიკის მიხედვით, XV ს. 70-იანი წლების დასაწყისში უზუნ ჰასანი ევროპაში ცნობილი იყო, როგორც „ქრისტიანების ერთგული მეგობარი“ და, თითქოს იგი ჯვარსაც კი ატარებდა მარჯვენა მხარეზე¹. ეს ლეგენდა ოსმალებისაგან შეშინებული ევროპელების ფანტაზიის ნაყოფი იყო. მათ სურდათ უზუნ ჰასანი ისეთივე უნებლიე მხსნელად წარმოედგინათ, როგორც თემურლენგი იყო იმავე საუკუნის დასაწყისში. მან ზომ ოსმალეთზე თავდასხმით, მართალია დროებით, მაგრამ მაინც, გარდაუვალი ხიფათი ააცილა არა მხოლოდ ბიზანტიას, არამედ აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებსაც.

ევროპაში უზუნ ჰასანის პოპულარიზაციის საქმეში ქართველებსაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვოდათ. გავისხენოთ მათი წერილები გაზავნილი ევროპაში, რომლებშიც უზუნ ჰასანი ქრისტიანობის საქმის დამცველად არის წარმოდგენილი. მაგრამ, თუ

რას ნიშნავდა მისი „სიყვარული“ და „მეგობრობა“ საქრისტიანოსადმი, ამის თვალსაზრისით მაგალითი ისევ საქართველო იყო, რომელიც მან 1458, 1463, 1466, 1472, 1477 წლებში ძირითადად გაძარცვის მიზნით დალაშქრა¹. უზუნ ჰასანისაგან გამუდმებული მუქარისა და ევროპასთან ურთიერთობის დიდი სურვილის გამო ქართული სამეფო-სამთავროები იძულებული იყო უზუნ ჰასანთან თანამშრომლობა გაეგრძელებინა.

უნგრეთის ელჩის მიერ 1471 წლის 12 აპრილს ვენეციიდან გაგზავნილ წერილში, ლაპარაკია საქართველოს მეფე კონსტანტინეს² ელჩების ვენეციაში ჩასვლაზე. მათ განუცხადებიათ, რომ საქართველოს მეფე კონსტანტინე უზუნ ჰასანის ნათესავი და მოკავშირე იყო. კონსტანტინე აპირებდა იმავე წლის გაზაფხულზე 30 ათასი მხედრით ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლას. ელჩებს უთქვამთ აგრეთვე, რომ მათთან ერთად გამოვიდოდა უზუნ ჰასანი უზარმაზარი ჯარით³.

საფიქრებელია, საქართველოს წარმომადგენლებს ნიადაგი უნდა შეემზადებინათ შემდგომი მოლაპარაკების დასაწყებად. ვენეციის მთავრობას მაშინვე განუცხადებია თანხმობა ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ⁴. წყაროები არ ადასტურებს ზ. ავალიშვილის მოსაზრებას, თითქოს ქართველი ელჩის ვენეციაში ჩასვლა გახდა მიზეზი სენატის მიერ უზუნ ჰასანთან გასაგზავნად ელჩად კატერინო ძენოს არჩევისა⁵. იმავე წლის აპრილში ვენეციაში იმყოფება ახალი ელჩობა, რომელშიც საქართველოს და აყ-ყოიუნლუს წარმომადგენლები შედიოდნენ. ამ ელჩობის ვენე-

1 Ibidem, S. 137-139.

2 ეს არის ქართლის მეფე კონსტანტინე II, რომელიც, მართალია 1478-1505 წლებში მეფობდა, მაგრამ მანამდე, 1466 წლიდან ბაგრატ VI-სთან ტახტისათვის ბრძოლის პერიოდში თავის თავს მეფეს უწოდებდა და გარკვეულ ტერიტორიაზე ძალაუფლებაც ჰქონდა. საგულისხმოა, რომ კონსტანტინე ტახტისათვის ბრძოლისას უზუნ ჰასანის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა.

3 Magyar diplomáciai emlékek Mátyás király korából 1458-1490. `Monumenta Hungariae Historia~, t. I, Budapest, 1877, p. 212.

4 Авалов З., Забитая вариация об одной исторической теме (из истории Восточного вопроса XV столетия), Прага, 1925, с. 245.

5 Там же, с. 246.

1 Hinz W., Op. cit., S. 122.

ციაში ყოფნის და მათი ვენეციის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება აისახა ჩვენამდ მოღწეულ რამდენიმე წერილში. მართალია, ისინი არ გამოირჩევა ინფორმაციის სიუხვით, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის გარკვეულ სიახლეს შეიცავენ, მოვიყვან მათ მთლიანად.

1471 წ. 22 აპრილის წერილიდან, რომელიც გაგზავნილია სიცილიის მეფის კარზე ვენეციის წარმომადგენლის ვეტორე სორანცოსთვის¹, ვიგებთ, რომ ელჩებს საიდუმლოდ უმოგზაურიათ ჯერ ტრაპიზონიდან მონკასტრომდე, შემდეგ პოლონეთის მეფე კაზიმეჟ IV-სთან მისულან. ვენეციისკენ მიმავალთათვის კაზიმეჟს, ალბათ, გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ, თავისი ელჩიც გაუყოლებია². ვენეციაში ელჩებს განუცხადებიათ, რომ მათი მეფეები მზად არიან გაილაშქრონ სულთნის წინააღმდეგ და თუ ევროპელი ქრისტიანებიც ასე იმოქმედებენ, მაშინ წარმატება მიღწეული იქნება.

„1471 წლის 22 აპრილი.

ჩვენი მრჩეველი ელჩი სირ ვიქტორი სიცილიის უბრწყინვალეს მეფესთან.

ჩვენი თანდასწრებით ამ დღეს იყო უბრწყინვალესი პოლონეთის მეფის ელჩი. მან ზემოაღნიშნული მეფის სახელით, რაზედაც ზოგადად ვილაპარაკეთ რომში, სულთნის განზრახვის ირგვლივ ძალიან ფართედ ილაპარაკა, მიგვიპატიჟა და დიდი პატივი გვცა. გავიხსენეთ ამ საკითხის ირგვლივ რაც შეიძლება თქმულიყო და თითოეულმა საქებარი ქრისტიანული სიტყვებით გაიგო და ამგვარად ერთმანეთს შევეპასუხეთ. მასთან ერთად მოვიდა ორი ელჩი, ერთი უზუნ ჰასანისაგან (**Osson Cassan**) და მეორე საქართველოს მეფისაგან (**del re de Zorzania**). ამ მხრიდან წამოვიდნენ, როგორც პირველი ისე მეორეც. უზუნ ჰასანის ელჩმა გაიარა შავი ზღვა ტრაპიზონიდან და მონკასტროდან. ინკოგნიტოდ ჩავიდა პოლო-

ნეთში და მას თან ახლდა, როგორც ზემოთ აღვწერეთ, [საქართველოს] მეფის ელჩი, ჩამოვიდნენ აქ [ვენეციაში] და თითოეულმა სთქვა: მათი მეფეები მზად არიან სულთნის წინააღმდეგ გაილაშქრონ და სასიძოვნო ის არის, რომ ასევე იმოქმედებენ [ევროპელი] ქრისტიანებიცო. ჩვენც დროულად ვუპასუხეთ სიამოვნებაზე სიამოვნებით და წინადადებაზე-წინადადებით.

ყველა ეს ცნობა ჩვენ მივაწოდეთ ანჯოლ დატრის (**Anzol Datri**), მეფის ელჩს. მან, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, უსათუოდ აცნობა ზემოხსენებულ მის უმაღლესობას მეფეს, რომელსაც ჩვენი მხრიდანაც შევატყობინებთ, როცა მივწერთ სამეგობრო სამსახურისა, მოვალეობისა და ჩვენი კავშირის შესახებ³.

უზუნ ჰასანი ვენეციას აღრინდელი გეგმის განხორციელებას სთავაზობდა: თუ ვენეციის სამხედრო ფლოტი ხმელთაშუა ზღვიდან დაიწყებდა ოსმალების შევიწროებას, თვითონ კი თავისი ცხენოსანი ჯარით შეუტევდა, ასეთი შეთანხმებული მოქმედებით სულთანს ადვილად წაართმევდნენ ევროპასა და აზიაში დაპყრობილ ტერიტორიებს. ცნობები ამ ელჩობის შესახებ მოცემულია კატერინო ძენოს „მოგზაურობის კომენტარებში“, მაგრამ მისი წევრები წარმოდგენილი არიან როგორც უზუნ ჰასანის ელჩები.

ძენოს მიხედვით, ელჩობა ოთხი წევრისაგან შესდგებოდა. ესენი იყვნენ: „აზიმამეტი², მორატი³, ნიკოლო და კეფარსა⁴ –

1 **Cornet E., Op. cit., p. 25.**

2 ლ. ტარდის მიხედვით ეს არის ზაჯი-მოჰამედი. ტარდი ლ., უზუნ ჰასანის (1453-1478) ელჩი კატერინო ზენო საქართველოს გავლით უნგრეთის მეფე მათიაშთან (1458-1490). „ქართული დიპლომატია“, წელიწადი, II, თბ., 2004, გვ. 95.

3 ეს, ალბათ ის სომეხი ელჩი მორაკია, რომელიც უზუნ ჰასანის დავალებით რომში დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა 1469-1470 წლებში. ის ამბროჯო კონტარინის ყირიმში შეხვდა (**Ramusio, II, Op. cit., p. 114r**). როგორც ვარაუდობენ მორატი (იგივე მირატი ან მურატი) ცნობილი ჯულფელი ვაჭარი ხოჯა მირაკი უნდა ყოფილიყო, რომელიც 1477 წელს მოკლეს (**Тер-Аветисян С. И., Город Джуга, материалы по истории торговых отношении джюльфинских купцов XV-XVII вв., Тб., 1937, с. 20, 22**).

4 კეფარსა, იგივე „ბეი ისაკი“, „უზუნ ჰასანის ელჩი, ეროვნებით ესპანელი და სარწმუნოებით ებრაელი“, „უზუნ ჰასანის მთავარი ექიმი“ ყოფილა. **Cornet E., Op. cit., p. 39.**

1 **Cornet E., Le guerre dei Veneti nell'Asia 1470-1474. Documenti cavati dal Archivio al Frari in Venezia e pubblicati per Enrico Cornet, Vienna, 1856, p. 25.**

2 ნ. იორგას მიხედვით, ვენეციაში მხოლოდ უზუნ ჰასანისა და პოლონეთის ელჩები მისულან. იგი იმავე წყაროს იმოწმებს, რომელიც ზემოთ დავასახელებ. **Jorga N., Geschichte des osmanischen Reiches. Nach den Quellen dargestellt. II, Gotha, 1910, S. 163.**

სერიოზული ადამიანები, რომლებსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ. მათ დაავალა მეფემ მისი სახელით შეეკრათ კავშირი [თურქეთის] სულთნის და [ევგვიპტის] სულთნის წინააღმდეგ, ოღონდ ვენეციელების საზღვაო ფლოტს მოსვენება არ უნდა მიეცა არც ერთისა და არც მეორისათვის⁴¹. ამ ელჩობის შემდეგ აირჩია ვენეციის სენატმა კატერინო ძენო ელჩად უზუნ ჰასანის კარზე².

ძნელია გარკვევა დასახელებულ ელჩებს შორის რომელი იყო (ან იყვნენ) საქართველოს წარმომადგენელი. ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ პირველი, ე. ი. აზიმამეტი ვენეციაში დარჩა, დანარჩენი სამი კი პაპთან და ნეაპოლის მეფესთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრნენ³, რათა ისინი ანტიოსმალურ ლიგაში ჩაებათ⁴.

აზიმამეტის ვენეციაში დარჩენა ზ. ავალიშვილმა იმის საბუთად მიიჩნია, რომ ელჩობის სხვა სამი წევრი ქართველებად გამოეცხადებინა. ვითომც აზიმამეტი, როგორც მაჰმადიანი, რელიგიური მოსაზრებით დატოვეს ვენეციაში, რომ მაჰმადიანთან საქმის დაჭერით პაპი უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდიყო⁵. მაგრამ დასადგენია, მაჰმადიანი იყო თუ არა აზიმამეტი.

ცნობილია, რომ უზუნ ჰასანი ევროპაში გასაგზავნ დიპლომატებს შორის უპირატესობას ქრისტიან ვაჭრებს ანიჭებდა⁶, რადგან მათ ქრისტიან ხელმწიფეებთან ურთიერთობის მეტი საშუალება ჰქონდათ. ისიც ცნობილია, რომ 1460 წ. აღმოსავლეთიდან

1 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 21

2 ცნობილია ძენოს პოლონეთიდან თავრიზამდე მოგზაურობის მარშრუტი: პოლონეთიდან მეფის მიერ გატანებული მცველთა რაზმით, ძენო კაფამდე მივიდა, კაფიდან სებასტოლისამდე (სოზუმი) გემით იმგზავრა. აქედან ძენო საქართველოს მეფის მიერ გამოყოფილი გამყოლების თანხლებით გაივლის საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს და უზუნ ჰასანის კარამდე მიაღწევს. ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა, გვ. 23-24.

3 ლ. ტარდი, ძენოსავე ცნობაზე დაყრდნობით ამბობს, რომ „ებრაელი ექიმი ისააკი პაპს ეწვია, შემდეგ – უნგრელ და ნეაპოლიტანელ მეფეებს“, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ძენოს მიხედვით აზიმამეტი ვენეციაში დარჩა, ხოლო სამი ელჩი კი დასახელებულ ქვეყნებს ეწვია.

4 იქვე.

5 **Авалов З., Забитая вариация об одной исторической теме, с. 246-247.**

6 Петрушевский И.П., Азербайджан в XVI-XVII веках. «Сборник статей по истории Азербайджана», вып. I, Баку, 1949, с. 173.

გაგზავნილ იმ ელჩებს შორის, რომლებიც პაპს ეახლნენ, უზუნ ჰასანის ელჩი „თურქმენი მაჰმუტცი“ იმყოფებოდა¹.

დაბოლოს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასახელებული ოთხი ელჩიდან ერთი, ნიკოლო, ის ნიკოლოზ თბილელი ხომ არ იყო იყო, რომელმაც 1460-1461 წლებში ევროპა მოიარა, როგორც გიორგი VIII-ის ელჩმა? ასეთი ვარაუდის დაშვება სრულიად სამართლიანია, რადგან უზუნ ჰასანს ევროპაში ქრისტიან ქართველებთან კარგი ურთიერთობის დემონსტრირება სჭირდებოდა.

1471 წლის აპრილში ჩასული ელჩები, როგორც იმავე წლის 25 ოქტომბრის წერილიდან ჩანს (იგი ნეაპოლიტანიის მეფის კარზე ვენეციის რესპუბლიკის ელჩისთვისაა გაგზავნილი), სექტემბრის დასაწყისამდე იქ დარჩენილან². წერილიდან ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ერთი გარემოება: პაპს თავისი კაცი გაუგზავნია აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოსა და საქართველოში. საერთოდ, პაპი, როგორც სხვა წერილებიდანაც ჩანს, კარგად იყო ინფორმირებული საქართველოს შესახებ. ისიც ჩანს, როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროპელები ანტიოსმალურ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობის საკითხს.

1471 წ. 10 სექტემბერს პაპ სიქსტუს IV-ისათვის გაგზავნილი ანონიმური წერილით (მისი ავტორი ვენეციელი უნდა იყოს) დასტურდება, რომ საქართველოს მეფე ალექსანდრე³ და უზუნ ჰასანი ოსმალეთს ებრძოდნენ. მათი ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ, როგორც წერილშია ნათქვამი, ქრისტიანებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ოსმალების წინააღმდეგ საერთო ლაშქრობის დასაწყებად. პაპს საქართველოსა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოში თავისი ელჩიც გაუგზავნია ერთობლივი მოქმედების შესათანხმებლად.

„1471 წლის 10 სექტემბერი.

პაპ სიქსტო IV-ს.

დიდად სახელოვანი და უბრწყინვალესი საქართველოს მეფის

1 მ. თამარაშვილის ფონდი, № 1053, გვ. 30

2 **Cornet E., Op. cit., p. 31**

3 უნდა იყოს კონსტანტინე II, ალექსანდრე I დიდის შვილიშვილი.

ალექსანდრეს (Alexsandri regis) უზუნ ჰასანთან მოლაპარაკების შესახებ, ჩვენ გავიგეთ თქვენი უწმინდესობის მოწერილობიდან. ცნობა მოგვაწოდა საპატიო კეთილშობილმა ჩვენმა მორჩილმა ძმამ, უფროსმა ბეტრუჩიო კონტარინიმ (Betrucius Contarenum priorem) და სხვ. ყველაფერი ეს ჩვენ ძალიან გვესიამოვნა. ასეთი ცნობის გამო საუკუნო მადლობას მოგიძღვებით თქვენს უნეტარესობას, თქვენ, რომელმაც ელჩი გააგზავნეთ წინადადებით მათ მეფეებთან. ჩვენ გვგონია, რომ ეს ძალიან ჭკვიანური და მეტად სასარგებლო საკითხია ქრისტიანებისათვის. დიდ საქმეს გააკეთებდით მეფეებისადმი მოწოდებით, იმედისა და დაპირებების გაზრდით და ურჯულ სულთნის წინააღმდეგ ძალიან გამამხნეველი სიტყვებით. თუმცა ისინი ძლიერნი არიან და ხალხიც იარაღსხმულია, ძალიან მამაცი ცხენოსნები არიან, იბრძვიან თურქული ცბიერებით, მაგრამ დიდ საქმეს გააკეთებს ყმების შინაგანი სიძულვილი თურქების იმპერატორის ცბიერი ნიჭის მიმართ. ეჭვი არაა, რომ იმ მხრიდან მათ ართობენ და თავს არიდებენ, როგორც ეს შეუძლია ბარბაროსების ძალიან მრისხანე ხალხს, ისე, რომ დიდად შემწყნარებელი ქრისტიანებისათვის გაადვილებულია საერთო ლაშქრობა მტერზე თავდასხმისა და დასამორჩილებლად. უზუნ ჰასანის მიერ ჩვენთან წარმოგზავნილი კაცი¹, რომელიც ჩვენთან მოვიდა, ამ [სექტემბრის] თვეს გავისტუმრეთ და მას მის ხელმწიფე [უზუნ ჰასანთან] გავაყოლეთ ერთი ჩვენი კეთილშობილი ელჩი სრული დავალებით, რომ მან ამ საკითხზე ურჩიოს და გაამხნევოს იგი და სხვ. რაც თქვენს უწმინდესობის წარგზავნილს ადვილად შეეძლება მის შესაფერისად იმოქმედოს და საერთო საქმეზეც იზრუნოს თქვენი უწმინდესობის უმაღლესი ავტორიტეტის სახელით, რომელიც იმ მეფეებში მეტად ღირსეულ პატივისცემას იწვევს...“²

მოყვანილი წერილის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის გახსნასა და განმარტებაში გვეხმარება იმავე წლის 25 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელიც გაგზავნილია ნეაპოლის მეფე ფერდინანდის კარზე ვენეციის ელჩისათვის. მასში გადმოცემულია

1 იგულისხმება უზუნ ჰასანის ელჩი ბეი ისაკი.

2 Cornet E., Op. cit., p. 30.

აყ-ყოიუნლუს, პოლონეთის, საქართველოს ელჩების ვენეციაში ყოფნისა და დასახელებულ ქვეყნებში ვენეციის ელჩის – კატერინო ძენოს და პაპის ელჩის გაგზავნის შესახებ.

„1471 წლის 25 ოქტომბერი.

ჩვენს ელჩს მეფე ფერდინანდთან.

თქვენი მეოხებით, ბატონო ვიქტორ, მეორედ ვაცნობთ მის მეფურ უმაღლესობას, რომ ჩვენთან მოვიდა ხელმწიფე უზუნ ჰასანის ელჩი სირ ლადარო კვირინოსთან ერთად. ეს უკანასკნელი ჩვენი ჯარის მთავარსარდალია და იგი შემოხსენებულ უზუნ ჰასანთან გაგვავხნეთ. მერე მონკასტროს გზით პოლონეთზე და გერმანიაზე გავლით მოდიან ორნი: ერთი შემოხსენებული ხელმწიფე [უზუნ ჰასანის] სახელით და მეორე საქართველოს მეფის სახელით და ეს ორიც რომში მიდიან. რომის უმაღლესმა მღვდელმთავარმა მათ ჩააცვა, ძალიან კარგად მიიღო, აქედან ხელახლა გაგზავნა და თავისი ელჩი მორჩილი ძმა სან ფრანჩესკო, ძალიან ჭკვიანი კაცი, შემოაღნიშნული სინიორებს გააყოლა. ასევე ჩვენ ავირჩიეთ ელჩად შემოხსენებულ სინიორ უზუნ ჰასანთან გასავხანათ სირ კატერინო ძენო. აღნიშნული ელჩები წავიდნენ ჩვენი კატარღებით ალექსანდრიიდან კვიპროსის გავლით და აქედან ყარამანიის ქვეყანაზე, რომლის გასავლელად დროზე გავეცით ბრძანება. იქ გაგზავნილი წინადადების ფორმაში ფართედაა განხილული საკითხი, რომლის მიზანია დაარწმუნონ, გაამხნევონ და დაითანხმონ შემოხსენებული სინიორები სულთნის საწინააღმდეგოდ. ეს ასე მოხდება კიდევ, როგორც ამას გაიგებთ თქვენ და ჩვენც. დროდადრო შეატყობინეთ ხოლმე მის სამეფო უმაღლესობას და სხვ“¹.

1471 წ. 10 სექტემბრისა და 25 ოქტომბრის წერილებში ხსენებული ელჩი, რომელიც პაპს საქართველოსა და ირანში გაუგზავნია და, რომელიც 25 ოქტომბრის წერილში მოხსენიებულია „ძალიან ჭკვიან“ ფრანცისკანელ ბერად, ვფიქრობ, ლუდოვიკო ბოლონიელი იყო. იგი დაუღალავად მიმოდიოდა აღმოსავლეთის მეფე-მთავრებისა და საქართველოს მესვეურთა ანტიოსმალურ კოალიციაში გაერთიანებისათვის.

1 Ibidem, p. 31.

10 სექტემბრის წერილიდან ისიც ჩანს, რომ უზუნ ჰასანსა და ქართველ მეფეს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი იტალიელებისათვის სასურველი შედეგით დამთავრებულა. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის კონკრეტულად რაზე მოილაპარაკეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. ისინი, როგორც წერილშია ნათქვამი, მანამდეც ებრძოდნენ ოსმალებს. მათი ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ევროპელების მხარდაჭერის შემთხვევაში, როგორც იმავე ევროპაში ფიქრობდნენ, წარმატების მოპოვება გაადვილდებოდა. მაგრამ ვენეციის დიპლომატები ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად გამოეყენებინათ აღმოსავლეთის ანტიოსმალური ძალები და მათი საშუალებით განეხორციელებინათ თავიანთი სახელმწიფოს ინტერესები. ვენეცია ასეთ ტაქტიკას იყენებდა ოსმალეთთან მთელი ომის (1463-1479) დროს, ამ ომის გადამწყვეტ მომენტებშიც კი.

ვენეციის რესპუბლიკის ამგვარი პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა კატერინო ძენოს დიპლომატიური საქმიანობაც¹. მას ევალებოდა ყოველი ღონე ეხმარა, რათა საქართველოს და აყ-ყოიუნლუს მეთაურებს მალე დაეწყოთ შეიარაღებული ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. ძენოს საშუალებით ვენეციის რესპუბლიკა უზუნ ჰასანს აცნობებდა, რომ „სინიორია მას საჩუქრად უგზავნიდა 100 გალერას და სხვა მრავალ დიდ და მცირე ხომალდს, რომლითაც ზღვიდან უნდა ეწარმოებინა ბრძოლა სულთნის სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხოლო უზუნ ჰასანი მთელი თავისი ძალებით აღმოსავლეთიდან შეუტევდა მას“². უზუნ ჰასანს საომარი მოქმედება კიდევ უფრო გაუადვილდებოდა, თუ საქართველოც დაეხმარებოდა.

ვენეციის სენატის 1471 წ. 10 სექტემბრის ინსტრუქციამი

1 კატერინო ძენო ვენეციის სავაჭრო არისტოკრატის ცნობილი ოჯახიდან იყო. მას ცოლად ჰყავდა არქიპელაგის ჰერცოგის ნიკოლო კრესპოს ქალიშვილი ვიოლანტე, რომელიც ტრაპიზონის იმპერატორის დავითის შვილიშვილი იყო. დავითის მეორე ქალიშვილი, კირა კატერინა, ცოლად ჰყავდა უზუნ ჰასანს. ამგვარად კატერინო ძენო და უზუნ ჰასანი მოყვრები იყვნენ. კატერინო ძენოს შესახებ დაწვრი. ის. XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 17-19.

2 იქვე, გვ. 22.

ლოჟი ქრისტეფორე მორო პირდაპირ მიუთითებდა ძენოს, რომ იგი ვალდებული იყო პირადად ხლებოდა საქართველოს მეფეს, გადაეცა მისთვის წერილები და საერთო მტრის, ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად წაექეზებინა¹.

ძენოს რომ ნამდვილად თან ჰქონდა სინიორიის მიერ საქართველოს მეფისათვის გაგზავნილი წერილები, ამაზე ნათქვამია მის მიერ 1472 წ. 9 ოქტომბერს კვიპროსის ბაილო ანდრეა კორერი-სადმი გაგზავნილ წერილში. მასში სხვადასხვა ამბებთან ერთად აღნიშნულია, რომ ძენომ უზუნ ჰასანის მეუღლეს თეოდორას (კირა კატერინა) საქართველოს მეფისათვის განკუთვნილი წერილი აჩვენა².

უცნობია, გარდა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოწოდებისა, ვენეციის ხელისუფლება ქართველებისაგან კიდევ რას ითხოვდა ან რას პირდებოდა სანაცვლოდ მათ. არც ის არის ცნობილი წერილმა ადრესატამდე მიაღწია თუ არა.

ძენომ საქართველოს მეფისათვის გადასაცემი წერილი კირა კატერინას უჩვენა გარკვეული მოსაზრებით: მას სურდა მეუღლის ჩაგონებით უზუნ ჰასანს გავლენა მოეხდინა საქართველოზე და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. სხვათაშორის, პირველი შეხვედრისთანავე „[დედოფალმა] განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა მისი მისვლის მიზეზის შესახებ და დაჰპირდა ყოველგვარ შეწევნასა და კეთილგანწყობას... დედოფალი მშვენიერი საშუალება იყო, რომლითაც ბატონმა კატერინომ შეძლო აემხედრებინა უზუნ ჰასანი სულთნის წინააღმდეგ საომრად“³. ასევე კირა კატერინას ჩაგონებით, უზუნ ჰასანმა საკუთარი ხელით მისწერა წერილი ყვარყვარე ათაბაგს, „რათა მას იმ მხრიდან დაეწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ“⁴.

1 Berchet G., Op. cit., p. 114.

2 Archivio storico Italiano, p. 82-83.

3 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 23. შდრ. A narrative of italian travels in Persia in the fifteenth and sixteenth centuries. Translated and edited by Charles Grey, London, 1873, p. 14.

4 იქვე. ძენოს ჩანაწერების მიხედვით, ლ. ტარდი დასკვნისა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ „ომი სპარსელებმა კი არ დაიწყო, არამედ ყვარყვარე ათაბაგმა გააჩაღა“

XV ს. 70-იანი წლების დასაწყისში სამცხე-საათაბაგო ორი დიდი დამპყრობლის – ოსმალეთისა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოებს შორის მოექცა, რომელთა დაპყრობითი ინტერესები ერთნაირად საშიში იყო სამცხე-საათაბაგოსათვის და მისგან ფრთხილი საგარეო პოლიტიკის წარმოებას მოითხოვდა.

საფიქრებელია, გაერთიანებული ძალებით ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის იდეისადმი ყვარყვარე ათაბაგის დამოკიდებულება შეიცვალა. 70-იანი წლების დასაწყისში აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო ის აღარ იყო, რასაც იგი 50-იანი წლების დასასრულს წარმოადგენდა. იგი ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა. ის მეტოქეობას უწევდა ოსმალეთს და სავაჭრო-საქარავნო გზების ხელში ჩაგდებისათვის ებრძოდა. ასეთი გზები გადიოდა ათაბაგის სამფლობელოებზეც, რომლებზეც კონტროლის დაწესება, ან მისი მფლობელის საკუთარი ინტერესებისათვის დამორჩილება დიდად მაცდუნებელი იყო როგორც მეჰმედ II-ის, ისე უზუნ ჰასანისათვის.

ოსმალეთზე გამარჯვების შემთხვევაში უზუნ ჰასანი, რომლის მტაცებლური მადა ცნობილი იყო ყველა ქართველისათვის, უფრო მკაცრი დამპყრობელი იქნებოდა, ვიდრე სულთანნი. ოსმალებს ამ დროისათვის მთელი თავისი ყურადღება ევროპის კონტინენტზე ჰქონდა გადატანილი და აღმოსავლეთში, ჯერჯერობით, ყოველი სადავო საკითხის მოგვარებას მშვიდობიანი გზით ცდილობდა. ეს გასაგებიც არის: მას სურდა ერთდროულად ორ ფრონტზე – აღმოსავლეთით და დასავლეთით – საომარი მოქმედება არ ჰქონოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ათაბაგის დამოკიდებულება უზუნ ჰასანისადმი იცვლებოდა. მაგრამ, ვიდრე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა სერიოზულ სახეს მიიღებდა, ათაბაგი, როგორც ჩანს, უზუნ ჰასანს დახმარების თაობაზე დაპირებას არ აკლებდა. როცა 1472 წელს ბრძოლის საკითხი მთელი სიმწვავეთ დაისვა, უზუნ ჰასანის მიერ „საკუთარი ხელით“ მიწერილმა წერილებმა ციკი ველარ აღუძრა ათაბაგს მისადმი დახმარების სურვილი, რისთ-

(ჭარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა, გ. 24). ასეთი რამ ძნელს კომენტარებში არსად წერია და, როგორც ვნახავთ ათაბაგი ყვარყვარე ამ დროს უზუნ ჰასანს მხარს აღარ უჭერდა.

ვისაც იგი „შემდეგში დასჯილი იქნა ჰასანის მიერ“¹.

კატერინო ძენომ შემთხვევით არ გაამახვილა ყურადღება უზუნ ჰასანის მიერ ყვარყვარესათვის წერილების გაგზავნაზე. სავარაუდოა, რომ თვითონ ძენოც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ „მერყევი“ მთავრის ოსმალეთის წინააღმდეგ გადაბირებას. უზუნ ჰასანს სამცხის დარბევა და მისი ათაბაგისათვის ჭკუის სწავლება ადრევე განუზრახავს, მაგრამ სხვადასხვა შიდაპოლიტიკურმა გართულებებმა ხელი შეუშალა. მას ამ განზრახვის განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ 1472 წელს მიეცა².

ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით, უზუნ ჰასანის ლაშქარი საქართველოს თავდასხმია 1472 წლის გაზაფხულზე (?)³. სავარაუდოა, „საქართველოში“ საათაბაგო იგულისხმებოდეს, რომლისთვისაც აყ-ყოიუნლუს მბრძანებელს ხარკი შეუწერია⁴.

უზუნ ჰასანის სამცხე-საათაბაგოში შეჭრისა და მოქმედების შესახებ მოთხრობილია ახალი ქართლის ცხოვრების შესამე ტექსტში. მომხდარი ამბავი 1476 წლით არის დათარიღებული. მასში ვკითხულობთ: „ქორონიკონსა რ~დ (164): კუალად შეიკრიბა ერი ურიცხვ და წარმოემართა უზუნ-ასან ძალითა დიდითა სამცხესა ზედა. ესმა ესე ყუარყუარეს და ორთა ძეთა მისთა, რამეთუ პირისპირ განწყობა ვერ ძალ-ეღვათ სიმრავლისაგან ურიცხვობისა სპათა მათთასა, და ჰქმნეს განზრახვა, რათა სამთაგან ერთი წარსულ იყო და დაეცხრო გულისწყრომა მძლავრისა მის, რათა არღარა მოსრულ იყვნეს ქუეყანასა სამცხისასა. მოვიდა სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწყურეს და მოსრნეს მრავალნი ქრისტიანენი, მღვდელნი და მონაზონნი და ერისკაცნი, და წარტყუენენეს სრულიად სამცხე.

1 Fallmeyer Jac. PH., *Geschichte des Kaiserthums von Trapezunt, München, 1827, S. 247.*

2 Minorsky V. Tiflis, *Uzun Hassan. `Enziklopedie des Islam~, IV, 1934, S. 280.*

3 *Ibidem, S. 1159*

4 კიქნაძე რ., დასახ. ნაშრ., გვ. 122. მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით, უზუნ ჰასანი საქართველოს სამჯერ შემოესია – 1466, 1472 და ოსმალეთთან დამარცხების, ე.ი. 1473 წლის შემდეგ. სხვა ისტორიკოსის ჯაჰან-არას გადმოცემით, უზუნ ჰასანის უკანასკნელი ლაშქრობა საქართველოში მოეწყო 1476-1477 წელს (*Minorsky V. Tiflis, Uzun Hassan, S. 1159*).

აიყარა ყაენი და წარვიდა საყაენოსა თჯსსა და ტყუე ჰყვეს ხატი აწყუერისა ღმრთისმშობელი, და წარიყვანეს ქუეყანასა მათსა. და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი სრულიად მესხთა ზედა. აღდგეს ყოველი და შთავიდეს ქართლს ვიდრემდის მწირობდენ მუნ შუდ წელ¹. მ. ბროსე სავსებით სწორად ფიქრობდა, რომ ქართული წყაროს ცნობა 1472 წლის შემოსევას ასახავდა.

ამონარიდი, რომ 1477 წლის ამბებს არ უნდა გადმოგვცემდეს, ამაზე, პირველ რიგში, ლაშქრობის გავრცელების არე მიუთითებს. როგორც მემათიანე გადმოგვცემს, უზუნ ჰასანი სამცხეს არ გასცილებია და მისი დარბევის შემდეგ უკან გაბრუნებულა. საქართველოს სხვა ადგილებსაც, კერძოდ ქართლს რომ შეხებოდა იგი (ქართლსა და იმერეთში თურქმანების შეჭრის შესახებ საკმაოდ სანდო ცნობები დაგვიტოვეს ჯოსაფატ ბარბარომ და ჯოვანი მარია ანჯოლელომ), არ შეიძლებოდა ქართველ მემათიანეს მხედველობიდან გამორჩენოდა და ორიოდე სიტყვით მაინც არ მოეხსენებინა, რომ სამცხეში შეჭრის ან იქიდან უზუნ ჰასანის წასვლის შემდეგ საქართველოს რომელ ნაწილს ეწია უბედურება. დაეუშვათ, უზუნ ჰასანი სამცხიდან ქართლში გადასულიყო, ან პირიქით, ქართლიდან სამცხეში შეჭრილიყო, მაშინ ხომ უაზრობა იქნებოდა მესხებს ქართლში ეძებნათ თავშესაფარი, რასაც ისტორიკოსი გვამცნობს. იგი გარკვევით გვეუბნება, უზუნ ჰასანი თავისი სამფლობელოებიდან პირდაპირ სამცხეში მოვიდა და აქედანვე „წარვიდა საყაენოსა თჯსსა“.

შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთთან გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების წინ (1472 წ.), უზუნ ჰასანმა ათაბაგის დასჯა განიზრახა. მაგრამ მისი ღონისძიებანი საქმეს ვერ შველოდა. როგორც ჩანს, საათაბაგოსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა ჯერჯერობით მოგვარებული იყო. კონტარინის მიხედვით, ათაბაგი სულთანს ხარკს უხდიდა². ვფიქრობ, კონტარინის ეს ცნობა ჰქონდა მხედველობაში ნ. ბერძენიშვილს, როდესაც იგი სამცხის შესახებ

აღნიშნავდა: „ამ ქვეყნის ათაბაგი უკვე თურქ-ოსმალების სუვერინეტეტს ცნობდა“-ო¹. მაგრამ უცნობია რა ვითარებაში და როგორ მოხდა სამცხის მოხვედრა ოსმალეთის გავლენის ქვეშ.

სამცხე-საათაბაგოში ანტიოსმალური კოალიციის საზიანოდ იმდენად შეცვლილა მდგომარეობა, რომ 1474 წელს მის ტერიტორიაზე გავლა აყ-ყოიუნლუში მიმავალ ვენეციის ელჩს, კონტარინს, სახიფათოდაც კი მიუჩნევია².

შეიძლება ითქვას, რომ XV ს. 70-იანი წლების დასაწყისში ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის სურვილს, სიტყვიერად მაინც, გამოხატავდა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები. ყოველ შემთხვევაში, იმდროინდელ ევროპულ წყაროებში, რომლებსაც უკვე გავეცანით, ქართული სამეფოების მეფეები ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებულნი ჩანან.

ამგვარად, საქართველოს ის ნაწილი, რომელსაც, ევროპელი დიპლომატების მიხედვით **Zorrania, Iberia** ან **Giorgiania** ერქვა და რომელშიც ისინი იმერეთს და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიაზრებდნენ, ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდა და ამის გამო ვენეციასთან და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოსთან ურთიერთობაც ჰქონდა. მაგრამ ღრმა კვლევას მოითხოვს იმის დადგენა, ამ დროისათვის ქართული სამეფოებისათვის ოსმალეთი უკვე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა თუ ისინი იძულებულნი იყვნენ სხვისი (ამ შემთხვევაში აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს) ინტერესების შესაბამისად ოსმალეთი თავიანთ დაუძინებელ მტრად გამოეცხადებინათ, მაშინ, როდესაც უფრო საშიში მტერი უფრო ახლოს ჰყავდათ. მოვლენების შემდგომი განვითარება სარწმუნოს ხდის, რომ უზუნ ჰასანი და მისი სახელმწიფო ამ დროისათვის უფრო საშიში იყო საქართველოსათვის ვიდრე ოსმალეთი. უზუნ ჰასანი ქართველებს აიძულებდა მისი „თანამებრძოლები“ ყოფილიყვნენ.

1472 წ. გაზაფხულზე კოალიციის აღმოსავლელმა წევრებმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი დაიწყეს. მისში საბრძოლო მოქმედება

1 ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, IV, თბ., 1967, გვ. 90.

2 Ramusio, Op. cit., p. 119v.

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 478-479.

2 Ramusio G. B., Op. cit., p. 119r-119v.

დაიწყო ტრაპიზონის იმპერატორის დავითის ძმისწულმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უზუნ ჰასანის კარზე აფარებდა თავს. ის ქართველების დახმარებით შეიჭრა კომნენოსების ყოფილ სამფლობელოებში და ტრაპიზონისაკენ წავიდა. ოსმალებს ქალაქი საკმაოდ გაუმაგრებიათ. დამცველები ზღვიდანაც იღებდნენ დახმარებას და იმპერატორის ძმისწული და მასთან ერთად ქართველთა რაზმები იძულებული შეიქმნა უკან დაეხია¹. მალე ომში ჩაება აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო. იმავე წლის აგვისტოში უზუნ ჰასანმა აიღო თუყათი და დაიკავა ყარამანიაც, რომლის სანაპიროზე ვენეციელებს იარაღი უნდა გადაეცათ, მაგრამ ვენეციელებმა დაპირება არ შესრულეს. ოსმალებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით, დაიწყეს კონტრშეტევა და ყარამანია დაიბრუნეს.

უზუნ ჰასანისათვის, ისევე, როგორც მისი აღმოსავლელი მოკავშირეებისათვის იარაღს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. სხვანაირად ის ვერ გაუმკლავდებოდა არტილერიით აღჭურვილ სულთნის ჯარს. ბოლოს და ბოლოს, ვენეციაში მყოფმა ელჩებმა, რომლებიც აქ 1472 წ. აგვისტოში მოვიდნენ, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, მიაღწიეს იმას, რომ 1473 წლის 11 იანვარს ვენეციის სენატმა მიიღო დადგენილება, დახმარება გაეწიათ უზუნ ჰასანისათვის²¹.

დადგენილების მიხედვით უზუნ ჰასანის კარზე ვენეციის ელჩად დაინიშნა ჯოსაფატ ბარბარო, რომელსაც იარაღი უნდა მიეტანა ვენეციის გემებით ყარამანიის სანაპიროზე და უზუნ ჰასანისათვის გადაეცა. ბარბარო უზუნ ჰასანს უნდა შეთანხმებოდა, აგრეთვე, რომ გამარჯვების შემთხვევაში ოსმალების აღმოსავლეთი პროვინციები, დარდანელის ჩათვლით, აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს შეუერთდებოდა, სამაგიეროდ ვენეციას აღნიშნულ ტერიტორიებზე თავისუფალი მოქმედების უფლება ექნებოდა.

1473 წლის 29 მარტს ბარბარო კვიპროსზე მივიდა, სადაც შეიტყო, რომ ყარამანია უკვე ოსმალების ხელში იყო. მან წერილი

გაუგზავნა უზუნ ჰასანს და აცნობა, რომ იგი ვენეციის ფლოტითა და იარაღით ყარამანიის სანაპიროსთან იდგა და საჭირო იყო მისი მისვლა იარაღის ჩასაბარებლად. ბარბარომ იცოდა, რომ უზუნ ჰასანი ყარამანიის სანაპიროსთან ოსმალებთან შეჯახების გარეშე ვერ მივიდოდა, ხოლო მათ შორის ომის დაწყებით განსაკუთრებით დაინტერესებული ვენეცია იყო.

უზუნ ჰასანს ბარბაროს წერილის მიღებამდე ვენეციიდან დახმარების იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა. ძენოს გადმოცემით, ბარბაროს შენათვალმა იგი გაამხიარულა და იმედი მისცა¹. იგი მაშინვე ჯარით დაიდრა ყარამანიისაკენ, „რომელიც პართელების, სპარსელების, ქართველების, ქურთებისა და თათრებისაგან შედგებოდა“².

უზუნ ჰასანისა და მეჰმედ II-ის ჯარები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მდ. ეფფრატის ნაპირას მაღათიასთან. ბრძოლა მოხდა 1 აგვისტოს. აყ-ყოიუნლუს ლაშქარმა თავდაპირველად, იმდენად სერიოზულ წარმატებას მიაღწია, რომ სულთანი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. მაგრამ უზუნ ჰასანმა ბრძოლის გაგრძელება არჩია, რათა წარმატება საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანა. მან გადალახა ეფფრატი და დიდი სისწრაფით დაედევნა უკანდახეულ მტერს, „თავისი უფროსი ვაჟი კალული ყველა ქართველით, თათრითა და სხვა მრავალი მებრძოლით ალაღის დასაცავად დატოვა მდინარის მეორე ნაპირზე“³.

ძენოს მიხედვით, განმეორებითი ბრძოლა მოხდა 10 აგვისტოს მდ. თერჯანასთან, სადაც აყ-ყოიუნლუს ლაშქარმა სრული მარცხი განიცადა.

უზუნ ჰასანი ევროპიდან დახმარების მიღების და ოსმალების დაჯახების იმედს მაინც არ კარგავდა. როგორც იგი ვენეციის ხელისუფლებას აცნობებდა, მაშინვე სურდა ხელახალი ბრძოლისათვის მზადებას შესდგომოდა⁴. მან დახმარების თხოვნით მიმართა

1 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 27-28; Berchet G., Op. cit., p. 132.

2 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 29.

3 იქვე, გვ. 31; Berchet G., Op. cit., p. 137.

4 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 33.

1 Magyar diplomáciai emlékek Mátyás király korából 1458-1490. Monumenta Hungariae Historiae, t. II, Budapest, 1877, p. 239.

2 Berchet G. Op. cit., p. 9.

ევროპის სახელმწიფოებს და კატერინო ძენო გაგზავნა ევროპაში, როგორც თავისი ნდობით აღჭურვილი პირი.

1474 წლის გაზაფხულზე ძენომ დატოვა თავრიზი. ამჯერად მას საქართველოზე მოუხდა გავლა. მას თან ახლდნენ პოლონეთისა და უნგრეთის ელჩები. მან ჯერ სამცხეში გაიარა და, სავარაუდოა, უზუნ ჰასანის „ხელით დაწერილი“ წერილი გადასცა. ძენოს აუცილებლად ექნებოდა ათაბაგთან მოლაპარაკება აყ-ყოიუნლუს მბრძანებლისადმი დანმარების თაობაზე. კატერინოს იქვე დაუტოვია უნგრეთისა და პოლონეთის ელჩები, რაც მან, ალბათ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით გააკეთა, თვითონ კი სევასტოპოლისისაკენ აიღო გეზი. შეიძლება ითქვას, რომ ძენოს ბედიანთანაც ჰქონდა მოლაპარაკება. ამ მოსაზრების დამადასტურებლად ის ფაქტი გამოდგება, რომ პოლონეთში ჩასულმა ძენომ უზუნ ჰასანის კარზე თავის შემცვლელ ელჩს, პაოლო ონიბენეს ყვარყვარესა და ბედიანთან წერილები გაატანა¹. საფიქრებელია, წერილები ვენეციასა და ქართველ მთავრებს შორის მიმდინარე მოლაპარაკების გაგრძელებას წარმოადგენდა. მაგრამ ცნობილი არ არის, შეძლო თუ არა ონიბენემ წერილების მიტანა დანიშნულების ადგილამდე ან რა გავლენა მოახდინა ამ წერილებმა საქართველოს მთავრებზე².

აღინიშნა, რომ 1474 წ. ყვარყვარე ხარკს აძლეოდა ოსმალებს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავდა, თითქოს სამცხე-საათაბაგოს საბოლოოდ შეწყვიტა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

თერჯანასთან დამარცხების შემდეგ, ოსმალეთის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის საფუძველი აღარ არსებობდა. მაგრამ უზუნ ჰასანი და ბაგრატ VI მაინც არ კარგავდნენ ევროპის ქვეყნების ანტიოსმალურ ლიგაში ჩაბმის იმედს. 1474 წელს მათ ახალი ელჩობა გაგზავნეს ევროპაში. ელჩები კაფაზე გავლით,

¹ იქვე, გვ. 34-35.

² ონიბენე სხვა დროსაც, კერძოდ 1480 წელს, ყოფილა საქართველოში (ტარდილ., დასახ.ნაშრ., გვ. 25), მაგრამ მისი ამ მოგზაურობის შესახებ არაფერია ცნობილი.

იმავე წლის 19 ივლისს ვენეციაში მივიდნენ, სადაც ისინი დიდი ზემოთ მიიღეს¹. ვენეციაში მოლაპარაკების შინაარსი ცნობილი არ არის.

1474 წ. აგვისტოში ვენეციაში მივიდა კატერინო ძენოც, რომელსაც მშობლიურ ქალაქში დაბრუნებამდე მოლაპარაკება ჰქონდა პოლონეთის მეფე კაზიმეჟ IV-სთან და უნგრეთის მბრძანებელ მათიაშ კორვინთან².

ქართველი და თურქმენი ელჩები ძენოსთან ერთად რომსა და ნეაპოლს ესტუმრნენ³. ელჩების არც ამ ქალაქებში მოლაპარაკებებზე არის რაიმე ცნობა. მათი მოგზაურობის საერთო შედეგი ის იყო, რომ ევროპაში რაიმე რეალური დანმარების მიღება ვერ მოხერხდა. ძენომ მიატოვა თუ არა თავრიზი, ვენეციის რესპუბლიკამ მაშინვე გაგზავნა მისი შემცვლელი პაოლო ონიბენე, რომლის მოღვაწეობამ ის შედეგი გამოიღო, რომ საქართველომ და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფომ ხელახლა სცადეს ბედი და ევროპაში თავიანთი ელჩები გააგზავნეს, რომელთა შესახებ უკვე ითქვა.

1474 წელს თავრიზში მივიდა რესპუბლიკის კიდევ ერთი ელჩი ჯოსაფატ ბარბარო, რომელიც შექმნილი სიტუაციის შესწავლას და ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად უზუნ ჰასანის აჩქარებას ფიქრობდა⁴. პაოლო ონიბენემ თავისი მისია დაასრულა შეთანხმებით, რომლის ძალითაც უზუნ ჰასანი ოსმალეთთან ომს 1475 წელს დაიწყებდა. ონიბენე ვენეციაში დაბრუნდა 1475 წ. 17 თებერვალს⁵.

იმავე წლის ივნისში უზუნ ჰასანის კარზე იმყოფებოდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ერთ-ერთი თავგამოდებული

¹ Jorga N., *Geschichte des osmanischen Reiches. Nach den Quellen dargestellt.* II, Gotha, 1909, S. 168; Авалов З. *Забитая вариация об одной исторической теме*, с. 248.

² XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 34-35.

³ Jorga N., *Op. cit.*, S. 168; Авалов З., *Забитая вариация об одной исторической теме*, с. 248.

⁴ *Lettre al senato di Giosafat Barbaro ambasciatore ad Ussuncassan di Persia. Tratte da un codice original del J.R. Bibliotheka di vienna. É anottate per Enrico Cornet, Vienna, 1852, 81.*

⁵ Махмудов Я., *Ук. труд*, с. 22.

მქადაგებელი, დაუღალავი ლუდოვიკო ბოლონიელი. კონტარინის გადმოცემით, იგი, ამჯერად, მოლაპარაკებას ბურგონის ჰერცოგის სახელით აწარმოებდა¹. ის თავრიზში დიდხანს არ დარჩენილა. გამოთხოვებისას უზუნ ჰასანს დაუბარებია, რომ მას თავისი ბატონისათვის მოეხსენებინა აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადყოფნის შესახებ. საუბარს კონტარინი ესწრებოდა. ევროპაში გაბრუნებულ ლუდოვიკოს, კონტარინის მიხედვით, საქართველოში გაუგვლია. მას თან მიჰყავდა უზუნ ჰასანის ელჩი. იმავე დროს საქართველოში გავლით იმყოფებოდა რუსეთის ელჩი მარკო როსი. ისიც უზუნ ჰასანისაგან ბრუნდებოდა სამშობლოში და თან მიჰყავდა საპასუხო ელჩიც².

როგორც ჩანს, აყ-ყოიუნლუს და საქართველოს ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ვენეციასთან, თერჯანას მარცხის შემდეგაც ინტენსიური იყო. ისინი დღითიდღე რწმუნდებოდნენ, რომ ოსმალეთის დაძლევის დასავლეთიდან დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ. აფასებდა რა შექმნილ ვითარებას, ვენეციის სენატიც თვალნათლივ ხედავდა ოსმალეთის აშკარა უპირატესობას. ამიტომ იგი დაჟინებით ცდილობდა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა აყ-ყოიუნლუს სამხედრო პოტენციალი. 1474 წლის 11 თებერვალს ვენეციის სენატი თავისი ინსტრუქციით ჯოსაფატ ბარბაროს პირდაპირ ავალებდა: „ჩვენი ერთადერთი სურვილია ბრწყინვალე უზუნ ჰასანმა ან ამ წელიწადს, ან რაც შეიძლება მალე, დაიწყო ომი ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ, ეს არის შენი, სხვა ელჩების და წერილების გაგზავნის მიზეზი“³.

ამბროჯო კონტარინი ვენეციის რესპუბლიკის სახელით ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდა უზუნ ჰასანს ზღვასა და ხმელეთზე⁴. მაგრამ უზუნ ჰასანმა კარგად იცოდა ვენეციის დახმარების ფასი, რაც უმთავრესად დაპირებებში გამოიხატებოდა. ის ახლა ფრთხილობდა. მან კონტარინის განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში

თუ დახმარება რეალური იქნებოდა, ომს დაიწყებდა 1475 წლის გაზაფხულზე. უზუნ ჰასანმა შემდგომი მოლაპარაკების დროს ეს ვადა 1476 წლის გაზაფხულამდე გადასწია¹.

უზუნ ჰასანის ამ დაპირებას ასრულება აღარ ეწერა. მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ქვეყნის შიგნით დაწყებული ფეოდალური აშლილობა და, რაც მთავარია, ოსმალების მიერ მიყენებული დარტყმის შედეგად აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ომის განახლების უნარი აღარ შესწევდა.

ახლა დავუბრუნდეთ უზუნ ჰასანის თავდასხმას საქართველოზე 1477 წელს, როდესაც მან ისედაც დასუსტებულ საქართველოს კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა. უზუნ ჰასანის ამგვარი მოქმედება ყოფილი „მოკავშირის“ მიმართ, დღესაც გამოცანად რჩება. ერთხელ მეც ვცაადე, იტალიელთა ცნობების ანალიზით გამერკვია უზუნ ჰასანის საქართველოში შემოსევის მიზეზი და ლაშქრობის გავრცელების არე².

საინტერესოა, როგორ აისახა ქართულ წყაროებში უზუნ ჰასანის 1477 წლის შემოსევა. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ქართული წერილობითი წყაროები უზუნ ჰასანის ლაშქრის საქართველოში მოქმედების შესახებ მეტად ძუნწია და დათარიღებაც მცდარია.

„ძილისპირი იკორთისა“ გვამცნობს: „ქორონიკონსა რდ: აქა უზუნ ჰასან საქართველო ამოსწყდა“³. ვახუშტის „საქართველოს ქრონიკაში“ ვკითხულობთ: „1478. რდვ. უზუნასან ყენი მოვიდა, ქართლი და ერწო-თიანეთი მოსწყვიტა“⁴. საქმის მთელი ვითარების წარმოდგენის საშუალებას არც ეს ქრონიკა გვაძლევს, ქრონოლოგია აქაც მცდარია.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი მოგვითხრობს

1 იხ. XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 83-84, შენ. 6.

2 იქვე.

3 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შერეული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897, გვ. 365.

4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 897.

1 Ramusio, p. 118r

2 Berchet G., Op. cit., p. 141.

3 Ibidem.

4 Махмудов Я. Взаимоотношения государства Ак-коюнлу с Венецией, с. 23.

უზუნ ჰასანის, საქართველოში შემოსევის შესახებ, მაგრამ თარიღის გარეშე: „შეიყარა ყაენი უზუნ ასან მოვიდა სომხითს, და მეფე ლიხთ იქით იყო, ქართველნი თან იახლნენ. მოადგეს ბარათიანთა და ორბეთის ძირსა. დიდად კარგად დახუდეს ბარათიანნი. დამადგრდენ და ვერა უყვეს რა. მოვიდეს ტფილისსა აღიღეს. და თვთ ყაენი მუხრანს დადგა. აღივსო ქართლი ლაშქრითა, მოაოკრეს სრულიად ქართლის ადგილი. იკმნა ყაენმან ბარათიანნი, მიინდუნა, ნახნა და შეიწყალნა, მოსცნა მრავალნი და აღავსნა პირთამდინ. ამას ზედან ღმერთმან იბრანა, იწყინა ამოწყუეუტა საქრისტიანოსა, შეედვა ყაენსა სენი სასიკუდენე, აიყარა და წარვიდა“. შემდეგ მოთხრობილია კონსტანტინეს წასვლა უზუნ ჰასანის კარზე, ბარათაშვილების თან ხლება და უზუნ ჰასანის სიკვდილი¹. იგივე ამბავი „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში დათარიღებულია 1456 წლით, მაგრამ მასში რომ 1477 წლის შემოსევაზეა გადმოცემული, ამაზე შემდეგ ითქმევა.

უზუნ ჰასანის 1477 წლის საქართველოში შემოჭრაზე მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს ბარბარომ და ანჯოლელომ, თუმცა არც ესენი იძლევიან ლაშქრობის დაწვრილმანებით გაგების საშუალებას. იმ შემთხვევაში თუ მათს მონათხრობს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს მივაშველებთ, სურათი თითქმის ნათელი გახდება. ლაშქრობის დაწყების წინ, როგორც ბარბარო გადმოგვცემს, უზუნ ჰასანს ხმის გავრცელება უბრძანებია, ვითომ ის ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად წასვლას აპირებდა. როცა ბარბარო ლაშქრის სამზადისს დააკვირდა, გავრცელებული ხმა საეჭვოდ ჩათვალა. ლაშქარი 20-24 ათასი მხედრისა, 4-5 ათასი (ანჯოლელოს მიხედვით 11 ათასი) ქვეითი ჯარისკაცისაგან შედგებოდა. გარდა მებრძოლებისა, კიდევ იყო 6 ათასი დამხმარე (მოლაშქრეთა ცოლები, ბავშვები, მსახურები და სხვ.)². ანჯოლელოს თქმით, უზუნ ჰასანს ცბიერება უნძარია და ლაშქარი ჯერ დასავლეთისაკენ წაუყვანია, ვითომდა მართლა ოსმალეთზე მიდიოდა, შემდეგ კი საქართველოსაკენ შემობრუნებულა. თავისი

ლაშქრობის საიდუმლოება რომ არ გაემხილა, მას არც ახლა წაუყვანია ლაშქარი წესიერი გზით – მთებზე და ტყეებში უტარებია, სადაც განსაკუთრებით გამოყოფილი 5 ათასი კაცი ლაშქარს ცეცხლით უკაფავდა გზას.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, თურქმენები ჯერ სომხეთს შესევინან, შემდეგ „ქართლის სომხითში“ გადმოსულან, ორბეთთან მათ მეფე კონსტანტინე დახვდა და დიდი წინააღმდეგობა გაუწია. როცა უზუნ ჰასანმა კონსტანტინეს სწრაფად დამარცხება ვერ შეძლო, თავი მიანება და თბილისისაკენ წავიდა.

როგორც ლაშქრობის მთელი მსვლელობიდან ჩანს, უზუნ ჰასანის მიზანი იყო მოულოდნელად დასხმოდა თბილისს. კონსტანტინესთან ბრძოლის გაგრძელების შემთხვევაში მოულოდნელად წამოწყებული ომის ყველა სავარაუდო შედეგს დაკარგავდა, ქართველები თბილისისა და მისი მისადგომების გამაგრებას მოასწრებდნენ და ჰასანის მცირერიცხოვან ლაშქარს თბილისის აღება გაუძნელებოდა. უზუნ ჰასანის ტაქტიკა სწორი აღმოჩნდა: მტრის მოულოდნელი გამოჩენის გამო, ქართველებს ისლა დარჩენოდათ, ქალაქი მიეტოვებინათ და, როგორც ბარბარო და ანჯოლელი გადმოგვცემენ, უზუნ ჰასანი თბილისს უბრძოლველად დაეუფლა³.

მეფე კონსტანტინე მოსვენებას არ აძლევდა „მარბიელთა ყეენისათა“. ამიტომ უზუნ ჰასანს არ შეეძლო ზურგში მისი ყოფნა დაეშვა და მასთან ისევ მორიგება არჩია. იმავე დროს მან განიზრახა მეფე კონსტანტინე და მეფე ბაგრატე ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა: „მაშინ ყენი ეზრახა კონსტანტინე მეფესა, – წერს ვახუშტი, – რათა მივიდეს მასთან და მიანიჭოს ყოველი ქვეყანა მისი და დაიცვას უვნებლად“. კონსტანტინემ მიიღო ეს წინადადება. იგი ყაენთან გამოცხადდა. ყაენმა ის დიდი პატივით მიიღო² და თბილისი ჩააბარა, რითაც მეფე ბაგრატს იქ დაბრუნების საშუალება მოუსპო³. როგორც მოსალოდნელი იყო, უზუნ

1 იქვე, გვ. 61, 78.

2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 385; Hinz W., Op. cit., S. 139.

3 Minorsky V. Tiflis, Uzun Hassan. „Enziklopedie des Islam“, IV, 1934, S.

802.

1 იქვე, გვ. 478.

2 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 60-61, 77-78.

ჰასანი ბოლომდე არც კონსტანტინეს მიენდო და თბილისის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა, თვითონ კი მუხრანში დაბანაკდა. იქიდან აგზავნიდა თავის რაზმებს ქართლისა და კახეთის დასარბევად. მეფე ბაგრატს წინააღმდეგობის ძალა არ შესწევდა და რაჭას შეაფარა თავი¹.

ქართლის დაკავების შემდეგ უზუნ ჰასანს მეფე ბაგრატთან, სამცხის ათაბაგთან² და სხვა შვიდ დიდებულთან³ მოლაპარაკება გაუმართავს დაზავების თაობაზე და თბილისის გამოკლებით ქართლის დაცლა აღუთქვამს, თუ ისინი ხარკის სახით 16 ათას ღუკატს გადაიხდიდნენ⁴.

სპარსულენოვანი წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველები უზუნ ჰასანს ყოველწლიურად ხარკს უხდიდნენ და ხარკის დაგვიანება გამხდარა აყ-ყოიუნლუს მბრძანებლის საქართველოში რამდენჯერმე ლაშქრობის მიზეზი⁵.

დამატებითი ცნობები უზუნ ჰასანის საქართველოში შემდგომი მოქმედების შესახებ დაგვიტოვა ბარბარომ. ეს ცნობები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ როცა ქართველ მეფე-მთავრებს 16 ათასი ღუკატი გადაუხდიათ და თურქმენებს 4-5 ათასამდე ტყვეც ხელთ უგდიათ, ამის შემდეგ იმერეთი დაურბევიათ⁶. ბარბარო, როგორც თვითმხილველი გადმოგვცემს, რომ ქუთაისის აკლესის შემდეგ ისინი უკან გაბრუნდნენ, მივიდნენ სკანდაში და შემდეგ გორში გადავიდნენ. გორიდან თურქმენები თბილისისკენ კი არ წავიდნენ (მათ მისი საკითხი უკვე მოგვარებულად მიაჩნდათ), არამედ მთებზე გადავიდნენ და სამი დღის შემდეგ ლორეში, ე.ი. უზუნ ჰასანის სამფლობელოში მივიდნენ.

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 385.

2 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 61.

3 იქვე, გვ. 78.

4 ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 118-122; კიკნაძე რ. საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1964, გვ. 119-120, 122.

5 კიკნაძე რ., დასახ. ნაშრ., გვ. 122.

6 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 61.

ამგვარად, ბარბაროს ცნობების მიხედვით, უზუნ ჰასანმა აღმოსავლეთი საქართველო და იმერეთი აიკლო. სამცხე-საათაბაგოს და საბედიანოს იგი არ შეხებია. ყოველ შემთხვევაში, ის ამის შესახებ არაფერს გვამცნობს. მაგრამ იმის გამო, რომ ათაბაგი და დადიანი საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ, ეს მაფიქრებინებს, რომ ისინი კონფლიქტის სერიოზული მონაწილენი იყვნენ. ისინი უარს ამბობდნენ უზუნ ჰასანთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე. იმავე ბარბაროს ცნობებზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „იმიტომ, რომ ქართველებმა უზუნ ჰასანის ეს მოთხოვნა (16 ათასი ღუკატის გადახდის შესახებ – ე.მ.) ვერ აასრულეს თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო მხოლოდ იოს. ბარბაროს სიტყვით ამის შემდგომ სპარსეთის ბატონის ჯარი სწრაფად დაძრულა და მხარმარცხნივ წასულა ყუარყუარე ათაბაგის ქვეყნის წინააღმდეგ. როგორ მიმდინარეობდა აქ სამხედრო მოქმედება, ამაზე იტალიელ მოგზაურს არაფერი აქვს ნათქვამი“¹. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ბარბარო სულ სხვა რამეს გვეუბნება. უზუნ ჰასანი სამცხეში არ შეჭრილა.

უზუნ ჰასანის ჯარის მოძრაობის მიმართულება ასევე აქვს გაგებული ს. ფილიპოს. იგი ჯ. ბარბაროს ბიოგრაფიაში აღნიშნავს: „შაჰს საქართველოში შეჭრის დროს, როდესაც სპარსელებმა საშინლად ააოხრეს იგი, (ბარბარო – ე.მ.) მუდამ თან ახლდა. იყო თბილისში, გორში, ქუთაისში, სკანდაში და სხვა ქალაქებში საქართველოს მეფისა, რომელმაც ბოლოს მშვიდობა 16 ათასი ღუკატის გადახდით მოიპოვა“². ს. ფილიპოსთან უზუსტობა მხოლოდ იმაშია, რომ უზუნ ჰასანმა იმერეთი ხარკის აღებამდე კი არ დაარბია, არამედ მის შემდეგ³.

ასე ტრაგიკულად დასრულდა საქართველოს მონაწილეობა ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის მოძრაობაში XV ს. 50-70-იან წლებში.

1 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 110

2 Filippo S., *Biografia dei viaggiatori italiani, v. I, Roma, 1882, p. 43*

3 იხ. აგრეთვე, მამისთვალისშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994, გვ. 40

ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ვერ მოხერხდა, იგი იდეის ღონეზე დარჩა. კათოლიკური ქვეყნების დიდი უმრავლესობის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდებები, როგორც ჩანს, უფრო ამ პოპულარული თემის წინაშე სიტყვიერი ხარკის მოხდა იყო. ევროპის ლიდერებს წინა პლანზე თავიანთი სახელმწიფოების ინტერესები ჰქონდათ დაყენებული, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარება მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო. როგორც მათი წერილებიდან ჩანს ისინი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ქართულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს, ქართველების მიერ კათოლიკობის აღიარებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი. მათი ეს ინტერესი წითელ ხაზად გასდევს საქართველო-დასავლეთ ევროპის ურთიერთობას XV-XVIII საუკუნეებში.

4. ქართული დიპლომატია ევროპაში მოკავშირის ძიებაში (XV ს. 90 წლამდე).

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ისეთმა ცდამ, რომელშიც გაერთიანდებოდნენ, როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთის სახელმწიფოები, ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნები, მარცხი განიცადა. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საკითხს განსაკუთრებით გულგრილად ევროპაში მოეკიდნენ. მიზეზი მდგომარეობდა მაშინდელი ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში. იმ ქვეყნებმა, რომლებიც უშუალოდ არ განიცდიდნენ ოსმალეთისაგან თავდასხმის საშიშროებას, ან რომელთა ეკონომიკური ინტერესები აღმოსავლეთთან ვაჭრობაში არ ილახებოდა (საფრანგეთი, ეპანეთი, გერმანია), ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის დაწყებას მხარი არ დაუჭირეს. არსებობდა ერთი საყურადღებო მომენტიც: XV საუკუნის ევროპაში ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი. ამიტომ მათი საგარეო პოლიტიკა, ძირითადად, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა.

აღმოსავლეთის იმ ქვეყნებმა, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ომით, ევროპიდან დახმარების მიღების მოლოდინში ის მოიმკეს, რომ ზოგი მათგანი (ბიზანტიის და ტრაპიზონის იმპერიები, ყარაამანიის საამირო) ოსმალეთმა მოსპეს, ხოლო ზოგი კი (მაგ.: აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო) იმდენად დასუსტდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

როგორც ვნახეთ, უშედეგოდ არც საქართველოსთვის დამთავრდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ღონისძიებებში მისი მონაწილეობა. ისედაც დაქუცმაცებული საქართველო ამის შემდეგ კიდევ უფრო დაქვეითდა. მისი ოპტიმისტურად განწყობილი მბრძანებლები არ კარგავდნენ ქრისტიანული სახელმწიფოებისგან დახმარების მიღების იმედს. ამ მიზნით ისინი მიმართავდნენ ხან დასავლეთ ევროპას და ხან მოსკოვის სახელმწიფოს, მაგრამ რეალური მხარდაჭერა ვერსად ჰპოვეს.

უზუნ ჰასანის სიკვდილის შემდეგ, ქართველებმა თბილისი დაიბრუნეს, მაგრამ ქვეყანას არც ამის შემდეგ ეწერა მოსვენებით ცხოვრება. თითქმის გაუთავებლად მიმდინარეობდა შინაბრძოლები და გარეშე მტრების თავდასხმები. მართალია, ძლეული იქნა გარეშე მტერი, უზუნ ჰასანის შემკვიდრემ იაყუბ-ყაენმა მარცხი განიცადა საქართველოს დამორჩილების საქმეში, მაგრამ ქვეყნის დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. 1489 წელს ქართლისა და კახეთის სამეფოების გვერდით შეიქმნა კიდევ ერთი – იმერეთის სამეფო.

ქართლის მეფე კონსტანტინე არ კარგავდა ქვეყნის ერთიანობის აღდგენის იმედს. 1490 წ. მან დარბაზი მოიწვია, მგრამ ფეოდალებმა მხარი არ დაუჭირეს და იძულებული გახდა არსებულ მდგომარეობას შეგუებოდა.

ქვეყნის დაშლის შედეგად ბოლო მოეღო ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარებასაც, რაც გამოკვეთილად გამოჩნდა XV ს. 90-იანი წლების დასაწყისში: კახეთის სამეფო თავის გადარჩენის საშუალებას მოსკოვის სახელმწიფოში ხედავს, ქართლი კი – დასავლეთ ევროპაში.

1483 და 1491 წლებში კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1476-1511) ელჩები გაგზავნა მოსკოვის მთავარ ივანე III-ის (1462-1505) კარზე და ამით საფუძველი ჩაუყარა კახეთის სამეფოსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის პოლიტიკურ ურთიერთობას, რომელმაც ხანგრძლივი და ტრადიციული ხასიათი შეიძინა.

საქართველოში და, კერძოდ, კახეთში მხედველობიდან არ გამორჩენიან მოსკოვის სამთავროს წარმატებები. 1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ მოსკოვში გააგზავნა ელჩი მურატი, რომელიც 1492 წელს მივიდა მოსკოვში¹ და ივანე III-ს კახეთის სამეფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება შესთავაზა. სამწუხაროდ, უცნობია მოლაპარაკებების მსვლელობა და მისი შედეგიც.

ქართლის მეფე კონსტანტინემ პოლიტიკური ორიენტაცია აიღო იმ ქვეყნებზე, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალეთის დასუსტებით. იგი უპირველეს ყოვლისა დაუკავშირდა ეგვიპტის მამლუქ მბრძანებელ ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეის (1468-1496). როგორც ჩანს კონსტანტინე ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მამლუქებს თავიანთ უმთავრეს მტრად ოსმალეთის სახელმწიფო მიაჩნდათ და მათთან ანტიოსმალური კავშირის დამყარების მიზნით 1493-1494 წლებში თავისი კარის ეკლესიის მოძღვარი კირ-ნილოსი მიავლინა². კაიროში წარმოებული მოლაპარაკებების შესახებაც არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. მაგრამ კირ-ნილოსის მისია როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრებულიყო, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფოსა და მამლუქთა ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობა, აღნიშნული დროიდან მოყოლებული, ორივე სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა შეწყვეტილიყო ოსმალეთის მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე.

¹ Тивадзе Т. Г., *Об использовании армянских купцов на дипломатической службе грузинскими царями*. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991, გვ. 239.

² ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ცინცაძე ი. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1965.

კაიროდან წამოსულმა კირ-ნილომ იერუსალიმში გაიარა, სადაც ესპანეთის ელჩებს შეხვდა და მან ისინი საქართველოში წამოიყვანა. ესპანეთის ელჩების ამგვარი გაბედული მოქმედება (ისინი თავიანთი მეფის დაუკითხავად საქართველოში წამოვიდნენ) მიუთითებს ესპანეთის სამეფო კარის აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ვითარებისადმი დიდ ინტერესზე. როცა მათ ქართველმა დიპლომატმა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის პერსპექტივა გადაუშალა, როგორც ჩანს, ისინი იოლად დათანხმდნენ საქართველოში მიპატიჟებაზე.

ესპანეთის ელჩები საქართველოში დიდხანს არ დარჩენილან. კონსტანტინე მეფემ მათ კირ-ნილოც გააყოლა თავისი წერილით ესპანეთის მეფესთან. კირ-ნილოს სხვა საგანგებო დავალებაც მიეცა: ესპანეთიდან წამოსული მოძღვარი რომის პაპს უნდა ხლებოდა და კონსტანტინეს წერილი და სიტყვიერად დანაბარები უნდა გადაეცა. მასვე გაატანეს პაპისათვის გადასაცემი საჩუქრები. ელჩებმა გადაცურეს შავი ზღვა, აჰყვნენ მდ. დნებარს და ლიტვა-პოლონეთის სამფლობელოებზე გავლით ესპანეთისაკენ გაემშრნენ.

ლიტვა-პოლონეთში ქართველმა ელჩმა მთავრობას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის ქართული გეგმა გააცნო. ამ საკითხზე პოლონეთში თათბირი რომ ყოფილა, ამის დამამტკიცებლად ი. ცინცაძეს, სავსებით სამართლიანად, მიაჩნდა ქართლის მეფე კონსტანტინეს მიერ ესპანეთის მეფისათვის გაგზავნილი წერილის თარგმანის შეტანა „ლიტვის მეტრიკაში“¹.

კონსტანტინე მეფის წერილი ესპანეთის მეფისადმი მუსლიმანთა გაძლიერებით ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის ჭკვიანურად მოფიქრებული ანალიზია. ქართლის მეფე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მას უმთავრესად საერთო საქრისტიანოს საქმეები აწუხებს და მოუწოდებს დასავლეთ ევროპის გაერთიანებული ძალებით აღადგინონ ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოები. კონსტანტინემ და მისმა კარისკაცებმა კარგად იცოდნენ, რომ დასახელებული სახელმწიფოების აღდგენა ოსმალეთის მოსპობის გარეშე არ შეიძლებოდა. თუკი ეს მოხდებოდა,

¹ იქვე, გვ. 39.

ბოდა, საქართველოსაც თავისთავად ეშველებოდა. წერილში გაკვრით ნათქვამია მაშინდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ. დაწვრილებით კი ელჩი სიტყვიერად გადასცემდა ესპანეთის ხელისუფალთ. „წერილებს გარდა სხვა სიტყვიერ ჩვენ გულის ნადებსაც გაიგონებთ მისგან, რადგანაც გზაზე მრავალი მტერია, როგორც თქვენმა მეუფებამაც იცის. უღვთო სპარსთაგან მარად ჟამს წამებულნი ვართ და მრავალი ბოროტება მოგვაგეს ჩვენ.

სამ რამეს ითხოვენ ისინი ჩვენგან: ან უზომო დიდი ხარკი გვაძლიეთო, ან ჩვენ გვებრძოლეთო, ანდა ჩვენ სარწმუნეობაზე მოექცეთო. ისინი მრავალი არიან. კონსტანტინოპოლისა, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანულ ქვეყანათაგან ხომ მარტო დავრჩით, ძალიან მცირენი ვართ. ამჟამად მთელი სიმრავლე აგარიანთა, თურქთა და არაბთა შეძრწუნებული და შეშინებულია¹. ახლა დრო დაგვიდგა ღვთის მეოხებით და გთხოვთ შენ კონსტანტინოპოლზე გაემართო, არ დაიზარო...

ხოლო მე, ჩემი ვაჟიშვილით და ჩემი ლაშქრით, რამდენიც შემიძლება, როგორც კი თქვენი მეუფების მიერ გამოგზავნილი დესპანი ჩემამდე მოაღწევს, დაუზარელად ამ საქმეზე თქვენ მოწყალებას თან გამოგყვებით².

კონსტანტინეს წერილიდან, თავისი პათოსითა და საკითხების დაყენების მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი მომენტი: 1. ქართველი მეფე ადრესატს აცნობს თავის დამოკიდებულებას ოსმალეთის მიერ, საერთოდ, საქრისტიანოსთვის შექმნილ პრობლემებზე, რომლის მოგვარებაში თავისი წვლილის შეტანას პატარა საქართველო მთელი თავისი შესაძლებლობების მობილიზებით პირდება და სხვებთან ერთად საბრძოლველად მზადყოფნას გამოხატავს. 2. ქართველი მეფე ესპანეთის კარს თავისი ქვეყნისა და ხალხის სატკივარზეც აცნობებს: თქვენ ერთი მტერი გყავთ ოსმალეთის სახით, მაშინ, როდესაც ჩვენთვის განსაკუთრებით საშიში და შემავიწროებელი მტერი ირანიაო. კონ-

1 იგულისხმება 1492 წელს ესპანეთის ჯარების მიერ გრენადის განთავისუფლება არაბთა ბატონობისაგან, რითაც საბოლოოდ დასრულდა ესპანეთის გაერთიანება.

2 იქვე, გვ. 83.

სტანტინემ კარგად იცის, რომ ირანი დასავლეთ ევროპაში მოიზარება როგორც პოტენციური მოკავშირე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ის პირდაპირ ვერ ითხოვს ირანის წინააღმდეგ შეიარაღებულ დახმარებას. ადრესატს აგებინებს რა თავისი ქვეყნის უბედურებას, იქვე გაისმის მისი მუდარა, ჩვენი მდგომარეობაც გაითვალისწინეთ და იქნებ რაიმეთი დაგვეხმაროთო.

კონსტანტინეს მიმართვას ესპანეთის სამეფო კარისადმი სასურველი შედეგი არ ექნებოდა. მაშინდელი ესპანეთის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში მცირე იყო. მხოლოდ საქრისტიანოს სიყვარულის გამო კი ასეთ საპასუხისმგებლო ნაბიჯს იმდროინდელი არც ერთი ქრისტიანული სახელმწიფო არ გადადგამდა.

ფერდინანდმა და იზაბელამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველ ელჩს მხოლოდ გაურკვეველი დაპირებები მიცეს: ესპანელები მზად არიან აფრიკაში ებრძოლონ კათოლიკური სარწმუნოების მტრებს და რომ ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ მეფე კონსტანტინეს წინადადებას დამყარდეს ურთიერთობა ესპანეთ-საქართველოს შორის და საქართველოს მეფეს მატერიალურ დახმარებასაც დაპირდნენ¹.

ესპანეთიდან წამოსული ნილო რომის პაპს ალექსანდრე VI-ს (1492-1503) ეწვია და მასაც თავისი მეფის წერილი და სიტყვიერად დანაბარებიც გადასცა. კონსტანტინეს წერილმა ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ მისი შინაარსი ნაწილობრივ მაინც ცნობილია პაპის საპასუხო წერილის წყალობით. პაპს მოსწონს ქართველი მეფის გულმოდგინება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მაგრამ პაპი ვერ მალავს, რომ ევროპის სახელმწიფოებისგან დახმარების მიღება ამჟამად შეუძლებელია, რადგან მათ შორის განხეთქილებაა. როცა ისინი ერთმანეთს შეურიგდებიან და დაირაზმებიან საერთო მტერთან საბრძოლველად, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. „თუმცა ჩვენ ყოველთვის ვიღწოდით ასეთი სურ-

1 ესპანეთის მეფე-დელოფლის საპასუხო წერილს მიაკვლია ლ. ტარდიმ ბურგოსას ხელნაწერთსაცავში, მაგრამ, სამწუხაროდ, მან თავის წიგნში საქართველოს ისტორიისათვის ამ ფრიადმნიშვნელოვანი დოკუმენტის მხოლოდ მოკლე შინაარსი გადმოსცა. ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., გვ. 33-34

ვილით, მაგრამ ახლა შენი მზადყოფნა და ქრისტეს ღიღებისაკენ შენი კეთილსინდისიერი მისწრაფებით დარწმუნება ჩვენ გვაიძულებს, ეს საქმე დავაჩქაროთ“. ამასობაში თქვენი ქვეშევრდომნი დარაზმეთ და მზად იყავითო.

პაპის წერილიდან ერთი გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. როგორც ჩანს, მეფე კონსტანტინემ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კათოლიკური ეკლესიისათვის დაქვემდებარება და ფერარა-ფლორენციის კრების (1437-1439) გადაწყვეტილებათა აღიარება შესთავაზა, რის გამოც პაპმა უპასუხა: „ჩვენ უადრესად მოხარული ვართ, რომ შენი უდიდებულესობა მისწრაფის ნამდვილ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ჩასწვდეს და ჩვენი სახით სთხოვს ჩვენს უწმინდეს სამოციქულო ტახტს, მთელი ქრისტიანობის მეთაურს, ჩამოაყალიბოს ყველაფერი რაც კი შეეხება ამ სარწმუნოების სწორ დაცვას“. ამიტომ კონსტანტინეს პაპისათვის უთხოვია ნილოს ხელით გაეგზვნა ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება. პაპმა მეფეს ეს თხოვნა დაუკმაყოფილა: „ამიტომ ჩვენ ახლა გიგზავნით კრების დადგენილებას, წერილში ჩადებულს და ჩვენი ბეჭდით დალუქულს, და ვთავაზობთ შენს თავდადებულობას, უბრძანოთ: გაავრცელონ და მიიღონ იგი შენი ქვეყნის ყველა პროვინციაში, როგორც ქრისტეზე, უფლის ჭეშმარიტ შვილზე, მითითებები და დადგენილებები... მაშინ ჩვენ ყველანი ვიქნებით ერთიანი და ახლობელნი... მაშინ ვერც ერთი მტრული იარაღი ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებს, ვინაიდან მჯერა, რომ მათზე გაიმარჯვებს მეუფება“.

პაპი ქართველ მეფეს დიდ მადლობას უხდის საჩუქრებისათვის და იმასაც აცნობებს, რომ მან მის ელჩს, თავისი მეფის სახელით დასმულ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი ზეპირად გასცა¹.

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება ითვლება რომის კათოლიკური და ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიების გამაერთიანებლად. ამ კრების მუშაობაში სხვა მართლმადიდებელი

სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა. უნიის აქტს ხელი მოაწერა ყველამ, გარდა ქართველებისა¹. ქართველების ამგვარი დამოკიდებულება აღნიშნული საეკლესიო კრებისადმი მშვენივრად მოეხსენებოდა, როგორც პაპს ალექსანდრე VI-ს, ისე მეფე კონსტანტინეს. ქართველი მეფის ეს ნაბიჯი (ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიისადმი დაქვემდებარება და ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა აღიარება) პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. მისმა ელჩმა ნილომ რომშივე მიიღო კათოლიკობა და სამშობლოში დაბრუნდა, როგორც წმინდა ბასილის წესის მონაზონი. ამით ქართველ პოლიტიკოსებს სურდათ მიექციათ კათოლიკური ევროპის ყურადღება. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ იმავე ფერარა-ფლორენციის კრების გადაწყვეტილებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანების შესახებ ბიზანტიის კეისარმა იოანე VIII პალეოლოგმა იმიტომ მოაწერა ხელი, რომ ოსმალეთისაგან თავდასაცავად დასავლეთისგან დახმარება მიეღო. სინამდვილეში მან ამ მიზანს ვერ მიაღწია. ეს კი საეკლესიო მაგალითი უნდა ყოფილიყო კონსტანტინესათვის, მაგრამ სხვაგვარად როგორ მოქცეულიყო?²

კონსტანტინე II-მ დასავლეთიდან მხოლოდ ფლორენციის კრების გადაწყვეტილება მიიღო პაპის ტყვეობით დაბეჭდილ წერილთან ერთად.

1 დაწვრ. იხ. ჟუჟუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, თბ., 1970, გვ. 5-28.

2 ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს მამაპაპური რწმენის შეცვლა სერიოზულად არასოდეს არ უფიქრიათ. კათოლიკობაზე ქვეყნის მოქცევის დაპირება მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის ფანდი იყო. ქართველ პოლიტიკოსთა ამგვარ მოქმედებაზე სპეციალურად და ვრცლად იხ. მამისთვალისშვილი ე., საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების ცდები და ქართველთა დიპლომატია. „ქართული დიპლომატია“, წელიწადური, №8, თბ., 2001, გვ. 33-64.

1 ტაბაღაძე ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 217-219. იხ. აგრეთვე, თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ.64-66; ცინცაძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 83.

5. საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობანი და დიპლომატია XVI ს. დასაწყისიდან – 70-იან წლებამდე

XV ს. 90-იან წლებში საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა. მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა ორი ძლიერი სახელმწიფოს – ოსმალეთისა და ყიზილბაშური ირანის მეზობლობით.

ოსმალებმა უკვე XV საუკუნეში მრავალრიცხოვანი და ძლევამოსილი ომების წყალობით შექმნეს სამხედრო ფეოდალური სახელმწიფო, რომლის არსებობისა და ძლიერების მთავარ წყაროს მეზობელი ქვეყნების დაპყრობა და მათი ძარცვა შეადგენდა. ისე ჩანდა, რომ ოსმალეთის მტაცებლური მადის ამლაგმველი ძალა არ არსებობდა და მისი ყველა მეზობელი დასალუპავად განწირული იყო. ოსმალების მიერ განხორციელებულ დაპყრობით ომებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისათვის მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის გართულებები არ ახლდა, გაუარესდა მათი ეკონომიკური მდგომარეობაც. აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ გზებზე ოსმალების გაბატონებამ, ევროპის სახელმწიფოები აიძულა დაეწყოთ ახალი და უზიფათო გზების ძიება, რასაც შედეგად მოჰყვა ე. წ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. ამ პროცესმა ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო კავშირ-ურთიერთობის მთელი სისტემა. ახალმა საერთაშორისო სავაჭრო გზებმა და კავშირ-ურთიერთობამ დიდი გავლენა მოახდინა მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე¹.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ დროს მისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი, ახლა უკვე გამუსლიმანებული ორი სახელმწიფო – შაქი და შირვანი ემეზობლებოდა. ორივეში განვითარებული იყო აბრეშუმის წარმოება, რომლის პროდუქტებიც საერთაშორისო ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა. XV ს. დასასრულსა და XVI ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს სამე-

ფოებს – ქართლსა და კახეთს, კეთილმეზობლური ურთიერთობა აღარ ჰქონდათ დასახელებულ სახელმწიფოებთან.

მოკლედ ასეთი იყო საქართველოს მდგომარეობა, როდესაც სამხრეთ აზერბაიჯანში, არდებილში, ასპარეზზე პირველობის პრეტენზიით გამოვიდა სეფიანების დინასტია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სეფიანების, ანუ ყიზილბაშების ძლიერ სახელმწიფოს. ამ დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო შაჰ ისმაილ I. მან გაითვალისწინა ირანისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესები და მალე მოიპოვა მათი მხარდაჭერა. იგი ცდილობდა შეექმნა ისეთი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც წინ აღუდგებოდა ოსმალთა აგრესიას. მეზობელთა მიწების დაპყრობით დაინტერესებულმა სამხრეთ აზერბაიჯანის ლიდერებმა, ისმაილს მაშინვე მხარი დაუჭირა და მისი ძირითადი დასაყრდენი გახდა. ხალხის ფართო მასების გულის მოგების მიზნით ისმაილმა შიიტობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამ ღონისძიებით მან თავის ქვეშევრდომები დაარწმუნა, რომ სუნიტური ოსმალეთის მტერი იქნებოდა. ისმაილს მხარი დაუჭირეს, აგრეთვე, ვაჭარ-ხელოსნებმა. მათი სავაჭრო საქმიანობა და გასაღების ბაზარი ფეოდალური აშლილობის და ოსმალების მიერ სავაჭრო-საქარავნო გზების გადაკეცივით უაღრესად შეიკვეცა. ამიტომ ისინიც გამოსავალს მხოლოდ ძლიერი ხელისუფლების დამყარებაში ხედავდნენ.

ისმაილმა, ვიდრე ოსმალეთთან ომს დაიწყებდა, იარაღი ჯერ თავისი უახლოესი მეზობლების წინააღმდეგ მიმართა. 1499 წელს ძლიერი და მდიდარი შირვანის წინააღმდეგ დაწყებული ომი, 1501 წელს გამარჯვებით დაასრულა. ისმაილის შირვანის სატახტო შამახიაში ყოფნის დროიდან ჩნდება იტალიელთა პირველი ცნობები საქართველოსა და ყიზილბაშებს შორის ურთიერთობის დამყარების შესახებ.

გარკვეულ წარმატებას მიაღწია თუ არა, შაჰ ისმაილმა, პაოლო ჯოვიოს გადმოცემით, მაშინვე „დაიწყო ომი ალბანების¹, იბერე-

¹ ფორდანია გ., უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ XVII საუკუნეში, „მნათობი“, №2, 1962, გვ. 174.

¹ ჯოვიო ალბანებში კახელებს უნდა გულისხმობდეს. ამის მაჩვენებელია ის, რომ იგი თავისი თხზულების მეორე ნაწილში ერთგან ამბობს: „იბერები და ალბანები დღეს

ბისა და შითების¹ წინააღმდეგ, რომლებიც ბაქოს ზღვის² ნაპირას ცხოვრობენ. ისინი წინათ სპარსეთის მეფის მოხაკენი იყვნენ... უკვე ოთხი წელი გავიდა, რაც ხარკი არ გადაუხდიათ, ელჩობაც კი არ გაუგზავნიათ გამარჯვებათა მისალოცად“³.

ჯოვიოს ცნობის მიხედვით, ისმაილი საქართველოზე ლაშქრობისას მიზნად ისახავდა საქართველოს (ქართლის, კახეთის და სამცხე-საათაბაგოს) ირანისადმი ვასალურ მდგომარეობაში ჩაყენებას, კერძოდ: მათ მიერ ისმაილის ხელისუფლების ცნობას, ყოველწლიური გადასახადის გადახდას და ჯარის გარკვეული კონტიგენტის მიწოდებას მისი ფართო დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად.

მამასადაძე, ისმაილის პირველი კონტაქტი საქართველოსთან მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესებით განპირობებული იყო და არა სტიქიური, მხოლოდ ნადავლის ხელში ჩაგდებათ ნაკარნახევი. ჰასან რუმლუ გადმოგვცემს: „ალექსანდრეს სადარმა ხაყანმა (ისმაილ I – ე. მ.) ზოგიერთი დიდებული მოიხმომ და უბრძანა, ერთმანეთში მოეთათბირათ, რომელ მხარეს უფრო შესაფერისი იქნებოდა, რომ გავემართოთ. ზოგმა თქვა, საჭიროა ერზინჯანში გაგატაროთ ზამთარი... ზოგმა კი მოახსენა, ყვარყვარეს საქართველოს ურწმუნოებზე გავილაშქროთო. სხვა ჯგუფმა კიდევ ჩოხურ-საადი (ერევნის ოლქი – ე.მ.) სცნო შესაფერისად... დადგენილ იქნა, რომ დროშების შირვანისაკენ მიმართვა სწორი იქნებაო. როცა ბასიანს მიაღწიეს, მიზანშეწონილი მოქმედებისათვის საჭირო შეიქმნა, რომ ხოლეფაბეგი საქართველოსკენ გაეგზავნათ. ბრძანების თანახმად, ხოლეფაბეგმა მამაცების რაზმით საქართველოზე გაილაშქრა, უზომოდ ნად-

ავლი აიღო და უავგუსტოეს ურდოში დაბრუნდა“⁴.

საქართველოში შემოჭრილმა ხოლეფა-ბეგმა, ისმაილის მითითების თანახმად, გარკვეული მოთხოვნები წაუყენა ქართლის, კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მბრძანებლებს. როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ისმაილის მოთხოვნებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ქართველების მიერ ჯარის გაყვანას მის დასახმარებლად⁵. ყოველ მოთხოვნაზე დასახელებულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს 3-3 ათასი მხედარი გაჰყავდათ.

ანონიმი ვენეციელისა და კატერინო „ძენოს მოგზაურობის კომენტარების“ გადმოცემის თანახმად, 1501 წელს ისმაილმა შამახიიდან ელჩი გაუგზავნა ქართველ მეფე-მთავრებს და აყ-ყოიუნლუს სულთნის ალვენდის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. რადგან „საკუთარი ძალებით ომში წარმატება ეეჭვებოდა, ამიტომ [ისმაილმა] ელჩი გაგზავნა იბერიაში, რომელიც შამახიიდან სამი, ან უფრო ზუსტად, ოთხი დღის სავალზეა. ეს იბერია დიდი პროვინციაა, მთელი მოსახლეობა მართლმორწმუნე ქრისტიანია და მბრძანებლობს შვიდი სინიორი. მათ შორის არიან ორნი, ან უფრო ზუსტად სამნი, რომლებიც სპარსეთის, ე.ი. თავრიზის ქვეყანას ესაზღვრებიან. ერთს ჰქვია ალექსანდროს ბეგი, მეორეს გურგურამბეგი, მესამეს მირზა ბეგი“⁶.

თითქმის იგივეს გვეუბნება ძენოც, მაგრამ მოკლედ, „სინიორების“ სახელებიც მცირედ შეცვლილია (ალექსანდრო ბეგი, გურგურამბეგი, მირაბეტი), თანაც მათ „ჯორჯანებს“ უწოდებს⁷.

როგორც ჩანს, ორივე ავტორისათვის ცნობილი იყო საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროებად დანაწილება, მაგრამ მას

1 ჰასან-რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1965, გვ. 19.

2 საინტერესოა, რომ არც თურქული და არც სპარსული წყაროები არ აღნიშნავენ სეფიანთა სახელმწიფოს ან ოსმალეთის მიერ ქართული სამეფოებიდან დამხმარე ჯარის გაყვანას.

3 Ramusio G. B., Op. cit., p. 87 r.

4 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა, გვ. 37. ევროპაში გაგზავნილ წერილებსა და იტალიურ დოკუმენტურ თუ ნარატიულ წყაროებში ყვარყვარე II ყოველთვის „გურგურას“, „ჯორჯორას“ სახელით მოიხსენიება.

იბერებად წოდებულნი“. **Giovio P., La seconda parte dell'Historie del suo tempo, Firenze, 1553, p. 478.**

1 ალბათ, შირვანელები.

2 კასპიის ზღვა.

3 **Giovio P., La prima parte dell'Historie del suo tempo, Firenze, 1551, p. 483; Spandugino T., La vita di Sach Ismael et de Tamas re di Persia chiamati Sofi. „Historia universale del origine et imperio de Turchi, raccolta da M. Francesco Sansovino“, Venezia, 1568, p. 374r.**

მაინც ერთი საერთო სახელით „იბერია“ და „ჯორჯანია“ მოიხსენიებდნენ.

ზემოთ დასახელებული ქართველი „სინიორების“ ვინაობის დადგენა, გარდა პირველისა (ალექსანდროს ბეკი), ადვილად ვერ ხერხდება. ეჭვი არ არის რომ პირველი კახეთის მეფე ალექსანდრე პირველია (1476-1511). „გურგურამბეკი“ სამცხის ათბაგ ყვარყვარე მეორეზე (1451-1498) მიგვანიშნებს¹. მაგრამ, ცნობილია, რომ 1500-1515 წლებში ათბაგობდა ყვარყვარე II-ის შვილი მზეჭაბუკი. მაშ ანონიმი ვენეციელი და ძენოს მოგზაურობის კომენტატორი რატომ უნდა ასახელებდნენ ყვარყვარეს. სავარაუდოა, რომ ყვარყვარე II-ის დიდხანს ათბაგობამ და პოპულარობამ მისი სახელი ყვარყვარე (გურგურა, გორგორა) სამცხის მმართველი ათბაგის ზოგად სახელად აქცია. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ „გურგურა“-ში დასახელებული ავტორები ათბაგ მზეჭაბუკს გულისხმობენ.

ვინ არის „მირაბეტი“? ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ვარაუდის დაშვება შეიძლება. რადგან „მირზა“ უფლისწულს ნიშნავს, შეიძლება მასში ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის რომელიმე ვაჟი ან ძმა ვივარაუდოთ. კატერინო ძენოს „მოგზაურობის კომენტარებში“ ნათქვამია, რომ ზემოაღნიშნულ „სინიორებს“ „ძველი მტრობა ჰქონდათ ალამურთან და სურდათ მისი ძლიერების დამხობა, ისარგებლეს ისმაილის მიერ მიცემული შემთხვევით და გადწყვიტეს დახმარებოდნენ მას ალამურის წინააღმდეგ“².

ისმაილი ქართველებს ჰპირდებოდა, „თუ ისინი დაეხმარებოდნენ [ალვენდის წინააღმდეგ], დარჩებოდნენ კმაყოფილი და მდიდრები“. ისმაილი მოკავშირეებს აცნობებდა თავის განზრახვის შესახებაც: ალვენდის დამარცხების შემდეგ თავრიზს სატახტო ქალაქად გადააქცევდა და, როდესაც ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი გახდებოდა, მაშინ

1 ევროპაში გაგზავნილ წერილებსა და იტალიურ დოკუმენტურ თუ ნარატიულ წყაროებში ყვარყვარე II ყოველთვის „გურგურას“, „გორგორას“ სახელით მოიხსენიება.

2 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები, გვ. 37-38.

ქართველები განთავისუფლდებოდნენ იმ ხარკისაგან, რომელსაც ისინი „სპარსეთის მეფეს“, ე.ი. ალვენდის უხდიდნენ¹.

მოცემულ ეტაპზე ისმაილისათვის დახმარება ქართველებს პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც ხელსაყრელად მიუჩნევიათ. მართლაც, მათ, თითოეულმა სამ-სამი ათასი (სულ 9 ათასი) მხედარი გაგზავნეს². ანონიმი ვენეციელი იქვე დასძენს, რომ „ეს იბერები უმამაცესი მხედრები და ბრძოლაში მრისხანენი არიან“³. ქართველები იმითაც სახელგანთქმულნი ყოფილან, რომ ტრაპიზონის საზღვრებთან მოსვენებას არ აძლევდნენ ოსმალებს⁴.

ისმაილს ქართველი მხედრები დიდი სიზარულითა და პატივით მიუღია. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ისმაილისათვის ქართველების მიერ გაწეული დახმარება, იქიდან ჩანს, რომ მათ მისვლამდე ისმაილს მხოლოდ 7 ათასი მებრძოლი ჰყავდა, ამის შემდეგ კი, მისი ლაშქარი 16 ათას კაცამდე გაიზარდა. ქართველების მისვლით ნასიამოვნებმა ისმაილმა დაპირება შეასრულა და ისინი შამანიაში მოხვეჭილი დიდძალი განძით დაასაჩუქრა⁵.

1501 წელს ნახჭევანის მახლობლად, სოფ. შარურთან, გამართულ ბრძოლაში ისმაილის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ალვენდის 30 ათასიანი კავალერია. როგორც ანონიმი ვენეციელის ცნობიდან ირკვევა, ბრძოლის დროს გადამწყვეტი როლი ქართველთა რაზმებს შეუსრულებიათ. ისინი ალვენდის ბანაკში შეჭრილან და მოუსპიათ. სულთანმა გაქცევით უშველა თავს. გამარჯვებულები დიდი ზემოთ შევიდნენ თავრიზში. მართალია ალვენდმა შეძლო ძალების მოკრება და მცირე ხნით თავრიზიც დაიბრუნა, მაგრამ 1502 წ. იგი საბოლოოდ განდევნეს. ისმაილი ირანის შაჰინ-შაჰად

1 Ramusio G. B., *Op. cit.*, p. 87 r.

2 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები, გვ. 38; Ramusio, *Op. cit.*, p. 87r.

3 „Et questi Hiberi sono huomini valentissimi a cavallo, et terribili in battaglia“. Ramusio, p., *Op. cit.*, 87r.

4 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები, გვ. 38.

5 Ramusio, *Op. cit.*, p. 87r-v. სრულიად საწინააღმდეგო ცნობა აქვს სეფიანთა ხანის (XVI ს.) ისტორიკოსს ჰასან-ბეგ რუმლუს. შირვანზე გალაშქრებამდე ისმაილს ქართველებისათვის დახმარება კი არ უთხოვია, არამედ საქართველო დაულაშქრია. სპარსელი და იტალიელი ავტორები ერთმანეთს ერთში ეთანხმებიან: შირვანზე ლაშქრობის წინ ისმაილს 7 ათასი მებრძოლი ჰყავდა. ჰასან-ბეგ რუმლუ, გვ. 19.

(მეფეთ-მეფე, 1502-1524) გამოცხადდა. 1502 წელი ყიზილბაშთა სახელმწიფოს დაარსების წელად ითვლება¹.

ისმაილ I-ის საგარეო პოლიტიკა დაპყრობით ომებს ითვალისწინებდა. უკვე 1502 წელს ის სამხედრო მოქმედებას იწყებს აყყოიუნლუს უკანასკნელი სულთნის, უზუნ ჰასანის შვილიშვილის მურადის წინააღმდეგ. მურადს აზერბაიჯანში აყყოიუნლუს ძალაუფლების აღდგენა სურდა და ყიზილბაშთა დაუძინებელი მტერი იყო.

ანონიმი ვენეციელის გადმოცემის თანახმად, ისმაილ I თავრიზში იმყოფებოდა, როცა მურადის 30 ათასიანი ჯარით თავრიზზე წამოსვლის ამბავი აცნობეს. ისმაილმა დიდებულები თავიანთი ჯარებით შეკრიბა და მურადის შესახვედრად თავრიზიდან გავიდა. მურადი სწრაფად მიდიოდა რათა მოულოდნელი თავდასხმა განეხორციელებინა. ისმაილის მდგომარეობა კრიტიკული იყო. ამიტომ მან „ყველა თავის დიდებულსა და მეომარს მიმართა, რომ თითოეულმა მათგანმა იბრძოლოს ვაჟკაცურად. იბერთა სინიორებსაც სთხოვა, რომ წააქეზონ თავიანთი მეომრები, გაასხენონ, როგორ მოიქცნენ იმ შემთხვევაში, როცა ალუშუტის (ალვენდი) მთელი ბანაკი გაანადგურეს. ამგვარად შეპირდა თითოეული იბერიელი მას და მათ ერთი საათი ას წელად მოეჩვენათ, სანამ ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ“².

მურადი თავისი ჯარით მივიდა თავრიზის დაბლობზე და ისმაილის ბანაკიდან მცირე მანძილზე, ერთ პატარა მდინარესთან გაჩერდა. ისმაილის ჯარიც, რომლის დიდ ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, მდინარის მეორე ნაპირთან მივიდა და იქვე დაბანაკდა. პირისპირ მდგომი მოწინააღმდეგეები ბრძოლაში იწვევდნენ და უხეში სიტყვებით უმასპინძლებოდნენ ერთმანეთს. შუადღისას (1503 წ. 19 ივნისი) ისმაილი და მურადი ჯარების გამხნივებას შეუდგნენ. საღამოს კი მურადმა თავისი ჯარი სამ ნაწილად გაჰყო. მისი მიბაძვით, ისმაილმაც ჯარი ორ ნაწილად გაჰყო: ერთში 9 ათასი ქართველი იყო, მეორეში – ყიზილბაშები. 20 ივნისს გაიმართა ბრძოლა, რომელიც შაჰ ისმაილის გამარჯვებით დამთავრდა.

სულთან მურადი ბრძოლის ველიდან გაიქცა¹. მან შირაზს შეაფარა თავი, მაგრამ ისმაილი დაედევნა და შირაზსაც დაუფლა.

აზერბაიჯანში განმტკიცების შემდეგ სეფიანებმა აყყოიუნლუ გაანადგურეს და ირანის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიმორჩილეს. 1507-1508 წლებში ყიზილბაშებმა დაიპყრეს ერაყის დიდი ნაწილი ბაღდადითურთ. ამის შემდეგ მათი სახელმწიფო აღმოსავლეთით გაუმეზობლდა უზბეკების სახელმწიფოს, დასავლეთით კი – ოსმალებისას.

იწყება ბრძოლა ხორასნისათვის ისმაილ I-სა და უზბეკების მბრძანებელ შეიბან-ხანს შორის. ხორასანზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. შეიბან-ხანმა იდროვა შაჰ ისმაილის მცირე აზიაში საომარი მოქმედებით და ხორასანი დაიპყრო. ისმაილი დიდი ჯარით დაიძრა ხორასნისაკენ. ბრძოლა მოხდა ქ. მერვის მახლობლად, სოფ. მაჰმუდთან 1510 წლის 1 დეკემბერს. არავითარი ცნობა გვაქვს ამ ბრძოლაში ქართველების მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ისმაილმა ქართული ფაქტორი შესანიშნავად გამოიყენა ბრძოლის წარმატებით დასასრულებლად. აი რას გვამცნობს თეოდორო სპანდუჯინო: „მერვიდან ერთი დღის სავალზე არის მდ. საკიჯანი, რომელზეც გადებულია მერქიოპეს ხიდი. აქედან სურდა [შეიბან-ხანს] გადასულიყო მდინარეზე. შაჰმა მდინარეზე გადასასვლელი დაიკავა. ბრძოლა გაგრძელდა შუადღემდე. მაშინ შაჰმა [ისმაილმა] ხმა გაავრცელა, ვითომ ერთიმეორეზე მიყოლებით ექვსი შიკრიკი მოუვიდა, რომლებმაც აცნობეს, რომ ქართველები ერთმანეთთან შეთანხმებით თავრიზის დასალაშქრად წამოვიდნენ“². ამის შემდეგ შაჰ ისმაილმა ხიდის დაცვა მიატოვა და უკან დაიხია. სამაგიეროდ შეიბან-ხანმა მთელი თავისი ჯარით, რომელიც 30 ათასი მეომრისაგან შედგებოდა, ხიდზე გადასვლა დაიწყო. შაჰ ისმაილი კი, ნახევარი დღის სავალზე გაჩერდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა. როცა მოსალამოვდა, იგი მოულოდნელად თავსდაესხა მტერს და

1 *Ibidem*. ისმაილ I-ისა და მურადს შორის ბრძოლის სრულიად განსხვავებული, ისტორიულ სინამდვილეს დაშორებული ვერსია იხ. გიორგაძე ბ., ვენეციელი ავტორის მარინო სანუტოს ცნობები საქართველოზე (XV-XVI სს. მიჯნა). კრებულში: ევროპის ისტორიის პრობლემები, II, თბ., 1978, გვ. 188-189.

2 Spandugino T., *Op. cit.*, p. 106v.

1 Петрушевский И.П., Ук. труд, с. 233.

2 Ramusio, *Op. cit.*, p. 88r.

სასტიკად გაანადგურა. შეიბან-ხანი ბრძოლაში დაიღუპა¹.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მონაცემებს, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ქართველებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სეფიანების ყიზილბაშური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში. მაგრამ ქართველების წვლილი შაჰ ისმაილის საგარეო პოლიტიკაში ამით არ დასრულებულა. ისინი კვლავაც აქტიურად მონაწილეობდნენ შაჰის მთელ რიგ სამხედრო ღონისძიებებში.

საფიქრებელია, რომ ქართველების ისმაილისადმი დახმარება, პირველ რიგში განპირობებული უნდა ყოფილიყო, იმით, რომ ქართველი პოლიტიკოსები სეფიანთა სახელმწიფოს გაძლიერებაში ხელდავდნენ ოსმალეთის საპირისპირო ძალას. ყიზილბაშთა ძლიერი სახელმწიფო ძალთა წინასწარობას შექმნიდა ახლო აღმოსავლეთში. ქართველი პოლიტიკოსებისათვის, რა თქმა უნდა, ძნელი მისახვედრი არ იქნებოდა, რომ ძლიერი მეზობელი მათი ქვეყნის არსებობას ხიფათს შეუქმნიდა. მაგრამ ისტორიული გამოცდილება იმასაც უკარნახებდათ, რომ ერთ ძლიერ მეზობელთან პირისპირ დარჩენა უფრო სასიფათო იყო ვიდრე, ორთან, რომლებიც მუდმივად დაპირისპირებულნი იქნებოდნენ თუნდაც საქართველოზე ბატონობისათვის. მათ შორის წინააღმდეგობის გამოყენება გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალება იქნებოდა.

* * *

შაჰ ისმაილ I-ის კარზე კარგად იცოდნენ, ევროპელების დაინტერესება აღმოსავლეთში ოსმალეთის საპირისპირო ძალის მოძებნის შესახებ. ამიტომ მან ვენეციის რესპუბლიკას მაშინვე შესთავაზა უზუნ ჰასანის დროინდელი კავშირის განახლება და ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად არტილერია და არტილერისტები სთხოვა². ვენეციელებმა არ დააყოვნეს და უკვე 1502

წელს სცადეს შაჰ ისმაილთან კონტაქტის დამყარება. ირანში ელჩად გაიგზავნა კონსტანტინე ლასკარისი. 1502 წლის 15 ოქტომბერს ლასკარისი ყარამანიიდან ვენეციაში გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავს შაჰ ისმაილის ოსმალეთთან მომავალ ბრძოლაში, კერძოდ, ტრაპიზონის იმპერიის განთავისუფლების საქმეში, საქართველოს დიდ მნიშვნელობაზე¹.

სეფიანთა სახელმწიფომ, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში, თავისებური ურთიერთობა დაამყარა სამცხე-საათაბაგოსთან. ისმაილ I საათაბაგოს სამფლობელოებს, ათაბაგისავე ნებართვით, პლაცდარმად იყენებდა ოსმალეთის ტერიტორიაზე შესაჭრელად. ხშირად, როცა წყაროებში ლაპარაკია საქართველოზე, მითითებულიცაა, რომ იგი ესაზღვრება ტრაპიზონს. ამით სურთ ხაზი გაუსვან საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას ოსმალეთთან ომის შემთხვევაში. სპანდუჯინოს ერთი დაუთარიღებელი ცნობიდან ვიგებთ, რომ ისმაილმა „გაგზავნა სატოფები 14 ათასი კაცით ტრაპიზონის მხარეს. საქართველოს მთავარმა გუაგურა ბემ, რომელიც შაჰ-იაკუბის ბების ძმის (შაჰ-იაკუბის ბიძის) სიმამრი იყო, გზა მისცა. იგი შეიჭრა ტრაპიზონის სამეფოში, მრავალი ადგილი გადაწვა, გაძარცვა და მისიანები, ნადავლით დატვირთულნი, უკან დაბრუნდნენ“².

ძნელია იმის დადგენა, როდის მოხდა სპანდუჯინოს მიერ აღმოცემული ამბავი, მაგრამ, რადგან მასში ნათქვამია, რომ ისმაილის სამხედრო ექსპედიცია ბაიაზიდ II-ის (1481-1512) წინააღმდეგ იყო გაგზავნილი, ამიტომ მიახლოებით შეიძლება თქმა, რომ ეს მოხდა 1512 წლამდე, სელიმ პირველის გამეფებამდე. სელიმ I-ის გამეფების შემდეგ ათაბაგის დამოკიდებულება შაჰ ისმაილისადმი შეიცვალა.

ყვარყვარე II-ის გარდაცვალების შემდეგ სამცხე-საათაბაგოში დაიწყო ბრძოლა ტახტის პრეტენდენტებს შორის, საბოლოოდ გაიმარჯვა მზეჭაბუკმა (1500-1515). ამ დროს იწყება ოსმალების შეტევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე. ათაბაგმა შექმნილი

¹ Ibidem.

² Epistolarum Turcicarum variarum et diversarum auctorum, Frankfurt am Main, 1598, S. 59.

¹ Sanuto M. I diarii, t. IV, Venezia, 1880, p. 357.

² Spandugino T., Op. cit., p. 110.

მდგომარეობით ისარგებლა, ჯერ ქართლის მეფე კონსტანტინე II-სთან დაამყარა მშვიდობა და მისადმი მორჩილება იკისრა, შემდეგ თავისი სამფლობელოების გაფართოების მიზნით, ოსმალეთთან კავშირი გააბა. როცა გურიელი ოსმალებს ებრძოდა, მხეჭაბუკი მტრის მხარეს დადგა და აჭარა და ჭანეთი დაიპყრო¹. ოსმალური წყაროების თანახმად, მხეჭაბუკმა დაიკავა არტაანი, კოლა (პატარა არტაანი), ოლთისი, თორთუმი და ისპირი²

ოსმალეთის მმართველი წრეები ჯეროვნად აფასებდნენ საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას აღმოსავლეთზე შეტევისათვის, მაგრამ ვიდრე მშვიდობიანი ბაიზიდ II ქვეყანას მართავდა, საქმე ომამდე არ მივიდა.

ბაიზიდ II-ის მშვიდობიანი აღმოსავლური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა უფლისწული სელიმი. იგი ტრაპიზონის ვალად ყოფნისას თვითნებურად, სულთნის სურვილის წინააღმდეგ ებრძოდა ყიზილბაშებს. სელიმმა გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია: 1510 წ. მან ხელთ იგდო ყიზილბაშების მიერ დაკავებული ერზინჯანი და ბაიბურთი, რითაც სეფიანთა სახელმწიფოსთან ომის დაწყების საშიშროება შექმნა. შვილის ასეთი მოქმედების გამო ბაიზიდი იძულებული გახდა ისმაილთან ელჩი და საჩუქრები გაეგზავნა და ბოდიშიც მოეხადა³.

სელიმის მოქმედება ყიზილბაშების დასავლეთისაკენ წინსვლის შეჩერებას ისახავდა მიზნად. პაოლო ჯოვიოს გადმოცემით, სელიმმა აიძულა ბაიზიდი, რომ იბერებთან და მეგრელებთან საქმის მოგვარება მისთვის მიენდო⁴, რადგან სამხრეთი და დასავლეთი საქართველო სელიმს ოსმალეთის გავლენის სფეროდ მიაჩნდა. XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის სოლაქ-ზადეს თქმით: „ცნობილია და გულებში ხსოვნადაა დარჩენილი, რომ, როდესაც მისი უდიდებულესობა შაჰ-ზადე სელიმ-ხანი ტრაპიზონის ვილაიეთში მივიდა, დიდ დროს ანდომებდა იმ მხარეში საქართვე-

ლოს მტრებთან ბრძოლასა და საღვთო ომს“¹. იმავე პერიოდის სხვა თურქი ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის გადმოცემით, ტრაპიზონის ვალად ყოფნის პერიოდში „სელიმი დროის დიდ ნაწილს საქართველოს რბევა-აოხრებასა და ყიზილბაშებთან ომებს ანდომებდა. ერზინჯანი და ბაიბურთი მან (ყიზილბაშებს) ხელიდან გამოსტაცა... (სამეფო კარის) მორჩილებიდან სელიმის გამოსვლის, დავისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით ჩადენილ დანაშაულად და პრეტენზიად იმოწმებდნენ (მამის) ნებადაურთველად საქართველოზე ჩატარებულ ლაშქრობებს“² და მაღალ სახელმწიფოსთან მშვიდობიან ურთიერთობაში მყოფ ყიზილბაშებთან გამართულ ომებს“³. ეს მოხდა 1510 წელს⁴.

1512 წელს უფლისწულმა სელიმმა, ოსმალეთის ფეოდალთა ყველაზე აგრესიული წრეების მხარდაჭერით, ბაიზიდ II ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ დაიკავა სელიმ I-ის სახელით (1512-1520). ის მაშინვე შეუდგა თავისი ძირითადი გეგმის განხორციელებას – სეფიანების მოსპობას და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დამორჩილებას.

მეზობლების – ყიზილბაშების და ოსმალების – მიერ საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარებას ხელს უწყობდა სამცხე-საათაბაგოში შექმნილი ვითარება. ჯერ ყვარყვარე II-მ, შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა, ვიწრო ფეოდალური ინტერესებიდან გამომდინარე, მერყევი, უპრინციპო პოლიტიკის გატარებით, მრავ-

1 შენგელია ნ. სოლაქ-ზადე საქართველოს შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1873, გვ. 58.

2 იმავე პერიოდის სხვა თურქი ისტორიკოსის კოჯა ჰუსეინის თქმით, 1509 წ. სელიმმა ჯერ სომხეთში ერზინჯანი დაიპყრო, შემდეგ საქართველო აიკლო, საიდანაც დიდძალი ნადავლითა და ტყვეებით დაბრუნდა. Новосельцев А. П. Освободительная борьба народов Закавказья в XVI-XVII веках. «Вопросы истории», М., 1969, №9, с. 115; შენგელია ნ. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 31.

3 ჩოჩიევი ვ., მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში (ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებების მიხედვით). (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 1972, გვ. 54-55.

4 მ. სვანიძემ თურქულ წყაროებზე დაყრდნობით გამოიკვლია, რომ სელიმის საქართველოზე თავდასხმა 1510 წელს უნდა მომხდარიყო. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს., თბ., 1971, გვ. 44.

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 710-711.

2 ჟან-ლუი ბაკე გრამონი, ოსმალები და საქართველო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, 1978, გვ. 99.

3 Fisher S., The foreign relations of Turkey 1481-1512, Urbana, 1948.

4 Giovio P., Op. cit., I, p. 509.

ალჯერ მისცეს საბაბი დასახელებულ მეზობლებს მათ საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ, ზოგჯერ კი, მათი მხარდაჭერით დანარჩენ საქართველოს იკლებდნენ ან დაპყრობას ლამობდნენ.

ისმაილ II-ის დაპყრობითმა ომებმა, მისმა წარმატებებმა დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა. ოსმალებისაგან შევიწროებული და შეშინებული ევროპელები ყიზილბაშთა სახელმწიფოში ხედავდნენ ძალას, რომლის დაპირისპირება შეიძლებოდა ოსმალების იმპერიისათვის. შაჰ ისმაილის პიროვნების, როგორც საქრისტიანოს მეგობრის განდიდება ხდებოდა ისევე, როგორც ერთ დროს თემურლენგისა და უზუნ ჰასანის.

სელიმ I-ს ფართო დაპყრობითი გეგმები ჰქონდა, მაგრამ მათი განხორციელება ყიზილბაშთა სახელმწიფოს განადგურების გარეშე შეუძლებელი იყო. შაჰსა და სულთანს შორის ურთიერთობა სულ უფრო იძაბებოდა და ორივე მხარე გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

1514 წლის გაზაფხულზე სელიმ I-მა ქ. ედირნეში მოიწვია დივანი, რომელზეც გამოცხადდა, რომ შიიტი ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლა ყველა მუსლიმის წმინდა მოვალეობა იყო. ამის შემდეგ სელიმმა სამხედრო მოქმედებაც დაიწყო და ირანის სამფლობელოებში შეიჭრა. შაჰის ბრძანებით ყიზილბაშთა რაზმებმა უკან დაიხიეს ქვეყნის სიღრმეში, თანაც სპობდნენ ხიდებს, გზებს, სურსათ-სანოვავის მარაგს. ეს ღონისძიება მტრისათვის სწრაფი წინსვლის საშუალების მოსპობას ისახავდა მიზნად. ოსმალთა ლაშქარი, მართლაც დიდ გასაჭირში აღმოჩნდა. ჯარის მომარაგება გაძნელდა. ოსმალებს ქარავნებით უხდებოდათ სურსათისა და იარაღის გადაზიდვა. გზის სიშორის გარდა, მომარაგებას ისიც ართულებდა, რომ ქარავნებს თავს ესხმოდნენ შაჰ ისმაილთან დაკავშირებული ქართველთა რაზმები და თურქთა ტომები¹.

რაც დრო გადიოდა ოსმალთა მდგომარეობა მით უფრო რთულდებოდა, მაგრამ, როგორც დონადო და ლექეს 1514 წლის 14 სექტემბრის წერილიდან ვიგებთ (დონადო და ლექეს, ცნობები

მიაწოდა ჯოვანი მარია ანჯოლელომ) გაჭირვებაში ჩავარდნილ ოსმალებს სერიოზულად დაეხმარნენ ქართველები. სელიმის ბანაკში 14 ათასი ქართველი მხედარი მისულა და სურსათიც მიუტანია¹. სხვა ცნობით, რომელიც კონსტანტინოპოლის ვენეციელ ბაილოს ნიკოლო ჯუსტინიანს ეკუთვნის, სულთნის ლაშქარში 13 ათასი ქართველი მხედარი ყოფილა².

საინტერესოა, ვინ იყვნენ იტალიურ წყაროებში დასახელებული ქართველები, რომლებიც სელიმ I-ს შაჰ ისმაილის წინააღმდეგ ეხმარებოდნენ? ვფიქრობ, ისინი სამცხე-საათაბაგოდან უნდა ყოფილიყვნენ.

მ. სვანიძე არ იზიარებს ჩემს მიერ მოხმობილ იტალიური წყაროების ცნობებს და აღნიშნავს, რომ „ამ დროს სამცხის ათაბაგს, როგორც ოსმალეთის მოხარკეს, არ ევალებოდა ლაშქრის გამოყვანა“³. ვფიქრობ, მოყვანილი ცნობები ათაბაგის ოსმალებთან მოკავშირეობაზე და არა მოხარკეობაზე მიუთითებს. ამგვარი ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ი. ჰამერის წიგნში მოყვანილი ერთი თურქული ცნობაც, რომლის მიხედვითაც, ყიზილბაშებზე მიმავალი სელიმი სოგმენში გაჩერდა და ელჩი გაუგზავნა ათაბაგ მზეჭაბუკს (ქართველი პრინცი ჯანიკი). ათაბაგმა არ დააყოვნა და თავისი ელჩის ხელით სულთანს სურსათ-სანოვავე და შაჰ ისმაილის ძმის, ჰადირ ოღლუს, ორი ვაჟიც მიჰგვარა. ისინი შაჰს გაექცნენ და მზეჭაბუკის (ჯანიკი) კარზე შეაფარეს თავი. დიდად ნასიამოვნებმა სულთანმა ათაბაგს მეორე ელჩი გაუგზავნა, რომელმაც სულთნის მადლობა და საპატიო ხალათი გადასცა⁴. სოგმენში მზეჭაბუკის ელჩის მიერ სურსათ-სანოვავის მიტანა, მომხდარა 1514 წ. 10 აგვისტოს⁵.

იმის თქმა, რომელი ცნობა – იტალიური თუ თურქული – უფრო ზუსტად ასახავს სინამდვილეს, ძნელია. ის კი ნათლად ჩანს, რომ ათაბაგი მზეჭაბუკი ოსმალებს უმნიშვნელო დახმარებას

1 Berchet G., Op. cit., p. 269; Sanuto M. I diarii, t. XIX, Venezia, 1887, p. 57.

2 Sanuto M., I diarii, t. XIX, p. 24.

3 სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 159.

4 Hammer J., Geschichte des osmaniSchen Reiches, II B., Pest, 1834, S. 715;

სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 48-49.

5 სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 48.

¹ Эфендиев О. А., Образование Азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века, Баку, 1961, с. 114.

არ უწევდა. სელიმმა დახმარება გადამწყვეტი ბრძოლის წინ რამდენიმე დღით ადრე მიიღო. 1514 წლის 23 აგვისტოს ჩალდირანის ველზე ოსმალებმა შაჰ ისმაილის ლაშქარი დაამარცხეს. შაჰმა გაქცევით უშველა თავს.

მზეჭაბუკისა და სელიმის ურთიერთობაზე საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან მომენტს. როგორც ჩანს, ათაბაგი ოსმალებს საკუთარი ინიციატივით კი არ დაეხმარა, არამედ სულთნისაგან „შეხსენებით“, უფრო სწორად, ძალდატანებით. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთდასახელებულ ბაილო ნიკოლო ჯუსტინიანსაც არ გამოჰპარვია მხედველობიდან ის გარემოებამ რომ ქართველები, თუ კი შესაძლებელი იქნებოდა, სულთანთან არავითარ შეთანხმებაზე არ წავიდოდნენ¹. ვიძიებთ ათაბაგი მზეჭაბუკი, მიუხედავად იმისა, როგორი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა, მისი დახმარება ოსმალებისადმი შინაარსით მოკავშირეობის ელფერს ატარებდა.

ციხილბაშებთან ომის დაწყების წინ, როგორც ჯაკომო ჯულიანის მიერ რაგუზადან გაგზავნილი ერთი წერილიდან ჩანს, სულთან სელიმს ქართველებისაგან (ალბათ საათაბაგოელები იგულისხმებიან) დამხმარე ჯარისა და სურსათ-სანოვავაგის მიღების იმედი ჰქონდა, მაგრამ მათ დაპირება არ შეუსრულებიათ². მგონია ეს ცნობა ასახავს ოსმალებისა და ციხილბაშების ბრძოლის მეორე ეტაპს, რაზეც ქვემოთ ითქმევა.

1514 წ. 6 სექტემბერს გამარჯვებული სელიმ I ციხილბაშთა სატახტო თავრიზში შევიდა და 15 სექტემბრამდე დარჩა. თავრიზის სწრაფად დატოვების მიზეზი ჯარის შიმშილობისაგან გადარჩენა იყო. ოსმალებს, ციხილბაშების მიერ გადაბუგულ ადგილებზე უნდა გაეკლოთ და ზამთრის დასაწყისში სურსათის შოვნის არავითარი პერსპექტივა არ არსებობდა. სულთნის გადაწყვეტილებას თავრიზის სწრაფად დატოვების შესახებ, ისმაილის შემდგომი ბრძოლისათვის მზადებაც აჩქარებდა. ისმაილის ჯარს

ქართველ მხედართა დიდი რაზმიც შეუერთდა¹. ოსმალები ამასიისაკენ გაეშურნენ. მათი ვარაუდი, რომ სურსათის ნაკლებობას თავიდან ვერ აიცილებდნენ, გამართლდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ისიც, რომ თავრიზიდან გასულ ოსმალებს მოსვენებას არ აძლევდნენ ქართველთა რაზმები. ქართველების ამგვარი მოქმედება ვრცლად არის აღწერილი კატერინო ძენოს „მოგზაურობის კომენტარებში“².

1515 წ. 25 მარტს ჰანიბალ მალიპიეროს მიერ ნიქოზიიდან ვენეციაში გაგზავნილ წერილში მოთხრობილია ოსმალთა მიერ თავრიზის ალებისა და გაძარცვის შესახებ. შემდეგ ვიგებთ, რომ სულთანმა თავრიზი დატოვა, ამასიისაკენ წავიდა და მდ. ეფფრატს მიადგა. მისი ჯარის ორი მესამედი მდინარის მეორე ნაპირზე გადასული იყო, როცა ზურგიდან თავს დაესხნენ ქართველები, რომლებმაც ამოწყვიტეს 15 ათასამდე კაცი და ხელთ იგდეს 11 ქვემეხი³.

თავრიზიდან წასული ოსმალების ქართველებისაგან (იბერები) შევიწროებასა და დიდი ზარალის მიყენებას აღნიშნავს ანჯოლელოც⁴.

სურათის უფრო ნათლად წარმოდგენის მიზნით, ზემოაღნიშნულს უნდა დავუმატოთ, სპანდუჯინოს ორიოდე ცნობაც: მიუხედავად მთელი იმ სისწრაფისა, რაც სელიმმა გამოიჩინა, ქართველი ცხენოსნების მოსვლამ მდ. ეფფრატთან ისეთი შიში და არეულობა გამოიწვია, რომ 2 ათასი თურქი, რომლებიც მდინარეზე გადსვლას ლამობდა, დაიხრჩო. ქართველმა მცვენთავეებმა დაახლოვებულ ტალახში ჩაფლული საჭურველი და მდინარის მიერ წაღებული ავლა-დიდება. ნადავლით კმაყოფილმა ქართველებმა შორს აღარ გასდიეს თურქებს. ისმაილი განსაკუთრებით იმით დარჩა კმაყოფილი, რომ ხელთ იგდო მტრის არტილერია, რომლის ნაკლებობა მისი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

1 Spandugino T., *Op. cit.*, p. 400r.

2 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები, გვ. 42; Spandugino T., *Op. cit.*, p. 400r-v.

3 Sanuto M., *I diarii*, t. XX, Venezia, 1887, p. 244; Jovii P., *Warhaftige Beschreibung chronik-wirdiger Historien*, Frankfurt, 1570, S. 303

4 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები, გვ. 81.

1 Sanuto M. *I diarii*, t. XIX, p. 24.

2 *Ibidem*, p. 386.

ისევ დგება კითხვა: ვინ იყვნენ ის ქართველები, რომელი სამეფო-სამთავროს წარმომადგენლები, რომლებმაც ამგვარ საშინელ მდგომარეობაში ჩააყენეს ოსმალები? დღეისათვის ცნობილი ნარატიული და დოკუმენტური წყაროები ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს არ იძლევა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოები ამ დროს შაჰ ისმაილის სიუზერენობას აღიარებდნენ და მზად იყვნენ შეიარაღებული ძალით და სხვა საშუალებებითაც დახმარებოდნენ მას. ამგვარი მხარდაჭერით ისმაილი ჯერ-ჯერობით კმაყოფილი იქნებოდა. მას საბოლოოდ არ ჰყავდა ჩამოშორებული ტახტის პრეტენდენტები და ოსმალების სახით გარეშე მტერიც ემუქრებოდა.

რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, მისი სელიმის წინააღმდეგ გამოსვლა გამორიცხვულია. როგორც ითქვა, ჩალდირანის ველზე ოსმალებისა და ყიზილბაშების შერკინებამდე სამცხის ათაბაგი სულთანთან კავშირში იყო (ვიმეორებ, შეიძლება თავისი სურვილის წინააღმდეგაც) და გარკვეული მოვალეობაც შეასრულა მის წინაშე. როგორც ითქვა, ათაბაგ მზეჭაბუკის ოსმალებისადმი დამოკიდებულება სელიმ I-ის გამეფების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა. სელიმი მაშინვე ყიზილბაშებთან ბრძოლის სამზადისს შეუდგა და მთელი რიგი ღონისძიებებიც გაატარა, რომლებიც, ალბათ, საათაბაგოსაც შეეხო. მზეჭაბუკის ორიენტაციის შეცვლა მხოლოდ ოსმალების წინაშე შიშით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ. ზეჭაბუკს ოსმალებზე დაყრდნობით სამცხის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება (მის საეკლესიო პოლიტიკაზე ცალკე ითქმება) და მეზობელი ქართული ტერიტორიების დამორჩილება სურდა, რაც ნაწილობრივ შეძლო კიდევ¹¹.

თურქული და იტალიური ცნობების თანახმად, როგორც ითქვა, მზეჭაბუკის ელჩმა სულთანს სოგმენში სურსათი მიართვა, ისმაილის ძმისწულები მიჰგვარა და 14 ათასი მებრძოლიც დაახმარა. ამგვარად, ნათლად ჩანს ათაბაგის პოზიცია: იგი დაუფარავად გამოდიოდა ისმაილის წინააღმდეგ, რაც ირანში მანამდეც ცნობი-

ლი იყო (თუ არა ისმაილის მიერ შერისხული ძმისწულები რატომ გაიქცეოდნენ ათაბაგთან?) და სულთანს ერთგულებას უიმტკიცებდა (შაჰის მოწინააღმდეგენი, შაჰის ძმისწულები, შაჰის მტერს, სულთანს მიჰგვარა, რითაც სელიმი დიდად კმაყოფილი დარჩა).

თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზემოთ ითქვა, მაშინ რით ავხსნათ თავრიზიდან წამოსული სელიმ I-ის მოქმედება საათაბაგოს წინააღმდეგ 1514 წლის სექტემბრის ბოლოს. ოსმალები თავრიზიდან გამოვიდნენ 15 სექტემბერს. როცა სულთანი ყარსში მოვიდა, გაურკვეველი მიზეზების გამო, თავის ჯარს მზეჭაბუკის (ჯანიკი) დასასჯელად საქართველოს, ე.ი. სამცხის საზღვრებისკენ წასვლა უბრძანა. ათაბაგი სულთანს დაპირდა, რომ მის ბანაკში მივიდოდა, მაგრამ შეეშინდა და დაპირება აღარ შეასრულა. ამ ამბავთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია დაცული ლეუნკლავიუსის „მუსლიმ თურქთა ისტორიაში“. მასში კერძოდ ნათქვამია, რომ გამძვინვარებულ სულთანს მთელი საქართველოს აკლება სურდა, მაგრამ ხანგრძლივი და რთული ლაშქრობით გამეზულმა ჯარმა უარი სთქვა ბრძანების შესრულებაზე. როგორც მეომრები აცხადებდნენ, ქართველებისა და მკაცრი ზამთრის შიში ჰქონდათ. სულთანი ჯიუტად მოითხოვდა ქართველების დასჯას, მაგრამ იძულებული გახდა შურისძიება შემდგომი წლის მარტისათვის გადაედო. ის თავის ჯარს სურსათით, იარაღითა და სხვა მრავალი სიკეთით ავსებას დაპირდა¹.

შემდეგ წელს სელიმ I-მა მუქარა შეასრულა². მან, თავდაპირველად, წინ გაგზავნა ყაფიჯები და იანიჩრების უფროსები სამი ათასი მეომრით, რომლებსაც გზის გაკაფვა დაევალათ. მათ უკან მიჰყვებოდა ჯარის ძირითადი ნაწილები. ოსმალები სასტიკად იკლებდნენ და ანადგურებდნენ დასახლებულ ადგილებს, მოსახლეო-

1 Leunclavius I., Op. cit., p. 702.

2 ზოგიერთი ქართველი და თურქი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ოსმალებს საქართველოზე ლაშქრობა აღარ განუხორციელებიათ, „რომ საქართველოს დალაშქრებაზე ბრძანების გაცემა მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი იყო სულთნისა“ (თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 8).

¹¹ ჯავახიშვილი ივ., დასხ. ნაშრ., გვ. 167.

ბას ულტუნენ. მტრის თარეშს საზღვარი დაუდო ქართველი დიდებულების ლაშქარმა¹. მათ მტრის წინსვლა შეაჩერეს. ამის შემდეგ სელიმი იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო საქართველოს მთავართან, რომლის ელჩებმა სულთანს მოახსენეს: „საქართველოს მთავარს არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა ამ ომში და ამის შეტყობინება ინება სულთნისათვის. ამისათვის გაგზავნა მასთან თავისი ელჩები, რომელთაც შეეძლოთ მისი სახელით გადაწყვეტილების მიღება. რასაკვირველია, ელჩებმა სულთანს გადასცეს საქართველოს მთავრის დანაბარები: თურქთა ხელმწიფეს, უმაღლეს სულთანს ოსმალეთის სამეფოსი! მთავარი მზადაა აღიაროს, რომ არ ახსოვს, თუ ოდესმე მასა და სელიმს შორის რაიმე მტრობა ან წინააღმდეგობა ყოფილიყო. ჩემი კაცებისაგან გამოვიკვლიე და სწორად დავადგინე, რომ მომხდარი ბრძოლა ჩვენებს არ წამოუწყიათ. სულთან სელიმის გამარჯვებულ ჯარს ჩემი ძალიან მცირე ჯარი გზაზე მიმავალს ხომ არ შეებრძოლებოდა². არავისთვის საეჭვო არ არის, რომ დიდი, უძლიერესი და ბედნიერი იმპერატორი ბრძანდები, სელიმო! სრულიად ადვილი არ არის გინდ ქართველისათვის და გინდ სხვისთვის, რომ საომარი პროვოკაცია გამოიწვიოს. ამიტომ შეიძლებოდა თავდაპირველად შეგეტყობინებინა ჩვენთვის, რა გსურს, რომ გავაკეთოთ, რას გვიბრძანებ, რას მოითხოვ. უმცირესი მომავალი სამსახურის მოვალეობის შემსრულებელმა ქართველმა მთავარმა სულთან სელიმის სურვილი ახლახან გავიგე, შენს მოთხოვნას ყველაფერში ვემორჩილები“³.

როგორც წერილის დასასრულიდან ჩანს, სულთანი უფრო მეტს მოითხოვდა. მას ათაბაგის ზომიერი მორჩილება არ აკმაყოფილებდა. არც იმის იმედი გაუმართლდა, რომ ათაბაგი პირადად ეახლებოდა. მაგრამ სელიმი იძულებული გახდა იმით დაკმაყოფილებულიყო, რასაც ქართველები თვითონ სთავაზობდნენ: ათაბაგის კაცებმა სულთნის ბანაკში 800 ძროხა და 4 ათასი ცხვარი მირეკეს, ფქვილი და ქერი მიიტანეს. ამ დროს ოსმალები სურსა-

თის ისეთ ნაკლებობას განიცდიდნენ, რომ ხორბლის ფქვილი 1500 ასპერად ფასობდა¹.

ათაბაგის მიერ გაგზავნილი პირუტყვითა და სანოვავით კმაყოფილ სულთანს უბრძანებია: „საკუთრების უფლებით ისარგებლოს ქართველების მთავარმა, მისმა ოჯახმა, მისმა მეგობრების მეგობრებმა და მტრის მტრებმა“. ეს მან წერილობითაც დაადასტურა, რის შემდეგ საათაბაგოს გაეცალა და ამასიისაკენ წავიდა².

ამგვარად, სულთნის ცდამ, თავისი პოლიტიკური გავლენა გაევრცელებინა სამცხე-საათაბაგოში, ჯერჯერობით, შედეგი არ გამოიღო. ათაბაგისათვის მიცემული სიგელით სულთანმა ათაბაგის განუყოფელი უფლება აღიარა სამცხეში.

* * *

დატოვეს თუ არა ოსმალებმა ყიზილბაშთა სამფლობელოები, ისმაილი თავრიზში დაბრუნდა და შემდგომი ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგა. მაგრამ ოსმალების დასაძლევად აუცილებელი იყო კოლიციის შექმნა. ისმაილ I-მა დახმარების თხოვნით მიმართა ოსმალეთის აღმოსავლელ მეზობლებს. მან 1514 წლის ოქტომბერში³ თავრიზიდან ეგვიპტის სულთანთან და საქართველოში⁴ თავისი ელჩები გაგზავნა.

დანიშნულების ადგილზე მისულ ელჩებს, როგორც ნათქვამია „ძენოს მოგზაურობის კომენტარებში“, მოუხსენებიათ იმ სამიშროებაზე, რომელიც ქართველებსა და ეგვიპტელებს ემუქრებოდათ, თუ ისინი სელიმის წინააღმდეგ საომრად იარაღს ხელს არ მოჰკიდებდნენ. ოსმალების მიერ სპარსეთის დაპყრობის შემდეგ, თქვენც იგივე ბედი გელითო⁵.

1 Hammer J., *Op. cit.*, S. 721-722.

2 Leunclavius I., *Op. cit.*, p. 704.

3 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები, გვ. 81.

4 „ძენოს მოგზაურობის კომენტარების“ მიხედვით „მეფე გორგორასთან“ ანუ სამცხის ათაბაგთან. ანჯოლელის თქმით კი – იბერებთან. იქვე, გვ. 42, 81

5 იქვე, გვ. 42.

1 Leunclavius I., *Op. cit.*, p. 703.

2 იგულისხმება ქართველთა თავდასხმა ოსმალეთის ლაშქარზე მდ. ევფრატთან.

3 Leunclavius I., *Op. cit.*, p. 703

ოსმალეთის გაძლიერებით შექმნილი საშიშროება ნათილი იყო მისი ყველა მეზობლისათვის. ამიტომ ისმაილის ელჩებს დასახელებულ ქვეყნებთან სამოკავშირეო ხელშეკრულებების გასაფორმებლად დიდი სიძნელეების გადალახვა არ დასჭირდათ. მოკავშირეები პირობას სდებდნენ, რომ ერთად იბრძოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. ხელშეკრულებაში, შაჰის სურვილით, ხაზგასმული იყო, რომ მოკავშირეები არ შეეცდებოდნენ სულთანთან რაიმე კონტაქტის დამყარებას, არც საჯაროდ და არც საიდუმლოდ არ მიიღებდნენ მის ელჩებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალას დაკარგავდა და მოკავშირეებს შორის ურთიერთობა გაწყდებოდა. მხარეებმა პირობა დადეს, რომ შაჰის ამ მოთხოვნას განსაკუთრებით დაცვავენ. ანჯოლელოს მიხედვით, „იბერებმა დამატებით იკისრეს იმდენი ჯარის მიცემა, რამდენიც შესაძლებელი იქნებოდა, ყოველთვის, როცა კი შაჰი მოისურვებდა [სულთან] სელიმის წინააღმდეგ გალაშქრებას“¹. როგორც ჩანს, ქართველები ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილით აღვსილნი იყვნენ და ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ ამ მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით დასასრულებლად. მათ მიერ დამატებით ნაკისრი ვალდებულება სამაგალითო უნდა გამხდარიყო და კოალიციის სხვა წევრებსაც მთელი თავიანთი შესაძლებლობებით უნდა ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა გრძელდებოდა, მანამდე ვიდრე ოსმალეთი ბოლოს არ მოუღებდა ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობას. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა, ჩემთვის ცნობილი წყაროების მიხედვით, ძირითადად, იერუსალიმის ქართული მონასტრების საკითხის დარეგულირებით შემოიფარგლებოდა.

წარმოშობით ჩერქეზმა სულთანმა ალ-ადილ საიფ ად-დინ ტუმან-ბაიმ (1500-1501) 1501 წლის 19 დეკემბერს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერების დასაცავად გამოსცა ბრძანებულება. სულთანი უბრძანებს ნაცვლებს, მოსამართლეებს და გამგებლებს: „ჩვენს სამეფო კარავში, ღვთისაგან დაცულ ღაზაში, შემოვიდა პეტიცია წმინდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერების ჯგუფის

სახელით, რომელშიც იტყობინებიან: წმინდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მცხოვრებ [ბერების] ჯგუფს აკისრია ყოველდღიურად გამოკვება ხუთი ღარიბი მუსლიმისა და სხვებისა, რომლებიც მოდიან მათთან. მათი წესია, ძველი დროიდან ბოლო ხანებამდე, [მართვან] ძღვენი აღდგომას და ხუთშაბათის დღესასწაულზე წმინდა იერუსალიმის ნაცვალს, ზედამხედველს, მოსამართლეს და წმინდა იერუსალიმის სხვა მცხოვრებთ“¹. სულთანი კრძალავს ჯვრის მონასტრის ბერების შევიწროებას ძღვენის დაგვიანების გამო და მონასტერში მისული ქართველი პილიგრიმებისათვის წესით გაუთვალისწინებელი გადასახადის მოთხოვნას და სხვ.²

რაც უფრო ძლიერდებოდა საქართველოსა და ეგვიპტის მიმართ ოსმალების გამო საშიშროება, მით უფრო ინტენსიური ხდებოდა მათი ურთიერთობა. 1504 წლის დასასრულს შეიქმნა ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული სამთა კავშირი: ქართლის სამეფო – სეფიანთა ირანი – მამლუქთა ეგვიპტე³. ევროპის სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა ან უთანაგრძნობდა კოალიციას. საფრანგეთი თავს იკავებდა ანტიოსმალური პოლიტიკის გატარებაზე. ოსმალეთი ევროპის ამ უმსხვილეს სახელმწიფოს თავის მოკავშირედ ვარაუდობდა. მართლაც, იმავე საუკუნის 20-იან წლებში მათ შორის მოკავშირეობა ოფიციალურად გაფორმდა⁴. ასეთ ვითარებაში, ეგვიპტელ მამლუქთა მორჩილებაში მყოფ იერუსალიმში ანტიფრანგული განწყობილების გაღვივება და ამ განწყობილების გარკვეული მიზნით გამოყენება ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობ, ქართლის სამეფო – ეგვიპტის ურთიერთობის ფონზე უნდა განვიხილოთ ბენა ჩოლოყაშვილის მიერ გოლგოთიდან ფრანცისკანელების გაძევება XVI ს. 10-იანი წლების დასაწყისში (ზუსტად დათარიღება ჭირს).

1 ჯაფარიძე გ., ბუაჩიძე გ., მამლუქი სულთნების ორი ბრძანებულება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საატრიარქოს კოლექციიდან. „ქართული დიპლომატია“, წელიწადური, 8, თბ., 2001, გვ. 235.

2 იქვე, გვ. 235-236.

3 მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, გვ. 121-122.

4 იქვე, გვ. 135, 304.

1 იქვე, გვ. 82.

ქართული ცნობებით ბენა იერუსალიმს მივიდა 1511¹ ან 1512² წელს. ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში ბენა გვამცნობს: „ნებითა ღმრთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე – კანდელი და რაცა მათი იყო მე ცოდვილმა ბენ. ამინ“³.

ფრანცისკანელების წინააღმდეგ ქართველთა, კერძოდ, ბენა ჩოლოყაშვილის მოქმედება, რომ მაშინ ეგვიპტესა და პალესტინაში შექმნილ ანტიფრანგული განწყობილების კონტექსტში ვხვდებით, ამას ფრანგებიც აღნიშნავენ: „1510 წელს ქართველებმა ისარგებლეს რა იმ გარემოებით, რომ ჩვენი მორწმუნენი (ფრანცისკანელები-ე.მ.) კაიროს ციხეებში იყვნენ გამომწყვდეულნი, ჩვენ წაგვართვეს ჯვარცმის ეკლესია (კაპელა), დაამსხვრიეს საკურთხეველი და ლამპები და იერუსალიმში დარჩენილ იმ მცირე (ფრანცისკანელ – ე.მ.) მორწმუნეთაც არ აკარებდნენ ახლოს. მაგრამ 4 წლის შემდეგ, 1514 წელს (ეკლესია) გამოისყიდა სიონის მთის დამცველმა ფრანცისკო სურიაანომ, როგორც თვითონ ლაპარაკობს ამაზე“⁴.

ახლადწამოყალიბებული ანტიოსმალური ლიგა სიცოცხლისუნარიანი ვერ აღმოჩნდა. განხეთქილების მიზეზი ეგვიპტის სულთანის წინდაუხედავი მოქმედება გამხდარა. მას ხელშეკრულების უმთავრესი პირობა, რომ მოკავშირეებს საქმიანი ურთიერთობა არ უნდა დაემყარებინათ სულთანთან, დაურღვევია და მისი ელჩები მიუღია. ამის საპასუხოდ შაჰ ისმაილმა კავშირი გაწყვიტა ეგვიპტის სულთანთან და როცა ამ უკანასკნელს, 1516 წელს, ოსმალები თავს დაესხნენ, დახმარება აღარ გაუწია⁵.

1 მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962, გვ. 37.

2 Цагарели А. А., Сведения о памятниках грузинской письменности, I, 3, СПб., 1894, с. 40; მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 86; ქრონიკები, I, გვ. 362; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები II, გვ. 113; შარაშიძე ქ., საქართველოს ისტორიის მასალები, XV-XVIII სს., მსკი, ნაკვ. 30, თბ., 1954, 24.

3 Цагарели А. А., Ук. труд, с. 49.

4 Suriano Franc, Il trattato di Terra Sancta, Milano, 1900, 34, nota 1216.

5 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 43.

დიდად საეჭვოა, რომ ათაბაგს მხარი დაეჭირა ანტიოსმალური ძალებისათვის. ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო კი, როგორც თანამედროვე დოკუმენტური წყაროებიდან ჩანს, შეთანხმების ერთგული იყო. ალბათ, ეს უნდა იგულისხმებოდეს 1517 წლის ერთ დოკუმენტში, რომელშიც ნათქვამია: „ქართველებსა და სინიორ შაჰს შორის შეთანხმება არსებობს“¹.

* * *

ოსმალეთი სულ უფრო ძლიერდებოდა. მისი გავლენის ქვეშ მოექცა ქურთისტანი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და სეფიანთა სახელმწიფოსათვის. ქურთები სელიმს ეხმარებოდნენ ჩალღირანის ბრძოლაში. მათივე მხარდაჭერით 1516 წელს ოსმალებმა მეორედ დაამარცხეს ისმაილ I ქოჩისართან და ყიზილბაშები თითქმის მთელი ქურთისტანიდან განდევნეს. ოსმალებმა ქურთისტანი სანჯაყებად დაანაწილეს და ადგილობრივ ფეოდალებს ჩააბარეს².

ისმაილ I ცდილობდა ოსმალების შეჭრის შეჩერებას სირიაში, რაშიც მხარს უჭერდნენ ქართველები. მაგრამ, ამჯერად, მოწინააღმდეგეებს შორის სერიოზული შეჯახება არ მომხდარა. სირიაში მოქმედ ოსმალეთის ჯარის სიძლიერეს შაჰის ჯარის მანევრები უფრო პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენისათვის ხდებოდა.

1518 წლის იანვარში ტრიპოლიდან და დამასკოდან ვენეციაში გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, რომ შაჰმა დიდი ჯარი შეიყვანა სირიაში და ალექსიდან ორი დღის სავალზე დაბანაკდა. შაჰის ჯარში იყვნენ ქართველთა რაზმებიც³. კონსტანტინოპოლის ბაილო ლეონარდო ბემბო იმავე წლის 24 თებერვლის წერილით ვენეციაში აცნობებდა, რომ შაჰ ისმაილი „40 ათასი მხედრით და

1 Sanuto M. I diarii, t. XXV, Venezia, 1892, p. 13.

2 Шараф-хан Шамсаддин Бидлиси., Шараф-наме, II. Перевод, предисловие, примечания и приложения У. И. Васильевой, М., 1976, с. 53.

3 Sanuto M. I diarii, t. XXV, p. 272.

15 ათასი ქართველით“ ალექსოს მისადგომებთან იდგა¹. შაჰის წინსვლის შეჩერების მიზეზად ვენეციის კვიპროსელი ელჩი ბარტოლო კონტარინი დიდ თოვლს ასახელებს. ამავე წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ სულთანმაც დიდი ჯარი შეჰყარა და მისი მზადყოფნა ბრძანა გაზაფხულზე შაჰის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებისათვის. შაჰთან დაკავშირებულნი ყოფილან მწვანედობანდიანები, ე.ი. ავღანელები და ქართველები². შაჰის ლაშქარში ქართველების ყოფნაზე მიუთითებს 1518 წელს კონსტანტინოპოლიდან ვენეციაში გაგზავნილი ცნობები, რომლებშიც ნათქვამია: „ამჟამად კონსტანტინოპოლში უკვე სახალხოდ ლაპარაკობენ, რომ შაჰმა თავის ლაშქარი გაზარდა 15 ათასი უმამაცესი ქართველით“³. ასევე საყურადღებოა ფრანჩესკო ზაქარიას ნიქოზიიდან გაგზავნილი წერილიც, რომელიც დაწრილია სირიიდან მიღებულ ცნობებზე დაყრდნობით. მასში უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი შაჰის იმპერიის ჯარის შესახებ: „[ფრანჩესკო ზაქარიას მიერ] სირიიდან გამოგზავნილ 18 მაისის წერილში, ნათქვამია, როგორ მოამზადეს თურქეთის მთელი ჯარი, რომელიც ამანზე თავდასასხმელად წავიდა. რაც შეეხება შაჰის ჯარს, ისიც უძლიერესია, შედგება 50 ათასი საუკეთესოდ გაწვრთნილი მხედრისაგან, 2 ათასი თოფოსანისა, ურემზე დადგმული 100 ქვემეხისაგან... ხსენებულ სინიორ შაჰს ბაღდადის მხარეს ჰყავს სხვა უძლიერესი ჯარიც და ზავი აქვს დადებული მწვანე დოლბანდიანებთან, რომლებმაც 15 ათასი მხედარი დაანმარეს. გარდა ამისა, მას ეხმარება ქართველების 10 ათასი მხედარი“⁴.

შაჰის იმპერიის I ახლო აღმოსავლეთში ოსმალების წინსვლას რეალურ წინააღმდეგობას არ უწევდა, არც მაშინ, როდესაც ისინი მამლუქებს ებრძოდნენ. ირანი, ფაქტობრივად, ნეიტრალიტეტს

1 Ibidem.

2 ფ. ბაბინგერის თქმით, სანუტოს „დღიურებში“ შავდოლბანდიანებად იწოდებიან ქართველები. Babinger Fr. Die Früh osmanische Jahrbücher der Urudsch nach des Handschriften zu Oqsford und Cambridge. Erstmal herausgegeben und eingeleitet von Franz Babinger, Hannover, 1925, S. 46

3 Sanuto M. I diarii, t. XXV, p. 365.

4 Sanuto M. I diarii, t. XXV, p. 385.

იცავდა. მაგრამ რადიკალურად განსხვავებული იყო შაჰის პოზიცია კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. შაჰის იმპერიის არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას გაუშვებდა ამ რეგიონში ირანის პოზიციის განმტკიცებისათვის.

განსაკუთრებით რთული პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა სამცხე-საათაბაგოში გაჩაღებული დინასტიური ბრძოლის გამო. თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, კონფლიქტში მეტ-ნაკლებად ჩართული აღმოჩნდა ირანი და ოსმალეთი. სამცხეში ერთმანეთს ებრძოდნენ ახლად გაათაბაგებული ყვარყვარე III (მზეჭაბუკის ძმისწული) და ყვარყვარე II დიდის ვაჟი მანუჩარი (ყვარყვარე III-ის ბიძა). მეტოქეებმა, თავდაპირველად, სხვების ჩარევის გარეშე სცადეს ურთიერთობის გარკვევა. პირველივე ბრძოლაში ყვარყვარე III დამარცხდა. დასაშვებია, ამ დროს ოსმალეთის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა სამცხის საქმეებში შეიარაღებული ჩარევა, რაზეც უნდა მიუთითებდაც სელიმ I-ის 1515 წლის 21-30 აგვისტოს ბრძანება, რომელიც გაეგზავნა ზულ-ყადრიუს ბეგს შეჰსუყარ-ოჯლის. სულთანმა მას უბრძანა თავის საგამგებლოში ჯარი შეეკრიბა და დიდვაზირ სინან-ფაშასთან გაეგზავნა, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქართველოზე თავდასხმა¹. მაგრამ ეს ბრძანება არ შესრულდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სულთნის მიერ განზრახვაზე ხელის აღება გამოწვეული იყო სირიაში ფართო მასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების დაწყებით. იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ სულთანს თავიდანვე არ ჰქონდა განზრახული თავისივე ბრძანების განხორციელება და იგი (ბრძანება) მხოლოდ იმიტომ გამოიცა, რომ მანუჩარის მოწინააღმდეგეებს მუქარად აღექვათ. მანუჩარმა ყვარყვარეს სძლია. 1515 წლის 18 დეკემბერს სტამბოლში აცნობეს, რომ „სერასქერი მანუჩარი გახდა საქართველოს დამოუკიდებელი ფაღიმაჰი“².

1516 წლის დასაწყისში ყვარყვარე ირანში გაიქცა, შაჰის იმპერიის ეახლა და დახმარება სთხოვა. შაჰმა ყვარყვარესათვის დახ-

1 ჟან-ლუი ბაკე გრამონი, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

2 თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 11.

მარება ხელსაყრელად ჩათვალა, დივ-სულთან რუმლუსა და სხვა სარდლებს უბრძანა, სასწრაფოდ სამცხეში წასულიყვნენ და ყვარყვარეს დახმარებოდნენ. ყიზილბაშთა ჯარი სამცხეში შევიდა და მანუჩარისა და მისი მომხრეების მამულების აკლება დაიწყო. მანუჩარმა ჯერ დივ-სულთანთან მორიგება სცადა, კაცებიც მიუგზავნა, მაგრამ ყიზილბაშებმა ისინი ამოხოცეს და მანუჩარის შეპყრობაც სცადეს. მანუჩარი იძულებული გახდა ოსმალეთში გაქცეულიყო¹. ყვარყვარემ ათაბაგობა აღიდგინა. მანუჩარი ჯერ ბაიბურთში მივიდა და ადგილობრივ ბეგს ყიზილ-აჰმედ ოღლი მირზას სულთანთან შეამდგომლობა სთხოვა. მისი დახმარებით 1516 წლის 16 მარტს მანუჩარის თხოვნა სტამბოლში მიიღეს. მაგრამ ოსმალეთის მაშინდელი საგარეო მდგომარეობა სულთანს საშუალებას არ აძლევდა დაუყოვნებლივ ჩარეულიყო სამცხე-საათაბაგოს საქმეებში. სელიმ I მამლუქების წინააღმდეგ საომრად მიდიოდა. მას არც ირანთან მდგომარეობის გართულება სურდა და არც ჯარის მნიშვნელოვანი კონტიგენტის გამოყოფა შეეძლო.

მანუჩარს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ სულთანის ჯარს გაჰყოლოდა მამლუქების წინააღმდეგ ომში². სირიის მამლუქთა განადგურებისა და მათი სატახტო დამასკოს აღების შემდეგ, სელიმ I-მა ყურადღება მიაქცია სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე ამბებს. მან ახლადდაპყრობილ დამასკოში, 1516 წლის 23 ნოემბერს, „მიიღო საქართველოს ბეგი მანუჩარი და საქართველოს სხვა წარჩინებულები“. მანუჩარმა სრული მორჩილება აღუთქვა, სულთანს თუ იგი სამცხის დაპყრობაში დაეხმარებოდა. ოსმალეთის მთავრობამ მანუჩარი კანონიერ ათაბაგად სცნო. თურქული „ანონიმური ქრონიკის“ მიხედვით, იმავე წლის 10 დეკემბერს ოსმალეთის დივანმა მანუჩარ ბეგს საქართველოს ბეგობა უბოძა³.

სულთანს ჯერ ისევ მამლუქებთან ბრძოლით იყო დაკავებული.

1 ჰასან-რუმლუ, გვ. 20.

2 ჩოჩიევი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 75.

3 თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. გვ. 12; ჟან-ლუი ბაკე გრამონი, დასახ. ნაშრ., გვ. 101

მან მანუჩარისათვის დახმარება დაავალა სამცხე-საათაბაგოს მეზობელი ბაიბურთის გამგებელს ყიზილ-აჰმედ ოღლის (= მეჰმედ მირზა ბეგი¹). რათა დავალების შესრულება გაადვილებოდა, სულთანმა მას ბეგლარბეგობა უბოძა, მასვე დაუქვემდებარა თერჯანისა და ერზინჯანის მხარეები. ყიზილ-აჰმედ ოღლის ადგილობრივ ჯარზე დაყრდნობით უნდა ებრძოლა ყვარყვარე III-ის წინააღმდეგ.

ყიზილ-აჰმედ ოღლის თავისი გაფართოებული საგამგებლოს საქმეების მოგვარებისათვის, ალბათ, გარკვეული დრო დასჭირდა. მან მანუჩარისათვის მხოლოდ 1518 წელს მოიცალა. მანამდე კი, მოწინააღმდეგენი საომრად ემზადებოდნენ და დამხმარეებს საქართველოშივე პოულობდნენ. ერთ-ერთ უთარილო თურქულ მოხსენებაში, რომელიც ამ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი, ნათქვამია: „თუ ყვარყვარეს ამბავს იკითხავენ, მანუჩართან ბრძოლაშია. საქართველოში ზოგიერთი, მაგალითად მეფე დავითი მანუჩარის მხარეზეა, ზოგიერთი კი – იმერეთის მეფითურთ ყვარყვარეს მხარეზეა. ერთმანეთთან ბრძოლაში და ერთიმეორის ზოცვა-ჟღელვაში არიან გამუდმებით. ამგვარად ერთსაც მტკიცედ შეკავშირებული ჯამაათი ჰყავს და მეორესაც. თითოელი თადარიგს იჭერს უახლოესი ბრძოლისათვის“².

ორი დაპირისპირებული ძალის გაჩენისთანავე, როგორც ჩვეულებრივ ფეოდალურ ქვეყანაში (და არა მხოლოდ ფეოდალურში) ხდება, შედარებით დაბალი რანგის მიწათმფლობელები ხან ერთის ხან მეორის მხარეს დგებიან, იმისდა მიხედვით ვისგან რა სარგებელს მოელოდნენ. ამგვარი სურათი ჩანს სამცხეში, რომელიც დანაწილებული იყო 25 დიდი ფეოდალური სახლის მრავალრიცხოვან ფეოდალებს შორის, რომლებიც ზოგჯერ დამოუკიდებლად ცდილობდნენ ოსმალეთთან ან ირანთან საერთო ენის გამონახვას. ასეთი „მოღვაწენი“ სამცხეში იშვითობას არ წარმოადგენდნენ ამ სამთავროს არსებობის არც ერთ პერიოდში.

შაჰი და სულთანს თვალყურს ადევნებდნენ სამცხეში და-

1 თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. გვ. 12

2 იქვე. გვ. 48.

პირისპირებული ძალების სამზადისს და იმასაც, როგორ ვითარდებოდა იქ მოვლენები. ის ზამთარი შაჰმა ნახჭევანში გაატარა. საათაბაგოში შესულ მანუჩარსა და ოსმალებს ყვარყვარე მომზადებული დახვდა. ბრძოლა მოხდა ყარაჯა-არდაჰანში. მანუჩარი და ოსმალები დამარცხდნენ. ყიზილ-აჰმედ ოღლუ დაიღუპა¹.

ყურადღებას იპყრობს ჰასან-რუმლუს ერთი ცნობა, რომელიც ზემოთ გადმოცემულ ამბავს მოსდევს. მასში ნათქვამია, რომ „დივ-სულთანმა, რომელიც ჩოხურ-საადის² მმართველი იყო, დად-ელი დაარბია და უკან დაბრუნდა“³. აქედან ჩანს, რომ ყვარყვარეს ყიზილბაშები ეხმარებოდნენ და მის მხარდასჭერად ჯარაც შემოუყვანიათ საქართველოში. უნდა ვიფიქროთ, რომ „დად-ელის“ ანუ ტაოს⁴ მფლობელი ყვარყვარეს წინააღმდეგ გამოდიოდა და დივ-სულთნის მიერ დად-ელის დალაშქვრის მიზეზი ეს უნდა ყოფილიყო.

ჰასან-რუმლუს თქმით, იმავე 1518 წელს ყვარყვარე III ისევ შაჰს ეახლა და დახმარება სთხოვა. შაჰმა მას კვლავ საქართველოს საქმეებში კარგად გარკვეული დივ-სულთან რუმლუ გამოაყოლა, რომელმაც ქართლის უმთავრესი სტრატეგიული ციხე-ქალაქები – გორი და სურამი დაიპყრო⁵. ძნელია ამ ცნობიდან რაიმე კონკრეტლის გარკვევა. გაუგებარია რით იყო გამოწვეული ყვარყვარეს კვლავ შაჰთან მისვლა და ყიზილბაშების ძალით ქართლის აკლება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაძლიერებული ქართლის მეფე დავით X ცდილობდა სამცხე-საათაბაგოზე თავისი გავლენის გავრცელებას და ამის გამო დინასტიურ ბრძოლაში ჩაერია. ის მანუჩარს უჭერდა მხარს და ერთი პირობა, როგორც ჰასან-რუმლუს სიტყვებიდან ჩანს, ყვარყვარე გაუდევნიათ. ყვარყვარე, უკვე ითქვა, შაჰს ეახლა და ხელისუფლება მისი ჯვრით აღიდგინა. მეფე დავითმა როცა ყიზილბაშების ქართლში შემოჭრის

ამბავი გაიგო, წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ჩათვალა, თავისი ვაჟი რამაზი დიდი ძღვნიტ შაჰს გაუგზავნა და მორჩილება აღუთქვა¹. მანუჩარი კი, გარკვეული დროის განმავლობაში კიდევ აგრძელებდა ბრძოლას ათაბაგის ტახტისათვის, მაგრამ, როდესაც ბრძოლის უპერსპექტივობაში დარწმუნდა, ბერად შედგა².

ყვარყვარე III-ის მიერ ყიზილბაშების ქართლში შემოყვანას ის განსაკუთრებული შედეგი მოჰყვა, რომ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო კვლავ გაითიშა. კახელმა თავადებმა ისარგებლეს დავით მეფის გაჭირვებული მდგომარეობით და კახეთში ლევან ავგიორგის ძე გაამეფეს. დავით X-ისათვის ეს დიდი დარტყმა იყო, მაგრამ ის თავს იკავებდა კახეთში სამხედრო მოქმედებაზე, ვიდრე რამაზი არ დაბრუნდებოდა და შაჰთან მისი ურთიერთობა არ გაირკვეოდა.

შაჰ ისმაილმა რამაზი კარგად მიიღო და დიდად დაასაჩუქრა. შაჰი დავითის მორჩილებით დაკმაყოფილდა და ზავიც დასდო მასთან. სეფიანთა ირანი ამ დროს ოსმალებთან საომარ მდგომარეობაში იყო და „ასე ჰყო ყენმან, რამეთუ ბრძოლად მივიდოდა ზონთქარისა, რათა არა ქართველნი მიერთუნენ მას“³.

ირანთან ურთიერთობა მტკიცედ მოგვარებული რომ ყოფილიყო, ქართლის მეფე დავით X-ს, კახეთის მეფე ლევანს და ყვარყვარე III-ს უმჯობესად ჩაუთვლიათ შაჰთან წასულიყვნენ. დასახელებული მეფეების და ათაბაგის შახთან ყოფნის შესახებ XVI საუკუნის სამი სპარსელი ისტორიკოსის ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნობები და წლები გვაქვს: 1518 (ხონდემირი), 1519 (შარაფ-ხან ბითლისი) და 1520/1521 (ბუდაყ ყაზვინი). განსა-

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 395.

2 თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 14, 56. ბაკე-გრამონის გამოკვლევით მანუჩარის ბერად შედგომა უნდა მომხდარიყო 1515-1517 წლებში, რაც მანუჩართან დაკავშირებული ზემოთ გადმოცემული ამბების შემდეგ ნაკლებად დასაჯერებელია. იმავე მკვლევრის მიერ მოხმობილი ერთი სპარსული ქრონიკის მიხედვით, მანუჩარს შიიტური ისლამი მიუღია 1521 წელს. ამ წყაროს სისწორეში ეჭვი თვით ბაკე-გრამონს ეპარება. ჟან-ლუი ბაკე-გრამონ, ოსმალები და საქართველო, გვ. 102, შენ. 22.

3 იქვე.

1 ჰასან-რუმლუ, გვ. 20-21.

2 ერევნის ოლქი.

3 ჰასან-რუმლუ, გვ. 21.

4 დად-ელის ახსნა-განმარტება იხ. თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 34-40.

5 ჰასან-რუმლუ, გვ. 21.

კუთრებით მნიშვნელოვანია ის განსხვავება რაც გამოიხატება ქართველების მიერ ნაკისრი მოვალეობის სახეობაში. შარაფ-ხან ბითლისით შაჰთან მისულ ქართველებს დიდი საჩუქრები და მისართმევი მიუტანიათ და მიწაზე დაწესებული გადასახადის (ხარაჯა) და არამუსლიმანებზე გაწერილი გადასახადის (ჯიზია) გადახდა უკისრიათ¹. ხონდემირით საქართველოს მეფე მთავრებმა ირანის სამეფო კარის წინაშე „ბაჯ ო ხარაჯი“ იკისრეს. კ. ტაბატაძე დარწმუნებული იყო, რომ მაშინ ქართველებს არ შეიძლებოდა ხარაჯის და ჯიზიას გადახდა ეკისრათ, რადგან ისინი უპირობო პოლიტიკურ დამოკიდებულებას გულისხმობდა. „ასეთი დამოკიდებულება კი ირანსა და საქართველოს შორის XVI ს. დამდეგს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო“². „ბაჯ ო ხარაჯა“ (როგორც ვაჭრობა-ხელოსნობაზე, ისე სოფლის მეურნეობაზე დაწესებული გადასახადი) კი, ირანის კართან ვასალური დამოკიდებულების მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, რაც რეალობას ასახავდა³.

ციხილბაშთა ჯვართ საათაბაგოში დაბრუნებული ყვარყვარე III-ს არც ოსმალებთან ურთიერთობის დარეგულირების აუცილებლობა ავიწყდება. იგი მათი დახმარებით ათაბაგის ურჩი თავდაზნაურების დამორჩილებას ცდილობს. ყვარყვარეს მოციქულმა (როგორც ჩანს, მოციქულს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალებთან და ათაბაგმა მას დაავალა სულთანთან მისი შერიგება), სულთანის კარს აცნობა: „ყვარყვარე სრულიად შემობრუნდა ჩვენსკენ. შეცოდებისათვის პატიებას გვევედრება და ხონთქარს თხოვს, რომ იგი თავის გულწრფელ მონად მიიჩნიოს და დანაშაულის შენდობა სურს. მთელი არსებით შეიძულა ციხილბაშები... ამასთანავე მისი სურვილი ის არის, რომ იყოს იგი შეწყნარებული და შენდობილი, ხოლო მოწინააღმდეგე აზნაურები დამორჩილებული

¹ Шараф-хан Шамсаддин Бидлиси, с. 168.

² ტაბატაძე კ. შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ. „კავკასიურ-ასლოდმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 164.

³ იქვე, გვ. 163-166. ციხილბაშების ამ ლაშქრობის ამსახველი სპარსული წყაროების ანალიზი იხ. გელაშვილი ნ. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თ., 1995, გვ. 66-71.

და დაქვემდებარებული. აზნაურების კუთვნილი ციხეები და მამულები დაიპყრონ (ოსმალებმა – ე.მ.), რათა ყველაფერი ხონთქარის საგამგებლო გახდეს. თუ ციხეების გარდა, მათი საგამგებლოებიც გადაეცემა, დაე ასე იყოს, ისიც ხონთქარმა დაიცვას და მართოს! ყვარყვარეს ერთადერთი სურვილია, რომ მისი მტრები იყვნენ დამარცხებული...“ წერილში ნათქვამია, აგრეთვე, რომ გამორიცხული არ იყო ყვარყვარე სულთანსაც ხლებოდა. ყვარყვარეს სულთანსადმი გაერთოვლებით მთელი საქართველოს დამორჩილების პერსპექტივა ჩნდებოდა. „შესაძლოა თვითონ ყვარყვარეც ეახლოს სამეფო კარს. ერთი სიტყვით, როცა ყვარყვარეს დაიქვემდებარებთ, მთელი საქართველო იქნება დაპყრობილი, რადგან მისი ბეგების შთამომავალია. როცა დამორჩილდება, წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ გაბედავს. ქვეყნის შემამკობელი ნათელი აზრი ის არის, რომ მხოლოდ მისი დაქვემდებარება უფრო მეტს ნიშნავს ვიდრე 100 აზნაურის დამორჩილება“ – ასე ამბობდა მოციქული (სავარაუდოა, ყვარყვარესთან შეთანხმებით) და იქვე ერთ რჩევასაც აძლევდა მოსხენების ადრესატს: „თუ ხსენებული ყვარყვარეს დამორჩილების სურვილი გაჩნდება, მის მოსამხრობად უნდა გაიგზავნოს უავგუსტოესი ბრძანება. ბრძანება, რასაც არ უნდა ეხებოდეს, ყველა შემთხვევაში გამოცდა იქნება და [შემდეგ] იმის მიხედვით იმოქმედებთ მის ერთგულებაში დარწმუნებით თუ ორპირობაში“¹.

XVI საუკუნის 20-იან წლებში ოსმალებს ამასიის ზავით მიკუთვნილ თავის „საქართველოებთან“ ურთიერთობა „რბილად“ მოწესრიგებული ჰქონდა. ოსმალეთი მათ შინაურ საქმეებში არ ერეოდა, თავის წილ სამცხიდან საურ-ხარაჯას იღებდა. გურიიდან და ოდიშიდან კი, ოსმალეთი ხარაჯას მიღებით კმაყოფილდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ და აღარ ითვლებოდნენ იმერეთის მეფის ვასალებად. რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, იგი ჯერ კიდევ 1510 წლის თავდასხმის შემდეგ „ოჯაქლიქ ჰუქუქეთად“ ე. ი. ისეთ პოლიტი-

¹ თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 52-53.

კურ ერთეულად სცნო, რომელსაც იმერეთის მეფენი განაგებდნენ და ხარაჯა არ მოეთხოვებოდათ¹.

ისმაილთან დაზავების შემდეგ, დავით X კახეთის შემოერთებას კვლავ შეეცადა. მან ალყა შემოარტყა მადრანის ციხეში ჩაკეტილ ლევანს. გამარჯვება თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ ოსმალების ქართლში შემოჭრისა და ამილახორისა და მთავარეპისკოპოსის გამცემლობის შედეგად მეფე იძულებული გახდა ქართლში დაბრუნებულიყო და შემოსეული მტერი განედევნა. დავითი კვლავ კახეთში გადავიდა, მაგრამ პირველსავე ბრძოლაში დამარცხდა და უკან გაბრუნდა².

დავით მეფის მარცხით ისარგებლა საქართველოს დეცენტრალიზაციის მოსურნე ყველა ძალამ. ლევანის დასახმარებლად წამოვიდა გურიის მთავარი „მწეობითა ათაბაგისათა... რათა შემწე ეყოს ლევანს დავითსა ზედა ანუ ბრძოლითა“³. როგორც ჩანს, დავით მეფეს ლევანისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი არ დაუჭირეს არც ქართლის კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა, საერო ფეოდალებმა და იგი აიძულეს ზავი დაელო საქართველოს ერთიანობის მოწინააღმდეგეებთან. ვახუშტის თქმით, „ამისათვის სათნო იყო მეფემანცა და ჰყვეს ზავი და განაჩინეს საზღვარი“⁴. ამგვარად საქართველოს გაერთიანების კიდეც ერთი ცდა მარცხით დამთავრდა.

ყიზილბაშების პოზიციების განმტკიცებას კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, ხელი შეუწყო ახლად გამეფებული სულთან სულეიმან I-ის (1520-1565) მიერ ოსმალეთის აგრესიის მიმართულების შეცვლამ. როცა ყიზილბაშმა დიდკაცობამ დაინახა, რომ „სოლეიმანმა გამეფების პირველ ხანებში რუსისა და ფრანგის ქვეყნებისაკენ გაილაშქრა და ამ ომით იყო დაკავებული... ამიტომ იმ სოლომონის სადარმა ხაყანმა (შაჰ ისმაილ I – ე.მ.) ძლევა მოსილი მეომრები საქართველოზე საღვთო ლაშქრობისათვის

დანიშნა...“¹ ეს ლაშქრობა ისმაილ I-ს 1520 წლის სექტემბერში მოუწვია².

შაჰ ისმაილის ეს უკანასკნელი შემოსევა საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი. მის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი აღმოსავლეთი საქართველოსათვის. ქართლის და კახეთის სამეფოებმა და სამცხე-საათაბაგომ შაჰის სიუზერენობა სცნეს.

მართალია, თანამედროვე წყაროებიდან არ ჩანს, რომ საქართველოს პოლიტიკური ერთეულებსა და სეფიანთა სახელმწიფოს შორის შეთანხმება ოსმალეთის წინააღმდეგ მოხდა, მაგრამ იგი ოსმალეთში შეფასებული იქნა სწორედ ამგვარად. სულთნის კარზე შექმნილი განწყობილების შესახებ იტალიელი დიპლომატი რომში აცნობებდა. იგი 1520 წ. 24 მარტს წერდა: „სულთანი აპირებს გაილაშქროს შაჰის წინააღმდეგ, რადგან ქართველები შაჰს ემხრობიან“³.

როგორც ჩანს, ოსმალეთის დასუსტების მოსურნე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები აღმოსავლეთში ანტიოსმალური ძალების შეკავშირებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამ ამბით აღფრთოვანებული ბარტოლომიო და მოსტო კვიპროსიდან 1520 წლის 20 სექტემბერს წერდა: „როგორც ამბობენ, შაჰი კავშირშია ქართველებთან და შავიზღვისპირას მოსახლე სხვა ხალხებთან“⁴. 1521 წლის 26 მარტს კი, ალვიზე ფილარეტო ალექსოპოლი კვიპროსზე გაგზავნილ წერილში წერდა, რომ თავრიზის მახლობლად **Carata** – ში

1 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 11.

2 **A Chronicle of The carmelites in Persia and the Papal Mission of the XVII the and XVIII the centuries, I, London, 1939.** ყიზილბაშთა საქართველოში ამ შემოსევის თარიღი საბოლოოდ დადგენილი არ არის. დ. კაციტაძის გამოკვლევით ეს მოხდა 1520-1521 წლებში (კაციტაძე დ., ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თსუ შრომები, 108, 1964, გვ. 108), 1521 წელი მიაჩნია რ. კიკნაძეს (პასან-რუმელუ, გვ. 55), ვ. ჩოჩიევის ვარაუდით, ეს ლაშქრობა 1521 წლის გაზაფხულზე ან უფრო გვიან უნდა ჩატარებულიყო (ჩოჩიევი ვ., მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 83-84), ვ. გუჩუას მიხედვით კი 1518 წელს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 98).

3 **Sanuto M. I diarii, t. XXVIII, Venezia, 1889, p. 481.**

4 **Ibidem, t. XXIX, Venezia, 1890, p. 368.**

1 იქვე, გვ. 15, 50.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 352, 490-491; IV, გვ. 395-396.

3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 396.

4 იქვე, გვ. 397.

თავისი ლაშქრით იდგა შაჰი, რომელთანაც „მოვიდა ქართველების, ანუ იბერების მრავალრიცხოვანი დამხმარე ჯარი“¹.

1521 წლის 16 მარტს კონსტანტინოპოლის ბაილო სიერ ტომა კონტარინი, ქართველების მიერ ოსმალებისათვის მიყენებული დიდი ზარალის შესახებ აცნობებდა². ხოლო უცნობი ავტორის 1521 წლის 26 მარტის წერილში, რომელიც ასევე კონსტანტინოპოლიდან არის გაგზავნილი, ლაპარაკია ქართველების მიერ ოსმალებისათვის მიყენებულ ზიანზე და იქვე დამატებულია ცნობა, რომ ოსმალეთის სატახტოში ქართველთა რაზმების წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა გადაუწყვეტიათ³. იგივე ავტორი 9 აპრილს წერდა, რომ „შაჰმა ქართველებთან ერთად აიკლო ოსმალეთის საზღვრები სირიაში“⁴. იმავე წლის მაისში კონსტანტინოპოლში ხმა გავრცელებულა სულთნის გადაწყვეტილებაზე საქართველოში ლაშქრობის მოწყობის შესახებ⁵.

როგორც ევროპული წყაროებიდან ჩანს, ქართლის სამეფო სეფიანთა ირანის მხარდამხარ ებრძვის ოსმალებს, რაც, სულთნის რისხვას იწვევდა. ბუნებრივია, დავით X-ის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემას ოსმალეთთან ურთიერთობის დარეგულირებაც შეადგენდა. მას დიპლომატიური საშუალებებით სულთნისთვის უნდა აეხსნა, რომ ქართლებს მონაწილეობა ყიზილბაშთა ანტიოსმალურ სამხედრო აქციებში შაჰისაგან ზეწოლით ხდებოდა. ქართლის მეფემ, იმისათვის რათა ოსმალეთის და ირანის სახელმწიფოს მიმართ თავისი ლოიალობა დაემტკიცებინა, მათდამი თავისი ამგვარი დამოკიდებულების გამოხატულებად მან ქართლში დატყვევებული ოსმალეთის ჯაშუშის საკითხი გადააქცია. სავარაუდოა, რომ ოსმალეთის მთავრობამ დავით მეფეს შირვანში მიმავალი თავისი ჯაშუშის, ვინმე აჰმედის საქართველოს ტერიტორიაზე უხიფათოდ გატარება სთხოვა, რაც 1520 წელს უნდა მომხდარიყო. ჯაშუშში ჯერ ისევ თბილისში იმყოფებოდა,

როცა ამის შესახებ შეიტყო ათაბაგმა ყვარყვარე III-მ და მაშინვე შაჰ ისმაილს აცნობა. შაჰი დავით მეფეს ქართლის განადგურებით დაემუქრა თუ ჯაშუშს არ გადასცემდა. ქართველმა მეფემ ასეთი გამოსავალი მონახა: მან საქართველო-ირანის საზღვარზე აჰმედის მსგავსი ყიზილბაში შეაპყრობინა, თავი მოაკვეთინა და იგი ტანსაცმელთან ერთად შაჰს გაუგზავნა, ხოლო აჰმედი ოსმალეთში დააბრუნა. ქართლის სამეფო კარის მოქმედება ოსმალო ჯაშუშის საკითხთან დაკავშირებით, გადმოცემულია დავით მეფის მიერ ოსმალეთის ხელისუფლებისათვის გაგზავნილ წერილში¹.

თუ გავაანალიზებთ XVI საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებს დავინახავთ შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებს: 1. ქართველი მთავრები და დიდკაცობა (ათაბაგი, გურიელი, კახეთის თავადები გარსევან ჩოლოყაშვილის მეთაურობით, ქართლის კათალიკოსი და ამირახორი) ვერ ითმენდა ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებას, რადგან იგი მთელი საქართველოს გაერთიანების პერსპექტივას ქმნიდა; 2. სეფიანთა სახელმწიფოსთვის მიუღებელი იყო ქართლ-კახეთის გაერთიანება და ყველაფერს აკეთებდა აღმოსავლეთ საქართველოს კვლავ დასანაწილებლად; 3. ოსმალეთთან ბრძოლის დროს შაჰს მოკავშირედ გაერთიანებული საქართველო კი არ უნდოდა, არამედ დაქუცმაცებული, რომლის მეფე-მთავრები მხოლოდ შაჰის მხარდაჭერით შეძლებდნენ ძალაუფლების შენარჩუნებას.

საქართველოს დიდკაცობისა და შაჰის ჩარევით, მეფე დავით X იძულებული გახდა ზავი დაედო კახეთში გამეფებულ ლევანთან. შაჰმა მაშინვე სცნო იგი კახეთის მეფედ და დავითისა და ათაბაგის თანაბრად მისგან მორჩილების პირობა მიიღო.

ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, დავითსა და ლევანს შორის დადებული ზავის პირობები მოასწავებდა ფეოდალური საქართველოს განვითარების ახალ ეტაპს: საქართველო გაიყო სამ თანასწორუფლებიან სამეფოდ, რომლებიც გარე სამყაროსათვის ერთ კულტურულ მთლიანობას წარმოადგენდნენ. განსაკუთრებული

1 Ibidem, t. XXX, Venezia, 1891, p. 286

2 Ibidem, p. 281.

3 Ibidem, p. 397.

4 Ibidem, t. XXX, Venezia, 1893, p. 220.

5 Ibidem, p. 446..

1 უან-ლუი ბაკე გრამონი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

პოლიტიკური არსებობა წარმოშობდა სხვადასხვა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს¹. საგარეო პოლიტიკაში აზრთა სხვადასხვაობა უკვე ნათლად გამოჩნდა XVI საუკუნეში ირანთან და ოსმალეთთან დამოკიდებულების საკითხში.

დავით X ქედს არ უხრიდა ყიზილბაშებს. 1522 წელს ისმაილ I დიდი ჯვართი წამოვიდა საქართველოზე. როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, შაჰს ქართლის სამეფოს დამორჩილება სურდა. შემოსულ მტერს დავითმა მშვიდობა შესთავაზა. ისმაილი ზავზე იმ პირობით დათანხმდებოდა, თუ დავითი პირადად მივიდოდა მასთან და ისლამს მიიღებდა. სამაგიეროდ „მოგცე ნიჭი დიდი, ქვეყანა და გაგიტეო მშვედობით“, – უთვლიდა ისმაილი დავითს². ქართლის მეფე არ დამორჩილდა შაჰის მოთხოვნას და ომისათვის მზადებას შეუდგა. მან დახმარება სთხოვა ათაბაგსა და ლევან კახთა მეფეს. ამათ გარდა „კუალად გამოიყვანა კავკასნი და მთიულნი, განამტკიცა თფილისი და ყოველნი ციხენი და სიმაგრენი ქართლისანი“³.

პირველი ბრძოლა მოხდა თელეთთან, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს. ისინი დაედევნენ გაქცეულ მტერს, მაგრამ იაღლუჯის მთის ერთ ღელეში ჩასაფრებულ ისმაილს და მის ჯარს წააწყდნენ და დამარცხდნენ. ყიზილბაშებმა მოლალატე ციხისთვის მეშვეობით თბილისი აიღეს და გადაწვეს. შაჰმა თბილისიდან მარბიელი შეუსია სამცხეს და აიკლო. ამის შემდეგ ყიზილბაშები აიყარნენ და წავიდნენ, თბილისსა და ქვემო ქართლის სიმაგრეებში მეციხოვნე ჯარი დატოვეს⁴. ერთ-ერთი სპარსული წყაროს მიხედვით, ისმაილ I-ს, გარდაცვალებამდე მცირე ხნის წინ, კახეთი დაულაშქრავს, რაც ლევან მეფის ირანისადმი დაუმორჩილებლობით ყოფილა გამოწვეული⁵.

1 Бердзенишвили Н. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв.). საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 101.

2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 397.

3 იქვე, გვ. 398; II, გვ. 355-356, 494-496.

4 იქვე, IV, გვ. 398. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ისმაილი არასოდეს ყოფილა საქართველოში. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. კაციტაძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 389-391; ჰასან-რუმლუ, გვ. 54-55.

5 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 73.

1524 წელს გარდაიცვალა ისმაილ I და ტახტზე ავიდა მისი 10 წლის ვაჟი შაჰ თამაზ I (1524-1576). შაჰის მცირეწლოვანებით ისარგებლეს ყიზილბაშმა ამირებმა და შინაფეოდალური ომი გააჩაღეს. ყიზილბაშთა თავდასხმები საქართველოზე 40-იანი წლების დასაწყისამდე შეწყდა¹.

ირანში შექმნილი ვითარებით ისარგებლა დავით მეფემ, თბილისი დაიბრუნა და შაჰის ვასალობიდანაც განთავისუფლდა. საქართველოს კარგა ხანს არც ოსმალეთი აწუხებდა, რადგან 20-ან წლებში სულთან სულეიმან II კანუნის (1520-1566) აგრესია ევროპისაკენ, კერძოდ, უნგრეთისაკენ იყო მიმართული. 1521 წელს ოსმალებმა უნგრეთს წაართვეს ბელგრადი, 1529 წელს მათ ალყა შემოარტყეს ავსტრიის დედაქალაქ ვენას, 1536 წელს კი აიღეს უნგრეთის დედაქალაქი ბუდა.

საღვთო რომის იმპერიის ამგვარი შეჭირვების ჟამს კარლ V-მ (1519-1556) სეფიანთა სახელმწიფოში გაგზავნა თავისი ელჩი ჟან დე ბალბი და შაჰ ისმაილთან წერილიც გაატანა². წერილს დართული აქვს „ინსტრუქციები“, რომლებშიც ნათქვამია, რომ იმპერატორს სხვა არავითარი ცნობა არ გააჩნდა შაჰ ისმაილისა და მისი

1 ზემოთ განხილული წყაროები და დამოწმებული ლიტერატურა არ იძლევა საშუალებას იმის თქმისა, რომ „1520-იან წლებში უნდა მომხდარიყო სპარსეთის მიერ იერუსალიმის დაპყრობა“ (ღვაბერიძე ც., 1527 წელს იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის შესახებ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 2008, გვ. 122) და ამის შემდეგ უნდა ეთხოვა სულთანს ქართველი მეფეებისათვის ოსმალებთან ერთად გაელაშქრათ იერუსალიმის გასანთავისუფლებად, რაზეც გადმოგვცემს ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსლვაში“. ეს ლაშქრობა ც. ღვაბერიძის აზრით, უნდა განხორციელებულიყო 1527 წელს (იქვე). ის „წყაროები“, რომელსაც მკვლევარი ეყრდნობა, არ იძლევა ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს. მის მიერ დამოწმებული წყაროები (გვ. 122-123), გამოხატავენ მხოლოდ ქართველი მეფეების დამსახურებას იერუსალიმის მონასტრების მშვიდობიანად აღდგენა-განახლების საქმეში. აღნიშნულ პერიოდში იერუსალიმელი ქართველების ადგილობრივ თურქულ ადმინისტრაციასთან ურთიერთობაზე იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 16-17.

2 Lanz K. Correspondenz des Kaisers Karl V, Bd. I, Leipzig, 1844, S. 292-293. წერილის გაგზავნის თარიღთან დაკავშირებით იხ. Чочиев В. Г., Относительно письма иранского шаха Исмаила I императору Карлу V. აღმოსავლური ფილოლოგია, V, თბ., გვ. 187-188.

მოღვაწეობის შესახებ, გარდა მისგან 1525 წელს მიღებული წერილისა. აღნიშნულ წელს იმპერატორმა ტოლედოში მიიღო შაჰ ისმაილის ელჩი ბერი პეტრე მარონიტი, რომელმაც მას შაჰის წერილი გადასცა. ისმაილი იმპერატორს ანტიოსმალური ლიგის შექმნას სთავაზობდა. ელჩმა ასეთივე შინაარსის წერილი გადასცა იმპერატორის უმცროს ძმას, უნგრეთის მეფე ფერდინანდს I-ს¹ (შემდეგში საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი 1526-1564). ელჩმა და წერილებმა ადრესატებამდე დაგვიანებით მიადწია. ისმაილი 1524 წ. გარდაიცვალა. ირკვევა, რომ, როდესაც იმპერატორი და უნგრეთის მეფე ისმაილს წერილებს უგზავნიან, 1529 წელს, მათ ისმაილი ისევ ცოცხალი ჰგონიათ.

იმპერატორი შაჰს აცნობებდა, რომ 1525 წელს დაამარცხა და დაატყვევა საფრანგეთის მეფე ფრანსუა I (1515-1547), მაგრამ როცა ის ტყვეობიდან განთავისუფლდა (1526 წ.), ვენეციელებთან ერთად კავშირი დაამყარა ოსმალეთთან, ამიტომ იმპერატორი იძულებული გახდა, მთელი თავისი ჯარი იტალიაში შეეყვანა, რათა თავისი სამფლობელოებიდან ოსმალები განედევნა. ახლა მას შესაძლებლობა აქვს უნგრეთის მეფესთან ერთად დაიწყოს შეტევა ოსმალეთზე, რაც სეფიანებს საშუალებას მისცემს შეუტეოს საერთო მტერს².

კარლ V-ის წერილიდან ისიც ჩანს, რომ მისი მიზანი იყო შაჰს ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედება დაეწყო და ამით ჰაბსბურგების იმპერიას მდგომარეობა შემსუბუქებოდა. სულთანს იძულებული გახდებოდა იმპერიისა და უნგრეთის საზღვრებიდან ჯარის ნაწილი მაინც აღმოსავლეთში გადაეყვანა.

რადგან იმპერატორის ცდამ შედეგი არ გამოიღო, უნგრეთის მეფე ფერდინანდმა იმავე წელს სეფიანთა სახელმწიფოში გაგზავნა თავისი ელჩები – პეტრო დე ნეგრო და სვიმონ დე ლილი. მათ დაევალებათ მოლაპარაკება ეწარმოებინათ შაჰ თამაზთან და „საქართველოს მეფე“ ლევანთან.

შაჰ თამაზს მაშინ ოსმალეთთან ომის განზრახვა არ ჰქონდა,

რადგან ოსმალები ევროპაში იბრძოდნენ და ის არავითარ შემთხვევაში არ განაახლებდა ბრძოლას ოსმალეთთან. შაჰის მიზანი იყო ხელის შეწყობა ოსმალეთის აგრესიისათვის ევროპაში. შაჰი უნგრეთის მეფის ელჩებს მაინც დაპირდა, რომ თავისი ძამის, შაჰ ისმაილის მსგავსად, მზად იყო საქმიანი დახმარება გაეწია ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი უნგრეთისათვის¹.

ფერდინანდ I-ის ელჩები კახეთის მეფე ლევანსაც ეწვივნენ. მეფემ კარგად მიიღო ისინი და როცა შეიტყო უნგრელების ოსმალეთთან ომისათვის მზადყოფნის შესახებ, იმანაც „თავის მხრივ აღუთქვა მთელი ტრაპიზონის ფეხზე დაყენება“². სავარაუდოა ლევან მეფე „ტრაპიზონში“ დასავლეთ საქართველოს გულისხმობდა. ამას მაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ დოკუმენტში ლევანი „გეორგიის მეფედ“, ე. ი. ქართლ-კახეთის მეფედ იწოდება. მაშასადამე, ლევან მეფის ნათქვამი უნგრეთის მეფის ელჩებს უნდა გაეგოთ ასე: არა მხოლოდ ქართლი და კახეთი, არამედ ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფი დასავლეთი საქართველოც მის წინააღმდეგ იბრძოლებსო.

იმავე პერიოდში ევროპაში კვლავ, თანდათანობით, შემუშავდა აზრი აღმოსავლეთის ორი ქრისტიანული ქვეყნის – მოსკოვის სახელმწიფოსა და საქართველოს სამეფო-სამთავროების – ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის შესახებ, რადგან მათ ინტერესებსაც შეესაბამებოდა ასეთი კოალიციის შექმნა. მაგრამ ის, რაც ოსმალეთის აგრესიის სფეროში მყოფ სახელმწიფოებს თავიანთთვის სასურველად მიაჩნდათ, სხვები (ინგლისი, ესპანეთი, პორტუგალია) ამის გამო თავს არ იწუხებდნენ. ავსტრიის იმპერიასა და საფრანგეთს შორის იმდენად სერიოზული წინააღმდეგობები არსებობდა, რომ ისინი გარკვეულ გავლენას ახდენდა ოსმალეთის აგრესიის მიმართულების განსაზღვრაზე.

1 Neck R., *Diplomatische Beziehungen zum Vordern Orients unter Karl V. „Mitteilungen des Österreichischen Staatsarchivs“*, 1952, S. 83-86; Tardy L., *Beyond the Ottoman Empire 14th-16th centuri. Hungarian diplomacy in the East. „Studia Uralo-Altaica“*, 13, Szeged, 1978, p. 135-136; ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 45.

2 Neck R., *Op. cit.*, S. 86; ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 45-46.

1 Lanz K., *Op. cit.*, S. 52, 168.

2 Charrière E., *Op. cit.*, t. I, Paris, 1848, p. 173-174.

XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან საფრანგეთი ოსმალეთთან თანამშრომლობდა. იგი ოსმალეთთან პოლიტიკურ ურთიერთობას ლევანტში თავისი ვაჭრობის გასაფართოებლად იყენებდა. საფრანგეთის სამეფო კარი ცდილობდა აღმოსავლეთ ევროპაში შენარჩუნებული ყოფილიყო პატარ-პატარა პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც საფრანგეთის მონარქიის გავლენის ქვეშ იქნებოდნენ, ჰაბსბურგების იმპერია კი მათ დაპყრობას ლამობდა. 1526 წლის მაისში შეიქმნა კონიაკის ლიგა, რომელშიც შევიდა საფრანგეთი, რომის პაპი და ვენეცია. ლიგა მიმართული იყო ჰაბსბურგების წინააღმდეგ. ოსმალებისათვის ცნობილი იყო, რომ ჰაბსბურგებს არ შეეძლოთ თავისი მოკავშირე უნგრეთის სამეფოს დაცვა. უნგრეთის მეფე ლაიოშ II-მ დახმარება სთხოვა ინგლისის მეფეს, პაპს, ვენეციის რესპუბლიკას, მაგრამ ამაოდ. 1526 წლის 29 აგვისტოს ოსმალებმა სასტიკად გაანადგურეს უნგრეთის ჯარი მოხაჩთან ბრძოლაში. ამის შემდეგ იწყება უნგრეთის სახელმწიფოს დაცემა, რაც საფრანგეთ-ჰაბსბურგთა შორის წინააღმდეგობის შედეგი იყო.

XVI ს. 20-იანი წლებიდან სეფიანთა ირანი იარაღით აღარ ებრძოდა ოსმალეთს და ამით ხელს უწყობდა ოსმალეთის აგრესიის დასავლეთისაკენ წარმართვას. აღმოსავლეთის საქმეებისგან ოსმალეთის ყურადღების ჩამოშორება ირანს აწყობდა.

1532 წელს ოსმალეთსა და ავსტრიას შორის დაიდო ზავი. ოსმალეთის წინსვლა ევროპაში შეჩერდა და ახლა მისი მთელი ყურადღება აღმოსავლეთისკენ გადმოვიდა. ოსმალეთი ირანის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა. 1534 წლის ზაფხულში ოსმალებმა დაიპყრეს საქართველოს მეზობელი ვანი, ავნიკი, აპლათი, არზრუმი, ყარსი, მთელი აზერბაიჯანი და ბაღდადი.

როდესაც თვალს გადავაკვლავებთ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ოსმალების წარმატებას, ნათელია, რომ საქართველოს მთელ სამხრეთ საზღვარზე გამეზობლებული ოსმალეთის სახელმწიფო, შედარებით პატარა და სუსტი საქართველოს დაპყრობასაც შეეცდებოდა. ამიტომ სავსებით ლოგიკური იქნებოდა მომხდარიყო ქვეყნის მთელი ძალების კონსოლიდაცია. მოხდა კი პირიქით. 1535 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ და ქართლის მეფე ლუარსაბ

I-მა, დადიანისა და გურიელის დახმარებით, საათაბაგოს ტერიტორიები დაიპყრეს. როცა ყვარყვარე III იმერეთში ტყვეობაში გარდაიცვალა, ბაგრატმა აჭარა და ჭანეთი გურიელს გადასცა, რითაც ლევან დადიანის გულიწყრომა გამოიწვია. ამით დაიწყო ოდიშის მთავრის იმერეთის მეფისადმი მტრობა. საათაბაგოს უმსხვილესმა ფეოდალმა ოთარ შალიკაშვილმა ყვარყვარეს მცირეწლოვანი მემკვიდრე ქაიხოსრო სულთან სულეიმან II-სთან წაიყვანა და მისი გაათაბაგება სთხოვა¹. შემთხვევით ისარგებლა ოსმალეთმა და არზრუმის ბეგლარბეგმა მეჰმედ-ხანმა 1536 წელს ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიები დაიპყრო. ოსმალებმა აქ ოთხი სანჯაყი დააარსეს. ამით დაიწყო ოსმალეთის მიერ სამცხის დაპყრობა და ოსმალური მმართველობისა და წესების დანერგვა.

ამის შემდეგ ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვინ უფრო მეტს წაჰკლევდა საქართველოს. ირანმა მიიღო თუ არა მცირეოდენი შესვენება ოსმალეთთან ომში, მაშინვე დაიწყო სამხედრო აქციები საქართველოს წინააღმდეგ. 1540 წელს შაჰთამაზი ქართლის სამეფოს დამორჩილებისათვის მზადებას შეუდგა (კახეთის მეფე ლევანმა შაჰს მორჩილება გამოუცხადა). ქართლის მეფე ლუარსაბ I (1534-1556) ფხიზლად ადევნებდა თვალს შაჰის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევისათვის ცდილობდა საპირისპირო ძალის გამოჩნებას. მაშინ ასეთი სერიოზული ძალა შეიძლებოდა ოსმალეთი ყოფილიყო. ალბათ ქართლის მეფე ლუარსაბი იგულისხმება უნგრეთის მეფე ფერდინანდის ელჩის იერონიმ ლასკის 1540 წლის 5 დეკემბრის წერილში, რომელშიც ნათქვამია: კონსტანტინოპოლში „ჩამოვიდა სარწმუნოებით ქრისტიანი ქართველი მეფე, რათა დახმარება სთხოვოს თურქეთს ირანის შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ მისი ერთგულებისა აქ არ სჯერათ“².

1 სამცხიდან კონსტანტინოპოლში ჩასულ ათაბაგობის კანდიდატს და შალიკაშვილებს უნდა გულისხმობდეს მ. სანუტო, როდესაც ამბობს, თურქებთან კავშირის დასამყარებლად ქართველი დიდებულები ჩამოვიდნენო. **Sanuto M., I diarii, v. 57, p. 633.**

2 ვენის არქივში მოძიებული საბუთის ფრაგმენტი გამოაქვეყნა ლ. ტარდომ. იხ. მისი უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 51.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ იცის ლუარსაბ I-ის მეფობის ძირითადი მომენტები, მაგრამ არსად მითითებული არ არის, რომ იგი როდესმე წასულიყოს სულთნის კარზე. სავარაუდოა, სულთანს ქართლის მეფე კი არ ეახლა, არამედ მისი რომელიმე დიდებული და თავისი მეფის სახელით ყიზილბაშების წინააღმდეგ დახმარება ითხოვა. სულთანმა უარი სთქვა ქართლის სამეფოს დახმარებაზე, რაც მოტივირებული უნდა ყოფილიყო ირანთან ხელახლა შეჯახების თავიდან აცილებით.

ქართლის სამეფოს იმავე ელჩობაზე უნდა იყოს საუბარი საფრანგეთის ვენეციელი ელჩის მონპელიეს მიერ მეფე ფრანსუა პირველისათვის გაგზავნილ 1541 წლის 31 მარტით დათარიღებულ წერილში. მასში ნათქვამია, რომ შაჰს განუზრახავს საქართველოს ერთ-ერთი მბრძანებლის სამფლობელოზე თავდასხმა. ამიტომ ქართველმა მბრძანებელმა თავისი ელჩი გაგზავნა სულთანთან დახმარების სათხოვნელად¹. არ გასულა დიდი დრო და აპრილის წერილი უკვე ქართველთა და ყიზილბაშთა შორის მომხდარ ომსა და შაჰის მიერ განცდილ დიდ ზარალზე გვამცნობს². ძნელია თქმა იმისა, ქრთველ-სპარსელთა შეტაკების ეს ეპიზოდი შაჰ თამაზის საქართველოში პირველ ლაშქრობას ასახავს თუ ამ ლაშქრობის რომელიმე ეპიზოდია ქართველების ყიზილბაშებთან გამართული ბრძოლისა.

იმავე წლის 4 ივლისის წერილში მონპელიე საფრანგეთის მეფეს აცნობებდა, რომ დიდვაზირი სულეიმან ფაშა ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა. მონპელიეს ისე გამოჰყავს, თითქოს ოსმალები შაჰისაგან აწიოკებული ქართველების შურის საძიებლად წავიდნენ³.

31 მარტისა და 4 ივლისის წერილები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ შაჰ თამაზის საქართველოში პირველი ლაშქრო-

ბა მოხდა დასახლებულ რიცხვებს შორის. 31 მარტის წერილში ჯერ მხოლოდ შაჰის საქართველოს მიმართ მუქარაზეა საუბარი, მაშინ როდესაც 4 ივლისს მასში ლაპარაკია, როგორც აპრილში მომხდარი ფაქტზე. ამდენად, სხვა ქართულ წყაროებთან შედარებით, შაჰ თამაზის საქართველოში პირველი ლაშქრობის შესახებ რომ ვადასტურებ, ყველაზე ზუსტ თარიღს (1541 წ.) გვაძლევს „იკორთის ჟამნგულანი“ და „ერისთავიანთ დაუჯდომელი“⁴. ყიზილბაშებისათვის დიდი ზარალი კი შეუპოვარ ლუარსაბ I-ს უნდა მიეყენებინა.

ქართველთა ბრძოლამ დამპყრობლებისაგან თავის დასაცავად, საკმაოდ სერიოზულად მიიპყრო ევროპის მეთაურთა ყურადღება. ზოგს (მაგ. საფრანგეთის სამეფო კარს) ირანის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს მდგომარეობა აინტერესებდა, რადგან მასთან ბრძოლაში ჩაბმული ირანი ოსმალეთს სერიოზულად ვეღარ უშლიდა ხელს თავისი აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისკენ და საფრანგეთის მეტოქე ჰაბსბურგების იმპერიისკენ წარემართა. ჰაბსბურგების სახელმწიფო, უნგრეთი და ოსმალებისაგან ჯერ კიდევ დაუპყრობელ ბალკანეთის ხალხები დაინტერესებული იყვნენ იმ საქართველოთი, რომელიც ირანთან ერთად ებრძოდა ოსმალეთს და გარკვეული გაგებით მდგომარეობას უმსუქებდა დასახლებულ ქვეყნებსა და ხალხებს.

ამგვარი დაინტერესების გამოხატულება იყო რომის პაპ პავლე III-ის მიერ 1545 წლის 17 ივლისს ქართლის მეფე ლუარსაბისათვის ნახჭევანში მოღვაწე წმ. დომინიკეს წესის მღვდლების – დომინიკესა და ბატისტის ხელით გამოგზავნილი ეპისტოლე. ბატისტისტი ქართლის მეფესთან დაახლოებული ყოფილა. მეფე იცნობდა წმ. დომინიკეს ორდენის იმ წევრებსაც, რომლებიც ქართლის სამეფოში იმყოფებოდნენ.

ეპისტოლეს ადრესატი, მართალია ქართლის მეფეა, მაგრამ მასში გამოსტყვივის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის დამოკიდებულება და განწყობილება მთელი საქართველოს მიმართ. პაპის უმთავრესი მიზანი და მოწოდება არის კათოლიციზმის გავრცელე-

1 Charrière E., Op. cit., I, p. 473. ამ ცნობის ანალიზი იხ. ჩოჩიევი ვ., მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული დიპლომატიური კორესპონდენციის მიხედვით. თსუ შრომები, ტ. 186, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1978, გვ. 122.

2 Charrière E., Op. cit., I, p. 473.

3 Ibidem, p. 499.

1 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 243.

ბა და პაპის უზენაესობის აღიარება საქართველოში. რომის აგენტებისა და ქართველი პოლიტიკოსების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პაპი დარწმუნებული იყო, რომ ლუარსაბ I „ღვთისმოსაობის ერთგულებითა და აღფრთოვანებით“ თაყვანს სცემდა რომის წმინდა ეკლესიას და ყველა ეკლესიის მეთაურად მას აღიარებდა. თურმე ლუარსაბის კათოლიკობისადმი განწყობილებას იზიარებდნენ დასავლეთ საქართველოს (კოკატის/ქუთაისის) პატრიარქი, კახეთის (ზაგესის/ზაგემის) მეფე ლევანი, სამცხის (კელსეის/ახალციხის) მთავარი ყვარყვარე¹ და „საქართველოს ქალაქებისა და სამეფოების წარჩინებული მეფეები. პაპს, სავარაუდოა, თითოეული მათგანისთვისაც ანალოგიური შინაარსის წერილები გამოუგზავნიან.

პაპი ქართველ მბრძანებლებთან დაკავშირების სურვილს აყალიბებს შემდეგნაირად: „ქრისტეს ამ ერთადერთ სამწყსოში გვსურს შენი და სხვა ქართველი მეფეების შემოსვლა, ყველა მათი და მთელი ხალხის სულის საცხონებლად. ამიტომ, რამდენადაც ჩვენ ეს შეგვიძლია, უფლის მიერ მოგიწოდებთ, რათა, როგორც ერთია ღმერთი და ერთია ნათლისღება, ასევე ყველა ჩვენთვის ერთი იყოს სარწმუნოება ქრისტეს სამწყსოსი და ვიყოთ წმ. დედა კათოლიკე ეკლესიის ერთობაში, რათა თქვენც, ჩვენთან ერთად და ჩვენი შემწეობით, ადვილად ეწიოთ ამ ბედნიერებას“².

პაპი ლუარსაბ მეფეს სთხოვს რომში გაგზავნოს თავისი დესპანები, რათა მათი საშუალებით მეფის ქვეშევრდომნი რომის ეკლესიისა და მისი მეთაურის რომის პაპის შვილებად გამოცხადდნენ. პაპი ლუარსაბს მოუწოდებს: „ასევე შეაგულიანე ზემოხსენებული შენი მეზობელი სამი ქართველი მეფეც³, რათა შენს დესპანებთან ერთად გამოგზავნონ თავიანთი დესპანებიც და მათი საშუალებით მორჩილება აღუთქვან რომის წმ. მსოფლიო ეკლესიას და ჩვენ, რომელიც მას განვაგებთ. თუ შენ საჭიროდ დაინ-

ახავ, სხვა მეფეებსაც გაუგზავნე ამ წერილების თითო პირი“⁴.

დარწმუნებული ვარ, ქართველ პოლიტიკოსები ითვალისწინებდნენ რომის დაინტერესებას საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების შესახებ. ამიტომ მათ მიერ რომში გაგზავნილ წერილებში (არ გამოვრიცხავ კათოლიკე პატრები სამეფო კარის კარნახითაც წერდნენ) იყო თხოვნა, მეზობელი მუსლიმი მეზობლებისაგან თავდაცვაში დახმარების შესახებ და იქვე აღნიშნული იყო ქართველთა სიმპათიებზე კათოლიკური ეკლესიისა და პაპის მიმართ. მაგრამ პაპები, თავიანთი შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველებს ეხშიანებოდნენ მხოლოდ თავიანთის საინტერესო ერთ საკითხზე – კათოლიციზმის გავრცელებაში დახმარებაზე.

1547 წელს ოსმალეთმა ზავი დასდო ჰაბსბურგების სახელმწიფოსთან და უნგრეთთან და მაშინვე განაახლა ომი ირანთან. 1548 წლის 27 ივლისს ოსმალები თავრიზში შევიდნენ, სადაც მხოლოდ ხუთი დღე დაჰყვეს, რადგან ქალაქი მთლიანად დაცლილი იყო. ჯარი სურსათ-სანოვავის ნაკლებობას განიცდიდა. კონტრშეტევაზე გადასულმა შაჰის ლაშქარმა იმავე წლის სექტემბერში მარცხი განიცადა სომხეთში.

1549 წლის გაზაფხულზე ოსმალებმა იარაღი სამცხისაკენ წარმართეს, რომლის ათაბაგ ქაიხოსროს ირანის მხარე ეჭირა. იბრაჰიმ ფეჩევის გადმოცემით ამ დროს სამცხეში სახალხო აჯანყება მიმდინარეობდა². ოსმალებმა ამ აჯანყების ჩახშობასთან ერთად საათაბაგოს მნიშვნელოვანი ნაწილიც დაიპყრეს და ოსმალეთის იმპერიას შეუერთეს³.

1551 წელს შაქში შაჰ თამაზთან მივიდნენ ათაბაგ ქაიხოსროს ელჩები და მოახსენეს, რომ ქართლის მეფე ლუარსაბი და თავადები სამცხეში შემოიჭრნენ და მავიწროებენო, „ჩემი ვილაიეთის დაპყრობას ლამობენ, ზოგი ოლქიც წამართვეს. ისქანდერ ფაშაც

1 ივლისისხმება ყვარყვარე III (1516-1535), მაგრამ ამ დროს ათაბაგია ქაიხოსრო II.

2 ტაბალუა, დასახ. ნაშრ., I, გვ. 232.

3 პაპი ათაბაგსაც მეფეს უწოდებს.

1 ტაბალუა, დასახ. ნაშრ., I, გვ. 233.

2 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 27-28.

3 სვანთიძე მ. დასახ. ნაშრ., გვ. 63-67.

არზრუმიდან მოვიდა ამ მხარეში და არტანუჯის ციხე დაიკავაო¹.

შაჰ თამაზი დიდი ჯარით შევიდა სამცხეში და საშინლად აიკლო ქაიხოსროს მოწინააღმდეგეთა სამფლობელოები. სპარსელთა ჯარის მიერ სამცხეში ჩადენილ საშინელებათა შესახებ დაწერილებით მოგვითხრობენ ჰასან რუმლუ და ისქანდერ მუნში. მათივე გადმოცემით, ყიზილბაშები სამცხიდან ქართლში (ჰასან რუმლუს მიხედვით, მხოლოდ საბარათიანოში) შეიჭრნენ, აიკლეს და გამოსაზამთრებლად ყარაბაღისაკენ გაეშურნენ. ათაბაგი ახლა სპარსელთა ჯარით ცდილობდა თავისი სამფლობელოების აღდგენას².

საქართველოში შაჰის წარმატებამ ოსმალეთი შეაშფოთა. სულთანი ვერ ურიგდებოდა საათაბაგოს ირანის გავლენის ქვეშ მოქცევას. 1553 წელს სულთანი კვლავ წავიდა შაჰის წინააღმდეგ საომრად. ვიდრე იგი ირანის სამფლობელოებში შეიჭრებოდა, მანამდე შეეცადა მშვიდობიანი ზურგის უზრუნველყოფის მიზნით საათაბაგოსთან ურთიერთობა გაერკვია. როგორც თანამედროვე ანონიმი ვენეციელის ცნობებიდან ირკვევა, სულთანმა განიზრახა ათაბაგის იძულება, რათა ამ ომის დროს ნეიტრალიტეტი დაეცვა, არ დაებრკოლებინა ოსმალეთის ჯარის მოსამარაგებლად ანატოლიიდან წამოსული ალალი. ანონიმი წერს: „[სულთანს] სურდა, რომ ბანაკში გაგზავნილ სურსათ-სანოვავეს დაბრკოლება არ შეხვედროდა ქართველებისა და ქურთების მხრივ, რომლებსაც, როცა ჯარი არზრუმიდან ირანისკენ წავიდოდა, ყოველთვის ადვილად შეეძლოთ დაებრკოლებინათ სურსათ-სანოვავის გადაზიდვა, რითაც შეიქმნებოდა ჯარის დამარცხების დიდი ხიფათი, ან [ჯარი] სწრაფად უნდა დაბრუნებულიყო უკან. ამიტომ [სულთანს] ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა იმ მხარეში ჯარის ნაწილის დატოვება. იქ უნდა დაეტოვებინათ რამდენიმე სანჯაყ-ბეგი დიდი ესკადრონით. ამას გარდა, მისი აზრით, უკეთესი იქნებოდა, მშვიდობა დაემყარებინა ქურთებთან. [ქურთებთან] გაგზავნილმა მისიანებმა ერთგულება და ფიცი მიიღეს. ასეთივე მიზნით გაგზავნეს ქართველებთან ერთი ცნობილი პიროვნება საკმაოდ მრავალრიცხ-

ოვანი მხედრობით, რათა შთაბეჭდილება მოეხდინა [ქართველებზე]“¹.

იმავე წყაროდან ვიგებთ, რომ სულთანს ქურთებთან საკითხი სასურველად მოუგვარებია და იმედი ჰქონდა, რომ ასევე მოხდებოდა ქართველებთანაც. ის „ცნობილი პიროვნების“ დაბრუნებას არც კი დაელოდა, ისე გააგრძელა გზა ირანის საზღვრებისაკენ.

შაჰ თამაზმა ახლაც ოსმალებთან ბრძოლის ძველი ნაცადი მეთოდი გამოიყენა. ირანის საზღვრებში შეჭრილ ოსმალებს „გადაბუგული მიწების“ გავლა უხდებოდათ და რამდენიმე დღის შემდეგ საგრძნობი გახდა სურსათის ნაკლებობა. ცხენის ერთი ჯერი საკვები 20 ასპრი, ხოლო ერთი პატარა პური ერთი მარკეტი ღირდა. ფასების სულ უფრო ზრდის გამო მეომრები ღელავდნენ. ზოგს იმის იმედი ჰქონდა, რომ მალე მოვიდოდა სურსათი ანატოლიიდან და, მიუხედავად ბრძანებისა, სურსათის მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ, მარაგს არ უფრთხილდებოდნენ. ურჩნი, შემდეგში, სულთნის ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს².

რაც შეეხება სულთნის მიერ საქართველოში გაგზავნილ „ცნობილ პიროვნებას“, მის შესახებ იმავე წყაროდან ვიგებთ შემდეგს: „კაცმა, რომელიც ქართველებთან გაგზავნილი იყო, რათა ისინი ერთგული გაეხადა, სულთნის სახელით, როგორც ზემოთ ითქვა, მიაღწია კიდეც ამას. მაგრამ უკან დაბრუნებისას საზღვართან მისულს, ტყეში თავს დაესხა ორმოცი უცნობი და მოკლეს. მისი თანამგზავრებისათვის სხვა ზიანი არ მიუყენებიათ, მხოლოდ ის წერილები წაართვეს, რომლებიც ქართველმა მთავარმა სულთანს მისწერა“³.

სავარაუდოა, სულთნის წარმომადგენელს ისინი მოკლავდნენ, ვინც დაინტერესებულნი იყვნენ ათაბაგსა და სულთანს შორის ურთიერთობის გაუარესებით. ანტიოსმალური განწყობილების მქონე მნიშვნელოვანი ძალა რომ არსებობდა საათაბაგოში, ეს კარ-

1 ისქანდერ მუნში გვ. 18; ჰასან-რუმლუ, გვ. 29.

2 ჰასან-რუმლუ, გვ. 32.

1 Alberi E., Op. cit., I, p. 256.

2 Ibidem, p. 257.

3 Ibidem, p. 259.

გად გამოძღვანდა თუნდაც 1549 წლის აჯანყების დროს. იმის თქმაც შეიძლება, რომ თავდამსხმელების ზურგს უკან ქართლისა და იმერეთის მეფეებიც იდგნენ. ათაბაგის ავტორიტეტის შელახვით (ის ხომ ოსმალეთის ჯარზე დაყრდნობით სოხოისტას ბრძოლის შემდეგ, 1545 წელს, გაათაბაგდა) ისინიც დაინტერესებულნი იყვნენ. ამგვარ მოსაზრებას, ჩემი აზრით, ადასტურებს, სულთნის შემდგომი მოქმედება სამცხის მიმართ. ალბათ, სულთნისთვისაც გასაგები იყო თავდამსხმელთა მიზანი და ამის გამო თავი შეიკავა სამცხეში მტრული აქციებისაგან. რა თქმა უნდა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ირანთან გაჭიანურებული ომის დროს სულთანი საათაბაგოსთან ურთიერთობის კიდევ უფრო გართულებას მოერიდა და მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიება გაატარა: „როცა სულთანმა ეს ახალი ამბავი გაიგო, ეჭვი დაეხდა, რომ კაპადოკიიდან მომავალ ალაღს ქართველები დაბრკოლებას შეუქმნიდნენ, ამიტომ მან სხვა ბეგლარბეგი გაგზავნა ქართველების ქვეყანაში რამდენიმე სანჯაყ-ბეგითა და მრავალრიცხოვანი მხედრობით და დაავალა, რომ რაიმე ზიანი კი არ მიაყენონ ქართველებს, არამედ ისინი მხოლოდ შეაჩერონ თავიანთ საზღვრებში. ქართველები იმის შიშით, რომ ის ჯარი გაანადგურებს მათ ქვეყანას ვერ გაბედავენ რაიმე ახალი აქციის მოწყობას“¹.

სურსათის ნაკლებობა კატასტროფას უქადდა ოსმალეთის ჯარს. ამიტომ სულთანმა გადაწყვიტა, ხელი აეღო შაჰის ჯარების დევნაზე, რათა შემდეგში ისინი გენერალურ ბრძოლაში გაენადგურებინა და ანატოლიაში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მას კვლავ ახალი სამწუხარო ანბავი აცნობეს: „შაჰის ვაჟი ისმაილი ქართველთა მრავალრიცხოვანი ჯარით თავს დაესხა კაპადოკიიდან მომავალ სურსათით დატვირთულ სამ ათას აქლემს. წაიღეს ყველაფერი, მცველნი დაატყვევეს. ეს ახალი ცნობა ყველაზე მწარე იყო თურქებისათვის, რომლებიც ამ სურსათით ფიქრობდნენ სულის მოთქმას. სულთანი ამ სიანხლის გამო განრისხდა და საქართველოს წინააღმდეგ შებრუნება ბრძანა, რადგან ზარალის მიმყენ-

ებელი ისმაილის¹ ჯარი მთლიანად ან უმეტეს წილად ქართველებისაგან შედგებოდა. მაგრამ მან ამ განზრახვაზე ხელი აიღო, რადგან მალე ზამთარი დადგებოდა, რომელიც ამ მხარეში ძალიან ცივია. მან უკეთესად მიიჩნია გამოსაზამთრებლად კაპადოკიაში დაბრუნებულიყო, ხოლო ქართველების დასჯა გაზაფხულამდე, ომის განახლების დრომდე, გადალო“².

ქართველები და სპარსელები რომ ერთობლივად ებრძოდნენ სპარსელებს, ჩანს სხვა წერილობითი ცნობებიდანაც³.

ხანგრძლივმა ომმა ირანი და ოსმალეთი მოქანცა. ორივე მხარეს ომის დამთავრება სურდა. ზავის დადების ინიციატივა შაჰ თამაზმა გამოიჩინა. მაგრამ, ვიდრე საზავო მოლაპარაკება დაიწყო, მანამდე შაჰმა საქართველოში თავისი პოზიციების განმტკიცება განიზრახა და ამ მიზნით 1554 წლის ზაფხულში საქართველოს მეოთხედ შემოესია. როგორი სერიოზული ზიანი მოუტანა ქვეყანას სპარსელთა ამ ლაშქრობამ, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ წაყვანილი იქნა 30 ათასი ტყვე, სხვა უბედურება, რომ აღარ გავიხსენოთ.

ყოზილბაშთა ეს უკანასკნელი შემოსევა ასახული უნდა იყოს სპარსულ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს ორი სპარსელი დიდებულის სევენდუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზა მირზას მიერ არზრუმის გამგებლის აიას ფაშასადმი გაგზავნილ წერილს⁴. იგი დაწერილი უნდა იყოს 1554 წლის აგ-

1 ისმაილ-მირზა ცნობილი იყო ოსმალებისადმი შეურიგებელი მტრობით. იგი შემდეგში დადებულ ამასიის ზავსაც არ სცნობდა და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში თავს ესხმოდა ოსმალეთის სამფლობელოებს, რაც ზავის დარღვევის საშიშროებას ქმნიდა. ამის გამო ისე გამწვავდა ურთიერთობა შაჰ თამაზსა და ისმაილ-მირზას შორის, რომ შაჰის ბრძანებით ის ალაშუთის ციხეში ჩასვეს, სადაც თითქმის ოცი წელი გაატარა. ამის შესახებ დაწვრილებით ითქმევა სხვაგან.

2 Alberi E., *Op. cit.*, I, p. 262-263; სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 72-73.

3 ტარდი ლ., ანთალ ვერანჩინის მოხსენებით ბარათები. თარგმანი უნგრულიდან ვ. იმერლიშვილისა, „კლდეკარი“, გორის სალიტერატურო ჟურნალი, „ლომისი“, თბ., 1997, გვ. 137-138. იხ. აქვე, „ოდიშის სამთავროს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან“.

4 Fekete L., *Zur Geschichte der Grusiner des 16 Jahrhunderts*. „Acta Orient. Hung.“, t. I, fasc. I, 1950, S. 93-137; კაციტაძე ლ., XVI-XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის. „კავკასიურ-აზლოლოგიკური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 214-213.

1 *Ibidem*. სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 74.

ვისტოს¹ ან 30 ოქტომბრის შემდეგ². წერილიდან ვიგებთ, რომ ყიზილბაშებთან ომში დამარცხებული ლუარსაბი იმერეთში გადასულა. იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს არა მხოლოდ შეუფარებია დევნილი ქართლის მეფე, არამედ მისთვის დასახმარებლად ოსმალეთშიც კი წასულა. სპარსელი დიდებულების მიზანს (საფიქრებელია, ისინი შაჰ თამაზის მითითებით მოქმედებდნენ) წარმოადგენს, დაუმტკიცონ ოსმალეთის სულთანს, რომ მისი ჩარევა ქართლის საქმეებში კიდევ უფრო დაძაბავს ირან-ოსმალეთის ურთიერთობას. ეს რომ არ მოხდეს, ოსმალეთმა თავისი გავლენა უნდა გამოიყენოს იმერეთის მეფეზე, რათა მან ყიზილბაშებს გადასცეს ლუარსაბ მეფე. იმავე წერილიდან ვიგებთ, რომ ლუარსაბის მიერ იმერეთში თავშეფარება პირველი შემთხვევა არ ყოფილა. იგი ყოველთვის ასე იქცეოდა, როცა ყიზილბაშები დაჯაბნიდნენ ხოლმე. ყიზილბაშები იმერეთის მიმართ სამხედრო აქციებიდან თავს იკავებდნენ, რადგან იმერეთის მეფე სულთნის ქვეშევრდომი იყო. ამით სპარსელი დიდებულები ოსმალებს აგრძნობინებდნენ, რომ მათაც თავი უნდა შეეკავებინათ ყიზილბაშების ხელდებული ქართლის სამეფოს საქმეებში ჩარევაზე.

წერილის ავტორები ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ იმერეთისა და ქართლის მეფეები სარგებლობენ ირან-ოსმალეთის მეტოქეობითა და ომით და ცდილობენ კიდევ უფრო გააღვივონ მათ შორის წინააღმდეგობა, რათა ერთმანეთი ამოწყვიტონ. წერილის ავტორების აზრით, იმისათვის რათა გადაწყდეს „გურჯისტანის საკითხი“, აუცილებელია ორ მუსლიმან სახელმწიფოს შორის ომი შეწყდეს.

წერილი ნათელს ხდის, როგორ დაინტერესებული იყო ირანი ომის დამთავრებით და ზავის დადებით. ამავე დროს შაჰის კარი ცდილობდა გაერკვია ოსმალეთის პოზიცია საქართველოს მიმართ. იმავე წელს დაიწყო საზავო მოლაპარაკება, რომლის დროსაც შაჰის წარმომადგენელი განსაკუთრებით გამოჰყოფდა საქართველოს საკითხს. ანონიმი ვენეციელის თქმით, „შეთანხმდნენ იმ

პირობით, რომ ერთის ყველა ქვეშევრდომი და მოხარკე პატივცემული იქნებოდა მეორეს მიერ. სულთანმა სულეიმანმა სიტყვა მისცა შაჰ თამაზს, რომ არც ეხლა და არც ზავის დადების შემდეგ არავითარ ზიანს არ მიაყენებდა საქართველოს“¹. მასმასადამე, შაჰს საქართველო თავის ქვეშევრდომ და მოხარკე ქვეყნად მიანიჭდა და სულთნისგანაც მოითხოვდა ამ თავისი უფლების აღიარებას.

უნგრელ დიპლომატს ანთალ ვერანჩიჩს მხედველობიდან არ გამორჩა ქართველი პოლიტიკოსების საქმიანობა ირან-ოსმალეთის შორის საზავო მოლაპარაკების ჩასაშლელად. 1554 წლის 19 დეკემბრის ანგარიშში იგი წერდა: „ქართველი მმართველნი სპარსელთა მხარეზე გადავიდნენ და ყოველმხრივ იღწვიან რომ ჩაშალონ ზავის დადების საქმე. ამიტომაც სულთანმა მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს ომი ქართველთ წინააღმდეგ, თუკი ქართველები ხელს არ აიღებენ თავიანთ თავხედურ განზრახვაზე და მათ მხარეს არ გადავლენ“².

1555 წ. 29 მაისს ამასიაში დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლითაც დასრულდა ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომი. მაგრამ ზავმა ბოლო არ მოუღო „შერიგებულ“ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობას და მათ აგრესიას კავკასიის ქვეყნებში. ამასიის ზავი გადაიქცა ამ ორი აგრესორის დაპყრობითი პოლიტიკის ახალი ეტაპის ამოსავალ პუნქტად³. ირან-ოსმალეთის აგრესიის მორიგი ეტაპი გამოიხატებოდა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის ცდებში. „ოსმალები და ირანის ჯარები დროდადრო თავს ესხმოდნენ ქართულ მიწებს, რათა „შეეხსენებინათ“ 1555 წლის ხელშეკრულების პირობები“⁴. ირანი ამის განხორციელებას ცდილობდა ამასიის ზავის პირობების დაცვით, ოსმალეთი – მისი გაუქმების გზით.

1 Alberi E., *Op. cit.*, I, p. 265.

2 ტარდი ლ., ანთალ ვერანჩიჩის მოხსენებითი ბარათები, გვ. 139.

3 ჩოჩიევი ვ., კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI ს. 60-იან წლებში. თსუ შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 243.

4 Новосельцев А. П., *Ук. труд*, с. 118.

1 კაციტაძე დ., დასახ. ნაშრ., გვ.132

2 სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 77.

ამასიის საზავო ხელშეკრულებამ კარგა ხნით განსაზღვრა საქართველოს ბედი. ამასიის ზავის შემდეგ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში შექმნილი ვითარების ამსახველი წერილობითი წყაროები საკმაოდ მრავლადაა მოღწეული. მაგრამ მათი ავტორებისათვის ყოველთვის გასაგები არ არის საქართველოში მიმდინარე მოვლენები. წყაროებში უმეტესად „საქართველოა“ ნახსენები, რაც აძნელებს იმის გარკვევას, მასში რომელი სამეფო ან სამთავროა ნაგულისხმევი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნების ან აღდგენის მიზნით უცხოელ დამკვირვებლებს ხშირად სწორად არ ესმით: თუ ქართველები შაჰს ებრძვიან, მაშინ მათ მიიჩნევენ ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომებად ან მოკავშირეებად, ხოლო თუ პირიქით ხდება, მაშინ შაჰის მომხრეები ჰგონიათ. წყაროების ამგვარი ტენდენცია ართულებს სინამდვილის დადგენას.

აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებისა და სათავადოების დამოკიდებულება ამასიის ზავისადმი ერთნაირი არ იყო. სათავადოების დიდი ნაწილი, სავარაუდოა, ზავის მომხრენი იყვნენ, რადგან ზავის შედეგად ქართლისა და კახეთის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ირან-ოსმალეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. რაც შეეხება ქართლისა და კახეთის მეფეებს, მათთვის ამასიის ზავი მიუღებელი იყო, რადგან ამიერიდან მათ ნაკლებად შეეძლოთ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობების გამოყენება თავიანთი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. როცა ირან-ოსმალეთი ერთმანეთთან ბრძოლას შეწყვეტდნენ, მაშინ ქართველების საშინაო საქმეებში უფრო ენერგიულად ჩაერეოდნენ.

ქართველი პოლიტიკოსებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ სპარსეთი და ოსმალეთი ერთმანეთს საქართველოში გაბატონებისთვისაც ებრძოდნენ. ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ორი დამპყრობელი ერთმანეთს არ მორიგებოდა საქართველოს ხარჯზე, შენარჩუნებული ყოფილიყო მათ შორის დაპირისპირება.

ოსმალეთთან ბრძოლაში დამარცხებული და დასუსტებული სპარსეთი მყარად ვერ გრძნობდა თავის პოზიციებს აღმოსავლეთ საქართველოში, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკის მთავარ უბნად

აქ არსებული ორი ქართული სახელმწიფო რჩებოდა. რადგან სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, შაჰს ხშირად უხდებოდა შეიარაღებული ძალის გამოყენება ყიზილბაშების წინააღმდეგ ამხედრებულ ქართლის სამეფოს დასამორჩილებლად. აღმოსავლეთ საქართველოზე ირანის შეტევის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ყარაბაღის გამგებელი შაჰვერდი-სულთანი.

ოსმალეთი ფხიზლად ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას აღმოსავლეთ საქართველოში და ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ამ რეგიონზე დროებით ამბობდა უარს და მისთვის სულ ერთი არ იყო, თუ რა ხდებოდა იქ.

1556 წ. 18 სექტემბერს სულთან სულეიმან II კანუნის აცნობეს, რომ შაჰ თამაზმა თავრიზში გაამზადა 70 ათასი მეომარი და განზრახული ჰქონდა საქართველოზე თავდასხმა¹. ამასთან დაკავშირებით „რომის საღმრთო იმპერიის“ იმპერატორს ფერდინანდს, მისი აგენტი კონსტანტინოპოლიდან წერდა, რომ შაჰის საქართველოზე გალაშქრების მიზეზი ქართველების მიერ სულთნისათვის მხარდაჭერააო. იქვე ნათქვამია, როცა ქართველებმა შაჰის სამზადისის შესახებ შეიტყვეს, მაშინვე სულთანს დახმარება სთხოვეს. ისინი მოითხოვდნენ, რომ სულთანს საქართველოს მეზობელი სანჯაყები დაეხმარებინა მთთვის.

იმავე წლის 21 სექტემბერს სულეიმან II-მ წერილები გაუგზავნა ირანის მოსაზღვრე ყველა სანჯაყს და ქართველებისათვის დაუყოვნებლივ დახმარება უბრძანა. სულთნის ამ განკარგულებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველას ეგონა, რომ კვლავ ომი დაიწყებოდა².

იტალიურ წყაროში აღნიშნულ საპარსეთ-ოსმალეთის დაძაბული ვითარების და სულთნის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ უნდა იყოს იაბრაჰიმ ფეჩევის ცნობაშიც: „ფადიშაჰს მოხსენდა, რომ გზადაბნეული შაჰი საქართველოში რამდენიმე ფადი-

1 Tardy L., *Rapports diplomatiques sur la Géorgie entres les année 1550 et 1570*. „Bedi Kartlisa“, v. 34, Paris, 1976, p.102.

2 Ibidem.

შაჰისეულ ციხეს შეესია. ოთხი ათასი იანიჩრის და სრულიად რუმელიის, ანატოლიისა და ყარამანიის ლაშქრისა და ყველა ბოლუქის ჯარის სარდალ-სპასალარად დაინიშნა სახელოვანი დიდი ვეზირი და გაიგზავნა [საქართველოში]... როდესაც ყიზილბაშებმა [შეიტყვეს], რომ დიდი ვეზირი ისლამის ლაშქრით მოვიდა და ძლევაძოსილი ჯარით [საქართველოს] მფარველობას უწევს, ორი დღის სავალი ერთ დღეს გაირბინეს და შინ მოკურცხლეს – დიდი ვეზირი კი მისდამი რწმუნებული ლაშქრით უაგვუსტოეს ჯარს შეუერთდა“¹.

საქართველოს, კერძოდ, სამცხის საკითხთან დაკავშირებით ირან-ოსმალეთს შორის დამაბულობა, სავარაუდოა, აისახა ვახუშტის თხზულებაში იქ, სადაც ნათქვამია სულთან სულეიმანის და შაჰ თამაზის საქართველოს სამხრეთ საზღვართან მისვლაზე და დათარიღებულია 1556 წლით. „შემდგომად მოვიდა სულთანი სულეიმან, აღაშენა კარი, მოსრნა ურჩნი, უკუნიქცა და დადგა ბასიანს ქსა ჩ’ფნვ ქარ. ს’მდ. მას მოუდგა შაჰთამაზ და დადგა არტანს. ხოლო სულთანი სულეიმან წარვიდა სტამბოლს“².

1556 წლის 25 ნოემბერს სტამბოლში ჩავიდა ორი ქართველი დიდებული, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ, სულთნისთვის გადაეცათ საჩივარი შაჰის მოქმედების გამო. მათ განაცხადეს, რომ ყოველდღიურად შაჰისაგან შევიწროებას განიცდიან და მას მზად ჰყავს დიდი არმია საქართველოზე თავდასასხმელად.

სავარაუდოა, ზემოთ დასახელებული დესპანები სვიმონ I-ის მიერ იყვნენ გაგზავნილნი.

სვიმონ I საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეულ მეფეთაგანია. მის სახელთან დაკავშირებულია XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის დამპყრობლების წინააღმდეგ გამორული ბრძოლის არაერთი საინტერესო ეპიზოდი. იგი უაღრესად პოპულარული იყო დასავლეთ ევროპაში და მის შესახებ ბევრიც დაიწერა.

სვიმონ I, ქართლის გმირი მეფე ლუარსაბ I-ის (1534-1556) ვაჟი იყო. ქართველი ისტორიკოსის მიხედვით, „ლუარსაბ მეფე

მამაცობაზედ ნაქებია ყოველს საქართველოს მეფეთა და თავადთა ზედან ძველით ახლებამდისინ. თავათ კარგი სარდარი იყო და მერმე გულოვანი, უხვი და უშურველი, მსმეველ-მჭმეველი, სამართლიანი, ყმა-მორჩილი. ომში კოხტა და უშიშარი, თანაც მაგარი ქრისტიანი“³. ასეთი მამა ზრდიდა უფლისწულ სვიმონს¹.

სვიმონ I-მა მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაიღუპა მამამისი ლუარსაბ I. შაჰ თამაზმა განიზრახა, შეუპოვარი ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ მაინც, დაემორჩილებინა ქართლის სამეფო, რომელიც კავკასიაში ყიზილბაშების ყველა მოწინააღმდეგის დასაყრდენს წარმოადგენდა. ახალგაზრდა ქართლის მეფემ, როგორც ჩანს, სწორად შეაფასა არსებული მდგომარეობა და თავისი სამეფოს გადარჩენის მიზნით ოსმალებთან დაკავშირება სცადა². ქართველ ელჩებს სტამბოლში პასუხი ვერ გასცეს³ და, ალბათ, იქვე ურჩიეს ასეთ სერიზულ საკითხზე მოსალაპარაკებლად ადრიანოპოლში წასულიყვნენ.

ქართველ პოლიტიკოსებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ როდესაც ოსმალეთი ყურადღებას დასავლეთისკენ გადაიტანდა, მაშინვე იწყებოდა ირანის გააქტიურება ამიერკავკასიაში. ოსმალეთის ზრახვების ცოდნა მათ საშუალებას მისცემდა სწორად და მოხერხებულად წარემართათ თავიანთი ურთიერთობა ირანთან.

1556 წლის 6 დეკემბერს ერთი ქართველი ელჩი დიდვაზირს როსთემ ფაშას შეხვდა. როგორც მოლაპარაკებიდან ირკვევა, ელჩმა იცოდა ოსმალეთის ჯარის მარცხი უნგრეთში იმავე წლის

1 მეფის დაბადების ორი განსხვავებული თარიღი გვაქვს: 1531/1532 (1531/1532 წელი გამოანგარიშებულია ის ელჩის ტერ-იაკობის მიერ ვენეციის სახელმწიფო საბჭოში 1597 წელს ნათქვამიდან, რომ მეფე 65 წლისა არისო. დაწვრ. იხ. ქვემოთ) და 1537 წელი (ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 256). რადგან გამეფებისას (1556 წ.) სვიმონი 19 წლისა და ჯერაც უცოლშვილო იყო, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ 1537 წელს, რადგან საქართველოში ვაჟის ქორწინების ასაკად, როგორც წესი, 18 წელი იყო მიჩნეული და უფლისწულს უცოლოდ დიდხანს არ დასტოვებდნენ. ამიტომ მისი დაბადების წელად უნდა ჩაითვალოს 1537. სვიმონი 1559 წელს დაქორწინდა კახთა მეფე ლევანის ასულზე, ნესტანდარეჯანზე.

2 *Documente privitoare la istoria Romanilor, v. II, par. II, Bucuresti, 1891, p. 353*

3 *Ibidem.*

1 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 31.

2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 717.

გაზფხულზე. ამიტომ დიდვაზირთან შეხვედრისას მან კატეგორიულად მოითხოვა ეცნობებინათ მისთვის, აპირებდა თუ არა სულთანნი მომავალ წელს უნგრეთში წასვლას. გაკვირვებულმა ვაზირმა იკითხა: რატომ აინტერესებდა ქართველ ელჩს ეს საკითხი? ელჩმა უპასუხა: ოსმალეთთან დაკავშირებულ ყველა ქართველს აფიქრებს სულთნის მოსალოდნელი გამგზავრება უნგრეთში და იქ ომის გაჩაღება. ამით ისარგებლებს შაჰი და ბრძოლას დაუწყებს ქართველებს¹.

დიდვაზირმა სცადა დაერწმუნებინა ქართველი ელჩი, რომ ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა მშვიდობიანად მოეგვარებინა ურთიერთობა უნგრეთთან, მაგრამ მეფე ფერდინანდი თუ მანც სამხედრო მოქმედებას დაიწყებს და სულთანნი უნგრეთში წავა, ასეთ შემთხვევაში ის ყოველ ღონეს იხმარდა, რომ ქართველებმა და ოსმალეთის სხვა მოკავშირეებმა ზარალი არ განიცადონ².

1557 წლის დასასრულს ირანის ელჩი სულთნის კარს ეწვია და ოსმალეთის უმაღლეს მოხელეებთან მოლაპარაკება გამართა. ირანში დაბრუნების წინ ელჩი სულთანმა და დიდვაზირმა მიიღეს. მათ, სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს საქართველოს საკითხიც. ელჩმა უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ სულთანი კეთილგანწყობილებას იჩენს იმ ქართველების მიმართ, რომლებიც ირანს ესაზღვრებიან, ე. ი. საქართველოს იმ ნაწილების (ქართლი, კახეთი, აღმოსავლეთი საათაბაგო) მიმართ, რომლებიც ამასიის საზავო ხელშეკრულებით ირანის ხელდებულად გამოცხადდა. მან მოითხოვა, რომ მათ შაჰს ძველებურად ხარკი გადაუხადონ. ელჩის ამგვარ მოთხოვნაზე სულთანმა უპასუხა: რადგან ქართველები სულთნის მოხარკენი გახდნენ, ამიტომ სულთანი ვალდებულია, დაიცვას ისინი. ამასთანავე სულთანმა ელჩს იმის გარანტია მისცა, რომ „არ დაუშვებდა შაჰის სამფლობელოებზე ქართველების თავდასხმებს“³.

სულთანმა დაუფარავად დაადასტურა თავისი მიზნები აღ-

მოსავლეთ საქართველოს მიმართ. ამგვარად, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და შაჰმა გადაწყვიტა თავისი ინტერესები იარაღით დაეცვა. უკვე 1557 წლის დეკემბერში სპარსელები საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებენ. იტალიურ წყაროში, არ ჩანს, კონკრეტულად, სად შეიჭრნენ ყიზილბაშები. ამის გარკვევაში დაგვეხმარება ჰასან რუმლუს ერთი ცნობა, საიდანაც ვიგებთ, რომ შაჰვერდი სულთან ზიად ოლლი და სულეიმან-ბეგ ბაიათი ქართლში შეიჭრნენ. მტრის სიმრავლისა თუ მოულოდნელი თავდასხმის გამო მეფემ მთებს შეაფარა თავი. „ღაზიებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ველაიეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს. ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს [მიწიდან] და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ“⁴.

ქართლისა და კახეთის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალით ყიზილბაშების მოგერიებას ვერ შესძლებდნენ. ოსმალეთი მხოლოდ ბუნდოვან დაპირებას იძლეოდა. რეალური დახმარება არსაიდან ჩანდა. ამიტომ მათ განიზრახეს, ირანის საპირისპიროდ ისეთი ძალა გამოეძებნათ, რომელიც შაჰს აიძულებდა, შეეჩერებინა ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეესუსტებინა აგრესია ქართული სამეფოების მიმართ. ქართველმა დიპლომატებმა ასეთ ძალად რუსეთი მიიჩნიეს და კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში მისი ჩაბმა სცადეს.

XVI ს. 50-იან წლებში რუსეთის მეფე ივანე IV-მ დიდ წარმატებას მიაღწია. მან დაიპყრო ჯერ ყაზანის (1552 წ.), შემდეგ ასტრახანის (1556 წ.) სახანოები. ფაქტობრივად, მთელი ვოლგისპირეთი კასპიის ზღვამდე მოსკოვის სამეფოს ხელში აღმოჩნდა. მან ჩრდილო კავკასიაშიც მოიკიდა ფეხი. ქართველები ცდილობდნენ კონტაქტი დაემყარებინათ გაძლიერებულ მოსკოვის სახელმწიფოსთან.

1557 წელს მოსკოვში ჩავიდა ყაბარდოს გავლენიანი მთავრების ელჩობა და ივანე IV-ს ყირიმის სახანოსა და ოსმალეთისაგან დასაცავად მფარველობა სთხოვეს. ჩანს, ქართველები თვალს აღ-

1 Tardy L., Op. cit., p.103.

2 Ibidem, p.104.

3 Ibidem.

4 ჰასან რუმლუ, გვ. 35.

ევნებდნენ ჩრდილო კავკასიელი მთავრების მოსკოვთან ურთიერთობის დაწყებას და ამ საქმეში ხელსაც უწყობდნენ. კავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში მესამე ძალის, თანაც მართლმადიდებელი ქრისტიანულის, გამოჩენა, მათი ვარაუდით, გაადვილებდა ყიზილბაშებთან და ოსმალებთან ბრძოლას. ალბათ, ქართლის მეფისაგან უფლებამოსილი იყვნენ ყაბარდოს მთავართა ელჩები, როდესაც ივანე IV-ს განუცხადეს, რომ ჩვენთან ერთად არის საქართველოს მთავარი და მთელი საქართველო და მოსკოვის მთავარმა მის მიმართაც მოწყალეობა გამოიჩინოს¹.

რუსეთის პოზიციების კავკასიაში განტკიცებისათვის ფართო ასპარეზი იშლებოდა. ამიტომ იყო, რომ, როგორც წყაროებიდან ჩანს, ყაბარდოს მთავრები საქართველოს მბრძანებლებთან, თავიანთ სამხრეთ მეზობლებთან ერთად წყვეტდნენ ასეთ საპასუხისმგებლო საკითხს. „ყაბარდოელთა და ქართველთა ეს მოქმედება, – აღნიშნავდა თ. ბოცვაძე, – რასაკვირველია, საშამხლო-დაღესტნის ყურადღებას არ შეიძლებოდა გამოპარვოდა, რამდენადაც იგი მის წინააღმდეგ რუსეთ-ყაბარდო-საქართველოს ბლოკს გულისხმობდა, რაც რასაკვირველია, მისთვის არ იყო ხელსაყრელი. ჯერ ერთი, აღნიშნული ბლოკი ბარიერად იმართებოდა ამხანად დაახლოებულ თურქ-ყირიმხანსა და საშამხლო-დაღესტანს შორის, მეორე, აშკარად აძლიერებდა მის მეტოქეებს და მეზობლებს საქართველო-ყაბარდოსა და, მესამე, ამ ბლოკს არ შეიძლებოდა არ ემოქმედა საშამხლოს ეკონომიკურ ინტერესებზე, მის ვაჭრობაზე ვოლგა-ასტრახანის დიდ მაგისტრალზე“². საინტერესოა, რატომ ცდილობდნენ ქართველი პოლიტიკოსები თავიანთი სურვილი მოსკოვის მეფისათვის სხვათა პირით ეცნობებინათ და რატომ არ აგზავნიდნენ საკუთარ წარმომადგენლებს?

¹ Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского Главного Архива Министерства иностранных дел Сергеем А. Белокуровым, вып. I (1578-1613), М., 1889, с. 4; Полное собрание русских летописей, т. XIII, I-я половина, СПб., 1904, с. 284.

² ბოცვაძე თ., ჩრდილო კავკასიის ხალხები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (XVI-XVII სს.). „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1972, გვ. 32-33.

ქართველი პოლიტიკოსები ფრთხილობდნენ. ისინი დარწმუნებული არ იყვნენ შესწევდა თუ არა რუსეთს ძალა, აქტიურად ჩარეულიყო კავკასიის საქმეებში. ვაი თუ მოსკოვთან ურთიერთობა უნაყოფო აღმოჩენილიყო, დახმარება ვერ შესძლებოდა და ყიზილბაშები კიდევ უფრო გალიზიანებულიყვნენ. ამ საკითხის აწონდაწონისას მხედველობაში იმასაც მიიღებდნენ, რომ ქართლ-კახეთის ასეთი მოქმედებით უკმაყოფილო დარჩებოდა ოსმალეთიც (ოსმალეთი ხომ მტრულად შეხვდა მოსკოვის სახელმწიფოს წარმატებებს ვოლგისპირეთში), რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ქართლსა და კახეთს თავს მფარველად აჩვენებდა და ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო იყო, რომ საქართველოს მეფეები ჯერჯერობით ნიადაგის მოსინჯვით კმაყოფილდებოდნენ.

შაჰ თამაზი I დარწმუნდა, რომ ოსმალეთი საქართველოში ირანის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სულთანის ზავის დარღვევას არ ფიქრობდა. ოსმალეთის ამგვარი ორჭოფული მდგომარეობით ისარგებლა შაჰ თამაზმა და დაიწყო ბრძოლა საქართველოზე უცილობელი ბატონობისათვის.

თანამედროვეთა მიხედვით, 1558 წლის მარტში ქართველები უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდნენ ყიზილბაშებთან.. ამის გამო მათ თავიანთი ელჩები გაუგზავნეს სულთანს და დახმარება სთხოვეს. შაჰ თამაზის ვარაუდი გამართლდა: სულთანმა ქართველებს უარი უთხრა ჯარით დახმარებაზე¹, რამაც ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია.

1559 წ. ოსმალეთში დაიწყო დინასტიური ბრძოლა: სულთანი სულეიმანი და უფლისწული სელიმი (შემდეგში სელიმ II, 1566-1574) უფლისწულ ბაიაზიდს ებრძოდნენ. ამ ბრძოლაში აქტიურობდნენ ქართველებიც, სავარაუდოა, ქართლის სამეფოდან, რადგან მეფე სვიმონი სულეიმანის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო. მან, მრავალჯერ თხოვნის მიუხედავად, ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში სულთნისგან დახმარება ვერ მიიღო. უფლისწული ბაი-

¹ Tardy L., Op. cit., p. 104-105.

აზიდი კი ცნობილი იყო თავისი დაუდევარი ხასითით და, სავარაუდოდ იყო, რომ გამეფების შემდეგ იგი ამასიის ზავს დაარღვევდა. მეფემ, მაშინდელი მრავალი დამკვირვებლის მსგავსად, ბაიაზიდის შესაძლებლობები სწორად ვერ შეაფასა და მას დაუჭირა მხარი. ერთი წყაროს მიხედვით, ბაიაზიდს ქართველების მხრიდან დახმარების იმედი ჰქონდა. იქიდანვე ვიგებთ, რომ სულთანმა ბაიაზიდის დასაშინებლად და მისთვის დახმარების გაწევის მოსასპობად, ჯარი მზადყოფნაში მოიყვანა და საქართველოზე გალაშქრება ბრძანა¹.

1559 წ. 1 მარტს კონსტანტინოპოლიდან ვენაში გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამია ბაიაზიდსა და ქართველებს შორის ურთიერთობაზე. სულთანს უფლისწულ ბაიაზიდზე თავდასხმა გაუნახვრა ხავს, მაგრამ ხმა გაუვრცელებიათ, რომ ქართველებზე სალაშქროდ მიდისო². ამგვარი ხმების გავრცელება უსაფუძვლო არ იყო და დაიჯერებდნენ კიდევ, რადგან ყველამ იცოდა, რომ ბაიაზიდის დასახმარებლად მიდიოდნენ ქართველებისა და ქურთების რაზმები, რომლებიც სურსათ-სანოვაგითაც ამარაგებდნენ ტახტის პრეტენდენტის ჯარს³.

ვიდრე ბაიაზიდი ძალებს მოიკრებდა, მას უფლისწული სელიმი უზარმაზარი ჯარით თავს დაესხა და დაამარცხა. ბაიაზიდმა აღმოსავლეთისაკენ, ყიზილბაშთა სახელმწიფოს საზღვრებისაკენ დაიხია⁴. იგი ბასიანში მივიდა და შაჰს მოციქული გაუგზავნა, რომელმაც განაცხადა: „სულთან-ბაიაზიდი ბასიანს მოვიდა და გამოგზავნა იმის გასაგებად, შაჰთან რომ მივიდე შემინახავს თუ არაო“⁵. შაჰმა ეს მომენტი სულთანზე პოლიტიკური ზეწოლის კარგ საშუალებად ჩათვალა. შაჰ თამაზის ამგვარი განზრახვის შესახებ სულთნის კარს აცნობა „ერთმა ქართველმა ბატონმა,

სულთნის მეგობარმა“, რომელსაც მიუწერია, რომ შაჰმა ბაიაზიდი მხოლოდ მზაკვრული მიზნით შეიფარაო¹.

შაჰ თამაზმა ბაიაზიდს ყაზვინში მისვლის ნება მისცა. იგი დიდი ზეიმითა და საჩუქრებით მიიღეს. მალე დევნილი უფლისწული და მისი მხლებლები მიხვდნენ, რომ შაჰს მხოლოდ თავისი ინტერესები ჰქონდა და ხელსაყრელ მომენტში „სტუმრებს“ სულთანს სულეიმანს გადასცემდა. მათ განიზრახეს შაჰზე თავდასხმა მოეწყოთ და ბაღდადში, შირვანში ან საქართველოში გაქცეულიყვნენ². მაგრამ შეთქმულება გამჟღავნდა და ყველა, დაახლოებით 10 ათასი კაცი შეიპყრეს, მათი ნაწილი გაწვევტეს, ნაწილი შეიწყალეს და შაჰის სამსახურში შეიყვანეს, ხოლო ბაიაზიდი და მისი ოთხი ვაჟი დაატუსაღეს.

1560 წ. შაჰ თამაზს სულთნის მოციქულები ეხლნენ, რომლებმაც დიდძალი საჩუქრების სანაცვლოდ ბაიაზიდი და მისი შვილები მოითხოვეს. შაჰი ამაზე არ დასთანხმდა. მან უფლისწული ჰეიდარისათვის საგამგებლოდ ბაღდადის გადაცემა მოითხოვა. სულთანი ამ მოთხოვნას არ დასთანხმდა. შაჰს არ სურდა ოსმალეთთან ურთიერთობა გაერთულებინა და 30 ათასი ერაყული თუმნის ღირებულების საჩუქრების სანაცვლოდ ოსმალეთიდან ჩამოსულ ჯალათებს უფლისწული ბაიაზიდი და მისი ვაჟები გადასცა³. 1562 წლის 21 სექტემბერს ისინი ყაზვინში სიკვდილით დასაჯეს.

მოდწეული ცნობები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართველები ბაიაზიდთან იყვნენ შაჰის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. შარაფ-ხან ბიდლისის მიხედვით, ბაიაზიდი ზომ საქართველოში აპირებდა გაქცევას. კიდევ უფრო საყურადღებოა 1561 წლის 4 ნოემბრის მოხსენება, რომელიც ვანიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითაა დაწერილი, საიდანაც ვიგებთ, რომ შაჰმა დიდ ჯარს მოუყარა თავი და განზრახული ჰქონდა საქართველოში შეიჭროდა.

1 Tardy L., *Op. cit.*, p. 106.

2 შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, გვ. 205.

3 შარაფ-ხან შამსადინ ბიდლისი, *с. 206-208*.

1 *Ibidem*, p. 105.

2 *Ibidem*, p. 105.

3 *Ibidem*, p. 106.

4 Шараф-хан Шамсадин Бидлиси, *с. 204*.

5 შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976, გვ.54.

ველოში (ალბათ, ქართლში) შეჭრა, რადგან ქართველებმა ბაიაზიდს მხარი დაუჭირეს¹.

სვიმონ I და მისი თანამებრძოლები მოსვენებას არ აძლევდნენ ყიზილბაშებს არც ქართლში და არც მის გარეთ. როგორც თანამედროვე ევროპული წყაროებიდან ჩანს, ქართლის სამეფოს ბრძოლას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი ახლო აღმოსავლეთის დიდ პოლიტიკაში.

სვიმონ მეფის მთავარი ამოცანა იყო განთავისუფლება თბილისისა, სადაც ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა. მაგრამ ამ მიზნის განხორციელება სხვა ქართული სამეფო-სამთავროების დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. ქართლის სამეფოს მდგომარეობა გაუმჯობესდა 1559 წელს, როცა სვიმონ I კახთა მეფე ლევანის ასულზე დაქორწინდა. ეს ფაქტი მიანიშნებდა აღმოსავლეთ საქართველოში ორი ქართული სამეფოს ანტიირანული კოალიციის შექმნაზე.

სვიმონ I იარაღით ხელში ებრძოდა ყიზილბაშებს, მეფე ლევანი კი, ოფიციალურად შაჰის ვასალად ითვლებოდა. ალბათ კახეთის მეფე ლევანს გულისხმობდა რომის პაპისა და ვენეციის რესპუბლიკის ელჩი შაჰ თამაზის კარზე, ვინჩენცო დელი ალესანდრი, როცა ამბობდა, რომ შაჰზე „დამოკიდებულია ერთი ქრისტიანი მეფე, ქართველების ბატონი, მას ყოველწლიურად უხდის ოციათას ღუკატს. მისი სახელმწიფო კასპიის ზღვის მახლობლადაა. ეს მეფე ოსმალეთთან ომის შემთხვევაში შაჰს უნდა ემსახუროს ათი ათასი ახალგაზრდა და მამაცი ცხენოსნით“². როგორ მძიმე ტვირთად აწვა კახეთის სამეფოს სეფიანთა სახელმწიფოსადმი მორჩილება, კარგად ჩანს ისქანდერ მუნშის თხზულებიდან³. მართალია, ისქანდერი XVI ს. 80-იანი წლების დასაწყისისათვის არსებულ მდგომარეობაზე ლაპარაკობს, მაგრამ მაშინ კახეთის ყიზილბაშებისადმი დამოკიდებულებაში იმავე საუკუნის 50-იანი წლებიდან ბევრი არაფერი შეიცვლებოდა.

მეფე ლევანს შაჰისადმი უკმაყოფილების საფუძველი ჰქონდა. გარდა ზემოაღნიშნული მძიმე გადასახადისა და ვალდებულებისა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას აქვეითებდა, შაჰ თამაზი თავისი პოლიტიკური ზეგავლენითაც აშფოთებდა კახეთის სამეფო კარს. აი, როგორაა ჩამოყალიბებული სულთნის მიერ ლევან I-სათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში (1564 წ.) კახეთის მეფის შაჰისადმი წაყენებული ბრალდებები: „შევიტყვეთ, რომ შენი შვილებიდან ერთ-ერთი ღვიძლი შვილი, მოუკლავს უდანაშაულოდ¹, ხოლო მეორე ვაჟი, სახელად იესე, რომელმაც ისლამი მიიღო, დაპატიმრებულია² და ძველი დროიდან მომდინარე ჩვეულებისა და აზრის საწინააღმდეგოდ შემოღებული გადასახადების გადახდის ღონე დაჰკარგეთ, ხოლო ტანჯვის მოთმენა აუტანელი გახდა. ამბობ, რომ მათი განზრახვაა საქართველოს მოსპობა, შემდეგ კი ისლამის ქვეყნებში შეჭრა და თავდასხმა, რის გამოც სამყაროს ღირსება მოსილი ჩვენი ზღურბლისაგან დახმარებას და შემწეობას ითხოვთ“³.

სულთნის წერილში გადმოცემულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ კახეთის სამეფომ XVI ს. 60-იან წლებში შაჰის „წყალობით“ ტერიტორიული დანაკლისიც განიცადა. ყიზილბაშებმა კახეთის სამეფოს ჩამოაცილეს მდ. სამურის ზემო წელზე წახურის ქრისტიანული ქვეყანა, რომლის მფლობელი შაჰის მფარველობის ქვეშ გამოცხადდა. შაჰ თამაზმა კარგად იცოდა თუ რა დიდი მნიშ-

1 1554 წ. ოსმალების აზერბაიჯანში შეჭრისას ლევან მეფის ერთი ვაჟი, რომელიც შაჰს ახლდა, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა (შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, გვ. 50). კახთა მეფეს, ალბათ საფუძველი ჰქონდა, რომ თავისი შვილი შაჰ თამაზის მიერ „უდანაშაულოდ მოკლულად“ ჩაეთვალია.

2 ლევან მეფემ, ქართლში ყიზილბაშების უკანასკნელი შემოსევის დროს (1556 წ.) შაჰს დახმარება არ გაუწია და შიშობდა, რომ შაჰი ამის გამო შურს იძიებდა. შურისძიების თავიდან ასაცილებლად მან, 1558 წელს, თავისი ვაჟი იესე დიდი საჩუქრებით ყაზვინს გაგზავნა (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 575). იგი შაჰმა გაამაჰმადიანა 1559 წელს და ლევან მეფის ტახტის მოცილედ ამზადებდა. მაგრამ იესემ შაჰს იმედი ვერ გაუმართლა. მან 1562 წელს ისლამი უარყო და გაქცევა სცადა, მაგრამ შეიპყრეს და იმავე წლის 23 დეკემბერს ალამუტის ციხეში ჩასვეს (პასან რუმლოუ, გვ. 35).

3 ჩოჩიევი ვ., კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI ს. 60-იან წლებში, გვ. 257-258.

1 Charrière, II, Op. cit., p. 679.

2 Alberi, II, Op. cit., p. 126.

3 ისქანდერ მუნში, გვ. 37.

ვნელობა ჰქონდა კახეთისათვის დასახელებულ ოლქს. ალბათ, ამიტომ აფრთხილებდა შაჰი 1562 წელს კახეთის მეფეს, რომ წახურის ბატონი არავინ შეაწუხოსო¹.

ამგვარად, ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, კახეთის სამეფოც ისევე უკმაყოფილო იყო ირანისა, როგორც ქართლის სამეფო. ამ ორი ქართული სამეფოს ერთმანეთთან დაკავშირება განპირობებული იყო გართულებული საგარეო ვითარებით.

ივ. ჯავახიშვილმა ლევან I-სა და სვიმონ I-ის დამოყვრება დადებითად შეაფასა: „კახთ ბატონის ლეონ მეფის სიძობამ სვიმონ მეფეს საშუალება მისცა, არამც თუ მტრის შემოსევისაგან კახეთის მხრით უზრუნველყოფილიყო, არამედ თავისი განზრახვის (თბილისის განთავისუფლება – ე. მ.) განსახორციელებლად მეშველი ჯარიც მიეღო“².

სვიმონ მეფე დიდი ომისათვის ემზადებოდა. ისქანდერ მუნშისა და ჰასან რუმელუს გადმოცემით, მეფეს მრავალი დამხმარე რაზმი მიუვიდა³.

კახთა მეფემ, მისთვის ჩვეული სიფრთხილით, პირადად კი არ მიიღო მონაწილეობა ყიზილბაშთა წინააღმდეგ ქართლის ომში, არამედ თავისი უფროსი ვაჟი გიორგი გაგზავნა კახელთა რაზმით. ამით მას საშუალება ექნებოდა, საჭიროების შემთხვევაში, შაჰთან თავი ემართლებინა. ნიშნობლივია, რომ ისქანდერ მუნშის ვერ გაურკვევია გიორგი „მამის ნებართვით თუ თვითნებურად“ მივიდა მეფის დასახმარებლად⁴.

როგორც ისქანდერ მუნში წერდა სვიმონი „მამის წესისამებრ, ურჩობისა და წინააღმდეგობის გზას დაადგა და ცხრაას სამოცდა რვა (1560/1561) წელს თბილისის დასაპყრობად თავისი სამყოფელი ადგილიდან (გორიდან) დაიძრა“⁵. მაგრამ ქართველთა ბრძოლა თბილისის განთავისუფლებისათვის მარცხით დამთავრდა. 1561

წ. 6 აპრილს მუხათგვერდთან მრავალ ქართველთან ერთად დაიღუპა გიორგი უფლისწულიც. განცდილ მარცხს ისიც დაემატა, რომ სვიმონ მეფეს თავისი ძმა დავითი (შემდგომში დაუთ-ხანი) განუდგა და ქართლის ტახტის დაპყრობა ისურვა. იგი 1562 წელს ყაზვინში ჩავიდა, გამაჰმადიანდა და შაჰ თამაზის „შვილის“ წოდებულება მიიღო. ისქანდერ მუნშის მიხედვით, „სამოთხეში დამკვიდრებულმა შაჰმა (შაჰ თამაზი – ე.მ.) მას (დაუთ-ხანს – ე. მ.) მიუაღერსა, წვრთნა, შვილობის წოდების პატივით გამოარჩია და თბილისის ველაიეთი და ის ადგილები, რომლებიც მაღალი დივანის მფლობელობაში იყო, მას უწყალობეს. და თუმცა ერთხანს სასახლის ერთი ამირი თბილისის ციხის ქუთვალი და დაუთ-ხანის ლალა და სახელმწიფო საქმეების გამგე იყო“¹.

ძველმა ქართველმა ისტორიკოსებმა მკაცრი შეფასება მისცეს დაუთ-ხანის ლალატს: „და რა იხილა ძმამან მეფის სვიმონისამან დავით საქმე ესე (მარცხი მეფისა – ე.მ.) ... და ამან განსცა ძმა და ქუეყანა თვისი და წარვიდა ყაენთან, და მივიდა შაჰ-თამასთან ყაზმინს, და გაჰყვენეს რამდენიმე თავადნი, აზნაურნი და მსახურნი, გათათრდა და უწოდეს დაუთხან. და მუნ დიდად პატივსცა შაჰ თამაზ და უწოდა ძმად თვისად და ასწავლა რჯული მაჰმადისა, და გაგზავნა თფილისსა და რაოდენი ადგილი ეპყრა საქართველოსანი, და მოუმცნო სულთანსა განძისასა შემწეობა მისი, და მოვიდა დაუთხან ტფილისსა, და დაიპყრა ტფილისი“². დაუთ-ხანის მოქმედება და მისი შედეგები, უფრო ვრცლად და ისქანდერ მუნშის ნათქვამთან უფრო მიახლოებული, მოცემულია ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში: „ხოლო იყო ურწმესი ძმა მეფისა სვიმონისი, სახელით დავით, და შემოსწყრა ძმასა თვისსა სვიმონს, და წარვიდა შაჰ თამაზ ყაენის კარსა, ყაენი ყაზმინს იყო... დიდად პატივ-ცეს და შვილობის რაყამი უბოძეს... და ცოტა ხანს უკან ჰკმო ღმერთი და გათათრდა, და უწოდეს სახელად დაუთხან... და ქალაქისა და სომხით-საბარათიანოს მეფობა მისცეს, და რაყამში შვილობით ჩაწერეს, და მესტუმრე თან გაატანეს, და დიდის პა-

1 ლუშბაძე მ., აღმოსავლეთ კახეთის (საინგილო) ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 8.

2 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 257.

3 ისქანდერ მუნში, გვ. 23; ჰასან რუმელუ, გვ. 36.

4 ისქანდერ მუნში, გვ. 23.

5 იქვე

1 იქვე

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 367.

ტივითა და მორჭმით გაისტუმრეს. და წელიწადში თვითონ ნაპირის ხანს მეფის დავითის მცველად თავისის ლაშქრით მოუყენებდნენ ქალაქის ციხეში¹.

ფარსადან გორგიჯანიძე რამდენიმე დამატებით ცნობას გვაწვდის, როგორც დავითის ისე მისი თანმხლებებისადმი შაჰის კარზე მოპყრობის შესახებ: ყაენი ყაზვინს იყო როცა ბატონიშვილი დავითის მოსვლა მოახსენეს. ამ ამბავმა ყაენი დიდად გაახარა და კარის დიდებულები მიაგება. დავითის ამაღლაში ბარათაშვილები ჭარბობდნენ. „ვითამზ [დავითი] მეფის სვიმონისაგან შემამწყვრალი იყო, ამისთვის უფრო დიდი პატივნი დასდევს და შვილობის რაყამი უბოძეს. მეჯლისშიგან ყაენმან ახლოს მოისვა და ვითაც კემწიფეს ქვეშ მოუფინეს და სასთაული დაუდევს და მისი თავადნი მეჯლისშიგ მსხდომთ ალაგ ალაგ შვა და შვა ჩაუსხეს. ცოტას ხანს უკან დაათათრეს და საკემწიფო იარაღი ყოვლია რისიმეთგან უბოძეს სამეფოს და მისს თავადებთა და აზნაურთა ცხენი, იარაღი, ხალათი და საკარჯო უბოძეს, ბატონყმიანათ რაც მიეცათ ცხრა ათასის თუმნისა ყოფილიყო. ქალაქი [თბილისი] და სომხით საბარათიანოს მეფობაც მისცეს და რაყამში შვილობა ჩაუწერეს და მესტუმრე გაატანეს და დიდის მორჭმითა და პატივით გაისტუმრეს“².

საინტერესოა, რომ ისქანდერ მუნშის მიხედვით, შაჰმა დავითი „შვილობის წოდების პატივით გამოარჩია“. „შვილის“ წოდების მინიჭება ნიშნავდა, რომ დავითი შაჰის მოხელე გახდა „ხანის“ (დაუთ-ხანი) სახელწოდებით, ე.ი. დავითი შაჰის მოხელე და არა ქართლის მეფე გახდა. ქართულ წყაროებში, კერძოდ, ქართლის ცხოვრების პირველ ტექსტში სწერია, რომ შაჰ თამაზმა დავითს თავისი ძმა უწოდა. ამასვე აღნიშნავს ისქანდერ მუნში³, რომლის

ცნობასაც უნდა ემყარებოდეს ბერი ეგნატაშვილი. თავისი შინაარესით „ძმობა“ „შვილობისაგან“ მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოხელეო აპარატის იერარქიაში. „ძმობა“ „შვილობაზე“ მაღლა იდგა.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად შესწავლილია სვიმონ I-სა და დაუთ-ხანის ერთმანეთთან ბრძოლა. სვიმონი არ სცნობდა შაჰის მარიონეტის უფლებას ქვემო ქართლსა და თბილისზე და ყიზილბაშებს ებრძოდა ყველგან. დაუთ-ხანის ყიზილბაშებთან მიმხრობა არც სულთნის კარისათვის იყო მისაღები. დაუთ-ხანის გამარჯვების შემთხვევაში შაჰის პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოში განმტკიცდებოდა. სულთანი შაჰის „კუთვნილი“ საქართველოს საქმეებში აქტიურად არ ერეოდა, მაგრამ, როგორც წყაროებიდან იკვეთება, სულთნის აგენტურა ყველაფერს აკეთებდა, რათა ქართლის მეფეს ყიზილბაშებისა და მათი მომხრე თავადების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეენელებინა. 1562 წლის 5 ნოემბერს კონსტანტინოპოლში მივიდა შაჰ თამაზის ელჩი, რომელიც სულთანმა 9 ნოემბერს მიიღო. ელჩის ვიზიტის ოფიციალური მიზანი ყაზვინში დასჯილი უფლისწულ ბაიაზიდის პირადი ნივთებისა და იარაღის სულთნისათვის გადაცემა იყო. იმავე დროს, ელჩს სამდურავი უნდა ეთქვა, რადგან მისი წაქეზებით ქართველები თავს დაესხნენ შაჰის ქვეშევრდომებს და ბრძოლის დროს დიდი ზარალი მიაყენეს¹.

ასეთივე უკმაყოფილება გამოსთქვა ყიზილბაშთა ახალმა ელჩობამ ქართველების მოქმედების გამო 1563 წლის აპრილშიც. წერილის მიხედვით, „ბაბილონის [ბაღდადის] სანჯაყმა იჩივლა ქართველებისა და თურქმანების მიერ სპარსელებისადმი ჩადენილი უსამართლობის შესახებ და იმ ზარალის ანაზღაურება მოითხოვა, რომელიც მათ სპარსეთის სამეფოს მიაყენეს“².

ამავე პერიოდში ქართველი პოლიტიკოსები კვლავ შეეცადნენ ურთიერთობა დაემყარებინათ მოსკოვის სახელმწიფოსთან და ამ საქმეში, სავარაუდოა აქტიურად ჩაება სვიმონ მეფეც. მათ მოსკ-

1 იქვე, გვ. 512. იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 407.

2 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. „საისტორიო მოამბე“, ნაკვ. II, 1925, გვ. 218. ჰასან რუმლუს ცნობებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ დავითი ყაზვინში მივიდა 1561 წლის 25 დეკემბერს, თბილისში დაბრუნდა 1562 წლის 30 აგვისტომდე. ჰასან რუმლუ, გვ. 64, შენ. 92.

3 ისქანდერ მუნში, გვ. 28.

1 Tardy L., Op. cit., p. 106.

2 Ibidem.

ოვთან დაკავშირება მოინდომეს ინგლისის „მოსკოვის კომპანიის“ აგენტის ენტონი ჯენკინსონის საშუალებით. საქართველოსთან ურთიერთობის დმყარების ინიციატივა ჯენკინსონისგან წამოვიდა, რასაც ბიძგი მისცა შემდგომმა გარემოებამ. ჯენკინსონის ყაზვინში ყოფნის დროს შაჰის კარზე იმყოფებოდა ქართველი უფლისწული, რომლის სახელს ინგლისელი ნეგოციანტი არ გვამცნობს. მასთან გაცნობის შემდეგ ჯენკინსონი საქართველოსთან კავშირის დამყარებით დაინტერესდა. იგი არც იმას აღნიშნავს, ქართველი უფლისწული რომელი სამეფოდან იყო. მკვლევართა ერთ ნაწილს იგი სვიმონ I-ის ძმა დავითი ჰგონია, მე კი უეჭველად მიმაჩნია, რომ იგი ალექსანდრე II კახთა მეფის ვაჟი იესე იყო. ამ ისტორიულ პიროვნებაზე შეიძლება უფრო ვრცლად ითქვას.

* * *

ივ. ჯავახიშვილმა 1548 წლის მცხეთის სიგელზე დაყრდნობით დაადგინა, რომ, კახთა მეფეს და მამია გურილის ასულს თინათინს ყოლიათ (ჩამოთვლილია უფროს-უმცროსობის მიხედვით): გიორგი, იესე, ალექსანდრე, ელიმირზა¹. გიორგის ციხედიდთან ბრძოლაში (1561 წ.) დაღუპვის შემდეგ, იესე, ლევანის შვილებს შორის „უხუცესად“ შეიქმნა.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იესე შაჰს პირველად მამასთან ერთად შირვანში ეწვია. შაჰმა ლევან მეფე მალე უკან გაისტუმრა, იესე კი სამცხეს წაიყვანა. სამცხის დალაშქვრის შემდეგ, შაჰმა „წარმოუვლინა იესეც ლევანს ნიჭითა“². ლევან მეფის და იესეს შაჰთან სტუმრობა უნდა მომხდარიყო 1554 წელს³.

1 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 231. ლევან მეფის სახლობის შესახებ დაწვრი. იხ. იქვე, გვ. 226-235. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ლევანის პირველი ვაჟი იყო ალექსანდრე (შემდეგში კახთა მეფე ალექსანდრე II). მეფისა და დედოფალ თინათინის გაყრის შემდეგ ძმები დედასთან იზრდებოდნენ. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 570, 572.

2 იქვე, გვ. 575.

3 ტაბატაძე კ., დასახ. ნაშრ., გვ. 172.

ქართლში ყიზილბაშების უკანასკნელი შემოსევის დროს (1556 წ.) ლევან კახთა მეფე შაჰს არ დაეხმარა და შიშობდა, რომ შაჰი ამის გამო შურს იძიებდა. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ლევან მეფემ „წარავლინა ძე თვის იესე წინაშე ყენისა ძღუნითა და ტყვითა ქალ-ყრმითა და აუწყა თვის არა რისა შეცოდება“. ლევან მეფემ იესე ყაზვინს გაგზავნა 1558 წელს¹. სპარსელი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს მიხედვით, შაჰ თამაზმა იესე გაამაჰმადიანა 1559 წელს: „ამავე წელს ისა-ხანი, საქართველოს მმართველის ლევანის შვილი, ისლამის მიღებით გაბედნიერდა და ქვეყნის საფარველმა შაჰმა მას წყალობის თვალთ დაუწყო ცქერა“². ყაზი აჰმედ ლაფარის და ბუდაყაზვინის ცნობით, იესეს ისლამი მიუღია 1560 წელს³. შარაფ-ხან ბიდლისი უფრო კონკრეტულია და ამბობს, რომ გამუსლიმანების შემდეგ შაჰის დივანმა საგამგებლოდ გადასცა შაჰის ვილაიეთი და მას ეწოდა ისა-ხანი⁴.

XVI ს. სხვა სპარსელი ისტორიკოსის ბუდაყაზვინის ცნობით, იესე მამას გადაუდგა, შაჰის კარზე მივიდა და ისლამი მიიღო, რაც ასევე 1560 წელს მომხდარა⁵.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, 1561 წელს მოსალოდნელი იყო, რომ ლევან მეფეს ციხედიდის ბრძოლისა და გიორგი უფლისწულის დაღუპვის შემდეგ, იესე ყაზვინში გაეგზავნა. ლევანის მიერ გაგზავნილ მძევალსა და საჩუქრებს შაჰის გულისწყრომა უნდა დაეცხრო. ივ. ჯავახიშვილს საეჭვოდ მიაჩნდა იესეს გამუსლიმანება შაჰ თამაზის დროს⁶.

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 575.

2 ჰასან რუმლუ, გვ. 35.

3 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 102-103.

4 Шараф-хан Бидлиси, с. 205.

5 ჰასან რუმლუ, გვ. 64, შენ. 88.

6 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., 233. ციხედიდის ბრძოლაში ყიზილბაშების ტყვეობაში ჩავარდა მსხვილი თავადი ზაზა-ბეგი („საქართველოს ერთი პატრიცეპულ ამირათაგანი“), რამდენიმე აზნაურთან ერთად და შაჰის კარზე გაგზავნეს (ჰასან რუმლუ, გვ. 36). ბრძოლაში დატყვევებულ ქართველ დიდებულს ისქანდერ მუნში ჯაჯანა-ბეგად მოიხსენიებს (ისქანდერ მუნში, გვ. 23). ეჭვს გარეშეა, რომ ჯაჯანა-ბეგი იგივე ზაზა-ბეგია. ვ. ფუთურდიის ვარაუდით, ეს უნდა იყოს სახლთუხუცესი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი (იქვე, გვ. 151, შენ. 34.)

შაჰი ცდილობდა ლევან მეფისათვის ტახტის მოცილე შეემზადებინა და იესეს დიდ პატივში ამყოფებდა. ღონ სუან დე პერსიას მიხედვით, შაჰ თამაზმა გადაწყვიტა ალექსანდრეს ნაცვლად კახეთის ტახტზე აყვანა ალექსანდრეს ძმა, გამუსლიმანებული იესე, „მაგრამ ეს აქტი სპარსეთის მეფის მხრიდან თავიდანვე განწირული გამოდგა“¹. ჰასან რუმლუს მიხედვით, იესე სახელმწიფოს ყველა ამირასა და დიდებულთა შორის უწარჩინებულესი გახდა. ყოველწლიურ სახარჯოდ 6 ათასი თუმანი, სამართავად ოლქი და სხვა მრავალი წყალობა დაუმტკიცეს. შარაფ-ხან ბიღლისი უფრო ვრცლად გადმოგვცემს იესეს აღზევებასა და შაჰის მიმართ გამოჩენილ მის „უმაღურებაზე“. მისი თქმით, ეშმაკისაგან ცდუნებულმა, ქართველი აზნაურების შთაგონებით, იესემ განიზრახა ყაზვინიდან საქართველოში გაქცეულიყო, მაშინ, როცა ის განდიდდა ყიზილბაშ ამირებსა და დიდებულებზე მეტად მეჯლისსა და საკრებულოებში, როცა ხელმწიფე მას შვილობით მოიხსენიებდა, როცა ის ჩარიცხეს დიდ შახზადებში, ყოველწლიურად შაჰის ოლქიდან, სხვა ადგილებიდან და სახელმწიფო ხაზინიდან ფულისა და ნატურის სახით იღებდა 7 ათას თუმანს. მაგრამ იესემ შაჰს ვერ გაუმართლა. მისი განზრახვის შესახებ შაჰის კარს აცნობა მისმა ახლო მეგობარმა ალაჰ-თაყ ჩერქეზმა². ჰასან რუმლუს თქმითაც, „ზოგიერთი მატყუარა და ურწმუნო შფოთის ამტეხის მიერ მოტყუებულმა და შეცდომაში შეყვანილმა, მან მოულოდნელად უარყო ისლამის რჯული და გაქცევა დააპირა“³.

1 *Relaciones Don Juan de Persia. Dirigidas a la Magestad Catholica de Don Philippe III. Rey de las Españas, y señor nuestro. Divididas en tres libros, donde se tratan las cosas notables de persia, la genealogia de sus Reys, guerras de persianos, Turcas, y Tartaros, y las que vido en el viaje que hizo àEspaña su conuersion, y la otros dos Cavalleros Persianos. Año 1604. Con privilegio. En Valladolid por Juan de Bestillo: en la calle de Samano, p. 68 r.* ულუდ ბეგ ბაიათი, სპარსელი დიდებული, შაჰ აბასმა 1599 წელს დანიშნა ესპანეთში გაგზავნილი ელჩობის მდივანად. მან ქრისტიანობა მიიღო, დაირქვა ღონ სუან დე პერსია (მისი ნათლია იყო დედოფალი მარგარიტა ავსტრიელი) და ესპანეთში დარჩა. ღონ სუანის დღიურების საფუძველზე დაიწერა მისი „რელაციონი“, რომელშიც საყურადღებო ცნობებია საქართველოზეც.

2 **Шараф-хан Бидлиси, с. 208-209.**

3 ჰასან რუმლუ, გვ. 37.

იესე უფლისწულის ასეთი მოქმედება უარყოფს ბუდაყ ყაზვინის ნათქვამს, თითქოს იესე ნებაყოფლობით მივიდა შაჰის კარზე და თავისი სურვილით გამუსლიმანდა. იმავე დროს ისტორიკოსს იმის ჩვენებაც უნდა, რომ იესე შაჰსაც ატყუებდა: მართალია ისლამს ეზიარა, მაგრამ გულით მაინც ქრისტიანი დარჩა. ამის გამო იგი დაასმინეს. შაჰმა მისი გაჩხრეკა ბრძანა. იესეს უბეში ჯვარი და ხატი უპოვნეს, რისთვისაც შაჰის ბრძანებით ის შეიპყრეს და ალაშუთის ციხეში ჩასვეს¹. ის ალაშუთის ციხეში ჩაუსვამთ 1562 წლის 26 დეკემბერს².

1562 წლის 20 ნოემბერს ჯენკინსონი შაჰ თამაზთან აუდიენციის დროს გაეცნო ქართველ უფლისწულს, „რომელის ვინაობის დადგენა – როგორც ვ. გაბაშვილი ფიქრობდა – ძნელი არაა. ესაა იესე უფლისწული, ლევან კახთა მეფის ძე“³. საწინააღმდეგო მოსაზრება გამოსთქვა ჯ. სტეფნაძემ. მისი აზრით, უფლისწული იესე შაჰ თამაზთან ჯენკინსონის აუდიენციას 1562 წლის 20 ნოემბერს ვერ დაესწრობდა, რადგან იესე 1562 წელს ალაშუთის ციხეში დაამწყვდიეს⁴. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჯ. სტეფნაძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ შაჰისა და ჯენკინსონის შეხვედრას სვიმონ I-ის ძმა დავითი (შემდგომში ქართლის გამგებელი დაუთხანი) უნდა დასწრებოდა⁵. ასე ფიქრობს ი. ტაბალუაც.

საკითხის დავით XI-ის სასარგებლოდ გადასაწყვეტად ეს არ-გუმენტი, იესე რომ მაშინ ალაშუთის ციხეში იყო გამომწყვდეული, ვერ გამოდგება. საკითხავია, იესე 20 ნოემბრამდე (შაჰ თამაზისა და ჯენკინსონის შეხვედრის დღე) დააპატიმრეს თუ მის შემდეგ? ჩემი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს ჰასან რუმლუს

1 შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩთან, გვ. 85.

2 ჰასან რუმლუ, გვ. 37.

3 გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XV-XVII სს.). „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 31, თბ. 1964, გვ. 71.

4 სტეფნაძე ჯ., ანტონ ჯენკინსონის მიერ მოხსენიებული ქართველი უფლისწულის ვინაობისათვის. „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 207.

5 იქვე, გვ. 211.

ერთი ცნობა, რომელიდანაც ვიგებთ: „ამ წელს (1561/62), რაბი ოს-სანის თვის ჩვიდმეტს დავით-ბეგი (ქართლის მეფე – ე.მ.) ლუარსაბის შვილი, რამდენიმე აზნაურით საქართველოდან ყაზვინს მოვიდა [და] მუსლიმანი გახდა. რჯულის საფარველმა შაჰმა თბილისის გამგებლობა მას უწყალობა“¹. ჰასან რუმლუს ამ ცნობაზე დაყრდნობით რ. კიკნაძემ გამოიკვლია, რომ დავითი 1561 წლის 25 დეკემბერს მივიდა ყაზვინს და თბილისში დაბრუნდა 1562 წლის 30 აგვისტოს². ამგვარად დავითი, რომელიც 30 აგვისტოს თბილისში იყო, 20 ნოემბერს შაჰის სასახლეში ვერ იქნებოდა. იესე კი დაპატიმრებამდე (26 დეკემბერი) სასახლეში იყო და ქართველ უფლისწულთაგან მხოლოდ მას შეეძლო ჯენკინსონს შეხვედროდა. სწორედ იესეს უნდა ეცნობებინა საქართველოში ჯენკინსონის და მისი კომპანიის ინტერესებისა და მისი მოგზაურობის მიმართულების შესახებ³.

დავუბრუნდეთ იესეს დაპატიმრების საკითხს. საინტერესოა შაჰის კარზე აღზევებული იესე რატომ ცდილობდა სამშობლოში დაბრუნებას და ის კვლავ, მართალია ფარულად, მაინც ქრისტიანად რჩებოდა, რა თქმა უნდა, ასეთ რამეს თუ მართლა ჰქონდა ადგილი? იესეს ამგვარი მოქმედების ახსნა სცადა ზოგიერთმა მკვლევარმა.

კ. ტაბატაძის აზრით, იესემ სამშობლოში გაქცევა მას შემდეგ განიზრახა, როცა შეიტყო, რომ ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაიღუპა მისი ძმა გიორგი. მას შაჰის შურისძიებისა შეეშინდა და ყაზვინიდან გაქცევა სცადა⁴.

ნ. გელაშვილი იზიარებს კ. ტაბატაძის მოსაზრებას და თავის

მხრივ დამატებით ვარაუდობს, რომ შეიძლება მას სურდა „საქართველოში თავის მოძმეთა მხარდამხარ ებრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ“¹.

მე კი მგონია, რომ იესეს საქართველოში გაქცევის სურვილი განპირობებული უნდა ყოფილიყო უფროსი ძმის – გიორგის დაღუპვის ამბის გაგაგებით. ამის შემდეგ ტახტის მემკვიდრე, წესით, ის უნდა ყოფილიყო. მაგრამ, სავარაუდოა, შაჰი სულ სხვაგვარად ფიქრობდა: იესე მანამდე ჰყოლოდა ირანში, ვიდრე უფრო ხელსაყრელი დრო არ იქნებოდა მისი კახეთში გასამეფებლად. ისიც სავარაუდოა, რომ ირანში, შაჰის კართან ახლოს მყოფი იესეთი ყოველთვის შეიძლებოდა კახეთის სამეფო კარზე ზემოქმედება.

იესემ თითქმის 15 წელი ტყვეობაში გაატარა. ის 1576 წელს სვიმონ I-თან ერთად გაათავისუფლა შაჰ ისმაილ II-მ და დიდი პატივიც მიაგო, რაც კარგად გამოჩნდა ისმაილის ხელდასხმის ზეიმზე მათთვის მიჩენილი საპატიო ადგილების მიხედვით². ისქანდერ მუნშის ცნობით, „სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის ძმის საამ-მირზას ასული სულთან-მოჰამედ-ხუდაბენდემ ისა-ხანს (იესე ბატონიშვილი – ე. მ.) მისცა და შაჰის მმართველად განაწესა“³. ამგვარად, ხუდაბენდე ალექსანდრეს საწინააღმდეგო ტრადიციულ პოლიტიკას ატარებს. შაჰში, კახეთის საზღვართან მყოფ იესეს ყოველთვის შეეძლო ალექსანდრე II-ის საწინააღმდეგო საქმიანობის გაჩაღება.

თომასო მინადლი ირანსა და კახეთის სამეფოს შორის ურთიერთობის გაფუჭების უმთავრეს მიზეზად, შაჰის მიერ ალექსან-

1 ჰასან რუმლუ, გვ. 37.

2 იქვე, გვ. 64-65, შენ. 92-93.

3 ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა ლ. ურუშაძის სტატია, რომელშიც „ქართველ უფლისწულში“ კვლავ დავით ლუარსაბის ძეა დანახული. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი არ გასცნობია ზემოთ დასახელებულ არც ერთ წყაროს და გამოკვლევას და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ის პირველი დაინტერესდა ჯენკინსონის ცნობით. იხ. ურუშაძე ლ., ენტონი ჯენკინსონის „სპარსეთში მოგზაურობის“ ცნობები საქართველოს შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XI, თბ., 2006, გვ. 155-157.

4 ტაბატაძე კ., დასახ. ნაშრ., გვ. 171.

1 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 104-105.

2 Morley W. H., *A descriptive Catalogue of the Historial Manuscripts... preserved in the librari of the Royal Asiatic Society, London, 1854, #136, p. 335; Alves P. Fr. M., Catalogo des Manuscritos de Simancas respeitantes a Histori Portuguesa. In: O Instituto, v. 82, serie 4, Coimbra, 1931. Fr. M., Catalogo des Manuscritos de Simancas respeitantes a Histori Portuguesa. In: O Instituto, v. 82, serie 4, Coimbra, 1931*, p. 479; Hinz W., *Schah Esmail II. Ein Beitrage zur Gescichte der Safaviden, Berlin, 1933, S. 62.*

3 ისქანდერ მუნში, გვ. 28.

დრე მეფის წინააღმდეგ იესეს გამოყენების მცდელობას მიიჩნევდა: ალექსანდრე „ოდესღაც სპარსეთის გვირგვინის ძალიან თავდადებული მსახური იყო, მაგრამ იმ დროიდან, როდესაც თამაზი არასწორი გზებით შეეცადა მისი სამფლობელოების ჩამორთმევას და მის ადგილას მისი ძმის იესეს დაყენებას, რომელიც შეუერთდა რა სპარსელებს, თამაზსა და სატანას, გაძლიერებული უსინდისობით ცდილობდა ამის მიღწევას. [ალექსანდრემ] სპარსეთის იმედზე ყოფნას თავი მიანება, გახდა ორპირი და ნეიტრალური, გამარჯვებული იარაღისადმი დათმობა და ძლიერი სულის წინაშე მოდრეკა დაიწყო“¹.

ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყებისთანავე ალექსანდრე II-მ საერთო ენა გამონახა ოსმალეთის ჯარების სარდალ ლალა მუსტაფა ფაშასთან და მას ცხენოსანთა რაზმი სთხოვა თავისი მტრის, შაჰის გამგებლისათვის ანგარიშის გასასწორებლად. ოსმალთა მხედართმთავარმა დააკმაყოფილა ალექსანდრეს თხოვნა და 1200 მხედარი მისცა. იესემ გაქცევით უშველა თავს².

1582 წელს, მოჰამედ ხუდაბენდესთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, როდესაც ქართლისა და კახეთის მეფეებმა შაჰის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს, „თვითონაც მოითხოვეს შაჰის მფარველობის ქვეშ მყოფი თავიანთი ძმების (ალექსანდრემ იესეს, სვი-

მონმა კი – დაუთ-ხანის) საქართველოში დატოვება და პირობა დადეს, რომ „ძმებს ჩინებულად მოეპყრობოდნენ, ვერაგობას არ ჩაიდენდნენ და ორივე თავიანთი სამფლობელოებიდან თავიანთ ძმებს გარკვეულ ადგილს მიუჩნედა, რათა მოსვენებით ეცხოვრათ და არსებობა არ გაძნელებოდათ“¹. შემდეგში ისქანდერ მუნში აღნიშნავს, რომ ძმების თაობაზე ნაკისრი ვალდებულება არც სვიმონ I-მა და არც ალექსანდრე II-მ არ შეასრულეს „ორივე მათი დალუპვის საქმეს შეუდგა და ჩქარა მათი სიკვდილის ამბავი მთელ ქვეყანას გაავებინეს. რაკი შესაფერისი დრო არ იყო, ამიტომ ასეთი მოქმედებისათვის ისინი არავინ გაკიცხა“².

იესეს (ისა-ხანი) შესახებ ამის შემდეგ არაფერია ცნობილი. ის, სავარაუდოა, მოკლული იქნა, მაგრამ ოსმალეთთან ომის პირობებში, როდესაც ირანისათვის მნიშვნელობა ჰქონდა თუ ვის მხარეს იქნებოდა კახეთის სამეფო, შაჰის კარმა ალექსანდრე მეფის მოქმედების შეფასებისაგან თავი შეიკავა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვითარებით ისარგებლა ალექსანდრე II-მ და თავიდან მოიშორა შაჰის კარის „მუდმივი“ კანდიდატი კახეთის ტახტზე – იესე, რომლსაც მორალურად და ადათ-წესებითაც უფლება ჰქონდა პრეტენზია გამოეთქვა კახეთის ტახტზე. ის ხომ უფროსი ძმის გიორგის დალუპვის შემდეგ უფროსი გახდა თავის ძმებს შორის. იესე, რომ დიდი ხნის განმავლობაში ტყვეობაში არ ყოფილიყო ტახტი მასზე გადავიდოდა. ალექსანდრეზე ზემოქმედების ამ მნიშვნელოვან საშუალებას შაჰის კარი მოხერხებულად იყენებდა. ასე რომ, შეიძლება მართალი იყოს ალექსანდრეს მიერ იესეს მოკვდინება.

1 Minadoi T., *Historia della guerra fra Turchi et Persiani. Descritto in quatro libro da Gio. Tomaso Minadoi: Caminciando dall'anno MDLXXVII, nel quale furo li primi muomenti di lei, freqendo per tutto l'anno MDLXXXV. Alla Santita di N. S. Sisto V. Pontifice Ottimo Massimo. Con privilegio. In Roma. Nella Stamperia di Giacomo Tornerio, et Bernardino Donangeli. MDLXXXVII, p. 53.* ჯოვანი ტომაზო მინადოი, ვენეციის საელჩოს ექიმი კონსტანტინოპოლში XVI ს. მეორე ნახევარში. მან დაგვიტოვა უძვირფასესი ცნობები 1578-1590 წლებში სპარსეთ-ოსმალეთს შორის მიმდინარე ომისა და საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლების შესახებ. ომის მსვლელობის დროს ის ალექსანდრე II-ს ცხოვრობდა და მას თავისი პროფესია საშუალებას აძლევდა, გასცნობოდა მრავალ ისეთ პიროვნებას, მათ შორის ქართველებსაც (ერთგან ის აღნიშნავს, რომ საქართველოში მომხდარი ერთ-ერთი ამბის სისწორე „არა ერთმა, არამედ ჩემთან ახლოს მყოფმა და სამკურნალოდ მოსულმა რამდენიმე ქართველმა დამიმოწმა“. პ. 100), რომლებიც კარგად ერკვეოდნენ მიმდინარე ომის ამბებში. გ. მინადოის ნაშრომში დიდი ადგილი დაეთმო საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, ქართველი ხალხის ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას.

2 Alberi E., *Op. cit.*, p. 444.

1 ისქანდერ მუნში, გვ. 37.

2 იქვე. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იესე კახეთში დაბრუნდა 1580 წელს. ის ქრისტიანად გამოუშვია მოჰამედ ხუდაბენდეს, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 579.

* * *

დავუბრუნდეთ ენტონი ჯენკინსონის ცნობების განხილვას.

1563 წლის 10-16 აპრილს ჯენკინსონი შამანიაში იმყოფებოდა, როცა მასთან მივიდა „საქართველოს მეფის“ წარმომადგენელი. „შამანიაში მეწვია საქართველოს მეფის წარმომადგენელი ერთი სომეხი, რომელმაც აღმიწერა [ქართველი] მეფის საშინელი მდგომარეობა, რომ იგი მოქცეულია ორ ძრისხანე ტირანსა და ძლიერ ხელმწიფეს შორის, სულთანსა და შაჰს შორის, რომლებსაც განუწყვეტლივ ებრძვის“¹.

საინტერესოა, რომელი სამეფოდან იყო სომეხი ვაჭარი. ამ საკითხით თავის დროზე დაინტერესდნენ ი. ცინცაძე და ვ. გაბაშვილი და ივარაუდეს, რომ ჯენკინსონის მიერ დასახელებული „საქართველოს მეფე“ კახეთის მეფე ლევანი იყო².

ჯენკინსონის ცნობებს როდესაც ვუკვირდები, ვრწმუნდები, რომ „საქართველოს მეფე“ უნდა იყოს სვიმონ I³. იმ დროს მხოლოდ სვიმონი აწარმოებდა განუწყვეტელ ბრძოლებს ყიზილბაშების წინააღმდეგ, რაც არ ითქმის ლევანზე, რომელიც თანამედროვეებში ცნობილი იყო როგორც მშვიდობისმოყვარე (ძნელია მის მიერ გადახდილი ბრძოლის დასახელება 50-60-იან წლებში) და ფრთხილი დიპლომატი. ამ საკითხზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ ი. ცინცაძის მოსაზრება: „არ შეიძლება დავუშვათ, რომ ქართლის პოლიტიკოსებს რუსეთთან კახეთის ურთიერთობა გამოეპარათ, ისინი, უდავოდ, საქმის კურსში იყვნენ, მაგრამ უფრო ლოდინის ტაქტიკას ადგნენ. შესაძლებელია, რუსეთის ძლიერებას, როგორც თურქეთ-ირანის დამორგუნავ ძალას, სკეპტიკურად უც-

ქეროდნენ იმ პერიოდში. ასეთ ძალაზე დაყრდნობას არსებული მდგომარეობის გაუარესება რომ მოჰყვებოდა, მათთვის აშკარა უნდა ყოფილიყო“⁴.

მოყვანილ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. ქართლის პოლიტიკოსებს, როგორც უკვე გაცნობილი წყაროებიდან კარგად ჩანს, ამასიის ზავის შემდეგ არც დრო და არც საშუალება ჰქონდათ „ლოდინის ტაქტიკას“ დასდგომოდნენ. ამგვარი პოლიტიკა კახეთის სამეფოსაგან უფრო მოსალოდნელი იყო. კახეთის მეფეს, რომ ირანისადმი უკმაყოფილების მიზეზი ჰქონდა, ამის შესახებ უკვე ითქვა, მაგრამ მტრობას ვერ ახდილად ვერ ამჟღავნებდა. ასე რომ, კახეთის პოლიტიკოსებს უფრო უნდა ეზრუნათ, რომ მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმით მდგომარეობა არ გაერთულებინათ, რისი შედეგი ლევან კახთა მეფეს შეეძლო იოლად წარმოედგინა. მაგრამ არ გამოვიცხავ, რომ კახეთის მეფე არ მონაწილეობდა ამგვარ დიპლომატიურ დაზვერვაში. ჩემი აზრით, სვიმონი და ლევანი შეთანხმებულად მოქმედებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი დამოყვრდნენ. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ მოპოვებულ ინფორმაციას (ამ შემთხვევაში იესე ბატონიშვილის მიერ გამოგზავნილს ჯენკინსონისა და მისი ინტერესების შესახებ). სად ჰქონდა ლევან მეფეს იმის გარანტია, რომ შაჰი ვერ გაიგებდა ქართველი მეფის მოციქულის ჯენკინსონთან დაკავშირების შესახებ? ამ ინგლისელის ცნობებიდანვე ვიცით, როგორი ეჭვით უცქეროდნენ შაჰი და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოების მბრძანებლები ევროპელი ქრისტიანების საქართველოსთან ურთიერთობას. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იცოდა „საქართველოს მეფემაც“, რომელიც ბოდიშს უხდიდა ჯენკინსონს იმის გამო, რომ წერილობით და სპეციალური წარმომადგენლის ხელით არ აცნობა თავისი სურვილის შესახებ, რადგან საეჭვო იყო, რომ მის მიერ გაგზავნილი კაცი მშვიდობიანად მიაღწევდა დანიშნულების ადგილამდე. სიფრთხილის მიზნით და გართულებების თავიდან აცილებისათვის, ჯენკინსონმაც თავისი მოსაზრებები „საქართველოს მეფეს“ ზეპირად შეუთვალა⁵.

1 Hacluyt R., *Voiages. In eighth volumes, v, II. Introduction by John Masefeld, New York, 1962, p. 24-25; Английские путешественники в Московском государстве. Перевод с английского Ю. В. Готье, Л., 1937, с. 211.*

2 გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 71-72; ცინცაძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 278-282;

3 ჯენკინსონის „მოგზაურობის“ რუსულ ენაზე მთარგმნელს ი. ვ. გოტიეს მიაჩნდა, რომ ჯენკინსონი „საქართველოს მეფე სოლომონს“ გულისხმობდა. თუ გოტიე ქართლის მეფე სვიმონ ვარაუდობს, მაშინ მისი მოსაზრება მისაღებია.

4 ცინცაძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 325.

5 Hacluyt R., *Voiages. In eighth volumes, v, II, p. 25.*

ქართველები უსაფუძვლოდ რომ არ ფრთხილობდნენ, ამაში ჯენკინსონი თვითონაც მალე დარწმუნდა, როცა „საქართველოს მეფისათვის“ საჭირო რჩევის მისაცემად საქართველოში ელუარდ კლარკი გააგზავნა. მაგრამ საქართველოს საზღვართან მისული კლარკის ქრისტიანობა როცა გაირკვა, იგი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო¹.

სავარაუდოა, რომ საქართველოში კახეთის უფლისწულის იესეს მეშვეობით დაწვრილებით ინფორმირებულნი იყვნენ ენტონი ჯენკინსონის შესახებ, რომელიც კარგად ერკვეოდა რუსეთის მდგომარეობასა და იტერესებში. ასე რომ, ქართველებმა მას შემთხვევით არ მიმართეს.

ქართველ მეფეს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა ჯენკინსონის აზრი: შეეძლო თუ არა რუსეთის მეფეს საქართველოსათვის დახმარება გაეწია გარეშე მტრებთან ბრძოლაში და არსებობდა თუ არა ამგვარი მხარდაჭერის იმედი. თუ დახმარების იმედი არსებობდა, მაშინ რომელი გზით შეიძლებოდა ელჩის გაგზავნა მოსკოვში. ჯენკინსონმა მოციქული დაარწმუნა, რომ მოსკოვის ხელმწიფე საქართველოს აუცილებლად დაეხმარებოდა და ელჩი ჩერქეზების ქვეყანაზე გავლით გაეგზავნათ, რადგან ივანე IV მათი მეფის ასულზე დაქორწინდა².

ჯენკინსონის ნათქვამში უზუსტობაა. 1561 წელს ივანე IV-მ ცოლად შეირთო ყაბარდოს მბრძანებლის (ჯენკინსონის თქმით, ჩერქეზეთის მეფის) ტემრიუკ იდაროვიჩის ასული კუჩენა, რომელსაც მოსკოვში მარია დაარქვეს³. ეს ქორწინება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი იყო. ყაბარდოს მნიშვნელობა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში გაიზარდა. რა თქმა უნდა, ყაბარდოს მბრძანებელი დაინტერესებული იყო საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით.

საქართველოს რუსეთთან დაკავშირება „მოსკოვის კომპანიის“ ინტერესებშიც შედიოდა. კომპანია კახური ნეღლი აბრეშუმის ბაზრის დაუფლებას ცდილობდა. აღნიშნული კომპანიის აგენტის

არტურ ელუარდის მიერ 1566 წლის 26 აპრილს შემახიდან გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ გაზაფხულზე შემახიაში ნეღლი აბრეშუმის შოვნა მხოლოდ მცირე რაოდენობით შეიძლებოდა. „მისი შოვნა შეიძლება საქართველოში, მაგრამ მის შესასყიდად ხალხის გაგზავნა ვერ შეეძელით, – სწერს ელუარდსი, – რადგან თავიდანვე დაკარგეთ დრო. როცა ჩვენ გვეყოლება წარმომადგენლები, რომლებიც შეძლებენ მთელი გაზაფხულის განმავლობაში აქ დარჩენას, მაშინ შესაძლებლობა გვექნება შევისყიდოთ პირველი ხელიდან, უშუალოდ სოფლელებისგან, რომლებსაც მოაქვთ გასაყიდი აქაც და სხვა ადგილებშიც“¹.

ჯენკინსონს, თავისი კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზნად ჰქონდა უშუალოდ დაემყარებინა კავშირი საქართველოს აბრეშუმით მდიდარ რაიონებთან. მას ამის განხორციელება განზრახული ჰქონდა მაშინ, როცა ელუარდ კლარკი გაგზავნა „საქართველოს მეფის დასახმარებლად“. ჯენკინსონმა მას პირდაპირ დაავალა, რომ მეფესთან მოლაპარაკებისას მიეღწია, რომ მის სამფლობელოებში ინგლისელ ვაჭრებს თავისუფალი საქმიანობის უფლება ჰქონებოდათ². მაგრამ, როგორც ითქვა, კლარკმა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საქართველოში ვერ შეაღწია. ქართული ნეღლი აბრეშუმის დაუფლების ერთ ყველაზე საიმედო საშუალებად ჩანდა საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლა. თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ „მოსკოვის კომპანიის“ აგენტებს, რომლებიც მოსკოვის სახელმწიფოში ვაჭრობის მონოპოლიური უფლებით სარგებლობდნენ, წინ ვერაფერი დაუდგებოდათ. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, ჯენკინსონმა საქართველოს მეფის წარმომადგენელს რუსეთისაგან სერიოზული დახმარების იმედი მისცა და იქვე არ შეიძლებოდა გადაკვრით მაინც არ ეთქვა „მოსკოვის კომპანიის“ ინტერესებზეც. იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ ჯენკინსონმა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ „მოსკოვის კომპანიის“ მესვეურებმა ზეგავლენა მოახდინეს რუსთა მეფეზე და საქართველოსთან კავშირის საჭიროებაში დაარწმუნეს.

1 Ibidem.

2 Ibidem.

3 Смирнов Н. А., Политика России на Кавказе в XVI-XIX, М., 1958, с 13.

1 Hacluyt R. Voyages. In eighth volumes, v, II, p. 38.

2 Ibidem, p. 25.

ჯენკინსონთან გაგზავნილი მოციქული მეფესთან დაბრუნდა და მოახსენა ინგლისელების ქართული აბრეშუმით დაინტერესებისა და მათი აზრის მნიშვნელობაზე ივანე IV-ის კავკასიურ პოლიტიკაში. ისიც ცხადი გახდა, რომ ინგლისელები მზად იყვნენ ქართველებისათვის გარკვეული მხარდჭერა გაეწიათ მოსკოვის კარზე. ამის შემდეგ სვიმონ და ლევან მეფეები უნდა შეთანხმდებულყვნენ, მოსკოვში კახეთის მეფის ელჩი წასულიყო. კახეთი ხომ აბრეშუმით ყველაზე მდიდარი სამეფო იყო საქართველოში.

1563 წელს მოსკოვში გაიგზავნა კახეთის სამეფოს ელჩობა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ იაკობი, დიონისე და ვილაც სომეხი. ელჩობა მოსკოვში დარჩა 1564 წლის ნოემბერამდე¹. ელჩებს მოსკოვში კმაყოფილებით შეხვდნენ და კახეთს მფარველობა აღუთქვეს. მფარველობის გამოხატულების ნიშნად კახეთში გამოგზავნეს დამხმარე რაზმი, რომლის ნაწილები კახეთის ციხეებში იდგა 1565-1572 წლებში და დაღესტნელთა თავდასხმებისაგან იცავდა. ამაზე მეტის გაკეთება მაშინ მოსკოვის მთავრობას არ შეეძლო, რადგან თვით რუსეთს უაღრესად გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა ჰქონდა. ამით ისარგებლეს ირანმა და ოსმალეთმა და რუსეთს შეუტყეს. ოსმალებმა რუსების გარნიზონი ჩერქეზეთიდან განდევნეს, ხოლო ირანისაგან თავდასხმის მუქარამ აიძულა ლევან მეფე რუსთა რაზმი კახეთიდან დაეთხოვა.

სვიმონ მეფე ებრძოდა ქართლში ირანის დასაყრდენს დაუთხანს. მან 1567-1568 წლებში დილომთან და სამადლოსთან ბრძოლებში დაუთხანი დაამარცხა, მაგრამ თბილისის განთავისუფლება მაინც ვერ შესძლო, რადგან დაუთხანს მეზობელი ყიზილბაშური სახანოები ეხმარებოდნენ.

ქართლის სამეფოს ბრძოლა სვიმონის მეთაურობით მოსვენებას არ აძლევდა ირანის შაჰს. მან ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტა განიზრახა. 1569 წელს შაჰმა შაქისა და ყარაბაღის ლაშქარს თავი მოუყარა განჯაში, საშამხლოს რაზმები დაიქირავა და ქართლს შეუსია. ქართლის მეფეს უღალატა აზნაუ-

რმა კახაბერ ყორღანაშვილმა და მტერს მეგზურობა გაუწია. ალგეთის ხეობაში ფარცხისთან ქართველთა ლაშქარმა შეუტია ათჯერ მეტ მტერს და გააქცია. მეფე დაედევნა გაქცეულთ, მცირე რაზმით საკმაოდ გაშორდა ძირითად ლაშქარს და მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა. მოღალატე ყორღანაშვილმა, რომელიც პირადად იცნობდა მეფეს, ყიზილბაშებს მასზე მიუთითა. ამ დროს ერთ-ერთმა მოღალატემ მეფეს შუბი ჰკრა და ცხენიდან ჩამოაგდო. მტერი მიესია თავგანწირულთა მცირე გუნდს და სვიმონის თანამებრძოლები ამოწყვიტა, მეფე კი დაატყვევა. მეფე ყაზვინში გაგზავნეს. 10 წლის განმავლობაში ქართლის გამგებელი დაუთხანი იყო.

ოსმალეთი ირანის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა და მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას ფიქრობდა. ოსმალეთს ამის მიღწევა ხელსაყრელი კომუნიკაციების გარეშე არ შეეძლო. მას საკმაოდ გამოცდილება ჰქონდა იმისა, ირანთან ომის დროს, როგორ გასაჭირში აღმოჩნდებოდა ხოლმე ოსმალთა ჯარი. ძნელდებოდა მისი გადაყვანა და სურსათ-სანოვაგითა და იარაღით მომარაგება.

ამგვარი მდგომარეობის მოწესრიგებას სულთანი სელიმ II ირანთან მეორე ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, 1567 წლის დასასრულიდან შეუდგა. სულთანმა თავისთან მოსალაპარაკებლად მიიწვია დადიანის ვაჟი, რათა მას შეთანხმებოდა ოსმალეთის ჯარის სამეგრელოს ტერიტორიაზე გატარების შესახებ ირანთან ომის დროს. ამ გეგმის განხორციელება სულთანს ესახებოდა შემდეგნაირად: ჯარს ოსმალეთიდან სამეგრელოს შავი ზღვის სანაპირომდე ხომალდებით გადაიყვანდნენ, შემდეგ ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე გავლით ჩრდილო-დასავლეთიდან დაარტყამდა ყიზილბაშებს¹. სინამდვილეში, აღნიშნული გეგმის განხორციელებისას პირველ დარტყმა ოდიშის სამთავროსა და იმერეთის სამეფოს უნდა განეცადა. ამიტომ დადიანმა, ალბათ, ყველაფერი იღონა, რათა თავი დაედო ამ სახიფათო წამოწყებიდან. ჩანს ოსმალეთმა გარკვეულ დრომდე მოთმინება არჩია და ამ გეგმის განხორციელება შემდეგისათვის გადასდო.

¹ Тивадзе Т. Г., Ук. труд, с. 243.

¹ Tardy L., Op. cit., p. 110.

ამგვარად, ამასიის ზავის შემდეგ ირანი და ოსმალეთი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა პოზიციები განემტკიცებინათ თავიანთ წილხვედრილ საქართველოში. მაგრამ ირანის მდგომარეობა სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე ოსმალეთისა. ირანს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა ქართლის სამეფო. ირანს არც კახეთის სამეფო უერთგულებდა.

ოსმალეთს დასავლეთ საქართველოში რაიმე სერიოზული დაბრკოლების გადალახვა არ უხდებოდა. ირანთან ზავს ოსმალეთი დასავლეთის საქმეების მოსაგვარებლად იყენებდა. იგი ხელღებულ ქართული სამეფო-სამთავროებისაგან ხარკისა და ჯარის გარკვეული კონტიგენტების მიღებით კმაყოფილდებოდა. ზავის პერიოდში ირანთან დიპლომატიური ურთიერთობისას, ოსმალეთი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მისთვის ახლობელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი და ზოგჯერ იქ თავისი გავლენის გავრცელების მიზნით მის დამცველდაც კი გამოდიოდა.

ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები კარგად ხედავდნენ, როგორი წინააღმდეგობები დარჩა ირანსა და ოსმალეთს შორი დაზავების შემდეგაც იმავე საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, ითვალისწინებდნენ საერთაშორისო ვითარებას (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ოსმალეთი ავსტრიასა და უნგრეთს ებრძოდა) და ჩრდილო კავკასიაში (რუსეთის გასვლა კასპიის ზღვაზე და მისი კავკასიისაკენ წაწევა) და საკუთარი პოლიტიკური კურსი შეიმუშავეს. ამ ეტაპზე ორივე დამპყრობელი (ირან-ოსმალეთი) ერთნაირად მიუღებელი იყო. თუმცა ისიც ნათელია, რომ ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყებამდე ქართველი პოლიტიკოსები ოსმალეთისაკენ უფრო იხრებოდნენ, ოსმალეთის ირანთან დაპირისპირებას ლამობდნენ.

6. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო (1578-1590 წწ.)

შაჰ თამაზის გარდაცვალების შემდეგ (1576 წ.) სეფიანთა სახელმწიფოში დაიწყო ბრძოლა სხვადასხვა ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის. თითოეული დაჯგუფება თავისი მიზნის მიღწევის საშუალებას სასურველი კანდიდატის (უფლისწულის) გამეფებაში ხედავდა¹. ირანის საშინაო გართულებანი ხელსაყრელად ჩათვალა ოსმალეთის კარმა.

1577 წლის ბოლოს სულთანმა მურად III-მ გადაწყვიტა დაეწყო ომი ირანის წინააღმდეგ. 1578 წლის 2 იანვარს მან ჯარის სარდლობა მიანდო ლალა მუსტაფა ფაშას და არზრუმის გზით გალაშქრება უბრძანა. ანონიმი ვენეციელის თქმით, სარდალს დაევალა „შირვანის სამეფო და სპარსეთის მეგობარი ქართველების პროვინციები დაეპყრო“². ოსმალეთის ლაშქრის შემადგენლობასა და რაოდენობაზე განსხვავებული ცნობებია. სინამდვილესთან ახლოს უნდა იყვეს ზემოხსენებული ანონიმი ვენეციელის ცნობები. იგი, მართალია, პირდაპირ არ ასახელებს ოსმალთა ჯარის რაოდენობას, მაგრამ იმდენად დაწვრილებით ჩამოთვლის ჯარის ნაწილებს, რომ ადვილად ხერხდება მიახლოებითი რაოდენობის (110 ათასი) დადგენა³.

იტალიური წყაროდან ირკვევა, რომ ლალა მუსტაფა ფაშის უმთავრეს ამოცანას ამიერკავკასიის დაპყრობა შეადგენდა და იგი არ მოერიდებოდა 1555 წლის ამასიის დარღვევას. ოსმალთა ჯარი ჯერ ისევ არზრუმში იდგა, როცა ირანის ელჩები ოსმალთა სარდალთან მივიდნენ და მოლაპარაკება გამართეს ზავის პირობების დაცვისა და მშვიდობის შენარჩუნების შესახებ. მაგრამ ამასიის ზავის პირობები ოსმალებს აღარ აკმაყოფილებდა, რადგან ამ ზავით ორად გაყოფილი საქართველოს დასავლეთ ნაწილზე ირანი ფორმალურად

1 იხ. შესაბამისი თავი.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. 1577-1581. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვლიშვილმა, თბ. 1987, გვ. 18.

3 იქვე.

სცნობდა ოსმალეთის უფლებას, ოსმალეთი კი ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე. მათ სამცხე-საათაბაგო გავლენის სფეროებად გაინაწილეს. ახლა ოსმალეთს მთელი საქართველოს დაპყრობა სურდა. თავისი მოქმედების გასამართლებლად სულთნის კარი სხვადასხვა მიზეზს ასახელებდა. იბრაჰიმ ფეჩავის თქმით, „ჯერ კიდევ დაზავებასა და მშვიდობაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ – ამბობდნენ ისინი (ოსმალები), – საქართველოს ბეგთაგან ზოგიერთები ურჩობენ; ამიტომ ჩვენ მათ დასამორჩილებლად მივდივართო“. როგორც ჩანს, ოსმალების საქართველოში შემოჭრა აღნიშნული მიზეზით ყიზილბაშებს ზავის დარღვევად მიაჩნდათ. ოსმალებმა მაშინვე კონტრბრალდება წაუყენეს: ყიზილბაშები თურქმენტა ტომების ცხვარსა და აქლემებს იტაცებენო¹.

იმავე იბრაჰიმ ფეჩავით, როცა საზავო მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა, ყიზილბაშებმა გადაწყვიტეს იარაღით დაეცვათ თავიანთი გავლენის სფეროში არსებული ქართული ოლქები. ოსმალებმა ეს მიიჩნიეს „ზავისა და მშვიდობის“ დარღვევად. ფრანგი დიპლომატი ჟუიე თავის მეფე ანრი III-სათვის გაგზავნილ მოხსენებაში შენიშნავდა, მიუხედავად იმისა რით დასრულდება ეს მოლაპარაკება, „მუსტაფა ფაშა მაინც წავა ქართველების დასამონებლად“². ანონიმი ვენეციელის თქმით კი, თუ ირანი არ მიიღებს ოსმალების მიერ წაყენებულ პირობებს, მაშინ საქართველო დაპყრობილი იქნება³.

ომის დაწყების წინ სულთნის კარმა წერილები დაუგზავნა ყიზილბაშთა სახელმწიფოს ყველა, დიდსა თუ პატარა მბრძანებლებს, ოსმალეთისადმი მორჩილება გამოეცხადებინათ. მათ შორის ვისაც წერილები დაეგზავნათ, იყვნენ ქართველი მეფე-მთავრებიც: იმერეთის მეფე გიორგი II, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამგებელი – გურიელი, სამეგრელოს მთავარი – დადიანი, კახეთის მეფე – ალექსანდრე II და ლიპარტიანი⁴.

1 იბრაჰიმ ფეჩავი, გვ. 38.

2 Charrière, III, p. 740.

3 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 22.

4 Фарзалиев А. М. оглы, Труды Мустафи Али-Эфенди как источник по истории Азербайджана конца XVI века. Диссертация на соискании ученой

საომარი მოქმედების დაწყების წინ, ლალა ფაშას მიერ ქართველი მეფე-მთავრებისათვის გაგზავნილი წერილებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს იმერეთის მეფისათვის გაგზავნილი წერილი. ლალა ფაშა იმერეთის მეფეს მოუწოდებს შეასრულოს პატრონყმური ვალდებულება და სულთნისადმი ერთგულება შირვანის, აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობით დაამტკიცოს¹. ლალა მუსტაფა-ფაშა ალექსანდრე კახთა მეფეს სწერდა: „... ჩვენმა ფადიშაჰმა უმაღლესი ბრძანებით დაამტკიცა ლაშქრობა შირვანზე, გურჯისტანსა² და აზერბაიჯანზე და მე, არარაობას, უძლეველი არმიით მაგზავნის ამ ქვეყნებში. რამდენადაც თქვენ ხართ ჩვენი ფადიშაჰის მორჩილი მსახური, საჭიროა ხელი შეუწყოთ გურჯისტანის ბეგებს, ვარაზას შვილებს³ (ვარაზა ოგულლარი), ლევანს, განსაკუთრებით ქაინოსროს ძე ყვარყვარეს დამჯერებლობას და მორჩილებას... როცა მათგან მივიღებთ მორჩილების წერილებს, ჩვენც ჩვენის მხრივ ვთხოვთ ფადიშაჰს მათს შეწყალებასა და მფარველობას... სარდალმა ასეთივე წერილი გაუგზავნა ალექსანდრეს სიძეს, არზრუმის ვილაიეთის შავშეთის სანჯაყბეგს ათაბაგ აჰმედ-ბეგს“ – ნათქვამია ალი-ეფენდის „ნუსრეთ-ნამეში“⁴.

ლალა მუსტაფა-ფაშა რომ სერიოზულად იყო დაინტერესებული საქართველოთი და აქ სერიოზული სამხედრო ოპერაციების წარმოებას აპირებდა, ჩანს პასინის (?) ბეგის, მირზა ალი-ბეის ვაჟისათვის გაგზავნილი წერილიდან. ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი ადრესატს სთხოვდა, რომ თუ ის ოსმალთა ჯართან

степени кандидата ист. наук, Тб., 1985, с. 51-52. ამ სადისერტაციო ნაშრომზე მიმითითა ცნობილმა თურქოლოგმა, ქალბატონმა ცისანა აბულაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

1 იქვე, გვ. 176.

2 როგორც წერილის შინაარსიდან ჩანს, გურჯისტანში სამცხე-საათაბაგო იგულისხმება.

3 უნდა იგულისხმებოდეს ვარაზა შალიკაშვილის ვაჟი კოკოლა, რომელიც ათაბაგის წინააღმდეგ გამოდის, რადგან მისი მამა ვარაზა დედისიმედმა მოაკვლევინა. დაწვრილ. ის. აქვე, გვ. 390-392.

4 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 52-53.

შესაერთებლად საქართველოს გზით წავიდოდა, მაშინ მას დაწვრილებით აეწერა ყველა პუნქტი სადაც მას გავლა მოუხდებოდა და წერილობით ეცნობებინა მთავარსარდლისათვის¹.

ოსმალებმა განიზრახეს კავკასიაში ომის წარმოების პლაცდარმად ყარსი გადაეციათ. მაგრამ ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი წინა ომის დროს ნანგრევებად იქცა. ამასიის ზავის მიხედვით, მისი აღდგენა ორივე მხარეს ეკრძალებოდა. ახლა კი ოსმალებმა დიდი სისწრაფით დაიწყეს ყარსის აღდგენა. როგორც სავარაუდოა, ოსმალების სარდლის მოწოდებებს ზოგიერთი ქართველი მმართველი მაშინვე გამოეხმაურა და კარს მომდგარ მტერს გარკვეული დახმარებაც აღმოუჩინა. ამას აღნიშნავდა 1578 წლის 20 მაისის წერილში საფრანგეთის მეფე ანრი III-სათვის გაგზავნილ წერილში ჟუიე. ლალა ფაშას ქართველი ელჩები ეწვივნენ და თან მიიყვანეს 5 ათასი კაცი ყარსის სიმაგრის აღდგენისას ოსმალების დასახმარებლად². სავარაუდოა, ისინი შავშეთის და ბასიანის გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალების³ ან იმერეთის მეფის მიერ გაგზავნილი ხალხი იყო. დონ ხუან დე პერსიას თქმით, გურიის მთავარი და მისი ვაჟი ოსმალების ჯარში იმყოფებოდნენ⁴.

მუსტაფა-ფაშამ სივასში მიიღო დადიანისა და გურიელის მორჩილების სიგელები და აქედანვე უპასუხა მათ⁵. 1578 წლის 2 ივლისს კი, როცა მუსტაფა-ფაშა ჩერმიკის სადგომს (არზრუმიდან 17 კმ-ზე) უახლოვდებოდა, მიიღო თორმეტი მორჩილების სიგელი, მათ შორის იყო სიგელები დაღესტნიდან და საქართველოდან⁶. იმავე დღეებში სარდალმა მიიღო კიდევ ერთი სასიამოვნო შეტყობინება ყარსის სანჯაყ-ბეგის ქურთი იუსუფ-ბეგისაგან. იუსუფ-ბეგი თავის რაზმით თავს დაესხა სოფელ ჯანბაზ ჩუკურის⁷, დაა-

მარცხა ამ მხარის ბრძანებელი მაჰმუდ-ხანი ვარაზას ძე, გაანადგურა მისი ჯარის დიდი ნაწილი, ათასზე მეტი კი დაატყვევა. მან ქართველი ტყვეები გააგზავნა ჩერმიკში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ლალა მუსტაფა-ფაშა¹. არზრუმის ბეგლარბეგი ბენჩემ-ფაშამ, ერევნისა და ნახჭევანის გამგებლის თოქმაკ-ხანის ბრალდებაზე, რომ ოსმალებმა ჯანბაზ ჩუკურზე თავდასხმით დაარღვიეს ამასიის საზავო ხელშეკრულება, ასეთი განმარტება მისცა: ჯანბაზ ჩუკურზე თავდასხმა მოხდა მას შემდეგ რაც ქართველებმა ულუს-თურქმენტა ცხვრის ფარა გაიტაცეს. ამას გარდა სხვა მსგავსი ინციდენტებიც ხდებოდა ამ მხრიდან, ამიტომ სარდალი მუსტაფა-ფაშა გურჯისტანის ვილაიეთის დასაპყრობად მოვიდა². ბახრამ-ფაშა იმ ქართველების დასჯას მოითხოვდა, რომლებმაც მეჰმედ-ალა და მისი ამხანაგები აიძულეს ეჭამათ ღორის ხორცი. დამნაშავეების დასჯისა და გატაცებული ცხვრის ფარის დაბრუნების შემთხვევაში ფაშა თანახმა იყო შუამავლობა ეკისრა სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებად³. როგორც ჩანს, ოსმალები მზად იყვნენ ლოკალური ხასიათის ინციდენტი მოლაპარაკებით მოეგვარებინათ, მაშინ როდესაც საქართველოზე თვდასხმა სრულიად კანონიერად მიაჩნდათ, რადგან „ისინი (ქართველები) ურწმუნონი არიან და უარი სთქვენს სულთნის მფარველობაზე. თავიდან ისინი ფადიშაჰს ემორჩილებოდნენ, შემდეგ კი, სხვადასხვა არეულობის შემდეგ, საწინააღმდეგო (სეფევიდების) მხარეს გადავიდნენ. ამიტომ ისინი განეკუთვნებიან იმათ რიცხვს ვინც უნდა მოაქციონ და მათი განადგურება და გაძარცვა დაშვებულია შარიატით“⁴

31 ივლისს ლალა ფაშამ არზრუმში სამხედრო აღლუმი გამართა, რომელსაც ერთი ყიზილბაში ტყვე დაასწრო, რათა მას საკუთარი თვალთ ეხილა ოსმალების ჯარის სიძლიერე. ანონიმი

1 Тамже, с. 54.

2 Charrière, III, p. 753.

3 ჩოჩიევი ვ. მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 174.

4 Don Juan de Persia, p. 67.

5 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 58.

6 Тамже, с. 60.

7 იგივე ჩილდირ ჩუკურუ. მდებარეობს ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით.

1 ოსმალი სარდლის სიხარული გამოწვეული იყო იმით, რომ მაჰმუდ-ბეგ ვარაზას ძეს ბრალად ედებოდა გასულ ზამთარს ოსმალების სოფელზე თავდასხმა, რომლის დროსაც რამდენიმე მუსლიმანი დაატყვევა და აიძულა ისინი ეჭამათ ღორის ხორცი. Тамже.

2 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 62-63.

3 Тамже, с. 63

4 Тамже, с. 64.

ვენეციელის თანახმად, ალლუმის დამთავრების შემდეგ ლალა ფაშამ ტყვე ღიდად დაასაჩუქრა, გაათავისუფლა და თან გაატანა ის წერილი, რომელშიც საქართველოზე თავდასხმის აუცილებლობაზე იყო ნათქვამი¹.

მეორე დღეს (1 აგვისტო) ოსმალეთის ჯარმა არზრუმი დატოვა² და საქართველოსკენ გაემართა. საქართველოს საზღვარი გადალახეს ორიოდე დღის შემდეგ. 2 ან 3 აგვისტოს ისინი მნიშვნელოვან სიმაგრესთან მივიდნენ, რომელიც ირანისა და საქართველოს საზღვარზე მდებარეობდა³. აქვე მიიღო სარდალმა იმერეთის (ბაშიაჩუკი) მეფის გიორგი II-ის ელჩი საჩუქრებითა და მორჩილების წერილით. მან აქედანვე გაუგზავნა ქართველ მეფეს საპასუხო წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ყოველ დღე ვუახლოვდებით არტაანს. ამიტომ მიიღებ თუ არა ჩემს წერილს მაშინვე გამოეშურე ჩვენს მხარეს შენი კარგად აღჭურვილი ქვეშევრდომებითა და თანამზრახველებით... თუ დედისიმედი და დაუდ-ხანი, რომელთა მიწები ჩვენს შორის მდებარეობენ, ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებენ, მაშინ ჩვენც ჩვენი მხრიდან შევუტევთ და მათ მიწებს უდაბნოდ გადავაქცევთ...“⁴

ოსმალთა ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა. ქართული წყაროებიდან ცნობილია, რომ პირველი ციხე, რომელიც ოსმალებს სამცხის ტერიტორიაზე შეხვდათ, იყო მგელციხე. იგი ოსმალებმა ორი დღის ბრძოლის შემდეგ 1578 წ. 7 აგვისტოს აიღეს. 8 აგვისტოს დაიპყრეს კოკოლა შალიკაშვილის⁵ მამულები, რომლებიც „ოსმალეთის არმიის გზაზე მდებარეობდა“⁶. სინამდვილეში, ოსმალების მიერ კოკოლას და, საერთოდ, შალიკაშვილების მამულებისადმი ინტერესი, განპირობებული უნდა ყოფილიყო შაჰის კართან მათი სიახლოვით, რაზეც შემდგომში

დაწვრილებით ითქმევა. იმავე დღეს მათ დაიპყრეს და გაძარცვეს ვალე. მეორე დღეს (9 აგვისტო) ოსმალებმის ხელში აღმოჩნდა ახჩის ქვაბის, თმოგვის, ხერთვისის, ჩილდირის, ახალქალაქის¹ და ენი-კალეს(?) ციხეები². სამცხის ათაბაგის და ყველა დიდებულის მიერ ოსმალებისადმი მორჩილების გამოცხადების შემდეგ, ლალა მუსტაფა ფაშა ქართლის სამეფოს დასამორჩილებლად წავიდა. მანმადე მან წერილი გაუგზავნა დაუდ-ხანს და დამორჩილება მოსთხოვა, მაგრამ ქართლის გამგებელმა ოსმალო სარდალს არ უპასუხა³. თბილისისაკენ მიმავალ ოსმალეთის ჯარს დიდი დახმარება გაუწია ათაბაგის ძმამ მანუჩარმა, რომელმაც თავის თავზე აიღო მეგზურობა⁴. ოსმალები მოსახლეობას იკლებდნენ, რითაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდნენ. ქართველი ხალხი მაშინვე აღსდგა შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მტრის სიმრავლე პირდაპირ შებმის საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ პარტიზანული ბრძოლა გაჩაღდა. ოსმალთა ჯარს ფეხდაფეხ მისდევდა ქართველთა რაზმები და დიდ ზიანს აყენებდა. მინაღლის და დონ ხუან სპარსელის მიხედვით, პარტიზანულ ბრძოლის მეთაურები იყვნენ იუსუფი⁵, დაუთ-ხანი და ალექსანდრე⁶. მათ თავიანთ მამულებში შეკრიბეს ჯარი და სადაც მოიხელთებდნენ მტერს მუსრს ავლებდნენ.

1578 წელს კი, ირანთან ომის დაწყების შემდეგ, როცა ნათელი შეიქმნა ამიერკავკასიაში სამხედრო ოპერაციების სირთულე, სულთანმა ანგარიში აღარ გაუწია თუ როგორ შეხედავდა დადიანი ოსმალების დაუფარავ აგრესიას. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, სულთანმა ფოთი დაიპყრო და მდინარე რიონის ზღვასთან შესართავთან კუნძულზე ციხე ააშენა. საინტერესოა, რომ ლამბერ-

1 მანუჩარმა, ქართული წყაროს ცნობით, ლალა ფაშას თმოგვის ციხე და კოკოლა შალიკაშვილისათვის ჩამორთმეული ახალქალაქი გადასცა 17 აგვისტოს. „მესხური მატანი“, გვ. 49.

2 Там же.

3 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 74

4 Don Juan de Persia, p. 68v.

5 მ. სვანიძის გამოკვლევით, იუსუფი იმერეთის მეფე გიორგის (1564-1585) ვაჟი იყო. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 141-142.

6 მინაღლის თქმით, ეს იყო კახეთის მეფე ალექსანდრე II, ხოლო დონ ხუან სპარსელის მიხედვით კი – მანუჩარის ძმა ყვარყვარე IV, რომელიც ევროპულ წყაროებში ალექსანდრედ მოიხსენიება.

1 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 22.

2 სხვა ცნობით, ოსმალებმა არზრუმი დატოვეს 23 აგვისტოს იხ. სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 103.

3 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 22.

4 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 62.

5 თურქული წყაროს მიხედვით, ვარაზა ოღლუ კაიკულ-ხანი.

6 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 68

ტის მშვენივრად ესმოდა ოსმალების მოქმედების მიზანი: „ამის მიზეზი ის იყო – ამბობს ლამბერტი – რომ იმ ხანებში თურქების სულთანი ამურატი ომობდა ირანელებთან. მან აიღო თბილისი და აპირებდა მთელი ირანის დაპყრობას. ამ საქმის შესასრულებლად მას უნდოდა საქართველოს გზა გაეხსნა თავისთვის და დაეჭირა ამ გზის გასაღები – ქალაქი ქუთაისი, რათა ჯერ ზღვით და მერე ფაზისით ჩქარა და ნაკლები ზარალით გაეგზავნა თავისი ჯარები ირანისაკენ“. ოსმალები თავიანთი გალერებით აჰყვნიდნენ მდ. რიონს და ქუთაისისკენ წავიდნენ. მაგრამ ქალაქის მახლობლად, მდინარის შევიწროვების ადგილას თოფებით შეიარაღებულმა ქართველებმა ისეთი ცეცხლი გაუხსნეს მომხვედრეთ, რომ ისინი იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ და ამის შემდეგ ფოთში ის ციხე ააშენეს რომელზეც ლამბერტი აღნიშნავდა¹.

ირანის მორჩილი დაუთ-ხანი ხედავდა, რომ თბილისის დაცვას ვერ შეძლებდა, მიუხედავად იმისა, რომ ის კარგად გამაგრებული იყო². შემდგომი ბრძოლის გაგრძელებისა და თავისი ჯარის გადარჩენის მიზნით მან მთელი შეიარაღება წაიღო და ქალაქი დატოვა³. ლალა ფაშას კი იმედი ჰქონდა, რომ დავითსა და მის ჯარს

თბილისში მოიმწყვდეოდა და მოსპობდა. ამიტომ, მთავარსარდალმა თბილისის ალყაში მოქცევის მიზნით, წინ გაუშვა ოსმან ფაშა 5 ათასი მხედრით. ოსმან ფაშას თბილისი დაცარიელებული დახვდა, მაგრამ დიდძალი ქონება და სურსათ-სანოვავე მოიპოვა. 24 აგვისტოს თვით სარდალიც მივიდა და თბილისიდან 3 მილის დაშორებით დაბანაკდა, რათა ჯარს ქალაქი არ დაეზიანებინა. რადგან თბილისის მოქალაქეებს მტკვარზე ხიდი დაენგრიათ, ოსმალებმა ქალაქთან უზარმაზარი ხეები დაჭრეს და ხიდი აღადგინეს. ლალა ფაშამ შირვანში წასვლის წინ თბილისისა და მთელი ქართლის („მანუჩარის სამფლობელოებამდე“) გამგებლად დანიშნა ვინმე მეჰმედ ბეი, რომელიც ფაშას რანგში აიყვანა. მას ჩააბარეს 10 ათასი მხედარი და ქვეითი ჯარისკაცი, სამასი იანიჩარი, 36 ქვემეხი, საბრძოლო მასალა და ერთი წლის სამყოფი სურსათ-სანოვავე¹.

29 აგვისტოს, პარასკევს, სულთნის ბრძანებით, თბილისში ორ ადგილას საფუძველი ჩაეყარა ორ მეჩეთს, ხოლო სარდლის ბრძანებითა და სურვილით, მდ. მტკვრის მეორე ნაპირზე საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ მეჩეთს².

შაჰის კარზე გასაგები იყო, რომ დაუთ-ხანს ოსმალებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ შესწევდა და შაჰ მუჰამედ ხუდაბენდემ ქართლის ტახტზე სვიმონ მეფის დაბრუნება განიზრახა. იგი შაჰ თამაზს ალაშუთის ციხეში გამომწყვდეული ჰყავდა 1569-1576 წლებში.

1 ოსმალების მიერ აშენებული ფოთის ციხე შემდეგში ოდიშის მთავარ ლევან II დადიანს დაუნგრევია და იქიდან 25 ზარბაზანი წაუღია. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. მეორე გამოცემა ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 172.

2 ევლია ჩელების აღწერით, თბილისში „ციცაბო კლდეზე ერთმანეთის პირდაპირ ორი ციხეა... მათ შორის მდინარე მტკვარი მიედინება. რადგანაც ერთი კლდიდან მეორე კლდეზე დიდი ხილია [გადებული], ერთი ციხიდან მეორემდე ადვილად გადაისვლება. დიდი ციხე მდინარე მტკვრის სამხრეთითაა და პატარა ციხე – ჩრდილოეთით... დიდი ციხის გარშემოწერილობა ექვსი ათასი ნაბიჯია, მაგრამ ძველი ნაშენია. კედლის სიმაღლე სამოცი წყრთაა. სამოცდაათი ბურჯი და სამი ათასი ქონგური აქვს. ერთი ხილიანი კარი აქვს. თხრილი არა აქვს. მდინარე მტკვარს ერთი წყლისთვის განკუთვნილი, ზვრელიანი კოშკი გადაჰყურებს; ალყის დროს იქიდან იკლავენ წყურვილს... პატარა ციხე... ერთ ციცაბო გორაკზე დგას. ოთხკუთხა, პატარა ციხეა. ხიდის თავში პატარა კარია... პატარა ციხე დიდ ზღუდეზე მტკიცეა. ციხის კოშკებს სამი ათასი მეციხოვნე იცავს“. (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბ., 1971, გვ. 295).

3 Don Juan de Persia, p. 69r.

1 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 24-25. აღის გადმოცემით თბილისის ბეკლარბეგად დანიშნული მეჰმედ ბეგი იყო კასტომანის სანჯაყბეგი, რომელსაც 20 ათასი მებრძოლი დაუტოვეს და 150 ათასი ახჩა. **Фарзалев А. М. оглы, Ук. труд, с. 74-75.**

2 ი. ჰამერი „ნუსრეთ-ნამეზე“ მითითებით ამბობს, რომ ოსმალებმა თბილისში 2 ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, რაც სიმართლეს არ შეეფერება. **Фарзалев А. М. оглы, Ук. труд, с. 75.**

* * *

XVI საუკუნის, განსაკუთრებით სვიმონ I-ის მეფობის დროინდელ საქართველოსა და პირადად მეფეზე, საკმაოდ ბევრი იწერებოდა დასავლეთ ევროპაში. ტყვეობიდან დაბრუნებული მეფე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გადაიქცა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურად. ამიტომ დიდი იყო მის მიმართ ინტერესი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის მოსურნე ევროპაში. იმ მასალებიდან, რომელშიც აისახა სვიმონ I-ის პიროვნება და მისი საქმიანობა, განსაკუთრებით გამოირჩევა ჯოვანი თომაზო მინადოის თხზულებაში შემონახული ცნობები, რომლებშიც საკმაოდ დაწვრილებით, თუმცა ქართული და სპარსული წყაროებისაგან განსხვავებულად და სრულიად ახალი ცნობების დამატებით, გადმოცემული აქვს სვიმონ მეფის ცხოვრების საინტერესო მომენტები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

აი როგორ აგვიწერს მინადოი სვიმონსა და დავითს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას, დავითის გამაჰმადიანებას, ყიზილბაშების მიერ სვიმონის დატყვევებას, მის ურთიერთობას ისმაილმირზასთან... მინადოი, როდესაც ლაპარაკობს ყარსისა და თბილისის დამაკავშირებელი გზის შესახებ, აღნიშნავს: „აქედან თუ გავყვებით აღმოსავლეთის მიმართულებით, მოვხვდებით უფრო სომხეთში, ვიდრე ივერიაში, განსვენებული ლუარსაბის მიწებზე, ახლა რომ ეკუთვნით ორ ძმას – დავითსა და სვიმონს, ფიზიკურად და სულიერად ღირსეულ მემკვიდრეებს მამის სახელის და სამფლობელოებისა, თუმცა შემდეგ მათ უხეში ლაქა მიიცხეს სარწმუნოების გამოცვლით და შეიბღალეს ქების ღირსი სახელი. განსაკუთრებით ეს ეხება სვიმონს, რომელმაც სამხედრო საქმის ცოდნით, პოეზიაში გაცნობილმა¹ და თავისი ფილოსოფიური

განათლებით თამაზის შვილის [ისმაილის] წყალობა და მასთან სიახლოვე დაიმსახურა ირანში ტყვედ ყოფნის დროს, რომლის შესახებაც ვილაპარაკებთ. მაგრამ როგორი გმირი უნდა იყოს ადამიანი, რომ შესძლოს შეინარჩუნოს ბრწყინვალეობა და არ ჩაქრეს იმ ცოდვებით დაცემის შემდეგ, ორივემ რომ ჩაიდინეს, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ თითოეული მათგანი დარჩა ქონებას, სამფლობელოს და პატივს მოკლებული. მათ დაკარგეს ქრისტეს უწმინდეს სახელთან ურთიერთობის უფლება.

ლუარსაბმა, ანდერძით, სამეფოში თავის მემკვიდრედ სვიმონი დანიშნა მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ის წლოვანებით უფროსი იყო, არამედ იმის გამოც, რომ უფრო ღირსეული იყო თავის ამ ძმა დავითზე. ეს უკანასკნელი ვერ ურიგდებოდა ასეთ გადაწყვეტილებას, სწყუროდა დიდება და ბატონობა, არ მიაჩნდა სვიმონი მემკვიდრედ და ცდილობდა იგი ქვეყნიდან განედევნა, იარაღით მიეღწია იმისთვის, რაც მამის სურვილმა არ არგუნა... როცა სვიმონი დარწმუნდა ძმის ბოროტ განზრახვაში, რაკი ვერ ხედავდა წინააღმდეგობის დაძლევის სხვა საშუალებას, [მაჰ] თამაზს მოუთხორო საქმის ვითარება და შეწევნა და დაცვა სთხოვა. თამაზმა უყურადღებოდ არ დასტოვა [ის თხოვნა] და გადაწყვიტა სვიმონისათვის ესამოვნებინა. მან 4 ათასი ცხენოსანი გაგზავნა და მათს მეთაურს უბრძანა, დავითი ცოცხალი შეეპყრო და ირანში მოეყვანა. თუ ის სარწმუნეობის შეცვლაზე არ დათანხმდა, მაშინ

შორის ერთ-ერთი უძველესი და საინტერესო სახეობაა. ეს არის ოთხსტრიქონიანი მინიატურული ლექსი, მტკიცედ განსაზღვრული სალექსო საზომითა და გარიტმის ნორმებით (კოტეტიშვილი ვ., რობაის სტრუქტურა. თსუ შრომები, ტ. 250, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1985, გვ. 5). ნა'იმა-ს მოყვანილი აქვს მეფის მიერ იედიკულეში პატიმრობისას გამოთქმული ერთი რობაი, რომელშიც მეფე თავის უიღბლო განვლილ ცხოვრებაზე მოსთქვამს:

„გამანადგურა ბედმა, რომელსაც ვემდური;
ამისათვის დამცირება განმვიცადე ხალხის თვალში,
თუმცა [საქმე] წამივიდა ძლიერ ცუდად (მძიმედ),
მადლობა გამჩენს, [რომ ახლა მდგომარეობა] შემიძსუბუქდა“
მეფის ამ რობაიზე მის თანამედროვე ჰექიმ ჩელების ასეთნაირად უპასუხია:
„ერთი გორის ციხის აღებისათვის შენ,
ახლა, უყურე, მეციხოვნე გახდი იედიკულეში“. ჯიქია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 56, 58.

1 მინადოის ნათქვამი, რომ სვიმონი პოეზიას იცნობდა, დასტურდება ოსმალთა ისტორიკოსის მუსტაფა ნა'იმა-ს (1655-1715) ერთი ცნობით. უფრო მეტიც, ნა'იმას მიხედვით, სვიმონი საკმაოდ კარგი პოეტი ყოფილა (ჯიქია ს., ეპიზოდი XVI საუკუნის ერთი ცნობის განმარტება (ნა'იმა-ს ერთი ცნობის განმარტება). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 56, 58). ის დახელოვნებულია რობაიების თხზვაში. რობაი სპარსულ კლასიკურ სალექსო ფორმათა

მას სცნობენ თავისი სამფლობელოების უფლებებში, როგორც აღიარებულ ქვეშევრდომს და არა როგორც თავისუფალ მოხარკეს. თუ იგი ამაზე დათანხმდა, მაშინ სვიმონი გადააყენეთ, სარწმუნოების გამოცვლას ნუ დააძალებთ და მის ადგილას დავით დასვითო. ხოლო თუ კი სვიმონიც მზადყოფნას გამოსთქვამს თავის ძმასავით, მაშინ ის თავის უფლებაში დატოვეთ, დავითი კი ყაზვინს წამოიყვანეთო. მეთაური საქართველოში წავიდა, დავითი სწრაფად შეიპყრო, იარაღიც კი არ გამოუყენებია, მოთხოვნა წაუყენა თამაზის სახელით. ის მაშინვე დათანხმდა: სარწმუნოება გამოიცვალა, წმინდა ნათლობა წინდაცვეთით შეცვალა, თავისი თავი ცრუ წინასწარმეტყველ მუჰამედს უსინდისოდ მიართვა ნებაყოფლობით საჩუქრად და უარყო (სათქმელადაც კი შემაძრწუნებელია) ქვეყნის მხსნელი. შემდეგ სპარსელი მეთაური სვიმონთან მივიდა, უთხრა, რომ მის დასახმარებლად მოვიდა და დაპატიმრებული ჰყავს მისი მტერი, მაგრამ სვიმონს ქვეყნის მფარველი თამაზის იმედი ნუ ექნება, თუ სარწმუნოებას არ გამოიცვლის. ასე რომ იგი უნდა გახდეს იმავე წინასწარმეტყველისა და კანონის მსახური, რომელსაც ემსახურება და ემორჩილება შაჰ თამაზი. თუ იგი ასე არ მოიქცევა, მაშინ მის ადგილს მისი ძმა დაიკავებს, რომელმაც მაშინვე მიიღო ეს წინადადება. სვიმონი მწარედ ატირდა ძმის დაცემაზე და ძველებური დიდი სიმტკიცით ქრისტეს უწმინდესი სახელისადმი ერთგული დარჩა. მან დათმო ამქვეყნიური სამეფო, რომ არ დაეკარგა ციური სამეფო და გახდა შაჰის პატიმარი... საბრალო სვიმონი წაიყვანეს თამაზთან, რომელიც დიდხანს უჩინებდა მას, მიეღო სპარსული წესები. მან არ უარყო მშობლიური სარწმუნოება და გაგზავნეს კაჰკაჰეს ციხეში, სადაც გადასახლებაში ცხოვრობდა თამაზის შვილი ისმაილი, რომელიც, როგორც ითქვა, [შემდეგში] შაჰი გახდა. [სვიმონმა] ირჩია დროებით ციხეში ცხოვრება, ვიდრე გამოეცვალა თავისი ოდინდელი ქრისტეს სარწმუნოება (თუმცა ცხოვრობდა მასში როგორც სქიზმატიკოსი¹) და თავისთვის მოემზადებინა მარადიული ბორკილები,

1 სქიზმატიკოსი – ბერძნ. განხეთქილების შემომტანი კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობას შორის. ამ შემთხვევაში ბერძნული მართლმადიდებლობის მიმდევარი.

უსასრულოდ და შავბნელად ჩაკეტილიყო ცეცხლოვან ჯოჯოხეთში. სვიმონის ეს თავგადასავალი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს იმისათვის, თუ რა სახიფათოა დასახმარებლად ან დასაცავად მოსული უცხოელის ჩარევა საკუთარ საქმეში¹.

„კაჰკაჰაში ტუსადად ყოფნის დროს სვიმონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თამაზის შვილ ისმაილთან, რომელიც მისმა ხსენებულმა მამამ იქ გადაასახლა და მათი [სვიმონისა და ისმაილის] მეგობრობა ნელ-ნელა მტკიცე საგალებულო სიყვარულში განმტკიცდა. ასე რომ რამდენადაც ისმაილს უყვარდა სვიმონის ცხოვრების წესები, იმდენად სვიმონი ისმაილის სულის სიდიადის აღტაცებული პატივისმცემელი ხდებოდა და ამ არაჩვეულებრივმა ურთიერთ სიყვარულმა [სვიმონი] ბოლოს მიიყვანა იქამდე, რომ სვიმონი (არ ვიცი რომელია სოფიზმით მოტყუებული თუ რაღაც ალერსით მონიბლული) თავის სარწმუნოებაში ვერ გამაგრდა და თავისი მეგობრის ბარბაროსულ ცრურწმენაში გადავიდა². რომელმა მიზეზებმა წარმოშვეს სვიმონის სულში ეს მოსაბრუნო,

1 Minadoi, p. 54-57. საინტერესოა, რომ მინადლის თხზულება გახდა მთავარი წყარო საქართველოში დაინტრესებული მრავალი ევროპელი ავტორისათვის. მაგ. მინადლის მონათხრობს სიტყვა-სიტყვით იმეორებს პეტრო ბიძარო თავის 1601 წელს გამოქვეყნებულ წიგნში (**Rerum Persicarum Historia, initia, Gentis, Mores, Instituta, resque gestas ad hoc usque tempora complectens. Auctore Petro Bizaro Santinate, Francofurti, 1601, p. 534**). მინადლის თხზულების იმ ადგილს, სადაც სვიმონისა და დავითის დაპირისპირების, შაჰ თამაზის მიერ მათი დატყვევების ამბავია მოთხრობილი, ღონ ხუან დე პერსია, მინადლის თხზულებაზე დაყრდნობით, მოკლედ გადმოგვცემს შემდეგნაირად: „მთავარმა ლუარსაბმა თავისი [სამთავრო] უფროს შვილს სვიმონს დაუტოვა, ხოლო უმცროსი ძმა დავითი შაჰ თამაზის დახმარებით, რომელმაც 4 ათასი კაცი მიაშველა, სამთავროს დაუყოვნებლივ დაეუფლა. მან სპარსეთის ხელმწიფის ყმადნაფიცად გამოაცხადა თავი, ქრისტიანობა უარყო, გამაჰმადიანდა და დაირქვა დაულხანი. შაჰ თამაზმა იგი მაშინვე თბილისის ბატონად დანიშნა, მისი უფროსი ძმა სვიმონი კი, რომელმაც იმ პერიოდში ქრისტიანობა არ მიატოვა, ყოველი შემთხვევისათვის დაატყვევა და კაჰკაჰაჰის ციხეში ჩამაწყვდია“ (**Don Juan de Persia, p. 67v**). მინადლის თხზულების სერიოზული გავლენა იქნევა ჟან შარდენის თხზულების შესაბამის პასაჟსაც. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 301.

2 გამუსლიმანებულ სვიმონს სულთან-მაჰმუდ-ხანი დაარქვეს (ისქანდერ მუნში, გვ. 28).

რელიგიურად ძალიან განათლებულის და ძალიან მტკიცესი, რომელსაც უკვე შეწირული ჰქონდა ქონება და თავისუფლება, რათა შეენარჩუნებინა ბერძნული რჯული, ეს ძნელი ასახსნელია. მაგრამ სამმა მძლავრმა ბიძგმა განსაზღვრა ეს გარდატეხა: გამუდმებულმა პატიმრობამ, რომლიდანაც თავის დაღწევა ალბათ არ შეიძლებოდა თუ ქრისტიანად დარჩებოდა; მეგობრობა ისმაილთან, მეგობრობა, ვიტყვი, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ადამიანის ბუნებაც, არამცთუ მოკვდავის რწმენა; უმაღლესი პატივი, რომელსაც მას ყოველდღე ჰპირდებოდა ისმაილი მისი ტახტზე ასვლისას. ასეთნაირ განწყობილებაში იყვნენ, როცა შაჰ თამაზი გარდაიცვალა და ისმაილი დიდი ზეიმით მიიყვანეს ყაზვინში, სადაც ასევე საზეიმოდ გამოაცხადეს თავისი მამის მთელი სამფლობელოების მეფედ. იმათ შორის ვინც ძვირფასნი დარჩნენ ხსენებული მეფის მეხსიერებაში, თავისი ღირსებებით დარჩა სვიმონი, რომელიც მისი ხათრით უკვე წინდაცვეთილი და მაჰმადიანი გახდა. ასე ჩარჩა [ისმაილს] სვიმონი მეხსიერებაში, რომ სურდა მისი ავსება პატივითა და საჩუქრებით, ბევრად გადამეტებული იმაზე, რამდენადაც [სვიმონს] შეეძლო ევარაუდა. ხოლო ისმაილის ნაადრევმა და მოულოდნელმა სიკვდილმა ის მოიტანა, რომ სვიმონი დარჩა ყოველგვარი წარჩინების გარეშე და მხოლოდ იმითი იყო კმაყოფილი, რომ დიდად სასიხარულო თავისუფლება მოიპოვა.

ისმაილის სიკვდილით სვიმონი საგონებელში ჩავარდა და თავისთვის ფიქრობდა: რა იქნებოდა მისთვის უკეთესი, ყაზვინში დარჩენილიყო და მოეცადა ახალი მეფის ტახტზე ასვლისათვის, თუ გამეზავრებულიყო და დაბრუნებოდა მიტოვებულ სარწმუნოებას და ქვეყანას. ბოლოს, ბევრი ფიქრის შემდეგ მან გადაწყვიტა და უძგობესად მიიჩნია, ხელსაყრელი და უკეთესი უშიშროებისათვის დალოდებოდა ახალ ხელმწიფეს და მისი დაცვისა და მფარველობის ქვეშ გამოენახა საშუალება თავისი წართმეული ღირსების დასაბრუნებლად, ვიდრე გაქცეულიყო ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, შეჯახებოდა მტრულად განწყობილი ძმის წინააღმდეგობას და ნაადრევად დაღუპულიყო. ამგვარად, მან არჩია დარჩენილიყო ყაზვინში, იმედს ამყარებდა იმაზე, რომ სარწმუნოების

გამოცვლა, სწორად რომ ვთქვათ, [მაჰმადიანური] რწმენის აღიარება, გამოვლილი პატიმრობა და თავისუფლების დაბრუნება, მამაცი [კაცის] სახელი, თანამედროვე მდგომარეობა, ახალი მეფის წინაშე ერთგულებისა და მორჩილების გამოჩენით ის პატივსა და ღირსებას დაიმსახურებდა, თუ კი მუდმივი და მტკიცე მხარდაჭერით საქართველოში [ოსმალების წინააღმდეგ] ომის გაძლოას მას მიანდობდნენ.

ამგვარად, როდესაც მაჰმადი¹ გამეფდა და დარწმუნდა თბილისის დაკარგვაში, [სვიმონმა] სთხოვა ნება მიეცა შაჰის მფარველობის ქვეშ დაბრუნებულიყო თავის ცუდად დაცულ ქვეყანაში. ჰპირდებოდა ყოველგვარი რისკისა და განსაცდელის მიუხედავად არ შეშინდებოდა და არ ითაკილებდა წვრილმან [საქმეებს], თუ კი ამით სარგებელს მოუტანდა მაჰმადს. ახალი ხელმწიფე უდიდესი სიამოვნებით დათანხმდა სვიმონის თხოვნაზე და იგი დანიშნა ხანად მთელი იმ სამეფოსი, რომელსაც ქრისტიანად ყოფნისას ფლობდა. [სვიმონი] სასწრაფოდ გაიგზავნა საქართველოში, ალიყული-ხანთან ერთად, თურქების ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად...²

სვიმონ მეფის დაუთ-ხანთან დაპირისპირების, სპარსელთაგან მისი დატყვევების და საქართველოში დაბრუნების ამბავს ღონ ხუან დე პერსია მოკლედ, მაგრამ ძირითადად ისევე გადმოგვცემს, როგორც თომაზო მინადოი. მისი თქმით, სპარსელებში დიდი შემოფოთება გამოიწვია ოსმალეთის მიერ წამოწყებულმა ომმა. „ასეთი მდგომარეობა რომ იყო, კიდევ ერთი რამ მოხდა, რამაც ყველა სპარსელს იმედი გაუცრუა. დაუთ-ხანი, მას შემდეგ რაც გამაჰმადიანდა სპარსეთის მომხრე იყო, ეხლა მას გადაუდგა და შემთხვევა მიეცა თუარა მაშინვე [სულთან] მურადთან გაიქცა. მეორეც: დავითის ძმა სვიმონიც, რომელიც დატყვევებული იყო და დიდი ხნის განმავლობაში ქრისტიანად ითვლებოდა, ცუდი საზოგადოების ზემოქმედებით და სხვა ბოროტმოქმედ ტუსაღთა გავლენით, ისეთ გარემოებაში ჩააყენეს, რომ იძულებული გახდა უარეყო და ეღალატა ქრისტიანობისათვის, და უღალატა კიდევ. შაჰმა მას თავ-

1 შაჰი მოჰამედ ხუდაბენდე.

2 Minadoi, p. 128-130.

ისუფლება უბოძა და ხანის ტიტულით თავის სამფლობელოს დაუბრუნდა. სვიმონს თავისი სამსახურით სპარსელებისათვის ერთგულება რომ დაემტკიცებინა, ალიყული-ხანს შეუერთდა და თურქების მიერ წაღებული რამდენიმე ქვემეხი უკან დაიბრუნა. [სვიმონი] 3 ათასი მხედრით მთელ საქართველოში დანავარდობდა¹

განსხვავებული ცნობები გავაჩნია სვიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ. დოროთეოზ კათალიკოსის იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელში სვიმონ მეფის დამატყვევებელიც და გამანთავისუფლებელიც შაჰ თამაზია. ამის შემდეგ „მოხედა მოწყალებამან ღმრთისამან და მოვიდა მეფეთ-მეფე ბატონი სუიმიონ ტყუებიდალმან“². ფარსადან გორგიჯანიძე სრულიად გარკვევით ამბობს, რომ „სიღამდისინ შაჰ თამაზ ყაენი ცოცხალ იყო, მეფე [სვიმონი] ალამუდის ციხეში იყო და რა ყაენი მიცვალა და მისი შვილი შაჰ ისმაილ გაკემწიფდა, მაშინ მეფე ალამუდით ყაზმინს მოაყვანინა და კარგის პატივით ინახევდა... შაჰ ხუდაბანდამ... მეფე გაათათრა და რაც მასთან დაჭირულნი თავადნი და აზნაურნი იყვნენ, მოუსხმევინა და ყველას ცხენი იარაღი გაუკეთეს და ხალათი და საკარჯო მისცეს და მეფეს სვიმონს... საქართველოს მეფობა მისცეს და რაყამი ძმობით მისწერეს და მეჰმანდარი გაატანეს...“³ ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, „ისმაილმა გამოიყვანა მეფე სვიმონ ალამუდის ციხიდან და მიიყვანა მისთანა“. „პარიზის ქრონიკის“ მიხედვითაც, „დასვეს ყაენათ შაჰ ისმაილ და მეფე სვიმონ ალამუდის ციხითგან გამოიყვანა, ყაზმინს მიაყვანინა და საქართველოს ბატონობა მისცა“⁴. ისმაილ II-ის მიერ სვიმონ მეფისა და უფლისწულ იესეს ალამუდის ციხიდან განთავისუფლებას აღნიშნავს მაჰმუდ ნათანზი⁵.

1 Don Juan de Persia, p. 75 r-v.

2 ქართული სამართლის ძეგლები, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 354.

3 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 219

4 პარიზის ქრონიკა, გვ. 45.

5 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 139.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, „ისა-ხან ქართველი, ლევან-ხანის შვილი და სვიმონ-ხანი, ლუარსაბის ძე, ორივენი ალამუდის ციხეში რომ იყვნენ დაპატიმრებულები, ისმაილ-მირზამ გამოუშვა“. ხოლო სულთან-მოჰამედ-ხუდაბანდემ სვიმონს „ძმის“ ბედნიერი წოდებულება მიანიჭა და საქართველოში დააბრუნა¹.

შაჰ ისმაილ II-ის მეფობის ისტორიის მკვლევარის ვ. ჰინციის მიხედვით, ისმაილმა 1578 წლის შემოდგომაზე სვიმონი საქართველოში გამოისტუმრა². გერმანელი ისტორიკოსი ამჯერად მ. ბროსეს ეყრდნობა, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთმოყვანილ ცნობას³, რომელიც სიმართლეს არ ასახავს. უფრო სანდოა ბერი ეგნატაშვილის თხზულების ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ მეფე სვიმონ შაჰ-მოჰამედ ხუდაბანდემ დააბრუნა საქართველოში და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა⁴. ჯ. თ. მინაღოს მიხედვითაც, სვიმონ მეფე ისევ ირანში იმყოფებოდა, როდესაც ისმაილ II მოკვდა. მინაღოს საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი ისმაილის სიკვდილით გამოწვეული სვიმონის განცდა, ბერი ეგნატაშვილის თხზულების ცნობას კიდევ უფრო ამაგრებს „ქარმელიტების არქივის“ ის წერილი ოსმალების ჯარების სარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ შაჰ მოჰამედ ხუდაბანდეს რომ გაუგზავნა და დათარიღებულია 1578 წლის ივლისით. ამ წერილის მიხედვით, 1578 წლის ივლისში ისმაილ II ცოცხალი აღარ იყო. გამოდის, რომ მან იმეფა 1576 წლის მაისიდან 1578 წლის ივლისამდე. მაშინ რა ვუყოთ შარაფ-ხან ბითლისის ცნობას, რომლის მიხედვით ისმაილი გარდაიცვალა სექტემბერში⁵, ხოლო ისლამის ენციკლოპედიას თუ დაუჯერებთ, – ნოემბერში⁶.

1 ისქანდერ მუნში, გვ. 28.

2 Hinz W., Op. cit., S. 61

3 Brosset M., Collections d'Historiens, v. I, St. Petersburg, 1874, St. Petersburg, 1874, p. 555.

4 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 372.

5 Шараф-хан Бидлиси, с. 233.

6 Enziklopädie des Islam, II, Leiden-Leipzig, 1927, Leiden-Leipzig, 1927, S. 582-583.

შარაფ-ხან ბიდლისი მოჰამედ ხუდაბენდას მიაწერს სვიმონის ტყვეობიდან განთავისუფლებას, მისთვის თბილისის ოლქის და მისი მიმდებარე მხარეების მმართველობის ბოძებას და საქართველოში გაგზავნას¹. ასეთივე ცნობა დაცულია „მესხურ მატთანში“: ოსმალთა სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა ქართლშია (1578 წ.), როდესაც სპარსეთიდან ბრუნდება სვიმონ I. „ქართლის მეფე პატრონი სვიმონ ტყუჴ იყო; ყაენმა [მოჰამედ ხუდაბენდემ] გამოუშუა“². შედარებით ვრცელია ვახუშტი ბატონიშვილის ნათქვამი სვიმონ მეფის სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ისიც აღნიშნავს შალიკაშვილების ქალის და სვიმონის შეხვედრას და შემდეგ ამბობს: ის ყველაფერი ხომ მისცეს, რაც დაუღხანისათვის გადაცემული ჰქონდათ, „მის ზედა დაურთეს ცხრა ათასი თუმანი და ტყუენი ყოველნი საქართველოსანი, მუნ დატყვევებულნი“³ მინადლო, როგორც ითქვა, სვიმონ მეფის პატიმრობიდან განთავისუფლებას ისმაილს, სამშობლოში გამოშვებას კი მოჰამედ ხუდაბენდეს მიაწერდა. დონ ხუან დე პერსიასთან სრულიად გაურკვეველია, რომელი შაჰი როგორ მოეპყრო მეფეს. ჟან შარდენი გვამცნობს, რომ სვიმონი მოჰამედ ხუდაბენდემ გაანთავისუფლა ციხიდან და სამშობლოშიც მან დააბრუნა, მაგრამ თარიღს (1582 წ.) არასწორად აღმოგვცემს⁴.

განხილულ წყაროთა ცნობების და ზოგიერთი დოკუმენტის⁵ მონაცემების შეჯერება სარწმუნოს ხდის, რომ სვიმონ მეფის პატიმრობიდან განთავისუფლება ისმაილ II-ის, ხოლო სამშობლოში დაბრუნება შაჰ-მოჰამედ ხუდაბენდეს წყალობა იყო.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით სვიმონ მეფე ირანის ტყვეობაში ნარკოტიკს მიეჩვია. მას ასეთი მიდრეკილება ისმაილ-მირზასთან ურთიერთობისას უნდა გასჩენოდა, რასაც საცნაურს ხდის თომაზო

მინადლოს მიერ საკმაოდ მაღალფარდოვნად აღმოცემული ალამუთის ორი ტუსადის ურთიერთობა.

სვიმონ I რომ ნარკოტიკის მომხმარებელი იყო, ამას აღნიშნავდნენ, ქართული და რუსული წყაროები. ბერი ეგნატაშვილის თქმით, „რაჟამს დაეტყუევენა ყაენსა სვიმონ მეფე ციხესა ალამუტისასა, მაშინ გასწყობოდა თრიაქის ჭამასა და ღვინის სმასა და მიერთგან ეწყობოდა თრიაქსა. და მაშინცა, გორისჯუარს რომ მივიდა, ჭამა თრიაქი და გამხიარულდა. გაიხედა გორისაკენ და ნახა, რომე ახალი მწუანილი ამოსულიყო და გაზაფხულის პირიც იყო. ოდეს გამხიარულდა, მოუნდა აფიონი, ვითარცა წესია აფიონისდ მჭამელთაგან მოჰნდომება საჭმლისა რისამე“¹. ვახუშტი ბატონიშვილის აღმოცემითაც სვიმონ მეფე თრიაქს „დაჩუეულ იყო პატიმრობასა შინა“².

კახთა მეფე ალექსანდრეს, იმისათვის რათა ხელი შეეშალა რუსეთის მიერ ქართლის სამეფოსთან კავშირის დამყარებისათვის, ყოველთვის ცდილობდა სვიმონ მეფე რუსეთის ელჩების თვალში დაემცირებინა, მას მეფის ტიტულით არასოდეს მოიხსენიებდა, ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ სვიმონი ბეცი პოლიტიკოსია, ოსმალებთან გამუდმებული ომების შედეგად ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა და, ამასთან ერთად, აფიონსაც ეწევა და ასეთ კაცთან ურთიერთობას აზრი არა აქვს³.

კაჰკაჰეს თუ ალამუთის ციხეში ხანგრძლივმა პატიმრობამ სვიმონ მეფისათვის უკვალოდ არც სხვა მხრივ ჩაიარა.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, როდესაც სვიმონ მეფე საქართველოდან ყაზვინში მიიყვანეს, „რამდენიმე ხანს უავგუსტოეს სასახლეში ჰყავდათ, რომ იქნებ ისლამის დიდებით შეიმოსოსო“. მაგრამ სვიმონმა შაჰის იმედი ვერ გაამართლა, ქრისტიანობას არ თმობდა და ამის გამო ალამუთის ციხეში გამოკეტეს, სადაც იმ-

1 Шараф-хан Бидлиси, с. 236.

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 50.

3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 411.

4 შარდენის მგზაურობა, გვ. 302.

5 Morley W.H., A descriptive Catalogue of the Historial Manuscripts... № 136, p. 335; Francesco Manuel Alves, Catalogo des Manuscritos... p. 479; Hinz W, Op. cit., S. 62.

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 378. აფიონი და თრიაქი – ორივე ოპიუმია. ბერძნულად ოპიუმი ნიშნავს ყაყაჩოს წვეს.

2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 417.

3 Сношения России с Кавказом. Матерялы, извлеченные из Московско-го Главного Архива Министерства иностранных дел Сергеем Белокуровым, вып. I, М., 1889, с. 221-222.

ყოფებოდა შაკ თამაზის სიკვდილამდე. ისმაილ-მირზამ ის ციხიდან გამოიყვანა. მხოლოდ მოჰამედ ხუდაბენდეს დროს „ისლამის ბედნიერება მოიპოვა... სურვილებშესრულებული საქართველოში წავიდა“¹. ფარსადან გორგიჯანიძე თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ისქანდერ მუნშიის ნათქვამს და სვიმონის გამუსლიმანებას მოჰამედ-ხუდაბენდეს დამსახურებად თვლის².

თომაზო მინადოი სვიმონ მეფის გამუსლიმანებას, როგორც ითქვა, კაჰკაჰეს ციხეში ისმაილთან სიახლოვით ხსნის³. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, მაშინ შაკ თამაზი მას ციხეში რატომ დატოვებდა. შაკი ზომ მისგან მხოლოდ სარწმუნოების შეცვლას მოითხოვდა. ამდენად მართალი უნდა იყოს ისქანდერ მუნში, რომელიც სვიმონ მეფის გამუსლიმანება შაკ-მოჰამედ ხუდაბენდეს მიაწერს, რომელმაც მხოლოდ ამის შემდეგ გამოუშვა მეფე საქართველოში⁴. საფუძვლიანი არ მეჩვენება ეჭვი იმის შესახებ, რომ შეიძლება სვიმონი ისლამის მიღების გარეშე დააბრუნეს თავის სამეფოში და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობაც მას მიანდეს.

ძალზე საინტერესოა ვ. ჰინციის ნაშრომში დაცული რამდენიმე ცნობა, რომლებიც სვიმონ მეფის სამშობლოში დაბრუნებას და მისი რწმენის საკითხს ასახავს. ვ. ჰინციის მიხედვით ისმაილ II-ის საქართველოს მიმართ დამოკიდებულება შემოიფარგლა სვიმონისა და უფლისწული იესეს განთავისუფლებით, რომლებსაც ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. მათი განთავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება მოხდა იმ პირობით, რომ ისინი შეინარჩუნებდნენ შიიტურ რწმენას, რომელიც შაკ-თამაზის დროს მიიღეს. მოგვიანებით, იესემ ცოლად შეირთო „სეფევიდი პრინცესა“ (შაკის ძმის საამ-მირზას ასული), რაც მისი შემდგომი წარმატების საწინდარი გახდა.

სვიმონ მეფეს, რომელსაც, ვ. ჰინციის თქმით, ისლამის მიღების შემდეგ მაჰმუდს ეძახდნენ, 9 ათასი თუმანი და ირანში მყოფი ყველა ქართველი ტყვე გამოტანეს და 1578 წლის შემოდგომაზე

სამშობლოში გამოუშვეს. თავის სამეფოში დაბრუნებულ სვიმონს სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა სამღვდელოებისა და კარისკაცების მხრიდან. მათ მეფეს მოსთხოვეს დაბრუნებოდა ქრისტიანობას. სვიმონმა დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. როცა მეფის მიერ ისლამის უარყოფის ამბავი ირანში შეიტყვეს, მის ამ მოქმედებაზე რეაგირება არ მოახდინეს იმ პირობით, რომ ქართლის მეფე კვლავ შაკის ვასალად დარჩებოდა¹.

ვ. ჰინციის ნათქვამიდან ეჭვს იწვევს ისმაილ II-ის მიერ სვიმონ მეფის საქართველოში გამოშვება. სვიმონის უფლებებში აღდგენა დაკავშირებული იყო ოსმალების მიერ ამიერკავკასიაში დიდი ომის გაჩაღებასთან. ეს კი შაკ მოჰამედ ხუდაბენდეს მეფობის დასაწყისში მოხდა.

საფიქრალია, რომ სვიმონ მეფემ მუსლიმანობა მოჩვენებით მიიღო, სამშობლოში დაბრუნებისთანავე უარყო და კვლავ ქრისტიანობა აღიარა. მან კარგად იცოდა, რომ ოსმალეთთან ომის გამო ირანს სერიოზული პრობლემები ჰქონდა ამიერკავკასიაში და, განსაკუთრებით კი, ქართლის სამეფოში, სადაც ქართველები ოსმალებს ხშირად ყიზილბაშებთან ერთად ებრძოდნენ. მეფეს ისიც კარგად ესმოდა, შაკის კარი მის მიმართ პრეტენზიების და უკმაყოფილების გამოძვლავნებას მოერიდებოდა, რადგან იგი საქართველოში მის შემცვლელს ვერ მოძებნიდა. ახლად დაბრუნებული სვიმონის მიმართ არსებული ოპოზიციის შესახებ ხმები კი, უფრო სპარსელთა გასაგონად გავრცელებული უნდა ყოფილიყო.

იტრიის ეკლესიის გუჯარში, რომელიც ე. თაყაიშვილმა 1578-1600 წლებით დაათარიდა, ნათქვამია: „შაკ თამაზის სიკვდილის შემდეგ „მოხდა მოწყალეზამან ღმთისამან და მოვიდა მეფეთ-მეფე ბატონი სუიმონ ტყუეობიდალმან. ცოტაოდენი საფასე მანც გაუჩინა მონასტერსა. მრავალ-მცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი. მოვიდეს კიდევ ურუმნი და რაც ძალა ჰქონდა, განწირულის ლაშქრით წინა აღუდგა“².

1 ისქანდერ მუნში, გვ. 25.

2 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 219.

3 Minadoi, p. 128.

4 ისქანდერ მუნში, გვ. 28.

1 Hinz W., ., Op. cit., S. 66.

2 თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, III, ტფ., 1910, გვ. 124, 155.

* * *

ვიდრე შირვანის გზას დაადგებოდა, ლალა ფაშამ განიზრახა კახეთის სამეფოსთან ურთიერთობა გაერკვია. მიღებულია, რომ საქართველოში შემოჭრის წინ ოსმალთა სარდალს ალექსანდრე II-ისათვის წერილი გაუგზავნია და დამორჩილება და ისლამის მიღება მოუთხოვია. მეფემ ოსმალებს ხარკის გადახდა აღუთქვა, მაგრამ მორჩილების სანაცვლოდ კახეთის სამეფოს მიერ წინათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ქრისტიანად დარჩენა ისურვა. საბოლოოდ შეთანხმებისთვის მიუღწევიათ. ოსმალებსა და კახეთის სამეფოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარებულია: ალექსანდრე II-ს ყოველწლიური ხარკი უნდა ეხადა და სულთნის მოწოდებისთანავე მონაწილეობა მიეღო ოსმალთა ლაშქრობებში¹.

მე კი მგონია, რომ ოსმალებსა და კახეთის სამეფოს შორის ამგვარი შეთანხმება, მოხდა მაშინ, როცა ოსმალთა ჯარი კახეთის საზღვარს მიადგა, როცა ლალა ფაშამ მთელი სიმწვავეთ იგრძნო ქართველებთან ომის წარმოების სირთულე და იგი იძულებული გახდა დათანხმებოდა კახეთის მეფის პირობებს. ერთი გარემოებაც: ოსმალებსა და კახეთის სამეფოს შორის მართლაც რომ ყოფილიყო შეთანხმება ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყების წინ, მაშინ ზომ ალექსანდრე ვალდებული იქნებოდა თავისი ჯარით მონაწილეობა მიეღო ოსმალების მიერ სამცხის ან ქართლის დაპყრობაში. ამგვარი მოქმედება მაშინ მოსთხოვა ლალა ფაშამ ალექსანდრე მეფეს, როცა კახეთის საზღვართან შეუთანხმდა და მისი მოთხოვნისთანავე თავისი ჯარით წაჰყვა შირვანის ლაშქრობაში. კახეთის მეფესა და ლალა მუსტაფა ფაშას შორის შეთანხმება, რომ ნამდვილად იმ დროსა და კახეთი სამეფოს საზღვართან მოხდა ამას ადასტურებს ალის „ნუსრეთ-ნამეც“. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ 30 აგვისტოს ოსმალების ჯარმა თბილისი დასტოვა და მდ. იორთან გაჩერდა. იქ მივიდა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ვეზირი იორამ

ბეგი და მეფის მორჩილების წერილი მიიტანა. ორი დღის შემდეგ, 1 სექტემბერს, ორშაბათს თვით მეფეც მივიდა თავისი ჯარით. მოლაპარაკების შემდეგ მან მიიღო თავისი მამის სამფლობელოებზე უფლება იმ პირობით, რომ გადაიხდიდა ჯიზიას და მონაწილეობას მიიღებდა სამხედრო ლაშქრობაში¹.

კახეთის სამეფოსთან ურთიერთობის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთის სახელმწიფოსათვის, რადგან ლალა ფაშა შიშობდა, რომ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. აი რას გამოგვცემს ანონიმი ვენეციელი: „გენერალ [ლალა ფაშას] შირვანში წასვლა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ერთი მეფის² ქვეყანა უნდა გაეგლო, რომელიც დაბრკოლებას უქმნიდა. ამიტომ გადაწყვიტა სანჯაყ-ბეგი კაიტასი³ გაეგზავნა ელჩად. მას [მეფე] უნდა დაერწმუნებინა, რომ გენერლისათვის მორჩილება გამოეცხადებინა. სანაცვლოდ მეფობის შენარჩუნებას ჰპირდებოდა, თუ კი ყოველი ოჯახი თითო ცეხინს გადაიხდიდა, ხოლო მეფე [გენერალს] სცნობდა თავის სინიორად. სამაგიეროდ მას ნურაფრის შიში ექნებოდა“⁴.

მინადოის და დონ ზუან დე პერსიას მიხედვით, თბილისიდან გასულ ლალა ფაშას კახეთის მეფის მოციქულები შეეგებნენ და თავიანთი მეფის სახელით მორჩილება გამოუცხადეს. ოსმალთა სარდალმა ელჩები კარგად მიიღო. ის დიდად ნასიამოვნები დარჩა ასეთი მორჩილებით, ელჩები უკან გაისტუმრა და ალექსანდრე მეფე თავისთან მიიწვია⁵. დონ ზუან დე პერსია დამატებით გვაცნობებს, რომ ალექსანდრე მეფე ოსმალებს გამყოლების მიცემასაც დაჰპირდა. ისინი მეგზურობას გაუწევდნენ ოსმალთა ჯარს კახეთის მეფის სამფლობელოებზე გავლისას. მუსტაფა ფაშამ ალექსანდრე მეფეს საპატიო ხალათი გაუგზავნა დამყარებული კავშირის ნიშნად⁶.

1 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 75

2 ალექსანდრე II.

3 კაიტას ფაშა სასახლის სამსახურში დაწინაურდა და იყო სხვადასხვა თანამდებობაზე. დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში.

4 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 25.

5 Minadoi, p. 85.

6 Don Juan de Persia, p. 69v.

1 სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 116-119.

ჯოვანი მიქელი, მართალია, აღნიშნავს, რომ შირვანისკენ მიმავალ ლალა მუსტაფა ფაშასთან კახეთის მეფის ელჩები მივიდნენ და უძვირფასესი საჩუქრები მიართვესო¹, მაგრამ მოლაპარაკების თაობაზე არაფერს ამბობს. პეტრო ბიძაროს გადმოცემით, ლალა ფაშასთან მისულ ალექსანდრე მეფის მოციქულებს დიდძალი საჩუქრები მიუტანიათ და მაშინვე მორჩილება გამოუცხადებიათ². იბრაჰიმ ფეჩევი აღნიშნავს, რომ მეფე ალექსანდრესთან „სარდლისაგან გაგზავნილი რწმუნებულები მივიდნენ და გულის მოსანადირებლად [თან მოიტანეს] წერილები“. იბრაჰიმ ფეჩევი იქვე იმასაც ამბობს, კახთა მეფემ რა ვალდებულებები იკისრა: „ის იღებს თავის თავზე იხადოს წელიწადში ხარაჯა: ოცდაათი იუქი აბრეშუმი, 10 ლამაზი ჭაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა ისპირის მიმინო და [ავრეთვე მასში], რომ ის იქნება თავისი ქვეყნის მმართველი ბეგლარბეგის სახელწოდებით“³. ვფიქრობ, იბრაჰიმ ფეჩევი სწორად არ გადმოსცემს ოსმალეთსა და კახეთის სამეფოს შორის დამყარებული ურთიერთობის პირობებს. თუ ამ ოსმალთა ისტორიკოსს დავუჯერებთ, გამოდის, რომ 1578 წელს ალექსანდრე მეფე სულთნის მოხელე (ბეგლარბეგი) გახდა, რაც არ დასტურდება ოსმალეთ-კახეთის შემდგომ ურთიერთობაში. კახეთის მეფე, ყველაფრიდან ჩანს, მხოლოდ მოხარკე გახდა და არა მოხელე. ისიც საეჭვოა, ოსმალეთის ჯარის სარდალს, რომელიც ამიერკავკასიაში ხანგრძლივი ომისათვის ემზადებოდა, მოხარკე ქვეყნისაგან მიმინოები და შავარდნები მოეთხოვა. მას ფული და სურსათი სჭირდებოდა. სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს ანონიმი ვენეციელისა და ალის მიერ გადმოცემული სახელშეკრულებო პირობები.

ანონიმი ვენეციელის მიხედვით, ოსმალთა ბანაკში კახეთის მეფის მოციქულები კი არ მივიდნენ, არამედ ლალა ფაშამ გაგზავნა კაიტას-ბეგი, რომელსაც ალექსანდრე მეფე უნდა დაერწმუნებინა, რომ სხვების მსგავსად მასაც მოეხარა ქელი. ლალა ფაშა

სამაგიეროდ ალექსანდრეს ჰპირდებოდა ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა.

ანონიმის გადმოცემით, ლალა ფაშამ კახთა მეფის მოციქული გაისტუმრა და თვითონაც მთელი ჯარით უკან მიჰყვა. მესამე დღეს იგი მიაღწა მდინარე კაპრს¹, სადაც კარვების დადგმა ბრძანა, რათა მეფე ალექსანდრესთან გაგზავნილი ელჩს დაბრუნებას დალოდებოდა. იმავე დღეს დაბრუნდა ელჩი მეფე ალექსანდრესთან ერთად, რომელმაც მდიდრული საჩუქრები მიიტანა და მშვიდობა ითხოვა². როგორც ჩანს, მეფე თანახმა იყო ოსმალების მიერ წამოყენებულ პირობებზე და შეთანხმება გაფორმდა. „ზავი დაიდო. მეორე დღეს გენერალი ჯართან და ზემოხსენებულ მეფესთან ერთად გაემგზავრა და გზად შირვანში ლაშქრობის შესახებ ეთათბირებოდა“³. ოსმალეთ-კახეთის ურთიერთობის ამ მომენტს უფრო ნათელს ხდის ალის გადმოცემა, რომლის მიხედვით, მდ. იორთან ალექსანდრე მეფე⁴ თავისი 3 ათასი მეომრით მივიდა და ორ სანჯაყბეტან ერთად აღიდებულ მდინარეზე გადავიდა შაქისა

1 ალბათ, მდ. იორი. ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტიდან (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 523) და ვასუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 578) ვიცით, რომ მეფე ალექსანდრე II ლალა ფაშას სართიჭალასთან მიეგება, რომელიც მდ. იორის ნაპირას მდებარეობს. იბრაჰიმ ფეჩევი ლალა ფაშას დაბანაკების ადგილად მდ. კაფურის ნაპირს ასახელებს. ს. ჯიქიას გამოკვლევით მდ. კაფური იგივე მდ. იორია. იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 44, 122.

2 ყურადღებას იმსახურებს მუსტაფა სელიანიქის ცნობაც კახეთის მეფისა და დიდებულების ოსმალთა ბანაკში მისვლის შესახებ. „გზაში საქართველოს შეძლებული და სახელოვანი აზნაურები და ქრისტიანთა ხალხის ალექსანდრე ლევანის ძედ წოდებული ხანი თავისი ქვეშევრდომებით მოვიდა. ღირსეული სარდლის ცხენის ჩლიქების მტვერს ემთხვივნენ და მის კეთილგანწყობას მიაღწიეს. შემდეგ მათ ისლამის ლაშქრისათვის უხვი სურსათი მოზიდეს და სრული სამსახური გასწიეს. ფუთურიძე მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ. თსუ შრომები, ტ. 91, თბ., 1960, გვ. 263-264.

3 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 25.

4 „ზაგეძისა და გერემის (ჭერემი-ე. მ.) გამგებელი ლევან-ხანი“, რა თქმა უნდა, კახთა მეფე ალექსანდრე II ლევანისძეა. როგორც გ. ფუთურიძე აღნიშნავდა, ოსმალთა ავტორები კახეთის მეფეებს ლევან-ხანის ძეს ან ალექსანდრე-ხანის ძეს უწოდებენ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, გვ. 103, შენ. 16.

1 Alberi, Op. cit., II, p. 264.

2 Bizarus P., Persicarum rerum historia in XII libris, Antverpiae, 1583, p. 634

3 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 42.

და მისი ოლქის დასაპყრობად, მთავარსარდალი და მთელი ჯვართ ადიდებულ მდინარეს მოერიდა და შირაქის ველზე დაბანაკდა¹.

არასწორია მინადოის ნათქვამი, თითქოს: 1. ალექსანდრე მეფემ სხვადასხვა მიზეზით თავიდან აიცილა შირვანში ლაშქრობაში მონაწილეობა და ლალა ფაშას დაჰპირდა რომ სხვაგან ყველგან ეახლებოდა. 2. თითქოს კახეთის მეფემ ლალა ფაშას სთხოვა, როცა ოსმალთა ლაშქრი შირვანიდან მობრუნდებოდა და კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე გაივლიდა, მეფეს უნდოდა მათთვის ჯეროვანი პატივი ეცა².

მინადოის თქმით, ალექსანდრე მეფისათვის დამახასიათებელი იყო სისხლის ღვრის მაგიერ საქმის მოგვარება დიპლომატიის გზით³. ასე გვიხსნისათვის ალექსანდრეს ისქანდერ მუნშიც: „ალექსანდრე ხანი კი, რომელიც ცბიერი და წინდახედული კაცი იყო, თავისი საქმის სიკეთეს ჩაუკვირდა და ოსმალებისათვის მეგობრულად თავის მოჩვენება ამჯობინა, ლალა ფაშას ბანაკში ნუზლი და სავური გაგზავნა და მორჩილება გამოუცხადა. ეს გარემოება ლალა ფაშას გულდაჯერების მიზეზი შეიქმნა“⁴.

ანონიმი ვენეციელის ცნობებს ლალა მუსტაფა ფაშას მიერ ალექსანდრე მეფესთან ელჩის გაგზავნის შესახებ ეთანხმებიან იბრაჰიმ ფეჩევი და ვახუშტი ბატონიშვილი, მაშინ როდესაც ევროპული წერილობითი წყაროები, გარდა ზემოთ დასახელებული იტალიურისა, დუმან. ეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხია: ურთიერთობის დამყარების ინიციატივა ალექსანდრე მეფისგან კი არ მოდიოდა, არამედ ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალისაგან, რომელიც იმავე დროს სულთნის მეორე ვეზირიც იყო, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოსმალები ანგარიშს უწევდნენ ალექსანდრეს პოზიციას ამიერკავკასიაში გაჩაღებული ომის დროს. იბრაჰიმ ფეჩევი წერს: „ალექსანდრესთან ამას წინათ სარდალისაგან გაგზავნილი რწმუნებულები მივიდნენ და გულის მოსანადირებლად

[თან მოიტანეს] წერილები. მოვიდა ამბავი, [ალექსანდრე მეფემ] ამასთან დაკავშირებით თავისი ქვეყნის წარჩინებულები მოიხმო, სახელოვანი აზნაურებისაგან შეადგინა ამაღა და სამეფო ბანაკში წასასვლელად მოემზადაო. თანახმად საფადიშაჰო წესისა, მთელი ისლამის ჯარი თავისი ძლიერებითა და დიდებით შემოეგება მათ“¹. ვახუშტი ბატონიშვილი კიდევ უფრო ახლოს მიდის ანონიმი ვენეციელის ნათქვამთან: „შემდგომად გამოვიდა რა ლალა-ფაშა... ტფილისიდან ეზრახა ალექსანდრეს, ხოლო მან აღუთქვა მისვლა მის თანა და წარჰყვესცა სპითა შირვანს, უკეთუ დაუტოეს კახეთი უვნოდ. ამან მოსცა პირი მტკიცე და მიეგება სათისჭალას ალექსანდრე სპითა ლალა-ფაშას და წარუძღუა შირვანს, ხოლო ლალა-ფაშამ აღილო შირვანი, შაქი, ურჩნი მოსრნა და აღაშენა ციხე შირვანს, შეაყენა მცველნი თჳსნი და დასუა ფაშა...“²

კახეთის მეფე ალექსანდრეს მიერ ოსმალებისათვის გამოცხადებული მორჩილება მხოლოდ ქვეყნის აოხრების შიშით არ იყო ნაკარნახები. მას ირან-ოსმალეთის ომის დაწყებამდე ირანთან უკვე ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. ყიზილბაშებს არ მოსწონდათ ალექსანდრეს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. მინადოის და დონ ხუან დე პერსიას მიხედვით, შაჰ თამაზმა გადაწყვიტა ალექსანდრეს ნაცვლად კახეთის ტახტზე მისი ძმა, გამაჰმადიანებული იესე აეყვანა³. კახეთის მეფემ იცოდა შაჰის განზრახვის შესახებ და რადიკალურად შეცვალა ირანთან ურთიერთობა. ალექსანდრეს ოსმალებთან მორიგებაზე გავლენა მოახდინა შაჰ ხუდაბენდეს მიერ იესეს აღზევებამ. იგი შაქის ხანად დანიშნეს და ცოლად შერთეს შაჰ აბასის ძმის საამ-მირზას ასული⁴. შაქში, კახეთის საზღვართან მჯდომ იესეს ყოველთვის შეეძლო ალექსანდრეს საწინააღმდეგო საქმიანობის გაჩაღება.

ალექსანდრე მეფეს არც ოსმალები ეპრიანებოდა. იგი თავისი სამეფოს სრული დამოუკიდებლობისათვის იღწვოდა. ლალა ფაშამ

1 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 75-76

2 Minadoi, p. 86.

3 Ibidem, p. 47.

4 ისქანდერ მუნში, გვ. 30.

1 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 42.

2 ქართლის ცხოვრება. IV, გვ. 578.

3 Minadoi, p. 86; Don Juan de Persia, p. 68r.

4 ისქანდერ მუნში იესეს შეცდომით ალი-ხანს ეძახის. ისქანდერ მუნში, გვ. 28; Dorn B., Erster Beitrag zur Geschichte der Georgien, St.-Peterburg, 1845, S.20.

იცოდა კახთა მეფის ამგვარი განწყობილება. მინადოს თქმით, ლალა ფაშამ სულთანს მისწერა, რომ ალექსანდრემ სულთნის ჯარი კარგად მიიღო თავის სამფლობელოებში და ისიც აცნობა, ხმა დადის თურქ მეფურაჟებსა და ჯარზე თავდასხმებში მისი ხელი უნდა ერიოსო¹.

ალექსანდრემ, როგორც გამჭრიახმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და შირვანში ლაშქრობიდან სარგებლის მიღება განიზრახა. ამის შესახებ აღნიშნავს ანონიმი ვენეციელი: მეფე ალექსანდრემ ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ ლალა ფაშას სთხოვა მისთვის მიეცა ცხენოსანთა რაზმი, რათა ანგარიში გაესწორებინა თავისი მტრისათვის, შაქის გამგებლისათვის. ლალა ფაშამ დააკმაყოფილა ალექსანდრეს თხოვნა და 1200 მხედარი მისცა². რა თქმა უნდა, ლალა ფაშას ეცოდინებოდა, რომ შაქის გამგებელი კახთა მეფის უფროსი ძმა, ყიზილბაშების მიერ აღზევებული იესე – ისა-ხანი იყო. იბრაჰიმ ფეჩევი ისე წარმოგვიდგენს ალექსანდრეს შაქზე გალაშქრებას, როგორც ლალა ფაშას დავალების შესრულებას, თუმცა მოკლედ, მაგრამ ისევე აგვიწერს ოსმალთა ლაშქრობას შაქზე (წყალდიდობა, გზის სირთულე), როგორც ანონიმი ვენეციელი³. ანონიმი დამატებით გვამცნობს, რომ შაქის გამგებელმა გაქცევით უშველა თავს, გარნიზონი და ქალაქი კი ბედის ანაბარა მიატოვა⁴.

იგივე ამბავს საკმაოდ განსხვავებულად გადმოგვცემს ალი: ალექსანდრე მეფე და მასთან ერთად გაგზავნილი სანჯაყბეგები (მირზა ალი-ბეი და ახმედ-ბეი), როცა შაქის მისადგომებთან მივიდნენ, ქალაქის გამგებელი აჰმედ ხანი (სხვა წყაროებით – იესე, იგივე ისა-ხანი) აზერბაიჯანში გაიქცა. ქართველ-ოსმალთა ჯარმა ქალაქი უბრძოლველად დაიკავა. ქალაქის დაპყრობისთანავე მისი გამგებლობა მუსტაფა ფაშამ ალექსანდრეს ვაჟს ერეკლეს უბოძა. ლალა ფაშამ შირვანი და არეში დაიპყრო. აღმოსავ-

ლეთ ამიერკავკასიაში დაპყრობილი ოლქების გამგებლობა ოსმან ფაშას ჩააბარა და შაქში წავიდა შესახვედრად მეფე ალექსანდრესთან, რომელმაც ეს ქალაქი აიღო. მაგრამ ლალა ფაშას მეფე იქ აღარ დახვდა. სარდალს მოახსენეს, რომ მეფე კახეთში (ზაგემში) დაბრუნდა¹. სამაგიეროდ შაქში იმყოფებოდა ალექსანდრეს ვაჟი ერეკლე (**Imrese**). ლალა ფაშამ „ერეკლე დანიშნა ამ ქალაქის სანჯაყად და წელიწადში 10 ათასი ცეხინი დაუნიშნა ჯამაგირად“². ანონიმი ვენეციელის ეს ცნობა ოსმალური დოკუმენტური წყაროებითაც დასტურდება³. იბრაჰიმ ფეჩევიც აღნიშნავს ერეკლეს შაქში მისვლას ლალა მუსტაფა ფაშასთან და ამ ფაქტის შემდეგნაირ ახსნას იძლევა: „მამის (ალექსანდრეს – ე. მ.) მიერ გაწეული სამსახურის სანუქფოდ ეს ეძლეოდა ებოძა და დაენიშნა ლევანის ძეს ერეკლე მირზას. მას შემდეგ რაც ყადი და ციხისთავი დანიშნა და სხვა საჭირო მასალა მოამზადა, იგი (ეძალეთი) საფადიშაჰო სახელმწიფოს შეუერთეს“⁴.

ოსმალეთის დივანის გადაწყვეტილებით, დაპყრობილ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა 4 საბეგლარბეგო: 1. შირვანის ეიალეთი 2 მილიონი ახჩით გადაეცა ოზდემირ-ოღლუ ოსმან-ფაშას. 2. თბილისი 1 მილიონი ახჩის წლიური შემოსავლით მის ბეგლარბეგს ფერჰჯად-ფაშას. 3. გურჯისტანის საბეგლარბეგო ოჯაკლიკის სახით გადაეცა ლევან-ხანის ძეს ალექსანდრე-ხანს (ალექსანდრე II). 4. სოხუმის საბეგლარბეგო 800 ათასი ახჩით გადაეცა ჰაიდერ-ფაშას⁵.

შირვანის საბეგლარბეგო, თავის მხრივ ადმინისტრაციულად

1 იქვე, გვ. 32. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ალექსანდრე მეფე ლალა ფაშას ახლდა შირვანში ლაშქრობაში. ლალა ფაშა „მერმე უკუმოიქცა, შემოვლო მტკურის პირი და მიჰყვა ალექსანდრე არაგუამდე, მერმე გამოუტევა ალექსანდრე და მივიდა კახეთს მშკლობით“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 578). ვახუშტის მონათხრობი სინამდვილეს არ ასახავს.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 32.

3 სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 116.

4 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 44. ოსმალთა ისტორიკოსს ერეკლე ლევან მეფის ვაჟი ჰგონია. ოსმალების მიერ შაქში გატარებულ ღონისძიებებზე გადმოგვცემს ალიც. იხ. **Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 81.**

5 **Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 86.**

1 Minadoi, p. 105

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 25.

3 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 44.

4 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 25. საყურადღებოა, რომ ჯოვანი მიქელი არაფერს ამბობს ალექსანდრეს შაქში ლაშქრობაზე.

დაიყო 13 სანჯაყად. მეთერთმეტე იყო შაქის სანჯაყი, რომელიც გადაეცა ერეკლე ალექსანდრე II-ის ძეს¹.

ქართული ნარატიული ლიტერატურიდან ჩანს, რომ ერეკლე უფლისწული თავიდანვე ოსმალური ორიენტაციისა იყო² და შემთხვევით არ უნდა მისულიყო შაქში ლალა ფაშასთან. ის ხომ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით 1574 წელს გაქცეულა სტამბოლში³. თუ მოვლენების შემდგომ განვითარებას გავითვალისწინებთ, საფიქრებელია, რომ ერეკლე მამის სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა, მაგრამ ალექსანდრე ამას ხმამაღლა ვერ იტყოდა, შვილს იმის გამო ვერ დასძრახავდა, რომ ის ოსმალებთან კარგ ურთიერთობაში იყო. ლალა ფაშას ეცოდინებოდა მამა-შვილის ასეთი ურთიერთ დამოკიდებულება და, ალბათ, ამიტომაც არ გაჰკვირვებია ალექსანდრეს მიერ შაქის მიტოვება და კახეთში დაბრუნება. ალექსანდრეს არც ის ესიამოვნებოდა, რომ მის მიერ დაპყრობილი შაქის სანჯაყებგად ლალა ფაშამ ერეკლე დანიშნა, ხოლო თვით შაქი კი ოსმალების სამფლობელოებს შეუერთა. ლალა მუსტაფა ფაშას, როგორც ჩანს აფიქრებდა კახეთის სამეფოს რეაქცია შაქის სანჯაყებგად ერეკლეს დანიშვნის გამო.

ლალა ფაშამ ერეკლეს სახით ოსმალების მოხელე დანიშნა, რომელიც ჯამაგირს ოსმალების ხაზინიდან იღებდა. ერეკლე მამისაგან დამოუკიდებელი ხდებოდა იმის გამოც, რომ ლალა ფაშამ შაქი კახეთს კი არ დაუბრუნებია, არამედ შირვანის საბეგლარბეგოს⁴. ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული მისი ბრძანება, რომ ქართველებს ეკრძალებოდათ შირვანის ტერიტორიაზე თავდასხმა, მოსახლეობის ძარცვა-ხოცვა⁵. შაქის სანჯაყი ხომ შირვანის საბეგლარბეგოში შედიოდა. მაგრამ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ერეკლეს ეს თანამდებობა ჩამოართვეს. ოფიციალურად ერეკლეს გადაყენება მოხდა იმის გამო, რომ ოსმალებს მიემხრო

შექის ერთ-ერთი მმართველის შვილი მირზა ომარი, რომელიც დანიშნეს შექის სანჯაყებგად¹. სავარაუდოა, ერეკლეს შაქიდან მოცილება მოხდა ალექსანდრეს კახთა მეფის მოთხოვნით, ან მოთხოვნის გარეშე, მაგრამ მისი სურვილის გათვალისწინებით. თუმცა ალექსანდრეს ოსმალებისადმი დამოკიდებულებაში უკვე აღარაფერი შეიცვალა, რაზეც მიგვანიშნებს შემდგომი პერიოდის მოვლენები.

შირვან-აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ (1578 წლის 8 ოქტომბერი), ლალა ფაშამ საქართველოზე გავლით არზრუმში დაბრუნება გადაწყვიტა და კახეთისაკენ გამობრუნდა. მან რამდენიმე შიკრიკი გაგზავნა ალექსანდრე მეფესთან, რათა მას სურსათსანოვანე მოემზადებინა ოსმალების ჯარის საჭიროებისათვის².

კახეთის საზღვართან მიახლოებულ ოსმალთა ჯარს ალექსანდრემ თავისი ხალხი შეაგება პირუტყვით, პურით, ხილითა და სხვა პროდუქტებით. კახელებმა თავიანთი მეფის სახელით ბოდიში მოიხადეს, რომ იგი ავადმყოფობის გამო პირადად ვერ მიეგება ლალა ფაშას³. ალბათ, ალექსანდრეს ასე სურდა გამოეხატა თავისი უკმაყოფილება ლალა ფაშას მიერ შაქში გატარებული ღონისძიებების გამო. სარდალს სხვა გზა არ ჰქონდა, ალექსანდრეს ძღვნითა და ბოდიშით უნდა დაკმაყოფილებულიყო. რათა კახეთის სამეფოსთან ურთიერთობა კიდევ მეტად არ გამწვავებულიყო, იგი სიკვდილით დასჯით დაემუქრა თავის მეომრებს: „ეკრძალებათ ალექსანდრეს ქვეყანაში ვისიმე სიმშვიდის დარღვევა, რომ ყოველი თქვენთაგანი თავაზიანი და ზრდილობიანი უნდა იყოს“⁴. ლალა ფაშამ ალექსანდრეს ხალხიდან გამცილებლები აიყვანა, ზაგემს სამხრეთით გაუარა და თბილისისაკენ პირდაპირი გზით გაემუშრა⁵. მიუხედავად მკაცრი გაფრთხილებისა, ოსმალთა ჯარისკაცებმა კახეთის სოფლებზე გავლისას, მაინც „გენერლის უნებართვოდ ხელთ იგდეს მონები, პირუტყვი და გადაწვეს ასამდე

1 Там же, с. 86-87.

2 „ხოლო ძე მისი ერეკლე გაუარშივდა ალექსანდრეს და წარვიდა სტამბოლს“. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 370; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 576.

3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 576.

4 სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

5 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 91.

1 Там же, с. 92.

2 Alberi, Op. cit., II, p. 454.

3 Minadoi, p. 99.

4 Alberi, Op. cit., II, p. 455; Minadoi, p. 99.

5 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 33.

სოფელი“. ლალა ფაშამ მოგვიანებით გაიგო ამის შესახებ და ბრძანა მთავარი დამნაშავეები მოეძებნათ და ჩამოეხრჩოთ. ალექსანდრემ ლალა ფაშას მისწერა, მომხდარის გამო ნუ შეწუხდებოდა, რადგან ომს ახლავს ამგვარი არასასიამოვნო მოვლენები. შემდგომში აღსდგება გადამწვარი სოფლები. „გენერალმა უპასუხა, რომ მას არავისთვის მიუცია ამის ნება. მან მრავალი საჩუქარი გაუგზავნა მეფეს, მის ცოლსა და შვილებს – ვაჟებსა და ქალებს“¹. როცა კახელმა მეგზურებმა ოსმალთა ჯარი მოკლეს და მშვიდობიანი გზით თბილისთან მიიყვანეს, ლალა ფაშამ ისინიც დიდად დაასაჩუქრა და უკან გაისტუმრა².

* * *

1578 წლის 26 ნოემბერს ლალა ფაშა თბილისში დაბრუნდა³. ოსმალთა გარნიზონი შიმშილისაგან იმდენად უკიდურესობამდე იყო მიღწეული, რომ ძაღლისა და კატის ხორციც იკვებებოდა. ავადმყოფობას ბევრისათვის მუსრი გაეწყო. როგორც მინალოის შეუტყვია, ოსმალთა გარნიზონი ასეთ მდგომარეობაში იმითომ აღმოჩნდა, რომ ჯარისკაცები ქართველების შიშით ვერ ბედავდნენ ქალაქიდან გასვლას და სურსათ-სანოვანის მოპოვებას⁴.

ლალა ფაშა თბილისში ოთხი დღე დარჩა. მან ჯარი გაუსია თბილისის ახლომდებარე სოფლებს და საშინლად აიკლო, გარნიზონი სურსათით და ფულით მოამარაგა⁵. 24 ოქტომბერს დაიწყო ძლიერი გრივალა, რომელმაც ოსმალების მგზავრობა შეაფერხა. დიდი თოვლის მოსვლის მიუხედავად, ჯარმა გზა გააგრძელა. შიმშილისა და სიცივის გამო თბილისიდან გორამდე მრავალი ჯარისკაცი დაიღუპა⁶. გორის სანჯაყბეგმა ლალა ფაშას შესჩივლა, რომ

ქართლის მეფე, თბილისის ადრინდელი მფლობელი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სპარსეთში ტყვეობაში იყო, ეხლა შაჰმა გაანთავისუფლა, თავი შეფარებული აქვს მაღალ მთებში, საიდანაც დიდ ზიანს აყენებს თურქებსა და მათ მოკავშირეებს¹. ლალა ფაშა იძულებული გახდა მთელი თავისი ჯარით სამი დღე გორთან გაჩერებულიყო და სვიმონ მეფის წინააღმდეგ ცხენოსანი რაზმები გაეგზავნა, მაგრამ ოსმალებმა ვერც მეფეს და ვერც მის რაზმებს ვერ მიაგნეს.

ალი-ეფენდის თქმით, გორში მოვიდა იმერეთის მეფე გიორგი II-ის ძმა მამია და მორჩილება გამოაცხადა². აქვე მოვიდა კახეთის მეფის კაცი სახელად ემინ-ალა³, მაგრამ ალი-ეფენდი არაფერს ამბობს ამ უკანასკნელის ლალა ფაშასთან ვიზიტის მიზანზე. სავარაუდოა, ალექსანდრე მეფეს რაღაც პრეტენზიები ჰქონდა ოსმალების მიმართ და ამიტომ უნდა გაეგზავნა სარდალს მისთვის „საამური“ წერილი. ლალა მუსტაფა ფაშა კახეთის მეფეს მისწერა, თბილისის ბეგლარბეგის აჰმედ-ფაშის რაზმების და სიფაზიების, ზიამების და თბილისის დასაცავად დატოვებული სხვა ჯარისკაცების რაზმების გაერთიანების აუცილებლობაზე. მან ალექსანდრეს სთხოვა, აგრეთვე, ყოველი ღონე ეხმარა დაუდხანის ოსმალებისადმი მორჩილებაზე დასაყოლიებლად. სარდალმა გორის სანჯაყბეგად დანიშნა ჰუსეინ-ბეგი და არზრუმისკენ განაგრძო გზა⁴. ოსმალთა ჯარის არიერგარდი თითქმის მუდმივად განიცდიდა სვიმონ მეფის რაზმების თავდასხმას. ოსმალებმა ქართლში დიდი ზარალი განიცადეს. სვიმონ მეფემ ლალა ფაშას 5 ათასზე მეტი მებრძოლი მოუკლა, მოსტაცა არკებულებით დატვირთული მრავალი აქლემი, ფული, სურსათ-სანოვანა და სხვ.⁵ მინალოის გადმოცემითაც, თბილისიდან გასული ოსმალთა ლაშქარი ქართველთა რაზმების მუდმივ თავდასხმებს განიცდიდა. მინალოის, ნათქ-

1 Minadoi, p. 99.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 33.

3 Minadoi, p. 99-100.

4 Ibidem, p. 100.

5 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 93; Minadoi, p. 100.

6 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 33.

1 იქვე.

2 მ. სვანიძის გამოკვლევით მამია გიორგი მეფის შვილი იყო და არა ძმა. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 142.

3 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 93.

4 Там же.

5 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 33-34.

ვამის საილუსტრაციოდ, ორიოდ მაგალითიც მოჰყავს. მისი მონათხრობიდანაც ჩანს, რომ ყველა ამ რაზმების მოქმედების კოორდინაციას სვიმონ მეფე ახდენდა. მეფის მიერ ოსმალებისათვის მიყენებულ დიდ ზარალზე გადმოგვცემს ალიც. მისი თქმით ოსმალების არზრუმში დაბრუნება, სინამდვილეში უწესრიგო უკანდახევაში გადაიზარდა. ოსმალების ჯარის სარდალი აწყურში გაჩერდა. აქ მუსტაფა ფაშასთან შესახვედრად მოვიდა ყვარყვარე ათაბაგისა და მანუჩარის დედა დედისიმედი¹. სარდალმა აქვე მიიღო სვიმონ მეფის წერილი, რომელიც აცნობებდა, რომ თუ გორის (ე. ი. შიდა ქართლის) მმართველად დანიშნავდა, მაშინ ოსმალების მხარეს გადავიდოდა. სარდალმა უარით უპასუხა, იმ მოტივით, რომ გორის გამგებელი უკვე დანიშნული იყო².

ოქტომბრის დამდეგს³ ლალა ფაშა მანუჩარის სამფლობელოში შევიდა, ჯაყელთა ოჯახის წევრებთან მოლაპარაკების შემდეგ, ყვარყვარე IV და მანუჩარი, სტამბოლში გააგზავნა და იმავე წლის 21 დეკემბერს უკვე არზრუმში იყო⁴. არ ვიცი რამდენად შეეფერება ალი-ეფენდის ეს ცნობა (სვიმონ მეფის წერილის შესახებ) სინამდვილეს, მაგრამ თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ ლალა ფაშას სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე. მან ჯეროვნად ვერ შეაფასა ირანის ტყვეობიდან ახლად დაბრუნებული სვიმონ მეფის პიროვნება და მისი შესაძლებლობები და უპირატესობა მის ძმა დაუდ-ხანთან ურთიერთობის მოგვევარებას მიანიჭა, რომლის პარტიზანული ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ სახეზე იყო.

1578-1579 წლების მიჯნაზე ყიზილბაშებმა ისარგებლეს ოსმალთა ძირითადი შეიარაღებული ძალების ამიერკავკასიიდან გასვლით და დაიწყეს უმნიშვნელოვანეს ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებულ ოსმალთა გარნიზონებზე თავდასხმები. მათ აიღეს არეში და შირვანის გამგებელ ოსმან ფაშას შეუტყვეს. 25 ათასმა ყიზილბაშმა წარმატებას მიაღწია⁵. საფრანგეთის მეფეს, როგორც

თავისი აგენტი 1579 წლის 16 იანვარს აცნობებდა, ოსმან ფაშამ დახმარება სთხოვა კახეთის მეფე ალექსანდრეს, რომელსაც ევალებოდა, საჭიროების შემთხვევაში ჯეროვანი დახმარება აღმოეჩინა შირვანში მყოფი ოსმალებისათვის. ალექსანდრეს მეთაურობით მისულმა კახელთა რაზმებმა საქმეს ვერ უშველეს¹. მხოლოდ ყირიმის ხანის მეჭმედ გირეის 40 ათასიანი ჯარის მისვლამ იხსნა ოსმან-ფაშა. ყიზილბაშები დამარცხდნენ და სერიოზული დანაკლისით უკან დაიხიეს². გამარჯვებულებმა დიდი ნადავლი იგდეს ხელთ. ამის შემდეგ ყირიმის ხანის ჯარის ერთი ნაწილი უკან გაბრუნდა, ხოლო მეორე ნაწილი კი – 15 ათასი კაცი, ხანის ძმების – ლაზი გირეისა და ადილ გირეის მეთაურობით, ოსმან ფაშასთან დარჩა, მაგრამ ყიზილბაშებთან ბრძოლაში დამარცხდნენ³.

ლალა მუსტაფა ფაშა შემდეგი წლის კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით სხვადასხვა გეგმებს სახავდა. მართალია, მან სულთან მურად III-ს გასულ წელს ამიერკავკასიაში წარმოებული სამხედრო ოპერაციები ისე დაუსახა, თითქოს იქ ადგილობრივი მოსახლეობა საბოლოოდ დამორჩილებული იყო, სინამდვილეში, საქართველოსა და შირვანში ჩაყენებულ გარნიზონებს ქართველები და ყიზილბაშები ძლიერ ავიწროებდნენ. ვითარება ოსმალებისათვის სულ უფრო იძაბებოდა. ალი-ეფენდის თქმით თბილისის ციხეში მხოლოდ 500 კაცი დარჩა. დამცველებმა დახმარებისათვის ლალა მუსტაფა ფაშას მიმართეს, მაგრამ მან ამის გაკეთება ვერ შესძლო, ქართველები მოლაპარაკების წინააღმდეგნი იყვნენ. მათ გადაკეტეს თბილისის ციხესთან მისასვლელი ყველა გზა. სარდლის ყველა ცდა მირზა ალი-ბეგის საშუალებით შეეტანათ სურსათ-სანოვაგე, წარუმატებლად დამთავრდა. იმავე დროს იმამყული-ხანის 10 ათასიანი არმია მოვიდა ქართველთა დასახმარებლად და ოთხი თვის განმავლობაში ალყაში ჰყავდათ თბილისი. ოსმალებს დაუთავრ-

ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, 1968, გვ. 139.

1 Charrière, III, p. 775.

2 Ibidem, p. 775; შენგელია ნ. ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები, გვ. 139

3 შენგელია ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 140.

1 დაწვრ. იხ. ქვემოთ.

2 Фарзалнев А. М. оглы, Ук. труд, с. 94.

3 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 50.

4 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 34

5 შენგელია ნ., ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა

დათ პროდუქტი. მათ დაიწვეს ცხენის, აქლემის, ჯორის ხორცის ჭამა. გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ქალაქის ჩაბარებას მოითხოვდნენ, მაგრამ ისინი მტკვარში გადაყარეს. ოთხი თვის ბოლოს თბილისში სურსათი თითქმის აღარ იყო. 1 ქილა ხორბალი ღირდა 1000 ახჩა, 1 ქილა ქერი – 500, აქლემი – 20 ათასი, საფორანე ცხენი – 10 ათასი, ვირი – 7 ათასი ღირხემი, ძაღლი – 2 ათასი ახჩა¹.

კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილი თბილისის დასახმარებლად მუსტაფა ფაშამ 12 ათასიანი ლაშქრითა და დიდძალი სურსათით ზულყადრის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა გაგზავნა. მან იმდენი შესძლო, რომ თბილისი ალყისაგან გაანთავისუფლა და გარდაუვალ დალუპვას გადაარჩინა თბილისის გამგებელი მეჰმედ ფაშა და თბილისის ციხის 500 დამცველი. მან ციტადელის მეთაურად დანიშნა ჩერქეზი კასიმ ბეი. მისი მეთაურობის ქვეშ გადავიდა სემენდერ ბეგის, არაბკერის მმართველის სინან ბეგის, ჩორუმის ბეგის დივანე ბეკირ ბეგის რაზმები და სიფაჰთა 500 კაცი. მაგრამ მალე ქართველ-ყიზილბაშთა თავდასხმის შიშით სემენდერ ბეგმა თავისი ჯარით დატოვა ციხე და მცირე ხანში ჩერქეზი კასიმ ბეგის განკარგულებაში მხოლოდ 50 კაცი დარჩა, როცა ლალა მუსტაფა ფაშამ ამის შესახებ შეიტყო, სასწრაფოდ გაგზავნა აჰმედ ფაშა სურსათ-სანოვავით. როცა აჰმედ ფაშამ დმანისის ვიწრობებს მიაღწია, მის ჯარს თავს დაესხნენ სვიმონ მეფისა და იმამ ყული-ხანის რაზმები. დაჭრილმა აჰმედ ფაშამ გაქცევით უშველა თავს. მისი მეომრების დიდი ნაწილი დაიღუპა, ხოლო სურსათი ქართველებსა და ყიზილბაშებს ჩაუვარდათ ხელში².

ლალა მუსტაფა ფაშამ განიზრახა თბილისის დამცველთა შევსება და სურსათი გაეგზავნა. ამგვარი დავალების შესრულებაზე უარი სთქვეს დიარბექირის ბეგლარბეგმა ბეჰრემ ფაშამ და სხვა ფაშებმა. ბოლოს საექსპედიციო ჯარის მეთაურად დანიშნა დამასკოს ბეგლარბეგი ჰუსეინ ფაშა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებს ეეჭვებოდათ ალყაშემორტყმული თბილისის შენარჩუნება,

მანც გამგებლად დანიშნა აჰმედ ფაშა. იგი ცნობილი იყო როგორც ჰაჯი ბინ-ზადე. ბაჰრამ ფაშა, რომელმაც უარი თქვა თბილისის დამცველთა დასახმარებლად წასვლაზე, თანამდებობიდან გადააყენეს და დიარბექირის ბეგლარბეგად დანიშნა რიზვან ფაშა. იგი ჰუსეინ ფაშასთან და ქურთთა რაზმებთან ერთად წავიდა საქართველოში. ქართველთ განუწყვეტელი თავდასხმების მიუხედავად, ოსმალთა ჯარი მეთე დღეს თბილისის კედლებთან მივიდა, დატოვა სურსათი და დროის იმავე მონაკვეთში ყარსში დაბრუნდა. იქვე მიიღეს ცნობა, რომ მუსტაფა ფაშას ჯარი, რომელიც ადრე გაიგზავნა თბილისის დასახმარებლად და სვიმონ მეფისა და იმამ ყული-ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად, განადგურდა. როცა იგი თბილისთან მივიდა და იქვე დაბანაკდა, ჯარმა ქართული სოფლების ძარცვას მიჰყო ხელი. მუსტაფა ფაშამ ვერ გაბედა ქართველებთან და ყიზილბაშებთან შებმა და ყარსის მიმართულებით გაბრუნდა. ოსმალებს თავს დაესხნენ ქართველები და გაანადგურეს¹.

სულთანმა ყირიმის ხანს მეჰმედ გირეის დაავალა თავისი ჯარით წასულიყო ამიერკავკასიაში და ოსმალთა ჯარს დახმარებოდა. არსებობდა ომის განახლების მეორე გეგმაც, რომელიც თავრიზზე შეტევას ითვალისწინებდა. მაგრამ ეს გეგმა ანგარიშგასაწევ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული. გზის სირთულესთან ერთად სავარაუდო იყო ჯარის სიფათში ჩავარდნის საშიშროება. ამ მხრივ სულთნის კარს განსაკუთრებით აფიქრებდა საქართველოს საკითხი. მინადოის თანახმად, სულთანი „შორს იყო იმ აზრისაგან, რომ საქართველოზე დაყრდნობა შეიძლებოდა, განსაკუთრებით დაუდის მზაკვრობისა და სვიმონის მოსვლისა ეშინოდა, რადგან ხომ შეიძლება, როდესაც ლაშქარი თავრიზისაკენ გაემურობა, მაშინ მას ორივე მხრიდან დაარტყან ქართველებმა და სპარსელებმა?“² სულთანმა ლალა ფაშას წერილობით დაავალა, რომ არზრუმიდან საქართველოსკენ მიმავალ გზაზე ციხე-სიმაგრეების ასაშენებლად ყველაფერი მოემარაგებინა, რათა გაზაფხულზე

1 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 120.

2 Там же, с. 121.

1 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 122.

2 Minadoi, p. 123.

დაეწყო ფართო შეტევა საქართველოზე¹. ლალა ფაშამ მთელი მონღოლებით მოჰკიდა ხელი სამხადისს და ოსმალთა ყველა სამფლობელოში განკარგულებები გაგზავნა მშენებლობის ოსტატების შესაკრებად, დიდძალი თანხების შეგროვებაც დაიწყო². არზრუმში თავს იყრიდა ახალ-ახალი ძალები. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ლალა ფაშა გადამწყვეტი ლაშქრობისათვის ემზადებოდა.

1579 წლის დასაწყისში, ანონიმი ვენეციელის რელაციის მიხედვით, მთავარსარდალმა არზრუმში შემაშფოთებელი წერილი მიიღო. თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა აცნობებდა, რომ 40 ათასმა ყიზილბაშმა ყარახანის მეთაურობით, ალყა შემოარტყეს ქალაქს და თუ დროზე არ დაეხმარებოდნენ, გარნიზონი შიმშილით დაიღუპებოდა³. წერილში ნათქვამი იყო, რომ ასეთივე მდგომარეობა იყო გორშიც, რომელიც სვიმონმა ალყაში მოაქცია⁴.

ლალა ფაშამ სასწრაფოდ გაგზავნა ორი ათასი მხედარი თბილისისა და გორის დასახმარებლად, მაგრამ დიდი თოვლის გამო მათ ვერ შესძლეს დანიშნულების ადგილამდე მისვლა და იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ლალა ფაშამ მხოლოდ წერილის გაგზავნა შეძლო, რომლითაც განსაცდელში ჩავარდნილებს ამხნევებდა და სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა.

ბოლოს და ბოლოს შიმშილმა და ქართველების სისეტემატურმა თავდასხმებმა თავისი გაიტანა და გორის ოსმალთა გარნიზონი დანებდა. სვიმონ მეფის ბრძანებით, ციხისთავის გარდა ყველა დახოცეს, ციხისთავი შიკრიკივით შემოსეს, უყურებო და უკუღო

1 *Ibidem*, p. 123-124.

2 *Ibidem*, p. 124.

3 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 36. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ყიზილბაშთა სარდალი იმამყული-ხანი იყო და 10 ათასი მეომარი ჰყავდა (გვ. 54). პეტრო ბიძაროს თქმით, ამ დროს სვიმონი დაბრუნდა ირანიდან, მასთან ერთად მოვიდა 6-7 ათასიანი ჯარი ალიყული-ხანის მეთაურობით. მათ დაევალოთ საქართველოში შემაჯავალი ხეობის ჩაკეტვა, რათა ოსმალები იქ არ შესულიყვნენ (**Bizarus P., Op. cit., p. 635**).

4 ფარსადან გორგიჯანიძით, თბილისსა და გორს სვიმონ მეფემ შემოარტყა ალყა (ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 223). თურქი ავტორების მიხედვით, სვიმონმა ყიზილბაშებთან ერთად შემოარტყა ალყა თბილისს 1579 წლის 30 მარტს (სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 137).

ჯორზე შესვეს და ლალა ფაშასთან გაგზავნეს მომხდარი ამბის მისატანად. სვიმონმა ციხე მიწასთან გაასწორა. შიდა ქართლის საქმეების მოგვარების შემდეგ, მეფე ყიზილბაშთა დასახმარებლად გაეშურა. მას თბილისთან გაუტარებია მთელი ივნისის თვე¹.

ლალა ფაშა საგონებელში ჩავარდა. მდგომარეობა ქართლში უაღრესად გართულდა. თბილისის სასწრაფო დახმარებას ითხოვდა. პირველ რიგში საჭირო იყო იმის გადაწყვეტა, როგორი სახით დახმარებოდნენ თბილისს. ლალა ფაშა პირადად რომ გაძლოლოდა ჯარს, მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ მან მოატყუა სულთანის მურად III, მთელი საქართველო თქვენი ერთგული და მორჩილიაო². ამიტომ მან 1579 წ. 1 ივლისს საკმაოდ დიდი ჯარი³ გაგზავნა თბილისის დასახმარებლად. ჯარს მიჰქონდა დიდძალი სურსათ-სანოვაგე. 3 ივლისს ლალა ფაშამ გაიარა ჰასან-ყალა და 10-ში ყარსში მივიდა, იქვე დაბანაკდა და ამ ქალაქის გამაგრებას შეუდგა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ყარსის საქართველოსკენ მიმავალი გზის გასაღებად გადაექცია. ყარსი-თბილისის გზის დაცვას, ირან-ოსმალეთის მთელი ომის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, ოსმალებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და ისინი არაფერს ზოგავდნენ, რათა ამ გზით ჯარის გადაყვანა და სურსათის გადატანა შეუფერხებლად განხორციელებულიყო. მაგრამ ოსმალებმა ეს ვერ შეძლეს. ქართლები მოსვენებას არ აძლევდნენ გზად მიმავალ და ციხეებში შეკეტილ ოსმალებს, განუწყვეტლივ ესხმოდნენ მტრის ალალს (ამის ამსხველი ცნობები უზვადაა ევროპულ და აღმოსავლურ წერილობით წყაროებში). იშვიათი არ იყო შიმშილით სიკვდილის შემთხვევები ოსმალთა ჯარში.

1 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 36-37.

2 **Minadoi, p. 133-134.**

3 ოსმალური წყაროებით, ლალა ფაშამ 12 ათასიანი საექსპედიციო კორპუსს სათავეში ზულყადრის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა ჩაუყენა (სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 137). ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ ბაშის მიხედვითაც, ლალა ფაშას 12 ათასიანი კორპუსი გაუგზავნია, მაგრამ სათავეში ედგა მარაშის ბეგლარბეგი მუსტაფა (შენგელია ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 141). ანონიმი ვენეციელის თქმითაც, ჯარის მეთაური ყოფილა მარაშის ბეგლარბეგი, მაგრამ ჯარის რაოდენობა 20 ათასი მხედრითა და 1500 იანიჩრით განისაზღვრებოდა (თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 37). 18-20 ათასი მეომარია მინადოსთანაც (**Minadoi, p. 134**).

მუსტაფა ფაშამ თბილისის გარნიზონი დიდ გაჭირვებაში იხილა: მხოლოდ 700 მეციხოვნე დარჩენილიყო¹. მან გარნიზონი შეავსო, ჩერქეზ კასიმ ბეის მეთაურობით 500 კაცი დატოვა და 17 სექტემბერს ყარსისაკენ გაემურა².

მცირე ხნის შემდეგ ლალა ფაშამ თბილისიდან კვლავ შემაშფოთებელი ცნობა მიიღო. გარნიზონი უარს ამბობდა იქ დარჩენაზე³. გაირკვა, რომ მუსტაფა ფაშას წასვლისთანავე ქართველებმა თბილისს კვლავ ალყა შემოარტყეს, რამაც ქალაქის დამცველებში პანიკა გამოიწვია. ლალა მუსტაფა ფაშას ისიც აშფოთებდა რომ არაფერი ისმოდა აჰმედ ფაშას შესახებ და გადაწყვიტა თბილისში სურსათი კიდევ გაეგზავნა. მან მოამზადა 2 ათასი იუქი სანოვავე და მისი წაღება დაავალა დიარბეჭირის ვალის და ქურთების ბეგებს. მაგრამ დასახელებულმა მოხელეებმა უარი სთქვეს დავალების შესრულებაზე⁴. რა თქმა უნდა, მათი უარი გამოწვეული იყო საქართველოში მოსალოდნელი ხიფათით. ამის შემდეგ ამ ამოცანის შესრულება ლალა ფაშამ დიარბეჭირის ბეგლარბეგს – ბეჰრემ ფაშას და დიდი ვეზირის მეჰმედ სოკოლუს ვაჟს, მარამის ბეგლარბეგს – ჰასან ფაშას დაავალა⁵. ყარსიდან წამოსული დიდი ჯარის შესახებ ქართველებმა და ყიზილბაშებმა 18 სექტემბერს შეიტყვეს. ქართველებს სვიმონ მეფე მეთაურობდა, ყიზილბაშებს – ალი ყული-ხანი. მათი 8 ათასამდე მეზობელი თბილისსა და დმანისს შორის გზას იცავდა, რათა ოსმალებისათვის თბილისის დახმარების საშუალება არ მიეცათ. ისინი ასევე თვალყურს ადევნებდნენ შიმშილით შეწუხებული ოსმალების ქალაქიდან გამოსვლას, რათა მაშინვე გაენადგურებინათ⁶.

მზვერავებმა სვიმონ მეფეს და ალი ყული-ხანს აცნობეს, რომ ოსმალების ჯარი დმანისისაკენ მიემართებოდა და მაშინვე მტერს

დმანისის ხეობაში ჩაუსაფრდნენ. მოკავშირეებმა, თავდაპირველად, სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს, მრავალი მტერი გაანადგურეს და დიდი ნადავლიც ხელთ იგდეს. მაგრამ მესამე დღეს, როცა ისინი ხელახლა თავს დაესხნენ მტერს, გარემოცვაში აღმოჩნდნენ და სერიოზული ზარალი განიცადეს. ოსმალებმა ალი ყული-ხანი დაატყვევეს და სექტემბრის ბოლოს დაუბრკოლებლად თბილისს მიაღწიეს, სადაც საშინელი მდგომარეობა დახვდათ: „ბევრი მომკვდარიყო. შიმშილმა ისინი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ სჭამდნენ არა მხოლოდ მდარე ხარისხის ცხენის ხორცს, არამედ ცხენებისა და ცხვრების ტყავებსა და ძაღლებს“¹.

ჰასან ფაშამ თბილისში მდგომარეობა მოაწესრიგა, გარნიზონის მოთხოვნით თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა გადააყენა და მის ადგილას დანიშნა ჰაჯი ბეგი ზიად აჰმად ფაშა. ამის შემდეგ იგი იმავე დმანისის გზით ყარსისაკენ წავიდა. როცა დმანისის ხეობას მიუახლოვდა, მოწინავე რაზმებმა აცნობეს, რომ სვიმონ მეფეს ძლიერი არტილერიითა და საკმაოდ დიდი ჯარით ხეობის ყელი გადაუკეტია. ჰასან ფაშამ შებრძოლება ვერ გაბედა და ალი ყული-ხანს თავისუფლების მინიჭებას დაჰპირდა თუ ის უხიფათო გზას ასწავლიდა. ყიზილბაში სარდლის გამცემლობის წყალობით ოსმალთა ჯარის ძირითადმა ნაწილმა მშვიდობიანად დააღწია თავი. სვიმონ მეფე მაინც დაეწია მტრის არიერგარდს და გაანადგურა. მან ხელთ იგდო მრავალი ტყვე, ცხენები და თბილისიდან წამოღებული მთელი ხაზინა².

თვალს რომ გადავავლებთ 1579 წელს კავკასიაში ოსმალების საომარ ოპერაციებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ გაჭირვებით შეძლეს პოზიციების შენარჩუნება. დაიწყო ზამთარი და სულთნის კარზე დარწმუნებით არავინ იცოდა, საქართველოსა და აღმოსავლეთ ამირკავკასიაში ოსმალთა გარნიზონები შეძლებდნენ თუ არა თავის გატანას. როგორც 1578 წლის შემოდგომაზე, ისე ახლაც, სულთნის ბრძანების თანახმად, 1579 წლის ოქტომბერში ყირიმის ხანის მეჰმედ გირეის ჯარი შირვანში შეიჭრა და დაეხმარა შირ-

1 Ibidem, p. 137.

2 Ibidem, p. 138-140.

1 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 57.

2 სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 138.

3 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 38.

4 შენგელია ნ., სოლაქ-ზადე საქართველოს შესახებ. „წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1973, გვ. 114.

5 სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 138

6 Minadoi, p.

ვანისა და ნახჭევანის გამგებელს – ოსმან ფაშას. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ყირიმის ხანის ჯარის შესვლა მაშინვე აცნობეს ლალა ფაშას. მაცნეს უთქვამს, რომ ყირიმის ხანი თავისი ოთხი ძმით, ვაჟიშვილითა და 200 ათასი ცხენოსნით შირვანის სამეფოში მივიდა. იმათგან 50 ათასი გაგზვნა კახეთის მეფე ალექსანდრეს სამფლობელოებში ქალაქ ზაგემის გასამარცხად. ყირიმის ხანის ამგვარი მოქმედების მიზეზი ის ყოფილა, რომ როცა, სპარსელებისაგან გარემოცულმა ოსმან ფაშამ კახთა მეფეს დახმარება სთხოვა, მან უარი შეუთვალა და განუცხადა: „აღარ სურდა თურქების მოკავშირეობა, სპარსელები უკეთესნი არიან“¹.

1579 წლის ოქტომბრის დასაწყისში ყირიმის ხანის, დარუბანდის გზით, შირვანში შესვლა, სხვა ავტორებთანაც დასტურდება. ისინი ყირიმის ხანის ჯარის რაოდენობას 10 ათასი კაცით განსზღვრავენ². მაგრამ იმის მსგავსი ცნობა, რომელიც ანონიმმა ვენეციელმა კახეთის სამეფოსთან დაკავშირებით დავიგოვია, სხვა წყაროებში არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, ანონიმის ცნობა მაინც სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. ჩემი აზრით, იგი შეიცავს სინამდვილის ელემენტს. არ ვიცი სხვა შემთხვევა, გარდა ერთისა (1579 წ. დასაწყისი), როდესაც ოსმან ფაშამ ალექსანდრე კახთა მეფეს სთხოვა და კიდევ მიიღო დახმარება³. შეიძლება ვარაუდი, ოსმან ფაშამ შემდეგშიც მიმართა ალექსანდრე კახთა მეფეს, მაგრამ ის ისე უხალისოდ და მცირედ დაეხმარა, რომ მას დახმარებაზე უარის თქმად ჩაუთვალეს. როგორც ზემომოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, ყირიმის ხანი კახეთის წინააღმდეგ ოსმან ფაშას წაუქეზებია. ოსმან ფაშა შირვანში იყო ფეხმოუცვლელად და, ალბათ, მას გარკვეული ცნობები ექნებოდა ალექსანდრე მეფის ანტიოსმალურ განწყობილებაზე. ახლა, როცა მას საშუალება მიეცა, თათართა ხანის ხელით შური ეძია, გამოიყენა კიდევ ეს მომენტი. თავისი მთელი რიგი წარუმატებლობის მიზეზად კახელებისგან დახმარების არ გაწევაც დასახელდებოდა. ლალა

მუსტაფა ფაშამ ისე დაასრულა 1579 წლის საომარი ოპერაციები, რომ ძლივს შეძლო ქართლსა და შირვანში ძველი პოზიციების შენარჩუნება. ქართლის სამეფოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი გიზგიზებდა. ამავე პერიოდში საბოლოოდ გამოიკვეთა სვიმონ მეფის სახე, როგორც განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურისა. ყოველივე ამის გამო და მესამე ვეზირის ზოჯა სინან ფაშას მცდელობით, სულთან მურად მესამემ 1580 წლის თებერვალში ლალა მუსტაფა ფაშა გადააყენა და მესამე ვეზირი სინან ფაშა აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა. მალე ის ღიდავიზირიც გახდა.

ოსმალებს ესმოდათ, რომ სვიმონ მეფეს საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში მტკიცე დასაყრდენი ჰქონდა. ოსმალების მთავრობამ გადაწყვიტა ქართლში წინააღმდეგობის შესასუსტებლად და მეფის ირანელებისაგან ჩამოცილების მიზნით, მის მიმართ დათმობაზე წასულიყო. ნიადაგის მოსინჯვა დაევალა მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელს (სინან ფაშა ჯერ კიდევ არ შესდგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას) ხუსრევ ფაშას. მან ქართლის მეფეს წერილი გაუგზავნა, რომელშიც, საკუთარი მთავრობის სახელით, ბოდიშს იხდოდა ქართლის სამეფოს ჩამორთმევის გამო. სვიმონ მეფე თუ მოითხოვდა „წყალობის ხელშეკრულებას“ და დახმარებას აღმოუჩენდა თბილისში მდგომ ოსმალების ჯარს, მაშინ მას ქართლი „საფადიშაჰო ლივას“ სახით გადაეცემოდა.

მეფე შეთავაზებულ პირობებზე თუ დათანხმდებოდა, მაშინ ის იქნებოდა არა ქართლის მეფე, არამედ ოსმალური პროვინციის – ლივის მოხელე, ფაშა. უფრო მეტიც, თბილისში დარჩებოდა ოსმალთა გარნიზონი. მაშასადამე, ოსმალები ქართლში 1578 წელს გაუქმებული ხელისუფლების აღდგენას არ აპირებდნენ, მაგრამ მზად იყვნენ სვიმონი ეცნოთ მის გამგებლად „ოსმალური წესისამებრ“⁴.

რა თქმა უნდა, სვიმონ მეფე ამგვარი პირობებით ოსმალებს ვერ შეურიგდებოდა და მოლაპარაკების დაწყებას აზრი არ ჰქონდა.

1 სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 206.

1 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 39.

2 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 57-58; შენგელია ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 142.

3 Charrière, Op. cit., III, p. 775.

1580 წლის 17 თებერვალს სინან ფაშა სტამბოლიდან გავიდა¹ და 8 მაისს არზრუმში მივიდა². ირანში ფიქრობდნენ, რომ ოსმალთა ჯარის ახალი მთავარსარდალი შეტევის მიმართულებას შეცვლიდა და თავრიზზე წავიდოდა. მოვლენების ამგვარად განვითარებისათვის ყიზილბაშებმა მზადება დაიწყეს და სვიმონ მეფის დასახმარებლად ქართლში რაზმები გაგზავნეს, რათა თავრიზისკენ მიმავალი მტრისათვის ქართველებსა და ყიზილბაშებს ერთობლივად დაერტყათ. მოკავშირეთა ლაშქარი 13 ათას კაცს შეადგენდა³.

შაჰის კარზე გაიგეს თუარა სინან ფაშას არზრუმში მისვლის შესახებ, მაშინვე სვიმონ მეფეს დაუკავშირდნენ და სთხოვეს, რომ როცა ოსმალების ყარსში მისვლას გაიგებდა (ეს ნიშნავდა, რომ ოსმალები საქართველოზე მიდიოდნენ), მაშინვე განჯაში მდგომი ყიზილბაშებისათვის ეცნობებინა და ისინი მის დასახმარებლად გრემზე გავლით წავიდოდნენ⁴.

15 ივნისს სინან ფაშა ყარსში მივიდა, სადაც შაჰ ხუდაბენდეს ელჩი დახვდა. მას თან ჰქონდათ ყოფილი მთავარსარდალისათვის გადასაცემი წერილი. ელჩი უფლებამოსილი იყო შაჰის სახელით სულთანთან ზავი დაედო⁵. შაჰის ელჩს მაკსუდ-ხანს დავალებული ჰქონდა „მშვიდობის ჩამოგდება სულეიმან-ხანის დროს დაწესებული საზღვრებით“⁶. სინან ფაშამ ელჩს მოუსმინა და სტამბოლში გაისტუმრა⁷. გამგზავრების დღეს სინან ფაშამ ელჩის „პატივსაცემად“ ალლუმი მოაწყო, რომელმაც ყიზილბაშებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა⁸. ალლუმის შემდეგ სინან ფაშა ქართველთა ალყაში მოქცეული თბილისის დასახმარებლად წავიდა⁹.

1 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 60.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 40.

3 Minadoi, p. 158-160.

4 Ibidem.

5 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 41. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, სინან ფაშამ ყიზილბაშთა ელჩი მაკსუდ-ხანი დიარბეჯირის ვილაიეთში, ჩემრიქში მიიღო (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 60).

6 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 60.

7 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 41.

8 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 63.

9 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 41

1580 წლის 4 აგვისტოს ირანის ელჩი სტამბოლში მივიდა, სადაც დიდი ზემოთ მიიღეს. როგორც იბრაჰიმ ფეჩევი ამბობს, შაჰს უნდოდა ოსმალები დაეყოლიებინა აღდგენილიყო 1555 წლის ამასიის ზავის პირობები, ე. ი. მოწინააღმდეგეები დაუბრუნებოდნენ იმ საზღვრებს, რომელიც ზავის დადებისას ჰქონდათ. ოსმალეთი, რომელმაც დიდი სახსრები და ადამიანთა რესურსები შესწირა ამიერკავკასიის დაპყრობას, რა თქმა უნდა, იოლად არ დათმობდა წლების განმავლობაში დიდი გაჭირვებით მოპოვებულ ტერიტორიებს. სტამბოლში მაკსუდ-ხანს განუცხადეს, რომ „მიწა, რომელსაც სულთნის ცხენის ფლოკები შეეხო, მას ეკუთვნის“¹. მაკსუდ-ხანი ირანში ხელცარიელი დაბრუნდა.

სვიმონ მეფემ, შეთანხმების თანახმად, ყიზილბაშებს აცნობა, რომ ოსმალები თბილისისაკენ მიემართებოდნენ. ყიზილბაშები, მართლაც, მოვიდნენ და მის ჯარს შეუერთდნენ. ქართლის მეფემ ოსმალებთან პირდაპირ შეტაკებას თავი აარიდა და მუსრს ავლებდა მოალაფე რაზმებს. 1580 წლის ივლისში სინან ფაშამ დმანისი გაიარა და იმავე თვის ბოლოს თბილისში მივიდა.

თბილისის გარნიზონი ქალაქგარეთ გავიდა და ახალ სარდალს მიგება. იმავე დროს მას საჩივარი წარუდგინეს თბილისის გამგებელ აჰმედ ფაშაზე, რომელიც მეომართა ხელფასებს ითვისებდა. სინან ფაშამ იგი გადააყენა და მის ადგილას დანიშნა სიმონ I-ის ძმა გიორგი, რომელმაც ისლამი მიიღო და მუსლიმანური სახელი იუსუფი დაირქვა². ამის შემდეგ სინან ფაშამ თბილისის მიდამოებში მოთარეშე ქართველთა რაზმების წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა საფეტის სანჯაყბეგისა და დამასკოს იანიჩრების ალას მეთაურობით. სვიმონ მეფე მათ მოულოდნელად თავს დაესხა და ორი ათასამდე ოსმალო გაწყვიტა³.

სინან ფაშა თბილისში თავს მშვიდად ვერ გრძნობდა. მას აცნობეს ყიზილბაშთა ჯარის თბილისისკენ წამოსვლის შესახებ.

1 Hammer J., Op. cit., S. 492.

2 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 123. გიორგი (იუსუფი) მ. სვანძის ვარაუდით, იმერეთის მეფე გიორგის შვილია. სვანძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 141-142.

3 Don Juan de Persia, p. 72; Hammer J., Op. cit., S. 492.

იგი იმ ფაქტმაც შეაშფოთა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე, რომელიც ოსმალებს თავიანთ მორჩილ მსახურად მიაჩნდათ, სარდალთან არ გამოცხადდა¹. სამაგიეროდ თბილისში სინან ფაშასთან მივიდნენ კახეთის მეფის ელჩები. სინან ფაშამ ისინი კარგად მიიღო, რადგან მას აცნობეს, რომ ალექსანდრე მეფე გარნიზონს დაეხმარა: ფული და სურსათი გაუგზვნა.

ელჩებმა თავიანთი მეფის სახელით ბოდიში მოიხადეს, რომ იგი ავადმყოფობის გამო სარდალს პირადად ვერ ეახლა ერთგულების დასამტკიცებლად. ნასიამოვნებმა სინან ფაშამ ალექსანდრეს ოქროქსოვილი ტანისამოსი, კვერთხი და ძვირფასი ქვებით მოჭვდილი ხმალი გაუგზვნა. აქვე იყო მეგობრობისა და სიყვარულის განცხადებით აღსავსე წერილიც².

სინან ფაშას წერილი მრავალმხრივ საინტერესოა. იგი ალექსანდრე მეფეს, ვითომდა სხვათა შორის, სიტყვას ჩამოუგდებს ირან-ოსმალეთს შორის დაზავებაზე. აქვე გამოჩნდა სინან ფაშას ნამდვილი დამოკიდებულება ალექსანდრესადმი, როგორც ოსმალეთის ორგულისადმი: რადგან შენ ორივეს, ირანსა და ოსმალეთს მეგობრობ, ნათქვამი იყო წერილში, შეგიძლია გაუგებრობის მოწესრიგება და ორივე ხელმწიფის მორიგებაო³.

სინან ფაშასათვის სრულიად ნათელი გახდა კახეთის მეფის პოზიცია ირან-ოსმალეთის ომის ამ ეტაპზე. ფაშას თბილისში ყოფნის დროს ოსმალებმა შეიპყრეს ირანის შაჰის ჯაშუში, რომელსაც ალექსანდრესა და სვიმონისათვის გადასაცემი წერილები აღმოაჩნდა. შაჰი ალექსანდრეს უთვლიდა, რომ ის თავისი ჯარით წასულიყო სინან ფაშას ბანაკისაკენ, სადაც თვითონაც მივიდოდა მთელი თავისი ჯარით, ოსმალებს ალყაში მოაქცევდნენ და გაანადგურებდნენ. შაჰი მეფეს ავალბედა დაეკავებინა დარუბანდის ვიწრო გასასვლელი, რათა გაქცეულ მტერს იქ ვერ გაევილო⁴.

სინან ფაშამ როდესაც წერილები გახსნა, მოულოდნელი თავ-

დასხმის შიშმა შეიპყრო. რა თქმა უნდა, ძნელია იმის დადგენა, წერილებში ნათქვამი სინამდვილეს შეეფერებოდა თუ საბრძოლო ეშმაკობა იყო. ის კი ცნობილია, რომ სინან ფაშამ მაშინვე, შუალამისას, ბანაკის აშლა და ყარსისაკენ წასვლა ბრძანა. ოსმალებმა ისე იჩქარეს, რომ თითქმის მთელი არტილერია, დაახლოებით 90 ქვემეხი, ხელთ იგდეს ქართველებმა, რომლებიც უეცრად თავს დაესხნენ აფორიაქებულ მტერს¹.

სინან ფაშა დმანისზე გავლით მცირე ხანში ყარსში მივიდა. თუმცა ოსმალებს ეს გზა ძალზე ძვირად დაუჯდათ. ადგილობრივი ქართველი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა ნამდვილ პარტიზანულ ომს აწარმოებდა².

ანონიმი ვენეციელის გადმოცემას შაჰის მიერ ალექსანდრე მეფისათვის წერილის გაგზავნის შესახებ ადასტურებს XVI საუკუნის თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ალი³.

ამ საინტერესო საკითხის გარკვევაში კიდევ მეტი სინათლე შეაქვს იბრაჰიმ ფეჩევის. „სწორედ ამ ხანებში გავარდა ხმა, — ამბობს ფეჩევი, — გზადაბნეული შაჰი თავისი სამოციანთა-სინან⁴ ბოროტი ლაშქრით ემზადება თავს დაეცეს [ჩვენს] ჯარს და ისლამის ჯარის ძლიერება შეანელოსო... შაჰს ერთი ორი წერილი ჰქონდა ალექსანდრე მეფისათვის გაგზავნილი. გაიძვერა რეადაგანს წერილი რომ მიჰქონდა, რამდენიმე [ჩვენი] ასქერი შემოხვდა წინ და [წერილი] სამეფო ბანაკში წაიკითხეს. [წერილი] დაკავშირებული იყო ისლამის ლაშქრისათვის ოინების მოწყობასთან“⁵.

ქართლიდან გაქცეული ოსმალები დმანისთან დაბანაკდნენ. ბუნებრივია, სურსათი აკლდათ და მარაგის შევსებას ადგილობრივი მოსახლეობის გამარცხვით ფიქრობდნენ. მაგრამ ამის გაკეთება ახლა იოლი არ იყო. პატარ-პატარა რზმების გაგზავნა მათ სრულ განადგურებას ნიშნავდა. ქართველთა ჯარს ტერორიზირე-

1 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 125.

2 Minadoi, p. 171-172.

3 Ibidem, p. 172.

4 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 41.

1 იქვე.

2 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 125.

3 Hammer J., Op. cit., S. 492.

4 ანონიმი ვენეციელი აზვიადებს ყიზილბაშთა ლაშქრის რაოდენობას. მისი თქმით, შაჰს გამზადებული ჰყავდა 150 ათასი მხედარი.

5 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 61-62.

ბული ჰყავდა ოსმალები. გაჭირვებამ მაინც თავისი გაიტანა და 10 ათასი ცხენოსანი ბანაკიდან საალაფოდ გავიდა, მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი აღარ დაბრუნდა¹.

ოსმალები დმანისიდან ყარსში მივიდნენ 8 სექტემბერს. სინან ფაშამ ამ ქალაქში დიდი გარნიზონი და საჭურველი დატოვა. ყარსში მცირე ხნით შესვენების შემდეგ, 1580 წლის ოქტომბერს, იგი არზრუმში მივიდა².

არზრუმში ჯარი დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა გაჭიანურებული ომის, მუდმივი ხიფათისა და სურსათ-სანოვავის ნაკლებობის გამო. ომს დასასრული არ უჩანდა. სინან ფაშას აზრით, ომის დამთავრება აუცილებელი იყო. ამიტომ მან შაჰსა და ქართლის მეფეს აცნობა, თუ ისინი თავიანთ ელჩებს სტამბოლში გაგზავნიდნენ, ზავის დადების შესაძლებლობა არსებობდა.

სინან ფაშას წამოწყებამ შედეგი გამოიღო და 1581 წლის 7 თებერვალს არზრუმში მივიდნენ შაჰისა და ქართლის მეფის ელჩები. შაჰის ელჩი ნაბუთ-ალა გამოცდილი დიპლომატი და სტამბოლში ადრე ნამყოფი იყო. სინან ფაშამ იგი პატივით მიიღო. ირანის ელჩმა სინან ფაშასთან საუბარში განაცხადა, რომ „მშვიდობიანობის დასამყარებლად ძალაში უნდა დარჩეს სულეიმან-ხანის [დროინდელი] ხელშეკრულებაში დათქმული ზავი და მშვიდობა. იგივე იყო ნათქვამი სულთნისათვის გადასაცემ წერილებშიც³.

ამგვარად, შაჰი არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა. მან იცოდა, რომ ომი მძიმე ტვირთად აწვა ოსმალეთსაც. მისი ვარაუდით, სულთანი დათმობაზე წავიდოდა და ომამდელი მდგომარეობის აღდგენა მოხერხდებოდა. რაც შეეხება ქართლის მეფის ელჩს, იგი სვიმონ I-სათვის თავის სამფლობელოების მემკვიდრეობით გამგებლობაში გადაცემას მოითხოვდა, სამაგიეროდ ქართლის მეფე ყოველწლიური ხარკის სახით 100 ათასი ღუკატის გადახდას

1 Minadoi, p. 174. ი. ჰამერი განადგურებულ ჯარის მეთაურად მუსტაფას ანუ სამცხის ათაბაგ მანუჩარს თვლის და იმავე მინადლის ცნობას იმოწმებს (Hammer J., Op. cit., S. 492). სინამდვილეში მინადლი ჰალაბის ფაშა მუყაფის ასახელეს.

2 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 63-64.

3 იქვე, გვ. 64-65

ჰპირდებოდა და თავის ვაჟსაც მძევლად აძლევდა¹.

არ ვიცი ჩავიდა თუ არა სვიმონ მეფის ელჩი სტამბოლში. რადგან ამის შემდეგ ქართველი ელჩი აღარ ჩანს, სავარაუდოა, სინან ფაშამ იგი უარით გაისტუმრა. ქართველ ელჩს სტამბოლში ვხედავთ 1582 წლის ზაფხულში უფლისწულ მეჰმედის (შემდეგში მეჰმედ III, 1595-1603) წინდაცვეთის ზეიმის მისალოცად. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს მრავალი ქვეყნის წარგზავნილებმა. მათ შორის იყვნენ კახეთის და სამეგრელოს წარმომადგენლებიც². მაგრამ ქართლის მეფის ელჩის ამ ზეიმში მონაწილეობა სრულებითაც არ ნიშნავდა ქართლსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკების გაგრძელებას³. მეფის ელჩის წასვლა სტამბოლში სულთნისათვის მისალოცად და საჩუქრების მისართმევად, მხოლოდ ფეოდალური ეთიკის გარკვეული ნორმების დაცვა იყო. შაჰის ელჩმა ნაბუთ-ალამ სტამბოლში თითქმის მთელი წელი დაჰყო.

სინან ფაშამ ირანის ელჩის სტამბოლში გასტუმრების შემდეგ თვითონაც იქ დაბრუნების უფლება ითხოვა. იგი იმდენად დაინტერესებული იყო ირანთან ზავის დადებით, რომ საჭიროდ ჩათვალა თვალყური ედევნებინა მოლაპარაკების მსვლელობისათვის და, ალბათ, შეძლებისდაგვარად, ზეგავლენის მოხდენასაც შეეცდებოდა. მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. სულთანი შაჰის ელჩთან შეხვედრას არ ჩქარობდა, რადგან მისთვის ცნობილი იყო შაჰის მოთხოვნები.

სინან ფაშა ფრონტის ხაზზე წასვლას აღარ ფიქრობდა. მთავარსარდლის უფლებამოსილება მას ნომინალურად ჰქონდა. აღმოსავლეთის ჯარის სარდლად მეჰმედ ფაშა დაინიშნა, რომელსაც არზრუმის ფაშის ტიტული მიანიჭეს და მასვე დაუქვემდებარეს ყარამანის ფაშა, ათაბაგი მანუჩარი, არზრუმის მთელი ლაშქარი და ყველა სანჯახი. სულ შეიკრიბა 25 ათასი მეომარი.

სვიმონ I, მართალია, მთელი მონდომებითა და თავდადებით ებრძოდა ოსმალებს, მაგრამ შაჰმა იცოდა, რომ ქართველთა თავ-

1 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с 126; Hammer J., Op. cit., S. 493.

2 ფუთურიძე გ., მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, გვ. 266.

3 სვანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 145-146.

დადება შაჰის ტახტის ამაღლებისათვის კი არ ხდებოდა, არამედ თავიანთი ქვეყნისა და სამეფოს გადარჩენისათვის. შაჰის კარზე, ალბათ, იმასაც ფიქრობდნენ, რომ ვითარების შეცვლის შემთხვევაში, სვიმონ მეფის პოზიცია სრულიად სხვანაირი, ირანისათვის არასასურველი გახდებოდა. ამიტომ, ვიდრე გვიან არ იყო, საჭიროდ ჩათვალეს, სვიმონ მეფე მტკიცედ მიეჯაჭვებინათ შაჰის ტახტზე. შაჰის კარზე გადაწყვიტეს მისი ასული ცოლად შეერთო შაჰ ხუდაბენდეს, „რომ მის (სვიმონის – ე. მ.) მეგობრობაზე გული სავსებით მშვიდად ჰქონოდათ“¹. სვიმონ მეფემ შაჰის წინადადება გარეგნულად დიდ ბედნიერებად მიიჩნია, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა, რათა ეს ქორწინება არ შემდგარიყო. მეფის ამგვარ მოქმედებას ისქანდერ მუნში მხოლოდ რელიგიური მოტივით ხსნის. ივ. ჯავახიშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მეფეს შაჰის მოთხოვნა მძევლის წართმევად მიაჩნდა, რითაც შაჰს სურდა მისთვის მომავალში პოლიტიკური მოქმედების თავისუფლება შეეზღუდა². ამიტომ იგი შაჰის მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ ჩქარობდა. ერთხანს ყიზილბაშები მომხდარმა ამბებმა დააკავეს და განზრახული ქორწინებისათვის არ ეცალათ. შირვანში ყირიმელი თათრები შეიჭრნენ, მაგრამ ყიზილბაშებმა მათი დამარცხება შეძლეს, თუმცა ოსმალების განდგნა კი ვერ მოახერხეს. შირვანი კვლავ ოსმალებს დარჩათ³.

შირვანში სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგ, შაჰი დარწმუნდა, რომ სვიმონ მეფე მოთხოვნას ნებით არ ასრულებდა. ამიტომ, როცა საქართველოში პირველი ვეზირი მირზა სალმანი 20 ათასი კაცით გაიგზავნა. მას კახეთის სამეფოს საკითხის მოგვარებაც დაევალა. ალექსანდრე II იძულებული შეიქმნა, ყოველწლიური ხარკის გადახდა განეახლებინა და თავისი ასულის

უფლისწულ ჰამზა მირზასათვის მითხოვებაზე დათანხმდა¹.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, შაჰის ყველა მოთხოვნა სვიმონ მეფესაც დაუკმაყოფილებია. ყიზილბაშებმა ქართლისა და კახეთის მეფეები ერთმანეთთან შეარიგეს და ჯვარზე დააფიცეს, რომ შაჰის ერთგულნი იქნებოდნენ და ერთობლივად იბრძოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ქართველ მეფეებს მძევლები გამოართვეს, ალექსანდრეს – უფლისწული კონსტანტინე, სვიმონს – უფლისწული ლუარსაბი².

როცა ქართველმა მეფეებმა ყიზილბაშების ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს, ახლა თვითონ მოითხოვეს შაჰის მფარველობაში მყოფი თავიანთი ძმების, ალექსანდრემ – იესეს (ისა-ხანი), სვიმონმა – დავითის (დაუთ-ხანი) საქართველოში დაბრუნება და პირობა დასდეს, რომ „ძმებს ჩინებულად მოეპყრობოდნენ, ვერაგობას არ ჩაიდენდნენ და ორივე თავიანთი სამფლობელოებიდან თავიანთ ძმებს გარკვეულ ადგილს მიუჩენდნენ, რათა მოსვენებით ეცხოვრათ და არსებობა არ გაძნელებოდათ“³. გასაგებია ალექსანდრეს და სვიმონის სურვილი შაჰის ხელიდან დაეხსნათ მათ საწინააღმდეგოდ გამიზნული თავიანთი ძმები. ისქანდერ მუნში შემდეგ ქართველ მეფეებს უსაყვედურებს, რომ არც ერთმა პირობა არ შეასრულა, „ორივე მათი დალუპვის საქმეს შეუდგა და ჩქარა მათი სიკვდილის ამბავი მთელ ქვეყანას გაავრცინეს“⁴.

მართალი არ არის ისქანდერ მუნში, თითქოს ამ დროს (1582 წ.) შაჰ მოჰამედ ხუდაბენდეს კონსტანტინე უფლისწული მძევლად წაეყვანოს, რადგან ქართული და რუსული წყაროები სავსებით დამაჯერებლად გვამცნობენ, რომ კონსტანტინე უფლისწული მძევლად შაჰ თამაზმა წაიყვანა. არც ის ცნობაა მართალი, სადაც დაუთ-ხანის სიკვდილის შესახებ ლაპარაკობს (ისა-ხანზე, ამის შემდეგ, მართლაც არაფერი ვიცით). დაუთ-ხანი კიდევ კარგა ხანს ასპარეზზე ჩანს. იგი ოსმალებს მიემხრო.

1 „სვიმონ-ხანის ქალიშვილი მისი უდიდებულესობა ქვეყნიერების გამგებლისათვის ცოლად მოეყვანათ“ (ისქანდერ მუნში, გვ. 34). სხვა ცნობით სვიმონ მეფეს ქალიშვილი მოსთხოვეს ჰამზა მირზაზე დასაქორწინებლად (ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 271; სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 157).

2 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 271.

3 ისქანდერ მუნში, გვ. 34-35.

1 იქვე, გვ. 36.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 37.

4 იქვე.

1581 წლის აგვისტოს ბოლოს არზრუმიდან წასული მეჰმედ ფაშა ახალქალაქში მუსტაფა (მანუჩარ) ფაშას შეხვდა და სთხოვა, რომ ოსმალთა ლაშქარი თბილისისკენ წაეყვანა. ოსმალთა ჯარს გორთან სვიმონ მეფე ელოდებოდა. მის ჯარში მრავლად იყვნენ ქართულად ჩაცმული ირანელები. როგორც ითქვა, ირანის ელჩი ნაბუთ-ალა ამ დროს სტამბოლში იყო და სულთანთან აუდიენციას ელოდა. ამიტომ ყიზილბაშები ოსმალებთან პირისპირ ბრძოლას ერიდებოდნენ და სვიმონ მეფეს ქართულად ჩაცმულები ეხმარებოდნენ¹. მეფის ოსმალებთან ბრძოლის ეს მომენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს, რომ ოსმალებთან და ქართლის სამეფოს შორის საზავო მოლაპარაკება ჩაშლილი იყო და საომარი მდგომარეობა გრძელდებოდა. ამავე დროს, როგორც ჩანს, ყიზილბაშებს სულთანთან მოლაპარაკებით დროის მოგება სურდათ და, შეძლებისდაგვარად, აღმოსავლეთ საქართველოში მტკიცედ ფეხის მოკიდებას ცდილობდნენ.

მეჰმედ ფაშას ქართველებთან ბრძოლის გამართვა არ უნდოდა. მას გორთან მდინარე მტკვარი უნდა გადაელახა და მანუჩარს რჩევა სთხოვა. მანუჩარმა ფაშას დილაძე დაცდა ურჩია. მაგრამ სარდალმა ბრძანა, სასწრაფოდ გადასულიყვნენ მდინარეზე, რის გამოც ოსმალებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. სვიმონ მეფის ხელში აღმოჩნდა მტრის მთელი ალალი და ხაზინა. გადარჩენილი ჯარის ნაწილმა თბილისამდე მიაღწია. თბილისში, როგორც ყოველთვის, დიდი გაჭირვება იყო და ხელცარიელ მეჰმედ ფაშას სხვა არაფერი დარჩენოდა რომ ჯარისკაცებში 30 ათასი ღუკატი შეეგროვებინა და კახეთის მეფესთან გარნიზონისათვის პურის, ცხვრების და სხვა საწვავის შესასყიდად ხალხი გაეგზვნა². ოსმალთა იმედები ვერც თბილისის ფაშამ, გამაჰმადიანებულმა ქართველმა იუსუფმა, გაამართლა. მეჰმედ ფაშამ იგი გადააყენა და მის ადგილზე ომარ ფაშა დანიშნა³.

სვიმონ მეფემ და ათაბაგმა მანუჩარმა გადაწყვიტეს ოსმალები-სათვის თბილისის დახმარების საშუალება არ მიეცათ¹. მათ დაახლოებას შაჰის კარზე დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. ყიზილბაშების აზრით, ამის შემდეგ ირანის მდგომარეობა ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა². შემდგომმა მოვლენებმა ნათელყო, რომ ოსმალებთან „შერიგება“ მანუჩარის ხრიკი იყო³. მართალია, სულთანმა მანუჩარს ჩილდირის ბეგლარბეგობა აღუდგინა, მაგრამ მანუჩარისათვის ამას რალური მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას კარგად ესმოდა სულთნის ზრახვები სამცხის მიმართ. სულთანს საათაბაგოს ნაცვლად საფაშოს დაარსება უნდოდა. ამიტომ ოსმალებთან და სამცხეს შორის „მეგობრობა“ ხანგრძლივი ვერ იქნებოდა.

ოსმალეთის აგრესია სამცხეში მხოლოდ ქართველების და შირვანელების დამოუკიდებლობას არ ემუქრებოდა. იგი კავკასიის სხვა ხალხებისთვისაც საშიში იყო. როგორც იბრაჰიმ ფეჩევი გამოგვეცემს, საშამხლოსა და დაღესტნის გამგებლებმა კავშირი დაამყარეს ქართველებთან, რათა ერთობლივად ებრძოლათ ოსმალების წინააღმდეგ. კავკასიაში ანტიოსმალურ კავშირს სათავეში ჩაუდგა ირანის შაჰი, რომელმაც სამოკავშირეო ჯარის სარდალად იმამყული-ხანი დანიშნა⁴. სტამბოლში ჯეროვნად შეაფასეს ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტეს ჩრდილო კავკასიაზე გავლით გაეგზვნათ ლაშქარი, რომელიც დარუბანდსა და ბაქოში მდგომ ოსმალთა გარნიზონებს დაეხმარებოდა⁵. იმავე დროს თბილისის დასახმარებლად გაგზავნილი ჯარი სვიმონ მეფემ მუსრანის ველზე დაამარცხა⁶. ოსმალეთის ჯარის დარუბანდში მისვლამ 1583 წლის გაზაფხულზე, შაჰის კარზე დიდი შემფოთება

1 Minadoi, p. 184 -185.

2 Ibidem, p. 193.

3 Ibidem. სვანიძე მ., დასახ. ნაწ., გვ. 151

1 Minadoi, p. 204

2 Ibidem, p. 226.

3 მანუჩარ ათაბაგის ოსმალებთან ურთიერთობაზე დაწვრ. იხ. ქვემოთ გვ. 399-437.

4 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 69.

5 Смирнов И. А. Россия и Турция в XVI-XVII вв., в двух томах. «Ученые записки МГУ им. М. В. Ломоносова», вып. 94, М., 1946, т. I, XVI в., с. 126-127.

6 სვანიძე მ., დასახ. ნაწ., გვ. 150-151.

გამოიწვია. შაჰმა იმამყული-ხანის მეთაურობით 50 ათასიანი ჯარი გაგზავნა. ყიზილბაშმა სარდალმა მაშინვე ქართლისა და კახეთის მეფეებს წერილები გაუგზავნა და ისინი ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. იბრაჰიმ ფერეხთან არ ჩანს, მივიდნენ თუ არა ქართლები ყიზილბაშთა დასახმარებლად. კახეთის მეფეს კი მცირე რაზმი გაუგზავნია. მათ მთებში სიარულისას გზა დაბნევიან, გაფანტულან და ადგილობრივ მოსახლეობას ოსმალთა შიშით ამოუწყვეტია, მათი მოკვეთილი თავები კი ოსმალთა სარდლისათვის გაუგზავნია. ფერჰად ფაშამ, თავის მხრივ, კახეთის მეფე ალექსანდრეს მისი ქვეშევრდომების თავები გაუგზავნა და თანაც შეუთვალა: „ბედნიერი ფადიშაჰის მოხარაკეები რომ ხართ, ეს რას ნიშნავსო?“¹

ამგვარად, ოსმალების აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ყოფნა მხოლოდ იარაღზე იყო დამყარებული, რაც, როგორც ჩანს, ადგილობრივ მოსახლეობაზე ყოველთვის ქმედით გავლენას არ ახდენდა. მალე ოსმალებმა მანუჩარის „შემორიგების“ ფასიც იწვეს. სულთნის ბრძანებით, მანუჩარს დაევალა თბილისში 30 ათასი დუკატის მიტანა. როცა მანუჩარი თბილისს მიუახლოვდა, მინადოის თქმით, ის სვიმონ მეფეს შეხვდა და ხანმოკლე თათბირის შემდეგ, მანუჩარის თანმხლები ოსმალთა რაზმი ამოწყვიტეს, ხაზინა კი მიითვისეს².

ფერჰად ფაშამ განიზრახა მანუჩარის სამფლობელოებზე ეყარა ჯავრი. მაგრამ მანამდე აუცილებელი იყო თბილისის დახმარება. მან ამ რთული ამოცანის შესრულება ქართველებთან და ყიზილბაშებთან ბრძოლებში გამოცდილ ჰასან ფაშას (ეს ის ჰასან ფაშაა, რომელმაც ყიზილბაშთა სარდალი ყული-ხანი დაატყვევა) დაავალა, მას ჩააბარა 40 ათასი დუკატი და 15 ათასი რჩეული მეზობელი გააყოლა³. მათ რიგებში იყვნენ ქურთისტანისა და რუმელიის ამირები. დმანისის ხეობაში მიმავალ ოსმალებს თავსდაესხა ქართველთა 500 კაციანი რაზმი, რომელთა შორის რამდენიმე

ყიზილბაში ამირაც იყო. ქართველებმა არა მხოლოდ შეაჩერეს ოსმალთა წინსვლა, არამედ, როგორც შარაფ-ხან ბილდისი გამოგვცემს (ის პირადად მონაწილეობდა ამ ბრძოლაში და გამოჩენილი სიმამაცისა და ერთგულებისათვის სულთანმა დააჯილდოვა¹), დაამარცხეს კიდეც. ჯარის ნარჩენები, მისივე თქმით, მხოლოდ ჰასან ფაშას სიმტკიცემ იხსნა. გადარჩენილ ჯარს, მეორე დღეს მხოლოდ ყიზილბაშები დაესხნენ, მაგრამ ჰასან ფაშამ მათ წინააღმდეგ შარაფ-ხან ბილდისი გაგზავნა მცირე რაზმით, რომელმაც მოწინააღმდეგეთა მეთაური ალი-ყული ბეგი დაატყვევა. ყიზილბაშები გაიქცნენ². მართალია, პირდაპირ არ არის ნათქვამი, ვინ მეთაურობდა ქართველთა იმ რაზმს, რომელმაც ოსმალები დაამარცხა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს იყო მანუჩარი. ამის დადასტურებელი უნდა იყოს ოსმალების მიერ მანუჩარის სამფლობელოების სასტიკად აოხრება, რასაც საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს მინადოი³.

1584 წლის გაზაფხულზე ფერჰად ფაშამ მიიღო სულთნის ბრძანება ნახჭევანსა და თავრიზზე შეტევისათვის მომზადების შესახებ. იმავე დროს, სულთნის მითითების თანახმად, საჭირო იყო ქართველებისაგან შევიწროებული თბილისის დახმარება⁴.

შაჰის კარს მხედველობიდან არ გამორჩენია ოსმალების სამხედრო სამზადისი და ნახჭევანის დასაცავად თავრიზის მახლობლად თავი მოუყარა 30 ათასამდე მეზობელს. ყიზილბაშების სამზადისი ფერჰად ფაშას გეგმას არღვევდა. მან, ამის შესახებ, სასწრაფოდ აცნობა სულთანს და შემდგომ ბრძანებას დაელოდა. სულთანმა უკვე იცოდა, რომ სვიმონ მეფე და ათაბაგი მანუჩარი კვლავ ოსმალების წინააღმდეგ აღსდგნენ, სასტიკად ავიწროებდნენ თბილისის გარნიზონს და შაჰის დახმარებასაც აპირებდნენ⁵. გაითვალ-

1 Шараф-хан Шамсадин Бидлиси, Шараф-наме, I. Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, М., 1967, с. 490.

2 Шараф-хан Шамсадин Бидлиси. Шараф-наме, II. Перевод, предисловие, примечания и приложения У. И. Васильевой, М., 1976, с. 245.

3 Minadoi, p. 225.

4 Alberi, II, p. 285.

5 Ibidem.

1 იბრაჰიმ ფერეხი, გვ. 73. შდრ. სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 158

2 Minadoi, p. 223-224.

3 Ibidem, p. 224-225.

ისწინა რა ქართლისა და სამცხის პოზიცია, სულთანმა ფერჰად ფაშას უბრძანა, „გადასდოს ყველა საქმე და შეუდგეს დმანისზე და ლორეზე გამავალი გზების მოწესრიგებას“¹. ასეთ ვითარებაში, ოსმალების შემდგომ მოქმედებისათვის თბილისს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ფერჰად ფაშამ, ყიზილბაშთა ყურადღების მოღუწების მიზნით, ხმები გაავრცელა, რომ ნახჭევანზე ლაშქრობა ენერგიულად დაიწყო და საქართველოზე თავდსხმისათვისაც ემზადება. მან ჯერ ლორეს ციხე აღადგინა, შიგ 7-8 ათასიანი გარნიზონი 200 ქვემეხით ჩააყენა², ციხისთავად კი დანიშნა ბერძენი ალი ფაშა³. სარდალმა მას დაავალა, ხელსაყრელ შემთხვევაში ლორედან 10 მილით დაშორებული შაითანყალა (ქაჯთაციხე) გაემაგრებინა⁴. თვითონ ფერჰად ფაშა მთელი ჯარით წავიდა დმანისისაკენ, რომელიც ქართველებმა ნანგრევებად აქციეს, რათა ეს უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე ოსმალებს აღარ გამოეყენებინათ. ფერჰად ფაშამ როცა ამ ციხის და დმანისის მიდამოები დაათვალიერა, გონივრულად არ ჩათვალა მისი აღდგენა და მის მახლობლად, ძველი ნაციხარის ადგილას, ახალი ააგებინა⁵. მის კედლებზე 200 მცირე ზომის ქვემეხი დაადგმევინა, ბეგლარბეგად კი ჰასან ფაშა დანიშნა⁶. დმანისის მიდამოებში ფერჰად ფაშამ კიდევ ერთი ციხე დაიკავა, სადაც 10 ქვემეხი დადგა, ხოლო ციხისთავად რუსტემ ფაშა დანიშნა⁷. ფერჰად ფაშამ თბილისის დასახმარებლად დმანისიდან რიდვან ფაშა 20 ათასი⁸ რჩეული და საუკეთესოდ შეიარაღებული მებრძოლით გაგზავნა. იგი ერთი დღეში თბილისში მივიდა და

1 Minadoi, p. 226.

2 Minadoi, p. 229. ჯოვანი მიქელის მიხედვით – 100 ქვემეხი. Alberi, II, p. 286.

3 „მორეას მირლივა ალი-ბეგ ბუნავი დანიშნა ლორეს ბეგლარბეგად“. Шараф-хан Шамсаддин Бидлиси, II, с. 246

4 Minadoi, p. 230.

5 შარაფ-ხან ბიდლისის მიხედვით, ფერჰად ფაშა დმანისის ციხის აგებას 40 დღე მოანდომა. Шараф-хан Шамсаддин Бидлиси, II, с. 246

6 არზრუმის ამირ ალ-უმარა ჰასან ფაშა. Там же.

7 Alberi, II, p. 286

8 Minadoi, p. 232. სხვა ცნობით 12 ათასი. Alberi, II, p. 286.

გარნიზონს საჭირო დახმარება აღმოუჩინა. მაშინ, როცა რიდვან ფაშა თბილისთან იდგა, მის ბანაკში სვიმონ მეფის დამტერებული ძმა დაუთ-ხანი მივიდა და ოსმალებს სამსახური შესთავაზა¹. თბილისის საქმეების მოგვარების შემდეგ რიდვან ფაშა დმანისში გაბრუნდა და დაუთ-ხანი თან წაიყვანა. სვიმონ მეფე, მსტოვრების საშუალებით, თვალყურს ადევნებდა ოსმალთა ჯარის მოძრაობას. დონ ხუან დე პერსიას თქმით, რიდვან ფაშას ბანაკში შეპარული მეფის მსტოვრები დაუდ-ხანს დაურწმუნებია, რომ ოსმალთა ჯარი მცირე იყო. იმავე ავტორის მიხედვით, სვიმონ მეფეს დაუთ-ხანის მოტაცება განუზრახავს². მსტოვრების მიერ მეფესთან მიტანილი ცნობა რიდვან ფაშას ჯარის რაოდენობის შესახებ, სწორი არ იყო. სინამდვილეში მას ბევრად მეტი ჯარი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, რიდვან ფაშას ქართველების შიში ჰქონდა და ფერჰად ფაშას დამატებით კიდევ 10 ათასი კაცი სთხოვა³. ყალბი ინფორმაციით წაქეზებული სვიმონ მეფე მანუჩართან და სხვა ოთხ ქართველ ლიდერულთან ერთად⁴, 4 ათასი მებრძოლით⁵ ოსმალებს დაუხვდა. თავდაპირველად ქართველების წინააღმდეგ 6 ათასი ოსმალი იდგა, მაგრამ ბრძოლა გაჩაღდა თუ არა, ბორცვის უკან ჩასაფრებული ოსმალთა მთავარი ძალა თავს დაატყდა ქართველებს. მეფეს ცხენი მოუკლეს, მაგრამ იგი საკუთარმა სიმამაცემ გადაარჩინა. ქართველები სრული განადგურებიდან ფერჰად ფაშას მიერ რიდვან ფაშას დასახმარებლად გაგზავნილი 10 ათასიანი ჯარის გამოჩენამ იხსანა. ოსმალებმა ისინი ქართველთა დამხმარე ჯარად მიიჩნიეს და დაიბნენ. ამით ისარგებლეს ქართველებმა და ბრძოლის ველს გაეცალნენ. რიდვან ფაშამ ფერჰად ფაშას ბანაკში საკმაოდ დიდი ნადავლი მიიტანა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მის მიერ მიყვანილი დაუთ-ხანი. დაუთ-ხანის ოსმალთა ბანაკში მისვლაზე საინტერესოდ ცნობა დაგვიტოვა მუსტაფა სელიანიქმა. იგი ამბობს: დაუთ-ხანი „ეხლა თავისი ხუთი ბეგისა და მისი ერთი

1 Minadoi, p. 232

2 Don Juan de Persia, p. 85v.

3 Minadoi, p. 233.

4 Alberi, II, p. 286.

5 Minadoi, p. 233.

მამაცი შვილის თანხლებით მის აღმატებულება სარდალ ფერჰად ფაშასთან მოვიდა. აქ მას სთხოვა, რომ მომეტით საშუალება მივალწიო ბედნიერების ზღურბლს (სტამბოლს), რადგანაც საქართველოს გასაღები მე ვარ და მაღალი ღმერთის წყალობით აღება და დაპყრობა ჩემით შეიძლებაო¹.

ზამთრის მოახლოების გამო, ფერჰად ფაშა იძულებული გახდა ყარსში ან არზრუმში დაბრუნებულიყო. მანამდე კი მანუჩარის სამფლობელოების აკლება უნდოდა და ჯავახეთისკენ გაეშურა. მაგრამ ახალქალაქისა და ალთუნყალას (ოქროსციხე) მოსახლეობა გახიზნულიყო და სურსათიც ვერ იშოვა, რის გამოც ჯარი დიდ გასაჭირში აღმოჩნდა². დონ ხუან დე პერსიას და მინადლის მიხედვით, ამის შემდეგ ოსმალები ახალციხისკენ წავიდნენ, მაგრამ ისიც დაცარიელებული დახვდათ. მინადლის თქმით, ოსმალებმა ახალციხეში ადამიანებისა და პირუტყვისათვის საკვები ბლომად იშოვეს³. დონ ხუანი კი სრულიად საწინააღმდეგოს ამბობს: იქ იგივე მდგომარეობა დახვდათ, როგორც ახალქალაქსა და ალთუნყალაში⁴.

ფერჰად ფაშამ ახალციხეში ციხის აგება განიზრახა, მაგრამ განაწამებ ჯარს ამის გაგონებაც კი არ სურდა და საქმე ამბოხებად მივიდა. ფერჰად ფაშას მოკვლით დაემუქრნენ. ის იძულებული გახდა არტაანს წასულიყო⁵.

დონ ხუან დე პერსიას და მინადლის თქმით, მანუჩარ ათაბაგის რაზმებმა გზად მიმავალ ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენეს. ქართველებმა ფერჰად ფაშას ოთხთვალა გაძარცვეს. მის პირად ნივთებთან (ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხმლები, ფარი, კაპარჯი და ბეწვეული) ერთად, გაიტაცეს მისი საყვარელი მხევალი ქალი⁶. მინადლი კი ფიქრობდა, რომ ეს ჩაიდინეს უკმაყოფილო იანიჩრებ-

მა, რათა ფერჰად ფაშასთვის სახელი გაეტეხათ¹. მანუჩარის პარტიზანული რაზმები მუსრს ავლებდნენ ოსმალთა ჯარს, ყველას ზოცავდნენ, ვინც ჯარს მცირეოდენი მანძილით ჩამორჩებოდა. ჯოვანი მიქელის თქმით, ასე დაემართა 3 ათას თურქს, რომლებიც დიდი თოვლის გამო ძირითად ძალას ჩამორჩნენ და ქართველებმა ამოწყვიტეს².

ფერჰად ფაშამ გაითვალისწინა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და მიზანშეწონილად ჩათვალა დაუთ-ხანი სწრაფად გაეგზვნა სულთნის კარზე. დაუთ-ხანის სტამბოლში მისვლის ორი განსხვავებული თარიღი გვაქვს. მუსტაფა სელიანიქის მიხედვით, დაუთ-ხანი 1584 წლის ნოემბერში დიდი ზემით მიიღეს სტამბოლში³, ხოლო ფუგერის გაზეთის „კორესპონდენტის“ ინფორმაციით – 1585 წლის 20 იანვარს⁴. ფუგერის გაზეთმა ინფორმაცია დაუთ-ხანის სტამბოლში მისვლის შესახებ მიიღო 28 იანვარს. მასში ნათქვამია: დაუთ-ხანი 20 კაციანი ამალით სტამბოლში მივიდა და სულთანს თბილისის ბეგლარბეგობა სთხოვა. სამაგიეროდ იგი სულთანს დაჰპირდა, რომ დარწმუნების, მოჭყუების ან ძალის გამოყენების გზით ქართველებს სულთნის ქვეშევრდომებად გახდიდა. დაუთხანმა ერთგულების დამტკიცების მიზნით, სტამბოლში თავისი ვაჟი დასტოვა. მან სულთანს გააცნო, აგრეთვე სეფიანთა სახელმწიფოს სავალალო მდგომარეობა და თავრიზზე შეტევა ურჩია.

სულთანს აწყობდა დაუთ-ხანის სვიმონ მეფესთან დაპირისპირება, ამიტომ მისი ყველა თხოვნა შეიწყნარა. „მის შვილსა და ამაღლას საპატიო ხალათები უბოძა, თვით დაუთ-ხანს მარაშის ბეგლარბეგობა ებოძა და 992 წლის ზულ-კადას პირველ რიცხვებ-

1 ფუთურიძე გ., მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, გვ. 268.

2 Don Juan de Persia, p. 86r.

3 Minadoi, p. 236.

4 Don Juan de Persia, p. 86r.

5 Minadoi, p. 240; Don Juan de Persia, p. 86v; Шараф-хан Шамсадин Бидлиси, II, с. 246

6 Don Juan de Persia, p. 86v.

1 Minadoi, p. 243.

2 Alberi, II, p. 286.

3 ფუთურიძე გ., მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, გვ. 268.

4 Tardy L., Le Roi Svimon I^{er} à la lumière des sources d' Europe Centrale contemporaines de son époque, I partie. „Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie“, vol. XXXI, Paris, 1973, p. 188-189. ლ. ტარდის ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნში 2 იანვარია. იხ. მისი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 144.

ში¹ სარდალთან გაგზავნილ იქნა მაღალი ბრძანება, რომ [დაუთ-ხანი] ეახლოს მის აღმატებულებას სარდალს და ოჯაკლიკის წესით ებოდოს საქართველოს და მისი ძმის [სვიმონის] ის მიწები, რომლებიც სარდალმა დაიპყრო“².

დაუთ-ხანის სვიმონთან დაპირისპირებით სულთანი საქართველოში ანტიოსმალური ძალების გათიშვას ფიქრობდა. მისი ვარაუდით მომხრეები დაუდ-ხანსაც გამოუჩნდებოდნენ, მაგრამ განმეორდა აღრინდელი მდგომარეობა: დაუთხანმა ვერც შაჰს გაუმართლა თავისი პროირანული და ვერც სულთანს თავისი პროოსმალური პოლიტიკით. მან დასაყრდენი ვერ ჰპოვა ქართლის თავადაზნაურობაში. ოსმალეთის მხარეს მისმა გადასვლამ ქართლში სახალხო მოძრაობა კი არ გახრწნა, არამედ მოხდა თვით დაუთ-ხანის იზოლაცია ქართლის პატრიოტულ ძალებში³.

ძნელია იმის თქმა, გაიზიარა თუ არა სულთანმა დაუთ-ხანის რჩევა, ოსმალებს თავრიზისთვის შეეცაოთ. მანამდისაც რომ ჰქონდათ მათ ასეთი განზრახვა, ამაზე რამდენჯერმე ითქვა კიდეც. ერთი რამ ცხადია, რომ ოსმალებმა ლაშქრობის მიმართულება შეცვალეს. 10 აპრილს ოსმალთა ლაშქარი დიდგაზირის, ოსმან ფაშას მეთაურობით, არზრუმისა და ერევნის გავლით თავრიზისკენ წავიდა⁴. იმავე დროს, საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან მდგომ ჯარს ებრძანა, დაეწყო შეტევა საქართველოზე. მეთაურობი იყვნენ ლორეს ბეგლარბეგი ჰასან ფაშა და არზრუმის ბეგლარბეგი ალი ფაშა. მათთან ერთად იყო დაუდ-ხანი, რომელიც უმაღლესი მრჩევლის მოვალეობას ასრულებდა⁵.

საერთო შეტევისათვის სამზადისისას, ოსმალებმა დაიწყეს უმთავრესი სტრატეგიული პუნქტების გამაგრება, მათი სურსათ-სანოვაგითა და სამხედრო საჭურვლით მომარაგება. ოსმალები

გორის ციხის გამაგრებას განსაკუთრებით ცდილობდნენ¹. მთავარ-სარდალმა ფერეჰად ფაშამ „იმ მხარეს, ე. ი. საქართველოს საზღვარზე რაც ციხეები იყო, საჭიროებისდა მიხედვით, ზოგს (ციხეს) ჯარი დაუმატა, ზოგში კი შესაკეთებელი ადგილები შეაკეთა და არავითარი ნაკლი (ციხეებში) არ დაუტოვებია“².

1584 წლის ადრეულ გაზაფხულზე საქართველოში, განსაკუთრებით გორში შექმნილი გამწვავებული მდგომარეობის გამო, ფერეჰად ფაშამ ციხის აღდგენისათვის სპეციალურად გაგზავნა თავდაპირველად 884 ჯარისკაცი. როგორც ალი-ეფენდი წერს, ადრე ლალა მუსტაფა ფაშას დროს დატოვებულმა დამცველებმა, ქართველთა და სეფევიდებისაგან შეწუხებულებმა, დახმარება სთხოვეს სარდალს. გაითვალისწინა რა გორის დამცველთა გაჭირვება, სარდალმა იქ დამატებით კიდევ გააგზავნა 200 ჯარისკაცი. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ის აიძულა მანუჩარის ყიზილბაშების მხარეს გადასვლამ. ციხე აღადგინეს 27 დღეში. ჩანს ამბობებულ მანუჩარს ოსმალთა მიერ დაპყრობილი რამდენიმე ციხე გაუთავისუფლებია კიდეც, რომლებსაც ოსმალები კვლავ იარაღით დაეუფლნენ³.

ოსმალებმა ლორეს აღდგენის შემდეგ აღადგინეს დამანისი და ამის შემდეგ ფერეჰად ფაშა გორთან მივიდა. მან ამ ვილაიეთის დაცვა ჩააბარა ჰეიდარ ფაშას⁴.

გორის ციხეში მოიყარა თავი ოსმალეთის კავკასიის ჯარის ძირითადმა ძალებმა. აქედან ღამით თავს ესხმოდნენ და იკლებდნენ შიდა ქართლის მოსახლეობას. ოსმალები „შემოესივნენ საქართველოს გორიდან სამი-ოთხი მანძილის სიშორეზე. უამრავი და უსაზღვრო ნადავლი იშოვეს და ტყვეები წამოასხეს, ისე, რომ ხუთი ათასი კომლი, – მთელი ტომის მოსახლეობა, გამოირეკეს და თან წამოყვანეს, სხვა ძვირფას ნივთებს კი დასასრული არ უჩანდა“⁵.

1 1584 წლის ნოემბრის პირველი ნახევარი.

2 ფუთურიძე გ., მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, გვ. 268.

3 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 77.

4 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er}*, 31, p. 189; Шараф-хан Шамсаддин Бидлиси, II, с. 247.

5 Tardy L., *Op. cit.*, p. 189.

1 მ. სვანიძე ფიქრობს, რომ გორის ციხის გამაგრება-აშენება ფერეჰად ფაშას მეორედ სარდალობის დროს (1587 წ.) მოხდა. სვანიძე მ. დასახ. ნაშრ., გვ. 160.

2 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 77.

3 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 133.

4 Тамже, с. 134.

5 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 77.

ოსმალეთის ჯარის გორის მიდამოებში სასტიკ მოქმედებაზე გადმოგვცემს აგრეთვე ალი-ეფენდიც. ვიდრე სარდალი გორში იმყოფებოდა, მისმა ჯარმა 5 ათასი ადამიანის სახლი გაძარცვა, მრავალი დაატყვევა, მრავალს თავი მოჰკვეთა, დაუნგრია საცხოვრებელი და ძალიან ბევრი ნაძარცვი წაიღო¹.

მეჰმედ ფაშა გორიდან თბილისში წავიდა, სადაც სამი დღე დარჩა. მას თბილისში მიუტანეს კახეთის მეფე ალექსანდრეს ხარკი, რომელიც შედგებოდა 30 იუქი აბრეშუმის, რამდენიმე მონაკაცისა და ქალისა და სხვა საგნებისაგან. სარდლის ბრძანებით თბილისის ციხე შეაკეთეს, ამის შემდეგ წაიღო კახელების მიერ გადახდილი ხარკი და არზრუმში წავიდა გამოსაზამთრებლად².

1585 წლის აპრილის დასასრულს ოსმან ფაშამ არზრუმიდან შიკრიკი გაგზავნა სულთანთან და დამატებითი შეიარაღებული ძალა ითხოვა³. როგორც ჩანს, მას ქართველთა მოსალოდნელი თავდასხმა ძლიერ აფიქრებდა. ოსმან ფაშა ირანის საზღვარს უახლოვდებოდა და საომარი ოპერაციებისათვის ემზადებოდა, როდესაც მას აცნობეს, რომ ალექსოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ და კლისას სანჯაყბეგმა ალი ბეგმა გასულ ზამთარს ბრძოლა გაუმართეს ქართველებს ლორესა და დმანისის მახლობლად. ამ ბრძოლაში დაიღუპა ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილი, მათ შორის ლორეს ბეგლარბეგი ალი ფაშა, ხოლო ალექსოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ ბრძოლის ველიდან ერთი მუჭა ჯარისკაცებით გაქცევა შეძლო. ამ ბრძოლაში დიდი დანაკლისი ქართველებმაც განიცადეს⁴.

1584 წლის ზამთარში, ოსმალებმა ქართველებთან ბრძოლაში სხვაგანაც განიცადეს მარცხი. ვენეციის კონსულის პიეტრო მიქელეს მიერ სირიიდან გაგზავნილი რელაციიდან⁵ ვიგებთ, რომ ჰასან

ფაშას თან ახლდა 7 სანჯაყბეგი თავიანთი ჯარებით. ხუთი სანჯაყბეგი ქართველებმა მოკლეს, ორი კი, დაატყვევეს. ჰასან ფაშა მხოლოდ რვა კაცით გაიქცა¹.

ქართველთა წარმატებულმა მოქმედებამ სერიოზული დაბრკოლება შეუქმნა ერევანთან დაბანაკებულ ოსმან ფაშას დიდ არმიას. იგი სუსრსათის სერიოზულ ნაკლებობას განიცდიდა და იმედოვნებდა, რომ მომარაგების გაუმჯობესების შემდეგ სამხედრო ოპერაციების გაგრძელებას კვლავ შეძლებდა. მან სტამბოლში რამდენიმე კაცი გაგზავნა და სულთანს აცნობა, რომ სურსათის ნაკლებობა ჯარს გახრწნის საშიშროებას უქმნიდა. არსებული სიძნელეების გამო დაიწყო დეზერტირობა, ჯარისკაცები ადგილობრივ მოსახლეობას იკლებდნენ². ასეთმა მდგომარეობამ ოსმან ფაშა აიძულა არზრუმიდან ყარსის მიმართულებით წასულიყო და ამ ქალაქის ჩრდილო აღმოსავლეთით ჰასან-კალაში დაბანაკებულიყო. ოსმალთა ჯარის გადაადგილება ჩვენთვის იმდენად საინტერესოა, რამდენადაც აქ მთავარსარდალმა მიიღო ირანის შაჰისა და ქართლის მეფის ელჩები, რომლებსაც სამშვიდობო მოლაპარაკების გამართვა ევალებოდათ³.

მოლაპარაკების დროს თავს იჩინეს ერთი განსაკუთრებით საინტერესო მომენტი: ირანისა და საქართველოს დელეგაციები მოლაპარაკებას ცალ-ცალკე, მაგრამ ერთმანეთთან შეთანხმებულად აწარმოებდნენ. ქართლის სამეფოს ელჩობას სათავეში ედგა „მაღალი თანამდებობის საეკლესიო პირი“, რომელმაც ოსმან ფაშას აცნობა ქართველი მეფე-მთავრების სურვილი „მშვიდობისა და კეთილმეზობლობის“ შესახებ. სულთნის კარი გაჭიანურებული ომის დასრულების მომხრე იყო და ოსმან ფაშას თვითონაც გამოუთქვამს სურვილი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. იგი არა მარტო ქართველების მოთხოვნათა დაკმაყოფილების, არამედ მათი ყველა მტრისაგან დაცვის იმედსაც იძლეოდა. სარდლის ამგვარ ენთუზიაზმს, ვფიქრობ, ქართველთა წარმომადგენლები დიდი სიხ-

1 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 135

2 Там же. იბრაჰიმ ფეჩევის გადმოცემით: „ლეკან ხანის შვილის – ალექსანდრე ხანის შვილზე დადებული იყო [ხარაჯა] ოცდაათი აუქი აბრეშუმის და რამდენიმე ყმაწვილი და უბადლო [სილამაზის] მხევალი; აიღეს და წაიტანეს. კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე ბალაბანი წაიყვანეს“. იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 77-78.

3 Tardy L., Le Roi Svimon I^{er}, 31, p 190.

4 Ibidem.

5 რელაცია ვენეციის სენატში წაიკითხეს 1584 წ. 8 დეკემბერს.

1 Berchet, p. 70.

2 Tardy L., Le Roi Svimon I^{er}, 31, p 190

3 Ibidem, p. 191.

არულით არ შეხვდებოდნენ, რადგან ოსმან ფაშამ იმის გარანტიად, რომ ქართველები ოსმალებთან ურთიერთობაში მშვიდობასა და კეთილმეზობლობას დაცავდნენ, სვიმონ მეფეს ორი ვაჟის სულთნის კარზე მძევლად გაგზავნა მოსთხოვა¹. ოსმალებს მეფის ვაჟების სტამბოლში წაყვანით, მისი გაუვნებელყოფა უნდოდათ.

მოვლენების შემდგომი განვითარებიდან ირკვევა, რომ საზავო მოლაპარაკება, როგორც ირანელებთან ისე ქართველებთან უშედეგოდ დამთავრდა და საომარი მოქმედება განახლდა. ოსმალებმა თავრიზის მიმართულებით დაიწყეს შეტევა, მაგრამ ყიზილბაშების და ქართველთა წინააღმდეგობას წააწყდნენ და დიდი დანაკლისი განიცადეს². მიუხედავად ამისა, 1585 წლის სექტემბერში ოსმალებმა თავრიზი მაინც აიღეს. ამის შემდეგ ყიზილბაშები, მართალია, ბრძოლას განაგრძობდნენ, მაგრამ მათი როლი კავკასიის ფრონტზე უაღრესად შესუსტდა. ამ გარემოებამ ოსმალების ქართლ-კახეთის წინააღმდეგ გააქტიურება გამოიწვია.

ოსმალეთის მოძალბა ხიფათს უქმნიდა კახეთის სამეფოს, რომლის მესვეურებმა ოსმალთა შემოსევები აქამდე სხვადასხვა ხერხით აცილეს. ოსმალები თვალს ხუჭავდნენ ალექსანდრე II-ის მოჩვენებით მორჩილებაზე. იგი სარგებლობდა ოსმალების ქართლისა და შირვანის საქმეებში ჩაფლობით და მათ ხარკსაც კი აღარ უხდიდა. ახლა, როდესაც ოსმალებმა შედარებით მყარად იგრძნეს თავი, იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, კახეთის სამეფო აიძულეს 1578 წელს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ხარაჯა გადაეხადა. „ალექსანდრე ხანზე დადებული იყო ხარაჯა: ოცდაათი აუქი აბრეშუმი და რამდენიმე ყმაწვილი და უბადლო [სილამაზის] მხევალი, [აიღეს და] წარიტანეს. კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე კიდევ ბალახანი წაიყვანეს“³.

კახეთის მეფემ დროულად შეაფასა შექმნილი ვითარება. ვიდრე ოსმალები რადიკალურ ღონისძიებას გაატარებდნენ, მათ მანამდე მხარტვა ხარკი. მაგრამ საქართველოს სხვა მხარეებში ოსმალებს

იარაღით უხდებოდათ თავიანთი პრეტენზიების დაკმაყოფილება. იმავე იბრაჰიმ ფეჩევის თხზულებიდან ირკვევა, როგორ შეიცვალა ოსმალეთის დამოკიდებულება დაუმორჩილებელი საქართველოს მიმართ. ოსმალებმა, ფაქტობრივად, ხელი აიღეს ქართლის მიმართ ინკორპორაციის პოლიტიკაზე. მემკვიდრეობითი სამფლობელოების გამგებლებად ისინი ტოვებდნენ ადგილობრივ თვადებს, რომლებსაც ვასალური დამოკიდებულება უნდა ელიარებინათ და ხარკის გადახდა ეკისრათ.

1586 წელს ოსმან ფაშა მოკვდა და აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლად ფერჰად ფაშა მეორედ დაინიშნა. მან „საქართველოსაკენ ზედიზედ ჯარი გაგზავნა და ადრე დამორჩილებულთაგან ხარაჯა და ბაჟი ააღებინა. დასტური მიეცათ მმართველობისა“. არასწორია ამ ოსმალთა ისტორიკოსის შემდეგი განცხადება: „აგრეთვე მოვიდა სიმონ ცბიერის გადასახადი და ბაჟი. მათი (სვიმონ I და ალექსანდრე II – ე. მ.) მორჩილება და დაქვემდებარება დადგინდა“¹. სვიმონ მეფე ოსმალებს გადასახადს რომ არ მხარტმეკდა და არც მორჩილებას აღიარებდა, ეს კარგად ჩანს იმდროინდელი სხვა სანდო წყაროებიდან. სვიმონ მეფე ერთადერთი იყო, ოსმალების წინაშე ქედი რომ არ მოიხარა. ოსმალების მიერ თავრიზის აღების მიუხედავად, სვიმონ მეფე 1585 წ. თავს დაესხა ლორეს და ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი დაიპყრო². 1586 წლის 14 მარტს ფუგერის გაზეთი თავის მკითხველს აცნობებდა, რომ ფერჰად ფაშამ მარცხი განიცადა არზრუმსა და ვანს შორის. ამავე დროს ქართველები თავს დაესხნენ თბილისს, გორს, ყარსს და ოსმალების მიერ დაპყრობილ სხვა მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებს და ისე შეავიწროვეს ისინი, რომ ოსმალთა ჯარისკაცებმა დეზერტირობა დაიწყეს და ვინც ახერხებდა, არზრუმში გარბოდა³. დამოწმებული ეს ორიოდე ცნობა ერთხელ კიდევ ადასტურებს სვიმონ მეფისა და ქართლებების ქედმოუხრელობას ოსმალების მიერ ირანზე წარმატებული შეტევის შემდეგაც.

1 Ibidem.

2 Ibidem.

3 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 78.

1 იქვე.

2 ქრონიკები, II, გვ. 423.

3 Tardy L., Le Roi Svimon I^{er}, 31, p. 192.

ამავე დროს სამცხის ათაბაგმა მანუჩარმა სცადა ოსმალებთან მშვიდობის დამყარება, მაგრამ წარუმატებლად¹. მისი დიპლომატიური კონტაქტი სულთნის კართან, ევროპაში გაიგეს ქართველებსა და ოსმალებს შორის სეპარატული ზავის დადებად. ამგვარი აზრის წარმოშობას, ალბათ, ხელს უწყობდა ქართველების საქმიანობაც. საფიქრებელია, მანუჩარი და სვიმონი დაინტერესებულნი იმით თუ როგორი პასუხი მოვიდოდა სატამბოლიდან და ვიდრე ვითარებაში არ გაერკვეოდნენ, ოსმალებთან ბრძოლაზე თავს იკავებდნენ. როცა თავრიზის დასახმარებლად მიმავალი ოსმალეთის ჯარი ყიზილბაშთა და ქართველთა ლაშქარს წააწყდა, ქართველებმა ბრძოლას თავი აარიდეს და უკან დაიხიეს². ქართველთა ამგვარი მოქმედება კი სხვადასხვა მოსაზრებას და ვარაუდს წარმოშობდა საქართველო-ირანის ურთიერთობაზე.

ითქვამს, რომ სვიმონ მეფე, მანუჩარ ათაბაგი და შაჰი დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალეთთან ზავის დადებით. მაგრამ ქართველები და სპარსელები საზავო მოლაპარაკების მიმართ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას იჩენდნენ.

ირანთან საზავო მოლაპარაკების დაწყების ინიციატივა ფერჰად ფაშამ გამოამჟღავნა. ის ირანის ტახტის მემკვიდრე ჰამზა მირზას დაუკავშირდა. ზავის დადებაზე ირანი მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა, თუ ოსმალეთი თავრიზზე უარს იტყვოდა. სამაგიეროდ ირანი სცნობდა ირანის ყველა დაპყრობას³. ჩანს, როგორ შეიცვალა ირანის პოზიცია ოსმალეთთან ზავის საკითხში. აქამდე ირანი ყოველთვის ამასიის ზავის მიხედვით განსაზღვრული მდგომარეობის აღდგენას მოითხოვდა, ახლა იგი მზადაა უარი სთქვას თითქმის მთელ ამიერკავკასიაზე და იმითაც კმაყოფილი დარჩება, ოსმალები თავრიზს თუ მაინც დაუთმობდნენ. მაგრამ სულთანი არც იმაზე იყო თანახმა, რასაც შაჰის კარი მოითხოვდა. ფერჰად ფაშამ ჰამზა მირზას მოსთხოვა მას თავისი

ვაჟი ჰეიდარ-მირზა სტამბოლში გაეგზავნა, რათა სულთანს მისთვის თავრიზი გადაეცა¹. ეს კი გულისხმობდა, რომ მართალია, სულთანი ირანს დაუბრუნებდა თავრიზს, მაგრამ მისი გამგებელი სულთნის ვასალი უნდა ყოფილიყო. ჰამზა მირზა ყიზილბაში ამირების შეთქმულების მსხვერპლი გახდა 1585 წელს. საზავო მოლაპარაკება შეწყდა.

ქართველები უკმაყოფილო უნდა ყოფილიყვნენ ირანის მიერ წარმოებული საზავო მოლაპარაკების დროს წამოყენებული პირობებით. ირანი ტოვებდა ქართლის სამეფოსა და სამცხე-საათაბაგოს ბედის ანაბარა. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ქართველები დამოუკიდებლად შეეცდებოდნენ ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყებას. ირანი თუ სეპარატულ ზავს დადებდა ოსმალეთთან, ეს კიდევ უფრო გაართულებდა აღმოსავლეთ საქართველოს ისედაც გართულებულ მდგომარეობას. ირანის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ, ფერჰად ფაშამ სულთანს საკუთარი ხელით წაუღო შაჰისა და ჰამზა მირზას წერილები, რომლებითაც ისინი ზავის დადებას მოითხოვდნენ².

როგორც ითქვამს, ირანი და ოსმალეთი მოლაპარაკების დროს საქართველოს საკითხის იგნორირებას ახდენდა. ამიტომ ქართველებმა ისარგებლეს დროებითი სიმშვიდით და სვიმონ მეფემ მტერს ახალი დარტყმა მიაყენა. 1586 წლის დასასრულს, როგორც ევროპული წყაროები გვამცნობენ, მეფემ თბილისი აიღო. სვიმონ მეფის მიერ თბილისის აღების შესახებ არსებული ევროპული წყაროები, ერთი შეხედვით ძლიერ საეჭვოდ ჩანს, რადგან ირან-ოსმალეთის ომის ასეთი მნიშვნელოვანი მომენტი აღმოსავლურ წყაროებში არ აისახა. მაგრამ ევროპული წყაროების სანდოობას ადასტურებს ერთადერთი ქართული წერილობითი ძეგლი – „წიგნი ქრონიკონი ძველისა და ახლისა“, რომელშიც ვკითხულობთ: „1586 ქ. ქკს სოდ სვიმონ მეფე და ქალაქის ფაშა ასან ფაშა შეიბნენ ტაბანმელას. მეფეს გაემარჯვა, და მოკლა ხუთასი ურუმი და აიღო

1 იხ. აქვე, „სამცხე-საათაბაგო და ირან-ოსმალეთი“.

2 Ibidem, p. 193.

3 Рахмани А.А. «Тарих-и Алам арай-и Аббаси» как источник по истории Азербайджана, Баку, 1960, с. 75.

1 Там же.

2 Tardy L., Le Roi Svimon I^{er}, 31, p. 193.

გალავანი თბილისის ქალაქის უკანა ციხე⁴¹. სვიმონმა ხელთ იგდო მრავალი ზარბაზანი, დაანგრევინა ოსმალების მიერ თბილისში დაარსებული ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, ოსტატები კი შაჰს გაუგზავნა. მეფის მიერ თბილისის აღება სწრაფად შეიტყვეს ევროპაში. შარიერის კრებულის IV ტომში ეს ცნობა დათარიღებულია 1587 წლის 27 იანვრით², მაგრამ უფრო ზუსტია ლ. ტარდის მიერ მოპოვებული ცნობა, რომელიც 1586 წლის 26 ნოემბრით თარიღდება³.

როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროპაში სვიმონ მეფის მიერ თბილისის აღებას, ამაზე მეტყველებს ის უწყვეტი ინფორმაციის ნაკადი, რომელსაც ფუგერის გაზეთი ბეჭდავდა. 1586 წლის 7 დეკემბერს გაზეთი იტყობინებოდა, რომ თბილისი და მის მიდამოები დაკავებული ჰქონდათ ქართველებს და რომ ფერჰად ფაშამ თბილისის ხელახლა დასაპყრობად ჰასან ფაშა 15 ათასიანი ჯარით და ორი ბეგლარბეგით გაგზავნა. იმავე წლის 24 დეკემბრის ცნობა დამატებით სიახლეს შეიცავდა. თბილისის აღებისას სვიმონ მეფეს ბეგლარბეგი დაუტყვევებია⁴.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1587 წლის 22 იანვრის ინფორმაცია სტამბოლიდან. მასში, სვიმონ მეფის მიერ თბილისთან მოპოვებული გამარჯვების აღნიშვნასთან ერთად ნათქვამია, რომ სტამბოლში „მივიდნენ თბილისიდან გაქცეულნი, რომლებიც ჰყვებოდნენ, თუ რა დღე აყარა თურქებს ქართველების მეფე სვიმონმა. სვიმონთან მოსკოვიდან მოსულა 6 ათასი კარაბინერი. მას გადაუკეცია უღელტეხილები და ციხე-სიმაგრეში გამოკეტილი ომარ ფაშა ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ყველა გზა დახშული ჰქონდა“⁵.

1 საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. ტექსტების განოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და განმარტებები დაურთო ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 341.

2 Charrière E., *Negotiations de la France dans le Levant et correspondences, memoires et actes diplomatiques, IV, Paris, 1853, p. 578.*

3 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er}*, 31, p. 193.

4 *Ibidem.*

5 *Ibidem*, p. 194.

ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის ომის დამთავრების წინ კავკასიაში ფრიად ანგარიშგასაწვევი მოვლენა მოხდა. 1587 წელს კახეთის სამეფომ მოსკოვის მეფის მფარველობა მიიღო. ოსმალებს ეს ფაქტი სერიოზულ გართულებებს უქადდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ამიტომ ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა ქართლის სამეფოს და სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგობა გაეტეხა. იმავე დროს ოსმალეთს ირანისთვისაც უნდა შეეტია. სტამბოლში შემუშავებული გეგმის მიხედვით, შეტევა წარიმართებოდა სამი მიმართულებით: ჩიკალი ფაშა გაილაშქრებდა ყაზვინზე, ჯაფარ ფაშა – თავრიზიდან არდებილზე, ფერჰად ფაშა – საქართველოზე¹.

ფერჰად ფაშას შედარებით მცირე ჯარი გამოუყვეს, რაც მაშინდელ დამკვირვებლებში ეჭვს იწვევდა, რომ იგი საქართველოში რაიმე წარმატებას მიაღწევდა. ოსმალური წყაროების მიხედვით, ფერჰად ფაშამ თავისი ჯარის ნაკლებობა ყარსისა და ბათუმის საბეგლარბეგობიდან გამოწვეული ჯარით შეავსო. ოსმალებს გურიის მთავარიც ეხმარებოდა². იმავე ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, რომ ფერჰად ფაშამ ჯერ აჭარა დაიპყრო და მთელი ძალით დაიწყო ბრძოლა ათაბაგ მანუჩარის წინააღმდეგ. მანუჩარმა დახმარება თავის სიმამრს, სვიმონ მეფეს სთხოვა. იგი მაშინვე გაემურა, მაგრამ ოსმალების გორის დასაპყრობად წასვლა გაიგო და იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. ამის შემდეგ ოსმალებმა ადვილად აიღეს ახალციხე, რომელიც კვლავ ჩილდირის საბეგლარბეგოს შეუერთეს.

სამცხეში ოსმალების წარმატებამ ათაბაგის მოწინააღმდეგე ფეოდალების გააქტიურება გამოიწვია. ოსმალები მათი დახმარებით მანუჩარისა და მისი მომხრეების სამცხიდან განდევნას ცდილობდნენ³. ოსმალური წყაროების საწინააღმდეგო ცნობები შემოგვინახა ვენის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ. ერთ-ერთ მოხსენებაში ნათქვამია: „დიდი ხანი არ არის, რაც ფერჰად ფაშამ განიზ-

1 *Ibidem.*

2 სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 165.

3 იხ. ქვემოთ. გვ. 435-436.

რახა საქართველოში, დმანისში, ციხე-სიმაგრის აშენება, რომელიც გამიზნული იყო ქართველების მიერ მომზადებული შემოტევის მოსაგერიებლად. ოსმალებმა დაიწყეს თუ არა დამხმარე ჯარების მოყვანა, ქართველებმა ალყა შემოარტყეს მათ და მთლიანად ამოწყვიტეს. რამდენიმე ათასი თურქი ბრძოლის ველზე დარჩა¹.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, მიუხედავად მარცხისა, ოსმალების დიპლომატიები ტრანსილვანიაში, მოლდავეთსა და ვლახეთში ხმას ავრცელებდნენ – საქართველო დამორჩილებულიაო. ოსმალების ასეთ მტკიცებას სრულიად ეწინააღმდეგებოდა აღმოსავლეთიდან მოსული ცნობები. როგორც ფუგერის გაზეთიდან ვიგებთ, ოსმალების დივანს განუხილავს ქართველების მიერ მიყენებული ზარალის რაოდენობის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ ოსმალებს ზემოაღნიშნული მარცხის დროს დაუკარგავთ 15 ათასი მებრძოლი, მათ შორის დაღუპულან სინან ფაშას ვაჟი ხუსრევ ფაშა და არზრუმის ბეგლარბეგი².

მოყვანილი ევროპული წყაროების ცნობები ქართველების ოსმალებთან ბრძოლის ეპიზოდებს უნდა ასახვდეს და არა ომის საერთო მსვლელობას. ერთ რამ ფაქტია, ფერჰად ფაშამ დიდ წარმატებას მიაღწია. ოსმალებმა დაიპყრო განჯა, დაიმორჩილა ყარაბახი. ქართლში და სამცხეში ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრე მათ ხელში იყო.

ოსმალების წარმატებებმა აიძულა ქართლისა და კახეთის მეფეები გადაესინჯათ თავიანთი პოლიტიკა ოსმალების მიმართ. კახეთის სამეფოს მდგომარეობა ძველებურად მყარი აღარ იყო. რუსეთის იმედით ყოფნა აღარ შეიძლებოდა. რუსეთს ამ დროს უაღრესად გართულებული საგარეო და საშინაო მდგომარეობა ჰქონდა. განსაკუთრებით დაძაბული იყო მისი ურთიერთობა პოლონეთთან. მართალია მოსკოვის მთავრობა კახეთის მეფეს არწმუნებდა, რომ მოლაპარაკებისა და სხვა საშუალებით ოსმალებს კახეთს არ დააჩაგვრინებდა, მაგრამ იმავე დროს (1587 წ.), მოსკოვიდან ალექსანდრე მეფეს მაინც ურჩევდნენ გამოენახა ოსმალებთან საერთო

ენა. ალექსანდრე მეფემ ოსმალებს ხარკის გადახდა განუახლა წელიწადში 30 საპალნე აბრეშუმის სახით¹. მუსტაფა სელიანიქის მიხედვით: „კახთა მბრძანებელმა ალექსანდრე ხანმაც იკისრა ყოველწლიურად ათი ათასი ოქროს ღირებულების საუკეთესო აბრეშუმის გადახდა გადაკვეთილი ფასით. მორჩილად შეგვატყობინა, რომ არსებულ ციხე-სიმაგრეებს სიძნელებებში დაეხმარებოდა და საკმარის სურსათს მიაწვდიდა“².

ამ დროს მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი, კერძოდ, კახეთის მეფე ალექსანდრეს ვაჟი ერეკლე, ცნობილი წყაროების მიხედვით, ოსმალებთან გაიქცა. გამოთქმულია ეჭვი, ერეკლე კი არ გაიქცა, არამედ კახთა მეფემ, ოსმალებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, ერეკლე სულთანთან გაგზავნა და მას ირან-ოსმალების შორის ზავის დადების საქმეში შუამავლის როლი უნდა შეესრულებინა³.

* * *

კახი უფლისწულის პროოსმალური ორიენტაცია ცნობილი იყო მისი ოსმალებთან გაქცევამდე და მისი ამგვარი მოქმედება საქართველოში, ალბათ, არავის გაუკვირდებოდა. ჯერ კიდევ 1574 წ., ალექსანდრე II-ის გამეფებისთანავე, ერეკლე „გაპარვით წარვიდა წინაშე სულტნისა სტამბოლს (იტყვან სიამაყითა ძმისა თვისისა დავითისაგან)“⁴. როცა შაჰ თამაზმა გაიგო ერეკლეს ამგვარი მოქმედების შესახებ, იეჭვა, შეიძლება იგი ალექსანდრე მეფემ გაგზავნა ოსმალებში. შაჰი კახეთის დასალაშქრად წამოვიდა, მაგრამ მეფემ შეძლო მისი რისხვის აცილება⁵. ალექსანდრემ შაჰს უფლისწული კონსტანტინე მდიდრული ძღვენით გაუგზავნა და ერეკლეს შესახებ აცნობა, რომ „ურჩებთა ჩემითა წარვიდა ხვანთქართანა“ –

1 ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ. 1967, გვ. 31.

2 ფუთურიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 270.

3 ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 31; სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 178.

4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 576-577.

5 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 370; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 576-577.

1 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er}*, p. 195.

2 Ibidem.

იბოდიშებდა კახთა მეფე. შაჰ თამაზი დაკმაყოფილდა ალექსანდრე მეფის შენათვალთ „და წარვიდა სამყოფსა თვისსა, და თან წარიყვანა კონსტანტინე ყრმა მცირე მძევლისა მსგავსად“¹.

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტით, შაჰ თამაზის მიერ კონსტანტინე უფლისწულის მძევლად წაყვანა უნდა მომხდარიყო 1575 წლის ბოლოს ან 1576 წლის დასაწყისში, რადაგან ისტორიკოსი შენიშნავს, რომ მცირე ხნის შემდეგ შაჰ თამაზი გარდაიცვალა და იძლევა თამაზის გარდაცვალების თარიღს – 1576 წლის 15 მაისი, სამშაბათი დღე.

კონსტანტინეს მძევლად წაყვანას სრულიად განსხვავებულად გადმოგვცემს ისქანდერ მუნში. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ისქანდერ მუნშის მიერ გადმოცემული ამბავი, კონსტანტინე უფლისწულის ირანში მძევლად წაყვანის შესახებ უნდა მომხდარიყო 1582 წელს². ქართული ნარატიული წყაროს ცნობას (კონსტანტინე რომ 1575 ან 1576 წელს წაიყვანეს ირანში) მხარს უჭერს ირანში მოსკოვის ელჩის გრიგორი ვასილჩიკოვის ნათქვამი. იგი მოსკოვს აცნობებდა, რომ კონსტანტინე ჯერ კიდევ შაჰ თამაზის დროს წაიყვანეს მძევლად, რათა ალექსანდრე მეფე ირანის ერთგული ყოფილიყო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში³.

კონსტანტინე უფლისწულის მძევლად წაყვანაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ დამაჯერებელი გავხადო ერეკლეს დალატი ჯერ კიდევ ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყების წინ. როგორც ჩანს, ერეკლე უპრინციპო პიროვნება იყო და მაშინდელ საერთაშორისო ან კახეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკაში მისგან რაიმე სერიოზული საქმეს არავინ ელოდა.

ერეკლე უფლისწული, როგორც უკვე ითქვა, შემდეგ (1578 წ.) მოულოდნელად ჩნდება ალექსანდრე მეფის მიერ დაპყრობილ შაქში. ერეკლე მამასთან ერთად რომ არ მონაწილეობდა ამ სამხედრო ექსპედიციაში, აშკარაა. როგორც ანონიმი ვენეციელი გადმოგვცემს, ერეკლეს მისვლისთანავე ალექსანდრეს შაქი მიუტოვე-

ბია და კახეთში დაბრუნებულა. ლალა მუსტაფა ფაშამ ერეკლეს შაქის სანჯაყბეგობა და ათი ათასი ცეხინი ჯამაგირად დაუნიშნა¹. საფიქრებელია, ერეკლე ოსმალებთან ერთად მოვიდა საქართველოში, რასაც უსიამოვნო შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ალექსანდრე მეფეზე (ჯერ ყიზილბაშებმა ალექსანდრეს ტახტის მოცილედ იესე შაქში დაუსვეს, ახლა ოსმალები კახთ მეფეზე ზეწოლისათვის ერეკლეს გამოყენებას ცდილობენ). ნიშანდობლივია, რომ ალექსანდრე II ამის შემდეგ მოვალეობას კი იხდიდა ოსმალთა სარდლების წინაშე, მაგრამ პირადად მათ აღარასოდეს შეხვედრია.

ამგვარად, ალექსანდრეს ერეკლეს მძევლად ან შუამავლად გაგზავნა თუ სურდა, ვისთან რა ჰქონდა დასამალი. ირანის შაჰი თვითონ აგზავნიდა მძევალს ოსმალეთში და კახეთის მეფეს ჯერჯერობით რა უფლებით აუკრძალავდა, ან ერეკლეს შუამავლობა რაში სჭირდებოდა, როცა არც სულთან იყო ირანთან ზავის წინააღმდეგი, რის შესახებაც უკვე რამდენჯერმე ითქვა.

ალექსანდრე მეფეს რუსეთის მთავრობასთანაც დასამალი ან მოსაბოდიშებელი არაფერი ჰქონდა. მოსკოვის ხელმწიფე თვითონ ურჩევდა ალექსანდრეს, რომ ოსმალებთან საერთო ენა გამოენახა. იმ დროს ვინ არ იცოდა, რომ ოსმალეთთან საერთო ენას მძევლისა და ხარკის მიცემის გარეშე ვერავინ გამონახავდა. როცა რუსეთის ელჩებმა ალექსანდრე მეფის კარზე ერეკლეს შესახებ იკითხეს, კარისკაცებმა აუხსნეს, რომ თრიაქის სმამ უფლისწულს გონება აურია და თავისი მომხრე აზნაურებით სულთანთან გაიქცა. შემდეგში ერეკლეს ერთ-ერთი ახლობელი უკან დაბრუნებულა და მეფისათვის მოუხსენებია, რომ უფლისწული ბევრს ცდილობდა სულთნის კარზე, მაგრამ ვერაფერს მიაღწია². მოსკოვის ელჩები მოწმენი გახდნენ, ალექსანდრე მეფესთან როგორ მოვიდნენ ყაბარდოს მთავრის ზოტოვის მოციქულები და თავიანთი მთავრის ასული, ერეკლეს მეუღლე, უკან ყაბარდოში წაიყვანეს³.

1 თურქეთ-სპარსეთის ომი, გვ. 32.

2 *Сношения России с Кавказом*, с. 155-156. შტრ. ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 336.

3 *Сношения России с Кавказом*, с. 168.

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 517.

2 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 271.

3 *Сношения России с Кавказом*, с. 564

სავარუდოა, ერეკლე სულთნის კარზე ისეთ პიროვნებად არ მიიჩნის, რომელზეც დაყრდნობა შეიძლებოდა. იგი უცხოობაში გადახვეწილი მოკვდა და ალექსანდრე მეფეს ამის დასტურად 1590 წლის იანვრის დასაწყისში ერეკლეს ტანსაცმელი მიუტანეს. ერეკლესთან ერთად გაქცეულმა მისმა თანამზრახველებმა სამშობლოში დაბრუნების უფლება და ხელშეუხებლობის სიგელები ითხოვეს¹.

* * *

არც ალექსანდრე მეფეს და არც შაჰ აბასს არ სჭირდებოდა ერეკლეს შუამავლობა და არც მისი ოსმალებთან „გაქცევის“ ინსცენირება იყო საჭირო. ყველა მეომარი მხარე ომის დასრულებისა და საზავო ხელშეკრულების დადებას უჭერდა მხარს, მაგრამ თითოეული მათგანი ცდილობდა ზავის პირობები ფორმულირებული ყოფილიყო თითოეული მათგანისათვის მისაღები შინაარსით. 1588 წელს ოსმალეთის იმპერიასა და ქართლის სამეფოს შორის დაიდო ზავი². ზავი ყველაზე მეტად ქართლის სამეფოს სჭირდებოდა. იგი მთელი ათი წლის განმავლობაში ომის ასპარეზად იყო ქცეული, რამაც ქვეყანა განადგურების პირას მიიყვანა. სვიმონ მეფის ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. შეიძლება ითქვას, მან აიძულა ოსმალეთის იმპერია ხელი აეღო ქართლის გაოსმალებისა და მისი სრული ინკორპორაციის განზრახვაზე. სვიმონი ოსმალეთთან ზავს სდებდა არა საბოლოოდ, არამედ დროებით, შესვენების, ძალების ხელახლა მოკრებისა და საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებების ახლებურად შეფასებისათვის. მეფე რომ არსებულ მდგომარეობასთან შეგუებას არ აპირებდა, კარგად ჩანს „უავგუსტოს ხელშეკრულებიდან“ და სელიანიქის თხზულებიდანაც.

საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად ის პრინციპები დაედო,

¹ Там же, с. 186.
² ზავის დადების თარიღი კიდევ უფრო დააზუსტა ვ. ჩოჩიევიძე. მან ისქანდერ მუნშის ცნობებზე დაყრდნობით დაამტკიცა, რომ ზავი უნდა დადებულიყო 1588 წლის 1 სექტემბრამდე. ჩოჩიევი ვ. მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 194.

რომლებზეც, როგორც ისქანდერ მუნში აღნიშნავს, ერთ დროს (1585 წ.) ჰამზა მირზა და ფერჰად ფაშა შეთანხმდნენ¹. მაშინ საზავო მოლაპარაკება ვერ დასრულდა ჰამზა მირზას მოკვლის გამო. თუმცა, იმ მოლაპარაკების დროს საქართველოს საკითხით ოსმალეთი და ირანი ნაკლებად დაინტერესდნენ.

სვიმონ მეფისათვის გასაგები იყო, რომ მას სამეფოს და თავისი ბედიც თვითონ უნდა გადაეწყვიტა. ძალიან საინტერესოდ გადმოგვცემს ისქანდერ მუნში მეფის მდგომარეობას ზავის დადების წინ: სვიმონ მეფე მუდამ შეუპოვრად ებრძოდა ოსმალებს, მაგრამ საბოლოოდ შეაფასა თავისი მოკავშირე ირანის მდგომარეობა და დარწმუნდა, რომ მისგან დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონებოდა. დამოუკიდებლად ბრძოლა უკვე მის ძალებს აღემატებოდა².

სულთანმა სვიმონ მეფეს უსაყვედურა, რომ მას ხელშეკრულება ჯერ არ დაემტკიცებინა და ქართლის მეფე ფერჰად ფაშასთვის მიცემულ პირობას უკვე არღვევდა. ამის შესახებ საქართველოს მესაზღვრე ბეგლარბეგები წერილობით აცნობებდნენ სულთანს³. სვიმონ მეფის მიერ ისლამის ჯარის შევიწროებას 1588 წლის ივნისში აღნიშნავს მუსტაფა სელიანიქი⁴. სულთანი მეფეს მოუწოდებდა თავი შეეკავებინა ამგვარი მოქმედებისაგან, თუ არა სამხედრო მოქმედების განახლებით ემუქრებოდა. თუ ოსმალეთის ჯარი შეაწუხებდა სვიმონ მეფის ქვეშევრდომებს, სულთანი დამნაშავეების სასტიკად დასჯას ჰპირდებოდა⁵.

სვიმონ მეფემ საზავო პირობები ჯერ ფერჰად ფაშასთან შეთანხმდა, რაც ფაქტობრივად, ზავის დადებას ნიშნავდა. შემდეგ ელჩები სტამბოლში გაგზავნა. ელჩობას მეთაურობდნენ: მეფის ძმა ვახტანგი, მისი ერთი ნათესავი და სიაუმ სააკაძე, გიორგი სააკაძის მამა⁶. ელჩები სტამბოლში ღირსეულად მიიღეს. როგორც

¹ ისქანდერ მუნში, გვ. 38.
² იქვე, გვ. 39.
³ სვანიძე მ., ჯიქია ს., საქართველო თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წწ., „მაცნე“, ისტორიის სერია, №6, თბ., 1966, გვ. 234.
⁴ ფუთურიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 271-272.
⁵ სვანიძე მ., ჯიქია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 234-235.
⁶ იქვე, გვ. 227-228..

„ქართლის მბრძანებლისადმი გაცემული უავგუსტოესი ხელშეკრულებიდან“ ჩანს, სულთანის მურად III (1574-1595) ფრიად უწონებდა სვიმონ მეფეს ოსმალეთთან ზავის დადებას: „ჩემს საბედნიერო სამეფო ტახტს ყოველმხრივი მორჩილება და გამგონობა გამოუცხადე, მისი მოხარჯეობა ბედნიერების წყაროდ მიიჩნე და ზემოსხენებულ სარდალს შენი წლიური ხარაჯა გამოუგზავნე და ამრიგად ერთგულად და გულწრფელად მიენდვე და შემოაფარე თავი ჩემს უზენაეს კარს“¹.

საზავო ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთი ქრისტიანობით სცნობდა სვიმონს ქართლის მეფედ, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას. იგი დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო შინაგან მმართველობაში.

ქართლის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის საზავო ხელშეკრულება არსებული მდგომარეობის მიხედვით დაიდო. ქართლის სამეფო ორად გაიყო. ის ციხე-ქალაქები, რომლებიც ოსმალებს დაპყრობილი ჰქონდათ, მათ ხელში დარჩა, დანარჩენ ტერიტორიაზე მეფის ხელისუფლება ვრცელდებოდა. ხელისმომწერი მხარეები საზავო ხელშეკრულების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ახდენდნენ. ტერიტორიული ზონები ხელშეკრულებაში მტკიცედ დადგენილი არ იყო. ძნელი იყო იმის გარკვევა, ვის ეკუთვნოდა ოსმალების მიერ დაკავებული ციხე-სიმაგრეების ირგვლივ მდებარე სოფლები და სახნავ-სათესი მიწები. მეფეს ეს უკანასკნელნი თავის საკუთრებად მიაჩნდა და იქიდან გარკვეულ გადასახადს – „უშურს“² იღებდა, რითაც ოსმალებს ადგილობრივი სურსათით გამოკვების საშუალებას უსპობდა და მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. მურად III შეშფოთებას გამოსთქვამდა იმის გამოც, რომ ქართველები თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ „ციხეებში მიმავალ-მომავალ მის ჯარისკაცებს, სურ-

სათისა და ხაზინის დამტარებლებსა და გამკვლელ-გამომკვლელებს“¹. ქართველების გაგებით, თუ ციხეები ოსმალებს ეკუთვნოდათ, გზები ქართველებისა იყო. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, მშვიდობა დიდი ხნით ვერ დამყარდებოდა. მართალია, „უავგუსტოეს ხელშეკრულებაში“ მურად III სვიმონ მეფეს დაბეჯითებით სთხოვდა, რომ ოსმალეთის ადმინისტრაციასთან რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობებინა სტამბოლში და დამნაშავენი დაისჯებოდნენ. სინამდვილეში ფარული და ზოგჯერ დაუფარავი ომი მაინც მიმდინარეობდა.

ქართლის სამეფოს ოსმალეთთან არაპირდაპირი ომის გაგრძელების მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს სვიმონ მეფის რამდენიმე ლაშქრობა დასაპყრობად იმერეთის სამეფოსი, რომლის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ოსმალეთს ჰქონდა.

XVI ს. 80-იან წლებში იმერეთის სამეფოში სრული ანარქია სუფევდა. ერთმანეთზე წაკიდებული დადიანისა და გურიელის ბრძოლაში იმერელი თავადების ერთი ნაწილი მონაწილეობდა, მაგრამ მეორე ნაწილი, ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარებით და კარს მომდგარი ოსმალებისაგან დაპყრობით შეშფოთებულნი, სვიმონ I-ში ხელდავდნენ იმ ლიდერს, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა შეეძლო. რა თქმა უნდა, სვიმონ მეფე ცდილობდა იმერეთის სამეფოში არსებული ვითარების საქმის კურსში ყოფილიყო. სვიმონს იმერეთზე თავისი გავლენის გავრცელების შემთხვევაში, ოსმალებთან ბრძოლის დროს, რომელიც, ზავის მიუხედავად, მას დამთავრებულად არ მიაჩნდა, თავდაცვა და ოსმალებისაგან დაპყრობილი ქართული მიწების განთავისუფლებაც გაუადვილდებოდა. ერთი შეხედვით, ქართლისა და იმერეთის პოლიტიკური ძალების ინტერესთა თანხვედრა ჩანს.

სვიმონ მეფე იმერეთის სამეფოში მიმდინარე მოვლენების პასიური დამკვირვებელი არ იყო. ის დაუკავშირდა იქაურ გავლენიან თავადებს და ზოგიერთისგან თანადგომის მტკიცე პირობა მიიღო. ამის შემდეგ ის თავისი ჯარით იმერეთში გადავიდა. ლევან მეფემ

1 იქვე, გვ. 234.

2 „უშური“ გაიღებოდა ბაღებზე, ვენახებზე, ბოსტნებზე, მარცვლეულის კულტურებზე, თაფლზე, თევზის ჭერაზე და სხვ. შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. თსუ შრომები, №91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960, გვ. 298.

1 სვანიძე მ., ჯიქია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 235.

(1583-1590) დახმარებისათვის დადიანსა და გურიელს მიმართა, მაგრამ უარი მიიღო, სვიმონ მეფეს კი ზოგიერთი „ზემოური“ მიუვიდა. გოფანთოსთან (ახლანდელი თერჯოლის მახლობლად) ბრძოლაში 1588 წელს სვიმონ I-მა ლევან მეფე დაამარცხა, „დაიპყრა იმერეთი, გამოუხუნა მძევალნი იმერთა, წარიყვანნა ივინი და წარვიდა“, ლევანმა ისევ დაიბრუნა სამეფო ტახტი, მაგრამ თავის სიმამრ მამია დადიანთან ბრძოლაში დამარცხდა, ტყვედ ჩავარდა და შხეთის ციხეში ტყვეობაში გარდაიცვალა. გამეფდა როსტომი (1590-1605), რომელსაც დადიანი უჭერდა მხარს და მისი გამეფებით, შესაბამისად, ოდიშის მთავარი ძლიერდებოდა. როგორც ჩანს როსტომის გამეფება ოსმალებისა და მათი მომხრე გურიის მთავარ გიორგისათვის მიუღებელი იყო. გურიის მთავარი თავს დაესხა მეფეს, განდევნა და გაამეფა მისთვის და სულთნის კარისთვის სასურველი კანდიდატი ბაგრატი, რომელსაც ქვეყანა უნდა ემართა გურიელის ვაჟის მამიას ზედამხედველობით. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „იხილა გურიელმან გიორგიმ საქმე როსტომისა, შეიკრიბნა სპანი, მოვიდა და მოიყვანა ბაგრატი ძე თეიმურაზისა ვახტანგის ძისა; ვერ წინაღუდგა როსტომ, წარუხუნა ქუთათისი და მისცა ბაგრატს და თვით მივიდა საჩინოს; მოიყვანნა ოსმალთა სპანი“¹. ბაგრატი ოსმალებისთვის მისაღები კანდიდატი იყო და ამიტომ მის გამეფებაში ჩილდირის ბეგლარბეგი აბდულაჰიც ჩაერია. ერთ თურქულ საბუთში ნათქვამია: „ბაკაკის (ბაგრატის – ე.მ.) სახელწოდების მეფე იმთავითვე თავისი საქმიანობის შესრულებას შეუდგა. იგი ბელნიერების დედაქალაქს (სტამბოლს – ე.მ.) ემორჩილებოდა და მის დაქვემდებარებაში იყო“². სვიმონ მეფე, ბუნებრივია, არ დაუშვებდა ოსმალთა მარიონეტი ბაგრატის გამეფებას, ისევ გადავიდა იმერეთში და ქუთაისი ალყაში მოაქცია. ბერი ეგნატაშვილთან სვიმონის იმერეთში გადასვლა 1593 წლით თარიღდება, მაშინ როდესაც თურქულ წყაროები სვიმო-

ნის იმერეთში გადასვლას, ქუთაისის ალყას და სხვ. 1591-1592 წლების ქვეშ ათავსებს. აღნიშნული საბუთი ინფორმაციული ხასიათისაა და 1591 წლის 10 აგვისტოთი თარიღდება და ამ წლის პირველი ნახევრის მოვლენებს ასახავს. საბუთი ირკვევა, რომ სვიმონ მეფეს ქუთაისის ალყა გაუხანგრძლივდა. იმერეთში მყოფ ოსმალების წარმომადგენლებს საკმაოდ ინტენსიური მიწერმოწერა ჰქონდათ ხელისუფლების სხვადასხვა დონის მოხელეებთან ქუთაისის ციხის სვიმონისათვის დანებება-არდანებების შესახებ. „ჩილდირის ბეგლარბეგს ჰუქში გაეგზავნა, წერილობით ეცნობა. ბაკაკის (ბაგრატი – ე.მ.) სახელწოდების მელიქმა ქუთაისის ციხე წყველ სვიმონს არ მისცეს. ამ მხარეში მორჩილების არზა გამოიგზავნა. ჩაბარების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, სასწრაფოდ გულითადი ერთგულება იყო საჭირო. ხსენებული ციხის ბეგლარბეგმა... ჩაბარება ითხოვა. გურიის მეფეს პატიოსანი ჰუქში გაეგზავნა. ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ, რომ როდესაც იგი მოაღწევს, შენც ამასობაში უწინდებურად დაინიშნე. გურიის მეფემ წერილების გაგზავნა სასარგებლოდ მიიჩნია. ამ საკითხზე სასიამოვნო თადარიგი დაიკავეს. ამასთანავე იგი ინფორმირებულ იქნა... აღნიშნული ბაკაკის (ბაგრატის) სახელწოდების მეფემ ყველაფერი გამოიყენა, ყველაფერი გააკეთა თუ თავდასხმებისას მნიშვნელოვანი დახმარება იქნებოდა, აღნიშნული ციხე იარებს მოიშუშებდა. ხსენებული ფერჰადისათვის... დამატებით ლაშქრობაში მონაწილეობა, დიდი სანაქებო საქმე იქნებოდა. ამგვარად, თადარიგი დაჭერილ იქნა, მდგომარეობა კვლავ უცვლელი დარჩა. დაწვრილებით ყველაფერი ცნობილი გახდება“³.

მეფე ბაგრატის, გურიელისა და ოსმალთა მოხელეების საქმიანობა, ქუთაისის ციხის სვიმონის მიერ დაპრობისაგან გადასარჩენად, აისახა სხვა თურქულ საბუთებშიც, ჩანს, რომ სვიმონმა 1591 წელს ვერ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა⁴, შემდგომ წელს კი, მან, როგორც ქართული წყაროს მიხედვით შეიძლება ვარაუდი, ქუთაისის ციხე აიღო, ბაგრატი შეიპყრო, „დამძევლა იმერეთი“ და

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 821.

2 შენგელია ნ., ზუთი დოკუმენტი „მუჰიმე დავთრებიდან“ სვიმონ ქართლის მეფის შესახებ. საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, თბ., 2006, გვ. 379.

1 იქვე, გვ. 379-380.

2 იქვე, გვ. 384, 390.

ქართლში გაბრუნდა¹. ამის შემდეგ როსტომმა, მანუჩარ დადიანის დახმარებით აიღო ქუთაისი და კვლავ იმერეთის მეფედ შეიქმნა. ეს ამბავი უნდა იყოს ასახული ჩილდირის ბეგლარბეგისათვის გაგზავნილ ჭუქში, რომელშიც აღნიშნულია, რომ იმერეთის მეფემ და დადიანმა ქუთაისის ციხე აიღეს და მისი შეკეთება-შერემონტება მოახდინეს: „სარემონტო საქმიანობა გასწიეს და ადგილებზე მივიდნენ. ქუთაისის ციხეში დაბანაკდნენ. ციხეში მცველებისა და მეთვალყურეების ჩაყენების თაობაზე ბრძანება გაიცა... კარები მოიჭანეს, თავის ადგილებზე ჩამოკიდეს... შიგ ვარჩინებულები და დიდებულები ჩააყენეს“². ამ წარმატების შემდეგ უნდა ყოფილიყო, რომ „ქუთაისი ემირთაგან უწარჩინებულესი ემირი ილჰაჯი 300 კაცით ქუთაისის ციხეში დარჩა. ეს ციხე მას ებოძა, თუმცა ამჯერად ქუთაისის ციხის დაცვაზე უარი თქვეს“³. როგორც ჩანს, ილჰაჯი და მისი რაზმი გორიდან გადმოიყვანეს ქუთაისის ცნობილი მოვლენების გამო და მათ ისევ გორში დაბრუნება უნდოდათ. მათ ჰპირდებიან, რომ „წყევლი“ სვიმონის წინააღმდეგ გალაშქრების დრო დადგება, გორში დაგაბრუნებთო. ილჰაჯი უკვე დანიშნული იყო გორის დამცველად⁴.

ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, სვიმონ მეფე ისევ იმერეთში შეიჭრა როსტომი დაამარცხა, ქუთაისი აიღო, მძევლები წამოიყვანა და ქართლში დაბრუნდა. როსტომმა დადიანის დახმარებით ქუთაისი და ტახტიც დაიბრუნა. სვიმონი ისევ გადავიდა იმერეთში, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი აიღო ქუთაისის ჩათვლით, მაგრამ საბოლოოდ ოფშკვითის ბრძოლაში⁴ მან როსტომ მეფისა და დადიანის გაერთიანებულ ძალებთან მარცხი განიცადა და როსტომთან მორიგება არჩია⁵. ამგვარად, მეფის ცდამ, საიმედო ზურგი ჰქონებოდა დასავლეთ საქართველოს მხრიდან, მარცხი განიცადა.

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 376.

2 შენგელია ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 387,

3 იქვე, გვ. 384.

4 ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია ოფშკვითის ბრძოლის თარიღად 1590 წელი, რაც განხილული თურქული წყაროების შემდეგ საუთუოდ მეჩვენება.

5 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 222; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 375-377; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 820-823.

7. საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობანი და დიპლომატიი XVI ს. 80-იან წლებში

XVI ს. 80-იანი წლების ევროპულ წყაროებში პირველ ცნობებს საქართველოს საგარეო ურთიერთობების შესახებ რეჩოსპოლიტიკის მეფე იშტვან ბატორის (1576-1586) ანტიოსმალურ გეგმებში ვხვდებით. იშტვან ბატორის აზრით, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებამდე აუცილებელი იყო რუსეთის დაპყრობა. ამ გეგმის განხორციელებისათვის იგი მხარდაჭერას ეძებდა რომში, ვენეციის რესპუბლიკაში, ავსტრიაში, ესპანეთსა და ირანში.

რომის პაპის აზრით, ესპანეთი და პოლონეთი, რომლებიც რუსეთზე გავლით უნდა დაკავშირებოდნენ ჩინეთსა და ინდოეთს, კათოლიკური ევროპის დასაყრდენი იყვნენ. პაპ გრიგოლ XIII-ს (1572-1585) გრანდიოზული პერსპექტივები ესახებოდა პოლონეთის, ლიტვის და შვეციის ერთობლივი ფრონტით რუსეთზე და ოსმალეთის იმპერიაზე შეტევისათვის¹.

იშტვან ბატორი გამეფებისთანავე რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის სამზადისს შეუდგა. რომის პაპი თვისი სპეციალური ელჩის, ცნობილი დიპლომატის, იეზუიტ პოსევინოს საშუალებით ყოველნაირ მხარდაჭერას უცხადებდა ბატორის თეზისს: მოსკოვი თურქთათრების ან პოლონეთის გავლენის ქვეშ მოექცევა. მაგრამ პაპის კურიაში, ვენეციაში და ბატორის კარზე იცოდნენ, რომ რუსეთი ადვილი ნადავლი არ იქნებოდა. საჭირო იყო რუსეთისა და ოსმალეთის ერთმანეთთან დაჯახება და ასეთი საშუალებით ორივეს დასუსტება. ამის შემდეგ რუსეთის დაპყრობა მის დასავლელ მეზობლებს სრულიად გაუადვილებოდათ².

პოლონეთ-რომის მოლაპარაკება პოსევინოს საშუალებით მიმდინარეობდა. 1583 წლის 26 იანვარს პოსევინო კომოს კარდინალს აცნობებდა კავკასიის ფრონტზე მომხდარ ახალ ამბებს და

1 Винтер Э. Натиск контрреформации на Россию и польские королевские выборы 1575 и 1587 гг. Сб. «Международные связи России до XVII в.», М., 1961, с. 407.

2 Там же, с. 408.

ოსმალების მიერ განცდილი მარცხის მნიშვნელობაზე. იგი იქვე მიუთითებდა, რომ სასურველია, პაპმა ირანის შაჰი ქრისტიანი ხელმწიფეების სახელით წააქეზოს, რათა მტკიცედ იღვეს ოსმალების წინააღმდეგ. პოსევიჩო იმასაც აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთზე გამავალ გზებს ირანთან და კავკასიასთან დასაკავშირებლად¹.

იშტვან ბატორს იმავე წელს კახეთთან, ქართლთან და ყაბარდოსთან სამხედრო კავშირის შეკვრაც კი განუზრახავს. ეს ის „ქვეყნები“ იყო, რომლებიც იმისათვის რათა თავი დაეცვათ ოსმალების იმპერიის აგრესიისაგან, რუსეთთან დაახლოებას ცდილობდნენ².

1583 წელს კავკასიაში ანტიოსმალური კოალიცია მართლაც რომ შეიქმნა, ამაზე მიუთითებს იბრაჰიმ ფეჩევი. მისი თქმით, „შამხალი და დაღესტნის სხვა მელიქები და საქართველოს თავადები ერთმანეთს დაუკავშირდნენ. ესენი ამბობდნენ: ეს ხალხი (ოსმალები – ე. მ.) თანდათან მრავლდება; ვიდრე ესენი შირვანის ქვეყნის შემდეგ ჩვენს სამეფოდრეო სამფლობელომდე მოვიდოდნენ, თუ ჩვენ დროულად თადრიგი არ დავიჭირეთ, ეჭვი არ არის, რომ მათგან აოხრება ჩვენც არ აგვცდება“³. რადგან ირანი ოსმალებს ებრძოდა, შაჰმა, იმავე ფეჩევის გადმოცემით, მიზანშეწონილად ჩათვალა, თავის ხელში აეღო კავკასიის ხალხების ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა⁴.

1584 წლის 29 აგვისტოს პოსევიჩო კომოს კარდინალს კვლავ აცნობდა ბატორის გეგმას: ბატორი ზოგიერთი რუსი მთავრის დახმარებით სამი წლის განმავლობაში დაიპყრობდა მთელ რუსეთს და ასტრახანსაც დაეუფლებოდა. ამის შემდეგ ოსმალეთი ველარ გაბედავდა კათოლიკურ ევროპაზე თავდასხმას. გარდა ამისა, ბა-

ტორი დაუკავშირდებოდა ჩერქეზეთს, საქართველოსა და ირანს. ისინი მაშინ ამოქმედდებოდნენ, როცა პოლონეთის მეფე ხელსაყრელად მიიჩნევდა¹.

1586 წელს იშტვან ბატორი, თავის მხრივ, ბრწყინვალე პერსპექტივას უსახავდა რომის პაპს იმ დიდი სარგებლობის თაობაზე, რასაც პაპის კურია რუსეთში და კავკასიის ხალხებში, კერძოდ, საქართველოში კათოლიკობის გავრცელებით მიიღებდა². პოსევიჩო პაპ სიქსტ V-ს (1585-1590) და კარდინალ აცოლინოს არწმუნებდა, რომ რუსები მზად არიან უარყოთ თავიანთი მეფე და ბატორი სცნონ. პაპმა პოლონეთის მეფეს დაავალა პოსევიჩო მოლაპარაკებისათვის მოსკოვში გაეგზავნა. იმ შემთხვევაში თუ რუსეთი უარს იტყოდა ოსმალების წინააღმდეგ საომრად მიმავალი პოლონეთის ჯარის მის ტერიტორიაზე გატარებაზე, მაშინ პაპი იშტვან ბატორს დათანხმდებოდა დაეწყო ომი მოსკოვის სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბატორმა პაპისაგან ავანსად 25 ათასი სკუდი მიიღო „ოსმალების წინააღმდეგ ომისათვის“. ეს, ფაქტობრივად, რომის პაპის მიერ ბატორისათვის მოსკოვის სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის დაწყების ნებართვის მიცემას ნიშნავდა, რადგან ეჭვი არ იყო, რომ მეფე თევდორე პაპის კომპრომისულ წინადადებას ვერ დაეთანხმებოდა. რუსეთ-რეჩპოსპოლიტის ამ დამაბული ურთიერთობის დროს, რუსეთის ტერიტორიაზე პოლონეთის ჯარის შემება, რათა მას კასპიის ზღვის სანაპიროდან დაერთყა ოსმალებისათვის, მოსკოვის მთავრობისათვის მიუღებელი იყო. მოსკოვში ისედაც იცოდნენ, რომ 1586 წლის დამდეგს შლიახტურმა სეიმებმა ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყების შესახებ. მაგრამ ბატორის გეგმებს განხორციელება არ ეწერა. ბატორი მოულოდნელად, 1586 წლის დეკემბერში, გარდაიცვალა. რეჩპოსპოლიტაში არეულობა დაიწყო, რუსეთთან ომის დაწყებამ მეორე რიგში გადაიწია.

ევროპაში გაფაცვიცებით ადევნებდნენ თვალს ირან-ოსმალების ომის მსვლელობას. ოსმალების წარმატებამ, კერძოდ, მის მიერ

1 Pierling H., *Le S. Siege, la Pologne et Moscou 1582-1587*, Paris, 1885, p. 123-124.

2 Kuntze E., *Les rapports de la Pologne avec le Saint Siège à l'a d'Étienne Batori (Étienne Batory, Roi de Pologne, Prince de Transilvanie)*, Cracovie, 1935, p. 204.

3 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 69.

4 იქვე. სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 148.

1 Pierling, *Op. cit.*, p. 133-134.

2 *Ibidem*, 161-162.

ირანის უმნიშვნელოვანესი ქალაქის – თავრიზის აღებამ, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ვენეციის რესპუბლიკის აგენტი, ამ ამბით შეშფოთებული, ირანიდან გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში თავის მთავრობას აცნობებდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დროს საქართველო სერიოზულ ძალას წარმოადგენდა¹.

საინტერესოა, როცა ავსტრიის ელჩი მოსკოვში ვარკაჩი 1589 წლის 11 ივნისს დაინტერესდა აღმოსავლეთში ანტიოსმალურად განწყობილი ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობით, საელჩო პრიკაზში ჩამოუთვალეს, რომელი ქვეყანა რამდენ ჯარს გამოიყვანდა. იქვე ნათქვამი იყო, რომ საქართველო თავისი 50 ათასიანი ჯარით ყიზილბაშებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოლებდა².

ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეიქმნეს, თითქოს საქართველოს სამეფო-სამთავროები მხოლოდ თავიანთ მეზობლებთან ურთიერთობით იზღუდებოდნენ. მათი პოლიტიკური მესვეურებიც დაინტერესებულნი იყვნენ ევროპისა და აღმოსავლეთის ამბებით და მათ შესახებ ინფორმაციას აგროვებდნენ. ბუნებრივია, ქართველ პოლიტიკოსებს აინტერესებდათ რა ხდებოდა ოსმალეთის მოწინააღმდეგე ქვეყნებში, როგორი იყო ანტიოსმალური ძალები. ალექსანდრე კახთა მეფისათვის ინფორმაციის მთავარ წყაროს, ძირითადად, უცხოელი და ქართველი ვაჭრები წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, იგი ხშირად ევროპაში ვაჭრების სახით თავის შენიღბულ აგენტებს აგზავნიდა³.

ოსმალეთისა და ყირიმის სახანოს მოძალებამ კავკასიის ხალხებზე, ისინი დამპყრობლების საპირისპირო ძალის გამოძების აუცილებლობაში დაარწმუნა. ნათელი იყო, ირანი ასეთ ძალად

ველარ გამოდგებოდა. ის თავისი თავსაც ველარ იცავდა. ამიტომ ყურადღება გადატანილი იქნა მოსკოვის სახელმწიფოზე, რომელიც კავკასიისა და კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ მიიწვედა. რუსებმა ასტრახანი დაიპყრეს და ირანთან პირდაპირი სავაჭრო კავშირი დაამყარეს. ასეთ ვითარებაში ოსმალეთის გაბატონება ჩრდილო კავკასიაში, ამიერკავკასიის დაპყრობა და ირანის განადგურება ან დასუსტება რუსეთის სახელმწიფოსათვის მიუღებელი იყო. სულთანის კარი მშვენივრად ხვდებოდა მოსკოვის სახელმწიფოს მიზანს და დიპლომატიური მანევრით ცდილობდა ჩაეშალა მისი ურთიერთობა ირანთან და რუსეთს ირანის საწინააღმდეგო კავშირი შესთავაზა. 1586 წლის ოქტომბერში ოსმალთა ვაჭარმა მეჭმედმა რუს ელჩებს – როდიონ ბირკინსა და პეტრე პივოვს განუცხადა, რომ სულთანი მზად იყო რუსეთისათვის დაეთმო ასტრახანი (უფრო სწორად, ოსმალეთი სცნობდა რუსეთის მიერ ასტრახანის დაპყრობას), თუ რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ანტი-ირანული შეთანხმება დაიდებოდა¹.

მოსკოვის სახელმწიფო ამიერკავკასიაში მოკავშირეების ძიებას იწყებს. მოსკოვში, საქართველოს სხვა სამეფოებთან შედარებით, ყველაზე მეტი ინფორმაცია კახეთზე ჰქონდათ. კახეთი ფართოდ იყო ჩაბმული აბრეშინით საერთაშორისო ვაჭრობაში. კახეთს მოსკოვთან დაკავშირება ასტრახანის გზით შეეძლო. ეს გზა გადიოდა დაღესტან საშამხლოზე, რომლის მთავარი სულთნის ვასალი იყო. ოსმალეთის მითითებით, შამხლის რაზმები იკლებდნენ კახეთის სასაზღვრო რაიონებს. ამიტომ რუსეთის შემოსვლას ჩრდილო კავკასიაში კახეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ჯარის ჩაყენება გამოიწვევდა საშამხლოს ოსმალეთის სახელმწიფოსაგან მოწყვეტას და მის მოქცევას ორ ქრისტიანულ სახელმწიფოს შორის. ამის შემდეგ მისი ალაგმვა ადვილად მოხერხდებოდა.

კახეთთან ურთიერთობის განახლება რუსეთმა მოიწადინა. მეფე თევდორე ივანეს ძის ბრძანებით, ასტრახანის მეთოფეთა ასისტავმა, ტოლმაჩმა რუსინ-დანილოვმა, კავკასიაში იმოგზაურა

1 Тамже, с. 42.

1 Berchet, Op. cit., p. 291.

2 Памятники дипломатических сношений Дрней России с державами иностранными, ч. I. Сношения России с государствами европейскими, т. I, с 1488 по 1594 г., СПб., 1852, с. 186.

3 მრავლისმეტყველია ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთის ელჩისათვის შენათვალა: «Царягорода и изо Фрянок торговые люди ко мне ездят, а мои люди торговые во Царьгород и во Фрянки ездят; а иное и яз посылаю для вестей будто с торгом на Гиляне да на Казбин и во Фрянки» (Сношения России с Кавказом, с.205).

და კახეთსაც ეწვია. ელჩს, ვითომ, მხოლოდ რუსეთთან ვაჭრობის სარგებლიანობის პროპაგანდა ევალეობდა, მაგრამ იმავე დროს იგი ზვერაჟდა ასტრახანიდან საქართველოსაკენ მიმავალ გზებს, ცდილობდა გამოეკვლია კახეთს როგორი ეკონომიკური შესაძლებლობები გააჩნდა და ა.შ. დანილოვმა კახეთის მეფეს თავისი მეფის წერილი გადასცა. წერილში მოსკოვის სახელმწიფო კახეთის სამეფოს პოლიტიკურ კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა¹. კახეთის მეფე ალექსანდრე II დიდი კმაყოფილებით შეხვდა თევდორე ივანეს ძის წინადადებას. „კახეთ-რუსეთის ურთიერთობის განახლებისათვის დროც მარჯვე იყო. ირანი ოსმალებს დაეძალა და შაჰს კახეთის „პატრონობის“ თავი არა ჰქონდა. ოსმალეთი კი მოძალადე იყო და კახეთის მეფეც საშუალებას სწორედ ამ მოძალადისაგან თავის დასაცავად ეძებდა“². ალექსანდრე II-მ როცა დანილოვი გაისტუმრა, თან თავისი ელჩებიც გააყოლა, რომლებმაც 1586 წლის 9 ოქტომბერს თევდორე მეფეს კახეთის სამეფოს მფარველობა სთხოვეს.

მოსკოვის ხელმწიფეს კახეთის სამეფო უნდა დაეცვა ყველა მტრისაგან, აეგო თერგზე ციხე და შიგ დიდი ჯარი ჩაეყენებინა. იმავე დროს თერგიდან კახეთისაკენ საშამხლოზე გამავალი გზა რუსებს უნდა გაეკონტროლებინათ, რათა მასზე მოგზაურობა უხიფათო ყოფილიყო³.

კახელები რუსეთის მთავრობას საშამხლოზე გამავალი გზას გარკვეული გეგმით სთავაზობდნენ. მართალია ელჩები მოსკოვში ამტკიცებდნენ, რომ ეს გზა ყველაზე მოხერხებული და მოკლე იყო (რაც შეიძლება არც იყო სიმართლეს მოკლებული), მაგრამ მათ სხვა რამე ჰქონდათ ჩაფიქრებული: რუსეთს ჯარი შეეყვანა

საშამხლოში, რაც, რა თქმა უნდა, მშვიდობიანად არ მოხდებოდა.

თ. ბოცვაძე ფიქრობდა, რომ 1586 წელს კახეთის სამეფო კარი რუსეთს არ სთხოვდა შამხალის წინააღმდეგ შეწევნას, რადგან საშამხლო, კახეთთან ერთად, ანტიოსმალურ კოალიციაში იყო. იგი ნათქვამის საბუთად იშველიებდა იმავე წელს შამხალის მიერ მოსკოვში თავისი ელჩის გაგზავნას. ელჩმა შამხალის სახელით მფარველობა და თერგზე ციხის ჩადგმა ითხოვა, რათა ოსმალებს არ დაესწროთ და იქ ციხე არ ჩაეღვათ. შემდეგ მკვლევარმა ის არგუმენტი მოიყვანა, რომ 1586 წელს გაგზავნილ წერილში ალექსანდრე მეფე არაფერს ამბობს თერგის ციხის აშენებისა და საშამხლოზე გამავალი გზის რუსების მიერ დაკავებაზე¹. მისივე თქმით, კახეთ-საშამხლოს ურთიერთობა გაფუჭებულია 1587 წელს კახეთის მიერ ხელდებალების ფიცის მიღების შემდეგ.

ჩემი აზრით, შამხალის მიერ ელჩის გაგზავნა მოსკოვში სრულებითაც არ ნიშნავდა კახეთ-საშამხლოს ყოფნას ანტიოსმალურ კოალიციაში. სავარაუდოა, საშამხლო ცდილობდა კახეთ-რუსეთის ურთიერთობის ჩაშლას და უნდოდა მოსკოვის მთავრობისათვის ეჩვენებინა, რომ კახეთთან კავშირის გარეშე, საშამხლოს მხარდაჭერით, თერგზე ციხის ჩადგმაც შეიძლებოდა და ოსმალეთის შეჩერებაც თუ ის ასტრახანზე გაილაშქრებდა. იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ შამხალი სულთნის მითითებით მოქმედებდა. შამხალს დროის მოგება უნდოდა, ვიდრე ამიერკავკასიაში ოსმალეთს უჭირდა, მანამდე რუსეთს მოქმედება არ დაეწყო. რუსეთის შესვლა ამიერკავკასიაში ნიშნავდა ოსმალეთის მიზნების კატასტროფას ამ რეგიონში.

კახეთის პოზიცია საშამხლოს მიმართ თავიდანვე გარკვეულია. კახეთის მიზანია საშამხლოს წინააღმდეგ აამოქმედოს რუსეთი. მართალია, 1586 წელს გაგზავნილ წერილში (მისი შინაარსი გადმოცემულია „სტატეინი სპისოკში“ და მის სიზუსტეზე ლპარაკი არ შეიძლება) ალექსანდრე მეფე არაფერს ამბობს შამხალის შესახებ და მხოლოდ ოსმალებისაგან დაცვას ითხოვს. წერილში ალექსანდრე მეფე უაღრესად სქემატურად, სულ ბოლოს (წერილი

1 Там же, с. 12; ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 11-12.

2 ბერძენიშვილი ნ. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

3 თერგიდან კახეთისაკენ მიდიოდა სამი გზა: 1. ჩერქეზეთი-ხევი-მთიულეთი-კახეთი, 2. სუნჯა-საჩაჩანო-ხუნძახი, 3. კახეთი-წახური-ყაზი-ყუმუხი-ყაზანიჩი-ქიაფირ-ყუმუხი-ტარკი-ტიუმენი-თერგის ციხე. Поливектов М. А., Экономические разведки Московского государства в XVII в. на Кавказе, Тифлис, 1935, с. 28-31; ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 18-19).

1 ბოცვაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 39.

ხომ ძირითადად, თევდორე ივანეს ძის ხოტბის შესხმა) ასახელებს ოსმალებს. ისინი ქრისტიანობის მტრები არიან და სხვებთან ერთად ჩვენც ვიტანჯებითო¹. „სტატიინი სპისოკში“ შემდეგ აღნიშნულია მოსკოვის მთავრობას, მეფის ბრძანებით, ქართველთა ელჩობის რომელი წევრისათვის რამდენი ხარჯი უნდა გაეღო.

1587 წლის 3 აპრილს თევდორე ივანეს ძემ ქართველი ელჩების საქართველოში გაშვება და თან თავისი ელჩების გაყოლება ბრძანა. ვიდრე ქართველი ელჩები მოსკოვს დატოვებდნენ, მანამდე ისინი, თავიანთი მეფის ბრძანების თანახმად, საელჩო პრიკაზში უნდა მისულიყვნენ და განეცხადებინათ, რომ მოსკოვის მეფე თევდორე ივანეს ძემ კახეთის მეფე ალექსანდრე მფარველობაში უნდა აიყვანოს და კახეთში მათთან ერთად თავის ელჩებსაც აგზავნის.

მართლაც, მეორე დღეს (4 აპრილი) ქართველი ელჩები საელჩო პრიკაზში მივიდნენ, სადაც ზოგად ფრაზებში გაიმეორეს თევდორე მეფის დანაბარები. იქ მხოლოდ ის დაუმატეს, რომ რუსეთის ხელმწიფე საქართველოს და მეფე ალექსანდრეს ქრისტიანული რწმენისადმი ერთგულების გამო თავის მფარველობაში მიიღებდა².

როცა ლაპარაკია ზემოხსენებულ წერილზე, მასში უნდა ვიგულისხმოთ მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მასშინ კახეთის სამეფოს აწუხებდა. ყოვლად დაუჯერებელია, რომ ქართველ ელჩებს ხიფათით აღსავსე და სანგრძლივი მოგზაურობა მხოლოდ იმისათვის მოეწყობოდა, რომ ხელმწიფისათვის საქებარი სიტყვები ეთქვათ. საფიქრებელია, ელჩებმა ხელმწიფესაც და „საელჩო პრიკაზსაც“ მოახსენეს ოსმალეთთან, ირანთან და საშამხლოსთან თავიანთი ურთიერთობის შესახებ და ამის თაობაზე მოსკოვის სამეფო კარის მოსაზრებებიც მოისმინეს. მოსკოვში ამის შემდეგ შეადგინეს „ფიცის წიგნი“. ამ ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტზე ალექსანდრე კახთა მეფე მხოლოდ რაღაც გაურკვეველი დაპირებებით ხომ არ მოაწერდა ხელს?

და თუ ასე არ იყო, მაშ რატომ გამოთქვამდა შემდეგში ქართველი ელჩი ყაფლან ვაჩნაძე (1588 წ.) საყვედურს იმავე

„საელჩო პრიკაზში“, რომ მისმა მეფე ალექსანდრე II-მ იმიტომ ითხოვა მფარველობა, რომ იგი ხელმწიფეს დაეცვა მისი მტრისაგან, შამხლისაგან. მხოლოდ ამიტომ შევეფარეთ რუსეთის მეფეს და არა თურქეთს ან ირანსო¹. ელჩმა კატეგორიულად მოითხოვა საშამხლოში ჯარის გაგზავნა „ალექსანდრეს მტრობისა და ქრისტიანთა სისხლისათვის შურის საძიებლად“². მოხელეებმა და ბოიარებმა მეფეს მოახსენეს ქართველი ელჩების განწყობილებისა და მათი მოთხოვნის თაობაზე. თევდორე ივანესძემ ელჩები თავისთან მიიწვია, სადაც დუმის, ანუ საბჭოს მდივანმა დიაკმა ანდრეი შჩელკალოვმა მსმენელებს თითქმის მთლიანად გაახსენა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მოყოლებული 1586 წლიდან: ქართველებს რუსთა ხელმწიფისათვის ყოველწლიურად უნდა ეძლიათ 50 ოქროქსოვილი და ასეთივე ძვირფასი 10 ხალიჩა. სამაგიეროდ მოსკოვის სახელმწიფოს კახეთის სამეფო უნდა დაეცვა ყველა მტრისაგან, შამხლის წინააღმდეგ უნდა გაეგზავნა ჯარი და გაეწმინდა საშამხლოზე გამავალი გზა³.

საშამხლოში ცნობილი იყო კახეთის მეფის ანტისაშამხლო დიპლომატია და, ბუნებრივია, შამხალი შეეცდებოდა მისთვის ხელი შეეშალა. როცა ცნობილი გახდა კახეთ-რუსეთის ხელშეკრულების შესახებ, შამხალმა კახეთის წინააღმდეგ მოქმედება გააქტიურა. ამის შემდეგ რუსთა ჯარის საშამხლოში შეყვანა კახეთის დიპლომატიის გადაუდებელ ამოცანად გადაიქცა.

მოსკოვის კარზე კარგად ესმოდათ კახელების მიზანი. როგორც რუსეთის ელჩების სემიონ ზვენიგოროდსკის და დიაკ ტორხის მოხსენებიდან ჩანს, მოსკოვის მთავრობას ალექსანდრეს მოთხოვნა

1 «И послы говорили, что государь их Александрь царь для того государю бил челом в поданные, чтоб государь оборонил его от недруга его от Шевкальского, а толко ныне государевы рати на Шевкала не будет, -ино и вперед от Шевкала Грузинской земле не будет без войны. А Грузинская земля потому государю и била челом, в подданстве учиналася; а ни х Турскому, ни х Кизылвашскому не пристали за то, что б им быти от своих недругов оборонену государевою милостью». Тамже, с. 61; ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 296; ბოცვაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 42.

2 Сношения России с Кавказом, с. 61

3 Тамже, с. 62.

1 Сношения России с Кавказом, с. 11-12.

2 Тамже, с. 11-13.

დაუკმაყოფილებია. ელჩები ამის შესახებ კახეთის მეფეს და მის კარისკაცებს შეახსენებდნენ, რომ მეფე თვღორე „... **во обороне держати хочет ото всех недругов и город на Терке для тебя и твоей земля для оберегания поставити государь велель и на недруга твоего, а на своего непослушника, на Шефкала князя государь наш по твоему челобитью рат свою хочет послати, чтоб вперед тебе, Александру царю, и твоей земле от Шевкала тесноты и убытков не било и дорога б от твоей земли ко государя нашего отчине к Терскому городу очистити**»¹.

1587 წელს მოსკოვის ელჩები კახეთში ჩამოვიდნენ და 26 აგვისტოს მეფე ალექსანდრეს წარუდგინეს. მოლაპარაკება ერთ თვეს გაგრძელდა. 28 სექტემბერს ხელშეკრულება გაფორმდა. ალექსანდრე II-მ თავის შვილებთან და დიდებულებთან ერთად რუსეთის მეფის ხელდებულების ფიცი მიიღო. კახეთის მეფემ პირობა დადო სამუდამოდ რუსეთის ერთგული იქნებოდა და მფარველის მიმართ მტრულ მოქმედებას არასოდეს ჩაიდინდა. უფრო მეტიც, ალექსანდრე მეფეს თავის მემკვიდრეებთან ერთად მოსკოვის სახელმწიფოს ყველა მტრის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. ასეთ შემთხვევაში იგი თავისი ჯარით ასტრახანისა და თერგის ვოევოდებს შეუერთდებოდა. კახეთის სამეფოს ყოველწლიური გადასახადის გადახდა დაეკისრა. თავის მხრივ, მეფე თვღორე კახეთის სამეფოს ყველა მტრისაგან დაიცავდა. თერგისა და ასტრახანის ვოევოდებს დაევალიათ კახეთის სამეფოს დაცვა. „ხოლო შამხალის წინააღმდეგ გავაგზავნო ჩემი ლაშქარი და ჩვენი სახელმწიფოდან შენს ქვეყნამდე მიმავალი გზა გავწმინდო“ – წერდა რუსთა მეფე².

საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელ საშამხლოს გზაზე, ქართველი პოლიტიკოსების აზრით, გარკვეული წესრიგი დამყარდებოდა მაშინ, როცა იქ რუსეთის ჯარი ჩადგებოდა. დონელი კაზაკები, რომლებიც ქართველ და რუს ელჩებს აცილებდნენ ხოლმე, თერგზე შედიოდნენ და საშამხლოს, ყირიმის სახანოს,

ოსმალეთის იმპერიას და ამ უკანასკნელის ყველა მოკავშირეს დიდ საზრუნავს უჩენდნენ. კაზაკების თარეშით განსაკუთრებით შეშფოთებული იყო ოსმალეთი, რადგან ჩრდილო კავკასიის გზით (ყირიმი-დარუბანდი) სარგებლობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. დაზარალებულნი ჩიოდნენ მოსკოვის მეფესთან, რათა მას კაზაკების „თვითნებობა“ აღეკვეთა. მაგრამ ოსმალეთი, ყირიმის სახანო და საშამხლო ყოველთვის ერთსა და იგივე პასუხს იღებდნენ: **«Живут на Терке вору беглые казаки безъ государева ведома**»¹.

ცნობილი არ არის, ჰქონდათ თუ არა გარკვეული გეგმა კაზაკებს ან მათ მოქმედებას ვისი საიდუმლო ხელი წარმართავდა, როცა ისინი ოსმალეთსა და მის მოკავშირეებს ებრძოდნენ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არსებული წყაროების საფუძველზე შეუძლებელია. ცხადია, მათი მოქმედება სტიქიური, მხოლოდ ნადავლის მოპოვების სურვილით განპირობებული არ იყო. სავარაუდოა, რომ კაზაკებსა და სვიმონ მეფეს შორის კავშირი თუ არა, გარკვეული კონტაქტები მაინც არსებობდა. კაზაკები ჩრდილო კავკასიის გზებს უკეტავდნენ ამიერკავკასიისაკენ მიმავალ ოსმალებს. ამდენად, ისინი საქართველოს დაცვასაც ხელს უწყობდნენ და, ერთხანს, მეფის დახმარებაც სცადეს (გავისხენოთ თბილისიდან ლტოლვილი ოსმალების მიერ სტამბოლში ჩატანილი ამბავი, მეფეს რუსთა 6 ათასიანი ჯარი ეხმარებო). ამაზე მიუთითებს, აგრეთვე, რუსი ელჩის სემიონ ზვენიგოროდსკის ერთი ცნობა, რომელიც 1586 წელს განეკუთვნება. მასში ნათქვამია, რომ თერგის თავისუფალი კაზაკები მცირე ხნით სვიმონ მეფესთან მივიდნენ, მაგრამ ქართლის მეფემ ისინი სამ წელიწად-ნახევარს² თავისთან გააჩერა და უკან დაბრუნების საშუალებას არ აძლევდა.

¹ Там же, с. XXXVII.

² გაუგებარია, რატომ ფიქრობდა ი. ცინცაძე, თითქოს კაზაკები ქართლში ცხრა თვეს დარჩნენ (ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956, გვ. 318), მაშინ როდესაც წყაროში ნათქვამია: **«Волние казаки, сшед с Терки реки, жили у зятя его (Александр II – Э. М.) у Семена, а Семен их держал у себя полчетверта года по неволе, а назад не отпустил» (Сношения России с Кавказом, с. 125).**

¹ Там же, с. 96.

² Там же, с. XXXVII-XCIV.

მაშასადამე, კაზაკები სვიმონ მეფესთან მივიდნენ 1586 წელს და თბილისიდან გაქცეულ ოსმალებს სტამბოლში ეს ამბავი უნდა ჩაეტანათ. რა თქმა უნდა, სტამბოლში ჩატანილ ცნობაში უზუსტობებია: ჯერ ერთი, დაუჯერებელია, რომ საქართველოში 6 ათასი კაზაკი გადმოსულიყო. იმ პირობებში 600 კაცის გადმოსვლაც კი დიდი ამბავი იქნებოდა; და, მეორეც, — საეჭვოა, კაზაკები საქართველოში მეფე თევდორეს გამოეგზვნა. როგორც რუსი ელჩების ცნობებიდან ირკვევა, მოსკოვში, საერთოდ, არაფერი იცოდნენ ქართლის სამეფოში კაზაკების ყოფნაზე და რუსმა ელჩებმა მხოლოდ კახეთში შეიტყვეს. სვიმონ მეფისათვის კაზაკთა რაზმს იმდენად პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც პოლიტიკური. მას კაზაკთა რაზმი პროპაგანდისათვის სჭირდებოდა: ქვეყანა გაიგებს (და ასეც გაიგეს) მეფეს რუსთ ხელმწიფე ეხმარებაო. ამავე მიზნით სთხოვდა ალექსანდრე კახთა მეფე მოსკოველ ელჩებს კაზაკები კახეთში დაეტოვებინათ: «Только б была слава, что государевы руские люди у государия их, Олександра царя»¹. ამ მომენტს მაშინდელ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ ამბებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთთან ურთიერთობის გართულებას ოსმალები და მისი მოკავშირეები ერიდებოდნენ.

ქართლიდან კახეთში გადასული კაზაკები ალექსანდრე მეფემ საშამხლოს საზღვარზე ციხეებში ჩააყენა. ალბათ, ამ ღონისძიებას გარკვეული ეფექტი ჰქონდა, რადგან შემდეგ ზაფხულში კახეთის მეფეს კაზაკების ისევ იმ ციხეებში დაბრუნება სურდა. მაგრამ, როგორც მაშინდელი დიპლომატიური ურთიერთობიდან ჩანს, მოსკოვის მთავრობა ხალისით არ ეკიდებოდა კახეთის მეფის ამგვარ მოთხოვნებს.

კახეთის სამეფოს მიერ რუსეთთან ურთიერთობის დამყარება უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო მთელი კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით. გასაგები უნდა გამხდარიყო, რომ ამერიიდან ის, ვისაც მოსკოვის სახელმწიფოსთან ურთიერთობის გართულება არ სურდა, კახეთის სამეფოს მიმართ მტრულ აქციებს უნდა მორიდებოდა. ოსმალეთის პოლიტიკური მესვეურები, ალ-

ბათ, ბევრს სწუხდნენ იმ შეცდომაზე, რაც მათი კახეთისადმი პოზიციაში გამოხატა და იქ რუსეთის გავლენის დანერგვა მოხდა. სულთნის კარისათვის გასაგები იყო, რომ თუ იგი დროულად არ გადაწყვეტდა ქართლის საკითხს, შეიძლებოდა იქაც ანალოგიური მდგომარეობა გამეორებულიყო. საგულისხმოა, რომ მოსკოველ ელჩებს — როდიონ ბირკინს, პეტრე პიეოვს და სტეფანე პოლუხანოვს პირდაპირი მითითება ჰქონდათ, რომ თუ ალექსანდრე მეფის სიძე ან ძმა ხელმწიფისაგან მფარველობის მიღების სურვილს გამოსთქვამდა, ელჩებს ისინი უნდა წაეხალისებინათ, რომ მათ მოსკოვში თავიანთი ელჩები გაეგზავნათ, მფარველობა ეთხოვათ და ხელმწიფე მათ თხოვნას შეიწყნარებდა¹.

ჩემი აზრით, მოსკოვის მთავრობას მხედველობაში ჰყავდა, ალექსანდრე II-ის სიძე სვიმონ I ან ალექსანდრე მეფის ძმა უფლისწული იესე. ხელმწიფე მხოლოდ იმ პირობით დააკმაყოფილებდა ერთის ან მეორის სურვილს, თუ მფარველობის თხოვნის პერიოდისათვის ისინი ალექსანდრე მეფესთან კარგ ურთიერთობაში იქნებოდნენ.

სვიმონ მეფე, როგორც მაშინდელი წერილობითი წყაროებიდან ჩანს უფრო ორიენტირებული იყო დასავლეთ ევროპაზე და ირანზე. მან იცოდა, რომ არსებული მდგომარეობის მიხედვით, ქართლის სამეფოსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის ხელშეკრულება ვერ დაიდებოდა. სვიმონი მიესალმებოდა რუსთა ჯარის ქართლში შემოსავლას, მაგრამ სალი აზრი უკარნახებდა, რომ რუსეთიდან ამგვარი დახმარების მიღება ვერ მოხერხდებოდა. ქართლის სამეფო საომარ მდგომარეობაში იყო ოსმალეთის იმპერიასთან და სვიმონს კარგად ესმოდა, რომ რუსეთის მიერ მფარველობის სიტყვიერად გამოცხადებას რა ფასი ექნებოდა: ეს გამოიწვევდა ოსმალეთის მხრიდან ომის კიდევ უფრო გააქტიურებას. დადებითად არც შაჰის კარი შეხვდებოდა სვიმონ მეფის ასეთ ნაბიჯს. ალბათ, რუსეთის მთავრობაც ითვალისწინებდა ამ მდგომარეობას, მაგრამ იგი ისეთნაირად აწყობდა საქმეს, ვითომც მოსკოვში სვიმონთან დაახლოებაზე არც ფიქრობდნენ და ქართლიდან ელჩები თუ ჩავიდოდნენ

¹ Там же.

¹ Там же.

და რაიმე გარიგება მაინც მოხდებოდა, მას თავის გამართლების საშუალება ყოველთვის ექნებოდა: ქართველებმა თვითონ გვთხოვეს და ჩვენც „ქრისტიანობის სიყვარულის გამო“ ვცდილობთ რითიმე დავეხმაროთო. მაგრამ ეს „დახმარება“ სვიმონ მეფეს თავისი ქვეყნის დაცვის საქმეს ვერ გაუადვილებდა. რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ომს არ დაიწყებდა. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო კი ოსმალეთს იარაღით ებრძოდა.

მეფე ითვალისწინებდა რა საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას და იმასაც ვის როგორი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან და შესაბამისად, დახმარების მიღება საიდან უფრო მოსალოდნელი იყო, უძვობესად ჩათვალა დასავლეთი ევროპისათვის მიემართა. მან 1587 წელს რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან დახმარების სათხოვნელად დესპანები გაგზავნა. სვიმონის ერთ-ერთი დიდებული იერუსალიმზე გავლით რომის პაპთან უნდა წასულიყო, ხოლო ესპანეთის მეფესთან კი ვინმე სომეხი ვაჭარი ალექსანდრე კონსტანტინოპოლის გზით, რომელსაც „ექვსი შეკვრა ქართული აბრეშუმი“ მიჰქონდა მეფისათვის მისართმევად. ქართველმა დიდებულმა ადრესატამდე ვერ მიაღწია. ის ოსმალეებმა შეიპყრეს პაპისათვის განკუთვნილი წერილებითა და საჩუქრებით. მეორე ელჩი – ალექსანდრე რომში მივიდა. რადგან მას რომიდან უკან, საქართველოში დაბრუნება ჰქონდა განზრახული, იგი ესპანეთის მეფის ელჩს გრაფ დე ოლივარესს შეხვდა და მას გაანდო სვიმონის წინადადებები. კერძოდ, ქართლის მეფე მზად იყო პაპისა და ესპანეთის მეფის ვასალი გამხდარიყო და ყოველთვის ირანის ერთგული მოკავშირე იქნებოდა. სვიმონ მეფის აზრით, ესპანეთს კავშირი უნდა დაემყარებინა სამივე ქართულ სამეფოსთან¹.

ძნელია იმის დადგენა სვიმონ I იმერეთისა და კახეთის მეფეებთან შეთანხმებით გამოდიოდა ასეთი ინიციატივით, თუ ქართველ მეფეთა შორის მისი პირველობის დემონსტრირება იყო. სვიმონ

მეფეს რომ პირველობის პრეტენზია მართლაც ჰქონდა, კარგად გამოჩნდა 1588 წელს მის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის წარუმატებელ მცდელობაში.

სვიმონ მეფის წერილში ჩამოყალიბებულმა წინადადებებმა გამოცდილი ესპანელი დიპლომატი გრაფი დე ოლივარესი (დონ ენრიკე დე გუსმანი) აღმოსავლეთში მოკავშირის შექმნის შესაძლებლობით დააინტერესა. ოსმალეთის იმპერია ხიფათს უქმნიდა პორტუგალიელთა (პორტუგალია ამ დროს ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა) დასახლებებს აღმოსავლეთ აფრიკასა და ჰორმუზზე. გრაფმა დე ოლივარესმა 1588 წლის 5 თებერვალს თავის მეფეს, ფილიპე II-ს მისწერა: „მე მგონია დავარწმუნო პაპი, რაც შეიძლება მალე დადოს კავშირი ქრისტიანულ (ქართველ – ე.მ.) მეფეებთან, რათა ისინი გაერთიანდნენ თურქეთის წინააღმდეგ იმ მხრიდან; რომ აქედან გამოდის ასევე კავშირი სპარსეთთანაც, რომელსაც მხარს ვუჭერდით აქამდეც; რომ ყოველივე ეს უკეთ რომ გაკეთდეს, საჭიროა გაიგზავნოს კაცი იმ დესპანთან ერთად ან მისი წასვლის შემდეგ, რათა დამყარდეს კავშირი სვიმონთან, ალექსანდრესთან და ბაშიაჩუკთან¹ თურქების წინააღმდეგ და ასევე, რათა თქვენმა უდიდებულესობამ გაგზავნოს კაცი ამავე მიზნით თავის დისშვილთან, პოლონეთის მეფესთან და მოსკოვის მეფესთან, რათა ისინი შეუერთდნენ მათ და შექმნან დიდი ძალა თურქეთის წინააღმდეგ; ასევე გაიგზავნოს მისიონერები, როგორც სვიმონი ითხოვს, რათა მათ ხალხს ასწავლონ ქრისტიანული სულიწკვეთებით“.

გრაფმა დე ოლივარესმა თავისი მოსაზრება აღმოსავლეთში მოკავშირის შექმნის შესაძლებლობაზე გააცნო კარდინალ სანკტა სევერინას და ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კარგი იქნებოდა სვიმონ მეფესთან ორი დესპანი გაეგზავნათ – ერთი კონსტანტინოპოლზე გავლით, მეორე პოლონეთისა და მოსკოვის გავლით,

¹ ლუის ხილი ფერნანდესი და ხოსე მანუელ ფლორისტანი, ქართველი მეფეების წერილები: სვიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ს (თარგმანი ესპანურიდან). კრებულში: საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, II, თბ., 1995, გვ. 197-198.

¹ იგულისხმება იმერეთის მეფე ლევანი (1583-1590). ბაშიაჩუკი ოსმალებისა და სპარსელებისათვის იმერელთა განზოგადოებული სახელია და ნიშნავს „თავშიშველას“. ეს სახელი იმერლებს შეარქვეს ფაფანაკის ტარების გამო. დაწვრ. იხ. მამისთვალისმივლი ე., საქართველო ჰანს შილტბერგერის „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 115, შენ. 25.

რომელიც იქაურ მეფეებსაც მოელაპარაკებოდა. ოლივარესმა აუდიენციის დროს პაპი მართლაც დაარწმუნა, რომ სასარგებლო იქნებოდა სვიმონ მეფისათვის მხარდაჭერა. ამის შემდეგ, მან თავისი მოსაზრებანი წერილობით ჩამოაყალიბა და თავის მეფეს გაუგზავნა¹. მაგრამ პაპსა და ესპანეთის სამეფო კარს საქართველოს დასახმარებლად ან მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგიათ.

სვიმონ მეფე კვლავ ოსმალეთის უზარმაზარი იმპერიის პირისპირ რჩებოდა. ოსმალებმა საუკეთესოდ იცოდნენ ქართლის სამეფო როგორ სერიოზულ როლს ასრულებდა ირან-ოსმალეთის ომში, ამიტომ მასთან მორიგება გადაწყვიტეს. 1588 წელს ქართლის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის დაიდო ზავი.

ქართლის სამეფოს ომიდან გამოსვლამ ირანის დამარცხება დააჩქარა. ირანი ოსმალეთთან ომში რუსეთის გამოყენებას შეეცადა. ჯერ კიდევ 1587 წელს მოსკოვში ირანის შაჰის მოჰამედ ჰოდაბანდას ელჩი ანდი-ბეგი ჩავიდა, რომელიც დახმარების სანაცვლოდ ოსმალების მიერ დაპყრობილ ბაქოსა და დარუბანდს სთავაზობდა. რუსეთი ასეთი ეკონმიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტების ხელში ჩაგდების პერსპექტივის მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა. 1588 წელს მოსკოვის მთავრობამ გადაწყვიტა თერგისა და ასტრახანის ჯარები ირანის დასახმარებლად გაეგზავნა, სამაგიეროდ ყიზილბაშები ბაქოსა და დარუბანდს, განთავისუფლებისთანავე, რუსეთს გადასცემდნენ. მოსკოვის მთავრობამ თავისი ელჩი ასეთი პირობით გააგზავნა ირანში². მაგრამ ირანში მომხდარმა სასახლის კარის გადატრიალებამ და შაჰ აბაზ I-ის (1587-1529) გამეფებამ, მოლაპარაკება ჩაშლა.

მოსკოვის მეფის მფარველობაში კახეთის სამეფოს შესვლამ და საშამხლო-დაღესტნის ხელყოფისაგან მის დასაცავად ჩრდილო კავკასიაში სიმაგრეების ჩადგმის ცდამ ირანი შეაშფოთა. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები შაჰს თავის ვასალებად მი-

აჩნდა. შაჰის კარისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო კახეთ-რუსეთის კავშირის შეკვრა და მათი ერთობლივი ბრძოლა შამხლის წინააღმდეგ. საშამხლოს თუ რუსეთი დაიპყრობდა, მაშინ ის უშუალოდ დაამყარებდა კავშირს აღმოსავლეთ საქართველოსთან. მაგრამ ირანი, ჯერ-ჯერობით ამას ვერ გააპროტესტებდა, ვიდრე მისი ყველაზე საშიში მტერი ოსმალეთი იყო.

ოსმალეთი ავსტრიასთან ომისათვის ემზადებოდა და ირანს ზავი შესთავაზა. შაჰ აბაზი ზავის დადებას არ ჩქარობდა და ცდილობდა ოსმალეთთან მოლაპარაკება ორივე მათგანზე (რუსეთსა და ოსმალეთზე) ზეწოლისათვის გამოეყენებინა. რუსეთი ირან-ოსმალეთის დაზავების წინააღმდეგი იყო. ირან-ოსმალეთს შორის არსებული წინააღმდეგობა რუსეთს კავკასიაში წინსვლაში ხელს უწყობდა. ოსმალეთი, თავის მხრივ, ცდილობდა არ დადებულყო ხელშეკრულება ირანსა და რუსეთს შორის, რადგან მათი შეთანხმება, თავისი არსით ანტიოსმალური იქნებოდა. ოსმალეთის დიპლომატია ამას ვერ დაუშვებდა და შაჰს ზოგიერთი დაპყრობილი ტერიტორიის დაბრუნებას შეპირდა. შაჰ აბასმა, სხვადასხვა საგარეო ფაქტორის გათვალისწინებით, გადაწყვიტა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაეგრძელებინა. მან თვისი მამის მიერ რუსეთისათვის შეთავაზებული პროექტი შეცვალა და თავის ელჩებს – ბუტაკ-ბეგს და ანდი-ბეგს 1589 წელს სულ სხვა პროექტი გაატანა მოსკოვში. პროექტის მიხედვით, რუსეთის ჯარები ბაქოსა და დარუბანდს უნდა შემოდგომოდნენ, ხოლო ირანი, თვის მხრივ, შირვანში შეიჭრებოდა. მოკავშირეების გამარჯვების შემთხვევაში რუსეთი კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე გაბატონდებოდა, ირანი კი, სამხრეთ-დასავლეთზე. ამგვარად, შაჰ აბასის ახალი პროექტით, რუსეთს ოსმალეთთან ომი უნდა დაეწყო და ბაქო და დარუბანდი თვისი ძალებით დაეპყრო¹.

1589 წელს მოსკოვში უკვე ცნობილი იყო ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება. 3 ივლისის ოფიციალურ მოხსენებაში,

¹ ლუის ხილი ფერნანდესი და ზოსე მანუელ ფლორისტანი, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

² Веселовский Н., Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией, I, СПб., 1890, с. 60-61.

¹ ტივაძე თ., ირანთან პოლიტიკური ურთიერთობის საკითხი რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. თსუ შრომები, 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, თბ., 1965, გვ. 185.

ავსტრიის იმპერატორისა და უნგრეთის მეფის ელჩი თევდორე ივანეს ძის კარზე, მიკლოშ ვარკაჩი წერდა, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობს¹. ეს კი, რუსეთის მხრივ, უფრო ფრთხილი პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა. მით უმეტეს, როცა ცნობილი გახდა ისიც, რომ საზავო მოლაპარაკების დროს ოსმალეთი მთელი ამიერკავკასიის შენარჩუნებას მოითხოვდა. ზავი თუ ამგვარი პირობებით დაიდებოდა, მაშინ რუსეთ-ირანის მოლაპარაკება აზრს ჰკარგავდა².

რუსეთ-ირანის ურთიერთობაზე დაკვირვებისას, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: რუსეთი და ირანი არ ეხებიან, უფრო სწორად გვერდს უვლიან კახეთი საკითხს, ვითომ ასეთი რამ არც არსებობს. მოსკოვში კარგად იცოდნენ, რომ კახეთი ირანის მოხარკე ქავეყანა იყო და ამის დავიწყებას არც ირანში ფიქრობდნენ. კახეთის მეფის წარმომადგენლებმა, 1589 წლის 20 ნოემბერს თავიანთი მეფის სახელით, მოსკოვის ელჩებს მოახსენეს, რომ წინათ კახეთის სამეფო ყიზილბაშთა მოკავშირე იყო, როგორც ოსმალეთის ისე სხვა სახელმწიფოებთან ომის დროს. „ახლა ყიზილბაშების შაჰი განუწყვეტლივ მიგზავნის ელჩებს, რათა მასთან ერთად ვიყო ოსმალების წინააღმდეგ; ხოლო სულთანის მოციქულებს მიგზავნის დიდი მუქარით, მიმდინარე წელს თავისი ჯარის გამოგზავნა სურს ჩემს წინააღმდეგ და ციხეები უნდა ჩადგას ჩემს ქვეყანაში, რადგან მე მას ჩამოვშორდი და (რუსეთის – ე. მ.) დიდი ხელმწიფის მფარველობაში შევედი. ამჟამად სულთანის მოციქულები ჩემთან არიან და მიმდინარე წლის ხარკს მთხოვენ... ასევე თავდასხმითა და ჩემი მიწების დაპყრობით შემუქრება შამხალი“³.

მოსკოვის ხელმწიფის ელჩებს ისე უნდა გაეგოთ ალექსანდრე მეფის შენათვალი, რომ კახელები რუსეთის მფარველობაში შესვლით მრავალ უსიამოვნებას გადაეყარა, მაგრამ რა გამოვიდა,

1 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er} à la lumière des sources d' Europe Centrale contemporaines de son époque, I partie.* `Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie~, vol. XXXII, Paris, 1974 32, p. 151.

2 ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 185.

3 *Сношения России с Кавказом, с. 173-174.*

ხელმწიფე ასეთ საბედისწერო მდგომარეობაში ჩავარდნილ კახეთის სამეფოს მხოლოდ დაპირებებს აძლევს.

მოსკოვში ჯეროვნად აფასებდნენ კახეთის მნიშვნელობას შემდგომი პერიოდის რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში. ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს კახეთზე დუმილით, რუსეთი ირანს აგრძნობინებდა, რომ შაჰის საქმე არ იყო, სუვერენულ კახეთთან მისი თანამშრომლობა როგორ წარიმართებოდა. ირანი, თავის მხრივ, გარკვეულ დრომდე, თვალს ხუჭავდა კახეთ-რუსეთის ურთიერთობაზე. ან რა უნდა ეთქვა ირანის მთავრობას მოსკოვის საწინააღმდეგო. მის მიზანს, ამჯერად ხომ კავკასიაში რუსეთის, როგორც ოსმალეთის მეტოქის, შემოყვანა შეადგენდა. კახეთზე სიტყვის ჩამოგდება ირანს მხოლოდ უსიამოვნო მდგომარეობაში ჩააყენებდა. ჭკვიანი პოლიტიკოსი შაჰ აბაზი იმასაც ითვალისწინებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, კახეთს ირან-რუსეთს შორის შუამდგომლობა შეეძლო.

რაც შეეხება ოსმალეთს, მართალია, იგი კახეთს ემუქრებოდა მოსკოვთან მისი ურთიერთობის გამო, მაგრამ რეალურად იგი კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ვერ გამოვიდოდა. კახეთზე თავდასხმა რუსეთთან მის ურთიერთობას კიდევ უფრო დაძაბავდა. არსებულ სიტუაციაში ოსმალეთის მთავრობა ასეთ ნაბიჯს ვერ გადადგამდა.

კახეთის კავშირს რუსეთთან თუ იმგვარი გართულებები მოჰყვა, როგორც უკვე ითქვა, მაშინ კახელები რატომ არ წყვეტდნენ მოსკოვთან ურთიერთობას? სინამდვილეში კახეთის მდგომარეობა ირან-ოსმალეთის ომის დასასრულს არ გაუარესებულა. კახეთის მნიშვნელობა მისი რუსეთთან დაახლოების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ისე ჩანდა, რომ კავკასიაში რუსეთის შემომყვანი კახეთი იყო და მის ორ მძლავრ მუსლიმანურ მეზობელს ამ გარემოებისათვის ანგარიში უნდა გაეწია. კახეთის სამეფო კარი კარგად აფასებდა თავისი როლის ამაღლებას კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში და ყოველი ღონით ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელებას. საშამხლოს საკითხიც კახეთს თავის სასარგებლოდ მხოლოდ რუსეთთან კავშირში შეეძლო გადაეწყვიტა. თუმცა კახეთ-

რუსეთის ურთიერთობა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ელჩების მისვლა-მოსვლაში გამოიხატებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კახეთს რუსეთ-ირანის ურთიერთობაში. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ასეთ პირობებში შემუშავდა კახეთის მეფის კარზე ის დიპლომატიური ფორმულა, რომელიც მთელი ორი საუკუნის განმავლობაში არაერთხელ წამოუყენებიათ საქართველოსა და ირან-რუსეთის ურთიერთობაში ქართველებსა და რუს მოღვაწეებს (პეტრე I, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლე II): საქართველო (მოსკოვის ხელღებული) რუსეთ-ირანის მოსაშუალო“¹.

მოსკოვში ითვალისწინებდნენ კახეთის სამეფოს ანტიოსმალური კოალიციის შექმნით დაინტერესებას და 1589 წელს საქართველოში გამოგზავნილ ზენიგოროდსკისა და ანტონოვის ელჩობას დაევალა ალექსანდრე კახთა მეფისათვის მოეხსენებინა რუსეთის პოზიციაზე, როგორც ოსმალეთთან ისე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. კერძოდ, ელჩებმა განაცხადეს რუსეთსა და ირანს შორის მიმდინარე სამეგობრო მოლაპარაკების შესახებ, რაც ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებასაც ითვალისწინებდა, რომ იმავე ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ომის წარმოებისათვის რუსეთის მეფეს პოლონეთ-ლიტვის სამეფო გვირგვინს სთავაზობენ². იმის თქმაც არ დავიწყებიათ, რომ ანტიოსმალური კავშირის შეკვრის მიზნით მოსკოვში თავიანთ ელჩებს აგზავნიდნენ „რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი“, რომის პაპი, ესპანეთის მეფე და ვენეციის რესპუბლიკა³.

რუსი ელჩები ასეთი ზოგადი განცხადებით უნდა შემოფარგლულიყვნენ და მოლაპარაკების დროს აქცენტი კახეთის სამეფოსათვის განსაკუთრებით მტკივნეულ საკითხზე – საშამხლო-დაღესტანზე უნდა გადაეტანათ. რა თქმა უნდა საშამხლო-დაღესტანის საკითხის გადაჭრით ქართველები დიდად დაინტერესებულნი იყვნენ, მაგრამ

1 ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 35.

2 ლიტვისა და პოლონეთის ფეოდალები პოლონეთ-ლიტვა-რუსეთის უნიტ ცდილობდნენ გაეხსნათ გზა აღმოსავლეთში ექსპანსიისათვის. თვედორე ივანეს ძის კარზე ხვდებოდნენ პოლონეთ-ლიტვის ფეოდალების ზრახვებს და მოლაპარაკება ჩაიშალა.

3 *Сношения России с Кавказом*, с. 97-98.

მათ ისიც კარგად ესმოდათ, რომ იგი ოსმალეთის საკითხთან მტკიცედ დაკავშირებული იყო და მთელი მოლაპარაკების დროს ამ პრობლემის ერთობლიობაში გადაწყვეტას ცდილობდნენ.

მეფე თევდორეს კარზე რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამას ანტიოსმალურ მოღვაწეობაში მიითვლიდნენ, კარგად ჩანს მიკლოშ ვარკაჩის ერთი ჩანაწერიდან. იგი ამბობს, რომ საქართველოს მეფის ელჩები მოსკოვში ჩავიდნენ და დაბეჯითებით მოითხოვეს ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარება. მათ დაპირდნენ, რომ განუსაზღვრელი ვადით მისცემდნენ 18 ათას ჯარისკაცსა და არტილერიას, მაგრამ იმ პირობით, რომ ქართველები მოსკოვის მეფის უზენაესობას აღიარებდნენ და ხარკსაც გადაუხდიდნენ. მეორე დღეს (1589 წლის 4 ივლისი) მეფემ ქართველი ელჩები პირადად მიიღო, მოწყალება გამოიჩინა და საქართველოს მეფეს 10 წლის ხარკი აპატია¹. ვარკაჩი ქართველი ელჩების მოსკოველ დიპლომატებთან მოლაპარაკებას და მეფესთან აუდიენციას პირადად არ დასწრებია. ამის შესახებ ყველაფერი საელჩო პრიკაზში აცნობეს, ვარკაჩის მხედველობაში აქვს 1588-1589 წლებში კახეთის მეფის ელჩების – ყაფლანის, კირილეს და ყურშიტას მოსკოვში საქმიანობა. მათ შამხალის წინააღმდეგ 20 ათასიანი ჯარის გაგზავნა მოითხოვეს. რუსთა ჯარს კახელთა ჯარიც შეუერთდებოდა და ერთობლივად იმოქმედებდნენ. ელჩებმა ამ მოთხოვნაზე თანხმობა მიიღეს². სავარაუდოა, რომ შამხალის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნას, მოსკოვის კარზე, მიიჩნევდნენ როგორც ანტიოსმალურ მოქმედებას და, გარკვეული გაგებით, ეს ასეც იყო. ამის შესახებ ამიტომაც აცნობეს ანტიოსმალური კოალიციის შექმნით დაინტერესებულ ვარკაჩს. რაც შეეხება ამ უკანასკნელის ნათქვამს რუსეთის ხელმწიფის მიერ კახეთისათვის ხარკის პატიების შესახებ, რაზეც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი სხვა მასალები არაფერს ამბობს, ალბათ, მოსკოვის მთავრობას სურდა უცხოელი დიპლომატები დაერწმუნებინათ, რომ ანტიოსმალურად განწყობილ

1 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er}*, 32, p. 151.

2 *Сношения России с Кавказом*, с. 58-59.

ერთმორწმუნე კახეთის სამეფოს ეკონომიკურ შეღავათებსაც ვუწვევთო. 1589 წლის 16 ოქტომბერს ზვენიგოროდსკი და ანტონოვი ქართველებს მოახსენებდნენ (უკვე მერამდენედ), როგორ იღწვის რუსეთის ხელმწიფე საშამხლოს დასამორჩილებლად. მეფე ალექსანდრეს დიპლომატები, თავიანთი მეფის მითითებით, ვითომ სხვათა შორის გაიხსენებენ, რომ წინათ მრავალ ქვეყანაში ქრისტიანული რწმენა იყო, მაგრამ ყველა ის ქვეყნები ოსმალებმა დაიპყრეს და გაამაჰმადიანეს და ქრისტიანებად მხოლოდ ჩვენლა დავრჩითო. ეს მცირე ისტორიული ექსკურსი მათ იმიტომ დასჭირდათ, რომ ელჩები დაერწმუნებინათ რუსეთის მიერ საშამხლოს დაპყრობის აუცილებლობაში. როცა რუსები საშამხლოს დაიპყრობენ, საქართველო ზურგს მოიდგამს და მთელი ძალით ოსმალებს შეებრძოლება. განვიზრახავთ თუ არა ოსმალეთთან ომის დაწყებას, ეუბნებოდნენ კახეთის მეფის კარისკაცები რუსეთის ელჩებს, შამხალი მაშინვე ქურდულად, მოულოდნელად თავს დაესხმის კახეთის განაპირა სოფლებს და იძულებული ვხდებით განზრახვაზე ხელი ავიდოთ¹.

რუსი ელჩები თითქოს ვერ ხვდებოდნენ საით უმიზნებდნენ ქართველი პოლიტიკოსები. მაშინ მეფე ალექსანდრემ ზვენიგოროდსკი და ანტონოვი თავისთან დაიბარა და განუცხადა: „ამჟამად ოსმალეთის სულთანნი ჩემზეა განრისხებული, რადგან (რუსეთის – ე. მ.) დიდ ხელმწიფეს მფარველობა ვთხოვე; სულთანი მწერს, რომ ამ ზაფხულს თავისი ჯარი უნდა გამოგზავნოს ჩემს წინააღმდეგ“. ელჩები ეხლა იძულებულნი გახდნენ, მართალია ისევ ზოგადად, მაგრამ საიმედოდ ეთქვათ: რადგან ჩვენმა ხელმწიფემ თავის მფარველობაში ავიყვანა, იგი ყველა მტრისაგან დაგიცავს. გარდა ამისა, მოსკოვში ყველა ქრისტიანული სახელმწიფოს ელჩები ჩავიდნენ, რათა ხელმწიფეს სთხოვონ, მონაწილეობა მიიღოს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. ისინი გაერთიანდებიან და ოსმალებს გაანადგურებენ. ამიტომ ჩვენი ხელმწიფის ხელდებულ ქართველ მეფეს არაფრის შიში უნდა ჰქონდეს².

მეფე ალექსანდრეს წარმომადგენლებმა – სოლომონმა და

ტარსამ რუს ელჩებს სხვა მხრიდან შეუტიეს: სტამბოლიდან ერთი ჩვენი მოციქული დაბრუნდა და ამბავი მოიტანა, რომ ოსმალების ფლოტი ესპანელებმა და ფრანკებმა გაანადგურეს, ამიტომ ჩვენს მეფეს სურს, თავისი ელჩები რომის პაპთან, ესპანეთის მეფესთან და იმპერატორთან გაგზავნოს და მათ აცნობოს, რომ ჩვენ რუსეთის მფარველობაში შევედით. მათ ელჩებს ისიც სთხოვეს, თავიანთ მეფეს მოახსენონ ამის თაობაზე, რათა მან ალექსანდრეს ელჩები თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაატაროს¹. ამ დიპლომატიურმა სვლამ სასურველი ეფექტი მოახდინა. მოსკოვის ელჩები შეშფოთდნენ. მათ არ ესიამოვნათ ალექსანდრე მეფის სურვილი თავისი ელჩები ევროპაში გაეგზავნა. ვინ იცის რა დავალებით წავიდოდნენ თავიანთი მფარველით უკმაყოფილო ელჩები. მათ საჩქაროდ განცხადეს: ჩვენი მეფის თხოვნით აღსდგენ ქრისტიანული სახელმწიფოები ოსმალეთის წინააღმდეგ. ჩვენმა ხელმწიფემ ყველა იმ ქვეყანაში აცნობა, რომ ალექსანდრე მეფე თავის ხელდებულად გამოაცხადა. განცვიფრებულებმა ელჩებმა იკითხეს: სხვა რაღა უნდა თქვენ მეფესო?²

ქართველები მიხვდნენ, რომ მიზანში გაართყვეს და ელჩების ეჭვის კიდევ უფრო გაძლიერებას შეეცადნენ. მათ კითხვაზე პასუხის გაცემის მაგიერ გააგრძელეს: ჩვენი მეფე სულ ღმერთს ევედრება, რომ რუსეთის ხელმწიფე და ყველა ქრისტიანი მეფე ოსმალეთზე ერთად აღდგნენ. სხვათა შორის ისიც დაუმატეს: ჩვენ წიგნებში გვიწერია, რომ ოსმალეთის დაღუპვა ახლო მომავალში უნდა მოხდეს და თანაც დარუბანდის მხრიდანო. მათ კითხვის სახით ისიც დაუმატეს: ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლნი (ესპანეთის მეფე, იმპერატორი, რომის პაპი და სხვ.) დარუბანდის გზით მოსვლას თუ შეძლებენო³. ამგვარად, ქართველმა დიპლომატებმა რუსეთის მეფის ელჩებს მოაგონეს რეჩპოსპოლიტის მეფე ბატორის გეგმა, რომელიც კათოლიკური სახელმწიფოების მხარდაჭერით, სწორედ დარუბანდის გზით, რუსეთის დაპყრობის შემდეგ, მიზნად

1 Там же, с. 205.

2 Там же, с. 205-206.

3 Там же, с. 206.

ისახავდა ოსმალეთთან ომს. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „კახეთში, მას შემდეგ რაც კონსტანტინოპოლში თურქები გაბატონდნენ და დასავლეთის საქართველოსთან ურთიერთობა გაწყვიტეს, შემუშავებულია აზრი-იმედი (შეიძლება ვიფიქროთ, როცა ასტრახანს მოსული მოსკოვი იმიერკავკასიაში ფეხის შემოდგმით ოსმალეთს დაუპირისპირდა), რომ საქრისტიანოს ხსნა დასავლეთიდან კი არა, დარუბანდის კარზე გამოსვლით მოვაო“¹. მე კი მგონია, რომ კახეთში კარგად იცოდნენ (წიგნებში ამოკითხული ჰქონდათ) ბატორის გეგმა. ისიც საფიქრებელია, რომ ბატორს საქართველოსთან უფრო მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა, ვიდრე ცნობილია დღეისათვის. ასე რომ აღნიშნული გეგმა კახეთში არ შეუმუშავებიათ, მაგრამ იგი კახელებისათვის მისაღები იყო.

ამგვარად, ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი რუსეთის წარმომადგენლებს აფრთხილებდნენ, რომ რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის სადავეებს თავის ხელში თუ არ აიღებს, მაშინ ოსმალეთის შეტევამ ევროპაზე, შეიძლება ძალების ისეთი დაჯგუფება წარმოშვას, რომელიც რუსეთის საერთაშორისო მემარეობას გაართულებს. ახლა კი, როგორც იქნა, მოსკოველი ელჩები საქმიანად ალაპარაკდნენ: იმ სახელმწიფოებს, რომლებიც თქვენ ახსენეთ, დარუბანდის შესახებ გაგონილიც კი არა აქვთ, ჩვენ კი იქ ვდგევართ და, საჭიროების შემთხვევაში, მდინარე ვოლგისა და კასპიის ზღვის საშუალებით დარუბანდის კედლებთან სწრაფად მისვლა შეგვიძლია. გარდა ამის, ტიუმენიდან 5-6 დღეში ქვეითი ჯარის მოყვანასაც შევძლებთო. ქართველებსაც ეს უნდოდათ. მათ მაშინვე შეაგებეს: ჩვენ კარგად ვიცით, რომ რუსეთი დარუბანდთან ყველაზე ახლოსაა და მისი ჯარი მოვა თუ არა ამ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქთან, ალექსანდრე მეფის და შაჰ აბასის ჯარი ერთმანეთს მდინარე ალაზანზე შეუერთდება, დასცხებენ და სულ ადვილად გაანთავისუფლებენ ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქალაქებს. რუსმა ელჩებმა კახელების აღტკინებას ზომიერების ლაგამი ამოსდეს. მათ საუბარი შემდეგი აზრით დაასრულეს:

¹ ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 41-42.

რუსეთი იმდენად ძლიერია, რომ მისი ყველას ეშინია. იმედი არ დაკარგოთ და, როცა დრო მოვა, ყველაფერს გავაკეთებთო¹.

მოსკოვის სახელმწიფოს და კახეთის სამეფოს პოლიტიკა ოსმალეთის საკითხში თანხმობაში ვერ მოდიოდა. რუსეთის ფიქრით, ოსმალეთი კახეთს ხელს ვერ ახლებს, რადგან იგი მოსკოვის ხელმწიფის ხელდებულია. რუსეთი ვერ გაიზიარებს კახელი პოლიტიკური მოღვაწეების გეგმას ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. რუსი დიპლომატები ქართველებს აგრძნობინებდნენ, რომ ოსმალეთთან ომის დაწყების დრო ჯერ არ დამდგარა. კახეთმა უნდა მოიცადოს და თავისი მოქმედებით ოსმალეთი არ უნდა გააგულისოს, რასაც შეიძლება ოსმალეთის მხრივ სამხედრო აქციები მოჰყვეს, ამას რუსეთის ხელმწიფე ვერ დაუშვებს, მოხდება რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტი, რაც თანამედროვე ეტაპზე რუსეთისათვის სასურველი არ არის.

კახეთის სამეფოსათვის დახმარება რომ რუსეთის ინტერესებში იყო, ამის საილუსტრაციოდ ალექსანდრე მეფემ, საქართველოს წარსული გაიხსენა: საქართველო წინათ ერთიანი სამეფო იყო, მაგრამ ჩვენმა პაპისპაპამ იგი სამ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი ჩემს სიძე სვიმონს ეკუთვნის. მაგრამ მან თავისი სამეფო ოსმალებთან ომში დაღუპა. ოსმალებმა მის სამფლობელოებში ციხე-სიმაგრეები ჩადგეს და თითქმის მთლიანად დაეპატრონენ. კაცმა არ იცის მომავალში რა მოხდება². რუსმა ელჩებმა მაშინვე უპასუხეს: შენი სიძე მაგ დღეში იმიტომ არის, რომ ჩვენს ხელმწიფეს მფარველობა არ სთხოვა. მაგრამ შენი სიძე თუ ინებებს, მაშინ ხელმწიფე შენი ხათრით შეიფარებსო³. როგორც ჩანს, საუბრის ამ მიმართულებით წარმართვა ალექსანდრეს გეგმაში არ შედიოდა. მას არ სურდა, რომ სვიმონ მეფე რუსეთს დაკავშირებოდა. ალექსანდრე მეფე რუსებთან საუბრისას ყოველთვის ცდილობდა თავისი სიძე დაემ-

¹ Сношения России с Кавказом, с. 206; ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ. გვ. 42.

² Сношения России с Кавказом, с. 169-170.

³ გავისხენოთ, რომ როდიონ ბირკინს, პეტრე პიოვს და სტეფანე პოლუხანოვს ჯერ კიდევ 1587 წელს დავალებული ჰქონდათ, სვიმონ მეფესთან ურთიერთობის დასამყარებლად ნიადაგი მოესინჯათ (Там же, с. 170).

ცირებინა და მას მეფობითაც კი არ მოიხსენიებდა. ალექსანდრეს მხოლოდ თავისი თავი მიაჩნდა საქართველოს ერთადერთ და კანონიერ მეფედ. კახთა მეფის ნათქვამი სვიმონ მეფეზე რუს ელჩებს ასე უნდა გაეგოთ: სვიმონი ბეცი პოლიტიკოსია, ოსმალებთან მუდმივი ომების შედეგად ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა. ამას გარდა, აფიანსაც ეწევა და ასეთ კაცთან ურთიერთობას აზრი არა აქვსო. ალექსანდრეს კაცები მერეც, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, ცდილობდნენ რუსი ელჩები სვიმონ მეფის კახეთისადმი მტრულ დამოკიდებულებაში დაერწმუნებინათ¹.

ალექსანდრეს სურდა რუსი ელჩებისათვის ჩაეგონებინა, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც რუსეთი მხოლოდ მას უნდა დაეყრდნოს, მაგრამ მან როცა მოისმინა რუსი ელჩების პასუხი სვიმონ მეფის მიმართ რუსეთის სამეფო კარის აზრი, ამ საკითხზე საუბარი მაშინვე შეწყვიტა. მხოლოდ ელჩებთან ბოლო შეხვედრისას, ვიდრე ალექსანდრე მეფე ამ საკითხზე საუბარს განაახლებდა თავისი სათათბიროს წევრებიც კი დაითხოვა. როგორც ჩანს, მათაც არ ანდობდა თავისი ოცნების საგანს. ალექსანდრემ წინათ ხომ ელჩებს ქართლის სამეფოს მდგომარეობა გააცნო, ახლა საუბარი დასავლეთ საქართველოზე წამოიწყო, რომლის მდგომარეობა უაღრესად მუქ ფერებში დახატა (საინტერესოა, რომ კახეთის მეფე, ამჯერადაც გაურბის იმერეთის, როგორც სამეფოს ხსენებას. იგი მხოლოდ სამეგრელოს ახსენებს). მისი თქმით, წინათ იქაც ქრისტიანები ცხოვრობდნენ, დიდი ხანი არ არის, რაც ოსმალებმა დაიპყრეს და ძალით გაამაჰმადიანეს. როცა ისინი დაინახავენ, რომ მე რუსეთის ხელმწიფე მიცავს, ისინიც მაშინვე დახმარებისათვის მას მიმართავენ და ქრისტიანობას დაუბრუნდებიან, სამაგიერო სიკეთეს უფალი დიდ ხელმწიფეს მიუხლავს².

ამგვარად, ალექსანდრე II რუსეთის ხელმწიფეს ამიერკავკასიაში წარმატების საფუძვლად კახეთის სამეფოსადმი დახმარებას უსახავს. კახეთის მაგალითზე სხვებმაც უნდა დაინახონ, რუსეთს

ერთმორწმუნე ქრისტიანებისადმი როგორი დახმარება შეუძლია. ოსმალეთის გავლენისაგან განთავისუფლებული ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საშუალება კახეთის სამეფო იქნება, რომელიც სხვა ქართულ სამეფოებთან შედარებით, მდიდარიც არის და მრავალრიცხოვანი ჯარიც ჰყავს. იგი, რუსეთის დახმარებით, მთელ საქართველოს ერთ სამეფოდ გააერთიანებს¹ (ალექსანდრე II მოსკოვის მეფეებისადმი გაგზავნილ წერილებში თავის თავს სწირად მთელი საქართველოს მეფედ მოიხსენიებდა) და რუსეთის ეს მოკავშირე კიდევ უფრო გაძლიერდება. სამაგიეროდ ოსმალეთი დასუსტდება. მაგრამ მოსკოვის სამეფო კარი ყოველთვის არ იზიარებდა ალექსანდრე მეფის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს.

8. საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობანი და დიპლომატიი XVI ს. 90-იან წლებში

1590 წელს შაჰ აბაზ I იძულებული გახდა ოსმალეთთან ზავი დაედო. სტამბოლის ზავით მან ფორმალურად სცნო აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთის, შირვანის, აზერბაიჯანის დიდი ნაწილის, ლურისტანის დიდი ნაწილის და დასავლეთ ირანის მნიშვნელოვანი ქალაქების – ჰამადანისა და ზენჯანის ოსმალეთის ხელში გადასვლა.

როგორც ითქვა, ვიდრე ირან-ოსმალეთის ზავი დაიდებოდა, მანამდე ქართლისა და კახეთის სამეფოებმა ოსმალეთთან თავიანთი ურთიერთობა მოაგვარეს. „ქართლმა და კახეთმა უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის უნარი შეინარჩუნეს, რის გასაუქმებლად საკმარისი არ აღმოჩნდა საქართველოზე ოსმალეთის „უფლების“ ცნობა ირანის მიერ, ქართული სამეფოები ოსმალეთის „უზენაესო-

1 Там же, с. 221-222.

2 Там же, с. 220; ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 300-301.

1 ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ როდესაც ალექსანდრე II რუსეთის მფარველობას მიმართავდა, მას საქართველოს გაერთიანების იმედიც ექნებოდა (ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 301).

ბას“ დროებით ურიგდებოდნენ, მაგრამ იმავე დროს დიპლომატიური ღონისძიებებით საერთაშორისო მოვლენებზე აქტიურ ზეგავლენას ახდენდნენ¹.

მოსკოვში გასაგები იყო, რომ ირან-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთ-ირანის სამხედრო კავშირი მნიშვნელობას ჰკარგავდა. ამიტომ რუსეთმა ირანთან პასიური თანამეგობრობის პოლიტიკა ირჩია. იმავე დროს იგი ცდილობდა, თავისი სამხედრო პოზიციები ჩრდილო დაღესტანში განემტკიცებინა და გავლენა გაეძლიერებინა საქართველოსა და ყაბარდოში². ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავით ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში, მკვეთრად შეიცვალა³. ირანზე გამარჯვების შემდეგ, ოსმალეთმა აგრესია ევროპისკენ წარმართა. გასაგებია, რომ იქაური პოლიტიკოსები კვლავ ირანითა და საქართველოთი დაინტერესდნენ, მით უმეტეს, რომ ცნობილი იყო ირანი და საქართველო ომის განახლებისათვის ემზადებოდნენ.

კახთა მეფე ალექსანდრეს თავისი სამეფოს კეთილდღეობის საფუძვლად ოსმალეთის აგრესიისაგან თავდაცვა მიაჩნდა. რადგან ქართლი და ირანი ოსმალეთს დაუზავდნენ, ამიტომ, მისი აზრით, ევროპის სახელმწიფოებს ომი მანც უნდა გაეგრძელებინათ. ალექსანდრემ იცოდა რუსეთის სამეფო კარზე ბორის გოლუნოვის დიდი ავტორიტეტის შესახებ და 1590 წელს მას სთხოვდა მოეხდინა გავლენა მეფეზე, რათა ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. როცა ევროპელები ოსმალებს ომს დაუწყებენ, დაასკვნის ალექსანდრე II, მაშინ «и у Турского похода на нашу сторону порушитца и людей послати не учнет»⁴.

1593 წ. 26 თებერვალს ფუგერის გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, შირვანის გამგებელი ჰასან ფაშა სტამბოლში იმყოფებოდა, როცა ქართველების და ყიზილბაშების შირვანზე და დარუბანდზე შეტევის შესახებ შეიტყო. სულთანმა ჰასან

ფაშას თავის საგამგებლოში დაუყოვნებლივ დაბრუნება უბრძანა და, თუ საჭირო ოქნებოდა, ტრაპიზონის, ყარსის, ერევნისა და სამცხის ბეგლარბეგებისათვის დახმარება ეთხოვა. როგორც ჩანს, ოსმალეთის აგრესიის დასავლეთის მიმართულებით წარმართვით ისარგებლეს ირანმა და ქართლის სამეფომ და წაგებული ომის შედეგების გამოსწორებას ცდილობდნენ. ოსმალების კავკასიიდან ბალკანეთში ყურადღების გადატანით შეშფოთებული იყო ყირიმის ხანი, რადგან მოსკოვის სახელმწიფო სულ უფრო იმტკიცებდა პოზიციებს კავკასიაში. ყირიმის ხანი სულთანს სთხოვდა, რომ გაერთიანებული ძალით აეღოთ და დაენგრიათ რუსების მიერ ჩადგმული ციხეები¹. იმავე გაზეთის მიხედვით, ვიდრე ჰასან ფაშა შირვანში დაბრუნდებოდა, მანამდე ქართველებს გაუმარჯვიათ, მაგრამ გაზეთში არაფერია ნათქვამი რაში გამოიხატებოდა ეს გამარჯვება.

„რომის საღვთო იმპერიასთან“ ომში ჩაბმულ ოსმალეთის სახელმწიფოს, ქართველთა მოქმედებამ სერიოზული საზრუნავი გაუჩინა. სულთანმა გადაწყვიტა საქართველო-ირანის საზღვარზე სასწრაფოდ დაეწყო ციხე-სიმაგრეების მშენებლობა. ოსმალეთის ამ ღონისძიების გამო ირანმა პროტესტი გამოთქვა, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა 1590 წლის სტამბოლის ზავის პირობებს².

ქართველების ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის სხვა მაგალითის შესახებ, გარდა ზემოაღნიშნულისა, ცნობა არ გავაჩნია. ამიტომ, შეიძლება დავუშვათ, რომ საქართველოსა და ირანის აგენტები ან ოფიციალური პირები, ევროპელ დიპლომატებს არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ. ამით მათ უნდოდათ ევროპელებისათვის გაეგებინებინათ, რომ ქართველები კვლავ ოსმალებს ვებრძვიან და მოკავშირებად გვიგულეთო. ამგვარი მოქმედებით, ისინი გარკვეულ დიპლომატიურ წარმატებას აღწევდნენ. ანტიოსმალურად განწყობილი ევროპის ქვეყნებისათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ საქართველო და ირანი სტამბოლის ზავის შეგუებას არ ფიქრობდნენ. ევროპაში, პირველ რიგში კი პაპის კურიაში, გადაწყვიტეს ოსმალეთის აღმოსავლელ მოწინააღმდეგეებს დაკავშირებოდნენ. ოსმალეთსა და „რომის

1 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er}*, 31, p. 196.

2 *Ibidem*, p. 196-197.

1 ჩოჩიევი ვ., მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 207.

2 *Сношения России с Кавказом*, с. 137-138.

3 გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 89.

4 *Сношения России с Кавказом*, с. 232.

საღმრთო იმპერიას“ შორის ომის დაწყებამდე პაპმა კლემენტი VIII-მ წერილი გაუგზავნა შაჰ აბასს და ევროპის ანტიოსმალურ ლიგაში შესვლა შესთავაზა¹. იმავე დროს, მან დიპლომატიური ურთიერთობა განაახლა ირანთან, რაც დასავლეთ ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის სამზადისს დაემთხვა².

1593 წლის 15 ივნისს ოსმალეთმა შეტევა განაახლა „რომის საღმრთო იმპერიაზე“. იმპერატორი რუდოლფი და რომის პაპი ანტიოსმალური ძალების დარაზმვას შეუდგნენ. 1593 წ. 21 ნოემბერს კლემენტი VIII-მ ალექსანდრე კუმულოვიჩი ნდობის სიგელითა და ინსტრუქციებით აღჭურვა და აღმოსავლეთში გაისტუმრა. კუმულოვიჩს დაევა ოსმალეთის წინააღმდეგ აემხედრებინა ტრანსილვანიის მთავარი, მოლდავეთისა და ვლახეთის ვოევოდები, პოლონეთის მეფე, რუსეთის მეფე და ჩერქეზები, რომლებსაც კავშირი უნდა შეეკრათ იმპერატორთან. საყურადღებოა, რომ კუმულოვიჩს სპეციალური მითითება ჰქონდა, მეგრელების საშუალებით დაკავშირებოდა ქართველებს³, ე. ი. ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებს.

კუმულოვიჩს მოსკოვის მეფე უნდა დაერწმუნებინა, რომ ოსმალეთი რუსეთს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. თუ ოსმალეთი დაამარცხებდა ავსტრიას, უნგრეთს, პოლონეთსა და ლიტვას, მაშინ რუსეთი დასავლეთიდან და სამხრეთიდან ალყაში მოექცეოდა. იმისათვის რომ ეს არ მოხდეს, რუსეთმა უნდა წააქეზოს და ყველაფრით დაეხმაროს ირანსა და საქართველოს, რათა მათ ომით დაიბრუნონ დაკარგული ტერიტორიები. პაპის აზრით, რუსეთი ფულით უნდა დაეხმაროს ავსტრიას, ხოლო ყირიმელი თათრების განადგურება რუსეთს შესაძლებლობას მისცემს, გავიდეს შავი ზღვის სანაპიროებზე, საიდანაც გაეხსნება გზა კონსტანტინოპოლისაკენ⁴.

1 A Chronicle of the Carmelites in Persia, I, London, 1939, p. 68-69.

2 გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 91.

3 Tardy L., Le Roi Svimon I^{er}, p. 31, 152.

4 Древняя российская вивлиофика, содержащая в себе собрание древностей российских, до истории, географии и генеалогии российская касающийся. Изданная Николаем Новиковым, изд. II, ч. XII, М., 1789, с. 449-460; გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 92.

როგორ სერიოზულ ძალად ჰყავდათ წარმოდგენილი რუსეთი ევროპაში და როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოსმალეთთან მებრძოლი იმპერატორ რუდოლფისათვის მის დახმარებას, ამაზე მიუთითებს დალმციის კუნძულ ხვარის ეპისკოპოსის პიეტრო ჩადალანის პაპ კლემენტი VIII-ისათვის გაგზავნილი წერილი. მასში ნათქვამია, რომ რუსეთის სახელმწიფოს შეუძლია ბრძოლის ველზე გამოიყვანოს 200 ათასი მებრძოლი და საკმაოდ დიდი რაოდენობის არტილერია. იმავე წერილში, მართალია, დასახელებული არ არის, მაგრამ საქართველოც ნაგულისხმევია. წერილის ავტორი დასძენს, რომ მოსკოვის მეფის ჩაბმა ანტიოსმალურ ლიგაში სასურველია იმიტომაც, რომ მას მრავალი ერთმორწმუნე და მომხრე ჰყავს სულთნის ევროპულ და აზიურ სამფლობელოებში¹.

მოსკოვის მთავრობა პაპის გეგმას სიფრთხილით მოეკიდა, რადგან ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ცნობილი იყო სულთნის როლი 1591 და 1592 წლებში ყირიმის ხანის მიერ რუსეთის ტერიტორიების დარბევაში (1591 წელს თათრებმა მოსკოვამდე მიაღწიეს), მაინც უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ, ოსმალეთთან მოჩვენებითი მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება. 1594 წელს მოსკოვის ელჩი დანილა ისლენიევი სულთანს უმტკიცებდა, რომ რუსეთმა ირანს უარი უთხრა ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებაზე. ამასვე ამტკიცებდა ყირიმში 1593 წელს რუსი ელჩი ვანტეევი². მაგრამ რუსეთი შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ დიპლომატიური ან ფულად სახსრებით ხელი არ შეეწყო ანტიოსმალური ძალებისათვის.

რომის პაპი ითვალისწინებდა ესპანეთის საერთაშორისო ავტორიტეტს, მეფე ფილიპე II-სთან თავის კარგ ურთიერთობას

1 Описание путешествия в Москву посла Римского императора Николая Варкача с 22 июля 1593 года. «Чтения в обществе истории и древностей Российских при Московском университете», кн. IV, М., 1874, с. X.

2 Кабардино-русские отношения в XVI-XVII вв. Документы и материалы в 2-х томах, М., 1957, т. I, XVI-XVII вв., с. 197.

და ცდილობდა ისიც ჩაება ანტიოსმალურ ლიგაში. ალბათ მისი ჩაგონებით ესპანეთის მეფე შაჰ აბაზს 1593 წლის დასასრულს ურჩევდა უარი ეთქვა სტამბოლის ზავზე¹.

1593 წლის 27 სექტემბერს მოსკოვში მივიდა „რომის საღმრთო იმპერიის“ ელჩი ნიკოლაი ვარკაჩი. მის მისიას შეადგენდა მოსკოვის ჩაბმა იმ ანტიოსმალურ კოალიციაში, რომელშიც უნდა შესულიყო ავსტრია, რომის პაპი, ესპანეთი, ვენეცია, იტალიისა და გერმანიის სამთავროები². ავსტრიის კარზე ითვალისწინებდნენ რუსეთის დაინტერესებას ოსმალეთის დასუსტებით (რუსეთს ხომ სისტემატურად ესხმოდა ოსმალეთის ვასალი ყირიმის ხანი) და, როგორც ხვარის ეპისკოპოსი პიეტრო ჩადალანი პაპს სწერდა, მოსკოვის მეფეს გარკვეული უფლებაც კი ჰქონდა პრეტენზია წაყენებინა ბიზანტიის ტახტზე. იმავე დროს მხედველობაში იღებდნენ, როგორც უკვე ითქვა, მოსკოვის მეფის შესაძლებლობას, ოსმალეთის წინააღმდეგ დაერაზმა ირანი და მისი აღმოსავლელი მეზობლები. უკიდურეს შემთხვევაში, მოსკოვის მეფისაგან ფინანსური დახმარების იმედი მაინც ჰქონდათ. მსგავსი პრეტენდენტი უკვე იყო 1587 წელს, როდესაც ვარკაჩმა ოსმალეთთან ომის მოტივით 3 მილიონი გულდენი წაიღო³.

1593 წ. 30 სექტემბერს ვარკაჩს მოლაპარაკება ჰქონდა ჯერ მეფე თევდორე ივანეს ძესთან, შემდეგ, 17 ოქტომბერს ბორის გოდუნოვთან. მეფესთან მეორედ შეხვედრის დროს, 22 ოქტომბერს ვარკაჩმა ნება ითხოვა, მოსკოვში მყოფ ირანის ელჩთან – ჰაჯი ხოსროვთან⁴ თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მოლაპარაკების შესახებ. მეფე დათანხმდა. 23 ოქტომბერს ვარკაჩის მსახურთუ-

ფროსი ქრისტოფორე უპრუგი ჰაჯი ხოსროვთან მოსალაპარაკებლად წავიდა. ასევე მოიქცა ჰაჯი ხოსროვი. იმანაც თავისი თანმხლები ერთ-ერთი დიდებული ვარკაჩისთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა¹.

რატომ არ შეხვდნენ ერთმანეთს ჰაჯი ხოსროვი და ვარკაჩი? ცნობილია, რომ ავსტრიას ანტიოსმალურ კოალიციაში ირანის ჩაბმა რუსეთის შუამავლობით სურდა. ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლების ასეთ დაბალ დონეზე შეხვედრა, საფიქრებელია, მოსკოვის სამეფო კარის სურვილით მოხდა და აი რატომ: ირანსა და ოსმალეთს შორის ზავით უკმაყოფილო მოსკოვის სამეფო კარს, მართალია, ირანის წარმომადგენელი უმტკიცებდა, რომ ეს მხოლოდ დროებითი ზავი იყო, მაგრამ რუსებს არ სჯეროდათ. როგორც ჰაჯი ხოსროვის საუბრიდან და მოსკოვში ჩამოტანილი შაჰის სიგელიდან ჩანდა, ირანი ამჯერად მოსკოვის სახელმწიფოსთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელებას ფიქრობდა. რუსი დიპლომატების აზრით რუსეთის ირანთან ურთიერთობა ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაში არ უნდა გადაზრდილიყო, მაშინ როდესაც, ირანის მხრივ, ასეთი მოქმედება მისაღებად მიაჩნდა². მოსკოვში ოსმალეთთან ურთიერთობის გათულება არ სურდათ. აქ დღე-ღამეზე ელოდნენ ოსმალეთის ელჩებს. ალბათ, შემთხვევითი არ იყო ირანის ელჩის მოსკოვიდან გაშვება 1593 წ. 26 ოქტომბერს. 31 ოქტომბერს ოსმალეთის ელჩები მოსკოვში მივიდნენ³.

ჰაჯი ხოსროვის ელჩობა საინტერესოა იმითიც, რომ 1593 წ. 13 სექტემბერს ბორის გოდუნოვი, ირანის ელჩის მასთან აუდიენციის დროს, საქართველოს საკითხსაც შეეხო. ბორის გოდუნოვმა აღნიშნა, რომ კახეთის მეფე ალექსანდრეს თხოვნით, მოსკოვმა შამხლის

1 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er}*, 32, p. 197.

2 Ibidem.

3 Описания путешествия в Москву посла Римского императора Николая Варкача, с. IX-X.

4 ვარკაჩის მიხედვით, ჰაჯი ხოსროვი წარმოშობით ლიტველი ყოფილა. ის ტყვეობაში ჩავარდა და ირანში მოხვდა (Там же, с. 22). ჰაჯი ხოსროვს თავისი წარმოშობის შესახებ უთქვამს ასტრახანის ვოევოდასთან საუბარშიც. Бушев П.П., *История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг. (По русским архивам)*, М., 1976, с. 180.

1 Описания путешествия в Москву посла Римского императора Николая Варкача, с. 23. შდრ. Бушев П.П., *Ук. труд*, с. 188, სადაც ნათქვამია, რომ ირანისა და ავსტრიის ელჩები მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ.

2 Бушев П.П., *Ук. труд*, с. 185-188.

3 Описания путешествия в Москву посла Римского императора Николая Варкача, с. 25.

წინააღმდეგ დიდი ჯარი გაგზავნა. რუსთა ჯარის სარდალს ანდრეი ივანეს ძე ხვოროსტინინს „ალექსანდრე მეფის და მთელი ივერიის დაცვა“ დაევა¹. როგორც ცნობილია, 1594 წ. მოწყობილი ეს ლაშქრობა, რომელშიც კახეთის მეფის ვაჟს ჯარით მონაწილეობა უნდა მიეღო, მაგრამ არ მიიღო, მარცხით დამთავრდა².

ჰაჯი ხოსროვის მოსკოვში ყოფნისას პირველად აღიძრა კახეთის უფლისწულის კონსტანტინეს შაჰის კარიდან დახსნისა და მისი მოსკოვში წაყვანის საკითხი³. კახელი უფლისწულის საკითხი, XVI ს. 90-იანი წლების საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში, სულ უფრო აქტიური ხდებოდა.

1593 წ. შაჰ აბასის ელჩის წინაშე საქართველოს და ქართველი უფლისწულზე საუბრის დაწყებით, მოსკოვში საქართველოს მიმართ ირანის პოზიციის გარკვევა სურდათ. მაგრამ ჰაჯი ხოსროვისაგან ბევრი ვერაფერი შეიტყვეს. იგი მოხერხებულად არიდებდა თავს ამ არასასიამოვნო საუბარს და გადაკვრით აგრძობინებდა, რომ აქ ისეთი არაფერია, რომელიც მოსკოვ-ირანის ურთიერთობას შეაფერხებდეს.

ჰაჯი ხოსროვის ელჩობით შაჰ აბასმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია: მოსკოვის სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობა აღსდგა, რასაც შაჰი ოსმალეთთან შემდგომი ბრძოლისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოსკოვის მთავრობა შაჰს ჰპირდებოდა, რომ ხელს შეუწყობდა მის დაკავშირებას ავსტრიასთან, ოღონდ ირანი ოსმალეთთან მშვიდობიან მდგომარეობაში ნუ იქნებოდა. როგორც ბორის გოდუნოვი შაჰს წერდა, ამ მიზანს ემსახურებოდა მისი შუამდგომლობა ვარკაჩისა და ჰაჯი ხოსროვის მოსკოვში მოლაპარაკების გამართვისათვის. მოსკოვის მთავრობა საშუალებას მისცემდა ირანსა და ავსტრიას ერთმანეთისათვის ელჩები გაეგზავნათ რუსეთზე გავლით⁴. სავარაუდოა, რომ შაჰ აბასს

ამის შემდეგ გაუჩნდა იდეა, ევროპასთან კავშირი ოსმალეთთან ომში გამოეყენებინა¹.

როგორც ითქვა, ჰაბსბურგებმა ოსმალეთთან ომის დაწყებისთანავე ძლიერ გააქტიურეს დიპლომატია ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად. ამ საკითხისათვის დიდად იღვწოდა ჰაბსბურგების მოკავშირე ტრანსილვანიის მთავარი ზიგმუნდ ბატორი. მან კავშირი შეკრა ვლახეთის მთავარ მიხაისთან და მოლდავეთის მთავარ არონთან. ამ ანტიოსმალური კავშირის მეთაური უნდა ყოფილიყო ზიგმუნდ ბატორი².

1594 წლის თებერვალში ზიგმუნდ ბატორი თავისი რაზმებით მოლდავეთში იდგა და მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩერქეზების, კაზაკებისა და პოლონელთა რაზმების მეთაურებთან, რათა ისინი ოსმალეთთან ომში დახმარებოდნენ. როგორც ჩანს მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდა. იმავე წლის ბოლოს პაპმა კლემენტი VIII-მ თავისი ელჩები მოლდავეთსა და პოლონეთში გაგზავნა, პაპმა მათ სამხედრო დახმარების სანაცვლოდ ფული გაუგზავნა³. პაპის ვარაუდით, რადგან მოსკოვის მეფეს „ყველაზე უკეთესად შეეძლო წერილებისა და ელჩების საშუალებით დაკავშირებოდა ჩერქეზებს, ქართველებსა და სპარსელებს“, ამიტომ მას უნდა ეხრუნა მათ შეყვანაზე ანტიოსმალურ ლიგაში⁴.

მოსკოვის სახელმწიფოში მცირე ცნობები გააჩნდათ ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ, ირანის პოლიტიკური მდგომარეობისა და სამხედრო პოტენციის შესახებ. საჭირო იყო იმის გარკვევა, შეეძლო თუ არა ირანს ომის გაგრძელება. 1594 წ. 30 მაისს მოსკოვიდან ირანში გაიგზავნა ანდრია ზენიგოროდსკის ელჩობა, რომლის წინაშე დაყენებული მიზნები და ამოცანები ნათელს ხდის, რომ ელჩობას სერიოზული როლი უნდა შეესრულებინა ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის მოლაპარაკების პირობების შემუშავებაში, მას ასევე გავლენა უნდა მოეხდინა არა მხოლოდ

1 Веселовский Н., Ук. труд, с. 186-187; Бушев П. П., Ук. труд, с. 189. შდრ.

ტივაძე თ., ირანთან პოლიტიკური ურთიერთობის საკითხი, გვ. 187.

2 ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 50-56, 70-72; ბოცვაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 51-52; Бушев П. П., Ук. труд, с. 240, 244, 255, 256, 296.

3 Веселовский Н., Ук. труд, с. 186; ბერძენიშვილი ნ., დასახ. მაშრ., გვ. 64-70.

4 Бушев П. П., Ук. труд, с. 191-194.

1 Там же, с. 201.

2 Tardy L., Op. cit., p. 31, p. 153.

3 Мохов Н., Очерки истории молдаво-русско-украинских связей, Кишинев, 1961, с. 73-74.

4 Tardy L., Op. cit., p. 153.

ირანთან შემდგომ ურთიერთობაზე, არამედ ოსმალეთის სულთნისა და ყირიმის ხანის წინააღმდეგ ბრძოლაზე¹.

ბორის გოდუნოვი თავისი სიგელით შაჰს აცნობებდა იმპერატორ რუდოლფ II-ის მიერ ესპანეთის, ვენეციის და სხვათა ჯარების დახმარებით 1593 წელს ოსმალეთზე გამარჯვების შესახებ. ბორის გოდუნოვი ასეთივე წარმატებას უსურვებდა შაჰს თავის მტრებზე. ბოლოს გოდუნოვი შაჰს თხოვდა, რომ ყაზვინში მძევლად მყოფი კახეთის უფლისწული კონსტანტინე გაეთავისუფლებინა. ბორის გოდუნოვი იქვე შაჰს ჰპირდებოდა, რომ ალექსანდრე მეფე მძევლის გარეშეც ირანის ერთგული იქნებოდა².

ნ. ბერძენიშვილი მოსკოვის მთავრობის მიერ ქართველი უფლისწულის მოთხოვნას მიიჩნევდა რუსეთის მოხერხებულ ცდად, „რათა შაჰს მოსკოვ-კახეთის მფარველობა-ხელდებულების აქტი, თუ ოფიციალურედ არა, არაპირდაპირ მაინც ეცნო“³.

შაჰის კარზე კონსტანტინე უფლისწულის საკითხის დაყენებით მოსკოვის მთავრობა ერთდროულად რამდენიმე მიზანს ისახავდა. ჯერ ერთი, უფლისწულის საკითხი, ფაქტობრივად, კახეთის საკითხი იყო. რუსეთი კონსტანტინე უფლისწულს ირანიდან თუ წაიყვანდა, ეს ირანის მიერ კახეთზე რუსეთის უფლების აღიარება, ხოლო ირანის კახეთზე სიუზერენობის დაკარგვის აღიარება იქნებოდა. მოსკოვის მოთხოვნა შაჰმა სწორედ ასე შეაფასა. შაჰს შეეძლო გამაჰმადიანებული კონსტანტინე კახეთის ტახტის პრეტენდენტად გადაეყვინა, რაც საბოლოოდ ასეც მოხდა. კახეთის ტახტზე მაჰმადიან მეფეს რუსეთი ვერ შეეგუებოდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული შაჰის კარზე მოსკოვის ელჩების აქტიურობა კონსტანტინეს ხელში ჩასაგდებად. ამავე დროს, როგორც ბორის გოდუნოვის მიერ საქართველოში რუსეთის ელჩის ივანე ვსევოლოდსკის ხელით გაგზავნილი სიგელიდან ჩანს, იგი მოითხოვდა, რომ ამის შემდეგ მოსკოვთან შეთანხმების გარეშე კახეთის

მეფეს მაჰმადიანი მბრძანებლებისთვის მძევალი აღარ მიეცა¹. ქრისტიანული სახელმწიფო კი საქართველოს უშუალო მეზობლობაში, გარდა მოახლოებული რუსეთისა სხვა აღარ ჰყავდა. მაშასადამე, ალექსანდრე მეფეს მძევალი მხოლოდ მფარველისათვის უნდა მიეცა.

ოსმალეთთან ომის მოსურნე კათოლიკური სახელმწიფოების დიპლომატები ითვალისწინებდნენ რუსეთის პოზიციას ოსმალეთთან ურთიერთობაში და რეალურად აფასებდნენ მის ინტერესებს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში.

რუსეთი დაინტერესებული არ იყო ჰაბსბურგებისათვის ისეთი დახმარება გაეწია, რომელიც ბალკანეთში მის განმტკიცებას წაადგებოდა. ამგვარი დახმარებისაგან რუსეთი ყოველთვის თავს იკავებდა. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას კავკასიისა და ირანის მიმართ, აქ ყველაფერი გარეკვეული იყო. XVI ს. ბოლო მეოთხედში მოსკოვის მთავრობა ცდილობდა ფენის მოკიდებას კასპიის ზღვის სანაპიროზე, რაც ასტრახანის დაპყრობით ნაწილობრივ შესძლო კიდევ. მაგრამ რუსეთის იქ გაბატონებას მუდმივად ემუქრებოდა ოსმალეთი. ასტრახანის დაცვის აუცილებლობამ რუსეთი კავკასიაში მიიყვანა, საიდანაც კიდევ უფრო სასურველი პერსპექტივა გადაიშალა: კავკასიაზე გამავალი გზების ხელში ჩაგდება ახლო აღმოსავლეთთან და ინდოეთთან დაკავშირება შეიძლებოდა.

ანტიოსმალურ ლიგაში მონაწილეობა რუსეთისთვის სასარგებლო რომ იქნებოდა, ამას ალექსანდრე კუმულოვიჩი 1594 წლის 11 ნოემბრის წერილში შემდეგნაირად ასაბუთებდა: მოსკოვის მეფე „შავ და კასპიის ზღვებს შორის გახსნის გზას აზიისაკენ და ხელს გაუწვდის ჩერქეზებს, მეგრელებს, ქართველებსა და აზიის სხვა ხალხებს“. კუმულოვიჩი იმასაც ითვალისწინებდა, რომ ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობა მხურვალედ დაუჭერდა მხარს რუსეთის ამ ნაბიჯს². საინტერესოა, რომ კუმულოვიჩის თქმით, რუსეთი „დაიპყრობდა მთელ ტერიტორიებს კასპიის ზღვამდე და გადაიქცეოდა კასპიის ზღვის ჩრდილო და დასავლეთი სანა-

1 Бушев П.П., Ук. труд, с. 240.

2 Памятники дипломатических сношений Дренией России с державами иностранными, с. 216-217; Бушев П.П., Ук. труд, с. 242.

3 ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 52.

1 Сношения России с Кавказом, с. 262.

2 Tardy L., Op. cit., 32, p. 153.

პირობების აბსოლუტურ ბატონ-პატრონად, მისი სამფლობელოების საზღვრები საქართველომდე გადაიჭიმებოდა¹. აღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთისათვის უფრო სასარგებლოა კავშირი ირანთან და საქართველოსთან, რათა ოსმალები კავკასიიდან ერთობლივად განდევნონ.

1594 წლის 17 ნოემბერს პოლონეთის სეიმმა ანტიოსმალური ლიგის შექმნის საკითხი განიხილა. მიღებული დადგენილების მიხედვით, წარმატება იმ შემთხვევაში იქნებოდა მოპოვებული, თუ პაპი მოსკოვის მეფეს იმპერატორთან დააკავშირებდა და მათ მხარს დაუჭერდნენ ირანის შაჰი და ქართველები².

ალექსანდრე კახთა მეფეს, ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობა, რომ უშუალოდ და მოსკოვის საშუალებით ჰქონდა, ამის შესახებ უკვე ითქვა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ევროპის სახელმწიფოები ანტიოსმალური ლიგის შესაქმნელად მხოლოდ ალექსანდრე II-სთან არ ურთიერთობდნენ. ისინი განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ, ოსმალების წინააღმდეგ დაულაღავი მებრძოლის, ქართლის მეფე სვიმონ I-ის ლიგაში ჩაბმით. სვიმონ მეფის კონტაქტები ევროპის ქვეყნებთან ხორციელდებოდა რუსეთის გვერდის ავლით. ცნობილია, რომ ზიგმუნდ ბატორი ქართველებისა და ჩერქეზების ანტიოსმალურ განწყობილებაზე კარგად ინფორმირებული იყო თავისი დიპლომატიის მატიაშ კისის საშუალებით. ისიც სავარაუდოა, რომ ევროპელი დიპლომატებისა და საიდუმლო აგენტების საშუალებით წარმოებდა საქართველოს სამეფოებსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის მიწერ-მოწერა. 1595 წლის 29 აპრილით დათარიღებულ პაპ კლემენტი VIII-ის ინსტრუქციაში, რომელიც კუმულოვიჩს მოსკოვში გაეგზავნა, ნათქვამია, რომ ის ვალდებულია წავიდეს ჩერქეზეთში და იქიდან კავშირი დაამყაროს ამიერკავკასიის მეფეებთან³. ცნობილი არ არის შესძლო თუ არა მან ამ დავალების შესრულება, მაგრამ შიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მისი ან მისი მსგავსი

დიპლომატ-აგენტების საშუალებით მოხდა სვიმონ მეფის ევროპის სახელმწიფოებთან დაკავშირება. საინტერესო ცნობაა შემონახული ვენეციელი დიპლომატის, ალესანდრო მალიპიეროს 1596 წლის რელაციაში. იგი ამბობს, რომ ქართველ მეფეებს „მეგობრული ურთიერთობა აქვთ ესპანეთის მეფესთან, რომელთანაც წერილებს აგზავნიან ორმუხსა და სხვა ადგილებზე გამავალი გზებით“⁴.

ანტიოსმალურად განწყობილი ყველა სახელმწიფოსათვის ნათელი იყო, რომ ქართლისა და კახეთის მეფეების შერიგება მეტ წარმატებას მოიტანდა. მაგრამ დგებოდა კითხვა: ვისი ინიციატივით უნდა მომხდარიყო შერიგება – რუსეთისა თუ ირანის. ამას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. თუ რუსეთის დიპლომატია გაიმარჯვებდა, მაშინ მოსალოდნელი იყო სვიმონ მეფეც რუსეთის მეფის მფარველობაში შესულიყო. რა თქმა უნდა, ირანის შაჰიც ცდილობდა ალექსანდრე II თავის მხარეს გადაეყვანა. ალექსანდრე მეფეს, როგორც ადრე ითქვა, საქართველოს გაერთიანება სურდა კახეთის მეთაურობით. ამ ამოცანის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას იგი საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთის მფარველობაში შეყვანით ფიქრობდა. თევდორე ხელმწიფე 1596 წლის ივნისში ალექსანდრე კახთა მეფეს პასუხად სწერდა: **«А что к нашему царьскому величеству писал еси в грамоте, что по нашему царьского величества повелению з зятем своим с Симоном помирился еси вековым миром и начнешся Божьей милости, которые земли от вас отстали Мингрелская и Гуриелская и Мамучарская, чтоб вам их к себе проворотит и под нашу царскую руку их привести»**².

მოსკოვის მეფე სვიმონ პირველთან ურთიერთობის დამყარებისაკენ მიისწრაფოდა და მას ქართლის მეფესთან ალექსანდრეს შუამავლობა არ აკმაყოფილებდა. იგი ალექსანდრეს იმავე წერილში მიუთითებდა, რომ როცა შენი ელჩები მოსკოვში წამოვლენ, მათ წამოჰყვინენ სვიმონ მეფის ელჩებიც, რათა დადგინდეს **«как ему вперед быти в нашем царьском жалованье под нашей**

1 „Starine“, kniga XIV, Zagreb, 1882, p. 112-113.

2 Ibidem, p. 122.

3 Tardy L., Op. cit., 32, p. 154.

1 Berchet, Op. cit., p. 97.

2 Сношения России с Кавказом, с. 267.

царською високою рукою и во обороне от ваших недругов... и пожалеи их отпустим и своего посла к нему пошлем»¹.

საეჭვოა, ალექსანდრე მეფეს მოსწონებოდა მოსკოვის ხელმწიფის ასეთი დიდი ინტერესი ქართლის სამეფოს მიმართ და იგი შეეცდებოდა ქართლის სამეფოს რუსეთთან დაახლოება არ მომხდარიყო.

იბადება კითხვა: რატომ სვიმონ მეფე თვითონ არ ცდილობდა რუსეთთან დაკავშირებას?

სვიმონ I ირან-ოსმალეთის ომის დროს და მის შემდეგაც, სიცოცხლის ბოლომდე, პროირანული ორიენტაციისა იყო. მას, ოსმალეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ვითარებაში, როდესაც ყიზილბაშებთან ერთად ოსმალების წინააღმდეგ იბრძოდა, საშუალება არ ჰქონდა, შაჰისათვის მიუღებელი საგარეო პოლიტიკა გაეტარებინა, რა თქმა უნდა, სვიმონისათვის კარგად იყო ცნობილი შაჰის განწყობილება კახეთის მეფის რუსეთთან ურთიერთობის გამო. მან კარგად იცოდა აგრეთვე, ალექსანდრეს იმ რთული დიპლომატიური თამაშის შესახებ, რომელსაც იგი შაჰთან და მოსკოვის ხელმწიფესთან ანტიოსმალური ლიგის შექმნისათვის და თავისი საბოლოო მიზნის, საქართველოს გაერთიანებისათვის აწარმოებდა. სვიმონ I ამიტომ ერიდებოდა მოსკოვთან კონტაქტს. იგი ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროსაც, შაჰის მითითებით მოქმედებდა. სწორედ შაჰის მოთხოვნით უნდა ყოფილიყო, რომ მეფე ევროპაში გაგზავნილ წერილებში² რუსეთს არ ახსენებს, ყველგან ლაპარაკია მხოლოდ ქართლ-კახეთ-ირანის კოალიციის ჩამოყალიბებაზე. მართალია, წერილებში არსად ნათქვამი არ არის კოალიციის რომელიმე წევრის წამყვანი როლის შესახებ, მაგრამ ადრესატებისათვის გასაგები იყო, რომ სამთა კავშირში ირანი პირველი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, შაჰ აბაზი ევროპელ პარტნიორებს წარუდგენდა კოალიციას მასში რუსეთის

მონაწილეობის გარეშე, მაშინ, როცა იმავე პარტნიორებთან მიწერ-მოწერისა და მოლაპარაკების დროს რუსეთი აღმოსავლეთის ანტიოსმალური ძალების დამრავმველად გამოდიოდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი, შაჰის აზრით, არ უნდა ჩარეულიყო კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეებში, რომ ეს რეგიონები ირანის გავლენის სფერო იყო. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, შაჰ აბასი ოსმალეთის წინააღმდეგ სულ სხვა კოალიციას რაზმავდა. ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთთან ომში რუსეთის ბელადობა ამიერკავკასიაში შაჰ აბასს გამორიცხულად მიაჩნდა⁴.

ირანის ელჩის, ანდი-ბეგის მოლაპარაკება მოსკოვში მიზნად ისახავდა კავკასიაში რუსეთის შემოსვლის შეჩერებას. შაჰმა ამ მოლაპარაკებას ანტიოსმალური ხასიათი მისცა, მაგრამ მიზანი სხვა ჰქონდა. შაჰს მხოლოდ შამხალის რუსეთის გავლენის ქვეშ მოხვედრა არ აშინებდა. მას განსაკუთრებით რუსთა ჯარის შემდგომი წინსავლა დაღესტანში და კახეთის სამეფოს რუსეთთან კავშირი აფიქრებდა. რათა კასპიისპირეთში რუსეთის შეჭრა შეჩერებულიყო, ამისათვის აუცილებლად მიაჩნდა რუსი ხელმწიფისა და კახეთის მეფის შამხალთან შერიგება, თუნდაც ამისათვის რუსეთის სუვერენიტეტის ცნობა საშამხლოზე და შამხალის ვაჟის მოსკოვში მძევლად გაგზავნა გამხდარიყო საჭირო. შაჰი ამ მიზნის მისაღწევად მზად იყო რუსთ ხელმწიფეს დარუბანდის ან ბაქოს გადაცემას დაპირებოდა. როგორც ჩანს, ანდი ბეგმა დავალებას წარმატებით გაართვა თავი. რუსეთის შეიარაღებული გამოსვლა საშამხლოს წინააღმდეგ მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1604-1605 წლებში, მოხდა⁵.

მანამდე კი რუსეთ-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში ქართლის საკითხი გარკვეული სიმწვავეით უნდა მდგარიყო. ორი მეტოქე, საბოლოოდ, კომპრომისულ შეთანხმებაზე წავიდა: ერთობლივად ემოქმედათ ქართლ-კახეთის შესარიგებლად. ამ საკითხის მოგვარება დაეკალათ სტამბოლში მყოფ მოსკოვისა და ირანის ელჩებს. როდესაც ოსმალებმა მათთვის მიცემული დავალების შეს-

¹ Там же, с. 268.

² თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა, გვ. 76-78, 605-607; საქართველოს სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თფ., 1909, გვ. 80-80; Macler F., *Noticé de manuscrite armeniens*. „Revue des Etudes Armeniennes“, t. I, fasc. I-II, Paris, 1920, p. 73-78; Tardy L., *Op. cit.*, p. 32, 157-158; გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 94-99.

⁴ ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 70.

⁵ Бушев П.П., Ук. труд, с. 222.

ახებ გაიგეს, ისინი დააპატიმრეს, „რადგან თურქებს აშინებდათ კავშირი მოსკოვსა, სპარსეთსა და საქართველოს შორის, მიმართული ოსმალეთის წინააღმდეგ“¹.

როგორც ადრე ითქვა, რომის პაპი საქართველო-ირანის ანტიოსმალური კოალიციაში ჩაბმის ორგანიზებას მოსკოვს სთხოვდა. მოღწეულია თევდორე ივანეს ძის პასუხი კლემენტი VIII-ის ელჩ კუმულოვიჩისადმი: „შენ გვთხოვე, რომ მიგვეწერა სპარსეთისა და საქართველოს მეფეებისათვის თურქეთთან ომის საკითხთან დაკავშირებით... გასულ წელს ჩვენ მივწერეთ სპარსეთის მეფეს, არ დაედო ზავი თურქეთთან... ჩვენ ახლაც გავგზავნით მასთან დელეგაციას, რათა ვაცნობოთ ყვალაფერი რაზეც ჩვენ შევთანხმდით. ჩვენ მომავალშიც მივმართავთ საქართველოს მეფე ალექსანდრეს, რათა მჭიდრო კავშირი იქონიოს სპარსეთის მეფესთან“². ნაჩქარევად მეჩვენება მოყვანილ ამონარიდის მიხედვით, ლ. ტარდის მიერ გამოტანილი დასკვნა, თითქოს რუსეთ-საქართველო-ირანის მძლავრი ანტიოსმალური ლიგა შეიქმნა. მართალია, ირანს ოსმალეთთან ომის დაწყების შემთხვევაში რუსეთი, ესპანეთი და საქართველო ქვემეხების მიწოდებას ჰპირდებოდა³, მაგრამ ეს მხოლოდ დაპირება იყო და სხვა არაფერი. საჭირო იყო ირანის წაქეზება ოსმალეთის წინააღმდეგ და ამ შემთხვევაში საქართველო (კახეთის სამეფო) თავისთვის მისაღები რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ხელშემწყობად გამოდიოდა. ბოლოს და ბოლოს სვიმონ I და ალექსანდრე II შერიგდნენ. ვენეციელი დიპლომატი ალესანდრო მალიპიერო 1596 წლის თებერვალში სენატში წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ქართველი მეფეების შერიგება ირანის შაჰის ავტორიტეტის წყალობით მოხდა⁴. ამით ფაქტობრივად ჩამოყალიბდა სამთა ლიგა ქართლ-კახეთ-ირანის შემადგენლობით. სვიმონ I ესპანეთში გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთში შექმნილ ლიგის წევრებს შორის წინათ უთანხმოება

არსებობდა (ქართლ-კახეთსა და კახეთ-ირანს შორის უთანხმოება), მაგრამ შერიგდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის, აგრეთვე იერუსალიმისა და ყველა ქრისტიანის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის¹.

აღმოსავლეთში ანტიოსმალური კოალიციის შექმნას სულთნის მკაცრი რეაქცია მოჰყვა. იგი განსაკუთრებულ აღშფოთებას „ვერ-აგი გაიძვერა, ინტრიგანი, ვითარცა მელა“ სვიმონ I-ის მიმართ გამოხატავდა. შაჰ აბასისათვის გაგზავნილ წერილში მურად III წერდა: სვიმონი „რამდენიმე წლის განმავლობაში უდრტვინველად ჩვენი მოხარკე იყო, როგორც კი აღგვითქვა მორჩილება, ჩვენ ვუბრძანეთ მესაზღვრეებს, რომ იმ საზიზღარი და ურწმუნო ქვეყნისათვის ხელი არ ეხლოთ. ამიტომ ჩვენმა ჯარებმა დატოვეს მისი ქვეყანა, გადაკეტეს ყოველგვარი გზა არეულობისა და ომისა და იცავდნენ [სვიმონის] ქვეყანას სხვებისაგან. იმ შემთხვევაში თუ ისინი არ დააფასებენ იმ დიდ წყალობას, რომელიც მათ ქართველების მიმართ გამოიჩინეს, ფიცს გატეხავენ, მისი [სვიმონის] გვაში გველებისა და ჭიანჭველების ლუკმა გახდება“².

სავარაუდოა, რომ ალექსანდრე II ამ კოალიციის მიზნებს მთლად არ იზიარებდა და გულმოდგინებას არც მისი განხორციელებისათვის იჩენდა. რუსეთის გამოთიშვას ოსმალეთის წინააღმდეგ ომიდან, კახელი პოლიტიკოსები ვერ დაეთნხმებოდნენ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ გარკვეულ დრომდე გაჩუმებულიყვნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით მიკვლეული არ არის (შეიძლება არც არსებობდა) კახეთის მეფის წერილი, გაგზავნილი სვიმონ მეფის და შაჰ აბასის წერილებთან ერთად ევროპაში. სავარაუდოა, რომ ალექსანდრე II დათანხმდა (ან კი დათანხმდა?) ზემოხსენებული წერილების ავტორებს, მისი სახელითაც მიეწერათ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებისათვის. მართალი არ უნდა იყოს

1 Hammer J., *Op. cit.*, S. 316; სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 216-217.

2 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er}*, 32, p. 156.

3 *Ungerische und Siebenbürgische Kriegshändel, Frankfurt am Main, 1590, S. 322-323*; Tardy L., *Op. cit.*, 32, p. 157.

4 Berchet, ., *Op. cit.*, p. 96-97.

1 გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 95.

2 სვანიძე მ., 1588 წელს ქართლის მეფე სვიმონ I-ისა და ოსმალეთის სარდალ ფერჰად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულება. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, №10, თბ., 2003, გვ. 151.

ჯულფელი¹ თუ ენშიაძინელი² დიპლომატის, შაჰ აბასის ელჩის, ტერ-იაკობის ნათქვამი, თითქოს მას თან ჰქონდა მეფე ალექსანდრეს წერილებიც ევროპის მეფე-მთავრებისათვის გადასაცემად³. ტერ-იაკობი შაჰ აბასის გამოცდილი დიპლომატი იყო და, რა თქმა უნდა, კახთა მეფის განწყობილებაზე სიტყვასაც არ დაძრავდა.

შაჰსა და კახეთის მეფეს შორის რომ კვლავ დაძაბული ვითარება იყო, ამაზე მიუთითებს შემდეგი მომენტიც. შაჰმა ალექსანდრე მეფესთან მიღწეული შეთანხმების განმტკიცება და კახეთის საბოლოოდ თავის მხარეზე გადაყვანა 1596 წელს საქორწინო კავშირით სცადა. მან თავისი ელჩი დიდი საჩუქრებით გაგზავნა კახეთის მეფესთან და ასული სთხოვა თავის საცოლედ. ალექსანდრეს განსჯით, შაჰს მძევლის წართმევა უნდოდა და არა დანთსავება. ამიტომ მან მოხერხებულად უთხრა უარი – ჩემი ასული დანიშნულია სამეგრელოს მთავარზეო. ალექსანდრემ ყიზილბაშ ელჩებს პასუხთან ერთად საჩუქრებიც გაატანა⁴. მალე შაჰმა ნამდვილი ზრახვები გამოამყვანა. 1597 წელს შაჰ აბასმა კახეთის აკლესიის მუქარით ალექსანდრეს მოსთხოვა თავისი ნათესავებიდან ყველაზე საუკეთესო ქალწული მისთვის საცოლედ გაეგზავნა. ამჯერად მეფე იძულებული გახდა შაჰის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და თავის ცოლის ძმის (ამილახორის) ასული გაუგზავნა⁵.

სვიმონ I 1595 წლიდან აქტიურად ჩაება ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბების საქმეში, რაც საკმაოდ კარგად აისახა მაშინდელ დიპლომატიურ მიმოწერასა და საბუთებში. ამ მხრივ

1 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er}*, 32, p. 160.

2 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 76.

3 Tardy L., *Op. cit.*, 32, p. 162.

4 *Сношения России с Кавказом*, с. 310-311.

5 Там же, с. 311; Веселовский Н., *Ук. труд*, с. 437, 441; Крымский Е. А., *История Турции и ее литературы*, II, М., 1919, с. 291; ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 76. შაჰს ასევე ქორწინების გზით უნდოდა დაებრუნებინა კავკასიაში დაკარგული ზოგიერთი სამფლობელო. 1597 წელს აბასმა სულთანს სთხოვა თავისი და საცოლედ მიეცა. იმავე დროს მან მზითვის სახით მოითხოვა შამანია, დარუბანდი და სხვა ადგილები, წინააღმდეგ შემთხვევაში ომის დაწყებით დაემუქრა. სულთანმა მას თვაზიანი უარი შეუთვალა. *Сношения России с Кавказом*, с. 311.

სერიოზულ ინტერესს იმსახურებს ტრანსილვანიის მთავრის ზიგმუნდ ბატორის დაკავშირება სვიმონ მეფესთან ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივად საბრძოლველად. 1595 წ. 25 იანვარს, პრალაში, იმპერატორ რუდოლფსა და ზიგმუნდ ბატორს შორის დაიდო ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ხელშეკრულება¹. იმავე წლის 20 და 30 ივნისს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ვალახეთის ვოევოდა მიხაიმ და მოლდავეთის მთავარმა შტეფან რეზვანმა სცნეს ზიგმუნდ ბატორის უზენაესობა². ამგვარად, ჩამოყალიბდა ძლიერი ანტიოსმალური კოალიცია, რომელმაც, თავდაპირველად სამხედრო წარმატებასაც მიაღწია.

ზიგმუნდ ბატორი ითვალისწინებდა რა ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ძლიერებას, აუცილებლად მიაჩნდა მისი ძალების ნაწილობრივ დაბანდება აღმოსავლეთში. ბატორიმ კარგად იცოდა სვიმონ მეფის ოსმალეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის შესახებ, მას წერილი გაუგზავნა და მოუწოდა დაეწყოთ ბრძოლა, სვიმონს – აღმოსავლეთიდან, ბატორს – დასავლეთიდან. ზიგმუნდ ბატორიმ, რომ დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა სვიმონ მეფეს, ეს ცნობილია ამ უკანასკნელის მიერ ესპანეთის მეფე ფილიპე II-სთვის 1596 წლის 25 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან³. ამ წერილზე ყურადღების გამახვილება საჭიროა იმიტომ, რომ მასში განსაკუთრებით კარგად ჩანს სვიმონ მეფის ანტიოსმალური საქმიანობა. სვიმონ I ესპანეთის მეფეს სწერდა: „მე მოგწერეთ წერილი ჩვენსა და თქვენს უდიდებულესობას შორის ალიანსის შექმნის შესახებ, რათა თქვენ უდიდებულესობას ჩვენთვის ეცნობებინა თავისი სურვილი. ჩვენთვის ცნო-

1 *Österreichische Staatsverträge. Fürstertum Siebenbürgen (1526-1690). Bearbeiten von R. Goos, Wien, 1911, S. 218-235.*

2 *Documents privitoare la istoria Romanilor, v. II, par. II, p. 209-213.*

3 Macler F., *Op. cit.*, p. 77-78. არსებობს ამ წერილის სომხური და ბერძნული ვარიანტები, სომხური დათარიღებულია 14 აგვისტოთი (იხ. ტაბალუა. დასახ. ნაშრ., I, გვ. 222-227). ფ. მაკლერმა გამოაქვეყნა წერილის ბერძნული ვარიანტის ფრანგულ ენაზე თარგმანი. ფ. მაკლერის და ი. ტაბალუას მიერ გამოქვეყნებულ თარგმანებს შორის, როგორც შემდეგ გამოჩნდება, არსებობს განსხვავება.

ბილია ტრანსილვანიის იმპერატორის სურვილი და ჩვენ დიდად გვწამს, რომ იგი დაპირების ერთგული დარჩება და დაგვეხმარება... ამავე მიზნით მივწერეთ წერილი წმინდა მამას და გერმანიის იმპერატორს¹. სვიმონი იქვე აღნიშნავს შაჰის იმ გულმოდგინების შესახებ, რასაც იგი ქრისტიანი მეფეების დასახმარებლად იჩენს.

არ ვიცი, ზიგმუნდ ბატორის წერილმა თუ კიდევ სხვა რამემ გააქტიურა სვიმონ მეფე, მაგრამ ფაქტია, რომ 1596 წელს მან რამდენიმე წერილი დაწერა²: 6 მაისს ვენეციის რესპუბლიკის

1 Macler F., *Op. cit.*, p. 78. შდრ. ტაბალუა ი., დასხ. ნაშრ., I, გვ. 224-227.

2 იმ წერილების გარდა, რომლებსაც ქვემოთ გავიხილავთ, მკვლევრები ფიქრობენ, რომ სვიმონ მეფემ იმავე 1596 წელს პაპს გაუგზავნა კიდევ ერთი წერილი დათარიღებული 1546 წლით, რომელიც მ. თამარაშვილმა გამოაქვეყნა და იქვე გამოთქვა ვარაუდი, რომ „წერილი გაგზავნილია სვიმონის გამეფების და მისი სპარსეთის ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ და ოსმალების მიერ მისი დატყვევების წინეთ; ამიტომ, ჩვენის აზრით, უნდა იყოს მიწერილი 1504(?) - 1596 წლებში“ (თამარაშვილი მ., დასხ. ნაშრ., გვ. 78). მ. თამარაშვილმა შემდეგში უფრო დააზუსტა წერილის დაწერის დრო: „უნდა იყოს 1578 წელი, სვიმონ I-ის სპარსელებისაგან განთავისუფლების შემდეგ“ (თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა, თბ., 1995, გვ. 524). ამ წერილის თარიღთან დაკავშირებით, ი. ტაბალუამ იეჭვა, რომ წერილი შეიძლება დაწერილი იყოს სვიმონ I-ის მამის ლუარსაბ I-ის მიერ და ამიტომ უზის 1546 წელი (ტაბალუა ი., დასხ. ნაშრ., II, გვ. 181, შენ. 88). გ. ჟორდანიას კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ წერილი დაწერილია 1596 წელს (**Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I. Из истории взаимоотношений папства и миссионеров с Картлийско-Кахетинским царством и Крымским ханством. Горийские миссии (конец XVI и 20-30-е годы XVII столетия), Тб., 1994, с. 277**). ჩემი აზრით, წერილის შინაარსი და მასში ერთი მინიშნება საგულისხმოს ხდის, რომ წერილი დაწერილი უნდა იყოს სულ სხვა დროს, XVI ს. 70-80-ანი წლების მიჯნაზე. მასში, ზოგად ხაზებში გადმოცემულია მეფის მამის, ლუარსაბ I-ის ტრაგიკულად დაღუპვის, სვიმონის გამეფების და სარწმუნოებისათვის თავდადებული ბრძოლის, ყიზილბაშებისაგან დატყვევების და განთავისუფლების, სვიმონის ხელახლა გამეფებისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ერთი სიტყვით წერილი ინფორმაციული ხასიათისაა და მასში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე. „ჩვენი გულის ყველა ნატვრას მღვდელი ტერ-იაკობ მოახსენებს თქვენ სიწმინდესა“ – ამ სიტყვებით ამთავრებს თავის წერილს სვიმონ მეფე.

წერილის მიხედვით დათარიღებისათვის ამოსავალი უნდა იყოს მეფის ერთი ფრაზა: „ჩემს თავს ვაგწირავ ერთიანად და ვერეთვე ჩემს ქორფა შვილსაც... ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე“ (თამარაშვილი მ., დასხ. ნაშრ., გვ. 77, 607).

სახელმწიფო საბჭოს, იმპერატორ რუდოლფს და რომის პაპს გაუგზავნა წერილები, აგვისტოს 14 და 25 რიცხვებში კი ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს. წერილები წაიღო მამა იაკობმა. როგორც ვარაუდობენ, მამა იაკობი ეროვნებით სომეხი ტერ-აკოფ მარქარიანი¹, წარმოშობით ჯულფიდან იყო, მაგრამ ცხოვრობდა ერზიამ-ინში, საიდანაც მეფემ გამოიძახა და დიპლომატიური დავალება მისცა²: მას დაევალა ანტიოსმალური კოალიციის შეკერა, რომლის ინიციატორად აღმოსავლეთში სვიმონი და მისი მოკავშირე შაჰ აბაზი, დასავლეთში კი, რომის პაპი კლემენტ VIII გამოდიოდნენ.

როგორც იმ დროინდელი საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ტერ-იაკობი ძალიან ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, ფრთხილი ადამიანი იყო. მან რამდენიმე ენა იცოდა. როგორც ზემოთ განხილული წერილიდან ირკვევა, მეფე მას დიდი ხნის განმავლობაში, მიახლოებით 70-იანი წლების დასაწყისიდან მაინც, მნიშვნელოვან დიპლომატიურ დავალებებს აკისრებდა. 1596 წელს ევროპაში მისიის შესრულებისას ტერ-იაკობს ახლდა თავისი ვაჟი³.

გ. ჟორდანიას და ზ. გამეზარდაშვილის მიხედვით, სვიმონ მეფემ ტერ-იაკობი 1596 წლის მაისის დასაწყისში ირანში გააგზავნა და 6 მაისს ბერძნულად დაწერილი წერილები გაატანა. იგი ჯერ ირანის სატახტო ყაზვინში მივიდა, ოსმალეთის იმპერიის

ის „ქორფა შვილი“ („*parvulo filio*“) 1596 წელს უკვე 25 წლისა ყოფილა და რა თქმა უნდა, ამ ასაკის კაცზე მეფე ქორფას ვერ იტყოდა. მაშასადამე წერილი დაწერილი უნდა იყოს ტყვეობიდან დაბრუნების (1578 წ.) შემდეგ ახლო პერიოდში.

1 მისურაძე გ., ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982, გვ. 148.

2 სვიმონ მეფე, როგორც ჩანს, ერზიამინელ მღვდლებს ხშირად აძლევდა დიპლომატიური ხასიათის დავალებებს. პირველ ასეთ ცნობას ვხვდებით მისი ალაშუთის ტყვეობიდან დაბრუნების (1578 წ.) შემდეგ. იხ. თამარაშვილი მ., დასხ. ნაშრ., გვ. 77. მაგრამ სვიმონ I-ზე ადრე სხვა ქართველი მეფეებიც მიმართავდნენ ერზიამინელ სომეხებს და დიპლომატიურ დავალებებს აძლევდნენ. უფრო ვრცლად იხ. **Тивадзе Т. Г., Ук. труд, с. 238-245**. ერზიამინელი სომეხი სამღვდლოების გარდა ქართველი მეფეები ამგვარ დავალებას აძლევდნენ სომეხ ვაჭრებსაც. ასეთი იყო ჯენკინსონთან გაგზავნილი სომეხი 1563 წელს; იმავე წელს კახეთის სამეფოდან მოსკოვში გაგზავნილი სომეხი ვაჭარი და სვიმონ მეფის მიერ 1578 წელს ესპანეთის მეფესთან გაგზავნილი სომეხი ვაჭარი. მათზე ზემოთ, თავთავის ადგილას უკვე ითქვა.

3 Tardy L., *Op. cit.*, 32, p. 165.

ტერიტორია ტრიპოლამდე გაიარა, ამ ნავსადგურიდან გემით გაემგზავრა და კვიპროსიდან ვენეციაში მივიდა. ვენეციიდან ის ჯერ პაპთან კი არ წავიდა, არამედ იმპერატორთან და 1597 წლის 10 ივლისს უკვე ვენაში იყო. ვენაში ის მაშინვე ავსტრიის ერცჰერცოგმა მაქსიმილიანემ მიიღო. 17 ივლისს ტერ-იაკობმა იმპერატორ რუდოლფს შაჰ აბასისა და მეფე სვიმონის წერილები გადასცა¹. ასეთია ტერ-იაკობის ვენამდე მოგზაურობის მარშრუტი².

დაზუსტებას მოითხოვს ტერ-იაკობის ევროპაში გამგზავრების და ქართველი მეფეების მიერ მისთვის წერილების გადაცემის ზოგიერთი დეტალი. როგორც ითქვა, 1596 წლის 6 მაისით არის დათარიღებული სვიმონ მეფის წერილები და ამის შემდეგ ტერ-იაკობი შაჰთან ყაზვინში გაემგზავრა. ის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, წლის ბოლომდე ან ახალი წლის დასაწყისამდე იქ დარჩა, როგორც გ. ჟორდანია და ზ. გამეზარდაშვილი ფიქრობენ. ტერ-იაკობს ვენეციის სახელმწიფო საბჭოს მდივან მარკო ოტობონოსათვის უთქვამს, რომ იგი ყაზვინიდან ორი დღის სავალზე **Jekbri**-ში სვიმონ I-სა და ალექსანდრე II-ს შეხვედრია, რომლებ-

1 Жордания Г., Гамезардашвили З., Ук. труд, с. 280. განსაკუთრებით საინტერესოა ვენეციის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც ტერ-იაკობის ევროპაში მოგზაურობას ასახავს, ამ დოკუმენტის ფრანგული თარგმანი გამოაქვეყნა ლ. ტარდიმ. Tardy L., Op. cit., 32, p. 160-163.

2 ვენეციის ელჩის ფრანკო ვენდრამინის მოხსენებით ბარათში, რომელიც გაგზავნილი უნდა იყოს ნეაპოლიტანიის მეფესთან, ნათქვამია: „უაღმატებულესო მეფეო, მრავალი თვის განმავლობაში სპარსეთში იმყოფებოდა ერთი გამოცდილი (ენშიადინელი – ე.მ.) სომეხი იმ მიზნით, რომ შაჰი დაერწმუნებინა, რათა იგი თავისი ჯარებით თურქეთის სულთნის წინააღმდეგ ამოქმედებულიყო; ეს ორი დღეა რაც იგი ამ კარზე იმყოფება. მისი მოგზაურობა დაახლოებით 2 წელი გაგრძელდა. როგორც იგი ამბობს, ცხრა თვეა რაც სპარსეთიდან გამოსულა. სირიაზე გამოუვლია, ტრიპოლში გემზე დამჯდარა კუნძულ კვიპროსზე მისასვლელად. ჯერ მას აუდიენცია არ ჰქონია. სპარსეთის შაჰის წერილები წამოუღია, აგრეთვე საგანგებო მიზნით ამ მხარეში არ გამოუტანებიათ მისი კეისარული უდიდებულესობის წერილები. ამბობს, რომ სპარსეთისა და საქართველოს მეფეებმა რუსეთის მეფესთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ კავშირი შეკრესო. მისი კეისარული უდიდებულესობა დაჰპირებია, რომ ამ მხარიდან იერიშით მივა მტერზე მთელი გერმანული ჯარებით და კავშირს დაამყარებს კლათოლიკე მეფესთან, თქვენს ყოვლად სახელგანთქმულობასთან და იტალიის სხვა მეფეებთან, რათა ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას ოსმალეთის იმპერია“. ტარდი ლ., ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში, გვ. 210.

საც ევროპაში გასატანებელი წერილები გადაუციათ¹. ბუნებრივია, დაისმის რამდენიმე კითხვა: თუ ტერ-იაკობის საქართველოში ყოფნის დროს, მაისში, დაიწერა მეფის წერილები, მაშინ ქართველ მეფეებს რატომ უნდა მიეტანათ ისინი ყაზვინში? მეორე კითხვა, ალბათ, ის იქნება, როგორ მოახერხებდნენ ქართველი მეფეები, მათი სამფლობელოებიდან შორს, ყაზვინიდან ორი დღის სავალით (დაახლ. 60 კმ) დაშორებულ პუნქტში ტერ-იაკობთან შეხვედრას? და, მესამე კითხვა: რამ გამოიწვია ტერ-იაკობთან ქართველი მეფეების კიდევ ერთხელ შეხვედრის აუცილებლობა?

1. დღეისათვის ცნობილი წერილობითი წყაროები არაფერს გვეუბნევა ტერ-იაკობის სვიმონ მეფესთან საქართველოში მოსვლაზე. წერილების 6 მაისით დათარიღება, სრულებითაც არ ნიშნავს იმ დროს ქართლის სამეფოში მის ყოფნას. მაშასადამე, წერილები კი დაიწერა 6 მაისს, მაგრამ გასაგზავნად გამზადებული დალუქულ-დაბეჭდილი წერილების ტერ-იაკობამდე მიტანა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა. ამგვარი შეფერხების მიზეზი ან მიზეზები მაშინ საკმაოზე ბევრი იქნებოდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, ალბათ ტერ-იაკობის ევროპაში გაგზავნა შაჰის მიზეზითაც შეყოვნდა, თორემ მისი გაშვება ადრე იქნებოდა განზრახული.

2. ტერ-იაკობმა, შეიძლება, ვენეციელი დიპლომატის თვალში თავისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელთან საუბრისას სთქვა, რომ ქართველმა მეფეებმა თავიანთი ხელით მიუტანეს ევროპაში გასატანებელი წერილები. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ იტალიელმა მისი ნათქვამი სწორად ვერ გაიგო (ცნობილია, ტერ-იაკობმა იტალიური არ იცოდა. მისი თარჯიმანი იყო იტალიაში მცხოვრები სომეხი, ვინმე ჯაკომო²). ტერ-იაკობი ასე გადმოგვცემს ქართველების მიერ წერილების მისთვის გადაცემას: „გავიარე ქართველთა მეფეებთან – ალექსანდრესა და სვიმონთან, რომლებსაც შევხვდი ერთ ადგილას, რომელსაც ჰქვია იეკბრი, ყაზვინიდან ორი დღის სავალზე. იმათაც მომცეს წერილები წმ. ტახტისათვის, ასევე იმპერატორისათვის

1 Tardy L., Le Roi Svimon I^{er}, 32, p. 162.

2 Ibidem, p. 160.

განკუთვნილი წერილი, რომელსაც პაპი მის დესპანს გადასცემს. მათთვის მიმაქვს, აგრეთვე, ქართველთა და იბერიელთა პატრიარქის ბეჭედდასმული წერილები“¹. ვფიქრობ, „გავიარე სვიმონთან და ალექსანდრესთან“, ზემომოყვანილ ამონარიდში ტერ-იაკობი რომ ამბობს, უნდა ნიშნავდეს მის შეხვედრას ქართველ მეფეებთან საქართველოში და აქედან წერილების წაღებას.

3. სრულიად საფუძვლიანად მიმაჩნია იმის ფიქრი, რომ ტერ-იაკობის საქართველოში მოსვლა იმდენად წერილების წაღებით არ იყო გამოწვეული, რამდენადაც ალექსანდრეს დასაყოლიებლად, მასაც მიეღო მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში. ტერ-იაკობის მიერ ევროპაში განცხადებული, რომ ანტიოსმალური კოალიციის აქტიური წევრი კახეთის სამეფოც იქნებოდა, ჩემი აზრით, სრულებითაც არ ასახავდა რეალობას. ადრე უკვე ვთქვი, რომ ალექსანდრე კახთა მეფის გეგმაში არ შედიოდა ანტიოსმალური კოალიციის იმგვარად გამართვა, როგორც ირანსა და ქართლს ესახებოდა. ნათქვამის დასტურად ისიც გამოგვდაგება, რომ ტერ-იაკობის განცხადების მიუხედავად, რომ მას თან ჰქონდა ალექსანდრე II-ის წერილები, ისინი (წერილები) ჯერჯერობით მიკვლეული არ არის და, სავარაუდოა, არც არსებობდა. ალექსანდრე მეფის განწყობილების შესახებ პაპ კლემენტი VIII-საც სცოდნია. ამიტომ სთხოვდა იგი მოსკოვის ხელმწიფეს, რომ გავლენა მოეხდინა ალექსანდრეზე. მეფე თავდორე ივანეს ძე, თავის მხრივ, პაპს აცნობებდა, რომ „ვაპირებ ქართველ მეფეს, ალექსანდრეს ვურჩიო, ისიც ისევე მოიქცეს და სპარსეთის შაჰთან ერთად იმოქმედოს“². საფიქრალაია, რომ ალექსანდრემ პოზიცია არ შეიცვალა. ალბათ, ამიტომ მამა იაკობი მარკო ოტობანოსთან საუბარისას მხოლოდ დასაწყისში ახსენებს ალექსანდრეს, შემდეგში ყველგან მხოლოდ სვიმონ მეფე ჩანს.

1597 წ. 20 ივნისს ტერ-იაკობი ვენეციის სახელმწიფო საბჭოს წინაშე წარსდგა და მეფის წერილი გადასცა. „სვიმონი, ღმერთის შეწევნით, ხელმწიფე ქართლისა და მთელი იბერიისა“

ვენეციის მთავრობას სთხოვს, შეეწიონ მამა იაკობს, რათა მან თავისი მისია შეასრულოს: უხიფათოთ მიაღწიოს რომამდე პაპთან შესახვედრად. წერილი დაწერილი იყო ბერძნულად და მას მეფე ბერძნულადვე აწერდა ხელს¹. ვენეციის მთავრობა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ოსმალეთის აღმოსავლელი მეზობლების ანტიოსმალურ საქმიანობისადმი. ამჯერადაც, ვენეციაში საჭიროდ ჩათვალეს, გაეგოთ ტერ-იაკობის პაპთან ვიზიტის მიზანი. ამის გარკვევა დაევალა მარკო ოტობანოს. 21 ივნისს დაინიშნა საბჭოს სხდომა. სხდომის დაწყებამდე მარკო ოტობანო და ტერ-იაკობი ერთმანეთს არაოფიციალურად შეხვედნენ. მათი თარჯიმანი იყო ანდრია ნეგრონი. რომელმაც სვიმონ მეფის ბერძნული წერილი იტალიურად თარგმნა. მარკო ოტობანომ შეადგინა ტერ-იაკობთან საუბრის ანგარიში, რომელშიც ნათქვამია: „ბრძენთა საბჭომ მე, მარკო ოტობანოს, საბჭოს უძღაბლეს მდივანს, დამავალა, შევხვედროდი მამა იაკობს, საქართველოს მეფის ელჩს რომში და გამომეკვლია მისი დავალების მოტივის შესახებ. ვიდრე უძღაბლესი საბჭო შეიკრიბებოდა მამა იაკობისათვის ორმოცდაათი დუკატის საჩუქრად გადასაცემად, ვისარგებლე შემთხვევით, მიუუხლოვდი მას (თარჯიმნად მემსახურებოდა ნეგრონი) და ვთხოვე, მოეთხრო თავისი მოგზაურობის შესახებ... ექვსი თვეა, რაც მან სპარსეთის დედაქალაქი ყაზვინი დატოვა. იგი მეფემ პაპთან გაგზავნა ელჩად. გამგზავრებისას ირანის შაჰმა დაავალა მას ენახა საქართველოს მეფეები — ალექსანდრე და სვიმონი, რომლებსაც შეხვდა იეკრბრიში, ყაზვინიდან ორი დღის სავალზე. მათაც ასევე გადასცეს პაპისათვის და რომში მყოფი იმპერატორის ელჩისათვის წერილები. მეფეთა წერილების გარდა, მას თან ჰქონდა ქართლისა და კახეთის პატრიარქების წერილები. მამა იაკობს სხვადასხვა დროს შაჰთან, საქართველოს პატრიარქებთან და მეფეებთან მიჰქონდა პაპის, კარდინალ სანტა სევერინას და იმპერატორის წერილები. ხშირად ეს წერილები დაწერილი იყო იტალიურ ენაზე, რის გამოც მათი წაკითხვა უჭირდათ საქართველოში. ახლა მთხოვეს, გადამეცა მისი უწმინდესობისათვის, რომ, თუ მომავალშიც მოისურვებდა

¹ Ibidem, p. 161-162.

² ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 167.

¹ Tardy L., Le Roi Svimon I^{er}, 32, p. 160-161.

მიწერას, მიეწერა სპარსულად. მათ დაავალეს, აგრეთვე, რომ პაპმა შეახსენოს ევროპელ ქრისტიანებს, რომ მათ გააერთიანონ თაავიანთი ძალები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად¹. სვიმონ მეფე, როგორც ტერ-იაკობს უთქვამს, მაშინ 65 წლისა ყოფილა, მისი ვაჟი კი 25 წლისა. სვიმონს იაკობი ახასიათებს, როგორც მამაც სამხედრო პიროვნებას, მისი ვაჟიც, მიუხედავად ახალგაზრდობისა, უკვე ცნობილი პიროვნება ყოფილა.

ტერ-იაკობს ქართველთა სამხედრო პოტენციალზეც უთქვამს მოკლედ: ქართველებს 40 ათასი ქვეითი და მეთოფეთა ნაწილები ჰყავთ. რადგან მათი ქვეყანა მთაგორიანია, ამიტომ მათ კავალერია არა ჰყავთ¹. ირანის შაჰს დიდად გაუჭირდებოდა ქართველები რომ არ იცავდნენო.

თავისი მოგზაურობის შესახებ მამა იაკობს უთქვამს: „საქართველოდან ვანის მიმართულებით გავიარე ვანის პროვინცია. თან მახლდა სვიმონ მეფის საიდუმლო აგენტი. ალექოში ვენეციის პატივცემულ კონსულს გადავეცი სვიმონ მეფის წერილი. კონსულმა მომცა ფული, პური და ყველაფერი, რაც მჭირდებოდა გემ „ნანათი“ მოგზაურობის დროს. ბოლოს, სახმელეთო მოგზაურობისას მოგზავდი ქალაქ ზანში, სადაც ვენეციის კეთილშობილმა მმართველმა თავაზიანად შემომთავაზა პური, ფული და ტანსაცმელი, რაც დამჭირდებოდა რომისაკენ მოგზაურობის დროს“².

1597 წლის 10 ივლისს მამა იაკობი ვენაში ჩავიდა. მეორე დღეს იგი ერცჰერცოგმა მაქსიმილიანმა მიიღო. 17 ივლისს იაკობი პრაღაშია. მან იმპერატორის კარისკაცებს შაჰ აბასისა და მეფის წერილები გადასცა. შაჰი და ქართველი მეფე იმპერატორს სთხოვდნენ გაეძლიერებინა ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. მამა იაკობმა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად იქვე განაცხადა, რომ ირანის შაჰი მოლაპარაკებას აწარმოებს ოსმალეთის სულთანთან და სტამ-

ბოლში თავის ელჩსაც აგზავნის, რომელსაც შაჰმა სერიოზული დავალება მისცა: ელჩს უნდა შეეგროვებინა სამხედრო მნიშვნელობის ცნობები და „უნდა გაერკვია სულთნის ზრახვები ირანის შაჰისა და საქართველოს მეფის მიმართ“¹. ასე რომ, იმპერატორი თუ შეიტყობდა ირანის ელჩის სტამბოლში ჩასვლაზე, მას უნდა სცოდნოდა, რომ ირანი საზავო მოლაპარაკებას კი არ იწყებდა, არამედ დაზვერვის მიზნით გაგზავნილი ელჩობა იყო.

აღმოსავლეთის ლიგის წევრები რომ სულთანთან შერიგებას არ ფიქრობდნენ და მასთან გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდათ, ტერ-იაკობს ამის საბუთად სვიმონ მეფის შემთხვევა მოჰქონდა. სულთანს მეფესთან საიდუმლო მკვლელი მიუგზავნია, მაგრამ ის სვიმონს ამოუცვანია ოსმალეთის ელჩის მრავალრიცხოვან ამაღლაში. ამ ამბის მოწმე თვით ტერ-იაკობი ყოფილა.

იაკობმა პრაღაში ისიც აცნობა, რომ ირანის შაჰი და საქართველოს მეფეები რუსეთის ხელმწიფესთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლისათვის ემზადებოდნენ. ამის გამო ტერ-იაკობს იმპერატორისათვის უნდა ეთხოვა მასაც დაერაზმა გერმანიის მთელი ძალები, კავშირი დაემყარებინა ესპანეთის მეფესთან, ვენეციის ღოჭთან და იტალიის მთავრებთან და ოსმალეთის გასანადგურებლად ერთობლივად გამოსულიყვნენ. იაკობმა იმპერატორის კარისკაცებს მოუთხრო აგრეთვე, შაჰმა საქართველოს მეფეს როგორ სთხოვა საცოლედ ერთი ასული², რასაც შაჰი დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. გარდა ამისა, დაუმატა ტერ-იაკობმა, შაჰის კარზე მრავალი ქართველი იმყოფება, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ შაჰის საგარეო პოლიტიკაზე, კერძოდ, ოსმალეთთან მიმდინარე ომებზე. შაჰს განზრახული აქვს დაიბრუნოს თავრიზი და ოსმალეთის მიერ დაპყრობილი სხვა ადგილები. შაჰი მაშინ დაიწყებს ომს, როცა დარწმუნდება, რომ იმპერატორმა რუდოლფმა დაპირება შეასრულა და ევროპაში დიდი არმია შეკრიბა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იგი თავდაცვითი ომით დაკმაყოფილდება, მაშინ შაჰიც

¹ Ibidem.

² ივლისისხმება ალექსანდრე მეფის ასულის თხოვა შაჰ აბასის მიერ, რაზეც ზემოთ უკვე თქვა.

თავს შეიკავებს, ქართველებიც შეტევიითი ომისადმი ინტერესს დაკარგავენ და ამით მხოლოდ ევროპელები დაზარალებებიან¹.

პრალიდან გაგზავნილ მოხსენებაში ვენეციის ელჩი წერდა, რომ მამა იაკობი იმპერატორმა მიიღო. იაკობმა იმპერატორს გადასცა შაჰისა და ქართველი მეფეების წერილები. მან აუდიენციის დროს განაცხადა, რომ თან ჰქონდა პაპისათვის განკუთვნილი წერილებიც, რომლებიც მისთვის უნდა გადაეცა პირადად შეხვედრის დროს². სვიმონ მეფის მიერ პაპისათვის გაგზავნილ წერილს მ. თამარაშვილმა მიაკვლია. წერილში პაპის ხოტბის შესხმა და ზოგადად აღნიშნულია იმ განუწყვეტელი და ხანგრძლივი ბრძოლის შესახებ, რომელსაც ქართლის მეფე ოსმალების წინააღმდეგ აწარმოებდა. სვიმონი იქვე დასძენს: „ვიდრე პირში სული მიღვია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე“. წერილში არ ჩანს, სვიმონ მეფე პაპისგან კონკრეტულად რას ითხოვდა. მას, ამის შესახებ, ტერ-იაკობისათვის სიტყვიერად დაუბარებია. „ჩვენი გულის ყველა ნატვრას მღვდელი ტერ-იაკობი მოახსენებს თქვენს სიწმინდესა“³ – სწერდა მეფე.

ტერ-იაკობი 1597 წ. 20 სექტემბრამდე პრალიში დარჩა, შემდეგ რომისკენ გაემურა. მისი პაპთან შეხვედრიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ კათოლიკური სამყაროს მეთაურმა მოიწონა ირან-საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ანტიოსმალური ლიგის შექმნისათვის საქმიანობა. იმავე დროს მან ელჩს განუცხადა: იმისათვის რათა პრაქტიკულად მომხდარიყო დასავლეთის სახელმწიფოების ოსმალეთის წინააღმდეგ დარაზმვა, შაჰს თავისი ელჩები უნდა გაეგზავნა ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებთან, იტალიისა და გერმანიის მთავრებთან. შაჰს ისიც უნდა შეეთვალა დასახელებული მეფე-მთავრებისათვის, რომ მას, თავის მხრივ, კავშირი ჰქონდა ქართლის მეფე სვიმონთან და რუსეთის მეფესთან და რომ ისინი ჯარის გამოყვანას შეჰპირდნენ⁴. პაპმა ტერ-იაკობს გულახ-

დილად უთხრა, რომ სუსტი იყო მისი გავლენა ქრისტიან მეფეთა კარზე და უკეთესი იქნებოდა თუ ირანისა და საქართველოს მეფეები თავიანთ ელჩებს ევროპის მეფეთა კარზე გააგზავნიდნენ¹.

ევროპის სახელმწიფოების რაიმე იდეისათვის შეკავშირება მაშინ შეუძლებელი იყო. ევროპის სახელმწიფოებს შორის გადაულახავი წინააღმდეგობები (რელიგიურ-იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული) არსებობდა. ესპანეთი ხან იარაღით, ხან დიპლომატიური საშუალებებით ებრძოდა ინგლისსა და საფრანგეთს, გერმანიის პროტესტანტ მთავრებს და ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო მისი ბრძოლა ნიდერლანდების ბურჟუაზიულ რესპუბლიკასთან. უალრესად დრამატული იყო იტალიის რესპუბლიკების და სამთავროების ურთიერთობა, არ იყო თანხმობა აღმოსავლეთ ევროპაში. ჰაბსბურგებს მუდვი ტერიტორიული დავა ჰქონდა თავის აღმოსავლელ მეზობლებთან.

ევროპის სახელმწიფოებს შორის სერიოზული წინააღმდეგობა არსებობდა ოსმალეთის საკითხის გამო, რაც უმთავრესად მის სამფლობელოებთან ვაჭრობითა და იქ გამავალი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საქარაუნო გზების გამოყენებისათვის ხდებოდა. სარგებლობდა რა სულთნისაგან მინიჭებული სავაჭრო პრივილეგიებით (კაპიტულაციები), საფრანგეთი ყოველთვის თავს იკავებდა ანტიოსმალური პოლიტიკის გატარებისაგან. მის ასეთ პოზიციას ოსმალეთის მთავრობა დიდად აფასებდა.

აღმოსავლეთის ანტიოსმალური კოალიციის წევრებისათვის გასაგები იყო, რომ ევროპიდან რაიმე სერიოზული დახმარების იმედით ყოფნა არ შეიძლებოდა. შაჰ აბაზი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. 1597 წელს მან სასტიკად დაამარცხა ოზბეგები და ქურთები, რომლებიც ოსმალეთის მოკავშირეებად გამოვიდნენ. შაჰი ოსმალეთთან მომავალი ომისათვის ზურგს იმაგრებდა და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ამავე დროს შაჰ აბაზი რეალურად აფასებდა

1 Tardy L., *Op. cit.*, 32, p. 167.

2 *Ibidem*, p. 167-168.

3 თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 77-78, 605-607.

4 Tardy L., *Op. cit.*, 32, p. 169.

1 ძალაუბრად გახსენდება საუკუნე-ნახევრის წინათ საქართველოს მეფე-მთავრების, ტრაპიზონის იმპერიისა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოების ელჩების უშედეგო მოგზაურობა ევროპაში. მაშინაც ზომ ასეთივე პასუხითა და რჩევით გაისტუმრა ისინი პაპმა პიუს II-მ.

აღმოსავლეთის ლიგას. მან უფრო გააცხოველა სვიმონ მეფესთან ურთიერთობა, ხოლო ალექსანდრე მეფეზე, ახლაც რუსეთისაკენ რომ იყურებოდა, ზემოქმედება გააძლიერა. 1598 წელს სვიმონ მეფემ, შაჰ აბაზთან შეთანხმებით, ოსმალეთთან ომი განაახლა. ეს უკვე 1595 წლის შეთანხმების გარკვეული ნაწილის რეალიზაციის დასაწყისს ნიშნავდა¹. მართალი არ იყო მოსკოვის ელჩი ათანასე ვლასიევი, როცა იმპერატორ რუდოლფ II-ის კარზე იკეცნიდა: სვიმონ მეფემ ოსმალეთთან ბრძოლა მეფე ბორის გოლუნოვის ბრძანებით დაიწყო².

საინტერესოა, შაჰს რას მისცემდა მხოლოდ ქართლის სამეფოს მიერ დაწყებული ბრძოლა, მაშინ, როცა ყიზილბაშები გარკვეულ დრომდე თავს იკავებდნენ ოსმალეთთან ომის დაწყებაზე. სავარაუდოა, შაჰ აბაზი სვიმონის მიერ დაწყებული ბრძოლით მიზნად ისახავდა შემდეგს: 1) მოესინჯა ოსმალთა ძალები; 2) ევროპის სახელმწიფოებისათვის ეჩვენებინა, რომ აღმოსავლეთის კოალიციამ მოქმედება დაიწყო; 3) ქრისტიანი მეფე სვიმონის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას შეიძლებოდა შთაბეჭდილება მოეხდინა ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებზე და იმათაც სამხედრო მოქმედება დაეწყო.

სვიმონ მეფემ ომის დასაწყებად შემთხვევით არ შეარჩია 1598 წელი. ამ დროს ოსმალეთს მნიშვნელოვნად გართულებული საშინაო მდგომარეობა ჰქონდა. მიმდინარეობდა სახალხო აჯანყებები. სვიმონ მეფემ მოკლე დროში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან პირველ რიგში თბილისის განთავისუფლება განიზრახა და 45 დღე მის მისაღვომებთან დაჰყო, მაგრამ წარუმატებლად³. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით კი ამ დროს თბილისი ქართველებს ეპყრათ. „სვმონ... აღიღო ციხე ლორეცა და დაიპყრა თუთ, მოვიდა ტფილისს და დაეხავა როსტომს იმერთა მეფესა“⁴. ახალი ქართლის ცხოვრების პირველი ტექსტი კი გვამცნობს, რომ სვიმონმა

„კუალად დაიპყრა ციხე ლორისა, შემოიქცა და მოვიდა თუთსად სახლად“¹. ხოლო ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში ვკითხულობთ: „დაიპყრა ლორე და წარმოვიდა გამარჯვებული სახიდ თუთსად“². როდესაც ევროპულ და ქართულ ცნობებს ვადარებთ ვახუშტი ბატონიშვილის ნათქვამს, ვრწმუნდებით, რომ თბილისი კვლავ ოსმალებს ეკავათ.

1599 წლის 18 აპრილს სტამბოლიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, იმავე წლის 21 მაისს ფუგერის გაზეთი წერდა: „სვიმონმა, საქართველოს ძლიერმა ხელმწიფემ და მბრძანებელმა, ირანის შაჰთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, დაიწყო ბრძოლა ერთი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ, რომელიც კარგად იყო აღჭურვილი ქვემეხებით. იგი ფერჰად ფაშამ აავო და უკანასკნელი ომის დროს ირანის წინააღმდეგ იყენებდა“³. ვფიქრობ, ლაპარაკია მეფის მიერ ტაშირის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტის ლორეს ციხე-სიმაგრის აღებაზე. ზემოთ გავეცანით მინაღობის ნათქვამს, რომ ფერჰად ფაშამ ლორეს ციხე აღადგინა, შიგ 7-8 ათასიანი გარნიზონი 200 ქვემეხით ჩააყენა. სვიმონ მეფის მიერ ასეთი გამაგრებული და აღჭურვილი ციხის აღებას სერიოზული რეზონანსი ექნებოდა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში.

ლორეს დაპყრობის შემდეგ, მეფემ გორის ციხე გაათავისუფლა.

საინტერესოა, რომ ევროპელი დამკვირვებლები მეფის წარმატებებს უკავშირებდნენ ოსმალეთში დაწყებულ სახალხო აჯანყებებს, კერძოდ, ჰუსეინ ფაშას აჯანყებას. 1599 წ. 15 ოქტომბრის ცნობით, „სვიმონი, საქართველოს მბრძანებელი, სრულ მხარდაჭერას იღებდა ჰუსეინ ფაშისაგან, რომელმაც სვიმონთან მოავლინა წარჩინებულთა დელეგაცია და დიდძალი ფული გამოუგზავნა თავისი გამოსახულებით“⁴.

1 იქვე, II, გვ. 378.

2 იქვე, გვ. 535.

3 Tardy L., *Op. cit.*, 31, p. 200.

4 Collections d'historiens Arméniens, traduit par M. Brosset, t. I, SPb., 1874, p. 275; სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 221.

1 გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 100.

2 *Сношения Царя Феодора Иоановича и Бориса Годунова императором Рудольфом II, 1594-1604 гг.*, СПб., 1852, с. 695.

3 Tardy L., *Op. cit.*, 31, p. 200.

4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 417.

მეფესა და აჯანყებულ ანატოლიელებს შორის კავშირზე მიუთითებს სხვა წყაროც, რომელშიც ნათქვამია, რომ, როდესაც დატყვევებული სვიმონი არზრუმში ჩაიყვანეს, იქ ღროებით გააჩერეს, რადგანაც ანატოლიაში ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ აჯანყებულთა ხელმძღვანელმა ყარა იაზიჩიმ (1599-1603) გადაწყვიტა, სვიმონ მეფე ტყვეობიდან გამოეხსნა. მან თავის თანამებრძოლებს უბრძანა, სვიმონი მოენახათ, მცველებისათვის მოეტაცათ და მასთან მიეყვანათ¹. ამასვე აღნიშნავს სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი².

ანატოლიაში მიმდინარე აჯანყებებმა სვიმონ მეფეს მოქმედება გაუადვილა. შაჰმა მაშინვე შეაფასა შექმნილი ვითარება და ქართლის მეფე არზრუმის დასაპყრობად წააქეზა. იტალიური ჟურნალისტის ფიქმდებელი ბერნარდინო ბეკარი 1599 წელს წერდა, რომ „არც აზიაში მიდის თურქების საქმე კარგად. საქართველოს მეფე სვიმონი 20 ათასი არკებუზერით და 5 ათასი მხედრით შეიჭრა არზრუმის მხარეში, სადაც ყველაფერი ცეცხლსა და მახვილს მისცა, დაიპყრო ოთხი ქალაქი და ხელთ იგდო მრავალი ქვემეხი“³. იმავე წლის 8 ოქტომბერს ფუგერის გაზეთი წერდა: „სვიმონ მეფეს შეეძლო დიდი წარმატებისათვის მიეღწია და ოსმალთა ტერიტორიები აზიაში დაეპყრო, რადგან ადგილობრივი ფაშის მიერ გამოგზავნილ სამხედრო ნაწილებს სვიმონის წინააღმდეგ ბრძოლა არ სურდათ“⁴.

ზემომოყვანილი ცნობების გარდა, სხვა რაიმე საბუთი, სვიმონ მეფის ანატოლიელ აჯანყებულებთან ურთიერთობის ან არზრუმზე მისი თავდასხმის შესახებ, არ გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, გამორ-

იცხული არ არის ევროპელი დიპლომატებისა და კორესპონდენტების მიერ სვიმონ მეფის ოსმალეთთან ბრძოლის შედეგების გაზვიადება. ქართული წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სვიმონ მეფეს, ბოლო ხანებში, არ ჰქონდა ისეთი ძალა, რომლითაც ასეთი სერიოზული სამხედრო ოპერაციების განხორციელებას შესძლებდა. მან ზომ შედარებით იოლად მოსაგებ ზოგიერთ ბრძოლაში საქართველოში განიცადა მარცხი. ასეა თუ ისე, ვიდრე არ აღმოჩნდება სხვა მასალები, მანამდე ფუგერის გაზეთში გამოქვეყნებული მასალები არ შეიძლება სანდოდ მივიჩნიოთ.

ლორეს დაპყრობის შემდეგ, სვიმონ მეფემ ოსმალეთის მიერ ძლიერ გამაგრებულ გორს შეუტია. ციხეში ოსმალეთთან ერთად გამუსლიმანებული მესხებიც იმყოფებოდნენ. ალყა ცხრა თვეს გაგრძელდა. მეციხოვნენი სურსათის ნაკლებობას განიცდიდნენ, მაგრამ ციხიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ. გაჭირვებამ მაინც თავისი გაიტანა და 500 ოსმალთა ციხიდან გამოვიდა, ახლომხლო სოფლები მოარბია და დიდძალი სურსათი და პირუტყვი იშოვა. მაგრამ მათ ციხეში შესვლა ვეღარ მოასწრეს. ბატონიშვილმა გოჩამ 500 დარჩეული მებრძოლით გზა გადაუჭრა და მრავალი ამოწყვიტა. ამ წარმატების შემდეგ მეფემ კიდევ უფრო გაამკაცრა ალყა, მაგრამ გორის აღება მაინც ვერ შესძლო.

სულთნის კარზე სათანადოდ შეაფასეს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და საგანგებო ზომები გაატარეს: სასწრაფოდ ჩატარდა მობილიზაცია და საქართველოში დიდი ჯარი გამოგზავნეს ჯაფარ-ფაშას მეთაურობით. არსებობს სულთან მეჰმედ III-ის (1595-1603) 1599 წლის აპრილის შუა რიცხვებში გამოცემული ფირმანი ქართლის სამეფოში სვიმონ მეფის მიერ დაწყებული აჯანყების ლიკვიდაციისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაეგზავნათ: ოვსილის სანჯაყბეგს – მეჰმედს, მალრის სანჯაყბეგს – კარაბეგს, ისბორის სანჯაყბეგს – ნური ალის, არმანის სანჯაყბეგს – ველის, ლაჩინის სანჯაყბეგს – ნიშამის, სამანის სანჯაყბეგს – ქურუქს და სელმასის სანჯაყბეგს – ლაზის:

1 Tardy L., *Op. cit.*, 31, p. 201.

2 არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974, გვ. 54. იაზიჩის სრულიად განსხვავებულ განზრახვასა და მოქმედებაზე გვამცნობს სხვა სომეხი ისტორიკოსი ჰოვანეს წარეცი. მისი თქმით, გზად მიმავალი სვიმონი სულთნის წინააღმდეგ აჯანყებულმა არზრუმის მმართველმა იაზიჩმა შეიპყრო. კუცია კ., გრიგოლ დარანაღცის ცნობა სვიმონ I-ის სტამბოლში ტყვეობის შესახებ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, თბ., 1975, გვ. 123, შენ. 4.

3 Tardy L., *Op. cit.*, 31, p. 204.

4 *Ibidem*, p. 200.

„თურღა: სულთან მეჰმედ ხანი მურად ხანის¹ ძე, მუღამ გამარჯვებული.

ემირთა და წარჩინებულთა სიამაყეს, დიდებულთა და სახელოვანთა შორის რჩეულს, პატივმოსილს ძალაუფლებით, შემკულს ღირსებითა და ბრწყინვალეობით, მაღალი ხელმწიფის წინაშე მრავალი წყალობით გამორჩეულს, ოვსილის სანჯაყბეგს, მეჰმედს, იყოს ხანგრძლივი სიცოცხლე მისი, როდესაც მოაღწევს უმაღლესი სამეუფეო ბრძანება, გეუწყოს, ამჟამად ქართლის მბრძანებელი სვიმონ ხანი აჯანყებული და აბობოქრებულია. იგი ჩემი ბედნიერების დედაქალაქის საზღვარზე მდებარე გორის ციხესთან მოვიდა, გარემოიკვა, ზოგიერთი ადგილები გადასწვა და გაავერანა, მთლიანად არეულობა გამოიწვია. გაუგონარი ვითარება შეიქმნა.

ამჟამად თავრიზის დაცვაში მყოფი, კეთილშობილი დესთური², დიდებული მრჩეველი, ქვეყნის მომწესრიგებელი, ჩემი ვეზირი ჯაფარ ფაშა, იმატოს მისმა სიდიადემ, იმ საზღვრის მკვიდრთა გამგებელი რადგანაც იყო, იგი იქ მყოფი მესაზღვრე ბეგლაგბეგებისა და ვანისა და დიარბაქირის ვილაიეთებში მყოფ ქურთთა გამგებლების მეთაურად დანიშნა. ამასთანავე გეუწყოს, რომ იგი [ჯაფარ ფაშა] სასწრაფოდ აიყარა, გორის ციხესთან მივიდა, ხსენებული ციხის გავერანებული ადგილები შეაკეთებინა. იმ წყეულებს შეუძლიათ ცეცხლითა და მასხვილით მოვიდნენ. ვილაიეთისა და ქვეყნის დაპყრობის თაობაზე ჩემი დიდებული, ძლევამოსილი ფირმანი არსებობს. შენც ამ ჩემი ბედნიერი სამეუფეო, გულითადად გაცემული ბრძანებისა და რაც წარმოგიდგენია იმის მიხედვით

1 მურად ხანი – ოსმალეთის იმპერიის სულთანი მურად III (1574-1595).

2 დესთური – ძირითადი კანონი. სახელმწიფო დიდოსხელები ვალდებული იყვნენ ეს დესთური ცხოვრებაში გაეტარებინათ. დესთურის აღმსრულებლად ითვლებოდნენ ვეზირები, მინისტრები, „მრჩეველები“ და სხვა წარჩინებულები. ვეზირებსა და დიდვაზირებს იმიტომ ერქვათ დესთური, რომ ემოქმედათ კანონითა და გარკვეული წესების მიხედვით. იხ. ჯიქია ს., ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ. თსუ-ს შრომები, ტ. 116, 1965, თბ., გვ. 246; აბულაძე ც., ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ, თსუ-ს შრომები, ტ. 121, თბ., 1967, გვ. 172.

იმოქმედე. ნაბრძანებია, რომ სამეფო ტახტის დაქვემდებარებაში მყოფი ქურთთა ლაშქარიც და მომთაბარეთა წინამძღოლის მიერ მომზადებული ძალები მტრის დასახვედრად მზად იყვნენ.

აქედან გამომდინარე ვბრძანებ, რომ როდესაც ჩემი სამეუფეო ფირმანი მოაღწევს, მის საფუძველზე იმოქმედეთ. სახელმწიფო ტახტის დაქვემდებარებაში მყოფი ქურთთა ლაშქარი იარაღ-საჭურველითა ჯავშნით გარშემო შემოიკრიბეთ, მომზადებული იყავით. ხსენებულ ჩემს ვეზირს ცნობა გაეგზავნება...

დაიწერა დიდებული რამაზანის თვის შუა რიცხვებში, წელი 1007¹.

რამაზანის თვის შუა რიცხვები, წელი 1007 – 11-20 აპრილი 1599 წელი“.

ფირმანში გადმოცემული ამბავი და სულთნის ბრძანებით გასატარებული ღონისძიებებთან ერთად ვიგებთ „ქართლის მბრძანებელი სვიმონ ხანის აჯანყებული და აბობოქრებული“ მებრძოლების მიერ 1599 წლის გორის ალყის დროს ოსმალებისათვის მიყენებული ზარალის შესახებ.

ვიდრე სულთნის ფირმანით გათვალისწინებული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება მოხდებოდა, მანამდე სვიმონ მეფემ ცბიერებით შეძლო გორის აღება. 1599 წლის დიდმარხვის დღეებში მეფემ ალყა მოხსნა და გორს გაეცალა. ოსმალებმა იცოდნენ, რომ ქრისტიანები დიდმარხვის დღეებში ომსა და შუღლს მოერიდებოდნენ და სიფხიზლე მოაღუნეს.

მეფემ ფარსადან ციციშვილსა და სულხან თურმანიძეს დაავალა, თავიანთ მამულებში კიბეები დაემზადებინათ და ლაშქარიც მზადყოფნაში ყოლოდათ. დასახელებულმა თავადებმა მეფის ბრძანება შეასრულეს და დათქმულ დროს ციხეს ფრთხილად მიეპარნენ. ციხეში დაბანაკებულმა ოსმალებმა ჯარის მიახლოება მაშინ გაიგეს, როცა იგი უკვე ქალაქში შესულიყო და ჩახრუსადის საყდარსაც ასცილებოდა. როცა ოსმალებმა განგაში ასტეხეს,

1 ფირმანი გადმომცა ცნობილმა თურქოლოგმა-მეცნიერმა პროფ. ნოდარ შენგელიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ. ფირმანს ვაქვეყნებ შემოკლებით. შენიშვნებიც ნ. შენგელიას ეკუთვნის.

ქართველები კიბეებით უკვე ციხეში გადასულიყვნენ და შიგნით იბრძოდნენ. ოსმალები და მესხები დილაძე წინააღმდეგობას განაგრძობდნენ. როცა დარწმუნდნენ, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, მეფეს „უვნებლობას შემოეხვეწნეს და ზოგნი მესხნი იგივე ციხეში ოქონის ხატს შეეხვეწნეს და მეფეს საფიცარი სთხოვეს“. მეფემ თავისი ძმის ვახტანგის ხელით შეწყალების სიგელი გაუგზავნა. უფრო მეტიც, „ყველას ცხენი და სახარჯო მისცეს და საგზალი და ჯარი თან გაატანეს რომ გზაზე არავინ არ აწყინოს რამე“. ციხეში ნაშოვნი ნადავლის ერთი ნაწილი მეფემ თავის მეზობლებს დაურიგა, ხოლო ის რაც სულთნის ქონებად ითვლებოდა თავის ძმას ვახტანგს უბრძანა სამეფო საკუთრებად გადაექცია.

გორის განთავისუფლების შემდეგ განთავისუფლდა მთელი ქართლი. ქართლსა და სამცხე-საათაბაგოში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო.

ქართული წყაროების მიხედვით, სვიმონმა იცოდა რა ოსმალთა მზადების შესახებ (რაზეც, ზემოთმოყვანილ ფირმანშიც არის ნათქვამი) თავისი ოჯახი გორიდან მეჯვრისხევეში გადაიყვანა, უფლისწული გიორგი კი დიდი ჯარით გორში დატოვა და მისი დაცვა დაავალა. მეფე ჯარის შესაგროვებლად საბარათიანოში წავიდა, მაგრამ ვერ მოასწრო, ფარცხისთან დამარცხდა და ოსმალებმა დაატყვევეს. მეფე გასცა კახაბერ ყორღანაშვილმა, რომელიც შემდეგ საბარათიანოს ამირსპასალარმა, მეფის ერთგულმა საჩინო ბარათაშვილმა, შეიპყრო და გელიყარის კლდიდან გადააგდო.

სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის მიხედვით, სვიმონი ტყვეობაში აღმოჩნდა შემდეგნაირად: „იმ მხარეს სადაც სვიმონი იმყოფებოდა, თურქებს სრულიადაც არ ჰქონდათ ეჭვი, რომ სვიმონი იქ იქნებოდა: ნადავლის წადილით თურქების ლაშქარს გამოეყო ერთი რაზმი და იმ მხარეს გაემართა. მათ დაინახეს ერთი ქართველი, შეიპყრეს იგი, ცოტა წინ წავიდნენ, სვიმონის რაზმი დაინახეს და ტყვეს ჰკითხეს მისი ვინაობა. როდესაც მისგან გაიგეს, რომ თვითონ სვიმონი იყო, თავზარდაცემული მაჰმადიანები

უკან გაბრუნდნენ და საჩქაროდ სწრაფმბენი ცხენით კაცი აფრინეს ბანაკში და ეს ამბავი მთავარსარდალ ჯაფარს შეატყობინეს. მას ძლიერ გაუხარდა და ბევრი მამაცი ვაჯკაცი გაამხნევა და გაგზავნა. ისინიც წავიდნენ, შეიპყრეს სვიმონი და მასთან მიიყვანეს. სვიმონს მისვლისთანავე შესახვედრად წინ მიეგება ჯაფარი. შემდეგ [თურქებმა] თავიანთ ენაზე ხმამაღლა ღალატით აღიღეს უფალი“¹.

ქართული წყარო მეფის დატყვევებაზე შემდეგნაირად მოგვითხრობს: „ქკს სპზ მეფემან ცხრა თვეს გორის ციხეს იბრძოლა, აიღო, მას შინა მყოფნი ურუმნი გამოასხნა და მშკლობით გაუშვა. – ამავე ქორონიკონსა მეფე და ურუმნი შეიბნეს აწეფის, ალგეთის პირს და ცხენი წაუქციეს ბრძოლასა შინა მეფეს თულაშვილმა; დაიჭირეს თათართ მეფე სკმონ და სტამბოლს ხონტქართან გაგზავნეს“²

რადგან ჯაფარ ფაშას მოახსენეს, რომ გორში მდგომი გიორგი უფლისწული მამის განთავისუფლებას შეეცდებოდა, ოსმალები აიყარნენ და სვიმონიც თან წაიყვანეს. მართლაც, მეორე დღეს, ნაშუადღევს, მეფის დატყვევების ამბავი გორში მოვიდა. ბატონიშვილი გიორგი ცხენოსანთა რაზმით ოსმალებს დაედევნა, მაგრამ ამაოდ.

დატყვევება იმ პატარა ქართული სამეფოს მეფისა, რომელიც 12 წლის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთის დამპყრობელ ოსმალებს, სულთანმა უდიდეს წარმატებად ჩათვალა და ბრძანა სახელმწიფოს ქალაქებში ქურჩები მოერთოთ და სამი დღის განმავლობაში ყველა ღხენას მისცემოდა. სულთანმა ისიც ბრძანა, რომ სვიმონი მასთან მიეყვანათ³.

1600 წლის 21 ივნისს მეფე სტამბოლში ჩაიყვანეს და იედი კულეს⁴ ციხეში მოათავსეს.

1 არაქელ დავრიჟეცი, გვ. 53.

2 ქრონიკები, II, გვ. 43.

3 არაქელ დავრიჟეცი, გვ. 53.

4 იედი კულე (თურქ. ყედი – შვიდი და კულე – ციხე, ე. ი. შვიდკოშკა, შვიდბურჯიანი ციხე) – მდებარეობს სტამბოლის ამავე სახელწოდების უბანში, მარმარილოს ზღვის ნაპირას. ელჩებს, ვეზირებს და მაღალი თანამდებობის იმ დამნაშავეებს, რომლებსაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი, ამ ციხეში ათავსებდნენ. სიკვდილით დასჯის

ბატონიშვილი გიორგის და შაჰ აბას I-ის ცდამ, დაეხსნათ მეფე ტყვეობიდან, შედეგი არ გამოიღო: „ქართველთ დაუწყევს ხონთქარს ხევეწა და მეფის სვიმონის გამოშვება ეაჯნეს. მრავალი ძვირფასი თვალ-მარგალიტი გაუგზავნეს და გიორგი მეფის შვილი დავით მძევლად მიჰგვარეს, რომ წამოიყვანონ“¹. შემდეგში საქართველოში ხმა გავრცელდა გიორგი X-ის უფროსი ვაჟის დავითის დაკარგვის შესახებ რასაც „პარიზის ქრონიკა“ გვამცნობს². დავითი, ერთი ფრანგული ცნობით, 1609 წელს 14 წლისა იყო და იყო ჭკვიანი და კეთილი ბუნების ახალგაზრდა³. საინტერესოა, რომ მეფის დახსნისათვის ენერგიულად იღწვოდა მეფის მეორე შვილიშვილი, ულამაზესი თინათინი, რომელიც სპარსულ და ევროპულ წყაროებში ცნობილია გულჩარა (გულჩაპრას) სახელით. გულჩარა, დავითის და იყო. გულჩარამ, მართალია მეფის განთავისუფლება ვერ შესძლო, მაგრამ დიპლომატიის დიდი ნიჭი გამოამჟღავნა. გულჩარას სტამბოლში ასეთი საქმიანობის შედეგი იყო, რომ ერთი პირობა სულთნის კარმა სვიმონ მეფეს ირან-ოსმალეთს შორის დაზავების მოგვარება დაავალა და მხოლოდ ამის შემდეგ ჰპირდებოდა ტყვეობიდან განთავისუფლებას. სვიმონი და გულჩარა სტამბოლიდან ერთი კვირის წასულები იყვნენ ირანის მიმართულებით, როცა სულთანმა აჰმედ III-მ (1603-1617) გადაწყვეტილება შეცვალა და სვიმონი უკან დააბრუნა, გულჩარამ კი გზა გააგრძელა. მან შაჰ აბასს ის წერილები წაუღო, რომლებშიც ზავის დადების აუცილებლობასთან ერთად საქართველოს შესახებაც იქნებოდა თხოვნა და მოთხოვნაც. საზავო მოლაპარაკება, რომლის შეუძლებლობაც გულჩარა გამოდიოდა საკმაოდ გაგრძელდა. ამასობაში 75 წელს მიახლოებული მეფე ტყვეობაში გარდაიცვალა 1611 წელს.

ადგილად შერჩეული იყო იმპერატორ თეოდოსის მიერ აშენებული თადის მარცხნივ მდებარე მარმარილოს კოშკი. სიკვდილმისჯილებს აგდებდნენ ბნელ დილეგში. მოკვეთილ თავებს ჰყრიდნენ ქვისსახურავიან ჭაში. რომელსაც სისხლის ჭას ეძახდნენ. ვიქია ს., ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 56.

1 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 16.

2 იქვე, გვ. 22.

3 სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 238

გულჩარას დიპლომატიური მოღვაწეობის შედეგად, 1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში ირან-ოსმალეთის ზავი დაიდო¹. ამგვარად, სვიმონ მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ქართული წყაროების ცნობები სიმართლეს არ ასახავს. ერთ-ერთი ქართული ქრონიკების მიხედვით, სვიმონ მეფე „იედიყულაში დაატყვევეს, სამი წელიწადი იქ იყო, გამოიყვანეს და ათ მეიდანზედ თავი გააგდებინეს“². სხვაგან კი ვკითხულობთ: „მეფე ედი კულეში მოკლეს და ბატონის შვილი დავით დაიკარგა“³.

მეფის ნეშტი სტამბოლიდან ჩამოასვენა გორელმა ვაჭარმა დიაკნიშვილმა და მცხეთაში დაკრძალეს.

სვიმონ მეფის პოლიტიკური და სამხედრო ასპარეზიდან წასვლამ საგრძნობლად დაასუსტა საქართველოს ანტიოსმალური ძალა. ამ გარემოებამ, გარკვეული გაგებით, საგრძნობლად გაართულა, ალექსანდრე კახთა მეფის მდგომარეობა. აქამდე სვიმონ მეფე ოსმალებს იარაღითა და დიპლომატიური საშუალებებით ებრძოდა (ალექსანდრე II იმავე ოსმალების პრეტენზიებისაგან თავის დახსნას მხოლოდ დიპლომატიით ცდილობდა), რაც კახეთის სამეფოს მდგომარეობას საგრძნობლად უმსუბუქებდა. ოსმალეთი იძულებული იყო, მთელი ყურადღება ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ქართლის სამეფოსათვის მიეპყრო. ასეთ ვითარებაში, ოსმალეთის მთავრობა კახეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებას ერიდებოდა. ოსმალეთში ცნობილი იყო, რომ კახეთის სამეფო, არც ირანის, ოსმალეთის დაუძინებელი მტრის, ერთგული იყო.

ალექსანდრე II კარგად ხელავდა, როგორ იცვლებოდა ვითარება ახლო აღმოსავლეთში. ირან ოსმალეთის ომი ახლოვდებოდა. გაურკვეველი იყო ვინ გაიმარჯვებდა. ჯერჯერობით არც ერთი მხარისათვის მიმხრობა სასურველი არ იყო. ამიტომ კახელმა დიპლომატებმა კვლავ სცადეს რუსეთი ჩაებათ კავკასიის საქმეებში. 1598 წელს ალექსანდრე მეფემ კახეთში რუსეთის ელჩებს გა-

1 გულჩარას შესახებ იხ. სვანიძე მ, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII) თბ., 1990, გვ. 261-276.

2 ქრონიკები, II, გვ. 431.

3 პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართველოსა, რედ. ზ. ჭიჭინაძე, თბ., 1903, გვ. 22.

ნუცხადა, რომ რუსეთის ხელმწიფემ თურქებისაგან დაცვა აღმითქვა და თურქებისათვის მისაცემი ხარკი თავისთვის მოითხოვოსო¹.

ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს „აქამდის საკითხს აგრე არ სვამდა კახთა მეფე და კახეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში მფარველის ამკარა ჩარევას ერიდებოდა“². ზემომოყვანილი რუსული და ევროპული წყაროების საფუძველზე ვფიქრობ, რომ ალექსანდრე კი არ ერიდებოდა კახეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში მოსკოვის სახელმწიფოს ამკარა ჩარევას, არამედ, პირიქით, მოსკოვის მთავრობა ერიდებოდა. ალექსანდრეს უნდოდა, რაც შეიძლებოდა ამკარა, ყველასათვის დასანანი გამხდარიყო მოსკოვის სახელმწიფოს კახეთისათვის მხარდაჭერა, ამ უკანასკნელის ოსმალეთთან და ირანთან ურთიერთობის საკითხში.

ალექსანდრე მეფის მიერ მოსკოვის ხელმწიფისათვის ოსმალეთის კუთვნილი ხარკის შეთავაზება უკანასკნელი ნაბიჯი იყო მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზნისაკენ – რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაეაქტიურებინა მოსკოვის პოლიტიკა ამიერკავკასიაში, მფარველისაგან რეალური დახმარება მიეღო. მაგრამ ალექსანდრე მეფის ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა.

მოსკოვის მთავრობის მიერ ალექსანდრე კახთა მეფის წინადადებაზე თავის შეკავება, სრულიადაც არ ნიშნავდა ოსმალეთისადმი მტრულ მოქმედებაზე თავის შეკავებით გამოწვეულ მდუმარებას. პირიქით, მეფე ბორის გოდუნოვი გულმოდგინედ ცდილობდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. მაშ რატომ არ მიიღეს მოსკოვში კახეთის მეფის წინადადება? საფიქრებელია, მოსკოვის მთავრობა ანგარიშს უწევდა ირანის ინტერესებს საქართველოს მიმართ. მოსკოვში, ალბათ, ვარაუდობდნენ, რომ კახეთის საქმეებში აქტიურად ჩაბმა გამოიწვევდა ირანთან ურთიერთობის შეფერხებას. ირანი იყო ოსმალეთის პოტენციური მოწინააღმდეგე აღმოსავლეთში და მასთან ურთიერთობის გართულება კახეთის სამეფოს გამო,

მაშინ, როცა მოსკოვის მთავრობისათვის ცნობილი გახდა (1601 წ. რეჩოსპოლიტის მეფე ზიგმუნდ III-სა და ყირიმის ხანს – ლაზი გირეის შორის მოლაპარაკება რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ომის დაწყების შესახებ¹), მოსკოვის სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. სწორედ ამ მოსაზრებით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ირანში გაგზავნილ ალექსანდრე თევდორეს ძე ჟიროვ-ზასეკინის ელჩობას (1600-1601) სპეციალური დავალება მიეცა, რომ შაჰის კარზე, ამჯერად, არ უნდა ყოფილიყო დაყენებული საქართველოს საკითხი. ყიზილბაშები თუ მაინც წამოჭრიდნენ, მაშინ მოსკოვის ელჩს ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ უნდა განეცხადებინა, რომ ოსმალეთის, მამხალისა და სხვა მთიელებისაგან ძლიერ შევიწროებულმა კახეთის მეფემ დაცვა სთხოვა მეფე თევდორე ივანეს ძეს. მან, როგორც ერთმორწმუნემ, თავის მფარველობაში მიიღო ალექსანდრე მეფე².

მოსკოვის მთავრობის საქართველოს საკითხზე დუმილი, მხოლოდ არსებული ვითარებით იყო გამოწვეული. ამის შემდეგ, მიუხედავად რუსეთში დაწყებული უცხოელთა ინტერვენციისა (ცრუ დიმიტრი I, ცრუ დიმიტრი II, პოლონეთისა და შვედეთის ინტერვენცია) და დიდი სოციალური მოძრაობისა (გლეხთა ომი ბოლოტნიკოვის მეთაურობით), მოსკოვში არასოდეს არ ივიწყებდნენ, რომ „საქართველო ყოველთვის იქნებოდა რუსეთის პოტენციური მოკავშირე და პლაცდარმი კავკასიისათვის შემდგომ ბრძოლაში. ამიტომ რუსეთის მთავრობა დიდ მორალურ (შეძლებისდაგვარად მატერიალურსაც) დახმარებას უწევდა საქართველოს“³.

ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მიმდინარე გლეხთა აჯანყებებმა, ოსმალთა წარუმატებელმა ომებმა ევროპაში, შაჰ აბას I-ს თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა. მან მშინვე გამოიყენა ეს ხელსაყრელი ვითარება. 1603 წელს დაიწყო

1 Новосельский А. А., Борьба Московского государства с татарами в первой половине XVI века, М., 1948, с. 109.

2 Сношения России с Кавказом, с. 570; Веселовский Н., Ук. труд, с. 47-48; Бушев П. П., Ук. труд, с. 369-370.

3 Накашидзе Н. Т., Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, с. 17-18.

1 «Велел меня от Турскаго оборонить; а что с меня Турской дани емлет, и государь бы тое дан велел имати на себя, государя». Сношения России с Кавказом, с. 314.

2 ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 77.

ირან-ოსმალეთის ომი. ყიზილბაშებმა თავიდანვე დიდ წარმატებას მიაღწიეს. ოსმალეთთან წარმტებული ომის პირობებში შაჰმა გადაწყვიტა განემტკიცებინა თავისი პოზიციები საქართველოში. შაჰ აბასს კახეთის სამეფოს რუსეთთან კავშირი განსაკუთრებით აშფოთებდა და ალექსანდრე მეფის ფიზიკური მოსპობით ამ კავშირის გაწყვეტას ფიქრობდა. შაჰმა ისე მოაწყო, რომ ალექსანდრე მეფე მისივე შვილმა კონსტანტინემ მოკლა 1605 წელს.

ჯერ ოსმალების მიერ სვიმონ მეფის დატყვევებით, შემდეგ ყიზილბაშების მიერ ალექსანდრე მეფის დაღუპვით, დასრულდა საქართველოს ანტიოსმალურ კოალიციებში მონაწილეობის ხანგრძლივი, საუკუნენახევრიანი პერიოდი. ირანისა და ოსმალეთის მოძალების პირობებში, საქართველოს სამეფო-სამთავროებმა კარგა ხნით დაკარგეს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების უნარი. ქართლ-კახეთი ყიზილბაშთა თარეშისა და ძმთა შორის სისხლისმღვრელი ფეოდალური ომების არენად გადაიქცა, ხოლო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა, ძირითადად, ოსმალეთთან ურთიერთობით შემოიფარგლა.

სამცხე-საათაბაგოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან (XV ს. II ნახევარი – XVII ს. I მეოთხედი)

1. სამცხელეზი სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე დინასტიურ ბრძოლაში

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ საინტერესო და იმავდროულად სადაო საკითხს წარმოადგენს XVI ს. მეორე ნახევრის ირანის შაჰების კარზე ქართველების ადგილის და როლის დადგენა და დაზუსტება. წიგნის წინამდებარე ნაკვეთიც ამას ისახავს მიზნად¹.

ჯერ შაჰ ისმაილ I-ის, შემდეგ შაჰ თამაზის აღმოსავლეთ საქართველოში მრავალჯერ მისაღწეობებმა ბევრ ქართველს თავი მოუყარა ირანში. საქართველოში მიმდინარე შინაფეოდალური ბრძოლების გამოც, ნებისთ თუ უნებლიეთ, გადახვეწილებით, მძევლებით, ტყვეებით (როგორც ცნობილია, შაჰ თამაზმა მარტო მეოთხე შემოსევის დროს, 1554 წ., ქართლიდან 30 ათასი ტყვე წაიყვანა) და რენეგატებით ქართველთა რაოდენობა ირანში კიდევ უფრო იზრდებოდა

სამშობლოდან ძალით წაყვანილი თუ ნებისთ წასული ქართველები ისლამს იღებდნენ და მრავალმა მათგანმა შაჰის კარზე მაღალი თანამდებობა დაიკავა. ზოგჯერ ისინი დიდ როლს ასრულებდნენ ყიზილბაშთა საშინაო და საგარეო საქმეებში.

ქართველთა მონაწილეობა ყიზილბაშთა სახელმწიფოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აისახა ევროპულ და სპარსულენოვან წყაროებში. პირველ რიგში საინტერესოა შაჰის კარზე მოხვედრილი ქართველი ქალების – შაჰის ცოლების და მათი

¹ პირველად, აღნიშნულ საკითხზე, სტატია გამოქვეყნდა 1977 წელს (იხ. მამისთვალიშვილი ე., სეფიანთა ირანში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები (1576-1578), „მაცნე“, ისტ. სერია, 1977, №1, გვ. 107-117). მას შემდეგ გამოქვეყნდა ზოგიერთი ახალი წყარო და მოსაზრება. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე ერთხელ კიდევ მივბრუნებოდი ჩვენი ისტორიის ამ საინტერესო ეპიზოდს.

შვილების – დედით ქართველი უფლისწულების, ბედი და მათი როლი ისლამურ ქვეყანაში.

ძველი და ახალი ისტორიკოსები ირანის შაჰების ცოლების ვინაობას, მათს ეთნიურ კუთვნილებას ეხებოდნენ იმდენად, რამდენადაც აინტერესებდათ უფლისწულების წარმომავლება დედების მხრიდან.

შაჰ თამაზს, სპარსული და ევროპული წყაროების მიხედვით, რამდენიმე ქართველი ცოლი ჰყავდა. ქართული წყაროები კი, ქართველად შაჰ თამაზის ერთ ცოლს, მოჰამედ-ხუდაბენდეს დედას, სამცხე-საათაბაგოს უმსხვილესი ფეოდალის ოთარ შალიკაშვილის ქალს ასახელებენ, რასაც ქართველი ისტორიკოსების ერთი ჯგუფი უარყოფს, მეორე ჯგუფს კი საეჭვოდ მიაჩნია. ამ საკითხის შესწავლამ მთელ რიგ დასკვნებამდე და ვარაუდებამდე მიმიყვანა.

შაჰ თამაზის შვილების შესახებ გვაქვს სხვადასხვა ცნობა. XVI საუკუნის ქურთი ისტორიკოსი შარაფ-ხან ბითლისი (იგი 1578 წლამდე სეფიანთა სამსახურში იყო და კარგად იცნობდა სამეფო კარს) თავის „შერეფ-ნამეში“ გადმოგვცემს რომ შაჰ თამაზს სხვადასხვა ცოლებისაგან ჰყავდა ვაჟები: მოჰამედ-მირზა და ისმაილ-მირზა – ისა-ბეგ თურქიმანის ქალიშვილისაგან; სულაიმან-მირზა, ახმად-მირზა, ჯუნაიდ-მირზა შამხალის დისა და ჩერქეზი ხარჭებისაგან; ჰეიდარ-მირზა, მუსტაფა-მირზა, იმამ-ყული-მირზა და მაჰმუდ-მირზა – ქართველი მონა ქალებისაგან¹. ამგვარად, ბითლისის მიხედვით, ხუდაბენდე და ისმაილი ერთი დედის, ისა-ბეგ თორქიმანის ქალის შვილები იყვნენ². შეიძლება ითქვას, რომ შარაფ-ხან ბითლისის ეს ცნობა გაზიარებულია თითქმის ყველა მკვლევრის მიერ, როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენთანაც.

„ახალმა ქართლის ცხოვრებამ“ და ვახუშტი ბატონიშვილმა შაჰ თამაზის ქართველი ცოლის არა მხოლოდ მამა (ოთარ შალიკაშვილი) იციან, არამედ მისი ცოლისმამის (ვარაზას) შესახებაც საინტერესო ცნობას გვაწვდიან. ისინი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან, აგრეთვე, შაჰ თამაზის ვარაზასადმი – თავისი

ცოლისძმისადმი დამოკიდებულებაზე¹. გვაქვს ორი ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული იტალიური და ესპანური წერილობითი წყაროც. ორივე წყაროს მიხედვით, შაჰ თამაზს ჰყავდა 11 შვილი. მინალოის გადმოცემით სამი უფროსი ვაჟი – მოჰამედი, ისმაილი და ჰეიდარი და ერთი ასული – ფერი-ხან-ხანუმი სრულასაკოვანი იყვნენ, ხოლო დანარჩენი რვა – მამედი, სოლიმანი, მუსტაფა, ემანგული, ალიხანი, აჰმედი, იბრაჰიმი და მეორე ისმაილი კი მცირეასაკისანი². სპარსელი დონ ხუან დე პერსია (უღულ-ბეგ ბაიათი) გვამცნობს, რომ შაჰ თამაზს თერთმეტი შვილი ჰყავდა: სამი ასული და რვა ვაჟი. დასახელებული ოთხი შვილის გარდა, მუსტაფა, ალი-მირზა, ბაჰრამ-მირზა და იბრაჰიმ-მირზა, „თუმცა ეს ოთხი ვაჟი და სამი ასული იმდენად მცირეწლოვანი იყვნენ, რომ მათ არავითარი ცვლილების მოხდენა არ შეეძლოთ“³.

თანამედროვე ირანელმა ისტორიკოსმა ნასროლა ფალსაფიმ სხვადასხვა (აღმოსავლური და დასავლური) წყაროების შესწავლით დაადგინა შაჰ თამაზის ცოლებისა და შვილების წარმომავლობა დედების მხრიდან. მისი თქმით: „შაჰ თამაზის ბევრი ცოლი იმ მხევალთა და ასულთაგანი იყო, რომელთაც გურჯისტანის ამირები, სხვა ძღვენთან და საჩუქრებთან ერთად, ყოველწლიურად უგზავნიდნენ ხოლმე შაჰს“⁴. ისტორიკოსი იქვე, უფროს-უმცროსობის მიხედვით, შაჰ თამაზის შვილების სახელებს და ზოგიერთი მათგანის დედათა ვინაობასაც გვაცნობს: „1. მუჰამედ-მირზა, შაჰ აბასის მამა, 2. ისმაილ-მირზა (ამ ორის დედა, სულთანამი, თორქიმანი იყო მუსავალის ტომიდან), 3. მურად-მირზა, 4. ჰეიდარ-მირზა (დედამისი, სულთან ზადე ხანუმი, ქართველი იყო), 5. სულეიმან-მირზა (დედამისი, სულთან ალა ხანუმი, ჩერქეზი იყო), 6. მუსტაფა-მირზა (დედამისი, ზაჰრა ბაჯი, ქართველი იყო⁴), 7. მაჰმუდ-მირზა, 8. იმამყული-მირზა, რომლის დედა, ხანფარვან ხანუმი,

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 364., 370, 372, 516, 523; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 411, 715, 718.

2 Minadoi T p. 4-5.

3 Don Juan de Persia, p. 60v-61r

4 მუსტაფას დედის ქართველობას ადასტურებს ვ. ჰინციც. Hinz W., Schah Esmail II. Ein Beitrage zur Geschichte der Safaviden, Berlin, 1933, S. 46.

1 Шараф-хан Бидлиси, Шараф-наме, III, с. 232.

2 Шараф-хан Бидлиси, с. 232.

ქართველი იყო¹. შერეფხან ბილლისის მიხედვით, ჰეიდარ-მირზას და იმამყული-მირზას ერთი დედა ჰყავდათ². იმდენად, რამდენადაც ამ ქალბატონის ძმები – ზაალ-გურჯი და ალიხან-გურჯი მესხები იყვნენ, მაშასადამე ისიც მესხი, მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ მაინც და მაინც შალიკაშვილი იყო³. 9. ალი-მირზა (ამის დედაც ზაჰრა ბაჯი იყო), 10. აჰმად-მირზა, 11. ზეინ ოლ-მირზა, 12. მუსა-მირზა⁴.

მურად-მირზა, ზეინ ოლ-მირზა და მუსა-მირზა შაჰ თამაზის სიცოცხლეში გარდაიცვალნენ.

ნასროლა ფალსაფის თქმით, შაჰ თამაზის რვა ასულთაგან დედით ქართველი იყო მხოლოდ ერთი – ზეინაბ ბეგუმი, რომელსაც ადრე ანა ხანუმი ერქვა⁵. იმავე ისტორიკოსის მიხედვით, შაჰ აბასს ორი მამიდა ჰყავდა: ერთი იყო დასახელებული ზეინაბ ბეგუმი, რომელსაც, როგორც ითქვა, ქართველი დედა ჰყავდა და მეორე – მარიამ სულთან ხანუმი⁶. იქნებ ეს უკანასკნელიც დედით ქართველი იყო, რაზეც მისი ქრისტიანული სახელი მარიამი უნდა მიგვანიშნებდეს? ზეინაბ ბეგუმის ადრინდელი სახელიც ხომ ქრისტიანული ანა იყო.

საინტერესოა რატომ ითვლება დასახელებული ორი ქალბატონი შაჰ აბასის მამიდებად, თანაც ნასროლა ფალსაფის ლოგიკით, მათგან მხოლოდ ერთს ყავდა ქართველი დედა, მეორეს კი არა. გამოდის, რომ ისინი სხვადასხვა დედას ეკუთვნოდნენ. თუ დედით

1 Шараф-хан Бидлиси, II, с. 229.

2 Там же.

3 შდრ. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ნარკვევები, თბ., 1990, გვ. 243.

4 ყიზილბაშური წესის მიხედვით, თითოეულ ვაჟს აღმზრდელად (ლალა) ჰყავდა ერთ-ერთი ყიზილბაშური მომთაბარე ფეოდალური ტომის დიდაკაცობის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე ერთ-ერთი უფლისწული რომელიც ტომის აღზრდილად ითვლებოდა და მისგან მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდა. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева И. В., Беллинецкий Л. М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958, с. 264.

5 უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული. ისტორია, ნ, „მეცნიერება“, თბ., 1978, გვ. 9-11.

6 იქვე. გვ. 29.

სხვაობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაშინ შაჰ თამაზის სხვა ასულები (როგორც ითქვა, მას რვა ასული ჰყავდა) რატომ არ ითვლებოდნენ მოჰამედ ხუდაბენდეს დებად და, შესაბამისად, შაჰ აბასის მამიდებად? ვფიქრობ დასახელებული ორი ქალბატონი და მოჰამედ-ხუდაბენდე ერთი მამის – შაჰ თამაზის და ერთი დედის – ქართველი ქალის შვილები იყვნენ. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე მსჯელობისას დაბრკოლებად არ უნდა გადავაქციოთ შალიკაშვილების ასულის ადგილი შაჰ თამაზის ცოლებს შორის. აუცილებელი არ იყო ეს ქალი მაინცდამაინც ოთარ შალიკაშვილის ის ასული ყოფილიყო, რომელზეც ქართული წყაროები გადმოგვცემენ.

ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ზეინაბ ბეგუმის (ანას) როლი და ადგილი შაჰ აბასის კარის ცხოვრებაში. როგორც ჩანს ეს ქალი გაუთხოვარი დარჩა (დანიშნული ყოფილა ალიყული-ხან შამლუზე, მაგრამ სასიძო მოუკლავთ). ის შაჰ-მუჰამედისა და მის შვილის ჰამზა მირზას დროს ჰარამხანაში დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა, ხოლო შაჰ აბასის ზეობისას ჰარამხანას ზედამხედველობდა და, სხვა ქალებთან შედარებით, შაჰთანაც ის ყველაზე დაახლოებული იყო. შაჰ აბასი მის აზრს სხვადასხვა საკითხებზე ანგარიშს უწევდა, ის მონაწილეობდა ისეთ ღონისძიებებში, სადაც მხოლოდ მამაკაცები უნდა ყოფილიყვნენ. ფალსაფი იმოწმებს ანტონიო დე გოვეას ერთ ცნობას, რომლის მიხედვითაც, „ზეინაბ ბეგუმიც არ არის დაზღვეული ავსიტიყვაობისაგან და ხმა დადის, რომ მას თავის ძმისშვილთან შაჰ აბასთან სასიყვარულო ურთიერთობა აქვს“¹.

რაც შეეხება მოჰამედ ხუდაბენდეს მეორე დას – მარიამს ის, ზეინაბისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, მუსლიმი ქალებისათვის ჩვეულებრივ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და დაკავებული იყო თავისი ოჯახის საქმეებით.

შაჰ თამაზს რომ ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, მსხვილი მესხი ფეოდალის ოთარ შალიკაშვილის ასული, ამის შესახებ ცნობები დაცულია XVIII ს. 20-იანი წლების ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ შედგენილ „ახალი ქართლის

1 იქვე.

ცხოვრების“ გავრძელებასა და ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“, ამის შესახებ უკვე ითქვა. საინტერესოა, რომ XVI ს. მეორე ნახევრის სამცხე-საათაბაგოს და, საერთოდ, შესაბამისი პერიოდის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყარო – „მესხური მატიანე“ – არაფერს ამბობს არც ოთარ შალიკაშვილზე, არც მის ასულზე, არც ოთარის ვაჟზე – შაჰ თამაზის მოყვარე – ათაბაგის ქვრივის დედისიმედის მიერ მოკლულ, ვარაზაზე. „მესხური მატიანის“ ამგვარი ტენდენცია, ღუმილი შალიკაშვილების შესახებ, რომლებიც ჯაყელთა დინასტიის მხარდამჭერად და ნათესავად ითვლებოდნენ მანამდე, ვიდრე დედისიმედი მოკლავდა ვარაზას, ახსნა შეიძლება: ამ მკვლელობამ შალიკაშვილები ათაბაგის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაიყვანა. ამიტომ მატიანეში, რომელიც ათაბაგის ოჯახის დაკვეთითა და, შეიძლება ითქვას, კარნახითაც იწერებოდა, ის რაც შალიკაშვილებს განხეთქილებამდე ათაბაგის სასიკეთოთ გაუკეთებიათ, არა მხოლოდ აღარ აისახა, არამედ ამ გვარის ხსენებაც კი არ არის. ისინი მხოლოდ იქიდან მოიხსენებიან (რა თქმა უნდა, უარყოფით კონტექსტში), როდესაც ჯაყელების წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების მოთავენი და მეთაურები გახდნენ.

უეჭველია, საქართველოში იცოდნენ შაჰის სხვა ქართველი ცოლების შესახებ, მაგრამ ქართული საზოგადოებისათვის იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქართველი ქალების შაჰებისა და სპარსელი დიდებულების ცოლობა ან მათ ჰარამხანებში ყოფნა, რომ ძველი ისტორიკოსები, საფიქრებელია, ამას განსაკუთრებულ ყურადღებას აღარ უთმობდნენ. მაგრამ სულ სხვა იყო იმ ქართველი ქალბატონისადმი ინტერესი, რომელიც არა მხოლოდ შაჰის ცოლი იყო, არამედ ირანის მბრძანებლის დედაც გახდა. ასეთი ქალბატონი, ქართველი ისტორიკოსების მიხედვით, იყო ოთარ შალიკაშვილის ასული, რომლის სახელიც კი არ ვიცით. ამიტომ ხომ არ მიჩქმალა ირანულმა ისტორიოგრაფიამ შალიკაშვილის ასულის სახელი?

ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში ნათქვამია, რომ შაჰ თამაზმა ათაბაგ ქაიხოსროსთან დანათესავება მოისურვა და სთხოვა თავისი

რომელიმე ნათესავი მიეცა ცოლად. რადგან ათაბაგს ასული არ ჰყავდა, ამიტომ თავისი ნათესავის, ოთარ შალიკაშვილის ქალიშვილი გაუგზავნა. შაჰ თამაზმა იქორწინა ოთარის ქალზე, რომელიც მისი საყვარელი ცოლი შეიქმნა. ამ ქორწინების წყალობით დამყარდა კარგი ურთიერთობა შაჰსა და ათაბაგს შორის¹.

ოთარ შალიკაშვილის ასულის შაჰ თამაზის ცოლობა ქართული საისტორიო მწერლობაში საკმაოდ გამოკვეთილად ჩანს და ზოგიერთი არაპირდაპირი ევროპული ცნობაც მას იმდენად ამაგრებს, რომ იგი შეიძლება შაჰ-მოჰამედ ჰოდაბანდეს დედად ვიგულისხმოთ, თუმცა ამგვარ მოსაზრებას სერიოზული წინააღმდეგობა ხვდება.

ბერი ეგნატაშვილი გვამცნობს, რომ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის უფლისწული ერეკლე მამას სტამბოლს გაექცა. შაჰ თამაზმა ერეკლეს ასეთი მოქმედება ალექსანდრეს განდგომად შეაფასა და მის დასასჯელად წამოვიდა და ყარაბაღში გაჩერდა. ალექსანდრე მეფის სახლთუხუცესმა ოთარ ჩოლოყაშვილმა იმდენი მოახერხა, რომ შაჰ თამაზის რისხვა კახეთს ააცილა და სამცხე-საათაბაგოს დაატეხა, როცა ქაიხოსრო II-ის ქვრივს დედისიმედს ოთარ შალიკაშვილის ვაჟი ვარაზა მოაკვლევინა².

ზოგიერთმა მკვლევარმა, რომელსაც ეჭვი არ ეპარება შარაფხან ბითლისის ნათქვამის ჭეშმარიტებაში (შარაფ-ხან ბითლისის მიხედვით, როგორც ითქვა, შაჰ თამაზს მოჰამედ-მირზა და ისმაილ-მირზა – ისა-ბეგ თურქიმანის ქალიშვილისაგან ჰყავდა), სცადა გაერკვია, რატომ არის ქართულ წყაროებში მოჰამედ ხუდაბენდეს დედა ქართველად გამოცხადებული. მნიშვნელოვან არგუმენტად მიაჩნიათ ქართველების – ზაალ-ბეგისა და ალი-ხანის ბრძოლა არა მოჰამედ ხუდაბენდეს და ისმაილის გამეფებისათვის, არამედ ჰეიდარ მირზასთვის მხარდაჭერა, რაც მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ჰეიდარის დედა ქართველი იყო. კ. ტაბატაძის აზრით, ალი-ხანისა და ზაალ-ბეგისათვის უფრო იოლი იქნებოდა უფროსი ვაჟების, მათ რომ დედა ქართველი ჰყოლოდათ, გამეფება, რომელთაც კანონიც ხელს უწყობდა, რომ მამის მემკვი-

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ 364.

2 დაწვრ. იხ. ქვემოთ: „ათაბაგი ქაიხოსრო II და დედისიმედი II“.

დრეობა გაეგრძელებინათ¹. დ. კაციტაძე თავის კრიტიკულ წერილში ნდობას უცხადებს სპარსული წყაროს ცნობებს, რომელთა მიხედვითაც მოჰამედ ხუდაბენდეს დედა იყო ყიზილბაშური ტომიდან². მ. სვანიძემ 1971 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში უკომენტაროდ გაიზიარა ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემა შაჰ მოჰამედ ხუდაბენდეს დედის შალიკაშვილობის შესახებ³, მაგრამ მოგვიანებით მან შეიცვალა აზრი და წყაროზე მითითების გარეშე აღნიშნავს: „მოჰამედ-მირზასა და ისმაილ-მირზას დედა შალიკაშვილის ასული ვერ იქნებოდა, რადგან როცა შაჰ თამაზმა იგი ცოლად მოიყვანა (1548 წ.), ორივე ვაჟიშვილი საკმაოდ მოზრდილი იყო (15 წელს გადაცილებული)“⁴. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ „შალიკაშვილის ასულს შაჰ თამაზისაგან შეეძინა ქალიშვილი ანა, შემდგომში ზეინაბ ბეგუმაღ წოდებული“⁵. დასახელებული ისტორიკოსების მოსაზრებებს იზიარებს ნ. გელაშვილიც⁶. უცვლელი არ დარჩა ჩემი მოსაზრებაც: მართალია, მეც ვეჭვობ, რომ შალიკაშვილის ასული მოჰამედ ხუდაბენდეს და ისმაილის დედა ყოფილიყო, მაგრამ ქვემოთ შევეცდები იმ მოსაზრების განვითარებას, რომ დასახელებული უფლისწულების დედა შაჰ თამაზის ერთ-ერთი ქართველი ცოლი იყო, რომლის ვინაობა უცნობია.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: საყოველთაოდ ცნობილია, და ქვემოთაც საკმაო მასალას გავეცნობით, საიდანაც ჩანს რატომ არ სურდა მაშინდელი ირანის დიდგვარობას შაჰ თამაზის უფროსი ვაჟების – მოჰამედ ხუდაბენდეს ან ისმაილ-მირზას გამეფება. ორივეს სერიოზული ნაკლი გააჩნდა, რაც შემდეგში მათი მეფობისას თვალნათლივ გამოჩნდა. მოჰამედი, ფიზიკურ ნაკლთან ერთად, სახელმწიფოს მართვის არც უნარს და არც სურვილს არ ამჟღავნებდა. ისმაილი ქვეყნის მმართველისათვის აუცილებელ წონასწორობასა და თავდაჭერილობას არ ფლობდა.

1 ტაბატაძე კ., დასახ. ნაშრ., გვ. 176

2 კაციტაძე დ., ქართულ-ირანული ურთიერთობიდან, „ცისკარი, №8, 1978, გვ. 137-139.

3 სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 135.

4 სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 242-243.

5 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 145.

შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველები ტახტის მემკვიდრის შერჩევისას, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდნენ ისეთი კანდიდატის წინ წამოწევას და ახდელად მხარდაჭერას, თუნდაც მისი დედა ქართველი ყოფილიყო, თუ ამ საქმეში მათ არ ექნებოდათ იმავე დიდგვარობის მნიშვნელოვანი ნაწილის თანადგომა. მათ აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ და ითვალისწინებდნენ კიდევ მათ აზრსა და განწყობილებას. ასე რომ, ქართველების – ალი-ხანისა და ზაალ-ბეგის მიერ შაჰის ტახტზე ისმაილის ან ხუდაბენდეს კანდიდატურის არწამოყენება სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ დასახელებული უფლისწულების დედა ქართველი არ იყო. აქვე, ალბათ გასათვალისწინებელია, უფლისწულთა დედების პირადი თვისებებიც. საგვსებით მოსალოდნელია, რომ შალიკაშვილების ქალი სრულიადაც არ იყო ისეთი აქტიური პიროვნება (ალბათ ისიც ითვალისწინებდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ დამოკიდებულებას მისი შვილებისადმი), როგორც იყო ჰეიდარ-მირზას დედა, რომელიც, როგორც ჩვენამდე მოღწეული წყაროებიდან ჩანს, გარკვეულ გავლენას ახდენდა, როგორც შაჰ თამაზზე, ისე კარისკაცებზე. მას გვერდში ედგნენ ასევე აქტიური ადამიანები, თავისი ძმები – ზაალ ბეგი და ალი-ხანი და თავისი შვილის გამეფებისათვის არაფერს მოერიდა, შაჰის მოწამვლასაც კი.

რაც შეეხება ბერი ეგნატაშვილის გადმოცემას, შალიკაშვილის ქალის სვიმონ I-თან შეხვედრის და მისი საქართველოში გამოსტუმრების შესახებ (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ), ნ. გელაშვილის აზრით, ეს ქალბატონი შეიძლებოდა დაღუპული ჰეიდარ-მირზას დედა ყოფილიყო¹. ვფიქრობ, ასეთი ვარაუდის გამოთქმა არ შეესაბამება შესასწავლი პერიოდის რეალიებს. არა მგონია, შაჰ თამაზის გარდაცვალების შემდეგ მომხდარი ამბები (ჰეიდარის მოკვლა, გამარჯვებულთა მიერ გატარებული დამსჯელი ღონისძიებები, შემდეგ შაჰ ისმაილის მიერ განხორციელებული ტერორი, რომელმაც მისი უდანაშაულო ძმები და ახლობლებიც შეიწირა), გვერდს აუვლიდა მთავარი დამნაშავის დედას და მოჰამედ ხუდაბენდეს დროს მას იმდენ პატივში ამყოფებდნენ, რომ საქართველოს ტახტზე სვიმონ

1 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 146.

I-ის აღდგენა მისი საკითხავი ყოფილიყო. სავარაუდოა, ჰეიდარის დედა შვილთან ერთად ან ახლო პერიოდში დაიღუპა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისიც საკმარისი იყო, რომ მის მიმართ საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი არსებობდა, თითქოს მან შაჰ თამაზი მოაწამვლინა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ საათაბაგოში ჯაყელთა წინააღმდეგ აჯანყების დროს, ათაბაგის ოჯახის მიერ შაჰისათვის რამდენიმე თხოვნა დახმარების თაობაზე უყურადღებოდ დარჩა, მაშინ, როცა სპარსელები ჯაყელთა მთავარი მოწინააღმდეგეების – შალიკაშვილების დახმარებას ცდილობდნენ. ამ ფაქტში შაჰის კარის მიერ ნათესავი გვარისადმი დახმარების მცდელობას ვხედავ. ისიც აღსანიშნია, საათაბაგოში როგორ სერიოზულად დაინტერესებული იყვნენ შაჰის ტახტზე მოსალოდნელი ცვლილებით ისმაილ II-ის ზეობის დროს: „ქრისტეშობისთულჴს იზ, ამბავი მოვიდა თუ: შაისმეილი მოკუდაო. აღარ დავიშაღეთ, შობის ელჩი გავგზავნეთ ბატონს თუალმშუწნიერთანა; ყაენის სიკუდილი არ დავიჯერეთ. ქრისტეშობისთულჴს ოცდარვასა თუალმშუწნიერის კაცი მოვიდა, სადასტურო ყაენის სიკუდილის ამბავი მოიტანა [გიორგობისთულჴს კგ მომკვდარიყო შაისმაელი]“¹. ათაბაგის ოჯახისათვის შაჰ იმაილ II არასასურველი იყო, სრულიად გასაგები იმ მიზეზების გამო რომლებზეც ზემოთ ითქვა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს აღნიშვნა ჯაყელების იმ გააქტიურებისა და წარმატებებისა შაჰ ისმაილის გარდაცვალების შემდეგ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში რომ იქნა მიღწეული – დეკემბრის 31-ს ყვარყვარე და მანუჩარი თმოგვს მოადგნენ, 5 იანვარს დედისიმედი და ბექა ყუელს; 8 იანვარს ორივე დასახელებული ციხე აიღეს; მანუჩარმა ფოსო და ჯავახეთი დაარბია, გურგაქს ქაჯის ციხე „გაუბარაქიანა“².

ამგვარად, ქართული საისტორიო ლიტერატურაში დაცული ცნობები შალიკაშვილებისა და შაჰ თამაზის ნათესაობის შესახებ, შეიძლება დეტალურად არ ასახავდეს რეალობას, მაგრამ მისი გათვალისწინება მაინც შეიძლება. არ მგონია, რომ ინგ-

ლისელი ჰერბერტის და ჰაბსბურგების იმპერიის ელჩის დავიდ უნგანდის ცნობებსაც, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით, საფუძველი არ ჰქონდეს.

დასასრულ, შალიკაშვილების ქალის ხელშეწყობითაც უნდა ყოფილიყო მისი თანამემამულეების – საათაბაგოელების აქტიურობა ირანის შაჰის კარზე.

* * *

შაჰ თამაზის სიცოცხლის ბოლო პერიოდში ტახტის ორი გამოკვეთილი პრეტენდენტი იყო, რომელთა ირგვლივ დაირაზმა ორი საკმაოდ სერიოზული დაჯგუფება. პრეტენდენტები იყვნენ უფლისწულები – ისმაილი და ჰეიდარი. დაჯგუფებები ფორმალურად შაჰ თამაზის ორი, სხვადასხვა დედისგან ნაშობი ვაჟების მომხრეებს წარმოადგენდნენ, სინამდვილეში მათ თავიანთი შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ.

იმისათვის რათა გასაგები გახდეს შაჰ თამაზის სიცოცხლის ბოლოს ირანში ქართველთა გავლენა და ძალა, უნდა გავეცნოთ მის ზოგიერთ შვილს, კერძოდ, ვაჟებს – მოჰამედ ხუდაბენდეს, ისმაილს, ჰეიდარს და ასულს – ფერიხან ხანუმს.

მოჰამედ ხუდაბენდე ამ დროისათვის არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა მონაწილეობა მიელო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას სუსტი მხედველობა და, საერთო აღირებით, ასევე სუსტი ნებისყოფა ჰქონდა. მას თითქმის განუწყვეტლივ უკითხავდნენ ყურანს. თავისი მოკრძალებული ცხოვრების წესის გამო იყო, რომ მას ხუდაბენდე (ღვთის მონა ან მსახური) შეარქვეს. ერთ დროს (30-იანი წლების ბოლოს) მამამ საგამგებლოდ (მეურვის ზედამხედველობით) ჰერათი ჩააბარა¹. 50-იანი წლების შუა ხანებში ის ყაზვინში გაიწვიეს და მის ადგილას მისი ენერგიული ძმა, ისმაილ-მირზა დაინიშნა², მაგრამ „უღირსი“ საქციელის გამო,

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 46.

2 იქვე, გვ. 46-47.

1 Шараф-хан Бидлиси, с. 187.

2 Там же, с. 200.

შაჰმა ის გაიწვია და ჰერათში ისევ მოჰამედი დააბრუნა¹.

მინადოის თქმით, მოჰამედი თვალებით ავადმყოფი (იტალიელს ჰგონია, რომ მას ამისათვის დაარქვეს ჰოდანდუ), ის მყუდრო ცხოვრებისადმი მიდრეკილი, თავმდაბალი და მეცნიერებისათვის თავდადებული იყო. მას ვერ წარმოედგინა როგორ უნდა ეტვირთა თავის თავზე მმართველობის ტვირთი და დაემორჩილებინა მძვინვარე მტრები აფორიაქებულ ქვეყანაში². დაახლოებით ასეთნაირადვე ახასიათებს ამ უფლისწულს ულუღ-ბეგ ბაიათი (დონ ხუან დე პერსია). მისი თქმით, მოჰამედს იმდენად სუსტი მხედველობა ჰქონდა, რომ ის ცოტას ან თითქმის ვერ ხედავდა. ამ უდიდესი ნაკლულოვანების გამო არ შეეძლო აჯანყებული პროვინციების და ხალხების დამშვიდება და ამიტომ იგი სახელმწიფოებრივი მმართველობის მოყვარული არ იყო³.

შარაფ-ხან ბიდლისი თავის ნაშრომში გადმოგვცემს მოჰამედ ხოდანდას სიმხდალის და უგერგილობის რამდენიმე მაგალითს⁴.

ისმაილი. სპარსულენოვანი წერილობითი წყაროების მიხედვით, ისმაილი სრულიად განსხვავდებოდა თავისი უფროსი ძმისაგან. მან 14 წლის ასაკში სახელი გაითქვა აჯანყებული ბიძის ალყას-მირზას წინააღმდეგ ბრძოლებში 1547 წელს და მის მაგიერ შირაზის გამგებლად დაინიშნა. ისმაილმა 1552 წელს არზრუმის მმართველი დაამარცხა, იბრძოდა ქურთისტანში და დიდი ნადავლიც იშოვა⁵. 1553-1554 წლებში შაჰ თამაზმა ისმაილს დიდებული ქორწილი გადაუხადა თავრიზში⁶. შემდეგ წელს შაჰმა მასვე ჩააბარა ჰერათის მართვა ნაცვლად მოჰამედ-მირზასი, მაგრამ ისმაილი ჰერათში ჩადენილი „უღირსი ქმედობების“ გამო, სულ მალე გადააყენა. ჰერათში კვლავ მოჰამედ-მირზა დაინიშნა და მასვე დაევა ისმაილის შაჰთან მიყვანა. მაგრამ მოჰამედი ჰერათში დარჩა ისმაილს კი სუნდუკ-ბეგ აფშარი გააყოლა. როდესაც შაჰმა გაიგო,

რომ ისმაილი ქ. სავეში მივიდა, მის შესახვედრად გააგზავნა მასუმ-ბეგ საფავი, რომელმაც ისმაილს ბორკილები დაადო და ყაჰყაჰეს¹ ციხე-სიმაგრეში ჩაამწყვდია², სადაც მან 20 წელი გაატარა.

შაჰ თამაზის ასეთი მოქმედება ისმაილის მიმართ სხვადასხვაგვარად ახსნეს. შარაფ-ხანი ერთგან აღნიშნავს, რომ ისმაილის მოშურნების მცდელობით იყო, რომ ის ყალყალას ციხეში გამოამწყვდიეს³. გაურკვეველია რას გულისხმობდა შარაფ-ხან ბიდლისი ისმაილის მიერ ჰერათში ჩადენილ „უღირსი ქმედობებში“. შეიძლება ეს უნდა იყოს ის, რასაც გერმანელმა მკვლევარმა უფლისწულის შაჰისადმი დაუმორჩილებლობა უწოდა, როდესაც იგი დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებდა⁴. ან ის, რომ ჰერათში მისვლისთანავე, შაჰის მიერ გაყოლებულ ალი-სულთან თაქალუმ პირი შეკრა თათარ-სულთანთან, ალი-ბეგთან, მოჰამედ-ხანის ვაჟებთან და სხვებთან და შეურცხყოფა მიაყენეს მოჰამედ-ხან ლალას და მისი მოკვლაც კი განიზრახეს. მოჰამედ-ხანი ყაზვინში წავიდა და შაჰს მოახსენა ყველაფერი რაც ჰერათში გადახდა. შახთან აუდიენციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ალი-სულთან თაქალუ კილბად (გულბათ) გურჯის ვაჟებმა მოკლეს⁵. სავარაუდოა ალი-სულთან თაქალუ ისმაილის მითითებით მოქმედებდა, რაც მისი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

დონ ხუან დე პერსიას მიხედვით, ისმაილს თავის მამასთან განხეთქილება ჰქონდა, რადგან მოუსვენარი სულისა იყო და ახალ-ახალი მოვლენები იტაცებდა. მოხუცი თამაზი ყოველთვის აფრთხილებდა მამაც ახალგაზრდას, რომ მას ქედმაღლობა და სიხარბე დალუპავდა⁶. მინადოიც, ჯერ ძალიან მოკლედ გადმოგვცემს, რომ ისმაილი თავისი მკაცრი ხასიათის გამო გადაგზავნილი იქნა კაჰყაჰეს ციხეში, თავრიზსა და ყაზვინს შორის⁷, შემდეგ კი

1 Тамже, с. 201.

2 Minadoi ., p. 5-6.

3 Don Juan de Persia, p. 61r.

4 Тамже, с. 212, 218, 234...

5 გელაშვილი ნ., დასხ. ნაშრ., გვ. 121.

6 Шараф-хан Бидлиси, с. 199.

1 Шараф-хан Бидлиси, с. 200-201.

2 Тамже, с. 333.

3 Тамже, с. 333.

4 Hinz W., Op. cit., S. 35.

5 Шараф-хан Бидлиси, с. 200

6 Don Juan de Persia, p. 61 r.

7 Minadoi , p. 4.

უფრო ვრცლად აღნიშნავს იმ მიზეზზე, რამაც შაჰ თამაზის ამგვარი რადიკალური ღონისძიება განაპირობა. ისმაილი ყოველთვის აშკარად აცხადებდა თავის მტრულ დამოკიდებულებასზე თურქების მიმართ და უკმაყოფილებას გამოხატავდა ოსმალეთთან 1555 წელს ამასიის ზავის დადების გამო. მამისაგან არაერთგზის აკრძალვისა მან გაბედა, რომ არზრუმის ტერიტორიაზე შეჭრილიყო და გაემარცხა ამ მხარის ქალაქები და ციხე-კოშკები¹.

ისმაილის დაპატიმრების მიზეზად მისი ოსმალეთის ტერიტორიებზე თავდასხმები და ირანსა და ოსმალეთს შორის ახალი ომის პროვოცირებაა დასახელებული სხვა ევროპულ წყაროშიც. „კარმელიტების ქრონიკა“ მოგვითხრობს, რომ ისმაილმა მრავალჯერ დაამარცხა ოსმალები, რითაც უკმაყოფილო იყო, როგორც შაჰი, ისე მისი მრჩეველი, ისმაილის დაუძინებელი მტერი მაყსუდ-ბეგი. მან შაჰ თამაზს ჩააგონა, რომ ისმაილის მოქმედება უნდა შეფასებულიყო, როგორც ამბობს, რადგან იგი მშვიდობიანობის დროს, შაჰის ნებართვის გარეშე, ოსმალთა ქვეყანას არბევდა. მაყსუდ-ბეგმა შაჰს ისმაილის მიერ ირანის პროვინციების მმართველებისადმი გაგზავნილი წერილებიც აჩვენა, რომლებითაც ის მათ ოსმალეთის წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდებდა. ყოველივე ამის გამო შაჰმა უფლისწული ციხეში ჩასვა².

მიუხედავად იმისა, რომ ისმაილი გარე სამყაროდან იზოლირებული ჰყავდა, შაჰ თამაზი, როგორც ჩანს, მაინც თავს მშვიდად ვერ გრძნობდა. მას სურდა გამორიცხულიყო ყველა შესაძლებლობა, რომ ისმაილს ამბობს მთელი თავისი პატიმრობის ადგილას³ – კაჰკაჰეს ციხეში.

ჰეიდარ-მირზა. დღეისათვის ცნობილი ყველა წერილობითი წყარო ერთხმად აღნიშნავს შაჰ თამაზის განსაკუთრებულ თბილ დამოკიდებულებასა და სიყვარულზე თავისი მესამე ვაჟის – ჰეიდარ-მირზასადმი. სრულიად მცირე ასაკის ჰეიდარ-მირზასადმი შაჰის განსაკუთრებულად გამორჩეული დამოკიდებულების მაჩვენებელია

ნებელია თუნდაც ის, რომ 1560-1561 წლებში, მაშინ, როდესაც უფლისწული მხოლოდ 4-5 წლისა იყო, ოსმალებს მოსთხოვა მისთვის საგამგებლოდ დაეთმოთ ბაღდადი, სამაგიეროდ მათ გადასცემდა ყაზვინში თავშეფარებულ უფლისწულ ბაიაზიდს¹⁶.

შარაფ-ხანი განსაკუთრებულ სიმპათიას ამჟღავნებს ჰეიდარის მიმართ, მაშინ, როცა ის ჩერქეზის ხმლით იღუპება. ისტორიკოსი ამბობს: „ერთ-ერთმა ჩერქეზმა გულამმა ხმლის დარტყმით დალუპა მეფობის წყალუხვ მდინარეზე აღმოცენებული ის კვიპაროსი და ვარდი... რომელსაც არ ჰყავდათ ბაღდადი და თანასწორი სეფევიდების ოჯახსა და ალის მოდგამაში“²⁷.

ჰეიდარ-მირზას პირადად იცნობდა და მისი საინტერესო სიტყვიერი პორტრეტი და დახასიათება დაგვიტოვა ვენეციის ელჩმა შაჰის კარზე ვინჩენცო დ'ალესანდრიმ. მისი თქმით, ჰეიდარი იყო ტანმორჩილი, ძალიან ლამაზი, თავის ასაკთან შედარებით ძალიან სერიოზული, ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, სახელმწიფო საქმეებში ჩახედული. ის ფიზიკურადაც კარგად მომზადებული, მამაცი მხედარი იყო, გამოირჩეოდა სასიმოვნო საუბრითა და ზრდილობით. ყოველივე აღნიშნულის გამო, ჰეიდარი სასახლეში ყველას უყვარდა, განსაკუთრებით კი შაჰ თამაზს, მაგრამ იმავე თვისებების გამო, იგი და-ძმებს სძულდათ³. და-ძმების ჰეიდარისადმი სიძულვილი შეიძლება მისი ხელისუფლებისაკენ თავშეუკავებელი ლტოლვითაც იყო გამოწვეული, რის შესახებაც საკმაოდ დამაჯერებლად მოგვითხრობს მინალოი. „ეს ჰეიდარი, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თამაზი მწოლიარე ავადმყოფი იყო, უტიფრად შევიდა მის საწოლ ოთახში და შუბლი შეიმკო მამისეული გვირგვინით. ასეთი მოუფიქრებელი საქციელით მოხუცი და უძლური მამის თვალწინ ამჟღავნებდა თავისი პატივმოყვარეობის შეუფერებელ წყურვილს. იგი სხვა დროს დაშვებული შეცდომის მსხვერპლი გახდა. თამაზის სიკვდილის შემდეგ იგი დასახელებულ დასთან [ფერიხან-ხანუმთან] თათბირობდა და ყოველნაირად ცდილობდა

1 Ibidem, p. 5.

2 A Cronicle of the Carmelites in Persia, p. 44.

3 Шараф-хан Бидлиси, с. 222.

1 Там же, с. 206.

2 Там же, с. 229-230.

3 A Cronicle of the Carmelites in Persia, p. 44-45.

მეტად სასურველი მდგომარეობისათვის მიეღწია და იმდენად წინ წავიდა დასთან და სახელმწიფო მრჩევლებთან ხვეწნითა და მათი გულის მოგებით, რომ მისთვის გვერდის ავლა მემკვიდრეობის საკითხში, მხოლოდ მისი მოტყუებითა შეიძლებოდა¹.

შარაფ-ხანის მიხედვით ჰეიდარ-მირზას დედა ქართველი მონა იყო², რაც სხვა ცნობებით არ დასტურდება. ის, როგორც სავარაუდოა, მაღალი წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. თვით შარაფ-ხან ბილლისიც ერთგან აღნიშნავს, რომ შაჰის კარზე აღზევებული ალიხან – გურჯი და ზაალ-გურჯი ჰეიდარ მირზას და იმამ-ყული-მირზას ბიძები, მათი დედის ძმები იყვნენ³. სავარაუდოა, დასახელებული ქართველი დიდებულების შაჰის კარზე დაწინაურება მათი დის, შაჰ თამაზის საყვარელი ცოლის, სულთან ზადე ხანუმის დამსახურება იყვეს. არავითარი ცნობა არ გავგაჩნია საქართველოს რომელი კუთხიდან და გვარიდან იყო ეს გავლენიანი ქალბატონი. მხოლოდ ცნობილია, რომ შაჰს იგი განსაკუთრებით უყვარდა, დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა და თავისი ვაჟის, ჰეიდარ-მირზას გამეფებას ცდილობდა. ამ საქმეში მას თავისი ძმების და სხვების დახმარების იმედი ჰქონდა, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ითქმევა. დონ ხუან სპარსელი ჰეიდარის მფარველებად და მხარდამჭერებად სხვა პიროვნებებს ასახელებს: „მასზედ (ჰეიდარზე – ე.მ.) დედის ნათესავები ზრუნავდნენ, რომელთა შორის იყვნენ ისახანი, ევნუხი აყთა ჰუსეინი და ფირ-მოჰამედი“⁴. მინალოი კი გვამცნობს, რომ ჰეიდარი „ზედამხედველობის ქვეშ იყო ზალხანის, ფირ-მოჰამედისა და დედის მხრიდან სხვა ნათესავებისა“⁵. მაშასადამე, მინალოი და დონ ხუან დე პერსია ერთმანეთს მხოლოდ ფირ-მოჰამედის ჰეიდარ-მირზასადმი მომხრეობაში ეთანხმებიან.

ფერიხან-ხანუმი თავისი ჭკუით, გონებით, მოხერხებულობით, ცბიერებითა და აქტიურობით გამოირჩეოდა შაჰ თამაზის ასული

ჩერქეზი ცოლისაგან, შამხალის დისშვილი ფერიხან-ხანუმი. მინალოის მიხედვით, ფერიხანი ყველაზე უფროსი იყო შაჰ თამაზის შვილებში¹. სასახლეში მის გავლენაზე მეტყველებს ისიც, რომ შაჰის უკანასკნელი სურვილით მას დაევალა, კარის მრჩევლებთან ერთად, სისრულეში მოეყვანა ანდერძი მემკვიდრის გამეფების შესახებ. სხვათაშორის, ჰეიდარ-მირზაც აღიარებდა თავისი დის შესაძლებლობებს და სწირად თავის მომავალზე ეთათბირებოდა². დონ ხუან დე პერსიას თქმითაც, ფერიხან-ხანუმი დიდი ხნის განმავლობაში ორჭოფულ მდგომარეობაში იყო, ვისთვის, ისმაილისა თუ ჰეიდარისათვის მიენიჭებინა უპირატესობა.

ფერიხან-ხანუმის ინიციატივიანობას აღნიშნავდა დონ ხუან დე პერსიაც³. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შაჰ თამაზის გარდაცვალების შემდეგ მომხდარ პოლიტიკურ ამბებში, კერძოდ, ისმაილ-მირზას გამეფებაში. ისმაილმა დას არ დაუფასა თანადგომა, ჩამოართვა 200 ათას დუკატზე მეტი ღირებულების ქონება და აიძულებდა გაჭირვებაში ეცხოვრა. ფერიხან ხანუმი, როგორც „კარმელიტების ქრონიკა“ გადმოგვცემს, დაუკავშირდა ახალი შაჰის რელიგიური პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულებს და ისმაილი საწამლაკიანი ოპიუმით მოწამლეს⁴. ფერიხან ხანუმმა მხარი დაუჭირა, აგრეთვე მოჰამედ ხოდაბვანდეს გამეფებას, რადგან იმედოვნებდა, რომ სუსტი ძმის მეფობისას მთელ ძალა-უფლებას თავის ხელში მოაქცევდა. მაგრამ მას ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა შაჰის ცოლის, ჭკვიანი, ენერგიული და ცბიერი მაჰდი-ულიას სახით. მაჰდი მაზანდარანის გამგებლის ქალიშვილი იყო და ქმრის სუსტი მხარეების გათვალისწინებით, ის ხელისუფლების სათავეში მოექცა. მან ოფიციალურად დაიკავა უმაღლესი დივანის ვაქილის თანამდებობა, ვეზირთან ერთად, ფაქტობრივად, განაგებდა შაჰის კანცელარიას. მისი უპირველესი ღონისძიება იყო ფერიხან

1 მინალოი შამხალს და მის დას ქართველად თვლიდა. იმავე ქალისაგან შაჰს ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟი მუსტაფა-მირზა. **Minadoi, p. 6.** მუსტაფას დედით ქართველად და ფერიხან-ხანუმის ძმად მიიჩნევდა დონ ხუან დე პერსიაც, **p. 61v.**

2 **Ibidem, p. 7.**

3 **Don Juan de Persia, 61 r.**

4 **A Chronicle of the Carmelites in Persia, p. 57.**

ხანუმის სიკვდილით დასჯა, რაც სისრულეში მოიყვანეს კიდეც¹. როგორც ღონ ხუან დე პერსია გადმოგვცემს (ის, შეიძლება, თვითმხილველი იყო), „მის მოკვეთილ და გასისხლიანებულ, შუბზე წამოგებულ თავს, ყაზვინის კარიბჭესთან დაატარებდნენ“².

* * *

1573 წელს მოულოდნელად ავად გახდა შაჰ თამაზი. შაჰის კარზე მაშინვე დაიწყო ბრძოლა მემკვიდრის საკითხის გამო. დავის დროს საბოლოოდ გამოიკვეთა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე დაჯგუფება: ერთი მხარს უჭერდა შაჰ თამაზის მეორე ვაჟს ისმაილ-მირზას, ხოლო მეორე დაჯგუფება – შაჰის მესამე ვაჟს – ჰეიდარ-მირზას³, რომელიც მამას განსაკუთრებით უყვარდა და სხვა შვილებისაგან განსხვავებით მას სასახლეში ყოფნის უფლება მიანიჭა⁴. მან ჰეიდარისადმი კეთილგანწყობა იმითიც გამოხატა, რომ უფროს ვაჟებზე წინ დააყენა და ტახტის მემკვიდრედ დანიშნა. ასე განუცხადა შაჰ თამაზის ელჩმა თოქმაკ-ხანმა კონსტანტინოპოლში სულთან მურად II-ს (1574-1595) ტახტზე ასვლის მილოცვისას. ამ დროს კი „შაჰ თამაზი თავისი ორმოცდაათოთხმეტწლიანი მეფობის შემდეგ ტახტიდან სამარეში მიდიოდა“⁵.

ღონ ხუან დე პერსიას გადმოცემით, „მოხუცი მეფე თამაზი თავისი იმპერიის ხანებისა და სულთნების მოთხოვნით იძულებული იყო, მიუხედავად ისმაილისადმი უარყოფითი შეხედულებისა, ანდერძში თავის მემკვიდრედ იგი დაენიშნა და თავის პირმშოსა და უფროს შვილზე – მუჰამედზე წინ დაეყენებინა“⁶. მაგრამ ამ დროს ისმაილი, მამის ბრძანებით, კაჰკაჰეს⁷ ანუ

ალამუთის¹ ციხეში გამოწყვედილი იყო². შაჰი შიშობდა, რომ ჰეიდარ-მირზას მომხრეებს შეეძლოთ სატუსაღოს უფროსის ხალიფა ანსარ ყარადაღლუს საშუალებით ხელეყოთ ისმაილ-მირზას სიცოცხლე. ამიტომ მან მიზანშეწონილად ჩათვალა ისმაილის დაცვა გაეძლიერებინა და ყიზილბაშთა გამოჩენილი სარდლის ამირ ასლან სულთანის ვაჟს უბრძანა, 60 მეტრძოლით მისულიყო ყაჰკაჰეს ციხეში და ისმაილ-მირზა დაეცვა³.

შაჰ თამაზის ამგვარმა ზერელე ღონისძიებებმა, რა თქმა უნდა, ვერ დააცხრო ტახტის პრეტენდენტთა და მათი მომხრეების ვნებათა ღელვა. ისინი მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. თითოეულ დაჯგუფებას (ჯერ ვიწროს), თავისი მიზნები ჰქონდა.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, როცა ავადმყოფი შაჰი აბანოში უნდა წასულიყო, ისმაილ-მირზას მომხრეები მღელვარებამ მოიცვა. მათ ეშინოდათ, რომ ქართველების მეთაური ზაალ-ბეგი (იგი მხარს უჭერდა ჰეიდარ-მირზას), რომელიც წესისამებრ შაჰს აბანოში ემსახურებოდა, მას მოკლავდა⁴.

ზაალ-ბეგი ყოველთვის ემსახურებოდა შაჰს აბანოში. იმ დღეს, როცა გადაწყვეტილი იყო შაჰის აბანოში წასვლა, ქართველები ჩიოდნენ: „ჩვენში რა დაინახეს ისეთი, რომ ჩვენი სამსახურის შესრულებას გვიშლიანო“. როდესაც ყიზილბაში ამირების ქართველებისადმი ბრალდებამ შაჰის ყურამდე მიაღწია, მან ის არ გაიზიარა და „ზაალ-ბეგი იხმო, რათა ჩვეულებრივ მისულიყო აბანოში და სამსახური შეესრულებინა. იმ ხალხმა ხმის ამოდება ვერ შესძლო და შერცხვენილი დაიშალა“⁵.

1 ალამუთის ციხე – „არწივის ბუდე“, მდებარეობდა ელბრუსის მთებში, ყაზვინის მახლობლად. ითვლებოდა ერთ-ერთ მიუვალ ციხე-სიმაგრედ (ისქანდერ მუნში, გვ. 152, შენ. 38). როგორც ჩანს, კაჰკაჰე და ალამუთი ერთი და იგივე ციხე-სიმაგრის ორი სახელია, რადგან ბაიათის გადმოცემით, კაჰკაჰეს ციხეც მდებარეობდა ყაზვინიდან 150, თავრიზიდან კი – 30 ლეგის დაშორებით (p. 60 v).

2 ქართული წყარო ადასტურებს მინაღლის და ბაიათის ცნობების სისწორეს: „შაჰ თამაზის შვილი შაჰ ისმაილი ტყუედ იჯდა ციხესა ყალყას“. ქართლის ცხოვრება, გვ. 517.

3 Hinz W., Op. cit., S. 41.

4 ისქანდერ მუნში, გვ. 26.

5 იქვე.

1 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 141-142.

2 Don Juan de Persia, p. 64 r.

3 Malcolm J., Geschhichte Persiens von der frühesten Periode an bis zur jetzigen Zeit, II B., Leipzig, 1830, S. 19.

4 Ibidem.

5 Hammer J., Op. cit., S. 473-474.

6 Don Juan de Persia, 61 v.

7 კაჰკაჰე – მინაღო, კაჰკაჰაჰი – ბაიათი, ყალყა – ბერი ეგნატაშვილი.

იმ დღეს, როდესაც შაჰი აბანოში მიდიოდა, ისინი ვინც თავი-ანთ თავს შაჰსეგანებს (შაჰის მეგობრები) უწოდებდნენ, სინამდვილეში ისმაილ-მირზას მომხრეები იყვნენ, 4-5 ათასი შეიარაღებული კაცი სასახლის კართან შეგროვდნენ და განზრახული ჰქონდათ ზაალ-ბეგისათვის ხელი შეეშალათ. იმავე დროს, ქართველები და მათი მომხრე შეისავანდი, უსთაჯლუ და მათი ხელქვეითნიც, აგრეთვე 4-5 ათასი ასევე შეიარაღებული კაცი შეიკრიბა ზაალ-ბეგის დასახმარებლად და სასახლეში შესვლას ცდილობდნენ. მოსალოდნელი იყო სისხლის ღვრა¹. მდგომარეობა განმუხტა ჰეიდარ-მირზას გამოჩენამ, „ისმაილ-მირზას მომხრეებმა ვეღარ შეძლეს მეტი აყალ-მაყალი“².

თითოეულ დაჯგუფებას თავისი მიზნები ჰქონდა, მაგრამ ბრძოლა ამჯერად არ გამწვავდა, რადგან სასახლის ექიმების მცდელობის შედეგად შაჰი გამოკეთდა. თამაზისათვის ცნობილი გახდა ის ამბები, რაც მისი ავადმყოფობის დროს ტახტის ირგვლივ მოხდა. მას ამის შესახებ მოახსენა ჩერქეზმა ცოლმა, მისი ქალიშვილის ფერიხან-ხანუმის დედამ. ჩანს, ცოლის ჩაგონებამ გასჭრა და შაჰ თამაზი ამის შემდეგ ჰეიდარ-მირზას წინააღმდეგ განეწყო. მაგრამ მის მიმართ, ისევე როგორც უფლისწულის მომხრეების მიმართ მკაცრი ღონისძიებები არ გაუტარებია. ისქანდერ მუნშის თქმით, „როცა კურთხეული შაჰი სავსებით გამოჯანმრთელდა, ასეთი ამბების მოხდენა აღკვეთა და გარემოების გამოძიება არ დაუწყია“³. მან მხოლოდ ციხეში დამწყვდეული ისმაილის დაცვა გააძლიერა. შაჰისათვის ცნობილი იყო, რომ ციხის გამგებელი ხალიფე ანსარ ყარადაღლუ კარის უმაღლეს ხაზინადარს ქართველ ფაროხზადბეგს მოყვრობდა. ეს უკანასკნელი კი ჰეიდარის თავგამოდებული მომხრე იყო⁴.

საინტერესოა, როგორი იყო ძალთა თანაფარდობა ტახტი პრეტენდენტდენტათა შორის, რომელ ძალებს ეყრდნობოდნენ ისინი?

1 იქვე, გვ. 26.

2 იქვე, გვ. 27.

3 იქვე.

4 ალბათ ეს უნდა იყოს ირანის კარზე აღზევებული, გამოჩენილი მხატვრის სიომბეგ ქართველის ძმა. იქვე, გვ. 27-28.

ეს საკითხი საკმაოდ დაწვრილებით შეისწავლა ვ. ჰინცმა, თუმცა მის მიერ დაფიქსირებული ზოგიერთი ცნობა არ ემთხვევა სხვა წყაროთა მონაცემებს.

ჰეიდარის მომხრენი	ისმაილის მომხრენი
მუსტაფა-მირზა, შაჰ თამაზის მეხუთე ვაჟი, შეეძინა ერთ-ერთი ქართველი ქალისაგან, 20 წლის, ჭკვიანი, ფიცხი, ლამაზი.	სულეიმან-მირზა, შაჰ თამაზის მესამე ვაჟი ერთ-ერთი ჩერქეზი ქალისაგან ¹ , 21 წლის.
ჰუსეინ ბეგ უსთაჯლუ, ასეულის მეთაური და ამირა, ძალიან მდიდარი და გავლენიანი, მუსტაფა-მირზას აღმზრდელი, სასახლის უმნიშვნელოვანესი პიროვნება.	მაჰმუდ-მირზა, შაჰ თამაზის მეექვსე ვაჟი, შეეძინა ერთ მონასთან, 18 წლის, გავლენის გარეშე.
ზაალ ბეგი ქართველთა მეთაური და ამირა, იმამყული-მირზას ბიძა, მამაცი და ძლიერი.	აჰმად-მირზა, შაჰ თამაზის მეცხრე ვაჟი, შეეძინა ერთ მონასთან, 13 წლის, გავლენის გარეშე.
ალი-ხან ბეგი, ესეც ქართველი დიდებული, ჰეიდარ-მირზას ბიძა.	ფერიხან ხანუმი, შაჰ თამაზის მეორე ქალიშვილი, პრინც სულეიმანის და, 30 წლის, დიდი გავლენის მქონე.
ალაჰ-ყული-სულთან იჯეკოღლუ, უსთაჯლუს გვარის უმნიშვნელოვანესი ბელადი	ჰუსეინ-ყული სოლაფა რუმლუ, მცირეაზიური სუფის ბელადი, ცბიერი და ძლიერი.
ხალიფა ანსარ ყარადაღლუ, ისმაილის სატუსაღოს უფროსი, მიემხრო უსთაჯლუს ² .	შამხალ სულთანი, ჩერქეზების ბელადი, ფერიხან ხანუმისა და სულეიმან-მირზას ბიძა.

1 ჩერქეზთა შამხალის და.

2 Hinz W., Op. cit., S. 46.

შადრადღინ-ხანი, სახელმწიფო მდივნის მასუმ ბეგ საფავის ვაჟი, ჰეიდარ-მირზას აღმზრდელი, ზეი-ხავანდის გვარიდან.	ამირ ასლან ბეგი, აფშარების ბელადი, მნიშვნელოვანი სარდალი და პრინც აჰმადის აღმზრდელი
ზაიდ ბეგ კამუნე, გამორჩენილი შიიტი სასულიერო პირი	ვალი ბეგ აფშარი, ჰარემის დაცვის მეთაური
უსთაჯლუს, ზეილხავანდის და თალეშის მთელი გვარები, ქართველები.	ჰეიდარ სულთან კაპული, თურქ-მანთა ბელადი, კუმის გამგებელი.
	სოლეიმან ხალიფა შამლუ, სულთანის გამგებელი.
	რუმლუს, აფშარის, თურქ-მენების, შამლუს, ყაჯარის, ზულყადრის, ჩერქეზების და ქურთების მთელი ტომები
არავისკენ	
სულთან იბრაჰიმ-მირზა, ბაჰრამ-მირზას ვაჟი და შაჰ თამაზის ძმის შვილი, სახლთუხუცესი, პოეტი, მხატვარი, მუსიკოსი ¹	

ზოგიერთი რამ ვიცით იმ გამუსლიმანებული ქართველების შესახებ, რომლებიც მეტ-ნაკლებ როლს ასრულებდნენ საინტერესო პერიოდის ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი სათავეში ედგნენ იმ სერიოზულ პოლიტიკურ დაჯგუფებას, რომელსაც

¹ მორთაზა მეჰდი ფათემი, სპარსული მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ, თბ., 1982, გვ. 62; **Шараф-хан Бидлиси, с. 229.**

სასურველი უფლისწულის გამეფებით თავისი მიზნების განხორციელება სურდა. ეს დაჯგუფება იმავე დროს უპირისპირდებოდა უდიდესი გავლენის მქონე მეორე დაჯგუფებას, რომელსაც ასეთივე ინტერესები გააჩნდა.

* * *

ზაალ ბეგი. მორთაზა მეჰდი ფათემის თქმით, ზაალ ბეგი ირანში მოღვაწე ერთ-ერთი პირველი ქართველი იყო, რომელიც XVI ს. 40-იან წლებში შაჰ თამაზის სასახლეში ცხოვრობდა და შაჰის ნდობითა და ყურადღებით სარგებლობდა. ზაალ ბეგს ირანში ჰყავდა, აგრეთვე, ორი ძმა – დავითი და თამაზი. ისინი ძლიერი მხედართმთავრები იყვნენ. მათი და – ჯან ფერი ხანუმი შაჰ თამაზის პირველი ცოლი იყო¹. შარაფ-ხან ბითლისის მიხედვით, ზაალ ბეგის ძმა იყო ალი-ხან გურჯი და ისინი სულთან ჰეიდარ-მირზას და იმამ-ყული-მირზას ბიძები იყვნენ². სამწუხაროდ არ ვიცით საქართველოს რომელი კუთხიდან იყვნენ ან როგორ ვითარებაში აღმოჩნდნენ ისინი ირანში. ისინი ჰეიდარ მირზას გასამეფებლად იბრძოდნენ. თუ შარაფ-ხან ბითლისის ნათქვამს გავიზიარებთ, რომ ზაალ-ბეგის ძმა ალიხან-ბეგი იყო, მაშინ ნათელია, რომ ზალიც იმავე სამთავროდან იქნებოდა საიდანაც მისი ძმა იყო. მხოლოდ ერთადერთი „მესხური მატთანე“ უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ისინი მესხი იოთამიშვილები იყვნენ³. მაგრამ გაუგებარია, საიდან დგინდება, რომ ისინი იოთამიშვილ-შალიკაშვილები იყვნენ⁴.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ზაალ-ბეგი (იგივე ზაალ-გურჯი) ირანში მცხოვრები გამუსლიმანებული და იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ქართულების მეთაური იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა.

¹ მორთაზა მეჰდი ფათემი, სპარსული მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ, თბ., 1982, გვ. 62; **Шараф-хан Бидлиси, с. 229.**

² **Шараф-хан Бидлиси, с. 229.**

³ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 42

⁴ კაციტაძე დ., ქართულ-ირანული ურთიერთობიდან, გვ. 138.

ზაალ-ბეგი გამოირჩეოდა სიმამაცით და გამბედაობით. ამიტომ იყო, რომ გერმანელი ისტორიკოსი ვალტერ ჰინცი, სპარსულენოვან წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, მას გერმანელთა ეროვნულ გმირს ადარებს და „თავისი დროის ზიგფრიდს“ უწოდებს¹.

ზაალ ბეგი, გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარე, დაკავშირებული იყო ირანის ზოგიერთი ძლიერი გვარის ლიდერთან. ზაალ ბეგი კოალიციაში პირველად ჩანს 1573 წელს, როდესაც შაჰ თამაზის ავადმყოფობისას მწვავედ დადგა ტახტის მემკვიდრის საკითხი. სწორედ ამ დროს გამოიკვეთა ორი დაპირისპირებული ბანაკი. პირველში შედიოდნენ: ჰუსეინ-ყული-ხოლაფა რუმლუ, ემირი ასლან ბეგ აფშარი და ჩერქეზების შამქალი. მეორე დაჯგუფებაში იყვნენ: ჰოსეინ-ბეგ იუზბაში უსთაჯლუ, ფარი-ბეგ ყოჯლუ ქორჩი თურქემანი და ზაალ-გურჯი².

ზაალ-ბეგს შაჰის კარზე, სავარაუდოა, საკმაოდ დიდი უფლებები და მოვალეობები ჰქონდა, მაგრამ არ ჩანს ისინი კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა. ისქანდერ მუნშის მხოლოდ ისა აქვს ნათქვამი, რომ ზაალ-ბეგი შაჰს აბანოში ემასახურებოდა³. როგორც ჩანს, „აბანოში სამსახური“, შაჰ თამაზის დროს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ როდესაც 1573 წელს შაჰ თამაზი ავად გახდა, ქართველთა მოწინააღმდეგე ყიზილბაშ ამირათა ჯგუფმა ზაალ-ბეგის შაჰისაგან ჩამოშორების მთავარ პირობად ქართველებ-ისათვის აბანოში სამსახურის აკრძალვა მიიჩნიეს. აი როგორ გადმოგვცემს ისქანდერ მუნში ამ ამბავს: „შაჰის ავადმყოფობის დროს სასახლეში უფლისწულებს შორის ტახტის დაკავების საკითხის გამო ატენილ ქიშპობასა და დავაში ზაალ-ბეგი, რომელიც იმ ჯგუფს (ე. ი. ჰეიდარ მირზას მომხრეებს) ეკუთვნოდა, ხოლო მისი და შაჰის მეუღლეთა რიგებში ითვლებოდა და რამდენიმე უფლისწულის დედა იყო, სულთან ისმაილის მომხრეთა მოძულე იყო, რომ შაჰი აბანოში წაბრძანდებოდა, ისმაილ-მირზას მომხრეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ზაალ-ბეგი უმაღლესი იყო და სახელმ-

წიფოს ერთგული სუფიები მას არ ენდობოდნენ. ჩვენ არ დავუშვებთ, თქვეს მათ, რომ ამ დროს, როცა მისი უდიდებულესობა ასე დასუსტებულია, იგი (ზაალ-ბეგი) აბანოში წავიდეს და იქ იმსახუროსო, მისი ღალატისაგან უზრუნველყოფილი არა ვართო. ქართველებმა, შეიხავენდემ, უსთაჯლუმ და ყველა ჰაიდარელებმა ამის შესახებ ლაპარაკი დაიწყეს. ქართველები ამბობდნენ, ჩვენში რა დაინახეს ისეთი, რომ ჩვენი სამსახურის შესრულებას გვიშლიანო“¹. როდესაც შაჰმა ეს ამბავი გაიგო, „მან მიზანშეწონილად მიიჩნია, არ მიექცია ყურადღება და ზაალ-ბეგი იხმო, რათა ჩვეულებრივად მისულიყო აბანოში და სამსახური შეესრულებინა“². ქართველთა მოწინააღმდეგეებმა ხმის ამოდება ვერ გაბედეს და, როგორც ისქანდერ მუნში აღნიშნავს, შერცხვენილები დაიშალნენ. „სულთან ჰეიდარის მომხრეებმა „ახალი სიცოცხლე მოიპოვეს“ და მატყუარათა ცილისწამებას და ბოროტგანმზრახველთა გინებას გადაურჩნენ. შემდეგ, როცა კურთხეული შაჰი სავსებით გამოჯანმრთელდა, ასეთი ამბების მოხდენა აკრძალა და ამ გარემოების გამოძიება არ დაუწყია“³.

კ. ტაბატაძის დაკვირვებით, ირანის პოლიტიკურ ცნობრებაში აბანოს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, იმდენად რამდენადაც შაჰ თამაზი დიდ დროს აბანოში ატარებდა, სადაც ხშირად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები წყდებოდა. მაშასადამე, აბანოში შაჰის სიანხლოვეს ყოფნა მხოლოდ შაჰთან დაახლოებული პირების პრივილეგია იყო. „ამრიგად, როგორც ირკვევა, შაჰ თამაზისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სამსახური ზაალ-ბეგის ხელთ იყო, რომელიც, სავსებით შესაძლებელია, იმ კეზირად იგულისხმებოდეს, რომლის და ირანის შაჰის ჰარამხანაში იმ დროს მართლაც იყო“⁴.

ალიხან ბეგი. როგორც ითქვა, ალიხან ბეგი ზაალ-ბეგის ძმა და ჰეიდარ-მირზას და იმამყული-მირზას, დედით ქართველი

1 Hinz W., Op. cit., S. 46
2 Шараф-хан Бидлиси, с. 227.
3 ისქანდერ მუნში, გვ. 26.

1 იქვე, გვ. 25-26.
2 იქვე, გვ. 27.
3 ისქანდერ მუნში, გვ. 27.
4 შაჰ თამაზის საუბარი ოსმალების ელჩებთანთან, გვ. 49, 82-83, შენ. 211.

უფლისწულების, ბიძა იყო. „მესხური მატიანეს“ მიხედვით, ალიხანი მესხი იოთამიშვილი ყოფილა¹. ეს ალიხანი საქართველოში ცნობილი ყოფილა, როგორც ჰეიდარ-მირზას გამეფებისათვის ერთ-ერთი თავგამოდებული მებრძოლი. შაჰ თამაზის გარდაცვალების შემდეგ ყაზვინში დატრიალებული ამბებისა და მასში ალიხანის ადგილის შესახებ, ბერი ეგნატაშვილი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ქორონიკონსა ს²: მაისსა იე, დღესა სამშაბათსა, ყენი შაჰ თამაზ მოკვდა და უსტაჯლუანთა და იოთამის შვილმან ალიხან-სულთან აიდარ-მირზას ბატონობა მოინდომეს. ჯარგაზმა შამხალ ავმართა და ვინცა მათი ოიმატი იყო მოუკდენ, აიდარ მირზა მოკლეს, უსტა-ჯლუანი ამოსწყდეს და ისმაელ-მირზას გამოსაყვანად კაცი გაგზავნეს“².

გულბათი. შაჰ თამაზის საქართველოში პირველი ლაშქრობის დროს (1540/1), როგორც ჰასან რუმლუ მოგვითხრობს, თბილისის ციხეს თავი შეაფარა ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის (1530-1556) ერთ-ერთმა „ამირამ“ გულბათმა. შემდეგში მან უვნებლობა ითხოვა, ყიზილბაშებს ციხე ჩააბარა და ისლამი მიიღო³.

ჰასან რუმლუს თხზულების აშიაზე ყოფილა მინაწერი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ხსენებული გულბათი მდაბიო ხალხს ეკუთვნის, რომელთაც მსახურს უწოდებენ, და თან აზნაურიც არის, რადგან ამირად ითვლება“⁴.

გულბათის შესახებ შედარებით ვრცლად გადმოქცევს და მის მდგომარეობას გასაგებს ხდის ისქანდერ მუნში, რომელიც ყიზილბაშების მიერ თბილისის აღებასთან დაკავშირებით ამბობს: „გულბად ქართველი, რომელიც (მეფე – ე.მ.) ლუარსაბისაგან თბილისის მმართველად იყო დანიშნული, ქართველების ერთი ჯგუფით ციხეში გაიქცა, მას დასძლია ისლამის მიღების სურვილმა, ციხიდან უვნებლობით გამოვიდა და ისლამის მიღების ბედნიერება მოიპოვა“⁵.

შაჰ თამაზის საქართველოში პირველი ლაშქრობის და გულბათის მიერ ყიზილბაშებისათვის თბილისის ჩაბარების შესახებ, ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს შემდეგს: „გულბად რომე მეფის ლუარსაბისაგან დაყენებული ქალაქის ციხისთავი და მოურავი იყო და ან სხვა ვინც მორჩენ, ქალაქის ციხეში შეიხვეწნეს და ყიზილბაშის ლაშქარნი ციხეს შემოადგნეს. ვითარც ლაშქრის მოლოდინი არსით ჰქონდათ და ციხეში საჭმელი და ნუზლი არა ჰქონდათ და ვერც გარედამ შეუგზავნეს და შიმშილმან ნამეტნავად ძალი უყო და არც მშველი გაუჩნდა, ღონე გაუწყდა და უვნებლობის ფიცი გამოართვეს და ციხე მისცეს და მას აქეთ ქალაქის ციხე ქართველთ ველარ იშოვნეს“¹.

იგივე ამბავი, მცირეოდენი განსხვავებით, გადმოცემულია „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ და მეორე ტექსტში. პირველ ტექსტში ნათქვამია, რომ შაჰ თამაზი ისე შევიდა თბილისში ციხისთავმა გულბათმა ვერაფერი გაიგო. მან მეფის შიშით „რომე უგრძნობლად მოსვლისათვის არა იავარ მყოს, გარდმოვიდა ზემოციხით და მოუვიდა შაჰ თამაზს... და შაჰ თამაზ მისცა ნიჭი დიდი და დაატევებინა სჯული ქრისტიანობისა და დაიპყრა ციხე ტფილისისა და გაამაგრა და თვით წარვიდა ყარაბაღად“².

„ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტშიც“ ნათქვამია, რომ მას შემდეგ რაც შაჰ თამაზმა თბილისი აიკლო და მრავალი ამოწყვიტა, ციხისთავ გულბათს შეეშინდა მეფისა, ვაითუ მე დამაბრალოსო, ციხიდან გამოვიდა და შაჰს ეახლა. მეციხოვნეთა ერთი ნაწილი სახლში წავიდა, მეორენი კი შაჰთან მივიდნენ. გულბათმა და მეციხოვნეებმა ისლამი მიიღეს, შაჰ თამაზმა გაამაგრა თბილისის ციხე და ყარაბაღში წავიდა³. ქართული წყაროები არაფერს ამბობენ გულბათის შემდგომი ბედის შესახებ.

გულბათის ვაჟები ყაზვინში ჩანან XVI ს. 50-იანი წლების შუა ხანებში, მაგრამ არ გვაქვს ცნობები თუ როდიდან ან როგორ

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 42

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 517

3 ჰასან რუმლუ, გვ. 23.

4 იქვე, გვ. 56, შენ. 49

5 ისქანდერ მუნში, გვ. 16.

1 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 212.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 517.

3 იქვე, გვ. 497.

ვითარებაში გადასახლდნენ ისინი ირანში. სავარაუდოა, ისინი ქართლის მეფისა და ქართველი პატრიოტებისაგან შურისძიებას გაექცნენ. გაურკვეველია ამ დროს თვით გულბათი ცოცხალია თუ არა. გულბათის ვაჟები ნახსენები არიან, როგორც შაჰ თამაზის ერთგულნი, კერძოდ მაშინ, როდესაც მათ ყაზვინში მოკლეს შაჰ თამაზის ერთ-ერთი მოლაღატე კარისკაცი ალი-სულთანთაქალუ¹. ეს ერთადერთი ცნობა გაგვანჩნია გულბათის ვაჟების ყაზვინში, შაჰის სასახლეში ყოფნის შესახებ, მათი შემდგომი ბედი უცნობია. ამდენად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ იმავე საუკუნის 70-იან წლებში ზაალ-ბეგსა და ჰეიდარ-მირზას სხვა მომხრეებს ისინიც მხარს უჭერდნენ, როგორც კ. ტაბატაძე ფიქრობდა².

* * *

1576 წლის 1 მაისს შაჰ თამაზი ლოგინად ჩავარდა. სასახლის ექიმებმა მისი გამოჯანმრთელებისათვის ყველა ღონე იხმარეს. ექიმებს შორის იყო ერთი გილანელი ჰაქიმ იბნ ნასრი, რომელიც ცნობილი იყო ჰეიდარ-მირზას მომხრეობით. ამის გამო შემდეგში ხმა გავარდა, თითქოს მან შაჰი პოლიტიკური მოსახრებით მოწამლა³.

სხვა ვერსიით, შაჰ თამაზი ჰეიდარ-მირზას დედას, ქართველ ქალს, მოუწამლავს. იგი შიშობდა, რომ უპრინციპო და მერყევე შაჰს ადრე მიღებული გადაწყვეტილება არ შეეცვალა და ჰეიდარისათვის ტახტის მემკვიდრის უფლება არ ჩამოერთმია. ამიტომ მას სურდა შაჰის ადრეული სიკვდილით უზრუნველყო თავისი ვაჟის შეუფერხებელი ასვლა სამეფო ტახტზე. მან ბანლის გასაცლელ მალამოში რაღაც საწამლავი შეურია⁴.

შაჰ თამაზის გარდაცვალებისათვის მომზადებული აღმოჩნდნენ ჰეიდარის მოწინააღმდეგენიც. მათ მაშინვე გაატარეს ისეთი

ღონისძიება, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. სასახლისა და ჰარამხანის დაცვის მეთაურმა ვალი-ბეგ ავშარმა, შეიტყო რა შაჰის გარდაცვალების შესახებ, მაშინვე ბრძანა სასახლის ყველა კარი დაეკეტათ და გარეთ არავინ გაეშვათ. ჰეიდარ-მირზა და მისი მომხრეები როცა მიზანს მიღწეულად თვლიდნენ, უფლისწული, სინამდვილეში, სასახლის დაცვის ტყვეობაში აღმოჩნდა.

14 მაისს, შუალამისას შაჰმა ბრძანა, უფლისწულები თავიანთ სახლებში წასულიყვნენ. დარჩენა შეეძლო მხოლოდ ჰეიდარს. ჰეიდარის სასახლეში დატოვება მოუთხოვია ჰუსეინ-ბეგ იუზბაშის, რომელიც დიდებულების უმრავლესობასთან და ტომებთან შეთანხმებით მოქმედებდა. მათთან ერთად იყვნენ სულთან ჰეიდარ-მირზას ბიძები ალიხან-გურჯი და ზაალ გურჯი. მათი სურვილი იყო შაჰის სიკვდილის შემდეგ ჰეიდარს დაეკავებინა ტახტი¹². ჰეიდარსაც ხომ ეს უნდოდა. მისი ვარაუდით, მამამისის უკანასკნელი სურვილი მისი ტახტზე დამტკიცება იქნებოდა. ასე იყო თუ ისე, იმავე ღამეს შაჰ თამაზი გარდაიცვალა და დილით უკვე გამოცხადდა, რომ ჰეიდარ-მირზა გამეფდებოდა. იმავე ბრძანებაში მომაკვდავი შაჰი ისმაილის დაცვაზეც ზრუნავდა².

შაჰ თამაზის უკანასკნელი სურვილი სრულიად განსხვავებულადაა გადმოცემული „კარმელიტების ქრონიკაში“: შაჰმა შეიტყო, რომ დიდებულებს დედით ქართველი უფლისწულის ჰეიდარ-მირზას გამეფება განუზრახავთ. შეშფოთებულმა შაჰმა, რომელსაც ტახტი ისმაილისათვის უნდოდა, აუცილებლად ჩათვალა ჰეიდარის მოკვლა. მან ჰეიდარი სასწრაფოდ თავისთან დაიბარა, ვითომ იმ მოტივით, რომ ის თავის მემკვიდრედ უნდა გამოეცხადებინა. უფლისწული მაშინვე მამასთან გამოეცხადდა. შაჰის ბრძანებით, სასახლის ერთ-ერთმა მცველმა ჰეიდარი სასახლის ერთ ბნელ ოთახში დაამწყვდია, სადაც იგი შაჰის გარდაცვალებამდე იმყოფებოდა³. ბუღაყაზინის მიხედვით, შაჰის სიკვდილის ღამეს სასახ-

1 Шараф-хан Бидлиси, с. 200.

2 ტაბატაძე კ., შარაფ-ხან ბიდლისის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 177.

3 Hinz W., Op. cit., S. 44.

4 Hammer J., Geschichte des osmanischen Reiches, II B., S., 474.

1 Шараф-хан Бидлиси, с. 229.

2 Malcolm J., Op. cit., S. 45.

3 A Cronicle of the Carmelites in Persia, p. 55.

ლეში ჩაკეტილმა ჰეიდარ-მირზამ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს „მან საბუთი შეადგინა, რომლის დასაწყისში აღნიშნა, რომ თითქოს ეს მამამისის დაწერილი იყო. ყველა მიხვდა, რომ ეს ყალბი საბუთი იყო“¹. ისქანდერ მუნშიმაც იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ, რომლითაც ტახტი მემკვიდრეობით ჰეიდარ-მირზაზე გადადიოდა, მაგრამ იქვე გვამცნობს, რომ მაშინვე ეჭვი გაჩნდა, რომ ის შედგენილი იყო უფლისწულისა და მისი დამხმარის მიერ².

1576 წლის 14-15 მაისის ღამეს და შემდგომ დღეს შაჰის სასახლესა და ყაზვინში დატრიალებულ ამბებს მრავალი თანამედროვე და შემდგომი პერიოდის სპარსელი და არასპარსელი ისტორიკოსი შეეხო. მაგრამ ყველაზე ვრცლად და ამავე დროს ძალზე საინტერესოდ აღწერა თომაზო მინადიმი. მართალია, ზოგიერთი მომენტი მის მიერ აღწერილი დრამისა არ ემთხვევა სხვა ავტორების ცნობებს, მაგრამ ისინი დაგვეხმარება მიახლოებითი სიზუსტით მაინც აღვადგინოთ იმ ერთი ღამისა და დღის ამბავი.

შარაფზან ბითლისის გადმოცემით, გარდაიცვალა თუ არა შაჰ თამაზი, ჰეიდარ-მირზამ მაშინვე თავზე დაიდგა შაჰის გვირგვინი და ოქროთი მოვარაყებული ხანჯალი დაიკიდა და ტახტზე დაჯდა ცოლებითა და დიდებული ქალებით გარშემორტყმული³.

შაჰ თამაზის ანდერძით, მისი გარდაცვალების შემდეგ, ტახტი ისმაილ-მირზას უნდა დაეკავებინა⁴. ამიტომ კარისკაცებმა კაჰკაჰეს ციხეში დამწყვდეული ისმაილი სასახლეში მიიწვიეს, რათა მას მისალმებოდნენ როგორც ხელმწიფეს. მაგრამ ვიდრე შიკრიკები

ისმაილამდე მიაღწევდნენ და ის ყაზვინში მივიდოდა, სასახლესა და სატახტოში მითქმა-მოთქმა გავრცელდა¹.

ისმაილი უყურადღებოდ არ დარჩათ ჰეიდარის მომხრეებსაც. მათ მის მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარება განიზრახეს. ვ. ჰინცს თავის ნაშრომში აქვს ერთი ასეთი ეპიზოდი: 1576 წლის 16 მაისს, დილით, სულთანის გამგებელი სოლეიმან ხალიფა შამლუ თავის ამაღლასთან ერთად ნადირობდა და დროს ატარებდა, როცა მოულოდნელად შეამჩნია საეჭვოდ აჩქარებული მხედარი. სოლეიმან ხალიფამ მხედრის შეპყრობა ბრძანა. მას აღმოაჩნდა წერილი, რომლის შინაარსმა ყველა განაცვიფრა. ზაალ-ბეგი ხალიფა ანსარს, კაჰკაჰეს ციხის გამგებელს, სადაც ისმაილ-მირზა იყო დამწყვდეული, წერდა: 14 მაისის ღამეს შაჰ თამაზი გარდაიცვალა, ამიტომ სასწრაფოდ ჰეიდარ-მირზა უნდა გამეფდესო. წერილში მითითებული იყო აგრეთვე, რომ დაუყოვნებლივ მოეკლათ ისმაილ-მირზა².

სოლეიმან ხალიფამ შიკრიკი დაასჯევინა და სასწრაფოდ მცირე ერთგული რაზმით ისმაილის სანახავად ალაამუთის ციხისაკენ გაეშურა. ამ დროს ციხის გამგებელი ხალიფა ანსარიც სანადიროდ წასულიყო, ამიტომ სოლეიმან ხალიფამ დაუბრკოლებლად შესძლო ისმაილისათვის მამის გარდაცვალება ეცნობებინა. ისინი შეთანხმდნენ, რომ ისმაილი ციხეში დარჩებოდა მანამდე, ვიდრე სოლეიმან ხალიფა მის გასანთავისუფლებლად არდებილში არ დაბრუნდებოდა. ამის შემდეგ არც ისმაილი იყო გულხელდაკრე-

1 „თანახმად ანდერძისა, ისმაილის ყაზვინში მოსაყვანად ხანები და სულთნები გაგზავნეს. მაგრამ ვიდრე ისმაილი მოვიდოდა მისმა ნახევარდამ, პრინცესამ, სახელად ფერიხან-ხანუმმა (მუსტაფა-მირზას და) თავისი ბიძის, ქართველი ქრისტიანი დედის ძმის, ქემალის (როგორც ვარაუდობენ კორექტორული შეცდომამა: ქემალის ნაცვლად უნდა იყოს შამხალი. იხ. **Brown E. G., A Histor of Persian Literature in Modern Times, 1500-1924, Cambridge, 1924, p. 101**) მიერ დარიგებული ხანები და სულთნები დაარწმუნა, რომ ეს საქმე გადასდონ, უკიდურეს შემთხვევაში ანდერძის განხორციელება გადასდონ და მმართველობის ტახტზე მისი შუათანა ძმა ჰეიდარ-მირზა დასვან, თუმცა შეცდომა არ იქნება ვთქვათ, რომ ეს აზრი უფლისწულ [ჰეიდარიდან] არ მოდის, როგორც წინათ ეგონათ, რომ თუ ჰეიდარ-მირზა სამეფო ტახტს დაიკვიდრებდა, ამით მამის ანდერძი შესრულდებოდა“. **Don Juan de Persia, p. 61 v – 62r.**

2 **Hinz W., Op. cit., S. 43.**

1 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

2 იქვე, გვ. 125.

3 **Шараф-хан Бидлиси, с. 229.**

4 ღონ ხუან დე პერსია ამბობს: მოჰამედ ხუდაბენდეს, სუსტი მხედველობისა და კიდევ სხვა მიზეზების გამო, გამეფება არ შეიძლებოდა, „მოხუცი მეფე თამაზი თავისი იმპერიის ხანებისა და სულთნების მოთხოვნით იძულებული იყო, მიუხედავად ისმაილის შესახებ უარყოფითი აზრისა, ანდერძით თავის მემკვიდრედ ის გამოეცხადებინა და თავის პირმშოსა და უფროს შვილზე მოჰამედზე წინ ის დაეყენებინა“. **Don Juan de Persia, p. 61 v.**

ფილი. მან მაშინვე იხმო ამირ ასლანის ვაჟები, რომლებსაც შაჰ თამაზის ბრძანებით ისმაილის დაცვა ევალებოდათ და ახალი ამბავი აცნობა. მათ ერთობლივად შეიმუშავეს ისმაილის განთავისუფლების გეგმა: ხალიფა ანსარის მეომრები ციხიდან მოტყუებით გაიყვანეს და მანამდე, ვიდრე დამხმარე რაზმები მოვიდოდნენ, ციხეს თვითონ დაეპატრონენ. ისმაილმა წერილები გაუგზავნა და დახმარება სთხოვა ახლომდებარე ოლქების ყიზილბაშებს¹.

შაჰის სასახლეში კი მოვლენები განვითარდა შემდეგნაირად: ჰეიდარ-მირზა ვერ ხვდებოდა როგორი ხიფათი ემუქრებოდა (ის ხომ ფაქტობრივად ტყვე იყო), მან ჯარისკაცები, ჰარამხანის დაცვა და მსახურები დაასაჩუქრა. შემდეგ შევიდა ჰარამხანის დერეფანში, სადაც სასახლის მცველები ავშარის, შამლუს, ზულყადარის და თორქემანის ტომებიდან, თვალთმაქცურად, გადაჭარბებული მორჩილებით მიესალმნენ. სასახლეში იმყოფებოდა შაჰ თამაზის უფროსი ქალიშვილი ფერიხან-ხანუმი, ქართველი (?) შამპალის დისწული. მას დავალებული ჰქონდა კარისკაცებთან ერთად აღესრულებინა შაჰის უკანასკნელი სურვილი. მაგრამ ის, სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა, რომ ტახტი არ დარჩენოდა ისმაილს და იგი უკანონოდ დაეკავებინა ჰეიდარ-მირზას. მან ვერ გაბედა პირველს აეტეხა ჩხუბი ან სერიოზული ამბოხება სახელმწიფო მრჩეველებისათვის. ამავე დროს ვერ გადაეწყვიტა თავისი ძმის ჰეიდარის მიმართ დამლუპველი ზომებისათვის მიემართა². მეორე მხრივ მას არ შეეძლო დაეშვა უსამართლობა ისმაილის მიმართაც, რომელიც მამამ მემკვიდრედ აირჩია. იმყოფებოდა რა ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში, იგი ცდილობდა ამჯერად პატივმოყვარე ჭაბუკი ჰეიდარი დაეკმაყოფილებინა და იმავე დროს დაეცვა სასახლიდან შორს მყოფი ისმაილის უფლება მამის ანდერ-

ძის საპატივცემლოდ და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის¹.

შაჰ თამაზის მიერ ანდერძის დატოვება ტახტის მემკვიდრის შესახებ სხვადასხვა წყაროში სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული და მკვლევართაც განსხვავებული მოსაზრებანი გააჩნიათ. შაჰ თამაზის მიერ ანდერძის დატოვება ისმაილ-მირზას სასარგებლოდ მოცემულია მინადლის² და დონ ზუან დე პერსიას³ თხზულებებში. ისქანდერ მუნშის თქმით კი, შაჰს უპირატესობა მიუნიჭებია ჰეიდარისათვის, თუმცა იქვე ამბობს, რომ საკამათო გახდა მისი ნამდვილობა. ეჭვობდნენ ანდერძი თავიდან ბოლომდე შაჰმა დაწერა თუ უფლისწულმა ჰეიდარმა და მისმა დამხმარემ ყალბად შეადგინეს⁴. ბუდაყაზინის თქმით, სასახლეში ჩაკეტილი ჰეიდარი გაოგნებული იყო და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს „მან საბუთი შეადგინა, რომლის დასაწყისში აღნიშნა, რომ თითქოს ეს მამამისის დაწერილი იყო. ყველა მიხვდა, რომ ეს ყალბი საბუთი იყო“⁵.

შაჰ თამაზის ანდერძის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა მკვლევართა შორისაც. ო. ეფენდიევის აზრით, სავარაუდოა, რომ შაჰს არავითარი ანდერძი არ დაუტოვია⁶. სრულიად მისაღებია ნ. გელაშვილის მოსაზრება, რომელშიც გათვალისწინებულია სეფიანთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა, შაჰის კარზე შექმნილი ვითარება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შაჰ თამაზს აუცილებლად უნდა დაეტოვებინა ანდერძი, რომელშიც თავის მემკვიდრედ ჰეიდარ-მირზა დაასახელა⁷.

ისქანდერ მუნშის გადმოცემით, ჰეიდარის დალუპვაში დიდი როლი შეასრულა ფერიხან-ხანუმმა. მართალია, ის მტრულად განწყობილი იყო ჰეიდარის მიმართ, მაგრამ შაჰ თამაზის გარ-

1 *Ibidem*, p. 46.
2 *Minadoi*, p. 8. „როდესაც ისმაილის წინააღმდეგ და ჰეიდარის სასარგებლოდ რამდენიმე შეთქმულება გამჟღავნდა, [ფერიხან-ხანუმს] რაც გულში ჰქონდა დამალა, რომ დანარჩენი აჯანყებულნი არ გამოეშკარავენ. იგი დარწმუნდა, რომ შეუძლებელი იყო რამოდენიმე დღით მაინც ისმაილის მოსვლა დაეყოვნებინა, ამიტომ ჰეიდარის ხელდასხმაზე მივიდა. *Don Juan de Persia*, p. 62r.

1 *Minadoi*, p. 6-7.
2 *Ibidem*.
3 *Don Juan de Persia*, p. 61 v.
4 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 125.
5 იქვე.
6 *Эфендиев О. А., Азербайджанское государство Сефевидов, Баку, 1981, с. 125.*
7 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 125-126.

დაცვალებისთანავე ეახლა მას და ფეხებზე ემთხვია და იქვე მყოფ უფლისწულის დედას უთხრა: „მოწმე ხარ, რომ ფადიშაჰის ფეხზე კოცნა და გამეფების მილოცვა ჩემთვის არავის დაუსწრია“¹.

ფერიხან-ხანუმი „შეუთანხმდა ყველა სულთანს, რომ ჰეიდარი სამეფო სამოსელში გამოწყობილი დაბრძანდეს მთავარ ლოჯიაში (loggia maggiore) და დაელოდოს ხალხის მისალმებას. მართლაც, ჰეიდარი ტახტზე აბრძანდა როგორც ხელმწიფე. მისი ასეთი საქციელი განპირობებული იყო განდიდების ყმაწვილური ბრმა წყურვილით. მან დიდების ტახტზე მჯდომმა უკვე წარმოიდგინა თუ როგორ დატკებოდა მეგობრების და მტრებისა მზერით, რომლებიც მის წინაშე მორჩილებას გამოაცხადებდნენ და ყველას მოწიწების საგნად გადაიქცეოდა. მაგრამ მის იმედებს ასრულება არ ეწერა ცბიერი მრჩეველებისა და თვალთმაქცი დის მიერ შექმნილი გარემოების გამო. მათი რჩევით დამ ბრძანა, რომ დაუყოვნებლივ დაეკეტათ სერალის ანუ ჰარამხანის ყველა კარი და დაეყენებინათ დარაჯები, ღია დაეტოვათ მხოლოდ კარგად დაცული ერთი ვიწრო და პატარა კარი თამაზისა და ისმაილის ყველაზე ერთგული, გამორჩეული და თავდადებული ოფიცრების მეთვალყურეობით. დაცვას უბრძანეს კარებში გაატარონ ყველა გარდა ჰეიდარ-მირზას მიმდევრების და დამცველებისა. ფერიხან-ხანუმის აზრით, ასე უნდა ყოლებოდათ ჰეიდარი, ვიდრე სასახლეში არ მივიდოდა კანონიერი მეფე – ისმაილი, რომელიც შემდეგ მოიქცეოდა ისე, როგორც მოითხოვდა მისი ღირსება და სახელმწიფოს უშიშროება“².

ამასობაში დედაქალაქში გავრცელდა ხმა შაჰის გარდაცვალების შესახებ, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია. გამოაცხადეს შაჰ თამაზის უკანასკნელი სურვილიც, რომ ყველა ამირა და სეფიანთა დინასტიის ქვეშევრდომი ჰეიდარ-მირზას უნდა დამორჩილებოდა. მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლად შეხვდა ამ ცნობას³. ამასობაში ჰეიდარის მომხრეებმა ასეულის უფროსის

ჰუსეინ-ბეგ უსთაჯლუს სახლში დაიწყეს თავმოყრა. მათ მუდმივი კავშირი ჰქონდათ სასახლეში ჩაკეტილ ჰეიდართან წერილების მიმტან-მომტანი ქალების საშუალებით¹.

ჰეიდარის მომხრეთა მთავარი ამოცანა მისი განთავისუფლება იყო. თუ ამას მიაღწევდნენ მაშინ ისმაილის მდგომარეობა სრულიად უიმედო შეიქმნებოდა. ჰეიდარს ველარაფერი შეუშლიდა ხელს ტახტის დაკავებაში. მაგრამ ჰეიდარის გასათავისუფლებლად ბრძოლის დაწყება ძლიერ სახიფათო იყო, რადგან მის მცველ ყიზილბაშებს ყოველთვის შეეძლოთ დაუბრკოლებლად მოეკლათ იგი. ამიტომ ჰეიდარის მომხრეებმა ყველაზე მიზანშეწონილად ლოდინის ტაქტიკა ჩათვალეს. საღამოთი მცველები შეიცვლებოდნენ (შემდეგ ღამეს ჰეიდარის მომხრე უსთაჯლუს ტომის მორიგეობის ჯერი იყო) და სასახლეში შესვლა გაადვილდებოდა.

უსთაჯლუს ტომის ბელადმა ალაჰ-ყული სულთანმა წამოაყენა წინადადება: ვიდრე ისმაილ-მირზას მომხრე ჰუსეინ-ყული ხოლაფა რუმლუს სახლში ჯერ კიდევ მრავალ ყიზილბაშს არ მოეყარა თავი, მანამდე იქ მყოფნი გარეთ გამოეტყუებინათ და გაეფანტათ. ალაჰ-ყული სულთნის აზრით, ეს ოპერაცია თუ წარმატებით დასრულდებოდა, მაშინ სასახლის დაცვაც შეშინდებოდა და სასახლის ჭიშკარს გააღებდა². ჰუსეინ-ყული ხოლაფა რუმლუს სახლში შეკრებასთან დაკავშირებით საინტერესო დამატებით ცნობნას გვაწვდის შარაფ-ხან ბიდლისი. სახლში თავი მოუყრიათ მასპინძლისა და შამხლის მომხრეებს და ბევრი უკამათი იმაზე, დედით ჩერქეზი რომელი უფლისწული გაემეფებინათ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. ყიზილბაშები დარწმუნდნენ, რომ ამ თავყრილობიდან არაფერი გამოვიდოდა და მთელი იმედი ისმაილ-მირზაზე გადაიტანეს³.

როცა ხოლაფამ გაიგო ჰეიდარის მომხრეთა ამ გეგმის შესახებ, მან გადაწყვიტა დრო მოეგო და ორი კაცი გაგზავნა ჰუსეინ-ბეგთან მოსალაპარაკებლად იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გამეფებულიყო –

1 იქვე, გვ. 125.

2 Minadoi, p. 8.

3 Hinz W., Op. cit., S. 46.

1 Ibidem.

2 Ibidem, S. 50.

3 Шараф-хан Бидлиси, с. 199.

ისმაილი თუ ჰეიდარი. ამას გარდა, მან კაცი გაგზავნა ყაზვინიდან ერთი საათის სავალზე, იმ პირობით, რომ იგი სხვა მგზავრებთან ერთად დედაქალაქში დაბრუნდებოდა და ხმას გაავრცელებდა, რომ ისმაილი და მისი მომხრეები მალე მოვიდოდნენ ხელისუფლების დასაპყრობად. ხოლმე დავალება შესრულდა. ისმაილის მალე გამოჩენის ამბავმა გაამხნევა მისი მომხრე და ერთგული ყიზილბაშები. მრავალმა მათგანმა თავი მოიყარა ხოლაფას სახლთან. ჰეიდარის მომხრეები კი, პირიქით, შეშინდნენ და გადაწყვეტილების შესრულება სადამომდე გადასდეს¹. როცა ჰეიდარის მომხრეებმა სასახლეზე იერიში დაიწყეს, უკვე გვიან იყო. მოწინააღმდეგეებს მრავლად მოეყარათ თავი და საშუალება არ მისცეს რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისათვის მიეღწიათ. ამგვარად, ახლა ჰეიდარის მომხრეები აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში, რადგან მათ მეტოქეებს ყოველთვის შეეძლოთ ჰარამხანაში შესვლა და ჰეიდარის მოკვლა. მისმა მომხრეებმა გამარჯვების იმედი დაკარგეს, ბევრმა მათგანმა ბრძოლაზე ხელი აიღო და სახლს მიაშურა. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ ჰეიდარის მომხრეები, როცა ზაალ-ბეგი თავისი რაზმებით მოვიდა და სასახლის მთავარ კარს შეუტია, მაგრამ ვერაფერი დააკლო.

ზაალ-ბეგი მიხვდა, რომ ამ გზით სასახლეში შესვლა შეუძლებელი იყო. მაშინ იგი მარტოდმარტო გადაეწეო სასახლის გაღვანს, ეზოში შეიჭრა, წინდახვედრილი მტერი ხმლით აჩეხა, კარი ჩამოგლიჯა და თავის რაზმებს ეზოში შეჭრის საშუალება მისცა. ქართველებმა იმძლავრეს, ცულებით დალეწეს რამდენიმე კარი და სასახლის დარბაზებში შეცვივდნენ. ისინი ყველგან დაეძებდნენ ჰეიდარ-მირზას და განუწყვეტლივ ყვიროდნენ: „შაჰ ჰეიდარ! შაჰ ჰეიდარ!“² შარაფ-ხან ბითლისის თქმით: „განსვენებული შაჰის ქალიშვილმა ფერიხან-ხანუმმა, როცა დაინახა, რომ საქმემ ასეთი მიმართულება მიიღო, სასწრაფოდ თავისი ერთგული კაცი გაგზავნა თავის ბიძასთან დედის მხრივ, ჩერქეზების შამხალთან,

ამის შესახებ აცნობა“³. სხვა ცნობით, შაჰ თამაზი გარდაიცვალა თუ არა, ფერიხან-ხანუმი ფეხებში ჩაუვარდა ჰეიდარს, გამეფება მიულოცა და პატიება სთხოვა იმ მტრული მოქმედების გამო რაც მან ძმის წინაშე ჩაიდინა 1573 წელს შაჰ თამაზის ავადმყოფობის დროს. ჰეიდარი კმაყოფილი დარჩა დის ასეთი მოქმედებით. სანამ-მღვილეში ფერიხან-ხანუმი მის დალუპვას ამზადებდა⁴. მან მაშინვე აცნობა მომხდარი ამბავი თავის ბიძას, ჩერქეზთა მბრძანებელ შამხალს და გააფრთხილა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ მიიღებდა გადაწყვეტ ზომებს, მაშინ მთელი ხელისუფლება ქართველი ხანების ხელში გადავიდოდა⁵. შამხალი ჰუსეინ-ყული-ხოლმე რუმლუ, ამირა ასლან-ბეგ აფშართან, თაქელუს, აფშარის თურქმენების და ქურთების ტომებთან ერთად დაუყოვნებლივ შუალამისას სრული აღჭურვილობით მოვიდნენ დოღის ჭიშკართან, ქვეითად და ამხედრებულები და იარღის ძალით შეაღწიეს ჰარემის ბაღში⁶.

როცა ჰუსეინ-ბეგ იუზბაშმა, უსთაჯლუს ტომებმა და ქართველებმა გაიგეს ისმაილის მომხრეთა სასახლესი შეჭრისა შესახებ, მათაც სასახლეზე იერიში მიიტანეს დივანის ჭიშკრის მხრიდან, რომელიც ცნობილი იყო ალა-კაპუს სახელით. სასახლის დაცვამ ჭიშკარი დაკეტა და არ მისცა მათ სასახლეში შესვლის უფლება⁷.

ჰეიდარმა მხოლოდ მაშინ იგრძნო ხიფათი, როდესაც გაიგონა თავისი ფავორიტი ზაალ-ხანის მუქარიანი ყვირილი. ის ემუქრებოდა ყველას, ფერიხანს, სულთნებს და საერთოდ ყველას, ვინც ჰეიდარი ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა. „გაიგო რა ეს საყოველთაო დაცინვა და შეიგნო თავისი უბედურება, იგი მღუმარედ გაეცალა მის ირგვლივ არსებულ პატივს და ხელმწიფის ნაცვლად, რომელსაც ახლანა გონებდა თავის თავს, გადაიქცა მხოლოდ გაქცევაზე

1 Шараф-хан Бидлиси, с. 229.

2 Malcolm, S. 20.

3 Hammer, S. 474.

4 Шараф-хан Бидлиси, с. 229.

5 Minadoi T., p. 9. ფერიხანმა ჰეიდარს „ურჩია, რომ გაქცეულიყო და დამალულიყო ქალების სასახლეში, რომელსაც თურქები სერილს ეძახიან, სპარსელები კი – ჰარემს“. Don Juan de Persia, p. 62 r.

1 Hinz W., Op. cit., S. 51.

2 Hinz W., Op. cit., S. 52

მაფიქრალ, დანალვლიანებულ და შეშინებულ კაცად. მან მოახერხა ქალთა სერილში დამალვა იმ იმედით, რომ რაიმე დახმარებას მიიღებდა სიცოცხლის გადასარჩენად¹.

ჰეიდარ-მირზა ვარაუდობდა, რომ მისი მტრები ვერ გაბედავდნენ ჰარამხანაში შესვლას და ამიტომ გადაწყვიტა თავი იქ შეეფარებინა. ჰეიდარ-მირზა, როგორც შარაფ-ხან ბითლისი ამბობს, ზოგიერთი უგუნურის რჩევით, ქალის სამოსელში ჩაცმული, რამდენიმე ქალის თანხლებით იმედოვნებდა სასახლიდან გაღწევას და თავის მომხრეებთან მისვლას, რათა თავი დაეღწია შამხალის და შფოთისთავების სიბოროტისაგან, მაგრამ ჩერქეზმა მსახურებმა ყოველივე აცნობეს შამხალს.

ამასობაში, სასახლეში მყოფთა მიმართ გაძლიერდა მუქარა ჰეიდარის მომხრე უსთაჯლუს ტომის მხრიდან. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, რათა ყოველგვარი იმედი მოესპოთ შეამბოხებებისათვის, სულთნებმა, ფერიხანთან შეთანხმებით, გადაწყვიტეს ჰეიდარის მოკვლა.

ვიდრე ქართველები ჰეიდარს ეძებდნენ, სასახლის მეორე მხრიდან, ჰარამხანის ბაღში შევიდნენ ხოლაფა და ჩერქეზთა შამხალი, რომელთაც ხელთ ჰქონდათ ფერიხან-ხანუმის მიერ მიცემულა გასაღები. ისინი შევიდნენ ჰარამხანის ბაღში, და მოურიდებლად ეძებდნენ ჰეიდარს შეშინებულ ქალებს შორის. ჰეიდარს უკვე სულ ახლოდან ესმოდა თავისი მომხრეების ხმა. მას ისლა დარჩენოდა გადაეკვეთა ეზო და სხვა შენობაში შესულიყო, როცა ჰარამხანის ერთერთმა მცველმა, ალი-ბეგმა შამლუს ტომიდან იცნო იგი და დაიძახა: „აქეთ, აქ არის ის ვისაც ეძებთ!“ მაშინვე მოვარდნენ გამზიდ-ბეგი, უფლისწულ სოლეიმანის „საჭურველთმტვირთველი“ და ასეულის უფროსი დალილხან-ბეგი, რუმლუს ტომიდან. ისინი თავს დაესხნენ ჰეიდარს, გარეკეს მის ირგვლივ შემოკრებილი ქალები, შემოახვიეს თავზე საფარებელი და ხოლაფას და ჩერქეზების მეთაურის – შამხალის ნიშანზე, დალილ-ბეგმა ხანჯლით მოკლა ჰეიდარი და თავი მოაშორა სხეულს².

ჰეიდარის დაღუპვის სცენას გარკვეული განსხვავებით აღწერენ თომაზო მინადლო და შარაფ-ხან ბითლისი. ისიც უნდა ითქვას, რომ მინადლოს, რატომღაც შამხალი ჰეიდარის ბიძა და ქართველი ჰგონია. „მაშინ ქართველმა (?) შამხალმა, [ჰეიდარის] ბიძამ, დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ბოლოს მონახა იგი ქალებში დამალული და სრულიად შეუბრალებლად დასწვდა თმებში და ტანს მოაცილა თავი!. როდესაც ზაალ-ხანი და უბედური ჰეიდარის სხვა მომხრეები ხმაურობდნენ და იმუქრებოდნენ, [შამხალმა] სქლად შეგჯუფებულ მოწინააღმდეგეთა შორის [ჰეიდარის] გასისხლიანებული, ჯერ კიდევ თითქმის მფეთქავი, თბილი თავი გადააგდო და მიძახა: „აი თქვენი ხელმწიფე, გაიხარეთო!“ თავდაპირველათ, ასეთმა საშინელმა სანახაობამ იქ დამსწრეთა უდიდესი რისხვა და მძვინვარება გამოიწვია და ისინი სასტიკი შურისძიებით იმუქრებოდნენ. მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდნენ ბრძოლის გაგრძელების უაზრობაში და ახლა უკვე ყოველი მათგანი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა“².

შემოთ მოთხრობილ ამბავს შარაფ-ხან ბითლისი გადმოგვცემს შემდეგნაირად: „იმ დროს ჰუსეინბეგ იუზბაშიმ თავის მომხრეებთან ერთად ცულებითა და სეკირებით ალი-კაპუს ჭიშკარი დაამტვრია და დივან-ხანაში შეიჭრა. ზაალ-გურჯიმ რამდენიმე გულადთან ერთად სასახლეს შეუტია. შამხალმა მათ სულთან ჰეიდარ-მირზას მოკვეთილი თავი გადმოუგდო. ქართველებმა ბრძოლა და ანგარიშსწორება გააჩაღეს ჰარემის ბაღში, მაგრამ იმ შეუპოვარ რაზმის წინამძღოლი ზაალ გურჯი ტყვეით განგმირული დაეცა და იმ მელიდურმა კრებულმა მარცხი განიცადა“³.

სხვა ცნობით ზაალ-ბეგი ბრძოლის დროს დაიჭრა და შინ დაბრუნდა. მან იმავე ღამეს წერილი გაუგზავნა ხალიფა ანსარს

ჩერქეზმა ლოლამმა. **Шараф-хан Бидлиси, с. 229.** დე პერსიას მიხედვით კი, ფერიხან-ხანუმმა და ზაალ-ხანმა (უნდა იყვეს შამხალი) ჰარემში მოკლეს ჰეიდარ-მირზა. **Don Juan de Persia, p. 62 r.** ბუდაყაზინი კი ამბობს, რომ ჰეიდარი ჯერ დაახრჩვეს, შემდეგ იუზბაშიმ რუმლუმ მას თავი მოჰკვეთა. გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 127.

1 **Minadoi T., p. 9.**
2 **Ibidem.**
3 **Шараф-хан Бидлиси, с. 230.**

1 **Hinz W., Op. cit., S. 52.**

2 შარაფ-ხანით, შამხალმა კი არ მოკლა ჰეიდარ მირზა, არამედ ერთ-ერთმა

და ჰეიდარ-მირზას დაღუპვისა და თავისი დაჭრის ამბავი აცნობა¹. ხალიფა ანსარი დაუყოვნებლივ ალაშუთის ციხისაკენ წავიდა, რომელიც, როგორც ითქვა, ისმაილმა და მისმა მომხრეებმა დაიპყრეს.

გათენებისას ორივე შაჰის გვამი, მამისა, რომელმაც ნახევარი საუკუნე იმეფა და შვილის, რომელმაც მხოლოდ ნახევარი ღამე, სასახლის ჭიშკართან გამოიტანეს²

მეორე დღეს დილიდანვე ისმაილის მომხრეებმა მოწინააღმდეგეებისადმი ანგარიშსწორება დაიწყეს. ზაალ-ბეგი, ფაროხ-ბეგი (უმალლესი ხაზინადარი, ქართველი) და დამარცხებული უფლისწულის სხვა მრავალი მომხრე შეიპყრეს და ციხის წინ დასაჯეს³. ალი-ხან ბეგი, ქართველი დიდებული, ჰეიდარ-მირზას ბიძა, ზაალ-ბეგის ძმა, გაიქცა და სამშობლოში დაბრუნდა. მუსტაფა-მირზამ და ჰუსეინ-ბეგმა ლურესთანს შეაფარეს თავი. საღრ ად-დინ ხანს და სეიდ-ბეგ ქაძუნეს ბორკილები დაადეს და საპყრობილეში ჩაყარეს⁴. ჰუსეინ-ბეგ უსთაჯლუ, აღმზრდელი დედით ქართველი უფლისწულების – მუსტაფასი და იმამყულისა, ამ უკანასკნელებთან ერთად ჰარამხანიდან გამოიჭრა და რამდენიმე მხედართან ერთად ყუმისა და ქაშანის მიმართულებით გაიქცა, რათა ერთ-ერთი უფლისწული იქ გაემეფებინა⁵. მათი შემდგომი ბედი უცნობია.

მას შემდეგ რაც ყიზილბაშებმა შაჰის ტახტზე უკეთესი კანდიდატი ვერ გამოიხატეს, ისინი ჯგუფ-ჯგუფად გაემართნენ კაჰკაჰეს ციხისაკენ რათა გამოეხატათ თავიანთი ერთგულება ისმაილის მიმართ.

ჰუსეინ-ყული-ხოლეფა რუმლუმ და შამჰალმა, როცა დაინახეს, რომ ყიზილბაშთა ტომების ერთგულებამ და იმედმა ისმაილის მიმართ თავის აპოგეას მიაღწია, იძულებულნი გახდნენ ისმაილთან გაეგზავნათ ჰეიდარ-სულთან თორქემანი და მისი საშუალებით გამოეხატათ თავიანთი წმინდა ზრახვები. პირველ რიგში აცნობებ-

ნენ, რომ ჰეიდარ-მირზას მოკვდინება განპირობებული იყო მხოლოდ ისმაილის მიმართ სიყვარულით. ამჟამად მისი მონები – ჰუსეინ-ყული-ხოლეფა რუმლუ და შამჰალი, სახელმწიფო ხაზინას იცავენ და ისმაილის მისვლას ელოდებიან.

ათი დღის განმავლობაში კაჰკაჰეს ციხესთან თავი მოიყარა დაახლოებით 30 ათასმა ქვეითმა და ცხენოსანმა. ისმაილმა, უსთაჯლუს ტომის და ხალიფე ანსარის შიშით, ვაითუ მათ რაიმე მზაკვრობა ჰქონდეთ ჩაფიქრებულიო, ციხის კარიბჭე დაკეტა და ისინი არ შეუშვა. როცა იგი საბოლოოდ დარწმუნდა ყიზილბაშების ლოიალობაში, დამშვიდდა და ყაზვინში წავიდა¹.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ლაკონურად, მაგრამ ზუსტად გადმოცემულია „მესხურ მატეანეში“: „ქკ სა სიდ, მაისსა იე, დღესა სამშაბათსა ყაენი შაჰ-თამაზ მოკუდა და უსტაჯალუანთა და იოთამიშვილმან ალიხან სულთან ჰაიდარმირძას ბატონობა მონდომეს; ჯარგაზმა – შამხალ-ავშართა, და ვინც მათი ოიმახი იყო, მიუტდეს, აიდარმირძა მოკლეს, უსტაჯალუანი ამოსწყუიტეს და ისმელ მირძის გამოსაყუანლად კაცი გაგზავნეს. და ამავე ქკნსა და ამავე მაისსა კბ მისი შუილი შაისმაელი – ტყუედ ჯდა ციხეს ყაჰყაას და-გამოიყუანეს დღესა სამშაბათსა და კვ არდაველს ქალაქში მოვიდა და კვ ყაზმისისკე წავიდა“².

„მესხური მატეანე“, როგორც ჩანს, სხვა წყაროებისაგან, სპარსულისგანაც კი, განსხვავებულ ცნობებს შეიცავს. ისმაილი 22 მაისს, სამშაბათს გამოვიდა კაჰკაჰეს ციხიდან, 26 მაისს არდებილში მივიდა და მხოლოდ იმავე თვის 28-ში უკვე ყაზვინში იყო. საინტერესოა, ისმაილმა რატომ გაიგრძელა გზა და ჯერ არდებილს ეწვია და პირდაპირ სატახტოში არ წავიდა? ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ გასაგები გახდეს ქართული „მესხური მატეანის“ და, საერთოდ, ქართული წერილობითი წყაროების სანდოობის ხარისხი, რის გათვალისწინებაც შემდგომში დაგვჭირდება. ისმაილის არდებილში მისვლის მიზანზე, თვისა და რიცხვის მითითების გარეშე, ვიგებთ შარაფ-ხან ბითლისის თხზულებიდან.

1 Hinz W., Op. cit., S. 54.

2 Hammer J., S. 475.

3 Hinz W., Op. cit., S. 53.

4 Ibidem.

5 Hammer J., S. 475.

1 Шараф-хан Бидлиси, с. 230-231.

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 42-43.

ვიდრე სპარსულ წყაროს გავეცნობოდეთ, მანამდე უნდა ითქვას, რომ ყიზილბაშებისათვის არდებილი წმინდა ქალაქად ითვლებოდა. იქ არის სეფიანთა ორდენის დამაარსებლის სეფი ალ-დინ ისხაკის (1252-1334) და სეფიანთა ყიზილბაშური სახელმწიფოს დამაარსებლის შაჰ ისმაილ I-ის (1502-1524) საფლავები. შარაფხან ბითლისი არ ასახელებს, მაგრამ გულისხმობს არდებილს, როცა ამბობს, რომ ციხიდან გამოსული ისმაილი შეიხ სეფის და დიდებული წინაპრების საფლავებთან მივიდა და დალოცვა ითხოვა, ამის შემდეგ გაეშურა ის ყაზვინისაკენ¹, სადაც, როგორც „მესხური მატიანე“ ვგამცნობს, მივიდა 28 მაისს.

ამგვარად, გაიმარჯვა ისმაილ-მირზამ, რომელი „იყო კაცი მესისხლე და მრავალი კაცი დაჯოცნა“². მართლაც, საშინლად სისხლიანი იყო ისმაილის ყაზვინში მისვლა და გამეფება. მან, პირველ რიგში, უმცროსი ძმები დახოცა, ყველა ხანი და სულთანი, ვინც ჰყიდარის მომხრე იყო, არც ერთი ცოცხალი არ დატოვა³. მისი რეპრესიული ღონისძიებები არ შეხებია მხოლოდ უფროს ძმას – მოჰამედ ხუდაბენდეს. ძნელია იმის თქმა, რით იყო გამოწვეული მისადმი ისმაილის ასეთი დამოკიდებულება. შეიძლება, მოჰამედს ისიც არ თვლიდა ტახტის მოცილედ მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გამო. ამას ალბათ ისიც ემატებოდა, რომ ისინი, სპარსული წყაროების მიხედვით, ერთი დედის შვილები იყვნენ (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

1576 წლის 27 აგვისტოს ისმაილის სამეფო ტახტზე ხელდასხმა მოეწყო. იგი ამის შემდეგ ცნობილია ისმაილ მეორის სახელით. მან, მიუხედავად ქართველებისადმი საფუძვლიანი უკმაყოფილებისა, მათდამი მაინც დიდი ყურადღება და კეთილგანწყობა გამოიჩინა, რაც სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული. უპირველესყოვლისა, ქართველები, რომლებმაც მარცხი განიცადეს შაჰის ტახტისათვის ბრძოლაში, მაინც სერიოზულ სამხედრო და პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ და მათი გულის მოგებას

ცდილობდა. იმავე დროს, მას საკმაოდ კარგი პირადი ურთიერთობა ჰქონდა ირანში მცხოვრებ ზოგიერთ ქართველთან. ხელდასხმის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ალამუთის თუ კაჰკაჰეს ციხიდან გამოიყვანეს ქართლის მეფე სვიმონ I, რომელმაც მომავალ შაჰთან ერთად მრავალი წელი გაატარა ტყვეობაში. როგორც ცნობილია, იმავე ციხეში იმყოფებოდა კახეთის უფლისწული იესე, რომელმაც ასევე თავისუფლება მიიღო. ცერემონიის დროს სვიმონი და იესე დიდი პატივით სარგებლობდნენ. ამაზე მიუთითებს ის ადგილი, რომელიც მათ ცერემონიის დროს მიუჩინეს. მისალოცად მივიდნენ ჯერ უფლისწულები და მაღალი სასულიერო წოდების წარმომადგენლები. მათ მიჰყვებოდნენ სვიმონ მეფე და იესე, შაჰ-როსტომ ლური და გამოჩენილი ყიზილბაში ამირები, მაზანდარანის გამგებელი მირზა მოჰამედ-ხანი, არაბისტანის გამგებელი სეიდ საჯადი და სხვები, რომელთაც წილად ხვდათ შაჰის ფეხზე მთხვევის პატივი. სულ ბოლოს მოდიოდნენ „ფრანკი“ ელჩები, სახელდობრ, პორტუგალიის მეფის დიდი ელჩობა, რომელსაც მეთაურობდა მიგუელ დე აბრუე დე ლიმასი¹.

შაჰ ისმაილ II-მ იმეფა მცირე ხანს, დაახლოებით 1 წელიწადი და 6 თვე (1576. 27. 08 – 1577. 25. 11). ის ირანის ისტორიაში ცნობილია როგორც ვერაგი და დაუნდობელი. ციხიდან გამოსვლისთანავე მან სიკვდილით დასაჯა უსთაჯლუს ტომის ის წარმომადგენლები, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ ჰყიდარის მომხრეობაში. გამეფებისთანავე კი დახოცა ძმები, ბიძაშვილები და ძმისშვილები. გადარჩნენ მხოლოდ მისი ღვიძლი ძმა მუჰამედი და მისი შვილები – ჰამზა მირზა და აბას-მირზა. ისმაილმა მოგვიანებით აბასის მოკვლაც განიზრა, მაგრამ თვითონ გარდაიცვალა და ასე გადარჩა მომავალი შაჰ აბასი. საერთოდ მის რეპრესიებს 12 ათასი კაცი შეეწირა².

მოსახლეობაში პოპულარობით არ სარგებლობდა შაჰ ის-

1 Morley W.H., *A descriptive Catalogue of the Historical Manuscripts... preserved in the library of the Royal Asiatic Society, London, 1854, # 136, p. 335*; Francesco Manuel Alves, *Catalogo des Manuscritos de Simancas respeitantes a Historia Portuguesa, in: O Instituto, vol. 82, serie 4. Coimbra, 1931, p. 479*; Hinz W., S. 62.

2 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 129-130.

1 Шараф-хан Бидлиси, с. 231.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371.

3 Don Juan de Persia, p. 62.

მაილის ხანმოკლე მეფობისას გატარებული ღონისძიებებიც. ამ მხრივ შიიტი ყიზილბაშებისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო ისმაილის ის რელიგიური პოლიტიკა, რომლითაც ირანში უპირატესობას სუნიტები იღებდნენ. ისმაილ II-ის სუნიზმით დაინტერესება, როგორც მინადლი ამბობს, დაიწყო მისი პატიმრობაში ყოფნის დროიდან¹. ამან, შეიძლება ითქვას, გადაწყვიტა ისმაილ II-ის ბედი. როგორც შარაფ-ხან ბითლისი ამბობს „განსვვის უნარს მოკლებულმა [ისმაილმა], რომელსაც ჯერ კიდევ არ მიეღწია დამოუკიდებელი და სუვერენული ხელისუფლებისათვის, თავისი მამებისა და პაპებისაგან განსხვავებით, აკრძალა სუნიტი შეიხების კიცხვა... მოისურვა ისე წარემართა საქმე, რომ სახელმწიფოში ყველა თავის რწმენას მიჰყოლოდა და ერთმანეთის საქმეებში არ ჩარეულიყვნენ“. შემდეგ ისტორიკოსი დასძენს, რომ ყიზილბაშებმა ისმაილის მოქმედებაში ერესი დაინახეს. მისადმი ზიზღით განიმსჯვალნენ, მისი დალუპვა განიზრახეს და ამ საქმეში მისი ცოლი ფერიხან-ხანუმიც კი ჩააბეს². შარაფ-ხან ბითლისის მიხედვით ამ დროს ორი ფერიხან-ხანუმი იყო. ერთი შაჰ თამაზის ასული, მეორე კი – ისმაილ II-ის ცოლი³. შეთქმულთა შორის იყო უკანასკნელი და არა პირველი, როგორც ნ. გელაშვილს ჰგონია, რომელიც იმავე ისტორიკოსს იმოწმებს⁴. სხვათაშორის, ისმაილის მოწინააღმდეგედ მის დას ასახელებს „კარმელიტების ქრონიკა“⁵, მაგრამ ვფიქრობ უპირატესობა უნდა მიენიჭოს შარაფხან ბიდლისს, რომელიც 1578 წლამდე შაჰის კარზე იმყოფებოდა დიდ პატივში და ახლოს იცნობდა იმ ადამიანებს, რომლებზეც ის წერდა.

ისმაილს სუნიზმის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებაც განუზრახავს, რაც მის წინააღმდეგ შეთქმულების მიზეზი გამხდარა⁶.

ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ისმაილ I-მა მხოლოდ ექვსი

თვე იმეფა¹. შაჰ თამაზი გარდაიცვალა 1576 წლის 14 მაისს. იმავე წლის 27 აგვისტოს გამეფდა ისმაილ II. ანონიმი ვენეციელის თქმით, იგი მოკლეს ალამუთის „ტყვეობიდან გათავისუფლების წელსვე, ოქტომბერში“². მითითებული წელი სწორი არაა, მაგრამ სინამდვილესთან ახლოს უნდა იყვეს თვე (ოქტომბერი). როგორც ცნობილია, ისმაილ II-მ ამ დროს ტყვეობიდან გაათავისუფლა ქართლის მეფე სვიმონ I და იესე ბატონიშვილი. ქართული წყაროები არაფერს ამბობს ქართველების მონაწილეობაზე ისმაილის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. ფარსადან გორგიჯანიძე მხოლოდ აღნიშნავს, „რომ შაჰ ისმაილ საწამლავით მოაკვდინეს“³. ბერი ეგნატაშვილიც ყიზილბაშების მიერ შაჰ ისმაილის მოკვლის მიზეზად მის რელიგიურ პოლიტიკას ასახელებს: „და შეიძულეს ყიზილბაშთა და რჯულით სუნობასაც ეწამობოდენ, და ექუს თუეს იბატონეს და მოკლეს“⁴. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში მცირეოდენი დამატებით ნათქვამია, რომ „ესე შაჰ ისმაილ იყო კაცი უწყალო და მსმელი სისხლისა. ამისთვის არა ინებეს ყიზილბაშთა უფლება მისი, და ეწამებოდენ სჯულითა სუნობასა. და თუესა მეექუსესა მოწამლავით მოკლეს ყიზილბაშთა შაჰ ისმაილ ყაენი, გიორგობის-თუს კ“⁵ (23 ნოემბერი). შაჰ ისმაილის გარდაცვალების ამბავი სამცხეში შეიტყვეს 13 დეკემბერს, მაგრამ მთავრის კარზე საეჭვოდ მიიჩნიეს და კაცი გაგზავნეს ყაზვინში ამბის გადასამოწმებლად. წარგზავნილის დაბრუნების შემდეგ გაირკვა, რომ ისმაილი გარდაცვლილია 23 ნოემბერს⁶.

ისმაილ II-ის სიკვდილის გარემოებანი ზუსტად დადგენილი არ არის. არსებობს რამდენიმე ვერსია.

ღონ ხუან დე პერსიას მიხედვით, ისმაილის „დამ და სულთნებმა მისი მოკვლის გეგმა ისე სწრაფად დააწყვეს, რომ ერთ ღამეს, როცა ჰარამხანაში შევიდა ქალის ტანსაცმელში გადაც-

1 Minadoi, p. 5.

2 Шараф-хан Бидлиси, с. 233.

3 Там же, с. 229, 233.

4 გელაშვილი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 130, 135.

5 A Chronicle of the Carmelites in Persia, p. 57.

6 Ibidem.

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 17.

3 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 221.

4 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371.

5 იქვე, გვ. 520.

6 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 46

მულმა სულთნებმა მოკლეს⁴¹. მეორე ვერსიით, იგი ოპიუმის ჭარბი მოხმარების შედეგად დაიღუპა. მესამე ვერსიას გვთავაზობს ანონიმი ვენეციელი: „ისმაილის ერთერთმა საყვარელმა შური იძია მოკლული მამის გამო და მას მოწამლული თრიაქი მისცა“⁴². შაჰ ისმაილ II-ის მოკვლის კიდევ ერთი ვერსია დაკავშირებულია ქართველებთან.

ახლაც, როგორც შაჰ თამაზის სიკვდილის შემდეგ, დაიწყო მითქმა-მოთქმა. შაჰ ისმაილის სიკვდილის ამბავთანაც დაკავშირებული აღმოჩნდნენ ქართველები. როგორც ჩანს, ისმაილ II-ის მოულოდნელ და ბურუსით მოცულ სიკვდილში ქართველების მონაწილეობის შესახებ ფართოდ იყო ცნობილი და ოსმალებისთვისაც არ ყოფილა საიდუმლო. ამის თქმის საფუძველს, უწინარეს ყოვლისა, გვაძლევს საქართველოს წინააღმდეგ წამოსული ოსმალების ჯარის სარდლის ლალა მუსტაფა ფაშას მიერ არზრუმიდან შაჰ-ხუდაბენდესადმი გაგზავნილი წერილი (1578 წლის ივლისი). მასში ოსმალების მიერ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბად დასახელებულია ქართველების მიერ შაჰ ისმაილ II-ის მოწამვლა: „დიდად ბრწყინვალე ირანის შაჰო! მე, ლალა მუსტაფა ფაშა, კეზირი და მთავარსარდალი სულთან მურადის, ოსმალების იმპერატორის მთელი ჯარებისა, თქვენ გაცნობებთ, რომ აქ მოსული ვარ 300 000 ცხენოსნით, 600 ქვემეხით, 6 ათასი იანიჩართა და არკებუზერით, რომ დავსაჯო ისინი, ვინც თქვენი ძმის ისმაილის მოწამვლაში დამნაშავენი არიან და ამისათვის ქრისტიანი ქართველების ქვეყანა უნდა დავიკავო. ხოლო თუ თქვენი უდიდებულესობა გზას გადამიღობავს და ამ ხალხის დაცვას შეეცდება, მაშინ ჩემი ბატონის მითითების თანახმად იძულებული ვიქნები თქვენც შეგებრძოლოთ“³.

1 Don Juan de Persia, p. 62 v – 63 r. იხ. აგრეთვე, Hammer J., Op. cit., II, S., 473-474.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 16.

3 *Cronicle of the Carmelites in Persia*, p. 62. შერეფხან ბიდლისი აღწერს იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ირანში შაჰ ისმაილ II-ის სიკვდილის შემდეგ: ყოზილბაში ამირები აღარ ემორჩილებიან ახლად გამეფებულ მოჰამედ ხუდაბენდეს და ქვეყანა ერთმანეთში გაინაწილეს სამართავად, ხაზინა კი გააძარცვეს. ოსმალების სულთანმა

კატეგორიულად იმის მტკიცება ან უარყოფა, რომ ქართველები მონაწილეობდნენ ან დაინტერესებულნი იყვნენ ისმაილ II-ის სიკვდილში, დღეისათვის ცნობილი წერილობითი წყაროების მიხედვით ძნელია. მაგრამ გვაქვს არაპირდაპირი ორიოდე ცნობა, რომელიც საცნაურს ხდის ქართველთა კავშირს სასახლის გადატრიალებასთან. ამას გვაფიქრებინებს 1576 წლის 3 ოქტომბერს, ჰაბსბურგების იმპერიის ელჩის დავიდ უნგანდის წერილი, რომლითაც ის უნგრეთის მეფე მაქსიმილიანეს აცნობებდა, რომ ახალი შაჰი ისმაილი თავრიზში ჯარს აგროვებდა, მაგრამ ვის წინააღმდეგ გაუგებარი იყო. ელჩის ვარაუდით, შაჰი იმ შეამბოხე ძმის მორჯულებას ცდილობდა, რომელიც „იმ ქართველებთან გაიქცა, რომლებიც თურქეთის მხარეს დგანან. თუ ისმაილი მათ დაესხმის თავს, ცხადია ომი გაჩაღდება. მაგრამ ამჟამად ამის შესახებ რაიმე კონკრეტული ცნობები არ მომეპოვებაო“⁴¹. საინტერესოა, აგრეთვე, ინგლისელი თომას ჰერბერტის ერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ქართველები შაჰის ტახტის დაკავებაში ეხმარებოდნენ შაჰ-ხუდაბენდეს. „1578 წელს შაჰ თამაზი ყაზვინში გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, იმეფა დაახლოებით 50 წელი და სურდა, რომ მისი მემკვიდრე ყოფილიყო მისი ვაჟი მუჰამედი. მას დარჩა 12 ვაჟი და 3 ქალიშვილი: მუჰამედი, ისმაილი, სულეიმანი, ემანყული, მურადი, მუსტაფა, ალი, ჰემედი, იბრაჰიმი, ჰამზა და იზმა-ხანი. ისმაილმა, რომელიც მაშინ კაჰკაჰეს [ციხეში] იმყოფებოდა, თავისი ჭკვიანი დის ფერიხან ხანუმის და შამჰალ-ხანის მხარდაჭერით დაამარცხა ჰეიდარი, რომელმაც თავისი თავი მეფედ გამოაცხადა. მან თავი მოჰკვეთა სხვა ძმებსაც. იგი ფიქრობდა ასევე მოქცეოდა მუჰამედს, მაგრამ იგი გაიქცა საქართველოში, შეკრიბა ქურთებისა და ქართველების 12 ათასი მხედარი და დაბრუნდა ისფაჰანში,

კარგად იცოდა ყოველივე ეს და თავისი დიდი ხნის განზრახვის, სპარსეთის სახელმწიფოს განადგურების შესახებ, აღსრულება გადაწყვიტა (Шараф-хан Бидлиси, с. 234-235). თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი ოსმალების მიერ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებას, აგრეთვე, ისმაილის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარებით ხსნის. ირანში შექმნილი ვითარება სულთნის კარმა თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნია (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 36).

1 ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 129.

სადაც ისმაილი მისსავე საწოლში მოკლა ფერიხან-ხანუმმა¹. ასე იყო თუ ისე, შაჰ მოხამედ ხუდაბენდე ოსმალეთში (შეიძლება, სხვაგანაც) ცნობილი იყო როგორც თავისი გვირგვინოსანი ძმის, ისმაილის მკვლელი.

ძნელია უნგრელისა და ინგლისელის ნათქვამის გაზიარება, მაგრამ ისიც საეჭვოა, რომ სრულიად უსაფუძვლოდ შექმნილიყო ზემოაღნიშნული ცნობები. რა თქმა უნდა უნგრელი ელჩის ცნობაში ისმაილის ცოცხლად გადარჩენილი ერთად-ერთი უფროსი ძმა მოჰამედ ხუდაბენდე უნდა იყოს. ბუნებრივია კითხვა: რა კავშირი უნდა ჰქონოდა მოჰამედ ხუდაბენდეს, საერთოდ, საქართველოსთან ან მის რომელიმე სამეფო-სამთავროსთან? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ვერ დაგვეხმარება ვერც ერთი სპარსულენოვანი წყარო, მაგრამ ქართულ ნარატიულ წყაროს თუ მივმართავთ, მაშინ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება.

როგორც ითქვა, ისმაილ II-ემ ტყვეობიდან გაათავისუფლა ქართლის მეფე სვიმონ I და კახეთის უფლისწული იესე. ისმაილის გარდაცვალებამ საგონებელში ჩააგდო სვიმონ მეფე. ირანში ანარქია დაიწყო და ასეთ დროს ყველასათვის ცნობილი იყო ისამაილისა და სვიმონის ახლო, შეიძლება ითქვას, მეგობრული ურთიერთობა. ამავე დროს (1578 წ.) დაიწყო ირან-ოსმალეთის ომი. ომის მთავარ ასპარეზად ამიერკავკასია, განსაკუთრებით, ქართლის სამეფო გადაიქცა. ქართლის სამეფოში კრიტიკული ვითარება შეიქმნა დაუთ-ხანის უუნარო მმართველობის შედეგად. ოსმალები შევიდნენ თუ არა ქართლში დაუთ-ხანმა გაქცევით უშველა თავს. სვიმონმა სწორად შეაფასა თავისი და ქართლის სამეფოს მდგომარეობა და ახალ შაჰს სთხოვა სამშობლოში გაეშვა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო შაჰ-ხუდაბენდეს დედის, შალიკაშვილის ქალის და სვიმონ მეფის შეხვედრა რასაც, ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს: „შაჰ-მოჰამედ ხუდაბენდეს დედამ მოიყვანა, ოთარ შალიკაშვილი ქალმან, მეფე სუმონ, ვითარცა წესი არის, ქართველთა დედანი ლეჩაქს მოახუევენ – და ივიცა

ქართველი იყო, მანცა ეგრათვე ყო და წარმოუგზავნა ლეჩაქი თუსი და მოუმცნო: „მეფე სუმონ, გწადდეს ლეჩაქი ესე აილეო და გწადდეს კრმალიო, ჩუენც მოგუეკმარე და შენს საბატონოსაცა“, და მისცა ნიჭი მრავალი და სამოსელი სამეფო და წარმოაგზავნა თუსსა ქართლად და წარმოვიდა“¹.

საინტერესოა რამდენად შეეფერება სიმართლეს მუჰამედ ხუდაბენდეს დედის ქართველობა? ზემოთ გავეცანით შარაფ-ხან ბითლისის ნათქვამს, რომ ხუდაბენდე და ისმაილი ერთი დედის, ისაბეგ თორქემანის ქალის შვილები იყვნენ². შარაფ-ხან ბითლისის ეს ცნობა გაზიარებულია თითქმის ყველა მკვლევრის მიერ, როგორც სხვაგან, ასევე ჩვენთანაც.

უკვე ითქვა, რომ შაჰ თამაზს, სპარსული და ევროპული წყაროების მიხედვით, რამდენიმე ქართველი ცოლი ჰყავდა. ქართული წყაროები კი შაჰ თამაზის ერთ ცოლს, მოჰამედ ხუდაბენდეს დედას მიიჩნევს ქართველად, შალიკაშვილის ქალად. ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში ნათქვამია: „ხოლო ამას ჟამსა შინა მოიპოვა ღონე ესე შაჰ თამაზ: ეზრახა ათაბაგს ქაიხოსროს და სთხოვა ცოლად ტომისაგან თუსისა, ხოლო ათაბაგს თუსი არა ჰყვანდა რა, და ენათესავებოდა ოთარი შალიკაშვილი ათაბაგსა, ამისთჳს ნებაყოფლობით გამოართუა ქალი და ნათესავად თუსად გაუგზავნა ყაენსა და ყაენმან შეირთო ცოლად. და რაჟამს შეირთო, ესე იყო საყვარელ ყაენისა, შეიქმნა წყობა შაჰ თამაზსა და ათაბაგს შუა“³.

ვახუშტი ბატონიშვილმა შაჰ თამაზის ქართველი ცოლის არა მხოლოდ მამა (ოთარ შალიკაშვილი) იცის, არამედ მისი ცოლისძმის (ვარაზას) შესახებაც საინტერესო ცნობას გვაწვდის. ის გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აგრეთვე, შაჰ თამაზის ვარაზა შალიკაშვილისადმი განწყობილებაზე: ქაიხოსრო II ათაბაგის ქვრივის მიერ მისი მოკვდინება განდა სპარსელების მიერ სამცხე-საათაბაგოს დარბევის მიზეზი.

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 372.

2 Шараф-хан Бидлиси, с. 232.

3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 364.

1 Relation du Voyage de Perse et des Indes Orientales. Traduit de l'Anglois de Thomas Herbert, Paris, 1663, p. 451.

ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, ეს ტრაგედია განვითარდა შემდეგნაირად: კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ვაჟი ერეკლე სტამბოლს გაექცა. შაჰ თამაზმა იეჭვა, რომ ერეკლე თავის მამასთან, მეფე ალექსანდრესთან შეთანხმებით მოქმედებდა და კახთა მეფეს ლალატში დასდო ბრალი. შაჰი მის დასასჯელად წამოვიდა და ყარაბაღში გაჩერდა. ალექსანდრე მეფის სახლთუხუცესმა ოთარ ჩოლოყაშვილმა, იმისათვის რათა კახეთის სამეფოსთვის ხიფათი აეცილებინა, სამცხის ათაბაგის ქაიხოსრო II-ის ქვრივს შაჰ თამაზის მოყვარე (ცოლისძმა), ოთარ შალიკაშვილის ვაჟი ვარაზა მოაკვლევინა: „ესე ვარაზა იყო ძე ოთარ შალიკაშვილისა, მრავალგუარად ერთგული და ნამსახური ქაიხოსრო ათაბაგისა და ცოლის-ძმა შაჰ თამაზისა“¹. როდესაც შაჰმა გაიგო ვარაზას მოკვლის ამბავი, ხელი აიღო კახეთის დარბევაზე, „და მოვიდა რისხვითა საშინელითა სამცხეს, ამოსწყვდა სრულიად სამცხე-საათაბაგო და ქმნა მრავალი ბოროტი“².

ამგვარად, ქართული და უცხოური წერილობითი ცნობების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 1. შაჰ თამაზის ერთ-ერთი ცოლი იყო სამცხის უმსხვილესი ფეოდალის ოთარ შალიკაშვილის ასული; 2. შაჰ თამაზს სხვა ქართველ ქალთან ჰყავდა ორი უფროსი ვაჟი – მოჰამედ ხუდაბენდე და ისმაილი; 3. შაჰის ტახტის დაუფლებისათვის ერთმანეთს ებრძვიან ჯერ სხვადასხვა ქართველი დედის შვილები. ერთმანეთს უპირისპირდებიან ისმაილი (მისადმი ლოიალობას იჩენს ხუდაბენდე. შეიძლება, ამიტომაც არ გაიზიარა მან თავისი ნახევარძმების ბედი) და ჰეიდარ მირზა; 4. ტახტისათვის ბრძოლის მეორე ფაზა არის ხუდაბენდეს და მისი მომხრეების ბრძოლა ისმაილის წინააღმდეგ. მას ქმედითი მხარდაჭერა აღმოუჩინეს სამცხელმა ქართველებმაც.

2. ათაბაგი ქაიხოსრო II და დედისიჟედ II

ირანსა და საათაბაგოს შორის შედარებით მტკიცე კავშირი მყარდება ათაბაგ ქაიხოსრო II-ის დროს (1535-1573). ქაიხოსრო ყვარყვარე III-ის (1515-1535) ძე დაიბადა 1522 წელს. მისი სიყმაწვილის პერიოდი ხასიათდება საათაბაგოს გამწვავებული ურთიერთობით ქართლისა და იმერეთის სამეფოებთან, რომლებიც გრძნობდნენ, რომ ოსმალეთისაგან საფრთხე ორივე სამეფოსათვის სამცხედან მოდიოდა და აუცილებლად ჩათვალეს სამცხეზე თავიანთი გავლენის გავრცელება.

1535 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1548) დადიან-გურიელთან ერთად სამცხეში შეიჭრა. 13 აგვისტოს ჯავახეთის ახალქალაქის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში ბაგრატ მეფემ გაიმარჯვა და დატყვევებული ყვარყვარე III იმერეთში წაიყვანა. ათაბაგი გელათში ტყვეობაში გარდაიცვალა¹.

ათაბაგობის კანდიდატი ქაიხოსრო ამ დროისათვის 12-13 წლისა იყო. ამიტომ მას მეურვედ დაენიშნა ახლო ნათესავი, სამცხის უმსხვილესი ფეოდალი ოთარ შალიკაშვილი².

იმავე დროს ქართლის მეფე ლუარსაბ I-მა ჯავახეთი დაიმორჩილა. სამცხის ფეოდალებს არ აწყობდათ ძლიერი სამეფო ხელისუფლების ქვეშ ყოფნა და ათაბაგის ინსტიტუტის აღდგენა სურდათ. ამიტომ საათაბაგოს დიდმა თავადმა ოთარ შალიკაშვილმა, ყვარყვარე III-ის მცირეწლოვანი ვაჟი ქაიხოსრო სტამბოლში სულთან სულეიმან II კანუნთან (1520-1566) წაიყვანა და დახმარება სთხოვა. 1543 წ. სულთანმა ჯარი გაგზავნა სამცხეში, მაგრამ მან მარცხი განიცადა. ქაიხოსრო კვლავ სულთანს მიადგა, რომელმაც არზრუმის და დიარბექირის ფაშებს დიდი ჯარით სამცხეში წასვლა უბრძანა. ბაგრატ მეფემ დახმარება სთხოვა ქართლის მეფე ლუარსაბს და გურიელს.

1545 წელს ბასიანში სოხოისტასთან მომხდარ ბრძოლაში

1 იქვე გვ. 516.
2 იქვე, გვ. 517.

1 ქრონიკები, II, გვ. 382.
2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 76.

ოსმალებმა გაიმარჯვეს და ათაბაგის ხელისუფლება აღადგინეს ქაიხოსრო II-ის სახით. „დაიპყრეს ოსმალთა სამცხე-საათაბაგო, და აღიღეს ყოველნივე ციხენი და სიმაგრენი სამცხისანი, და გააბატონეს ქაიხოსრო, ძე ყუარყუარესი, და იქმნა ათაბაგ“¹.

ათაბაგი სულ მალე დარწმუნდა, რომ ოსმალებს სამცხის დაპყრობა სურდათ, მაგრამ სამცხეში ვერავითარ ძალას ვერ ხედავდა მათთან დასაპირისპირებლად და ახლა შაჰ თამაზთან დაკავშირება სცადა. ჰასან რუმელუს მიხედვით, „იმ დროს, როცა მაღალი ურდო შაჰს იყო, ყვარყვარეს შვილმა ქაიხოსრომ რამდენიმე აზნაური გამოგზავნა შაჰის კარზე და დახმარება ითხოვა, რადგან ვახუშტი ქართველმა და ლუარსაბ შერმაზან ოღლიმ მისი სამფლობელოების ნაწილი დაიპყრეს“². სამცხის ამ მსხვილი ფეოდალების მიერ ქაიხოსროს შევიწროებას აღნიშნავს ისქანდერ მუნშიც³. შაჰმა საქართველოზე გამოილაშქრა. ჰასან რუმელუს აღწერილი აქვს შაჰ თამაზის საქართველოში მესამე ლაშქრობის (1551 წ.) საშინელი შედეგები, როგორ ჟღერდნენ და ატყვევებდნენ მოსახლეობას, იპყრობდნენ და ანადგურებდნენ ციხე-ქალაქებს. განსაკუთრებით დაზარალდა თმოგვი და ვარძია. „ამ დროს [შაჰის] კარზე მოვიდა ქაიხოსრო ყვარყვარეს შვილი, მრავალი ძღვენით, და რჯულის საფარველმა შაჰმა მას უწყალობა თმოგვის ციხე აყ-შაჰრთან ერთად. ვახუშტი ქართველი და შერმაზან ოღლი, რომლებიც იმ ქვეყნის ჰაქიმები იყვნენ, სიკვდილით დასაჯეს“⁴. სხვა წყაროში ჩამოთვლილია შაჰმა სამცხეში რომელი ციხე-ქალაქები აიღო და დამატებით იმასაც ვიგებთ ვინ იყვნენ ის „ჰაქიმები“, რომლებიც ქაიხოსროს ავიწროებდნენ და შაჰმა სიკვდილით დასაჯა: „ქკს: სმა: შაჰ თამაზ ქართლი შემოვლო, ათაბაგი ქაიხოსრო მიეგება, ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბები, აწყვერი, ასპინძა და სრულიად სამცხის ციხენი აღიღო; ქაიხოსროს მოსცა აწყვერი ღვთისმშობლითურთ. ყაენი სომხითს ჩავიდა, დაჯოცა იჯუ შარმაზან და

ვახუშტი დიასამიძე და ამოვან თან წარიყვანა ტყვედ...“¹ ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, შერმაზანი და ვახუშტი ლორელები იყვნენ².

ქაიხოსრო განადგურებული სამცხის ათაბაგი იყო.

ქაიხოსრო დაქორწინდა ბაგრატი მუხრანბატონის ასულზე დედისიმედზე (ყოფილი დებორა). ბერი ეგნატაშვილის თქმით, „ათაბაგი ქაიხოსრო დაემოყურა მპყრობელსა მუხრანისასა ბაგრატს, მოიყვანა ცოლად ასული ბაგრატიისი დედისიმედი და იქორწინა“³. ქაიხოსროსა და დედისიმედს ეყოლათ ექვსი შვილი: ყვარყვარე, მზეჭაბუკი, მანუჩარი, თვალშვენიერი-ივანე, ელენე (ადრევე გარდაიცვალა) და თამარი⁴.

1 ქრონიკები, II, გვ. 395-396. ამგვარად, სამივე წყაროს მიხედვით, იჯუ შარმაზანი და ვახუშტი დიასამიძე ლორელი ფეოდალები იყვნენ. შდრ. ჰასან რუმელუ, გვ. 59-60, შენ. 69.

2 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 213.

3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 500.

4 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 104-105. საინტერესო პოლიტიკური მოღვაწე უნდა ყოფილიყო თვალშვენიერი, რომლის ნათლობის სახელი, როგორც ქრ. შარაშიძე ვარაუდობდა, იყო ივანე. მისი დაბადების საგარაუდო წელი არის 1552, ხოლო გარდაცვალებისა კი უცნობია. მისი უფროსი ძმები იყვნენ ათაბაგები (თანმიმდევრობით) ყვარყვარე და მანუჩარი.

თვალშვენიერი „სამცხის მატთანში“ პირველად მოხსენიებულია, მაშინ, როდესაც ის ყაზვინს მიემგზავრება ჩვენთვის უცნობი დიპლომატიური დავალებით და, სავარაუდოდ, ის სამშობლოში აღარასოდეს აღარ დაბრუნებულა. მას ყაზვინში ელოდებოდა მისი მამა ათაბაგი ქაიხოსრო II.

თვალშვენიერი ახალციხიდან გავიდა 1472 წლის 17 ივნისს, მაგრამ მამას ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო. ქაიხოსრო ყაზვინში გარდაიცვალა 29 სექტემბერს, როდესაც თვალშვენიერი ჯერ ერევანში არ მისულიყო (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 142-143).

ცნობილი წყაროები არაფერს ამბობს რითი იყო დაკავებული თვალშვენიერი ყაზვინში, კონკრეტულად რას საქმიანობდა. ერთი რამ ჩანს, რომ ის შაჰის კართან ახლოს იყო. „მესხური მატთანის“ შემდგენელი გვამცნობს, რომ „ქრისტიანობისთუშს იზ, ამბავი მოვიდა თუ: შაისმეილი მოკუდაო. აღარ ავიშალეთ, შობდეს ელჩი გავგზავნეთ ბატონს თუალმუშნიერთანა; ყაენის სიკუდილი არ დავიჯერეთ. ქრისტიანობისთუშს ოცდარვასა თვალმუშნიერის კაცი მოვიდა, სადასტურო ყაენის სიკუდილის ამბავი მოიტანა [ციორგობისთუშს კვ მომკუდარიყო შაისმეილი]“ (იქვე, გვ. 46).

როგორც არსებული წყაროებით შეიძლება ვარაუდი, თვალშვენიერთან იგზავნებოდა ყოველი ის ინფორმაცია, რასაც საათაბაგოდან შაჰის კარამდე უნდა მიეღწია

1 ქართლის ცხ., II, გვ. 359; ვახუშტი, გვ. 247-248.

2 ჰასან რუმელუ, გვ. 28-29.

3 ისქანდერ მუნში, გვ. 18.

4 ჰასან რუმელუ, გვ. 29-31.

იმის გამო, რომ ოსმალთა აგრესია სამცხეში სულ უფრო ძლიერდებოდა და შესაბამისად საათაბაგოს თავდაცვისუნარიანობა სუსტდებოდა, ათაბაგმა და ოთარ შალიკაშვილმა „და ყოველთა მესხთა 1553 წელს წარავლინეს მოციქული თვთმპყრობელის ერანის მპყრობელის შაჰ თამაზის თანა“ და დახმარება სთხოვეს. სა-

და, პირიქით, საათაბაგოში უნდა სცოდნოდით ირანში მიმდინარე ის მოვლენები, რისი ცოდნაც ამ სამთავროს გამოადგებოდა. 1576 წლის ივნისში შალიკაშვილების მეთაურობით დაიწყო ამბოხება ჯაყელ-ციხისჯვრელთა წინააღმდეგ. ყვარყვარე IV-მ და მისმა ძმამ მანუჩარმა აჯანყებულებს შეუტყის და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. მათი წარმატების, კერძოდ, ამბოხებულთა ციხეების დაკავების შესახებ იმათმა დედამ – დედისიმედმა თვალშეწიერის აცნობა სპეციალურად გაგზავნილი „ელჩის“ საშუალებით. მემბტიანე გადმოგვცემს: „დედისიმედი თმოგუს დადგა. თმოგუს ციხეს რაც დახირა უნდოდა, მიატანინა, გააბარაქიანა და თვალშეწიერთან ელჩი გაგზავნა, ციხეების შონა შესთუალა და ურუმთ აშლა აცნობა და ურუმთ საჩქარო ჰქმნა დაუვარდა“ (იქვე, გვ. 46).

დედისიმედის მიერ ირანში გაგზავნილი ინფორმაცია ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთით დედისიმედი შეიღოს აცნობებდა მისი ძმების შინაურ მტერზე გამარჯვებას, მეორე კი ერთნაირად საინტერესო იყო, როგორც ათაბაგისა და, საერთოდ, სამცხისათვის, ისე შაჰის კარისათვის. კერძოდ, ის, რომ ოსმალეთი ომის დასაწყებად ემზადებოდა და საათაბაგოს და ირანის საზღვრებსაც უახლოვდებოდა ოსმალთა ლაშქარი. თვალშეწიერის, ყველაფერი ამის შესახებ, საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა შაჰის კარი.

თვალშეწიერის შაჰისადმი ერთგულება საეჭვო გახდა ოსმალეთთან ომის დაწყების დან მცირე ხნის შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ მისი ძმა მანუჩარი ოსმალებს მიემხრო. თვალშეწიერთან გაგზავნილმა კაცმა სამცხეში „ეს ამბავი მოიტანა: მანუჩარის ლაღა ფამასთან მისულა შეიტყუა. თვალშეწიერს კაცები გამოუგზავნა, სადგომი დააგდებინეს და ყორჩიბაშს მიაბარეს. მარიამობისთუცს ოცდაექუსს, ორშაბათს დღესა დაიჭირეს თვალშეწიერი“ (იქვე, გვ. 47).

თვალშეწიერის განთავისუფლება მოხდა 1583 წელს, იმავე შაჰ-მოჰამედ ხუდაბენდეს მიერ, მას შემდეგ რაც მანუჩარი 1581 წელს ახლილად დაუპირისპირდა ოსმალებს: „ქკნსა სიო პატრონს მანუჩარს უღალატეს ურუმთა. პატრონიო მორჩა. ორნივე ფაშანი მძიმედ დაიკოდნეს და გაიქცეს...“ „ქკნს სოა თულშეწიერი ორმოდამ ამოიყუანეს და ყაენთან მოიყუანეს“ (იქვე, გვ. 50). ამის შემდეგ თვალშეწიერი, „მესხური მატეიანის“ მიხედვით, უკანასკნელად, 1585 წელს, აქტიურად და წარმატებით მონაწილეობს შაჰ აბასის სამხედრო ოპერაციებში, ჯერ მაშინ, როდესაც ოზბეგები ხორასანს დაესხნენ, შემდეგ კი თავრიზთან. „სამჯერ შეიბა თვალშეწიერი, სამჯერვე გაემარჯვა, კიდევ დატოცნა, კელთაც დაიჭირნა, ყაენს მიუსხა. ყაენმა მამულიც დიდი მისცა და ჯილდოცა“ (იქვე, გვ. 54).

როგორც ჩანს შაჰ აბასმა ჯეროვნად დაუფასა მას ირანის სახელმწიფოს წინაშე დამსახურება. 1587 წლისათვის ის 33 წლისა უნდა ყოფილიყო. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

მაგიეროდ მესხებმა შაჰს „მორჩილება და დამონება“ აღუთქვეს¹.

იმ დროს (1553 წ.), როდესაც შაჰ თამაზმა ქართლის სამეფო და, განსაკუთრებით კი, თბილისი აიკლო, „რამეთუ მეფობისა მისისასა არა მორჩილ ექმნა ყიზილბაშთა, არცა ოსმალთა, და მრავალი ჭირი შეაჩუნა ორთავე, და არა დაამონა საქართველო უსჯულოთა სახარკოდ“, ირანის მბრძანებელმა სამცხის „სურვილი“ მისადმი „მორჩილებისა და დამონების“ შესახებ დააკმაყოფილა. „შაჰ თამაზ ინება მოყურობა ათაბაგისა“ მისი ასულის ცოლად შერთვით. მაგრამ, რადგანაც ათაბაგს ასული არ ჰყავდა, მან თავის ნათესავს ოთარ შალიკაშვილს გამოართვა ასული და შაჰს ისე გაუგზავნა, ვითომ თავისი შვილი იყო. „და მან შეირთო იგი ცოლად, და დიდად საყვარელ უჩნდა ქალი იგი, და მიერიტვან იყო ფრიად კეთილისმყოფელ ათაბაგისა“². ალბათ ამიტომ იყო, რომ ქართლში ვითარების გართულებისას ქიხოსრო ათაბაგის მოყვრები, დედისიმედის ძმები ვახტანგი, არჩილი და აშოთანი თავს აფარებდნენ საათაბაგოში. ძმების ასეთ სტუმრობას საათაბაგოში ვხვდავთ 1556 წელს³.

აღნიშნული „მოყვრობით“ ქაიხოსრო II-მ გაიჩინა ერთდროულად ორი მტერი – ოსმალეთი და ქართლის სამეფო. ლუარსაბ I „მიუჭდა ათაბაგსა, და წარულო თემნი და დაბანი მრავალნი, ააოკრა და წარმოვიდა გამარჯუებული“. მაგრამ საბოლოოდ ქართლის სამეფოს და სამცხის საათაბაგოს ერთმანეთზე წაკიდებამ ირანსა და ოსმალეთს მათ საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალება მისცა.⁴

1555 წლის ამასიის ზავით ოსმალეთმა და ირანმა საქართველო გავლენის სფეროებად გაინაწილეს. ასევე გაინაწილეს სამცხე-საათაბაგო: ტაო-კლარჯეთი და შავშეთი ოსმალეთს ერგო, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილი კი – ირანს. განაწილების შედეგად ქაიხოსრო II ირანის ვასალობაში აღმოჩნდა. ოსმალებს ირანის

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 500.

2 იქვე, გვ. 505.

3 ქრონიკები, II, გვ. 398-399.

4 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 505-510.

„წილი“ სამცხის დაუფლება სურდათ და გამუდმებით ესხმოდნენ თავს ქაიხოსროს სამფლობელოებს. ათაბაგი იძულებული გახდა შაჰ თამაზისათვის დახმარება ეთხოვნა და 1570 წლის 3 მარტს მგელციხიდან ყაზვინს წავიდა¹. როგორც შარაფ-ხან ბიდლისი გადმოგვცემს შაჰმა ქაიხოსრო დიდი პატივით მიიღო² და დახმარება აღუთქვა. შაჰი დაპირების შესრულებას არ ჩქარობდა, რადგან ასეთი ნაბიჯი ამასიის ზავის დარღვევას გამოიწვევდა, რასაც თამაზი პრინციპულად არიდებდა თავს. დახმარების მომლოდინე ათაბაგი ყაზვინში გარდაიცვალა 1573 წლის 29 სექტემბერს, სამშაბათს, 51 წლისა³. მისი გარდაცვალების ამბავი ყაზვინიდან სამცხემდე შემდეგი წლის დასაწყისამდე ვერ მიაღწევდა და ამ დროს უნდა მომხდარიყო ყვარყვარე IV-ის (1574-1581) გაათაბავება.

დედისიმედის, ქაიხოსრო II-ის ქვრივის, ცხოვრებაში, როგორც სარკეში აისახა უძველესი და უმსხვილესი ფეოდალური ერთეულის სამცხე-საათაბაგოს – ქართული ქრისტიანული ეკლესიისა და კულტურის კერის დაცემისა და მისი დედა საქართველოსაგან მოგლეჯის ტრაგედია.

განსხვავებული ცნობები გვაქვს დედისიმედის მშობლების შესახებ. ქართლის ცხოვრების პირველი ტექსტიდან ვიგებთ, რომ ის იყო აშოთან მუხრანბატონის ასული⁴. იქვე ისიცაა ნათქვამი, რომ აშოთანი ქეთევან დედოფლის (წამებული) მამაც იყო⁵, მამასადაძმე, ამ წყაროს მიხედვით, ქეთევანი და დედისიმედი დები იყვნენ: „ხოლო ამა დავითს (კახეთის მეფე დავით I, იმეფა მცირე ხანს – 1601 წ.) ჰყვანდა ცოლად ასული აშოთან მუხრანის ბატონისა ქეთევან, და დედისიმედისა, რომელი შემდგომად მოწამე იქნა“⁶.

ვახუშტი ბატონიშვილი დედისიმედის მამას არ ასახელებს. ის მხოლოდ ამბობს, რომ „ქაიხოსრო ათაბაგი ესიდა ვახტანგს, მუხრანის ბატონსა, და მოიყვანა და მისი დედისიმედი და იქორწინა

მისთანა“¹. ვახტანგ მუხრანბატონი რომ ბაგრატის ვაჟი იყო, საყოველთაოდ ცნობილია. ე.ი. ვახუშტის მიხედვით, დედისიმედი ბაგრატის ასულია.

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის მიხედვითაც დედისიმედის მამა ბაგრატი მუხრანბატონია: „ხოლო ათაბაგი ქაიხოსრო დაემოყურა მპყრობელსა მუხრანისასა ბაგრატს, მოიყვანა ცოლად ასული ბაგრატისი დედისიმედი და იქორწინა“².

დედისიმედის დედას ელენე ერქვა³, მაგრამ წყაროებში არ ჩანს, საქართველოს რომელი ფეოდალური გვარიდან იყო.

დედისიმედის მამა ბაგრატი, დღეისათვის უცნობი მიზეზით, ბერად აღიკვეცა ბარნაბეს სახელით. ამ დროისათვის ცოცხალი იყო მისი ოთხი ვაჟი – ერეკლე, არჩილ, აშოთან და ვახტანგ⁴.

„მესხური მატიანეში“, 1565-1572 წლების ჩანაწერებს შორის, მოცემულია მუხრანბატონთა მოსახსენებლები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ დედისიმედის დედამამიშვილები. მათი სახელები ჩამოთვლილია შემდეგი თანმიმდევრობით: გარდაცვლილები: ძმები – ჰერაკლე, აშოთი, და – თეოდორა, ისევ ძმები – იონათანისი, გულფარისი, იონათანისი (უკანასკნელი იონათანისი, სავარაუდოა, გარდაცვლილი უფროსი ძმის მოსახელე იყო, რომელიც ასევე უდროოდ გარდაიცვალა). მატიანეში ჩანაწერების შესრულებისას ცოცხლები იყვნენ: ძმები – არჩილი და ვახტანგი⁵. ერთი ცნობით ვახტანგი გარდაიცვალა 1578 წელს⁶, მეორეთი კი 1580 წელს⁷.

დედისიმედი იყო ასული ბაგრატი მუხრანბატონისა, აშოთი თუ აშოთანი მისი ძმა, ამ უკანასკნელის ასული ქეთევანი (წამებული) კი – ძმის შვილი.

1 სამხრ. საქ., გვ. 38.

2 Шараф-хан Бидлиси, с. 223.

3 სამხრ. საქ., გვ. 41.

4 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 359.

5 იქვე, გვ. 433.

6 იქვე, გვ. 382.

1 ქართლის ცხოვრება. IV, გვ. 714.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 500.

3 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 39.

4 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 355, 433, 494.

5 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 39.

6 ქრონიკები, II, გვ. 416.

7 იქვე, გვ. 419.

ვალეს ეკლესიის კედლის 1561-1563 წლების წარწერაში¹ დედისიმედი ასე გვამცნობს თავის ვინაობას და ოჯახს: „ნებითა ღვთისათა მე, ღუთივ გვრგვინოსნის... ქართველთ მეფეთ მეფის კონსტანტინეს შვილისშვილმან, მეფის ბაგრატის ასულმან, ათაბაგ-ამირ-სპასალარის სახლის რძალმან მეორედ აღვაშენე... ესე ეკლესია... ვალისა ღუთისმშობლისა, რათა მცველ--მფარველ გვექნა... მე და თანამეცხედრესა ჩემსა ათაბაგსა ქაიხოსროს და ძენი ჩვენნი – ყვარყვარე, მზეჭაბუკ, მანუჩარ, თვალშვენიერ ივანე, თამარი დღევრძელობით დაიცვენ, ამინ. დასა მათსა ელენეს სასუფეველი დაუმკვიდრე“². მისი ძმები იყვნენ: ვახტანგ, აშოთან, არჩილ და ერეკლე³. 1573 წ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, დებორას სახელით მონაზვნად შედგა, მაგრამ შვილის, ჯერ კიდევ ყმაწვილი და გამოუცდელი ყვარყვარეს გაათაბაგებისთანავე ისევ დაუბრუნდა პოლიტიკურ ცხოვრებას და სამთავროს ფაქტობრივი მმართველი გახდა: „პატრონობდა დედისიმედი სამცხეს“⁴.

ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი არცთუ კარგად ახასიათებდნენ დედისიმედს, განსაკუთრებით კი ოთარ შალიკაშვილის ვაჟის ვარაზასადმი მოპყრობის გამო. აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ძალიან მოკლედ მიმოხილვაში ბერი ეგნატაშვილი გვამცნობს, რომ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ვაჟი ერეკლე მამას სტამბოლს გაექცა. შაჰ თამაზმა ერეკლეს ასეთი მოქმედება კახეთის მეფის განდგომად შეაფასა, მის დასასჯელად წამოვიდა და კახეთის სიანლოვეს ყარაბაღში გაჩერდა. ალექსანდრე მეფის სახლთუხუცესმა ოთარ ჩოლოყაშვილმა მეფეს აღუთქვა რომ კახეთს შაჰ თამაზის რისხვას ავაცილებო. მან ასეთი რამ მოიფიქრა: რადგან ათაბაგ ქაიხოსროს მცირეწლოვანი ვაჟები დარჩნენ, სამთავროს კი მისი ქვრივი, დედისიმედი განაგებდა, რომელიც „იყო ჭკუით სულელი და

უღმრთო“¹, ჩოლოყაშვილმა კაცი წარავლინა და დედისიმედთან წერილი გაატანა, რომელშიც ეწერა: „შალიკაშვილს ვარაზას ნებავეს ღალატი შენთვის და ძისა შენისა მანუჩარისთვის, რამეთუ მაგას ნებავეს დაპყრობა საათაბაგოსი, და მოჰყავს ყაენი სპითა ურიცხვთა საათაბაგოსა ზედა. და აწ, უკეთუ ძალ-ვიძს, შეიპყარ ეგე და მოკალ, ვითარცა ორგული და მკვლელი ძისა შენისა, და არღარა მოვალს შაჰ თამაზ და წარვალს სახიდ თვსად, და უმეტესად მტკიცედ იპყრობ ქუეყანასა მაგას“. მართლაც, დედისიმედმა ღალატით შეიპყრო ვარაზა შალიკაშვილი და მოკლა. „ესე ვარაზა იყო ძე ოთარ შალიკაშვილისა, მრავალგუარად ერთგული და ნამსახური ქაიხოსრო ათაბაგისა და ცოლის-ძმა შაჰ თამაზისა“².

ოთარ ჩოლოყაშვილის ჩანაფიქრი გამართლდა. შაჰ თამაზმა როდესაც გაიგო ვარაზას მოკვლის ამბავი, ხელი აიღო კახეთის დარბევაზე, „და მოვიდა რისხვითა საშინელითა სამცხეს, ამოსწყვდა სრულიად სამცხე-სათაბაგო და ქმნა მრავალი ბოროტი“³.

გადაჭარბებულად მკაცრი ჩანს ძველი ქართველი ისტორიკოსების მიერ დედისიმედის დახასიათება. ვარაზას მოკვლა დაქვრივებული, მრავალშვილიანი დედის მიერ საკუთარი ოჯახისათვის საფრთხის აცილებით იყო ნაკარნახევი. ამდენად, ვარაზას მიმართ ჩადენილი მოქმედების გამართლება არ შეიძლება, მაგრამ მოტივი კი გასაგებია. ის, მით უმეტეს, გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ საათაბაგოს თავადების მნიშვნელოვანი ნაწილის არა მხოლოდ ათაბაგისადმი ღალატისათვის მზადყოფნას, რითაც ხშირად სარგებლობდა გარეშე მტერი. რა თქმა უნდა, დედისიმედის ამგვარმა საქციელმა კიდევ უფრო დაუმძიმა მის შვილებს მდგომარეობა. შალიკაშვილების გვარი, რომელიც ქაიხოსროს სიცოცხლეში ათაბაგის მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო, ამის შემდეგ მტერთა ბანაკში აღმოჩნდა, რამაც, გარკვეული გაგებით, განაპი-

1 წარწერის დათარიღების შესახებ იხ. სამხრეთ საქართველოს..., 140.
2 თაყაიშვილი ე., სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890, გვ. XXXIV. შდრ. ქრონიკები, II, გვ. 391-392.
3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 433.
4 იქვე, გვ. 577.

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 516. ვახუშტის დახასიათებით, დედისიმედი იყო „ამაყი, გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი“. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 577.
2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 516.
3 იქვე, გვ. 517.

რობა ათაბაგის სახლის დასუსტება და ოსმალებს კი საათაბაგოს დაპყრობა გაუადვილა.

სხვა ცნობებით, რომლებიც დედისიმედის ცხოვრების ეპიზოდებზე მოგვითხრობს, ის არის მზრუნველი დედა (ის მუდამ თავს დასტრიალებს შვილებს), გაბედული მოქმედების ადამიანი, დაუცხრომელი ენერჯის პოლიტიკური მოღვაწე.

დედისიმედმა და მისმა შვილებმა თავი გაარიდეს შაჰ თამაზის რისხვას, სამცხე მიატოვეს და აჭარაში გადავიდნენ. შაჰ თამაზმა რისხვა იმით დაიცხრო, რომ სამცხე-სათაბაგო ოსმალეთის სულთანს დაუთმო და ირანში დაბრუნდა. მხოლოდ ამის შემდეგ დედისიმედი და მისი შვილები დაბრუნდნენ და „დაიპყრეს კუალად სამცხე“¹. არ ჩანს, როგორ შესძლო დედისიმედმა ყვარყვარეის ათაბაგად აღდგენა, მაგრამ ფაქტია, რომ მან ეს გააკეთა, ალბათ, ოსმალებთან მორიგებით.

დედისიმედი, როგორც ენერჯული და სამხედრო ნიჭის მქონე ადამიანი, ჩანს საათაბაგოს თავადთა აჯანყების (1576-1578 წწ.) წინააღმდეგ ბრძოლაში. ის შვილებთან ერთად ან მათგან დამოუკიდებლად სერიოზულ ვნებას აყენებს აჯანყებულებს. ის პირადად ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს და დიპლომატიურ მოლაპარაკებებს. 1576 წელს კოკოლა შალიკაშვილმა (დედისიმედის მიერ მოკლული ვარაზას ვაჟმა) სცადა ყვარყვარეს და მანუჩარის მიერ აღყაშემორტყმულ, აჯანყებულთა მთავარ დასაყრდენს – თმოგვს დახმარებოდა. ამ დროს დედისიმედი მის მიერ ახლად აღებულ ყველის ციხეში იმყოფებოდა. „ყუწლიდამა თმოგუს წავიდა ბატონი დედისიმედი... ბატონი დედისიმედი თმოგუს დადგა. თმოგუს ციხეს რაც დახირა² უნდოდა, მიატანინა, გააბარაქიანა და თუალმშუწნიერთან ელჩი გაგზავნა, ციხეების შოვნა შესთუალა და ურუმთ აშლა აცნობა... ბატონი დედისიმედი ახალციხეს შვილებთან მოვიდა“³.

ოსმალებმა, როგორც ჩანს იცოდნენ ვინ იყვნენ სერიოზული

ძალა საათაბაგოში და, ომის დაწყების წინ, სცადეს მათი თავიანთ მხარეს გადაყვანა. ისინი ათაბაგ ყვარყვარე IV-ს კი არ დაუკავშირდნენ, რომლის ხელისუფლების სისუსტე ცნობილი იყო, არამედ საათაბაგოს რეალურ მმართველებს – მის ძმას მანუჩარს და დედისიმედს¹. აქვე უნდა ითქვას, რომ წერილობითი ცნობების მიხედვით, ვიდრე ყვარყვარე ათაბაგი იყო, დედისიმედი ყოველთვის მის მომხრედ ჩანს. ძალა-უფლების მოყვარე დედისიმედისათვის ყვარყვარე, მანუჩართან შედარებით, იოლად სამართავი იყო. მანუჩარი დაუფარავად მიისწრაფოდა საათაბაგოში პირველობისაკენ. მაგრამ, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, მანუჩარიც დედაზე მზრუნველი შვილი იყო. ამაზე მიგვანიშნებს ანონიმი ვენეციელის გადმოცემა: როდესაც ოსმალეთის სარდალ ლალა-მუსტაფა-ფაშასთან დატყვევებული მანუჩარი მიიყვანეს, ის ლალა-მუსტაფას „შეხვეწა: მაღლობელი ვიქნები თუ საცხოვრებლად თითო ციხეს დაგვიტოვებ მე და ჩემ მოხუც დედასო“².

ოსმალთა მიერ სამცხის დაპყრობის (1578 წ.) შემდეგ დედისიმედი მესხეთში დარჩა და კვლავ აქტიურად მონაწილეობდა მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. დედისიმედი აწყურის ციხეში იმყოფებოდა, როდესაც, ოქტომბრის დამდეგს, შირვანიდან მობრუნებული ოსმალეთის ჯარი და მისი სარდალი ლალა-ფაშა ციხის მანლობლად „გაღმა ლეკზე დადგა“. საინტერესოა, რომ ვიდრე ლალა-ფაშა სამცხეში შევიდოდა, მანამდე წინ გაუშვა მანუჩარი, რომელიც სარდალს თან ახლდა შირვან-აზერბაიჯანის დალაშქრისას³. საფიქრებელია, რომ მანუჩარს დავალებული ჰქონდა თავის დედასთან - დედისიმედთან და ძმასთან - ყვარყვარე IV-სთან მოლაპარაკება. მეორე დღეს ყვარყვარე ლალა-ფაშას შეეგება,

1 ჯავახიშვილი ივ., ქრთველი ერის ისტორია, IV, თბ, 1967, გვ. 167.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისშვილმა, თ., 1987, გვ. 24. მ. სვანიძე ამავე წყაროს იმოწმებს და აღნიშნავს, რომ მანუჩარმა ლალა მუსტაფას 40 ქალაქი და სოფელი მოსთხოვა. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 110. მაგრამ იტალიურ წყაროში მხოლოდ ის წერია, რაც ზემოთ ითქვა.

3 იქვე, გვ. 50-51.

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 718-719.

2 სპარს. სურსათ-სანოვაგე-საჭურველი,

3 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 47.

ხოლო ცოტა მოგვიანებით დედისიმედი „გავიდა ციხიდან და ლა-ლაფაშა ნახა“¹. ქრონიკაში არაფერია ნათქვამი, რა მიზანი ჰქონდა დედისიმედის ოსმალთა სარდალთან შეხვედრას. ვიზიტი, ალბათ, ოსმალეთისადმი მორჩილების გამოხატულება იყო.

დედისიმედისა და ლალა-ფაშას შეხვედრა საკმაოდ ვრცლად აღწერა თომაზო მინადომ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მინადოს თხზულება იმის დასტურადც გამოდგება, რომ დედისიმედის დიდი ავტორიტეტი და სახელი შევიცნოთ XVI ს. მეორე ნახევრის არა მხოლოდ საათაბაგოში, არამედ მთელ საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში. მსგავსად ყვარყვარე II დიდისა (1451-1498), რომლის სახელითაც (გორგორა, გურგურა = ყვარყვარე) ევროპელები სამცხე-საათაბაგოს აღნიშნავდნენ². საქმე გვაქვს ანალოგიურ შემთხვევასთან: მინადო დედისიმედის სახელს მხოლოდ ერთხელ ახსენებს (vedova Georgiana, nominata Dedesmit – ქართველი ქვრივი [ქალი], სახელად დედისიმედი)³, სხვაგან ყოველთვის მოიხსენიებს როგორც „ქვრივი“. ის ამავე სახელით აღნიშნავს სამცხე-საათაბაგოსაც – „ქვრივის სამფლობელო“. როგორც ჩანს, დონ ხუან დე პერსიაც, მინადოს გავლენით, დედისიმედის სახელს ახსენებს მხოლოდ ერთხელ⁴. სხვაგან ყოველთვის მას ქვრივობით მოიხსენიებს. ისიც საინტერესოა, რომ ეს ავტორი საქართველოს ექვსი უძლიერესი მთავრის ჩამოთვლას ქვრივით (დედისიმედი) იწყებს⁵. ოსმალთა ისტორიკოსი მუსტაფა სელანიჩი მას „დედაბერს“ ეძახის⁶.

დავუბრუნდეთ დედისიმედის ლალა-მუსტაფა ფაშის ბანაკში მისვლის ამბავს. „როდესაც დაქანცული, შიმშილით დაუძლურებული, მტრის თავდასხმებით, ზამთრისა და მთებში გაჭირვების

დათმენით [ოსმალები] ბოლოს მივიდნენ ქვრივის [დედისიმედის] ციხე-კოშკთან, სახელად ალთუნფალასთან... ქვრივი თავისი უფროსი შვილით ალექსანდრეთი¹ ჩამოვიდა ციხე-კოშკიდან, მონიასულა [ლალა]-მუსტაფას ბანაკი, ძღვენი მიართვა და ერთგულებას და მორჩილებას დაჰპირდა. მუსტაფამ თავაზიანად მიიღო [დედისიმედი] და მოახსენა თუ როგორ კარგად ეპყრობოდა მანუჩარს, რომელიც მას შირვანში ახლდა. აქვე მყოფმა მანუჩარმა [ლალა-ფაშას] ნათქვამი დაადასტურა. ჰფარავდა რა მტრობას ალექსანდრეს [ყვარყვარეს] მიმართ, მუსტაფამ გულში ჩაიკრა და ქვრივს სთხოვა ეს შვილიც მასთან დაეტოვებინა, არწმუნებდა, რომ [დედისიმედიც] და ალექსანდრეც [ყვარყვარე] კმაყოფილნი დარჩებოდნენ, რადგან მან ორივე უნდა გააგზავნოს [სულთან] მურადთან, თან გააყოლებს მათი მორჩილების განცხადების სიგელს, [მათ სამფლობელოებზე ოსმალთა] ჯარის გავლის ხელის შეწყობისა და, საერთოდ, მათი დამსახურების შესახებ, რათა სულთანმა ღირსეულად მიიღოს ესენი და თავისი წყალობით გაამდიდროსო. ქვრივმა, შინაგანად დანაღვლიანებულმა და შეწუხებულმა, სახეზე სრული კმაყოფილება და თავაზიანი მზადყოფნა გამოხატა, რომ [თანახმაა] დაუთმოს ის, რაც იძულებული იყო აუცილებლად დაეთმო, ვინაიდან მეორე შვილი [მანუჩარი] უკვე მუსტაფას ძალაუფლებაში იყო. ქვრივმა დაუტოვა რა მუსტაფას ორი შვილი, თვითონ თავისთან დაბრუნდა. მუსტაფამ ორი დღე დაისვენა და... ყარსისაკენ გაემგზავრა“²

„მესხური მატინე“ ლალა-მუსტაფას მიერ ყვარყვარესა და მანუჩარის სტამბოლში წაყვანას სრულიად სხვაგვარად გადმოგვცემს და დედისიმედს შეუპოვარ და გამბედავ ქალბატონად წარმოგვიდგენს: აწყურიდან წასულ ლალა-ფაშას „პატრონი ყრყრე (ყვარყვარე - ე.მ.) გაჰყუა მოტყუებით და აღარ დაბრუნდა. პატრონი მანუჩარც თან წაჰყუა“. როდესაც დედისიმედმა გაიგო, რომ ყვარყვარე აღარ დაბრუნდაო, დაედევნა, მაგრამ ვეღარ მიეწია, შემდეგ

1 იქვე, გვ. 51.

2 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 44, შენ. 6.

3 Minadoi, p. 34, 82, 84, 102, 103, 104, 184, 185.

4 Don Juan de Persia, p. 66 r

5 Ibidem, p. 67 r,

6 ფუთურბე გ., მუსტაფა სელანიჩი საქართველოს შესახებ. თსუ შრომები, 1960, ტ. 91, გვ. 263.

1 მინადო ყვარყვარე ათბაგს რატომღაც ყოველთვის ალექსანდრეს უწოდებს.
2 Minadoi, p. 103-104.

„აზნაურიშვილები წაუყენა, ველარ დააბრუნვა“¹. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „მესხური მატთანის“ დამწერს (დღეისათვის დადგენილია, რომ მისი ერთ-ერთი ავტორი დედისიმედი იყო) სურს დამალოს ლალა-ფაშასთან გარიგების არასასურველი ფაქტი. დედისიმედის და ათაბაგის სახლის სხვა წევრების სიცოცხლეშივე ქართლის მეფე სვიმონ I-მა და სხვებმაც, მათი ოსმალებთან შეთანხმება ლალატად ჩათვალეს. სვიმონ მეფეს თუ ათაბაგის ოჯახის წევრებზე ხელი არ მიუწვდებოდა, სამაგიეროდ დედისიმედის ძმაზე, ვახტანგ მუხრანბატონზე მიუწვდა. ვახტანგმა, ელიზბარ ერისთავმა და ბარძიმ ამილახორმა, იმისათვის, რომ ქართლის სამეფო და, თავიანთი მამულებიც აკლებისაგან გადაერჩინათ, ლალა-ფაშას განზრახვაზე ხელი ააღებინეს². არ ჩანს ქართლის დასახლებულმა თავადებმა სანაცვლოდ რა შესთავაზეს ლალა-ფაშას. ასე იყო თუ ისე, სვიმონ მეფემ აღნიშნული გარიგების გამო შეიპყრო დედისიმედის ძმა ვახტანგი და კეხვის ციხეში გამოკეტა³.

1579 წლის ნოემბერში ჯერ მანუჩარი, ხოლო იმავე წლის დასარულს თუ ახალი წლის მარტში, ყვარყვარეც კონსტანტინოპოლიდან მობრუნდა. ძმები ოფიციალურად ჩადგნენ სულთნის სამსახურში. მანუჩარმა, სულთნის მიერ ყვარყვარესათვის ჩამორთმეული ათაბაგობის სანაცვლოდ, ფაშობა მიიღო⁴.

1582 წელს მანუჩარი აუჯანყდა ოსმალებს და ირანის მხარეს გადავიდა. მანუჩარის მიერ ამგვარი სერიოზული ნაბიჯის გადადგმისას, სავარაუდოა, დედისიმედი მისი თანამზრახველი იყო. ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა ის, რომ შაჰ-მოხამედ ხუდაბანდემ მანუჩარს ჩალაბუთი, ხოლო დედისიმედს „ხუთი დიდი სოფელი“ მისცა⁵. საბოლოოდ (1585 წ.), ათაბაგის ოჯახის მოწინააღმდეგე თავადების და ოსმალების შეტევის გამო დედისიმედი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა სამცხე და ბორჯომის ხეობაში,

ახალდაბაში გადასულიყო: „შემოგვიყენეს მოლალატენი და ველარც ჩნ (ჩვენ) დაუდგენით და ჩავედით ახალდაბას მარტს ნახევარ“¹. მანამდე, ახალდაბაში ცოლთან ერთად გადავიდა ასევე მტრებისგან შევიწროებული მანუჩარი². 1586 წლის დასაწყისში, როგორც ქრონიკაშია ნათქვამი, მანუჩარი იძულებული გამხდარა, ოსმალთა მოთხოვნით, დედისიმედი, შვილიშვილთან, ყვარყვარე IV-ის ვაჟთან ერთად, ახალციხის ფაშასთან გაეგზავნა³. ამით მთავრდება „მესხური მატთანე“ და ამის შემდეგ სამცხის ამ საინტერესო, კოლორიტული მოღვაწის შესახებ ერთი ცნობა გაგვანჩია.

დედისიმედის სახელი ფიგურირებს 1595 წელს ოსმალო მოხელეების მიერ შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, რომელშიც შესულია სამცხე-საათაბაგოს აღწერის მასალები. აქედან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით დედისიმედის ქრისტიანობისადმი და გარკვეული პრინციპებისადმი უკომპრომისობაზე. ასეთებს დამპყრობლები მიწებს ჩამოართმევდნენ ხოლმე და ოსმალო მოხელეებს გადასცემდნენ. სამცხის შერისხულ თავადთა შორის ვხედავთ დედისიმედსაც. დამპყრობლებს მისთვის მამული ჩამოურთმევიათ და ოსმალო მოხელისათვის გადაუციათ⁴.

დიდა დედისიმედის დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. მისი უშუალო მონაწილეობითა და, ხშირად, კარნახითაც, იწერებოდა სამხრეთ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლი „მესხური დავითნის ქრონიკა“⁵.

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 51.

2 იქვე გვ. 54.

3 იქვე გვ. 51.

4 იქვე გვ. 53.

5 იქვე გვ. 54; ქ. ცხ. II, გვ. 528

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 56.

2 იქვე გვ. 55.

3 იქვე გვ. 56.

4 სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 202.

5 იხ. ქრონიკები, II, გვ. 527; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 123-131.

3. საათაბაგოს ურთიერთობა ირან-ოსმალეთთან
XVI ს. ბოლო მეოთხედსა და XVII ს.
I მეოთხედში

შპკ თამაზის გარდაცვალების შემდეგ დაიბაბა ირანის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა, სხვადასხვა ფეოდალური დაჯგუფება თავისი მიზნების მისაღწევად სასურველი კანდიდატის გამეფებაში ხედავდა. ასეთი ვითარებით ისარგებლა ოსმალეთის სახელმწიფომ და ფართო აგრესია დაიწყო სპარსეთის ხელდებული სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასიის დასაპყრობად.

ვიდრე ოსმალები ომს დაიწყებდნენ, მანამდე შპკ მოჰამედ ხუდაბენდემ ოსმალებთან მოლაპარაკებით ამასიის საზავო ხელშეკრულების (1555 წ.) პირობების დაცვა დიპლომატიური მოლაპარაკებით სცადა და ოსმალეთში თავისი ელჩი მიავლინა, მაგრამ მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო.

ომის დაწყების წინ რთული მდგომარეობა იყო სამცხეში. ჯაყელებს საათაბაგოს თავადები აუჯანყდნენ, რითაც სამთავროს თავდაცვისუნარიანობა ძლიერ შესუსტდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა მანუჩარ ქაიხოსროს ძემ (შემდგომში ათაბაგი მანუჩარ II, 1581-1604). მანუჩარი დაიბადა, ვახუშტის მიხედვით, 1550 წელს¹. იგი თავისი დროის ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწე იყო. რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჰქადაგდა სამცხის თავადების საკმაოდ საშიში და ხანგრძლივი (1576 წლის ივნისიდან 1578 წლის თებერვლამდე) აჯანყების ჩახშობისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მანუჩარი აჯანყებულთა წინააღმდეგ, ფორმალურად, თავის ძმა ყვარყვარე IV ათაბაგთან ერთად გამოდიოდა (მათ ერთობლივად მოარბიეს შალიკაშვილების მთავარი სიმაგრე – თმოგვის ციხე და ქალაქი და სხვა სიმაგრეები), სინამდვილეში, ძმის ავადმყოფობის გამო, აჯანყების დროს, ერთპიროვნულად განაგებდა საათაბაგოს საქმეებს.

ოსმალთა საქართველოზე თავდასხმის განზრახვასა და ჯარის საქართველოს საზღვრებთან მოახლოებაზე საათაბაგოში ცნობილი იყო, როგორც ამის თაობაზე დედისიმედი თავის შვილს თვალშევიერს სპარსეთში წერდა².

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას სათავეში მანუჩარი ჩაუდგა. ის საგანგებოდ შეკრებილ ლაშქარით თავის ბიძაშვილ ერეკლე მუხრანბატონთან ერთად ოსმალების ჯარის პირისპირ დადგა. „პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე – ლაშქარი შეიყარეს – წავიდეს, ურუმთ პირს მიუდგეს. პატრონი ყრყრე ცოტად უგუნებულ (!) იყო“¹. სავარაუდოა, მემატიანე აქ გადმოგვცემს მანუჩარის ოსმალთა სამფლობელოებში შეჭრას, ნადავლის მოპოვებას, რაც იმავე დროს გარკვეულ ტაქტიკურ მოქმედებასაც, კერძოდ, მტრის ძალების მოსინჯვასაც ისახავდა მიზნად. ამავე დროს ჩანს ისიც, რომ ჯაყელ-ციხისჯვრელებსა და ყიზილბაშებს შორის ურთიერთობა კვლავ დაძაბულია ვარაზა შალიკაშვილის მოკვლის გამო. ყიზილბაშები სამცხის მთავრის წინააღმდეგ აჯანყებული თავადების მეთაურს, ვარაზას შვილ კოკოლას ეხმარებიან. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საზღვრებში შემოჭრილმა ოსმალებმა უპირველესყოვლისა კოკოლას სამფლობელოები დაიპყრეს². ალბათ, შალიკაშვილების გვართან დაპირისპირების გამო იყო, რომ ჯაყელების შაჰისათვის დახმარების თხოვნით რამდენჯერმე მიმართვა უშედეგოდ დამთავრდა (ამის შესახებ ვრცლად სხვაგან). ქართული წყაროს მიხედვით, საათაბაგოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან მყოფ ყიზილბაშთა რაზმს, რომელსაც ყარახანი მეთაურობდა თავს დაესხნენ თურქები და ათიოდე კაცი მოუკლეს, შემდეგ ყარახანმა იმარჯვა. ეს ამბავი მატ-იანეში გადმოცემულია შემდეგნაირად: „მობრუნდეს ყარახანი, ექუსასი კაცი ახლდა, დაესხა თავსა (თურქებს-ე.მ.), ამოსწყუიდა ურუმნი, გააქცივნა, სახელსა ზედა ღისასა და გაემარჯვა ყარახანს და აივსნეს საქონლითა და იარაღითა. მობრუნდა ბატონი მანუჩარ და აწყუცრს ჩამოვიდა“³. ყურადღებას იპყრობს მემატიანის ბოლო ფრაზა: „მობრუნდა ბატონი მანუჩარ და აწყუცრს ჩამოვიდა“, რომელიც შეიძლება გავიგოთ ისე, რომ ყიზილბაშებს არ სურდათ მანუჩართან, როგორც ათაბაგის ოჯახის წევრთან ურთიერთობა და ისინი უარს ამბობენ მისი სამხედრო ძალის გამოყენებაზე ოსმალებთან შეტაკებების დროს. ვფიქრობ, ყიზილბაშთა ამგვარმა დამოკიდებულებამ ჯაყელების მიმართ სერიოზულად

1 ვახუშტი, გვ. 716

2 სამხრ. საქ. ისტ. მასალები, გვ. 47.

1 იქვე.

2 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 68

3 სამხრ. საქ. ისტ. მასალები, გვ. 47.

განაპირობა ყიზილბაშთა წარუმატებლობა ამიერკავკასიაში ოსმალეთ-ირანის ომის დასწყისში.

„მესხური მატიანის“ მიხედვით, ლალა ფაშა აგვისტოს დასაწყისში არტაანიდან საქართველოსკენ წამოვიდა. სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე შეიჭრა. ქართული წყაროებიდან ცნობილია, რომ პირველი ციხე, რომელიც ოსმალებს სამცხის ტერიტორიაზე შეხვდათ, იყო მგელციხე. იგი ოსმალებმა ორი დღის ბრძოლის შემდეგ აიღეს. ამგვარად ოსმალები სამცხე საათაბაგოში შეიჭრნენ. თუ ერთმანეთს შევა-დარებთ ქართული და იტალიური წერილობითი წყაროების ცნობებს, დავინახავთ, რომ ისინი ერთნაირად გადმოგვცემენ ოსმალეთის ჯარის ლაშქრობის მიმართულებას და ციხეების აღებასაც. იბრაჰიმ ფეჩევის კი არტაანიდან პირდაპირ ველის ციხესთან მივყევართ¹.

ოსმალები რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეს (მგელციხე, ქაჯთა ციხე, ველისციხე), და ბოლოს ჩილდირის ციხეს დაეუფლნენ². ქართული და იტალიური წყაროების მიხედვით, როდესაც მანუჩარი ჩილდირის დასაცავად მივიდა, იგი ოსმალებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ. „მესხური მატიანე“ გადმოგვცემს: 10 აგვისტოს „პატრონი მანუჩარ ქაჯის (ჩილდირის – ე.მ.) ციხეს შეეყარა. ვერც (ოსმალთა – ე.მ.) ლაშქრის ომსა და ვერც ციხეების აღებ~ის ვერ მიესწრა“³. სავარაუდოა, ამჯერადაც ყიზილბაშების მიერ ჯაყელთა შეიარაღებული ძალების იგნორირებასთან გვაქვს საქმე.

ქაჯის (ჩილდირის) ციხესთან მომხდარის შესახებ უფრო მეტ ცნობებს შეიცავს იტალიური წყარო. აქედან ვიგებთ, რომ მანუჩარი ოსმალებ-

თან საომრად ყიზილბაშთა ჯართან ერთად წასულა თავისი ცხენოსნებითა და ქვეითებით, მაგრამ დაუგვიანდათ. ოსმალებს საქმე უკვე მოეთავებინათ. „ამ დროს მოვიდა სპარსეთის მეფის გენერალი მეჰმად ხანი¹ თავისი ორმოცდაათი ათასი მხედრით² და შვიდი ათასი ცხენოსანი და ქვეითი ქართველით, რომელთაც მეთაურობდა ქართველთა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მანუჩარი. ისინი მივიდნენ ხსენებული ქაჯის ციხის (ჩილდირის – ე.მ.) დასასმარებლად, მაგრამ იგი დაპყრობილი დახვდათ და თურქების ბანაკიდან დაახლოებით სამი მილით დაშორებული ველის ციხესთან შეჩერდნენ“³.

ქართული და იტალიური წყაროები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან და საერთოც აქვთ. ქართული წყაროს მიხედვით ყიზილბაშთა ჯარი მაჰმად-სულთანის (იტალიური წყაროს – მაჰმად-ხანი) მეთაურობით და საათაბაგოს ჯარი მანუჩარის მეთაურობით ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. ოსმალების მიერ ყიზილბაშების დაამარცხების შემდეგ მანუჩარი ჩილდირთან მიდის. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ იტალიური წყაროც ქართველების და ყიზილბაშების დაგვიანებით მისვლაზე აღნიშნავს. „მესხური მატიანე“ კი მხოლოდ მანუჩარის მისვლას აღნიშნავს. ორი ავტორის (ქართველი და იტალიელი) მონათხრობში ის განსხვავებაა, რომ ქართული წყაროს ავტორი ცდილობს ისე გადმოსცეს ამბავი, რომ ეჭვი დაბადოს მანუჩარის მოქმედების პატიოსნებაში. ქართველმა შემატიანემ მიზანს მიაღწია კიდევ. ქართულ ისტორიოგრაფიაში მანუჩარი მოღალატედ არის გამოცხადებული იმ დღიდან, როცა ოსმალებმა საქართველოს საზღვარი გადმოლახეს. „მესხური მატიანის“ ცნობების ამგვარი ინტერპრეტაცია პირველმა შემოგვთავაზა ქრ. შარაშიძემ. იგი თავისი მოსაზრებისათვის დამაჯერებლობის ხარისხის გაზრდისათვის ი. ჰამერის თხზულებაში დაცულ ერთ ცნობასაც იშველიებს და აღნიშნავს, რომ მანუჩარი ჩილდირის ბრძოლაში რამდენიმე კვირის წინ „მიჰკვდებოდა“ თურქებს და თვითონ აწყურის

1 საქართველოში შემოჭრის პირველ დღეებში ოსმალების მიერ დაპყრობილი ციხეების შესახებ გადმოგვცემს ალი-ეფენდი. იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 190-191.

2 ოსმალთაგან ჩილდირის ციხის აღების სხვადასხვა თარიღი გვაქვს: „მესხური მატიანის“ მიხედვით, ოსმალებმა ციხე აიღეს 9 მარტობნისთვეს (აგვისტო). 14 აგვისტოა ფრანგი დიპლომატის ჟუიეს მეფე ანრი III-სადმი გაგზავნილ მოხსენებაში (Charrière E., *Negociations de la France dans le Levant et correspondences, memoires et actes diplomatiques*, III, Paris, 1853, p. 740). ასევე 14 აგვისტოს აუღიათ ოსმალებს ჩილდირის ციხე ჰენრი პორშის თქმითაც (Porsius H., *Narratio belli Persici inter Murathem III Turcar et Mehemet Hodabande Persar regem gesti*. In Reuisneri, *Rerum memorabilium in Panonia sub Turcar. Imperatoribus cet. gestar. narrationes*, Francofurt, 1603, p. 176-177).

3 სამხრ. საქ. ისტ. მასალები, გვ. 48.

1 იბრაჰიმ ფეჩევი ყიზილბაშთა ჯარის სარდლებად ასახელებს თოქმაკ ხანს, იმამ-ყული-ხანსა და ყარა ხანს. იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 39.

2 იბრაჰიმ ფეჩევისთან 30 ათასი, გვ. 39. ასევე 30 ათას მხედარს ასახელებს ღონ ხუან დე პერსია, (65 r).

3 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. 1577-1581, გვ. 23.

სანჯახი მიუღია, ხოლო მის ძმას – ყვარყვარეს კი ოლთისი¹. ი. ჰამერის თხზულებაში, სადაც საინტერესო ამბის გადმოცემისას დამოწმებულია ალის „ნუსრეთ-ნამე“, ნათქვამია, რომ ლალა მუსტაფა ფაშამ „ჩილდირის ბრძოლამდე რამდენიმე კვირით ადრე, ძმებიდან უმცროსს, მანუჩარს მიწვევის წერილი გაუგზავნა, იმის თაობაზე, რომ როგორც თვითონ ასევე მისი ძმა და დედა ჩამოშორებოდნენ სპარსეთს, რომელზეც აქამომდე დამოკიდებულნი იყვნენ. მანუჩარმა თავის მოკრძალებულ პასუხში მოითხოვა ხელშეკრულება და სიგელი, აგრეთვე მოითხოვა თავისთვის აწყურის სანჯახი, თავის ძმა გრეგორისათვის (ყვარყვარე - ე.მ.) ოლთისი და დედისა და სხვა ძმებისათვის სოფლები ლენის სახით“². აქ არ ჩანს მოხდა თუ არა ოსმალეთის სარდლისა და ათაბაგის ოჯახის შეთანხმება. ჯაყელები, იქნებ, დროის გაყვანის ტაქტიკას ადგენენ?

სხვაგვარად გადმოგვცემს ლალა მუსტაფა ფაშას მანუჩართან პირველ კონტაქტს ოსმალთა ისტორიკოსი აბუბექრ ბინ აბდულაჰი. არზრუმში დაბანაკებული ოსმალეთის ჯარი 1578 წლის ივლისის შუა რიცხვებში აიყარა და არტაანთან მივიდა. არტაანის „ციხის სიახლოვეს მდებარე ქართული ვილაიეთები და ოქროსციხედ წოდებული სიმაგრე ერთმა ხათუნმა (დედისიმედმა – ე.მ.) დაიპყრო და დაიმორჩილა“³. არტაანში ჩაყენებული საათაბაგოს მეციხოვნენი ოსმალებმა შეიპყრეს. არტაანიდან ლალა მუსტაფა ფაშამ „ურჯულოების ბეგთან“, მანუჩართან კაცი გაგზავნა და დამორჩილება მოსთხოვა. თუ მის მოთხოვნას მანუჩარი დაემორჩილებოდა პატივს მიაგებდა, თუ არა და აკლება-განადგურებით დაემუქრა. „სასწრაფოდ მოდი, ისლამის სარეწმუნოება მიიღე, შენი ხალხი და ვილაიეთი ჩვენ ჩაგვაბარე“ – უთვლიდა ლალა ფაშა მანუჩარს, რომელმაც თავის ხალხთან ერთად მოითათბირა და ოსმალთა სარდლისადმი დამორჩილების გადაწყვეტილება მიიღეს⁴. დაეუჯეროთ აბუბექრს, რომ მანუჩარმა ოსმალებისადმი მორჩილება გადაწყვიტა? მაგრამ ფაქტია, რომ ის ლალა ფაშას ბანაკში მხოლოდ

ჩილდირის ბრძოლის შემდეგ მივიდა და მანამდე არც რაიმე მოთხოვნა შეუთვლია. დაუბრუნდეთ ი. ჰამერის თხზულებიდან მოყვანილ ამონარიდს.

როგორც ირკვევა მუსტაფა ფაშამ მაშინვე ვერ შესძლო მანუჩარისათვის ეპასუხა. მან მანუჩარის მიერ წაყენებული მოთხოვნების შესახებ წერილით აცნობა სულთანს¹ და მისგან პასუხს ელოდა. ჩილდირის ბრძოლამდე ერთი დღით ადრე მუსტაფა ფაშას მიუტანეს დედისიმედის წერილი, რომელშიც იგი სარდალს თავისი ვაჟის მანუჩარის ძმეველად გაგზავნას და სულთნის ყველა მორჩილის მსგავსად განსზღვრული გადასახადის გადახდას ჰპირდებოდა. სამაგიეროდ ის ითხოვდა სიგელს, რომლითაც მას და მის შვილს ყვარყვარეს დაუმტკიცდებოდათ მისი ქმრის, ქაიხოსროს სამფლობელოები². თურქი ისტორიკოსი იქვე შენიშნავს, რომ დედისიმედმა დაპირება მაშინვე კი არ შეასრულა, არამედ ელოდებოდა ოსმალებისა და ყიზილბაშების შეჯახებას, რათა გამარჯვებულის მხარეს დამდგარიყო.

მანუჩარმა, სავარაუდოა, პასუხის დაგვიანება თავისი მოთხოვნების უარყოფად ჩათვალა და ჯარით წავიდა ჩილდირის დასაცავად, მაგრამ დაუგვიანდა, რასაც ქართული წყარო გვამცნობს. ამას ადასტურებს იბრაჰიმ ფეჩევიც, თუმცა ჩილდირთან მისული მანუჩარს მხალაღ და მოლაღატედ სახავს: „ხსენებული ბეგი (მანუჩარი-ე.მ.) ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. იდგა იქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა. და, როგორც კი გაიგო, თუ რა ბედი ეწია თოქმაკ-ხანს, წამოვიდა მანუჩარი დილას და ღირსეული სარდლის კარავში შეაღწია“³.

ახლა ისევ დაუბრუნდეთ ანონიმი ვენეციელის მონათხრობს: როცა ქართველებმა და ყიზილბაშებმა გაიგეს, რომ ჩილდირის ბრძოლის შემდეგ დაღლილი ოსმალები ისვენებდნენ, გადაწყვიტეს ხელსაყრელი მომენტით ესარგებლათ და მოულოდნელად დასხმოდნენ თავს. მაგრამ მათ ვერ შესძლეს ოსმალთა ბანაკში შეჭრა, რადგან კარგებს შორის ბაგირები იყო გაჭიმული, რომელიც გზას უკეტავდა მომხვდურს. ოსმალებმა მალე შენიშნეს მტერი, შესხდნენ ცხენებზე და ველზე გაიჭრნენ, რათა ბრძოლა

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 162-168.

2 Hammer J., *Geschichte des osmanischen Reiches, II, Pest, 1834, S. 482*. იხ. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 267-269.

3 აბუბექრ ბინ აბდულაჰი, გამარჯვებათა წიგნი. თურქული ტექსტრი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მ. ილურიძემ, თბ., 2006, გვ. 31.

4 იქვე, გვ. 31-32.

1 აბულაძე ც., დასახ. ნაშრ., გვ. 202.

2 Фарзалиев А. М. оглы, *Ук. труд, с. 73*.

3 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 41.

გაემართათ მომხვედურთათვის. პირველსავე შეტაკებისას დაიღუპა ათასზე მეტი ოსმალო და 30 სანჯაყ-ბეგი¹.

ვენეციის სირიელი ელჩის ჯოვანი მიქელის თქმით, ყიზილბაშების ჩილდირთან დამარცხების შემდეგ „მანუჩარი, ქერივის უმცროსი ვაჟი, მივიდა (ლალა ფაშასთან – ე.მ.) და თავის თავი (სულთან – ე.მ.) მურადის ვასალად გამოაცხადა“². დაახლოებით ასევე გადმოგვცემს მანუჩარის მისვლას თურქების ბანაკში პეტრო ბიდარო³.

თურქული წყაროების მიხედვით, მანუჩარი ყიზილბაშების დამარცხების მეორე დღეს მივიდა ოსმალთა ბანაკში⁴ და „თავისი ქვეყანის ციხეების გასაღებები მთავარსარდალს მიუტანა და ჩააბარა“⁵. მეორე დღეს, ადგილობრივი მოსახლეობის დაშინებისა და თავისი მეომრების გამხნეების მიზნით, ლალა ფაშამ დახოცილი მტრების მოკვეთილი თავებით გორა დაადგმევინა. მან შიკრიკი გაგზავნა კონსტანტინოპოლში და სულთანს აცნობა მოპოვებული გამარჯვების შესახებ. „თურქების ამ გამარჯვებამ, – წერს დონ ზუან დე პერსია, – ახალი საბაბი მისცა ამ მხარის ბევრ ადგილობრივ მთავარს, რომელნიც აქამდე სპარსელთა ყმებად ითვლებოდნენ, უმაღლვე მის (მუსტაფა ფაშას – ე.მ.) წინაშე გამოცხადებულიყვნენ და სულთან მურადისადმი მორჩილება ელიარებინათ. მუსტაფა ფაშას ჯარს მაშინვე შეუერთდნენ ქართველი მთავრები: სალმას ქართველი და ლევანი⁶, ახლად დაკვიდრებული მთავარი საქართველოს ერთი მხარისა და საქართველოს მთავარი მანუჩარი, ბატონიშვილი დედისიმედის შვილი. ყველა ეს მთავარი მუსტაფა ფაშას დროშას შეუერთდა, რომელმაც დიდი თავაზიანობით მიიღო ისინი და მათი მორჩილების შესახებ სულთანს აცნობა“⁷.

1 იბრაჰიმ ფეჩევი, „ოცდაათზე მეტი სახელოვანი ალა ბრძოლის ველზე დაეცა“. იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 40. სხვა ცნობით ოსმალებს 13 სანჯაყ-ბეგი დაეღუპათ. **Porsius H., Narratio belli Persici inter Murathem III Turcar et Mehemet Hodabande Persar regem gesti, p.176-177.**

2 **Relazioni delli successi della guerra tra il Turco e il Persiano dall'anno 1577 fino al 1587 di Giovanni Micheli ritornato console da Aleppo in Soria.** კრებულში: **Alberi E., Relazioni... serie III, v. II, Firenze, 1844, p. 264.**

3 **Bizarus P., Op. cit., p. 633.**

4 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 41.

5 ფუთურიძე გ., მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, გვ. 263.

6 გაურკვეველია რომელი ქართველი დიდებულები იყვნენ სალმასი და ლევანი.

7 **Don Juan de Persia, p.65 r – 66 r.**

ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარს უბოძა აწყურის სანჯაყი, მის ძმას ყვარყვარეს მისი ყოფილი სამფლობელო ოლთისის სანჯაყი, სხვა ძმებს კარგი ზიამეთები, დედისიმედს კი სამი სოფელი ხასის სახით¹

ტომაზო მინადოი აგვიწერს იმ ზეიმს, რომელიც მოუწვეს ბანაკში მისულ მანუჩარსა და მის თანმხლებლებს: იმავე დღეს (16 აგვისტო), როდესაც ლალა მუსტაფა ფაშამ სისხლიანი ღონისძიება დაამთავრა და მოკვეთილი თავების გორა დასდგა, მას აცნობეს, „ქერივი ქართველის, დედისიმედის უმცროსი ვაჟის“ მანუჩარის განზრახვაზე მის კარავში მოსვლის სურვილის შესახებ, რათა მისალმებოდა და უსიტყვოდ დამორჩილებოდა. ამ სიახლემ იმდენად გაახარა მუსტაფა ფაშა, რომ ბრძანა ყველა ფაშა და ჯარის მეთაური საკრავებითა და ქვემეხების გასროლით და სხვა ღირსების ნიშნებით წასულიყვნენ მანუჩარის შესახვედრად და ასე მოეყვანათ მასთან. ყველაფერი ისე გაკეთდა როგორც მთავარსარდალმა ბრძანა და როცა მანუჩარი მის კარავთან მიიყვანეს, თვითონაც არტილერიისა და არკებულების სროლით მიესალმა. მანუჩარს გადაწყვეტილი ჰქონდა მუსტაფასთვის მიერთმია ყველაფერი რაც მის მამულში იყო“².

აბუბექრიც აღნიშნავს ოსმალთა ბანაკში მანუჩარის საზეიმოდ მიღების შესახებ, მაგრამ ისეთიანად, რომ ქართველი დიდებული დამცირებულად წარმოაჩინოს ძლევაშეიძლი ოსმალების ფონზე³.

ვფიქრობ, მანუჩარის ჩილდირთან „დაგვიანებით“ მისვლის მიზეზი შეიძლება გაირკვეს დონ ზუან დე პერსიას (ის აღწერილი ამბის თანამედროვე და შეიძლება მხილველიც იყო და, როგორც სამხედრო პიროვნება, იცნობდა კიდევ ყიზილბაშთა სარდალს) მონათხრობით ჩილდირთან მოვლენების განვითარების შესახებ. მისი თქმით, თოქმაკ სულთან ხანი ერევნისა და ნახიჩევანის გამგებელი იყო. მოხამედ ზუდაბენდემ იგი დანიშნა სპარსეთის და საქართველოს საკმაოდ მცირერიცხოვანი ჯარების მთავარსარდალად. სპარსელთა ჯარი შედგებოდა მხოლოდ 30 ათასი მხედრისაგან, თუმცა ქვეითები მრავლად ყოფილან. როცა ცნობილი გახდა, რომ ლალა მუსტაფა ფაშამ არზრუმი დატოვა, ყარსი გაიარა და ჩილდირს მიაღწია. თოქმაკს ყალბი ცნობები მიაწოდეს, თითქოს, ოსმალთა ჯარი

1 **Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 74.**

2 **Minadoi T., p. 34-35.**

3 აბუბექრი, გვ. 35.

მხოლოდ 40 ათასი მებრძოლისაგან შესდგებოდა, ჯარის ეროვნული შემადგენლობაც ჭრელი იყო და არც შეიარაღება უვარგოდათ. ახალგაზრდა სარდლები თოქმაკს აფრთხილებდნენ, რომ ისეთი გამოცდილების სარდალი, როგორც ის იყო, არ უნდა ნდობოდა მსტოვრების მოტანილი ცნობებს.

თოქმაკმა „თავისი უვიცობით“ თურქების მოწინავე 40 ათასიანი ჯარი ძირითად ძალად ჩათვალა და დაუყოვნებლივ ეკვეთა. მაგრამ, როდესაც მუსტაფა ლალა ფაშა მთელი ძალით დაატყდა თავს, თოქმაკმა მხოლოდ მოხერხებულობითა და დაღამების გამო შეძლო ჯარის ნაწილის გადარჩენა. ოსმალებმა მას 7 ათასი კაცი მოუკლეს, 3 ათასი კი დაატყვევეს, რომლებსაც თავი მოკვეთეს¹.

როგორც დონ ხუან დე პერსიას მონათხრობიდან შეიძლება დავასკვნათ, ჩილდირისკენ წასულ მანუჩარს, რომელიც შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ყიზილბაშ სარდალთან შეხვედრის ადგილსა და დროზე, გამარჯვების იოლად მოპოვების სურვილით შეპყრობილი თოქმაკ ხანი აღარ დაელოდა. ამით უნდა აიხსნას და არა ღალატით ის, რომ როცა „პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა, ვერც (სპარსელთა – ე.მ.) ლაშქრის ომსა და ვერც (ოსმალების მიერ – ე.მ.) ციხეების აღებებს მიესწრა“. უფრო მეტიც, ჰენრიხ პორშას თქმით, თოქმაკ ხანთან ერთად ბრძოლის ველზე მარცხი განუცდია მანუჩარსაც: სპარსელებს დაუკარგავთ 5 ათასი კაცი, ხოლო მანუჩარი თავის 3 ათას თანამებრძოლთან ერთად დაუტყვევებით².

ვეფქრობ, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ისქანდერ მუნშის გადმოცემაც, რომლის მიხედვით მანუჩარმა სამცხეში შეჭრილ ოსმალებს წინააღმდეგობა გაუწია და მისი დამორჩილება მხოლოდ იარაღის გამოყენებით მოხერხდა. მოვუსმინოთ ისქანდერ მუნშის: როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა „ახალციხის ველაიეთში მოვიდა, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა, სვიმონ-ხანის სიძის მანუჩარ-ხანის [საგამგეო] ოლქი იყო და ამ მხარის (ირანის) საზღვრებში შემოდიოდა. მან (მანუჩარმა) ოსმალთა

მორჩილებისაგან თავი შორს დაიჭირა და წინააღმდეგობის გზას დაადგა, თავისი ციხე გაამაგრა და თვითონ კი სვიმონ-ხანთან მივიდა, ლალა ფაშამ მისი ციხე გარემოცვა, ზარბაზნები მიუმარჯვა და ბრძოლა-ჭიდილით დაიმორჩილა. მერე შიგ მცველები და იანიჩრები დასტოვა და სვიმონ-ხანის ქვეყნისაკენ გაემართა“¹.

სეფიანთა ხანის სპარსეთის სახელგანთქმული ისტორიკოსის თხზულებიდან მოყვანილი ამონარიდი ზოგიერთ ცნობილ საკითხზე მსჯელობას მოითხოვს. თითქოს დადგენილია, რომ შაჰმა მოჰამედ ხუდაბენდემ სვიმონ I თავის სამეფოში დააბრუნა ოსმალების საქართველოში შემოჭრის შემდეგ. ისქანდერ მუნში კი სვიმონის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადმოგვცემს ოსმალების საქართველოში შემოჭრის და მანუჩარის მათდამი დაუმორჩილებლობის ამბავს². სპარსელი ისტორიკოსის ნათქვამის (მანუჩარის სვიმონ მეფესთან ქართლში გადასვლასთან დაკავშირებით) დაზუსტება შეიძლება „ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტის“ საშუალებით: შაჰ ისმაილ II-მ სვიმონი ალამუთის ციხიდან გაანთავისუფლა, მაგრამ იგი სპარსეთში დასტოვა. გამეფდა მოჰამედ ხუდაბენდე, დაიწყო ომი სპარსეთსა და ოსმალებს შორის. „რაოდენსამე ხანსამე უკანა გამოვიდა ლალა ფაშა... მაშინ დახუდა მანუჩარ ათაბაგი, ძე ქაიხოსროსი და დედისიმედისა, – და ამას ესუა ცოლად დაჲ სვმონ მეფისა, და დახუდა ესე მანუჩარ ათაბაგი და დაესხა რომელსამე თარემსა და ნაწყუელსა ჯარისსა, და მოსრა რაოდენიმე, და მერე ველარ დაუდგა და გამოვარდა ქართლს სიდედრთანა. ხოლო ლალა ფაშამ ამოსწყეტა ყოველი სამცხე და დაიჭირა ციხე და სიმაგრენი“³. ამგვარად, მანუჩარი ქართლში გადავიდა თავის სიდედრთან, სვიმონი კი ისევ სპარსეთშია. მაგრამ ციტირებულ წყაროებში (დონ ხუან დე პერსია, ჰენრიხ პორშა, ისქანდერ მუნში, ანონიმი ვენეციელი, „ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი“) უმთავრესი ის არის, რომ მანუჩარი სამცხეში შეჭრილ ოსმალებს ებრძოდა. დასახელებული ავტორები, განსაკუთრებით კი ანონიმი ვენეციელი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გვთავაზობენ უაღრესად საინტერესო ვერსიას, რომელიც უთუოდ ანგარიშგასაწვეია

1 მოწინააღმდეგეთა მიერ ჩილდირის ველზე განცდილი ზარალის შესახებ იხ. **Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд, с. 70-71.**

2 **Porsius H., Narratio belli Persici inter Murathem III Turcar et Mehemet Hodabande Persar regem gesti, p.176-177.**

1 ისქანდერ მუნში, გვ. 29.

2 იქვე, გვ. 28-29.

3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371-372.

სამცხის ათაბაგის, მანუჩარ II-ის პიროვნების შესასწავლად.

16 აგვისტოსვე ოსმალთა ჯარი ჩილდირიდან აიყარა და, როგორც ანონიმი ვენეციელი გადმოგვცემს, თეთრციხისკენ გაეშურა, რომელიც დატყვევებულ მანუჩარს ეკუთვნოდა. „იქ მისვლისთანავე (ლალა ფაშამ – ე.მ.) იხმო მანუჩარი და ჰკითხა, რამდენი ქალაქისა და ციხის მფლობელი იყო იგი. [მანუჩარმა] ყველაფერზე გასცა პასუხი. გენერალმა ჰკითხა: „ახლა, როცა დამარცხდით, რა მოვლით თქვენს სამფლობელოებს? მანუჩარმა უპასუხა: თქვენს განკარგულებაში ვართ მეც და ჩემი სამფლობელოებიც და შეეხვეწა: მადლობელი ვიქნები, თუ საცხოვრებლად თითო ციხეს დაგვიტოვებ მე და ჩემ მოხუც დედასო¹. ამით კმაყოფილმა გენერალმა დაუტოვა ყველაფერი რაც მანუჩარმა ითხოვა და სანჯაყ-ბეგობაც უბოძა, თუმცა ქრისტიანობა შეუნარჩუნა“². ვენეციელისაგან სრულიად განსხვავებულ, საწინააღმდეგო ცნობა შემოგვინახა ალიმ. აქედან ვიგებთ, რომ ჩილდირის ბრძოლამდე ერთი დღით ადრე დედისიმედმა ლალა მუსტაფა ფაშას გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთავაზობდა მანუჩარს მძევლად და, სხვა ქვეშევრდომების მსგავსად, გადასახადის გადახდას ჰპირდებოდა. სამაგიეროდ დედისიმედი ითხოვდა სიგელს, რომლითაც იგი ათაბაგ ყვარყვარესთან ერთად მფლობელი და გამგებელი იქნებოდა გარდაცვლილი ქმრის, ათაბაგ ქაიხოსროს მიწებისა³. როგორც ზემოთ მოყვანილ, ი. ჰამპერის მიერ დამოწმებული იმავე ნუსრეთ-ნამეს ცნობიდან გავიგებთ, დედისიმედს ლალა ფაშასთვის გაგზავნილ წერილში, ძირითადად, მანუჩარის მიერ დაყენებული მოთხოვნები გაუმეორებია და ოსმალებისადმი ერთგულების ნიშნად, დამატებით, მძევლად მანუჩარი შეუთავაზებია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დედისიმედმა და, საერთოდ, ათაბაგის ოჯახმა იცოდა, შეიძლება ისინი შეთანხმებული იყვნენ მანუჩართან, რომ ეს უკანასკნელი ვეზირ ლალა მუსტაფა ფაშასთან მივიდოდა და, ფაქტობრივად, ნებაყოფლობით მძევლად გადაიქცეოდა. ერთი თურქული დო-

1 სვანიძე მ., ამ წყაროს იმოწმებს და და ამბობს, რომ მანუჩარმა ლალა ფაშას მოსთხოვა მისთვის გადაეცა 40 ქალაქი და 40 სოფელი. სვანიძე მ., საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს., თბ., 1971, გვ. 110. იტალიურ წყაროში მხოლოდ ის წერია, რაც ზემოთ ითქვა.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. 1577-1581, გვ. 24.

3 აბულაძე ც., სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს. 80-იანი წლები). „მრავალთავი, ფილოლოგიურ- ისტორიული ძიებანი, თბ., 1989, გვ. 200.

კუმენტის მიხედვით, რომელზეც ქვემოთ ვრცლად ითქმევა, ლალა ფაშას ბანაკში ორივე ძმა – მანუჩარი და ყვარყვარე ერთად მისულან.

ამგვარად, როგორც განხილული წყაროებიდან ჩანს¹, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მეფე-მთავრებმა, მანუჩარმაც მორჩილება გამოუცხადა, გარკვეული პირობებით, ოსმალეთის სულთნის გამარჯვებულ სარდალს. საინტერესოა, რომ სამცხის ზოგიერთი ფეოდალი (ალბათ, ისინი ვინც ჯაყელებს ებრძოდნენ), ვიდრე მტერი სამთავროს საზღვარს გადმოლახავდა, მანამდე ეახლა მას, ერთგულება შეჰფიცა და ჯერ კიდევ დაუპყრობელი ციხეებიც მიუძღვნა. „მესხური მატანიე“ ასახელებს ქოიარ ამილახორისშვილს, რომელიც 2 აგვისტოს ლალა ფაშას არტაანში მიეგება და 2 ციხე „შეუძღვნა“². ასევე აღნიშნულია, რომ არფაქსად ამატკისშვილიც შეპირებული ყოფილა ექვსი ციხის, მათ შორის ხერთვისის, გადაცემას, მაგრამ მან ამის პრაქტიკულად განხორციელება მაშინვე ვერ შესძლო. „მესხურ მატანიეში“ ვკითხულობთ: „აგრეთვე არფაქსად ჰპირებოდა ექუსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძღვნა და პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა, იმწამს გამოოჰყუარეს, ციხეები გამოარ-თუშს და ხახული სასანჯახოდ მისცეს“³.

არფაქსადის მიერ ოსმალებისათვის ციხეების გადაცემაზე „მესხურ მატანიეში“ მოთხრობილია 10 – 17 აგვისტოს შორის და ციხეების გადაცემა სრულიადაც არ ივარაუდება ჩილდირის ბრძოლამდე („სამცხის ქრონიკის“ მიხედვით – 9 აგვისტო) მომხდარ ფაქტად. 17 აგვისტოს კი მანუჩარმა, იმავე წყაროს ცნობით, ლალა ფაშას გადასცა თმოგვის ციხე და კოკოლა შალიკაშვილისათვის ჩამორთმეული ახალქალაქი⁴.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ჩილდირის ბრძოლის შემდეგ ოსმალებისადმი დამორჩილებულმა მანუჩარმა უშუალოდ არფაქსად ამატკისშვილს მასზე გამწყრალი ლალა მუსტაფა ფაშას წინშე და, როგორც ჩანს, ისინი მთავრად: მას, ციხეების სანაცვლოდ „ხახული სასანჯახოდ“ მისცეს. ვეზირის ამგვარი გადაწყვეტილება, საგულისხმოა, მანუჩარის ინტერესებში არ შედიოდა. მას ჯაყელების მოწინააღმდეგე თავადების

1 იმ ავტორების შრომებს აღარ დავიმოწმებ, რომლებიც მინაღობს, დონ ხუან დე პერსიას, ანონიმი ვენეციელის და სხვათა თხზულებებს ეყრდნობიან.

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 49.

3 იქვე.

4 იქვე.

თავისთვის დამორჩილება სურდა და ამისათვის ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რაც მოგვიანებით გამოჩნდა კიდევ.

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტებისა და მსჯელობის შემდეგ, ვფიქრობ, აღარავითარი პრეტენზია უნდა რჩებოდეს ვახუშტი ბატონიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის მიმართ¹ და არც სამართლიანი იქნება ასეთი დასკვნა: „ამგვარად, მანუჩარის ყოველი ნაბიჯი 1578 წლის მარტიდან მოყოლებული, როდესაც იგი ბრძოლის ველიდან მობრუნდა და აწყურს ჩამოვიდა, ამავე წლის მარიამობისთვის (აგვისტოს) 17-დის, როდესაც მან თმოგვის ციხე მისცა ლალა-ფაშას, გამცემლობით არის აღბეჭდილი“². უსაფუძვლოა მანუჩარის უარყოფით შეფასება, თუ მის პიროვნებას და საქმიანობას, მის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ ქართლის მეფე სვიმონ I-თან ერთად, განვიხილავთ მისი დროის საქართველოში შექმნილი სოციალური და პოლიტიკური ვითარების კონტექსტში. მანუჩარიც ისეთივე, შეიძლება უფრო მეტად პატრიოტი, უფრო მეტად გამბედავი და შეუპოვარი იყო, ვიდრე მისი თანამედროვე სხვა ფეოდალები.

* * *

საათაბაგოს დამორჩილების შემდეგ, როგორც ანონიმი ვენეციელი გვამცნობს, ოსმალების სარდალმა მანუჩარის მოთხოვნები დააკმაყოფილა და სანჯაყბეგობაც უბოძა³ (სხვა წყაროებით მანუჩარი ჩილდირის ბეგლარბეგი გახდა). თბილისის დასაპყრობად მიმავალ ლალა ფაშას, როგორც ღონ ხუან დე პერსია გადმოგვცემს დიდი დახმარება გაუწიეს საათაბაგოელებმა: „მუსტაფა ფაშამ სვლა განაგრძო მიიღო რა მხარდაჭერა და შემწეობა ქართველთაგან. ეს დახმარება თუმცა რიცხობრივად მცირე იყო, ახალი მოკავშირის ძალასთან შედარებით, მაგრამ ძალიან ეფექტური თურქების ჯარის უვნებლად გასატარებლად. ეს იყო თავიდან-ბოლომდე მათი საკუთარი ქვეყანა. ქართველებმა ვალდებულება იკისრეს მტრისათვის გზა ეჩვენებინათ. მუსტაფა წინ მიიწვედა, თუმცა დიდი და-

ბრკოლებით, თავისი ახალი მეგობრით, გზის მჩვენებელი მანუჩარით, რომელიც თან წაიყვანა“⁴. ლალა ფაშას მიერ მანუჩარის ქართლში წაყვანას ქართული წყაროებიც ადასტურებენ. „სამცხის მატინის“ ცნობით, „ახალქალაქიდან ფაშა და პატრონი მანუჩარ ქართლს წავიდეს“. იგივეს გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი⁵.

ვახუშტის მიხედვით ლალა ფაშას მანუჩარი თან ახლდა შირვან-აზერბაიჯანზე ლაშქრობის დროს⁶. როდესაც მანუჩარის ოსმალებისადმი მიმხრობა და, უფრო მეტიც, სპარსეთის საწინააღმდეგო ომში მისი მონაწილეობის შესახებ შეიტყვევს შაჰის კარზე, პრობლემები შეექმნა იქ მყოფ თვალშეწიერს, მანუჩარის უმცროს ძმას – იგი 26 აგვისტოს დააპატიმრეს⁷.

შირვანიდან მობრუნებულმა ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი მუხრანიდან სამცხეში გაუშვა, სადაც 1578 წლის 4 ოქტომბერს მივიდა⁸, ალბათ, შემდგომი გარკვეული მოქმედებისათვის ათაბაგ ყვარყვარეს და დედისიმედის შესამზადებლად. სამშაბათს ლალა მუსტაფაც ჯართან ერთად მივიდა აწყურში⁹ და „გაღმა ლეკზე დადგა“. ყვარყვარე დიდ ვეზირს მიეგება, ხუთშაბათს დედისიმედიც ეახლა¹⁰.

საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ტ. მინალომ ქართლიდან სამცხეში მობრუნებულ ლალა ფაშასა და ათაბაგის ოჯახის ურთიერთობაზე. ლალა ფაშა ალთუნყალასთან, იმ ციხე-სიმაგრესთან გაჩერებულა, სადაც იმ ჟამად დედისიმედის სამყოფელი იყო¹¹: „ქერივი თავისი უფროსი შვილით ალექსანდრეთი (ყვარყვარე – ე.მ.) ჩამოვიდა ციხე-კოშკიდან, მონახულა მუსტაფას შტაბი ძღვენებით და დაჰპირდა მას ერთგულებას და მორჩილე-

1 Don Juan de Persia., p. 68 v.

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 50; ვახუშტი, გვ. 722.

3 ვახუშტი, გვ. 722.

4 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 50. თვალშეწიერზე იხ. აქვე, გვ. 385-386. შენ. 6.

5 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 51.

6 იქვე, გვ. 50-51. ანონიმი ვენეციელის მიხედვით, მანუჩარი, ყვარყვარე და დედისიმედი იმყოფებოდნენ ოძრხეში (გვ. 34), მინალოის მიხედვით კი, ალთუნყალაში (გვ. 65).

7 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 51.

8 ღონ ხუან დე პერსია ალთუნყალას (ოქროს ციხე) საათაბაგოს დედაქალაქად მოიხსენიებს (**Don Juan de Persia., p. 67 v**).

1 იქვე, გვ. 165. ქართლია ცხოვრება, IV, გვ. 722, ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 268-269.

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 166.

3 ანონიმი ვენეციელი, გვ. 24.

ბას. მუსტაფამ თავაზიანად მიიღო და აცნობა როგორ კარგად ეპყრობოდა მანუჩარს, რომელიც მას შირვანში გაჰყვა. იქვე მყოფმა მანუჩარმა ეს მტკიცებანი დაადასტურა. ჰფარავდა რა მტრობას ალექსანდრეს (ყვარყვარეს – ე.მ.) მიმართ, მუსტაფამ გულში ჩაიკრა იგი და ქვრივის სთხოვა ეს შვილიც მასთან დაეტოვებინა, არწმუნებდა, რომ ისიც და ალექსანდრეც კმაყოფილნი დარჩებოდნენ, რადგან მან ორივე უნდა გააგზავნოს (სულთან – ე.მ.) მურადთან, თან გააყოლებს მათი მორჩილების განცხადების სიგელს, (მათ სამფლობელოებზე – ე.მ.) ჯარის გავლის დროს ხელის შეწყობისა და საერთოდ, მათი დამსახურების შესახებ, რათა სულთანმა ღირსეულად მიიღოს ისინი და თავისი წყალობით გაამდიდროსო. ქვრივმა, შინაგანად, დანადგლიანებულმა და შეწუხებულმა, სახეზე სრული კმაყოფილება და თავაზიანი მზადყოფნა გამოხატა დაუთმოს ის რაც იძულებული იყო აუცილებლად დაეთმო, ვინაიდან მეორე შვილი უკვე მუსტაფას ძალაუფლებაში იყო. ქვრივმა დაუტოვა რა ორივე შვილი მუსტაფას, თვით თავისთან დაბრუნდა¹. მუსტაფამ ორი დღე დაისვენა და ყარსისკენ წავიდა. პირველ დღეს ახალციხეში (ქვრივის სამფლობელოში) შეჩერდა, „სადაც მას შეძლებისდაგვარად, უზრუნველი პირობები შეუქმნეს“².

„მესხური მატანიის“ მიხედვით, ყვარყვარე თავისი ნებით კი არ წაჰყვა ლალა ფაშას, არამედ მოტყუებით წაუყვანიათ, მას რაღაც მანძილით უნდა გაეცილებინა ოსმალები. როცა იგი აღარ დაბრუნდა, შემოფოთებული დედისიძემ დაედევანა ოსმალებს, მაგრამ ვერ მიეწია, მერე ერთგული აზნაურიშვილები დაადევნა, მაგრამ ვერც ისინი გახდნენ რასმე. როგორც შემდეგში გაირკვა, ლალა ფაშას ყვარყვარე ოლთისის სანჯაყ-ბეგად დაუნიშნავს. საინტერესოა, რომ მანუჩარიც ოლთისში იმყოფებოდა³.

თუ „მესხური მატანიში“ მოთხრობილ ამბავს ვერწმუნებით, მაშინ გაუგებარი იქნება, რატომ დასჭირდა ლალა ფაშას მოტყუებით წაეყვანა ყვარყვარე ათაბაგი და ოლთისის სანჯაყ-ბეგად დაენიშნა. ამის გაკეთება მას სხვა ფორმითაც ხომ შეეძლო? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „მესხური მატანიის“ შემდგენელს სურს დამალოს ლალა ფაშასთან გარბევის არასასურველი ფაქტი. ათაბაგის ოჯახის წევრების ოსმალებთან

შეთანხმება ლალატად მიიჩნია სპარსეთის ტყვეობიდან ახლადდაბრუნებულმა ქართლის მეფე I-მა და მათ წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო. ცნობილია, რომ ის ყველგან ებრძოდა და სდევნიდა ოსმალების მომხრეებს საქართველოში. სწორედ ამით უნდა აიხსნას მის მიერ დედისიძემის ძმის, ვახტანგის შეპყრობა და კეხვის ციხეში ჩასმა. მეფის ამგვარი მოქმედების საპასუხოდ ლალა ფაშამ მანუჩარი ორჯერ გაგზავნა ოსმალთა ჯარით ქართლის წინააღმდეგ. მართალია, მანუჩარმა პირველად წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ მეორედ ზემო ქართლი დაარბია¹.

1579 წლის 23 მარტს მანუჩარი არზრუმს წავიდა, სადაც ის ყვარყვარეს შეხვდა და 20 აპრილს, ორშაბათს, ორივენი კონსტანტინოპოლს გაემგზავრნენ². ისინი დანიშნულების ადგილზე მივიდნენ იმავე წლის 3 ივნისს. ყვარყვარე და მანუჩარი 9 ივნისს სულთანმა მიიღო. ძმებმა მას საჩუქრები მიართვეს და, სავარაუდოა მძევალიც (ძმისშვილი ან დისშვილი) მიუყვანეს, რომელიც 10-12 წლისა ყოფილა. ის მაშინვე გაამამაჰმადიანეს და სერალში მოათავსეს³.

1579 წ. 15 ივლისს მანუჩარი და ყვარყვარე ოსმალეთის სატახტოდან სამშობლოში წამოვიდნენ⁴. არასწორია „მესხური მატანიის“ ის ცნობა, თითქოს ყვარყვარე მარტის თვეში დაბრუნდა სამცხეში. ამავე წყაროს მიხედვით, ძმები არზრუმიდან კონსტანტინოპოლისაკენ გაემართნენ 1579 წ. 20 აპრილს⁵, რაც თავისთავად შეუსაბამოაა. გერმანელი მისიონერი შვეიგერი⁶ და საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში აღნიშნავენ, რომ ძმები იქ მივიდნენ 1579 წლის 3 ივნისს⁷. შვეიგერის მიხედვით, „1579 წლის 3 ივნისს, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა ორი ქართველი თავადი, დაახლოებით 150 კაცის თანხლებით⁸. მათ შესახვედრად სკუტარში ორი გალერა გაგზავნეს, რაც საგანგებო პატივისცემის ნიშანი იყო. ასეთი პა-

1 იქვე.

2 იქვე, გვ. 52.

3 Charrière E., *Op. Cit.*, III, p. 807-808.

4 Porsius H., *Op. Cit.*, p.182.

5 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 52.

6 ნათაძე გრ., საუკუნის სიღრმიდან. XVI საუკუნის გერმანელი მისიონერი-მოგზაური საქართველოს შესახებ, „დროშა“, 1961, №11. გვ. 6-7.

7 Charrière E., *Op. Cit.*, III, p. 807.

8 ნათაძე გრ., საუკუნის სიღრმიდან, გვ. 7.

1 Minadoi T., p. 103-104.

2 Ibidem, p. 104.

3 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 51.

ტივი ამ ქვეყნიდან ჩამოსული არც ერთი ელჩისათვის არ უციათ¹. ვენცლავ ბულოვიცის 1580 წელს კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ 3 ივნისს დიდი და ბრწყინვალე, 200 კაციანი ამალით მივიდნენ ძმები კონსტანტინოპოლში, სადაც თურქებმა საზეიმო მიღება მოუწყეს².

მათთან შესახვედრად მისულან, აგრეთვე, საბერძნეთის (რუმელიის ბეგლარბეგი), რაგუზის, ვლახეთის და მოლდავეთის ელჩები³. სხვა გერმანული ცნობითაც ძმები 3 ივნისს მივიდნენ კონსტანტინოპოლში.

ქართველთა ამაღლას წინ მიუძღოდა სამი სპარსულ ოქროქოვილ ტანსაცმელში გამოწყობილი მხედარი. სინცენდორფის ვარაუდით წინ მიმავალი მხედარი ყველასაგან გამორჩეული და მნიშვნელოვანი პირი – მანუჩარ-ბეგი უნდა ყოფილიყო⁴. სინცენდორფს 4 ივნისს უკვე სცოდნია, რომ „სულთანს განზრახული ჰქონდა მანუჩარ-ბეგი ისევ უკან დაბრუნებინა საქართველოში, რათა ძალით თუ ნებით ახლო-მახლო რაიონებში დაეწესებინა ბეგლარ-ბეგობა. ხმა დადის თითქოს ყვარყვარე-ბეგი პორტაში ყავთ დაკავებული და შინ არც ისე იოლად გაუშვებენ“⁵.

ტომაზო მინადლი საინტერესოდ გადმოგვცემს მანუჩარისა და ყვარყვარეს სულთნის კარზე ყოფნის ამბავს, მათს სწრაფვას სულთნისაგან მიეღოთ რაც შესაძლებელი იყო მეტი პრივილეგიები და მამულები. იქვე ისიც არის აღნიშნული, რომ ყვარყვარე, მანუჩართან შედარებით ზომიერებას ამჟღავნებდა. მინადლი იმასაც საზგასმით ამბობს, რომ ყვარყვარე, თავისი მიზნების მიღწევისათვის ქრისტეს სჯულის დათმობას არ აპირებდა და არც დათმო: „ამ დროს კონსტანტინოპოლში მუსტაფას მიერ მურადთან გამოგზავნილი ქართველი ორი ძმა, ქვრივის შვილები ელოდებოდნენ თუ რა შედეგამდე მიიყვანდა მათ პორტაში გაგზავნა. რაც შეეხება ალექსანდრეს (ყვარყვარე – ე.მ.), მას იმედი ჰქონდა, რომ [უფროსს] ასაკის გამო კიდევ უფრო გაუფართოვებდნენ უფლებებს, მით უმეტეს, რომ დედამ უკვე მის განკარგულებაში გადასცა სამფლობელო-

ბი, და იმედიც კი ჰქონდა თავისი უფლებების განმტკიცებისა. ამასთანავე მანუჩარიც დაკმაყოფილებული იქნებოდა მურადის სიდიადის ღირსი რაიმე საშუალებით და თუ კი ამ იმედებზე მას რაიმე ეჭვი უჩნდებოდა, მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სარწმუნოების გამოცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, არ შეიძლება ლაქა მოსცხოს თავის სულს ამგვარი სასირცხვილო სულმდაბლობით. უმცროსი მანუჩარი, რომელმაც გასულ წელს მუსტაფასთან ლაშქრობის ცხოვრება გაიზიარა და მეომრისათვის დამახასიათებელი მეომრის აშკარა თვისებები გამოამჟღავნა, პირიქით, მოხიბლული იმ აზრით, რომ შესაძლებლობა ეძლეოდა დედის მამულების მფლობელობაში შესვლისა და მბრძანებლად განდომისა, გადაწყვიტა მიემართა ყველაფრისათვის, ოღონდ უბრალო ჯარისკაცად არ დარჩენილიყო. ნურც მიხედავს ძმის პირშობობას გამოსტაცოს მეპყვიდრობა, მშობლიური სარწმუნოების დაკარგვის ფასად მიაღწიოს ზრწნად და ამაო სიმდიდრეს, მაგრამ არამც და არამც დაუთმოს ძმას, გინდ მურადის და სატანის მსახურად განდომა მოუხდეს. და შეიძლება სწორად ფიქრობენ ზოგიერთნი, რომ მას მუსტაფასთან საიდუმლო შეგონება ჰქონდა ძმის საზიანოდ და დასაღუპად“. როცა ძმებს ისლამის რჯულის მიღება შესთავაზეს, მანუჩარი მაშინვე დათანხმდა, ყვარყვარემ კი, პირიქით, უარი განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე, მხოლოდ ის ითხოვა, რომ „არ ეთქვათ უარი დამარხულიყო მშობლიურ მიწაზე თავისი პაპების ფერფლის გვერდით, მურადს მორჩილება, ძმას კი სიყვარული და პატივისცემა დაპირდა“. ტ. მინადლის თქმით, სულთანს მანუჩარის თანხმობა სარწმუნოების შეცვლაზე აწყობდა, რადგან იგი მისთვის სასურველი კანდიდატი იყო. მას ეშინოდა, რომ ყვარყვარე მანუჩარის მოკვლას შეეცდებოდა და აღსდგებოდა თუ არა თავის უფლებებში, საათაბაგოს უფრო ურჩობის გზაზე დააყენებდა. „ამგვარად, მანუჩარს შეუსრულეს წინდაცვეთა, მიიღო სახელი მუსტაფა, ფაშის ტიტული და ალთუნყალას გუბერნატორობა და დედისა და ძმის ყველა მამული. სერალი ზეიმობდა. ალექსანდრე გადასცეს ძმას ხელში, რომელიც ახლა თურქი განდა. ორივე სახლისაკენ გაემართნენ“¹.

მანუჩარის იმგვარად განდიდება, როგორც ტ. მინადლი გადმოგვცემს, არ მიესადაგებოდა ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესს: ოსმალებს პო-

1 Minadoi T., p. 124-126.

1 Charrière E., Op. Cit., III, p. 807.

2 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 221-222.

3 Charrière E., Op. Cit., III, p. 807.

4 ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 133.

5 იქვე, გვ. 134.

ლიტიკურად დასუსტებული სამცხე უნდოდათ და არა გაერთიანებული, თუნდაც საბეგლარბეგო. ამიტომ უფრო სრული და სიმართლეს შემცველი უნდა იყოს თურქული წყარო, რომელშიც ნათლად ჩანს სულთნის ბრძანებით როგორ დაანაწილეს საათაბაგო ათაბაგის ოჯახის წევრებს შორის: „ქაიხოსროს შვილთაგანს ზემოხსენებულ მელიქ მანუჩარს – აწყურის სანჯაყი, მის ძმას მელიქ ყვარყვარეს ძველთაგანვე მისი დაბადების ადგილი – ოლთისის¹ სანჯაყი და სხვა მის ძმებს – დიდი ზეამეთები და მათ დედას ზემოაღნიშნულ დედისიმედს – სამი სოფელი – სახასო მამული“². იმავე წყაროს მიხედვით, მანუჩარი მაინც განსაკუთრებით გამოარჩიეს და გაუგზავნეს ბედნიერების სხვადასხვა ნიშნები – სამეფო დროშა და სულთნის მიერ ნაჩუქარი დაფი და ნალარა. მანუჩარმა ლალა ფაშას სახელი – მუსტაფა დაირქვა. მას ეწყალობა ოქროს უნაგირი, ვერცხლის რახტი და სრული მოწყობილობის კარავი, „განსაკუთრებით კი სანუკვარი ხალათები და საფადიშაჰო დროშის შესაბამისად ნაირნაირი პატივისცემით იქნა შეწყალებული“³.

შარაფ-ხან ბიდლისის თქმით, „მანუჩარმა, ყვარყვარე გურჯის შვილმა⁴, ახალციხის გამგებელმა, მორჩილება გამოაცხადა და მასთან ერთად ისლამის მიღების პატივის ღირსი გახდა ქართველ აზნაურთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. სამემკვიდრეო სამთავრო მას იქტა-თამლიკის უფლებით ეწყალობა“⁵. იქტა-თამლიკი გულისხმობდა მიწის წყალობას საკუთრების სრული უფლებით⁶.

საფრანგეთის ელჩის მ. ჟუიეს მიერ 1579 წლის 4 ივლისს კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ 25 ივნისს მოხდა წინდაცვეთა, ე.ი. „ქართველის გათურქება“. ჟუიეს წერილის კომენტა-

1 ოლთისი ოსმალებმა XVI ს. 40-იან წლებში დაიპყრეს. ერთი შეხედვით ყვარყვარეს დაკარგული მამა-პაპეული მიწა დაუბრუნეს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ოსმალებს უკვე თავისად მიაჩნდათ როგორც ოლთისი ისე მთელი სამცხე.

2 სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს., გვ. 111.

3 იქვე.

4 მანუჩარი შვილი იყო ქაიხოსრო II-ს და შვილიშვილი ყვარყვარე III-სა.

5 Шараф-хан Бидлиси, с. 235.

6 გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1956, გვ. 164.

ტორი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ დედოფალ დედისიმედის შვილმა ისლამი, სახელი მუსტაფა და ჩილდირის ფაშობა მიიღო¹.

მანუჩარის წინდაცვეთა მოხდა სტამბოლში 1579 წლის 25 ივნისს. ამასთან დაკავშირებით დიდი ზეიმი მოეწყო იპოდრომზე. მანუჩარი ჩილდირის ბეგლარბეგად დაინიშნა².

მანუჩარის მიერ ისლამის მიღებასთან დაკავშირებით არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით მანუჩარი ჩილდირში, ლალა ფაშას ბანაკში ეზიარა ისლამს და იქ მოხდა მისი წინდაცვეთა, რაც დამყარებულია აბუბექრის ერთ ცნობაზე. აქედან ვიგებთ: „როდესაც ზემოაღნიშნულმა მანუჩარმა ისლამის სარწმუნოების სიწმინდე და სიძლიერე იგრძნო... მთელი გულით მიენდო ამ რწმენას, [მაჰმადის რჯულს] ეზიარა, სახელად მუსტაფა უწოდეს და ოლთისის ლივა სანჯაყად უბოძეს“³.

აბუბექრის თხზულების ქართული თარგმანში (აბუბექრი არ უთითებს მანუჩარის გამაჰმადიანების კონკრეტულ დროსა და ადგილს), მანუჩარის მიერ რჯულის შეცვლა მიბმულია 1578 წლის 10 აგვისტოს მანუჩარის ჩილდირთან ოსმალთა ბანაკში მისვლასთან. კონტექსტის მიხედვით, აბუბექრი მანუჩარის მიერ ისლამის მიღებას აღნიშნავს, როგორც ფაქტს, რომელიც სხვა დროს მოხდა. მანუჩარი ოფიციალურად და საზეიმოდ გამაჰმადიანდა ერთხელ – 1579 წლის 25 ივნისს სტამბოლში და არა ორჯერ – ერთხელ ჩილდირში და მეორედ სტამბოლში, როგორც მ. ილუ-რიძე ფიქრობს⁴.

საინტერესოა შვეიგერის, რომელიც მანუჩარის მიერ ისლამის მიღების დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, გადმოცემა: „და აი, როდესაც ორივე ძმამ თავადებმა საკმაო დრო დაჰყვეს სასახლეში და მათი სურვილი შეუწყნარებლად იყო დატოვებული და მათ გამოუცხადეს, რომ სულთანს გადაწყვეტილი აქვს, საბოლოოდ ჩამოაყალიბოს სანჯაყი... მათ ქვეყანაში, ან დანიშნოს იქ ქვეყნის მმართველი, მაშინ უმცროსმა თავადმა

1 Charrière E., *Negociations de la France dans le Levant et correspondences, memoires et actes diplomatiques*, III, p. 807, შენ. 1.

2 *Ibidem*. p.807; Minadoi T., p. 124-126; Porsius H., *Op. cit.*, 182. ჩილდირის საფაშოს დაარსების შესახებ იხ. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს., გვ. 125-135.

3 აბუბექრი, გვ. 35.

4 განსხვავებული მოსაზრება იხ. აბუბექრი, გვ. 22-23.

(მანუჩარმა – ე.ძ.), მმართველობის სიხარბით და ეშმაკის ჩაგონებით, საზიზღარ თავგანწირულ საშუალებას მიმართა. მან განაცხადა ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფის და წინდაცვეთის თანხმობა, თუ მას მმართველად დანიშნავენ, რადგან აუსრულდა მას მისი სურვილი, იგივე წესი ჩაატარებინა 10 წლის ყრმას – თავის ღვიძლ შვილს...⁴¹

ავსტრიის ელჩი ვენცესლავ ბულოვიცი² კონსტანტინოპოლში პირადად გაეცნო ყვარყვარე ათაბაგს. ყვარყვარეს, გერმანელთან საუბარში, ინტერესი გაუმჟღავნებია გერმანიის ეკლესიის მდგომარეობის შესახებ და საკმაოდ დაწვრილებით გამოუკუთხავს. შეკითხვებზე ბულოვიცს თარჯიმნის საშუალებით მოკლედ უპასუხია. ბულოვიცს ყვარყვარესთვის უჩუქებია ბაზელში ბერძნულ ენაზე გამოცემული წიგნი „აუგსბურგის აღსარება“, რომელზეც წარწერა გაუკეთებიათ ელჩისა და ბულოვიცს. „მიიღო რა კეთილგანწყობით ეს წიგნი, მან მაშინვე უბრძანა ეთარგმნათ იგი თავის, იბერიულ, ენაზე, თანაც დაძვირდა, რომ ამ თარგმანს ბერძნულ წიგნთან ერთად თან წაიღებდა“³. ბულოვიცის ნათქვამს შევიგერიც ადასტურებს და მისგან დამტკებით ვიგებთ, რომ ყვარყვარეს ავსტრიის ელჩისათვის მიურთმევია 60 ლუკატის ღირებულების ოქროს ნივთი, ელჩს კი, თავის მხრივ ყვარყვარე საათით დაუსაჩუქრებია. ყვარყვარეს და ელჩს კონსტანტინოპოლში ერთმანეთთან მომოსვლა ჰქონდათ. შეხვედრებისას ყვარყვარე ელჩს მოუთხრობდა თავისი ქვეყნის წეს-ჩვეულებებსა და სარწმუნოების შესახებ. შევიგერის აღწერის მიხედვით, ყვარყვარე ფიზიკურად დიდი კაცის და ვაჟკაცის შთაბეჭდილებას ახდენდა. გერმანელს ყვარყვარეს პორტრეტზე დაუხატავს და მისი პორტრეტი 1608 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში მოუთავსებია. ყვარყვარე 1579 წელს 30 წლისა ყოფილა⁴. სამშობლოში დაბრუნებულ ყვარყვარეს დიდხანს აღარ უცოცხლია. „მესხური მატიანის“ მიხედვით ის 1581 წ. 25 ნოემბერს გარდაიცვალა. იმავე დღეს გარდაიცვალა არჩილ მუხრანბატონი. მატიანეში საოცრად ლა-

კონურად, მშრალად, მიზეზზე მითითების გარეშე აღნიშნეს ამ ორი მნიშვნელოვანი მოღვაწის გარდაცვალება: „ქ კნს სდთ, გიორგობისთუჴს კე პატრონის ყ რყრეს და პატრონის არჩილისაგან ღ თი გარისხდა“⁴¹.

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 54. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 526; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 723; ქრონიკები, II, გვ. 419. თ. ჟორდანიას რატომღაც მიაჩნდა, რომ არჩილი გარდაიცვალა სპარსეთში 1582 წელს. (ქრონიკები, II, გვ. 527). როგორც ითქვა, არჩილი იყო ბაგრატ მუხრანბატონის და ელენეს შვილი, ძმა დედისიმედისა. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოღწეულია ფრაგმენტული ცნობები. 1559 წლის 23 მარტს შეეძინა ვაჟი ერეკლე (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 36) არჩილს ეს ერთადერთი შვილი ჰყავდა.

1573 წელს „სპარსთა შეიპყრეს მეფის კონსტანტინეს ძის ძე არჩილი დედაწულით და წარიყვანეს ყაზმინს“; „ღუინობისთუ ს, ოცდაორს, დღესა ზუთშაბათსა, ბატონი არჩილ შირაზს გაგზავნეს ყაზმინიდაძა, ქ კსა ს ა“ (იქვე, გვ. 41). როგორც ჩანს, არჩილი ირანში ცოლშვილთან ერთად ყოფილა (იქვე, გვ. 45), მაგრამ წყაროებში აღნიშნული არ არის მისი ირანში წაყვანის მიზეზი. არჩილისა და მისი შვილის ცხოვრება ნათელს ხდის, რომ მუხრანბატონი სვიმონ მეფის მომხრე იყო და მასთან ერთად ებრძოდა ყიზილბაშებს. მათ ამიტომ უნდა შეეპყროთ არჩილი.

ვიდრე ქაიხოსრო ათაბაგი ცოცხალი იყო და ყაზვინში ცხოვრობდა, არჩილიც ამ ქალაქში ყავდათ, შეიძლება საპატიო პატიმრობაში. ათაბაგის გარდაცვალების შემდეგ (1473 წ. 29 სექტემბერი), იმავე წლის 22 ოქტომბერს შირაზში გაგზავნეს (ქართლის ცხოვრება, II, ცხ., გვ. 514).

შაჰ ისმაილის გამეფების, სვიმონ I-ის ალამუთის ციხიდან განთავისუფლების და მისთვის საძეგო ტახტზე აღდგენის ამბავი როცა მოვიდა, „იმავე წელს (1576) ივნისსა ათაბაგი ყუარყვარე, და ძმა მათი მანუჩარ, და ბიძაშვილი მათი, მუხრანის ბატონის არჩილის შვილი, პატრონი ერეკლე მგელციხეს წაიღეს ყანთან ელჩის გასაგზავნელად“ (ქართლის ცხოვრება, II, ცხ., გვ. 518). მაგრამ არ ჩანს მოხერხდა თუ არა ელჩის გაგზავნა. იმავე დღეებში, ფაქტობრივად დაიწყო ოპოზიციონერი თავადების აჯანყება ჯაყელ-ციხისჯვრელთა წინააღმდეგ. სავარაუდოა, ყვარყვარეს და მანუჩარს ბიძის, სოლო ერეკლეს კი – მამის განთავისუფლება შაჰისათვის უნდა ეთხოვათ. ძნელია თქმა, მათმა თხოვნამ გაჭრა თუ არა, მაგრამ ივნისში (ივანობისთვე) არჩილი შირაზიდან ყაზვინში დააბრუნეს ცოლშვილიანად (იქვე, გვ. 519). უფრო საგულისხმოა, რომ მისი ტყვეობიდან განთავისუფლების საფუძველი, სვიმონ მეფისადმი ერთგულება, თანადგომა და ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლო განწყობილება იყო. ალბათ სვიმონ მეფემ შაჰს სთხოვა არჩილის მასთან ერთად საქართველოში გაშვება.

მამის მსგავსად, სვიმონ მეფისა და მისი ოჯახისადმი ერთგულებას იჩენდა ერეკლე. ქართლის მეფე სპარსეთიდან ჯერ არ დაბრუნებულყო, მისი ოჯახი გაჭირვებაში ცხოვრობდა. „წარვიდა მუხრანის ბატონის არჩილის შვილი ერეკლე სურამს ნესტანდარეჯან ქართლის დედოფალთანა. დედოფალი ღარბად იყო, მისთან სამყოფელად ჩავიდა“ (იქვე, გვ. 521). მიუხედავად იმისა, რომ, არჩილის ძმამ ვახტანგმა (ერეკლეს ბიძამ), ელისბარ ერისთავმა და ბარძიმ ამილახორმა ლალა-ფაშასთან მორიგება შეს-

1 ნათაძე გრ., საუკუნის სიღრმიდან, გვ. 7.

2 წერილიდან ჩანს, რომ ბულოვიცი გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი იყო და არა პოლონეთისა, როგორც ი. ტაბალუა ფიქრობდა.

3 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 222. ბულოვიცის ნათქვამს შევიგერიც ადასტურებს

4 ნათაძე გრ., საუკუნის სიღრმიდან. XVI საუკუნის გერმანელი მისიონერი-მოგზაური საქართველოს შესახებ, გვ. 7.

იმის გასარკვევად თუ როდის შეიქმნა ჩილდირის საფაშო და რა თანამდებობა უბოძა სულთანმა მანუჩარს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1579 წლის 9 დეკემბერს (ჩილდირის ბრძოლის წლისთავზე) ჩილდირის ბეგლარბეგის მანუჩარყოფილი მუსტაფას სახელზე გაცემულ ჰუქმს. იგი დაიწერა დიდვზირის, მუსტაფა ლალა ფაშას მიერ სულთანთან გაგზავნილი წერილის საფუძველზე. დოკუმენტში აღნიშნულია მანუჩარის დამსახურება ოსმალეთის სახელმწიფოს წინაშე, რაც გამოიხატა იმაში, რომ ჩილდირთან მომხდარი ბრძოლის მეორე დღეს მანუჩარი და მისი ძმა ყვარყვარე ლალა მუსტაფა ფაშასთან მივიდნენ. ამის შემდეგ მაღალ პორტას ეახლა მანუჩარი, ისლამი მიიღო, სახელი შეიცვალა და მუსტაფა დაირქვა, რის შემდეგ ჩილდირის ბეგლარბეგობა ებოძა. ლალა ფაშას წარდგინებით შეიქმნა დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილი იყო ის ადგილები, რომლებზეც მანუჩარ-მუსტაფას გამგებლობა გავრცელდებოდა¹. როგორც ჰუქმიდან ჩანს, მანუჩარმა თავისი საგამგებლო ზოგიერთი ადგილი თვითონ ჩააწერინა რაც შემდეგში სულთანმა შეცდომად ჩათვალა და 1579 წლის 9 დეკემბრის ჰუქმით გაასწორა².

დამოწმებული ევროპელი ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ გამუსლიმანებულმა მანუჩარმა ფაშობა³ მიიღო, რითაც იგი ოსმალეთის სახელმ-

ლეს, ერეკლე მაინც ოსმალებს ებრძოდა (იქვე, 523).

შაჰ მოჰამედ ხუდაბენდეს მიერ განთავისუფლებულ სვიმონ I-თან ერთად დაბრუნდა დაავადებული არჩილი და თან მოიყვანა სპარსელთა ტყვეობიდან დახსნილი მრავალი ქართველი (ქრონიკები, II, გვ. 417). ლალა-ფაშა ქართლში იდგა. სომხეთში მოსულ არჩილს ოსმალთა სარდალთან მოლაპარაკება განუზრახავს, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ მოუხერხებია (იქვე, გვ. 50). 1581 წლის 4 აგვისტოს არჩილი სამცხეში მივიდა სადაც ღვინობისთვემდე დარჩა. ამ ამბავს დედისიმედი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „პატრონი არჩილ მობრძანდა აწყუ რს. დიდი ხნის უნახავნი და -ძმანი შევიყარენით“ (იქვე, გვ. 54). სულ მცირე ხნის შემდეგ, 25 ნოემბერს, არჩილი გარდაიცვალა (თ. ჟორდანიას რატომღაც მიაჩნდა, რომ არჩილი გარდაიცვალა ირანში 1582 წელს. ქრონიკები, II, გვ. 527). იმავე დღეს გარდაიცვალა დედისიმედის ვაჟი, ნათაბაგარი ყვარყვარე IV (იქვე; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 526; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 723; ქრონიკები, II, გვ. 419).

1 აბულაძე ც., სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან, გვ. 198.

2 იქვე, გვ. 202.

3 ოსმალური წყაროები სხვადასხვა გვარად განსაზღვრავენ ჩილდირის საფაშოს ტერიტორიებს; ერთის მიხედვით მასში გაერთიანებული იყო ახალციხის, არტანისა და ჭოროხის ყელზე მდებარე მიწები, სხვა ცნობით კი, ოლთისსა და არტანის. იხ.

წიფოს მოხელე გახდა. მართალია, სულთნის ბრძანებით მისი საგამგებლო გაიზარდა, მან დამატებით მიიღო ოსმალეთის მიერ XVI ს. შუა ხანებში დაპყრობილი დასავლეთი სამცხე, მაგრამ როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მანუჩარი უკმაყოფილო დარჩა ოსმალეთის მიერ მისადმი დამოკიდებულებით. მანუჩარი ოსმალებთან ურთიერთობის დაწყებისას თვითონვე აყენებდა მათდამი მორჩილების ფორმას, სახელდობრ, რომ ოსმალეთის მოხარკე გახდებოდა. ეს კი ეწინააღმდეგებოდა სამცხის მიმართ ოსმალეთის საბოლოო მიზანს – სამცხის და, საერთოდ, საქართველოს სრულ ინკორპორაციას.

მანუჩარის ოსმალეთისადმი მიმზრობაზე საუბრისას არ გამოვიცხავთ იმ მომენტს, რომ მას ნამდვილად ჰქონდა განზრახული ოსმალებზე დაყრდნობით გამხდარიყო მთელი სამცხე-საათაბაგოს ერთადერთი მბრძანებელი და პატრონი. არც იმის გამოვიცხავთ შეიძლება მანუჩარი, მოსაჩვენებლად, გარკვეულ დრომდე, უერთგულებდა ოსმალებს, მიიღებდა მთელ სამცხეს ერთპიროვნულ მფლობელობაში და უფრო მოხერხებულად იზრუნებდა თავისი სამთავროს გადარჩენისათვის.

მანუჩარს ოსმალებისადმი უკმაყოფილების საფუძველი ჰქონდა: მან ფაქტობრივად ვერაფერი მიიღო. აღმოჩნდა, რომ მანუჩარს ძმასთან ურთიერთობის გაფუჭების, გამუსლიმანებისა და მოღალატის რეპუტაციის სანაცვლოდ შერჩა მხოლოდ სულთნის მოხელის თანამდებობა, რომლის დაკარგვა შეიძლებოდა სულთნის ყოველი კაპრიზის შედეგად.

მანუჩარმა დაინახა, როგორ იოლად გამოვიდა რთული მდგომარეობიდან მისი ძმა ყვარყვარე. მან მხოლოდ თხოვნით დააღწია თავი სულთნის პრეტენზიებს. ყვარყვარემ ქრისტიანობაც შეინარჩუნა და ძველი სამფლობელოები არამცთუ შეუმცირეს, არამედ გაუფართოვეს კიდევ. „მესხურ მატთანში“ ნათქვამია: „პატრონი ყრყრე ღთის წინაც შეურცხუწნელი და კაცთანაც ფალავანი დაეცა ხუანთქართანა – და ქართველობით გამოეშუა, მისის საბადლონოს წყალობად ექნა [ხონთქარს] და მარტში მობრძანდა“⁴. ვახუშტი ბატონიშვილი „მესხური მატანის“ ზემომოყვანილ ცნობას გადმოგვცემს შემდეგნაირად: „ყუარყუარესათუჲს ხონთქარს ფალავანი ერკინა, ყუარყუარეს დაეცა. ამისთუჲს ქრისტიანობით გამოეშუა და

სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 131-132.

1 სამხრ. საქ. ისტ. მასალები, გვ. 53.

თვისი საბატონო მოეცა“¹ ქართულ ისტორიოგრაფიაში ქრონიკის ეს ცნობა გაგებულა ისე, როგორც ვახუშტიმ შემოგვთავაზა: ყვარყვარემ ჭიდაობისას დასცა სულთნის ფალავანი და ამის გამო შეიწყალეს იგი².

ვფიქრობ ქრონიკის ტექსტი უნდა გავიგოთ ასე: ყვარყვარე ათაბაგი ღმერთთან უცოდველი და კაცთან ფალავანი დაეცა სულთნის წინაშე, რათა მისთვის ქართველობა (ქრისტიანობა) შეენარჩუნებინა. როდესაც მურად III ყვარყვარეს უდრეკ ხასიათს წააწყდა, დაყოლა ამჯობინა, ყვარყვარეს დასჯის შემთხვევაში მისი სამფლობელოები მანუჩარს უნდა გადასცემოდა, რასაც სულთნის გეგმა არ ითვალისწინებდა. ქრისტიანად დარჩენილი ყვარყვარე IV-ის მშვიდობიანად სამშობლოში გამოშვებით ძმებს შორის გარკვეულ ძალთა წონასწორობას შეიქმნებოდა ოსმალეთისათვის ამ მნიშვნელოვან რეგიონში.

მანუჩარის უკმაყოფილება ოსმალთა მიმართ განსაკუთრებით გაიზრდებოდა, როდესაც მას სამფლობელოები კიდევ უფრო შეუმცირეს და საათაბაგოში თავისუფალი მოქმედების უფლებაც შეუკვეცეს, რაც აისახა სულთან მურად III-ის ზემოთ დასახელებულ ჰუქში. სულთანი სწერს: „კეთილშობილმა დესთურმა, ჩემმა ვეზირმა მუსტაფა ფაშამ... წერილი გამოგზავნა. მანამდე ზემოხსენებული ჩემი ვეზირი როცა თქვენს მხარეში მოვიდა, შენ და შენი ძმა მასთან მიხვედით და რადგან სრული მორჩილება გამოუცხადეთ, თქვენი მდგომარეობა გამოასწორეთ. როდესაც ხელთ მოგცეს უავგუსტოესი ფირმანი, ჩემი ბედნიერების კარზე გამოცხადდით, ვინაიდან წმინდა ისლამით გაპატიოსნდი, ჩილდირის სახელით ცნობილი ოლქის ბეგლარბეგობა გეპოდა და თქვენივე კარნახით ზოგიერთი ადგილი თქვენს ბერათში ჩააწერინეთ. ჩემი ღვთივდაცული ქვეყნის მიერ გმირულად დაპყრობილ ადგილთაგან ზოგიერთში შეჭრა, რადგან არ გაგვაგებინე, საჭირო გახდა შენი ბერათის შეცვლა... ერთი სიტყვით, ზემოხსენებული ჩემი ვეზირის მიერ გამოგზავნილ დავთარში [ჩაწერილი] ადრე დაპყრობილ ხუთ ციხე-სიმაგრეში – ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისის, ასპინძისა და აწყურის სახელით ცნობილ ლივებსა და მათზე დაქვემდებარებულ ადგილებში ნუ შეიჭრები და ნუ იომებ, როცა დაპყრობისა და

დამორჩილების დრო დაგიდგება, თქვენს ხელში მყოფი 17 ციხისა და 141 სოფლის გარდა, სხვა ციხეებსა და სოფლებში ნუ შეხვალ და თავს ნუ დაესხმი“¹.

ამგვარად, კიდევ ერთხელ თავი იჩინა ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკამ. ის მამულები, რომელთა საზღვრებში მანუჩარს შეიარაღებული ძალით შესვლა ეკრძალებოდა, ჯავახეთში მდებარეობდა და იმ აჯანყებულ ფეოდალებს ეკუთვნოდათ, რომელთა ვინაობას, მთლად გასაგებად არა, მაგრამ მაინც, „სამცხის მატთან“ და ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობენ. ესენი იყვნენ შალიკაშვილები: ვარაზას (დედისიმედის მიერ მოკლულის) შვილები – კოკოლა და ლაშქარა, მათი ბიძა გუგაქი. შალიკაშვილებს მხარს უჭერდნენ: დიასამიძე ელია და მისი შვილები – ავთანდილი და შერმაზანი, ამატაკის შვილები – ამატაკ, აბულყაფარ, როსტომი და ამატაკის ძე სეხნია². ისინი ორიენტირებულები იყვნენ ყველა იმ ძალზე, რომელც მათ ინტერესებს დაიცავდა ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მნიშვნელობა არ ქონდა ეს ძალა სპარსეთი იქნებოდა თუ ოსმალეთი.

შაჰ თამაზმა თავისი ცოლის ძმის ვარაზა შალიკაშვილის მოკვლისათვის შურის საძიებლად როცა საათაბაგო აიკლო, დედისიმედი და მისი შვილები აჭარაში გადაიხვეწნენ, ხოლო შაჰმა სამცხე სულთანს დაუთმო, ვფიქრობ, ვახუშტი ბატონიშვილს სწორად აქვს შენიშნული ზემოთ დასახელებული სამცხელი თავადების ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობის დამყარების მცდელობა. მათი ამგვარი ნაბიჯი, გადაგებული იყო ჯაყელების წინააღმდეგ. მათ ათაბაგის ოჯახის სრულად ამოწყვეტა სურდათ, როგორც თვით შეთქმულნი იკვებდნენ³. მაგრამ შეთქმულთა გეგმის შესახებ მანუჩარმა შეიტყო და თავის ძმას, ათაბაგ ყვარყვარე IV-ს გააგებინა. ჯაყელებმა გაქცევით უშველეს თავს.

აჯანყებულებმა მარცხი განიცადეს, მაგრამ ისინი საბოლოოდ არ შეურიგდნენ ათაბაგს. როგორც ითქვა ოსმალეთის საათაბაგოში შეჭრამდე ყველამ თუ არა, ზოგიერთმა მათგანმა მაინც, ლალა ფაშასთან კავშირი

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 722-723.
2 სამხრ. საქ. ისტ. მასალები, გვ. 168; სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 130.

1 აბულაძე ც., სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან, გვ. 202-203.
2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 155; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 719.
3 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 44.

დაამყარა და თავიანთი ციხეების მისთვის უბრძოლველად გადაცემით, როგორც სულთნის ოქმიდან ჩანს, სიცოცხლე და მამულებიც ჯაყელების ხელყოფისაგან დაიცვეს¹. ჰუქმში ჩამოთვლილი ადგილები ჯაყელების მოწინააღმდეგეთა ციხე-სიმაგრეებია: ჩილდირი და თმოგვი – შალიკაშვილების, ხერთვისი – ამასტაკიშვილებისა, აწყური და ასპინძა – დიასამიძეების. სულთანმა ეს ფეოდალური გვარები თავის ხელდებულად გამოაცხადა, რაც ერთის მხრივ დასახელებული თავადების მიერ სულთნის კარისაკენ მიმავალი გზის მოძიებაზე მიგვიჩვენებს და, მეორეს მხრივ, სულთნის კარის მიერ ენერგიული ბეგლარბეგის – მანუჩარისადმი უნდობლობაზე, რაც ამ უკანასკნელის „უკმაყოფილების ფიალას“ ბოლომდე შეავსებდა.

საინტერესოა, როდის გაიგო მანუჩარმა ჰუქმში ჩამოყალიბებული სულთნის გადაწყვეტილება, რომელიც დათარიღებულია 1579 წლის 9 დეკემბრით. ამგვარად, წელი თითქმის დასრულებულია. თუ გავითვალისწინებთ სამცხისა და მისი სამხრეთ-დასავლეთის მიმდებარე ტერიტორიების რელიეფსა და კლიმატურ პირობებს, სავარაუდოა საქმის მსვლელობა 1580 წლის ადრეულ გაზაფხულამდე ვერ დაიწყებოდა. მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ის პროცედურაც, რომელიც ჰუქმით იყო გათვალისწინებული: ბრძანება გაეგზავნა ლალა მუსტაფა ფაშასთან კარაპისარში, არზრუმის მუჰარირს (მწერალს, მდივანს) – ომერს და არზრუმის დეკთერდარს. როცა იგი მანუჩარამდე მიაღწევდა, მას სულთნის მიერ ადრე ბოძებული „ბერათი“ უნდა გაეგზავნა ლალა ფაშასათვის, „რათა წინათ შენთვის მიზანშეწონილად მიჩნეული უავგუსტოესი ჰუქმის საფუძველზე გაცემული შენი ბერათი შესწორდეს და ისევე დაუბრუნდეს ჩემი ბედნიერების კარიბჭეს, რათა იმის მიხედვით ხელახლა გამოვცე წმინდა ბერათი“ – ბრძანებდა სულთანმა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სავარაუდოა, ახალი „ბერათი“ მანუჩარამდე საკმაოდ დროს შემდეგ მიაღწევდა. ამაზე იმიტომ ვამაზვილებ ყურადღებას, რომ გაირკვეს, როდის დაიწყო მანუჩარი ოსმალებისაგან განდგომას.

მანუჩარის მიერ ოსმალებისაგან განდგომის პირველი დაუფარავი ნაბიჯი იყო ქორწინება სვიმონ I-ის ასულ ელენეზე. მანუჩარის ქორწინება

ორჯერ არის აღნიშნული „მესხურ მატიანეში“ – ერთხელ 1581, მეორეჯერ კი – 1583 წელს.

1581 წლის თებერვალში მანუჩარის ქორწინებაზე შემატიანე უადრესად მშრალად გვამცნობს: „ქქნსა სით პატრონმან მანუჩარ გუირგუინი იკურთხა ფებერვალს“. ისიც კი არ არის მითითებული ვისზე იქორწინა მანუჩარმა. ქრ. შარაშიძის ვარაუდით, მატიანეში მანუჩარისა და სვიმონ I-ის ასულის ელენეს იმ ქორწინებაზე უნდა იყოს აღნიშნული¹, რომელზეც ნათქვამია „ქქნსა ს (200 – ე.მ.) სამოცდათერთმეტსა (1583 წ. – ე.მ.), მარტს კდ (24 – ე.მ.), კუირას დღეს, ბზობადას პატრონმა მანუჩარ მეფეთ-მეფის პატრონის სკემონის ქალი, პატრონი ელენე, მოიყვანა“². ალბათ მართალია ქრ. შარაშიძე, რომ მატიანეში აღნიშნული ქორწინება მოხდა 1581 წელს, მაგრამ პატარძალი, რაღაც მიზეზების გამო სამცხეში მოიყვანეს 1583 წლის 24 მარტს. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მანუჩარის ორი სხვადასხვა ქორწინება იყოს აღნიშნული.

ვასუშტი ბატონიშვილი მანუჩარის და ელენეს ქორწინებას ათარიღებს 1582 წლით³. სიმართლე უნდა იყოს 1581 წ. რადგან სხვა ცნობით, იმავე 1581 წელში აღნიშნულია მანუჩარის განდგომა ოსმალებისაგან. აი რას ვკითხულობთ ფრანგი ჟ. ბუასარდოს 1581 წელს პარიზში გამოქვეყნებულ წიგნში: „თურქებს ჩამოსცილდა მოხუცი ქართველი დედოფლის ვაჟიშვილი, რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინ მაჰმადიანობა მიიღო. მან თავის ქართველებთან და სპარსელებთან ერთად დიდი დარტყმა მიაყენა თურქებს“⁴.

რა თქმა უნდა საინტერესოა, „მესხურ მატიანეში“ რატომ არის გადმოცემული ათაბაგის ოჯახისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ამბავი, როგორც იყო მანუჩარის ქორწინება 1581 წელს, ასე მშრალად გადმოცემული? ისიც კი არ აღნიშნეს ვისზე იქორწინა მანუჩარმა, მაშინ, როდესაც როგორ გარკვევით და საზეიმოდ არის ნათქვამი დედისიმედის სხვა შვილის, მანუჩარის დის გათხოვების შესახებ⁵. არც ჯაყელებისთვის, და მითუმე-

1 სამხრ. საქ. ისტ. მასალები, გვ. 53.

2 იქვე, გვ. 54.

3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 413.

4 ტაბაღლა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 114.

5 საერთოდ, „მესხურ მატიანეში“ ქორწილების შესახებ ინფორმაციები შეტანილია მოკლედ მაგრამ ვასაგებად (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები,

1 განხილული მასალების სხვაგვარი შეფასება იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 202

ტეს ოსმალებისათვის სასიმოვნო არ იქნებოდა ოსმალების და რენეგატების დაუძინებელი მტრის ქართლის მეფე სვიმონისადმი მანუჩარის დასიძეება. ეს ქორწინება მაშინ აღიქმებოდა როგორც მანუჩარის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა.

ჟ. ბუასარდოს თქმით, მანუჩარის საქციელით აღშფოთებულ სულთანს ლაღა ფაშა თანამდებობიდან გადაუყენებია და მის ადგილას ფერჰად ფაშა დაუნიშნავს. მურად III-მ ფერჰად ფაშას უბრძანა „ნებისმიერი საშუალებებით, ძალითა თუ ეშმაკობით ხელისუფლებისაგან ჩამოეცილებინა ქართველი დედოფალი (დედისიმედი – ე.ძ.), ხოლო სვიმონი, რეგანის სულთანი ტოკმაკი, ქართველი მმართველები, რომლებიც სპარსელებთან კავშირში იყვნენ, დაეხოცა“¹.

შეიძლება სულთნის ბრძანების ერთი ნაწილის განხორციელება იყო აღმოსავლეთის ჯარის სარდლის მეჭმედ ფაშას მიერ მოწყობილი შეთქმულება, მოეკლა მუსტაფა (მანუჩარი) მოლაღატეობის ბრალდებით. მუსტაფა (მანუჩარის) წინააღმდეგ შეთქმულებაზე გვამცნობენ „მესხური მატიანე“, შარაფ-ხან ბიდლისი და მინადოი.

იმის გამო, რომ მთავარსარდალი სინან ფაშა სტამბოლიდან წამოსვლას აღარ ფიქრობდა, მთავარსარდლის უფლებამოსილება მას ნომინალურად ჰქონდა. ამიტომ აღმოსავლეთის ჯარის მთავარსარდალად დაინიშნა მეჭმედ ფაშა, რომელსაც სულთანმა არზრუმის ფაშის ტიტული მიანიჭა და მასვე დაუქვემდებარა ყარაამანიის ფაშა, მუსტაფა (მანუჩარი) ფაშა, არზრუმის მთელი ლაშქარი და ყველა სანჯახი. სულ შეიკრიბა 25 ათასი მეომარი.

სვიმონ მეფის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციების გამო, თბილისის ოსმალთა გარნიზონი უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ოსმალო სარდლის მთავარი ამოცანა თბილისის გარნიზონისათვის დახმარება იყო.

როგორ განვითარდა მოვლენები, ყველაზე ვრცლად და სინამდვილე-

გვ. 37, მხ. 5; გვ. 39, მხ. 17); „ორაფჟანდას შუილი ქაიხოსრო აქათ გამოეგზავნა. ქაქნს სივ, ენკენისთუშს ოთხს, ხუთშაბათს ქორწილი უყავით, მასთან პატრონიშვილს თამარს. სამებაჲმან და საშინელმა აწყურისა ღისშობელმან წინ ქორწილი ბედნიერად მოუკდინოს. ჭამა აგურაიანში იყო, თათართა შიშითა. დია ჩნი უგუნებო ქორწილი იყო“. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 60.

¹ იქვე.

სთან ახლოს აღწერა ტ. მინადოი. ამიტომ მის თხრობას მივყვით: 1581 წლის აგვისტოს ბოლოს მეჭმედ ფაშა არზრუმიდან გავიდა, გაიარა ყარსი და ახალქალაქს მივიდა, სადაც მუსტაფა (მანუჩარი) ეახლა მთელი თავისი ჯარით და ბოდიში მოიხადა, რომ არზრუმიშივე ვერ შეუერთდა ოსმალთა ლაშქარს. მეჭმედ ფაშამ მანუჩარი სიხარულით მიიღო, ხალათი, ფარი და ხმალი უბოძა. მეჭმედ ფაშამ მანუჩარს სთხოვა, რომ ლაშქარი თბილისისაკენ უხიფათო და მოკლე გზით წაეყვანა. მანუჩარმა მას თავის სამფლობელოზე გავლა ურჩია. მეჭმედ ფაშამ მიიღო ეს რჩევა. ლაშქარმა ყოველგვარი შევიწროებისა და სურსათის ნაკლებობის გარეშე გაიარა ალთუნყალა და ყარაყალა და გორისკენ აიღეს გეზი.

სვიმონ მეფე ქართველთა და ქართულად ჩაცმული ყიზილბაშთა რაზმებით გორთან ელოდებოდა ოსმალთა ჯარს. ყიზილბაშები ქართულ ტანსაცმელში იმიტომ გამოაწყვეს, რომ ამ დროს მიმდინარეობდა საზავო მოლაპარაკება სპარსეთსა და ოსმალეთს შორის და ყიზილბაშები შიშობდნენ მათი მონაწილეობა სვიმონის ჯარის რიგებში, ოსმალებს მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზად არ გამოეყენებინათ. როგორც ჩანს, ყიზილბაშები სულთანთან მოლაპარაკებით დროის მოგებას ცდილობდნენ და უნდოდათ, შეძლებისდაგვარად, უფრო მყარად მოეკიდებინათ ფეხი აღმოსავლეთ საქართველოში.

მეჭმედ ფაშა ქართველებთან ომში ჩაბმას ერიდებოდა. მან მოსათათბირებლად თავისთან მიიწვია მანუჩარი. სარდალს აინტერესებდა მანუჩარის აზრი, გადასულიყო მდინარეზე თუ დილაშე დაეცადა. მანუჩარმა ურჩია, უძვობესი იქნებოდა გათენებადღე დაეცადა, რადგან მდინარის მეორე ნაპირზე მთელი ჯარის უცბად გადაყვანა ვერ მოხერხდებოდა და ორ ნაწილად გაყოფილ ჯარს მტერი იოლად დაძლევა¹.

მინადოის თქმით, მეჭმედ ფაშას მანუჩართან თათბირი იმისთვის უნდოდა, რომ მისი აზრი გაეგო და სრულიად საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო. მეჭმედ ფაშამ „მტრის დანახვის მომენტიდან მტკიცედ შეიმუშავა აზრი, რომ მუსტაფა (მანუჩარსა) და სპარსელებს შორის შეთანხმება არსებობდა და რომ მუსტაფამ მზაკვრული განზრახვით დააყენა ჯარი ამ გზაზე. მეჭმედ ფაშამ ბრძანა სასწრაფოდ დაეწყით გადასვლა მდინარეზე. ჯარის ერთი ნაწილი გადავიდა თუ არა, მაშინვე ქართველებმა შეუტიეს

¹ Minadoi, p. 186-187

და ოსმალებმა დიდი მარცხი განიცადეს. მათ დაჰკარგეს ჯარის დიდი ნაწილი, მთელი ალალი და ხაზინა. გადარჩენილი ჯარის მცირე ნაწილმა თბილისამდე მიაღწია¹.

მეჰმედ ფაშამ განიზრახა ქართველებთან განცილებილი მარცხი მანუჩარის ღალატით აეხსნა და ამ გზით ემართლებინა თავი სულთნის წინაშე. მეჰმედ ფაშამ მანუჩარის მოკვლა ჩაიფიქრა², მაგრამ კინალამ თვითონ შეიქმნა მანუჩარის მსხვერპლი³.

თბილისიდან ალთუნყალაში დაბრუნებულმა მეჰმედ ფაშამ „ნაწილობრივ თავისი, ნაწილობრივ კი სხვისი ჩაგონებით განიზრახა მუსტაფას (მანუჩარი – ე.მ.) მოკვლა, რომელზედაც ეჭვი ჰქონდა, როგორც თავის დამარცხებაში დამნაშავეზე. მას ზოგიერთ სხვასთან ერთად მიაჩნდა, რომ ის იყო საიდუმლო კავშირში მტერთა ან უკიდურეს შემთხვევაში (რაც შეიძლება ძალიან სწორეც იყოს, როგორც სხვები ფიქრობენ) სურდა (სულთანი – ე.მ.) მურადი მიეხვედრებინა, რომ ყველა უბედურება გამოძინარეობდა არა მისი უვარგისობით, არამედ ამ ქართველის მზაკვრული შეგონებით, და ამით ბოდიში მოეხდა სულთნის წინაშე თავის მარცხზე. მან დაიწყო საშუალებების გამონახვა ჩანაფიქრის განსახორციელებლად და მოიგონა ასეთი რამ: მოეწვია საბჭო თითქოს მიღებული განკარგულების წასაკითხად. თათბირზე მის თანაშემწეს, რამდენიმე თანაშემწით, თავი უნდა მოეკვითა მოწვეული მუსტაფასათვის. ამგვარად, გაიხსნა თათბირი საჭურისი კარაემითის ფაშის, რამდენიმე არზრუმის სანჯახის, კაპიჯიბაშის და მეჰმედის თანაშემწის მონაწილეობით. მათ საიდუმლო ფიცი დადეს, მუსტაფას ღალატის საკითხი განიხილეს და კაცი გაგზავნეს მის მოსაყვანად.

¹ Minadoi T., p. 184-189. შარაფ-ხან ბიღლისი იგივე ამბავს გადმოგვცემს შემდეგნაირად: „სვიმონ გურჯმა ყიზილბაშ ამირებთან ერთად... მათ გადაუკეტა გზა და წაართვა [თბილისის] ციხისათვის აუცილებელი ორმოცი ხარკარი ოქრო და სხვა მარაგი, რამაც შეადგინა, დაახლოებით, 2 ათასი ხარკარი. ბრძოლებისას დაიღუპა ბევრი ხალხი“. Шараф-хан Бидлиси, с. 241.

² საინტერესოა შარაფ-ხან ბიღლისის ცნობა, რომ მანუჩარი მეთაურობდა არიერგარდს და მისი გაუფრთხილებლობითა და წაქეზებით გაბედეს ოსმალთა ჯარზე თავდასხმა. ამიტომ სარდალმა გადაწყვიტა მანუჩარის დაპატიმრება და სულთნის კარზე გაგზავნა, სადაც მას დანაშაულისათვის დასჯიდნენ.

³ Minadoi, p. 194-197. მანუჩარის საწინააღმდეგო შეთქმულების არსებობას, როგორც ითქვა, ადასტურებს შარაფ-ხან ბიღლისი (с. 241-242). მანუჩარის საწინააღმდეგო შეთქმულებაზე გადმოგვცემს „მესხური მატიანე“ (გვ. 54)

მანუჩარი სარგებლობდა რა მრავალ [თურქთან] კარგი ურთიერთობით და იმავე დროს ფრთხილიც იყო, იმ დროიდან რაც მიტქმა-მოტქმა დაიწყო ჯარში მისი მისამართით, იგრძნო საითკენ იხრებოდა საქმე და საიდუმლოდ იმანაც მიიღო თავისი ზომები.

საბჭოში გამოცხადებაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა, რადგან მის იქ არ ყოფნას შეიძლებოდა ხაზი გაესვა მისი დანაშაულისათვის და საქმე იქამდე მისულიყო, რომ მისთვის დაუსწრებლად მიესაჯათ სასჯელი, რის შემდეგ მთელი მისი სამფლობელო [თურქების] დავლა გახდებოდა.

საბჭოზე წასვლის წინ [მანუჩარმა] გამოიხატა საშუალება თავი დაეღწია თურქების ხელყოფისაგან, შეიძლება უფრო საშიში თვით მეჰმედისათვის, რათა ყველას უჩვენოს თუ ვისთან აქვთ საქმე. მან გამოარჩია 50 ყველაზე ერთგული ჯარისკაცი და უთხრა, რომ მას გაჰყოლოდნენ სხდომის ადგილას, რომელიც უკვე მიმდინარეობდა მეჰმედის [კარავში], დადგნენ იქ მომზადებულნი და ყურადღებით და მისი პირველი დაყვირებისთანავე ყველა სწრაფად შეცვივდეს კარავში. ისინი დაიცავენ რა [მანუჩარს], მისცივიდებიან თურქებს და არავის დაინდობენ. ისინი საკმაოდ აღელვებულნი თურქების წინააღმდეგ, დავალების შესასრულებლად მოემზადნენ. მათ თავის მხრივ ხალისით მოიწვიეს კიდევ რამდენიმე თავდადებული კაცი და გაჰყვინენ მუსტაფას მეჰმედის კარვისაკენ. მუსტაფა შევიდა კარავში და მეჰმედს ჰკითხა, რის სათქმელად დაიბარა იგი. მეჰმედმა მაშინვე ბრძანა წაეკითხათ ბრძანება. [მანუჩარმა] ყურადღებით მოისმინა რა ის და რადგან სხვები დასხდნენ (თურქებში მიღებულია ზეზეურად მოისმინონ სულთნის ფირმანი), ის გამოეთხოვა და დაჰპირდა, რომ მზად იყო არამც თუ ამის, არამედ ხელმწიფის ყველა ბრძანების შესასრულებლად, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო. როდესაც ის გამოდიოდა, კაპიჯიბაშიმ ის სახელოთი მოსწია და დასავლომად მიიწვია. მაშინ მუსტაფამ ხმამაღლა დაიყვირა, ხმალი გამოსტაცა და დაარტყა მის წინ მღვომ მეჰმედის თანაშემწეს, რომელსაც ხელით ფეხი მოხდა თავიდან, მარჯვენით კი სწრაფად, საერთო განცვიფრებაში, ერთის დარტყმით შუა გაუპო თავი და კისერი და მკერდი მუცლამდე, ისე რომ არაჩვეულებრივი სანახაობა გამოვიდა კაცისა, რომელიც კვდებოდა ორთავე მხარეზე გადაკიდებული მხრებით. მან მეორედ ხმალი დაუმიზნა საზაკურის ფაშას თავს, მაგრამ მას რადგან ჩაღმა ესურა, ხმალი ასხლტა ყურისაკენ და მოათალა ჩაღმის ნაწილი, მთელი ყური და ყბის ნაწილი. მთლად გა-

ხურებული [მუსტაფა/მანუჩარი] მივარდა უკვე ფეხზე ამდგარ, გოგნებულ მეჭმედს და 5 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რომელთაგან ორი განსაკუთრებით ღრმა, მას სიკვდილის კარამდე მიიყვანდა, მარჯვე ხელით რომ არ განეკურნათ. სარწმუნოებისაგან განდგომილი [მუსტაფა/მანუჩარის] ყვირილზე შემოცვივდა მისი ხალხი. გამძვინვარებული მუსტაფას [მანუჩარი] მიერ ატეხილი საშინელებისა და მის მიერ აჩეხილთა აყალმაყალისაგან, ბანაკი სასწრაფოდ აიყარა და რაზმი გაემართა ყარსისაკენ, საითაც წაიყვანეს ორი დაჭრილი ფაშა¹.

„მესხური მატიანის“ 1582 წლით დათარიღებულ ჩანაწერში ძალიან მოკლედ, მაგრამ სხვა წყაროებთან მიმართებაში სწორად, ნათქვამია: „ქენს სდო პატრონს მანუჩარს უღალატეს ურუმთა. პატრონი მორჩა. ორნივ ფაშა მიიმედ დაიკოდნეს და გაიქცეს და თემი ჩწვე დაგურჩა“².

სამცხეში მანუჩარის აჯანყება დაიწყო. მან უარყო მაჰმადიანობა და თავის თავი გამოაცხადა მანუჩარ II ათაბაგად. მანუჩარი ოსმალების მიმართ პასიური წინააღმდეგობის გზას კი არ დაადგა, არამედ იარაღით ებრძოდა მათ. მანუჩარს ოსმალების მიერ დაპყრობილი ციხეები გაუთავისუფლებია, რომლებიც შემდეგში ისევ ოსმალებმა დაიპყრეს³. ირანის შაჰმა მუჰამედ ხუდაბენდემ ხელსაყრელად ჩათვალა სამცხეში მომხდარი ამბები და ათაბაგის ოჯახს დაუკავშირდა. „და ყაენი განჯას მოვიდა. და პატრონს მანუჩარს ჩალაბუთი მოსცა და დედისიმედს ხუთი დიდი სოფელი“⁴.

1 Minadoi T., p. 194-197. შარაფ-ხან ბილდისი რამდენადმე განსხვავებულად გადმოსცემს მეჭმედ ფაშას კარაემი დატრიალებულ ტრავმას: ბეგლარბეგებმა მუსტაფა/მანუჩარი დაიბარეს და მისი დაჭერა სურდათ. მან კი იცოდა მათი მზაკვრული ჩანაფიქრის შესახებ, ხმლის დაკერით დაჭრა სარდალი მეჭმედ ფაშა, დიარბეჯირის ფაშა მეჭმედ ფაშა ყადიმი, შემდეგ თავისი აზნაურების დახმარებით მოკლა არზრუმის მამასახლისი მეჭმედ ფაშა, რომელმაც მანუჩარი წელსახვევით დაიჭირა, თვითონ კი მოახტა ცხენს და რამდენიმე თანამებძოლით წავიდა (Шараф-хан Бидлиси, с. 242). ერთ-ერთი ოსმალთა ისტორიკოსის გადმოცემით, მანუჩარი „990 წელს(=1582), დაგვიფაროს აღლაჰმა, ისევ ქრისტიანობაში მოიქცა. სურსათ-სანოვავის ადლის ხელმძღვანელები ხადიმ მეჭმედი და ბოსნიელი მეჭმედ ფაშები კარავში დაჭრა და გაიქცა. ტყვილ-უბრალოდ დაკარგა სააქოცა და საიქოცა და დაიღუპა (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 115, შენ. 57).

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 54.

3 Фарзалиев А. М. оглы, Ук. труд.

4 იქვე.

გასაგებია, როგორი იქნებოდა სულთნის კარის რეაქცია მანუჩარის მოქმედების გამო. იგი ჩილდირის ფაშის თანამდებობიდან გადაყენებულად გამოცხადდა და მის ადგილას დაინიშნა თბილისის ყოფილი ბეგლარბეგი, იუსუფ ფაშა¹. მაგრამ მან თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას – ვერც მანუჩარის აჯანყება ჩააქრო და ვერც თბილისის მომარაგება უზრუნველყო. იუსუფ ფაშა 1583 წელს ყარსის ბეგლარბეგად გადაიყვანეს².

მანუჩარის აჯანყება იმდენად სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ოსმალთა ყოფნას სამცხეში, რომ სულთანმა დათმობა არჩია. საფიქრებელია, ოსმალებმა ურჩიეს მანუჩარს, სულთნის წინაშე ბოდიში მოეხადა, რათა სულთანს დამცირებულ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო. მას შეწყალებას და თავის რანგში აღდგენას ჰპირდებოდნენ.

მანუჩარს, ჯერჯერობით ნაადრევად მიაჩნდა ოსმალებისაგან სრული განდგომა. მან „სულთანს გაუგზავნა პატაკი ყველა მის თავზე მომხდარი ამბის შესახებ, ჩიოდა მისთვის შეურაცხყოფელ, უსაფუძვლო ეჭვებზე. მან იმდენი წერა და ისე [მოხერხებულად] ფარავდა თავის გრძნობებს მონაგონით და მონაჭორით, რომ კმაყოფილმა სულთანმა საჩუქრად ფარი და ტანისამოსიც კი გამოუგზავნა“³.

რა თქმა უნდა, სულთანი მანუჩარს არ ენდობოდა. ის ახალ მთავარ-სარედალს ფერჰად ფაშას (ის ოსმალეთის აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდალად დაინიშნა 1582 წლის 29 დეკემბერს) ურჩევდა, გარკვეულ დრომდე თავი შეეკავებინა მანუჩარისადმი მტრობაზე, რადგან იგი მიაჩნდა ერთადერთ პიროვნებად, რომელსაც შეეძლო დაუბრკოლებლად მიეტანა გარნიზონისათვის საჭირო თანხა თბილისში. მანუჩარის შემორიგებით თბილისისაკენ მიმავალი გზა უხიფათო იქნებოდა და მთელი საქართველოც მორჩილებაში ეყოლებოდათ⁴.

ოსმალებთან „შერიგებული“ მანუჩარი შემდგომი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მანუჩარმა იცოდა, რომ მხოლოდ თავისი ძალებით წარმატებას ვერ მიაღწევდა. ამიტომ იყო, რომ როგორც ითქვა, მან ცოლად შეირთო I-ის ასული ელენე და ამით შეიკრა კავშირი ქართლის მეფესა და სამ-

1 მ. სვანიძის ვარაუდით, იუსუფ ფაშა იმერეთის მეფე გიორგის შვილი იყო. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 141-142.

2 იქვე, გვ. 153-154.

3 Minadoi T., p. 197.

4 Ibidem. p. 218.

ცხის ათბავს შორის. ოსმალთა ჯარის სარდალი შეაშფოთა ამ ამბავმა. მას შემდეგი მოახსენეს: მუსტაფა (მანუჩარი) და სვიმონი თბილისის მახლობლად შეხვდნენ ერთმანეთს. მანუჩარს 30 ათასი ღუკატი მიჰქონდა თბილისის გარნიზონისათვის გადასაცემად. სვიმონი დიდხანს ელაპარაკებოდა მანუჩარს და საყვედურობდა, რომ მან უღალატა ქრისტიანობას, თავს ესხმოდა ქრისტიანებს, მაგრამ მას საბოლოოდ ოსმალები მაინც დალუპავდნენ. მეფის მჭერმეტყველურმა შეგონებამ გასჭრა, მან თავი მოჰკვეთა თავის მხლებლებს, სვიმონს ერთგულება შეჰფიცა და გარნიზონის ხაზინაც გაუყო. ამის შემდეგ მანუჩარმა თავი შეაფარა მიუვალ ადგილებს და იქიდან ფიქრობდა ხელი შეეშალა თბილისისათვის დახმარების ყოველგვარი მცდელობისათვის. აღშფოთებულმა ფერჰად ფაშამ ექვსათასიანი რაზმი გააგზავნა მანუჩარის მამულების ასაკლებად ვინმე რეზვანის მეთაურობით. მან „გაიარა მთელი ეს მხარე, ცეცხლს აძლევდა საცხოვრებლებსა და პურეულობას და ყველაფერზე ჯავრს იყრიდა თვით ნარგავებზეც კი. მრავალი ტყვე და საქონელი წაიყვანა, წაიღო ბევრი პურეული და სადაც კი გაივლიდა ყველაფერს სპობდა“¹.

სვიმონ მეფემ და მანუჩარმა პარტიზანული ბრძოლა გააჩაღეს ოსმალთა წინააღმდეგ და სადაც მოიხელთებდნენ მუსრს ავლებდნენ. არც ოსმალები აკლებდნენ და სამცხე განადგურების პირას მივიდა. ხელთ გვაქვს რამდენიმე წერილობითი ცნობა, რომლებიც ნათელს ხდის რა საშინელება ტრიალებდა მანუჩარის სამფლობელოში.

ზამთრის მოახლოების გამო ფერჰად ფაშა იძულებული გახდა ყარსში ან არზრუმში დაბრუნებულიყო. მანამდე კი მან განიზრახა აეკლო მანუჩარის სამფლობელოები და ჯავახეთისაკენ გაეშურა. მაგრამ ახალქალაქისა და ალთუნყალას სანახებიდან მთელი მოსახლეობა გახიზნული იყო და სურსათი ვერ იშოვა. ამის გამო ჯარი დიდ გასაჭირში აღმოჩნდა². ღონ ხუანი და ტ. მინადლი ერთნაირად ამბობენ, რომ დასახელებული ადგილებიდან ოსმალები ახალციხისაკენ წავიდნენ, მაგრამ ისიც დაცარიელებული დახვდათ. მინადლის თქმით, ოსმალებმა ახალციხეში ადამიანებისა და პირუტყვის საკვები ბლომად იშოვეს³, ღონ ხუანი კი სრულიად

საწინააღმდეგოს ამბობს. ახალციხეში ოსმალებს იგივე მდგომარეობა დახვდათ, რაც ახალქალაქსა და ალთუნყალაში¹.

ფერჰად ფაშას ახალციხეში ციხის აგება განუზრახავს, მაგრამ განაწამებმა ჯარმა ამის გაგონებაც კი არ ისურვა და საქმე ამბოხებამდე მივიდა. სარდალს მოკვლით დაემუქრნენ, ამიტომ იგი იძულებული გახდა, ახალციხე დაეტოვებინა და არტაანს წასულიყო. ოსმალთა ჯარში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე ერთნაირად გადმოგვცემს რამდენიმე წყარო².

გზად მიმავალ ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენეს მანუჩარ ათბავის რაზმებმა. ისიც კი მოხდა, რომ არტაანში „ქართველები თავს დაესხნენ საჭურისებს, ეტლებსა და ქალებს და ყველაფერი დაიტაცეს“. ღონ ხუანი ეჭვს გამოსთქვამს, რომ ასეთი მოქმედება შეიძლებოდა ფერჰად ფაშაზე განაწყენებულ იანიჩრებსაც ჩაედინათ, რათა სარდლისათვის სახელი გაეტეხათ³. თ. მინადლის თქმით, ზემოთ აღნიშნული ინციდენტი ჯარისკაცების მოწყობილი იყო, მაგრამ არ გამოირიცხავს, რომ იგივე ქმედება მეზობელ ტყვეებში დამალულ ქართველებსაც ჩაედინათ⁴.

მანუჩარის რაზმები პარტიზანული ბრძოლით მუსრს ავლებდნენ ოსმალებს. ისინი ყველას ხოცავდნენ, ვინც კი ჯარს მცირე მანძილით ჩამორჩებოდა. ჯოვანი მიქელის გადმოცემით, ასე მოუვიდა სამი ათას თურქს, რომლებიც დიდი თოვლის გამო ძირითად ჯარს ჩამორჩნენ და ქართველებმა ამოწყვიტეს⁵. ამგვარად, ღონ ხუან ღე პერსიას და შარაფხან ბიდლისის ცნობებს თუ დაუვმატებთ ჯოვანი მიქელის ნათქვამსაც, მართებული იქნება, ფერჰად ფაშასთვის მიყენებულ ზარალს მანუჩარს თუ მივაწერთ. საინტერესოა, რომ ევროპული წყაროები მრავალ ცნობას შეიცავენ 1584-1586 წლებში საქართველოსა და მის მოსაზღვრე რაიონებში ოსმალების მირ განცდილი მრავალი მარცხის შესახებ, მაგრამ გამარჯვებულებად ზოგადად დასახელებული არიან ქართველები⁶. უეჭველია, რომ ამ გამარჯვებების გმირები ქართლის მეფე I და სამცხის ათბავი მანუჩარ

1 Don Juan de Persia, p. 86 v.

2 Minadoi T., p. 240; Don Juan de Persia, p. 86 v; Шараф-хан Бидлиси, с. 246.

3 Don Juan de Persia, p. 86 v.

4 Minadoi T., p. 243.

5 Alberi E., Relazioni... serie III, v. II, p. 286

6 დაწვრ. იხ. მამისთვლიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 225-231.

1 Ibidem. p. 225-226.

2 Don Juan de Persia, p. 86 v.

3 Minadoi T., p. 236.

II იყვნენ. უეჭველია, მეფეს და ათაბაგს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდა ადგილობრივი მოსახლეობა და ეს იყო მათი წარმატების უმთავრესი პირობა.

1586 წლის შემოდგომაზე გაჩენილმა შავმა ჭირმა არზრუმთან დაბანაკებული ოსმალთა ჯარი გაანახევრა¹. ქართველებსა და ყიზილბაშებს ფერპად ფაშის ბანაკზე თავდასხმის მშვენიერი შესაძლებლობა მიეცათ. ოსმალები სრული განადგურებისაგან იხსნა მოკავშირეებს შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ. ქართველებმა ყიზილბაშები მიატოვეს და სამშობლოში დაბრუნდნენ².

არ ვიცი რით იყო გამოწვეული ქართველებსა და სპარსელებს შორის უთანხმოება, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო მანუჩარის მიერ სულთანთან მოსალაპარაკებლად მოციქულის გაგზავნა, როგორც თავისი კორესპონდენტი ფუგერის გაზეთს 1586 წლის 31 ოქტომბერს, ზოლო ვენეციიდან საფრანგეთის მეფის აგენტი იმავე წლის 4 ნოემბერს ანრი III-ს აცნობებდა, ოსმალეთის სატახტო ქალაქში „მივიდა საქართველოს პატრიარქი სულთანთან მოსალაპარაკებლად. ეს ამტკიცებს სერიოზულ წინააღმდეგობის არსებობას ქართველებსა და ირანის შაჰის ვაჟიშვილს შორის“³.

სტამბოლში მოციქულად გაგზავნილი „საქართველოს პატრიარქი“ „მესხურ მატთანეში“ მოხსენიებული მაწვერელი ეპისკოპოსი უნდა იყოს. მანუჩარმა ეპისკოპოსს თან გააყოლა მძევლებიც. „აქა მაწვერელი გაგზავნეს კოსტანტინოპოლეს და საპატონი მძევლად: შალიკაშვილი ედიშერ, შალიკაშვილი ელია და ამილახორიშვილი ქოიარ“⁴. მატთანის ამ ცნობას ქრ. შარაშიძე 1587 წლით ათარიღებს, რაც საეჭვო ჩანს. ვფიქრობ, მანუჩარის მიერ ელჩისა და მძევლების გაგზავნა უნდა მომხდარიყო 1586 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მის მიერ სულთნის კარზე მოციქულის გაგზავნის შესახებ ცნობებს ევროპულ წყაროებში, როგორც ზემოთ ით-

1 ტარდი ლ., უნგრეთ – საქართველოს ურთიერთობა, გვ. 150.

2 Tardy L., *Le Roi Svimon I^{er} à la lumière des sources d'Europe Centrale contemporaines de son époque, I partie.* „Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie“, vol. XXXI, Paris, 1973, p. 192.

3 Charrière E., *Negotiations de la France dans le Levant et correspondences, memoires et actes diplomatiques, IV, Paris, 1860.*

4 სამხრ. საქ. ისტ. მასალები, გვ. 55.

ქვა, პირველად ვხვდებით 31 ოქტომბერს, მეორედ კი, იმავე წლის 4 ნოემბერს.

საინტერესოა, მანუჩარმა რატომ გაუგზავნა სულთანს მძევლებად ათაბაგის ოჯახის დაუძინებელი მტრები – შალიკაშვილები და ამილახორიშვილი? მათი გაგზავნა სულთნის კარს ხომ ისე უნდა გაეგო, როგორც მანუჩარის მიერ მათი მოტყუების მცდელობა და, ასეც გაიგეს. ალბათ, ამიტომაც არის იმავე „მესხურ მატთანეში“ ნათქვამი, რომ ოსმალეთში „მძევლები დაიჭირეს; პატრონი მანუჩარ ვეღარ მიენდო“¹. მაწვერელის შემდგომი ბედი უცნობია.

სულთნის განრისხების სხვა მიზეზიც არსებობდა. ათაბაგ მანუჩარის მიერ სტამბოლში ეპისკოპოსის გაგზავნა ოსმალეთის მთავრობის პირდაპირი გამოწვევა იყო. თვის დროზე უკვე ითქვა მანუჩარის საზეიმო წინდაცვეთასა და გამუსლიმანების შესახებ. ესლა მის მიერ ქრისტიანული ეკლესიის, კერძოდ, სამცხის ეკლესიის მეთაურის – მაწვერელი ეპისკოპოსის მოციქულის რანგში გაგზავნა სულთნის კარზე, ლოგიკურად და ფაქტობრივადც ნიშნავდა, რომ მანუჩარი ოფიციალურად დაუბრუნდა ქრისტიანობას. სავსებით სწორად შენიშნავს მ. სვანიძე, რომ „სტამბოლში ეპისკოპოსისა და მძევლების გაგზავნა იმაზე მიუთითებს, რომ მანუჩარი სულთნისაგან მოითხოვდა, ეცნო იგი ქრისტიანობით ათაბაგად და სამცხესა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა დამყარებულიყო მოხარკეობის საფუძველზე“².

ოსმალეთის ხელისუფლებას საათაბაგოს ბედი გადაწყვეტილად მიაჩნდა – ის ოსმალეთის სახელმწიფოს ნაწილი უნდა გამხდარიყო და ათაბაგის სასარგებლოდ რაიმე კორექტივის შეტანა სულთანს საჭიროდ არ მიაჩნდა.

1587 წელს კახეთის სამეფოს მიერ რუსეთის მფარველობის მიღებამ შეაშფოთა ოსმალეთი, რადგან ამას შეიძლებოდა გამოეწვია მისი მდგომარეობის გაართულება, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ამიტომ ოსმალეთის მთავრობამ განიზრახა, რაღაც არ უნდა დაეღწოდოდა, ქართლის სამეფოს და საათაბაგოს წინააღმდეგობა გაეტეხა. ფერპად ფაშამ ჯერ აჭარა დაიპყრო და მთელი ძალებით (მას ეხმარებო-

1 იქვე.

2 სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 164.

და გურიის მთავარი) დაიწყო ბრძოლა მანუჩარის წინააღმდეგ. მანუჩარმა დახმარებისათვის მიმართა თავის სიმამრს სვიმონ I-ს, რომელიც დაუყოვნებლივ გაეშურა სამცხისაკენ, მაგრამ ოსმალების გორის დასაპყრობად წასვლის ამბავი რომ შეიტყო იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. ოსმალებმა ახალციხე დაიპყრეს და ჩილდირის საფაშოს შეუერთეს.

სამცხეში ოსმალების წარმატებამ ათაბაგის მოწინააღმდეგე ფეოდალების გააქტიურება გამოიწვია და ფერჰად ფაშა მათი დახმარებით მანუჩარისა და მისი მომხრეების განდევნას ცდილობდა. როდესაც ფერჰად ფაშამ გორი დაიპყრო, მასთან გამოცხადდა გამუსლიმანებული კოკოლა ვარაზას ძე შალიკაშვილი (ის ახლა დირაზის ძე მაჰმუდ ხანის სახელს ატარებდა) და სვიმონ მეფის შეპყრობას დაჰპირდა. ოსმალო სარდალმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა და იგი გორის ბეგლარბეგად დანიშნა¹.

1587 ოსმალების წაქეზებითა და მხარდაჭერით, შინაური მოღალატეების ხელით, მიღწეული იქნა ის, რასაც მტერი მთელი ათი წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა საათაბაგოში. სამთავროს და მთავრის ტრაგედია ძალიან მოკლედ, მაგრამ ნათლად გადმოცემულია „მესხურ მათიანეში“: „ბევრ რივი მოღალატე შემოადგეს პატრონს მანუჩარს; ვეღარ დაუდგნა და ახალდაბას ცოლი წაიყუანა და წავიდა.

პატრონი დედისიმედი და პატრონის ყრყრეს შვილი – პატრონი ქაიხოსრო საკანაფეს ციხეში დადგეს.

და დიასამიძე ელია დემოთიას ციხეს სავალინშვილი საღალატოდ შეუყენა. უღალატეს, ციხე წაართუეწს და ბევრი საქონელი და საღარო დაიჭირეს.

და გოგორიშვილმა ბეჟან ციხიჯუარი უკუიჭირა და მისცა ფაშას.

შემოგვიყენეს მოღალატენი და ვეღარც ჩნ დაუდგენით და ჩავედით ახალდაბას მარტს ნახევარ...

მერმე პატრონი მანუჩარ ვეღარ მიენდო; ღონე ვეღარ მოიგონა რა. დაგვიწყეს მოციქულობა. პატრონი დედისიმედი და პატრონი ჩემი შვილისშვილი პატრონი ქაიხოსრო გამოუგზავნეს ახალციხეს ფაშასთანა, შობის წინა დღეს“².

ამგვარად, ოსმალებმა ისარგებლეს საათაბაგოს ქართველ ფეოდალ-

თა მნიშვნელოვანი ნაწილის ათაბაგ მანუჩართან დაპირისპირებით, აგრეთვე, მანუჩარსა და ყიზილბაშებს შორის უთანხმოებით, რამაც, ბუნებრივია ფრიად შეასუსტა ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი ძალები. ფერჰად ფაშამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც საქართველოდან უნდა განედევნათ ის გავლენიანი ადამიანები, ვინც ოსმალებს ეურჩებოდნენ.

რა თქმა უნდა, ოსმალებისათვის, პირველ რიგში კი ფერჰად ფაშისთვის არასასურველ საქართველოს გავლენიან ადამიანებში იგულისხმებოდნენ მანუჩარ II ათაბაგი და ქართლის მეფე სვიმონ I. ოსმალეთის მთავრობამ განიხილა ფერჰად ფაშას გეგმა და მას მხარი დაუჭირა¹.

ფერჰად ფაშას გეგმის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ მანუჩარ II-ეს მოუსპეს სვიმონ მეფისაგან დახმარების მიღების იმედი და შესაძლებლობა. მისი მდგომარეობა უნდა დაეძიმებინა, აგრეთვე, ათაბაგის ოჯახის მტრის, კოკოლა შალიკაშვილის სპარსელთაგან განდგომას და ოსმალთა სამსახურში გადასვლას. რადგან მანუჩარს საქართველოში აღარ დაედგომებოდა, სხვა გზა აღარ რჩებოდა გარდა იმისა, რომ კვლავ სპარსეთში ეძია დახმარებაც და თავშესაფარიც. შაჰის კარის მისაღმი კეთილგანწყობაში მნიშვნელობა ექნებოდა მის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ სვიმონ მეფესთან ერთად, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სპარსეთში.

ძნელია დადგენა, როდის დაიწყო მანუჩარმა შაჰ აბასის კართან დაახლოება და მისი სამსახური. შეიძლება ფრთხილი ვარაუდის დაშვება, რომ მანუჩარ ათაბაგი იგულისხმება ისქანდერ მუნშის მიერ ორჯერ დასახელებულ მანუჩარ ბეგში².

ისქანდერ მუნში თავის თხზულებაში ასახელებს შაჰის კარის მოხელეს ვინმე მანუჩარ ბეგს. XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე სხვა ბეგის ტიტულის მატარებელი მანუჩარი, ჩემთვის ცნობილ სპარსულ წყაროებში, არ ჩანს. მანუჩარი შაჰის კარზეა 1597/8 წელს და მას ემიკალასიბაშის საკმაოდ მაღალი თანამდებობა უკავია. აღნიშნულ წელს ის ინდოეთის ხელმწიფის ჯელალ ედ-დინ მოჰამედ აჰმადის კარზე ელჩად გაიგზავნა.

1 ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა, გვ. 153-154.

2 უნდა აღინიშნოს, რომ ისქანდერ მუნში სხვაგან ასახელებს მანუჩარ-ხანს, და იქვე მიუთითებს, რომ ის სვიმონ-ხანის სიძეა. სრულიად მოსალოდნელია, რომ მანუჩარ-ბეგი (გვ. 41-42) და მანუჩარ-ხანი (სვიმონ მეფის სიძე) (გვ. 29, 44, 71, 73) სხვადასხვა პიროვნებებია.

1 იქვე, გვ. 164-167.

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 55-56.

სავარაუდოა, მანუჩარმა მაღალ დონეზე შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, რადგან ის იმავე თანამდებობაზეა XVI I ს. დასაწყისშიც. საინტერესოა, რომ ისქანდერ მუნში მასზე მოგვითხრობს მაშინ, როდესაც კვლავ ინდოეთის ხელმწიფე აქბარის ელჩი 1602/3 წ. მოდის შაჰის კარზე. ამ დროს ყიზილბაშებს ერევნის ციხისათვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული და შაჰიც იქ იმყოფებოდა. მანუჩარმა ინდოეთის ელჩი ერევნის ციხესთან მიიყვანა. „ერთი სიტყვით, ხსენებული ელჩი ძლევედამოსილ ურდოში მოვიდა ერევნის ციხის ძირზე და მანუჩარ-ბეგის თანხლებით მეჯლისში იქნა პატივით მიღებული“¹.

საინტერესოა, სად იმყოფებოდა მანუჩარი 1603/4 წელს, იმ დროს, როდესაც ისქანდერ მუნში მოგვითხრობს შაჰის მიერ საათაბაგოში სათარეშოდ ჯარის გაგზავნის შესახებ: „ჰასან-ხანი ზოგიერთ ამირთან ერთად გაიგზავნა სათარეშოდ მესხეთის ახალციხეზე, რომელიც სვიმონ-ხანის სიძის მანუჩარ-ხანის „ოლქა“ იყო და ოსმალებს ჰქონდათ დაკავებული. მან (ჰასან-ხანმა – ე.მ.) ეს სამსახური სასურველად შეასრულა, მრავალი ქალი და ბავშვი ურჯულო ქართველებისა დაატყვევა და უვნებლად დაკეთილად დააბრუნა“². ისტორიკოსის ნათქვამიდნა გამომდინარე ახალციხის მხარე ისეთი უპატრონო და მიტოვებული ჩანს, რომ ეჭვი ჩდება, ცოცხალი იყო თუ არა ამ დროს მანუჩარი³. ვფიქრობ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება ისევ ისქანდერ მუნშის თხზულების შემდეგი ცნობების მოშველიებით. დანამდვილებით ჩანს, რომ მანუჩარი 1609 წელს ცოცხალი აღარ არის. ისქანდერ მუნში, როცა აღნიშნულ წელს მომხდარ ამბებზე იხსენებს, ამბობს: „სანამ მანუჩარ-ხანი ცოცხალი იყო, ის ცდილობდა დახმარებოდა სვიმონ-ხანს. მის შემდეგ ოსმალები იმ ქვეყანაში გაბატონდნენ და სვიმონ ხანის ქალიშვილი, რომელიც მანუჩარ-ხანის მეუღლე და ენერგიული მანდილოსანი იყო, თავის პატარა ვაჟიშვილით და მათი ოჯახის ერთგული მსახურების მცირე რიცხვით იმ ქვეყნის ტყეებსა და მთებში აფარებდა თავს“⁴. მანუჩარი ცოცხალი აღარ არის იმ

დროს, როდესაც შაჰ აბასს ალყაში მოუქცევია ერევანი, რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა – 1603 წლის ნოემბრიდან 1604 წლის ივლისამდე. ისქანდერ მუნშის მიხედვით ვიცით, რომ ერევნის ციხის ალყის დროს შაჰის ბანაკში იმყოფებოდნენ ქართლის მეფე გიორგი X და კახეთის მეფე ალექსანდრე II¹. ერევნის ციხის ალყაზე და ქართველ მეფეებზე თხრობის დამთავრების შემდეგ, ისტორიკოსი გადმოგვცემს, იმავე ალყის დროს, როგორ აიკლეს ყიზილბაშებმა ახალციხის მხარე². ისქანდერ მუნში ჰასან-ხანის მიერ ახალციხის დალაშქრის ამბავს კვლავ იხსენებს 1609 წლის ამბებზე თხრობისას: „იმ ხანებში, როცა უავგუსტოესმა [შაჰმა] აზერბაიჯანში გამოილაშქრა და ერევნის ციხეს შემოადგა, შაჰ იუსუფ ფაშა, რომელიც ახალციხის ერთი გამუსლიმანებული ბატონიშვილი იყო და ოსმალეთის სულთნისაგან ფაშის ხარისხი ჰქონდა მიღებული, იმ ველაიეთის ზოგი ადგილის მმართველი იყო. ერთბაშად ერთი რაზმი ყიზილბაშთა ძლევედამოსილი ჯარისა, ჰასან-ხან უსთაჯლუს მეთაურობით, როგორც იმ წლის ამბებშია აღწერილი, ხსენებულ ველაიეთზე თავდასასხმელად გაგზავნეს... შაჰ იუსუფ ფაშას და ოსმალების საქმე წახდა“³. ყიზილბაშების წარმატებით იმედოცემულმა მანუჩარ II-ის მეუღლემ შაჰის კარს მიმართა, მისთვის დაებრუნებინათ „თავისი დაკარგული ქვეყანა“. შაჰ აბასმა თბილისში, ზაგემსა და აჰსანაბადში მყოფ თავის ამირებს დაავალა მანუჩარ II-ის მემკვიდრე მანუჩარ III-სა და მისი დედისათვის დახმარება და თანადგომა გაეწიათ.

შაჰის ბრძანების აღსრულება შესაძლებელი გახდა 1607 წლიდან, „როცა დიდებული ალმები (ე.ი. შაჰი) შირვანზე ლაშქრობდნენ, იმ თავგამოდებულმა მანდილოსანმა (ელენემ-ე.მ.) ყიზილბაშთა ამირებისა და თავის ოჯახის ერთგულ მსახურებთან ერთად იწყო ბრძოლა ხსენებული ქვეყნის დასაპყრობად, გაილაშქრა შაჰ იუსუფ ფაშაზე, დაამარცხა, დაიჭირა ის ას ორმოცდაათ კაც ოსმალოსთან ერთად და ახალციხის ციხე, რომელიც იმ ველაიეთის უდიდესი სიმაგრეა, ხელში ჩაიგდო“⁴. ახალციხის გარდა გამარჯვებულებმა დაიპყრეს საათაბაგოს დიდი ნაწილი. და

1 ისქანდერ მუნში, გვ. 41-42.

2 იქვე, გვ. 44.

3 მანუჩარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იხ. მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 295-ის სქოლიო.

4 ისქანდერ მუნში, გვ. 71.

1 იქვე, გვ. 41, 44.

2 იქვე, გვ. 44.

3 იქვე, გვ. 72.

4 იქვე.

ამის შემდეგ, ათაბაგის ქვრივმა ელენემ თავისი წარმომადგენლები შაჰთან შემახაში გაგზავნა, თვითონ კი თავის თექვსმეტი წლის ვაჟთან, მანუჩართან (ისქანდერ მუნში მას ათაბეგ-ხანს უწოდებს) ერთად ახალციხეში დარჩა¹. ელენეს მოციქულები, 1607 წლის 29 ივლისს, შაჰს ეახლნენ და მოპოვებული წარმატებების შესახებ მოახსენეს².

საეჭვოა, რომ ელენეს მოციქულები შაჰ აბასთან მხოლოდ ამის მოსახსენებლად მისულიყვნენ. მათ რაიმე მნიშვნელოვანი სათხოვარიც ექნებოდათ, შეიძლება მანუჩარ მეორის მემკვიდრე მანუჩარ მესამის ათაბაგად აღდგენაც და სხვა რამეც ეთხოვათ, მაგრამ ამის შესახებ, დღეისათვის ცნობილი წყაროები არაფერს გვამცნობს³. სხვათაშორის, ისქანდერ მუნშის აქვს ერთი ძალიან საინტერესო ცნობა: როდესაც სპარსელი ისტორიკოსი მანუჩარ II-ის გარდაცვალებაზე და მისი სვიმონ I-სადმი მუდმივ თანადგომაზე გადმოგვცემს, იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც ოსმალები სამცხეში გაბატონდნენ მისი ქვრივი და მცირეწლოვანი ვაჟი, ერთგულ მსახურებთან ერთად ტყვეებსა და მთებში აფარებდნენ თავს. „იმ ოცდახუთი წლის განმავლობაში, როცა მთელი საქართველო ოსმალების ქვეშევრდომი და მოხარკე იყო, ხსენებული მანდილოსანი ბევრს ეცადა, რომ როგორც საქართველოს სხვა მხარეებში ოსმალები ქართველ მმართველებს უთმობდნენ [ქვეყანას] და ხარკის აღებით კმაყოფილდებოდნენ, ისე მისი ვაჟისთვისაც, რომელიც ათაბაგად იწოდებოდა, დაეთმოთ

1 ვახუშტი ბატონიშვილით ამ დროს მანუჩარ II ისევ ცოცხალი იყო. „ამან მანუჩარ მძღავრობისათვის ოსმალთა წარუვლინა (ერევანთან მდგომ – ე.მ.) შაბაზს ძე თვისი მანუჩარ, რათა მწე ეყოს, და მისცა ხერთვისი და რომელნიმე ციხენი და შეაყენა ყიზილბაშნი მწედ თვისად“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 724). შაჰ აბაზი ვიდრე ერევანთან იდგა მანუჩარ მანუჩარის ძე თავისთან ჰყავდა, ზოლო როცა ერევანს გაეცალა იგი ერევნის გამგებელ ამირგუნე ხანთან დატოვა „და ზრდიდა იგი“.

მანუჩარ II-ის გარდაცვალების შემდეგ, რაც ვახუშტით მოხდა 1614 წელს, მანუჩარ III, ოსმალეთის სულთნის ბრძანებით ერევნიდან წამოიყვანეს „და დასუეს ათაბაგად. ამან მანუჩარ დაიპყრა ქონებანი მამისა თვისისა“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 725-725).

2 იქვე, გვ. 72.

3 ამ ცნობიდან (ყოველ შემთხვევაში მისი ქართულ თარგმანიდან) არ ჩანს, რომ შაჰმა დააკმაყოფილა ელენეს თხოვნა და მისი ვაჟი მანუჩარი სცნო სამცხე-საათაბაგოს გამგებლად მოხარკეობის საფუძველზე, როგორც მ. სვანიძე ფიქრობს იმავე წყაროზე დამყარებით (სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა, გვ. 295. იხ. აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 254)

[ქვეყანა] და ხარკი აეღოთ. ოსმალები არ დათანხმდნენ ამაზე. მხოლოდ ერთი ნაკვეთი მისცეს იმ ველაიეთში მას და დედამისს ცხოვრების სახსრად და ისიც გაჭირვებით ატარებდა ცხოვრებას“¹.

ზემოთ მოყვანილი ამონარიდი მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ ამჯერად იმას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ისქანდერ მუნში არაფერს ამბობს შაჰის მიერ მანუჩარ III-სათვის ათაბაგობის არც მინიჭებისა და არც ამ რანგში მისი დამტკიცების შესახებ. მანუჩარ II-ის მემკვიდრე ცნობილი და აღიარებული იყო ათაბაგად („ათაბაგად იწოდებოდა“), ქართველებისა და, ყოველ შემთხვევაში, სპარსელების მიერ მანც. ასე უნდა გავიგოთ ისქანდერ მუნშის ნათქვამი.

ოსმალების წინააღმდეგ შეტევისათვის მოკავშირეებს მოხერხებული დრო შეურჩევიათ. ამ დროს ანატოლიაში „ჯეღაილების“ აჯანყება მიმდინარეობდა. ოსმალთა სარდალმა მურად ფაშამ, მხოლოდ მათი დამარცხების შემდეგ შეძლო ფერჰად ფაშის დასახმარებლად ყირიმელი სალამათ-გირეი-ხანის თათრების მარბიელი ლაშქრის გაგზავნა და გამუსლიმანებული მესხი ფეოდალის მოჰამედ ფაშას შვილის, „რომელიც მესხეთის გამუსლიმანებულ უფლისწულთაგანი და ოსმალთა შორის გაზრდილი და ფაშას ხარისხსა და ხელისუფლებას მიღწეული იყო, ახალციხეში გაგზავნა“. 1608 წელს ათაბეგ-ხანმა (მანუჩარ III) და ელენემ წინააღმდეგობა ვერ გასწიეს და ქართლში გადავიდნენ. ახალციხე კვლავ ოსმალებმა დაიპყრეს. მამიდის და მანუჩარის დასახმარებლად ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ ახალციხეზე გაილაშქრა და დიდ წარმატებასაც მიაღწია, თუმცა ახალციხის განთავისუფლება ვერ შეძლო. ქართველთა ტყვეობაში, სხვა მრავალ ფაშასთან ერთად, აღმოჩნდნენ ფერჰად ფაშა და ზემოხსენებული გამუსლიმანებული მოჰამედ ფაშას შვილი. „ფერჰად ფაშას ქართველი ბატონების თხოვნით აპატიეს [დანაშაული], მოჰამედ ფაშას შვილი კი სიკვდილით დასაჯეს“².

მანუჩარი III ასე თუ ისე ვითარებას აკონტროლებდა 1619 წლამდე, მანამდე ვიდრე ოსმალეთ-ირანის ზავით ახალციხე ოსმალეთს გადაეცემოდა. ოსმალებმა ახალციხეში ძლიერი ციხე ააგეს, შიგ შეციხვნენ

1 ისქანდერ მუნში, გვ. 71.

2 იქვე, გვ. 72-73.

ჩააყენეს და ქვეყნის გამგებლად ზემოსხენებული გამუსლიმანებული ახალ-ციხელი დიდებული იუსუფ ფაშა დანიშნეს. თანდათანობით, განუხრელად, მიმდინარეობდა ქრისტიანი მესხების გამუსლიმანება და ქართული მიწათმფლობელობის ოსმალურით შეცვლა. ვახუშტი გადმოგვცემს იმის შესახებ, ოსმალთა ძალადობის ან ცალკეული ადამიანების წარმატების სურვილით, როგორ იცვლებოდა მესხეთში ადათ-წესები, ათაბაგთა ოდინდელი ქვეშევრდომები ახლა ურჩობენ, მანუჩარი კი ასეთ მდგომარეობას არ ეგუება და ებრძვის მათ. მანუჩარ ათაბაგი როგორც შეეძლო ისე ებრძოდა ოსმალებს, მაგრამ დრო და საერთაშორისო ვითარება მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ისიც იძულებული გახდა თავისი მამის გზას დადგომოდა, პირდაპირი გაგებით, და იმანაც ერთი პირობა (1624 წელს) თავი შეაფარა ახალდაბას¹. იმავე წელს სამცხე-საათაბაგოს ციხეები სპარსელთა ხელში გადავიდა, რაც მანუჩარს თავის სამთავროში დაბრუნების საშუალებას უსპობდა. ამიტომ, როდესაც მან გაიგო მარაბდის ბრძოლისათვის მზადების შესახებ, მაშინვე გაეშურა თავისი 300 მხედრით და მონაწილეობა მიიღო სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში (1625 წ.). ქართველობის მიერ განცდილი მარცხის შემდეგ მანუჩარი ახალდაბაში დაბრუნდა და ოსმალებთან მორიგება გადაწყვიტა: „მოვიდა ახალდაბასვე, ეზრახა ოსმალთა, ზავ-ჰყო მათ თანა, მოვიდა დაიპყრო სამცხე“. მაგრამ მან ვერ შესძლო ქვეყანაში მშვიდობის დამყარება და ამხედრებული ქვეშევრდომების დამორჩილება. რადგან მას მეტი ძალა აღარ შესწევდა, სტამბოლს წავიდა ხონთქართან. ოსმალეთის მბრძანებელმა შეიწყნარა მანუჩარი და ქრისტიანობის შენარჩუნებით აღადგინა ათაბაგად. საათაბაგოში მომავალ მანუჩარს შემოხვდა თავისი ბიძა ბექა, მანუჩარ II-ის ძმა, რომელმაც მოწამლა ძმისშვილი და თვითონ წავიდა სტამბოლს, გამუსლიმანდა, „(სულთანმა – ე.მ.) მოსცა ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი და უწოდეს საფარ ფაშა და პატივსცეს ორითა თულითა². მერმე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს“. ვახუშტის მიხედვით, ეს მოხდა 1625 წელს³.

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 725

2 თული – ოსმალთა ფაშების წინ სატარებელი ბაირადი ცხენის ძუისკვან დამზადებული (ჩუბინაშვილი ნ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, სვ. 571).

3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 724-725.

საფარ ფაშას გამგებლობის დროს (1625-1635) და მის შემდგომ, დაიწყო ახალციხის საფაშოს (ასე იწოდებოდა ამ დროიდან ყოფილი სამცხე-საათაბაგო) განუხრელი გამუსლიმანებისა და ოსმალური წესებისა და კანონების დანერგვა, ეკლესია-მონასტრების მარცვა და გაუქმება, „ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდნენ და მალვიდნენ ხატთა, ჯუართა და ნაწილთა წმიდათათა და სხუათა წარაქუნდათ პირველისაებრ იმერეთს და ქართლს და ივლტოდიანცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდნენ მაჰმადიანობასა, რამეთუ განაგებდა საფარ ფაშა ნებითა ოსმალთასთა ყოველსავე“. რადგან საფარ ფაშამ ახალციხის ფაშობა მეტკვიდრეობით მიიღო, ამიტომ მისი მეტკვიდრენი სტამბოლში მიდიოდნენ ზოლმე და ქრთამის გადახდით ფაშის ტიტულს იპოვებდნენ და საფაშოს განაგებდნენ¹.

ამგვარად, საფარ ფაშას მმართველობით დამთავრდა სამცხე-საათაბაგოს ისტორია. ამის შემდეგ საათაბაგოს მიწები, ქართული კულტურის და ქრისტიანობის უმნიშველოვანესი კერა, ოსმალეთის ერთ-ერთ საფაშოდ გადაიქცა.

1 იქვე, გვ. 726-727.

ოდიშის სამთავროს საბარაო ურთიერთობების ისტორიიდან

1. ოდიშის სამთავროს გენუზის რესპუბლიკასთან ურთიერთობის ისტორიიდან

XIV ს. დამდეგისათვის მონღოლთა ბატონობამ საქართველო ეკონომიკურად დააქვეითა და პოლიტიკურად დაშალა. გიორგი ბრწყინვალემ (1318-1346) უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის ერთიანობისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის.

1329 წ. გარდაიცვალა იმერეთის მეფე მიქელ ნარინ დავითის ძე. ამით ისარგებლა მეფე გიორგიმ, იმერეთში გადავიდა, ქუთაისს დაეუფლა და ბაგრატ მიქელის ძეს შორაპნის ერისთავობა მისცა. გიორგის სიძლიერის მნახველმა მამია დადიანმა, გურიელმა, სვანთა ერისთავმა და აფხაზეთის ერისთავმა შერვაშიძემ მორჩილება გამოაცხადეს 1330 წელს. მეფემ შემდეგ გაიარა ოდიში, აფხაზეთში გადავიდა, „განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თჳსად და მისცა ცხოშის საერისთო ბედიელს“¹. ვახუშტი ბატონიშვილის ეს ფრაზა ბუნდოვანი და, ამდენად, გაუგებარია. რამ აიძულა მეფე გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ერისთავი მას დაემორჩილა, მაინც ჯარით შესულიყო აფხაზეთში და, ფაქტობრივად, დაეპყრო იგი.

აღბათ, საეჭვო არაა, რომ ბედიელი (ბედიანი), იგივე დადიანი², როგორც ჩანს, გიორგი ბრწყინვალის მეფობის პირველ პერიოდში ერთმანეთის ტოლფასი ეს ორი ტიტული პარალელურად არსებობდა³. გიორგის მეფობის შემდეგ იგი აღარ გვხვდება⁴. დადიან-ბედიანი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალი იყო და, სავარაუდოა, თვალი ეჭირა ცხუმის საერისთავოზე. მან ისარგებლა მეფის კარგი განწყობილებით და ცხუმის საერი-

სთავო გამოსთხოვა. მეფემ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. ამავე დროს, ისე ჩანს, რომ ბედიანს რაღაც უფლებაც კი ჰქონდა მასზე. ვახუშტი გადმოგვცემს: „მისცა (მეფემ – ე. მ.) ცხოშის საერისთავო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხოშისა იყო“. იგულისხმება, რომ ბედიანი ადრე ცხოშის ერისთავი იყო? შეიძლება ისტორიკოსს იმის თქმა უნდოდა, რომ ადრე ცხოშის საერისთავო ცალკე იყო აფხაზეთის საერისთავოსაგან? თამარ მეფის დროს ცხუმის საერისთავო ხომ ცალკე იყო¹. ასე იყო თუ ისე, გიორგი მეფე რატომღაც გაუწყრა შერვაშიძეს და დაიპყრო აფხაზეთის ციხეები, ადგილობრივი საქმეებიც თვითონ მოაგვარა („განაგნა მუნებურნი“), ციხეებს თვითონ დაეპატრონა („დაიპყრა ციხენი თჳსად“) და ბედიანს გადასცა ცხუმის საერისთავო, რომელიც, როგორც ვახუშტის თხზულებიდან შეიძლება გავიგოთ, გიორგი V-ის მიერ დასავლეთ საქართველოს შემოერთების წინ აფხაზეთის საერისთავოს შემადგენლობაში იყო. ცხუმის მაშინდელი კათოლიკე ეპისკოპოსის პეტრე გერალდის ნათქვამიდან ჩანს, რომ გიორგი V-მ ბედიანს საქართველოს ამირსპასალარობაც უბოძა. პეტრე გერალდი ინგლისში კენტერბერიის არქივისკოპოსს სწერდა: „ამ ქვეყნის (ოდიშის სამთავრო – ე. მ.) მბრძანებელი მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის“².

იმავე ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ცხუმის საერისთავო დადიანს დაუმტკიცა, აგრეთვე, გიორგი VII-მ, მაგრამ დადიანები მთელი აფხაზეთის დაპყრობას ლამობდნენ. XIV ს. დამლევს ვამეყ დადიანმა ილაშქრა შერვაშიძის წინააღმდეგ, აფხაზეთი აიკლო და ორი ერთმანეთის სიახლოვეს არსებული სიმაგრეები – უღალნო და გაგრა დაანგრია³. 1412 წელს მამია დადიანმა „ინება დამორჩილება აფხაზთა“. მაგრამ აფხაზები მტკიცედ დახვდნენ დადიანს, მოკლეს, მისი ჯარი კი უკუაქციეს⁴.

1 Там же, с. 172.

2 კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1982, №9, გვ. 157.

3 თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში. ძველი საქართველო, III, 1912-1913, გვ. 133, 154.

4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 278.

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 258.

2 ვახუშტისთან ვხვდებით ორმაგ ტიტულს – დადიან-ბედიელი, ბედიელ-დადიანი.

3 ზ. ანჩაბაძე ბედიელს და დადიანს სხვადასხვა ერისთავებად მიიჩნევდა. **Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959, с. 237.**

4 Там же, с. 177, 197.

ალექსანდრე I-მა (1412-1442) შეჰყარა ჯარი და ოდიშში მივიდა. მეფეს დაღუპული მამიას ვაჟი ლიპარიტი მიეგება და მამის ცოდვების მიტევება ითხოვა. ალექსანდრემ მას ერისთავობა დაუმტკიცა და აფხაზეთში წაიყვანა, სადაც შერვაშიძემ მაშინვე მორჩილება გამოაცხადა „და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა ვითარცა პირველთა მეფეთასა“. ალექსანდრემ ადგილობრივი საქმეები მოაწესრიგა, ხალხი დაამშვიდა და ქუთაისს წავიდა¹.

საინტერესოა, აფხაზეთში მიმავალმა მეფე ალექსანდრემ თან რატომ წაიყვანა ლიპარიტ დადიანი? ან რა უნდა ვიგულისხმობთ მეფის ბრძანებაში შერვაშიძის მიმართ? ვფიქრობ, მეფემ შერვაშიძეს დადიანისადმი მორჩილება უბრძანა, მაგრამ როგორც ბერი ეგნატაშვილი სხვა პერიოდთან დაკავშირებით შენიშნავდა „ესე შერვაშიძე მორჩილებდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“².

შერვაშიძეები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზოგჯერ გარკვეულ წარმატებასაც აღწევდნენ, საბოლოოდ მაინც იძულებულნი იყვნენ ბედიან-დადიანის ხელისუფლებას დამორჩილებოდნენ. ამ უმსხვილეს ფეოდალს ხშირად მეფე უჭერდა მხარს, რომელსაც, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, თავისი ინტერესები ჰქონდა აფხაზეთში.

ამგვარად, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XIV-XV საუკუნეებში არსებობდა დამოუკიდებელი აფხაზეთის საერისთავო, ხოლო ცხუმის საერისთავო ოდიშის საერისთავოში შედიოდა. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით ავითარებდა ზ. ანჩაბაძე, მაგრამ იმავე პერიოდის უცხოურ წყაროებს თუ მოვიხმობთ, სხვაგვარი სურათი წარმოგვიდგება.

XV ს. პირველი მეოთხედიდან გვაქვს გერმანელი ჰანს შილტბერგერის ერთი ცნობა აფხაზეთის შესახებ. ის საქართველოს „ქვეყნებს“ შორის ასახელებს აფხაზეთის ქვეყანას³, რომლის

დედაქალაქი იყო ცხუმი (Zuchum). შილტბერგერის ნათქვამი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მთელი აფხაზეთის დედაქალაქად სოხუმს – ცხუმს ასახელებს¹ და აფხაზეთი გააზრებული აქვს ერთ მთლიანობაში.

საინტერესოა ჯოსაფატ ბარბაროს ნათქვამი სამეგრელოს შესახებ: „ეს სამეგრელო ესაზღვრება კაიტაკებს, რომლებიც კასპიის მთის მახლობლად ცხოვრობენ, შავ ზღვას და მთაგრეხილს, რომელიც ჩერქეზეთამდეა გადაჭიმული. იგი ნაწილია საქართველოსი². მაშასადამე, ბარბაროს დროს ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა მთელი აფხაზეთი ჩერქეზეთამდე. ბარბაროს ცნობის სინამდვილეს აზუსტებს გენუელი ჯორჯო ინტერიანო (XV ს.), რომელიც კარგად იცნობდა ჩერქეზეთს და საფუძვლიანადაც აღწერა.

ინტერიანოს მიხედვით, საქართველოს საზღვარი ჩერქეზეთთან გადიოდა ანგაქსიასთან. ეს უნდა იყოს XIV-XV საუკუნეთა იტალიურ რუკებზე გაგრის მახლობლად ჩრდილოეთით აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტი: Avobaxia – პიეტრო ვესკონტეს (1318 წ.), Anogasia – გრაციოზო ბენიკაზას (1480 წ.), Avogassia – ფრედუჩეს (1497 წ.) რუკებზე, Anogasi – XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის რუკაზე, რომელიც დართული აქვს ჯოვანი ტომაზო მინადლის თხზულებას³. ანგაქსია ინტერიანოს თქმით, კოლხეთის ნაწილს შეადგენდა⁴. ამბროჯო კონტარინის გადმოცემით ავოგაზიასთან გაძარცვეს პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი და უზუნ-ჰასანის ელჩი⁵. უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო დეტალი: ფრედუჩეს რუკაზე მცირე მონაკვეთი მონიშნულია, როგორც ავოგაზიის სანაპირო (**costa Avogassia**), ხმელეთის შიგნით კი, იქ სადაც კავკასიონის ქედი უნდა ვიგულისხმობთ, კიდევ მეორდება იგივე სახელწოდება – უფრო მსხვილი შრიფტით. ავო-

1 იქვე.

2 XV საუკუნის იტალიელი მოგზაურების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 55.

3 Minadoi G. T. *Historia della guerra fra Turchi et persiani, Venezia, 1588.*

4 «*qvivi confinano con Angaxia, cioe parte di Colchide*» (Interiano G., *La vita et sito de Zichi, chiamati Circass. Historia nobile, Venezia, Aldus, 1502, p. 4*)

5 Ramusio G. B., *Op. cit., p. 119v.*

1 იქვე.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 349.

3 „*Es ist ein Land und heist Abkas*“. მამისთვალისშვილი ე. საქართველო ჰანს შილტბერგერის „მოგზაურობის წიგნში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, №2, გვ. 108.

გასის სამხრეთით და გაგრის (**Caccarj**) ჩრდილოეთით, ე.ი. ამ ორ პუნქტს შორის დატანილია კიდევ ერთი გეოგრაფიული პუნქტი (ასეა სხვა რუკებზეც) – ლაიაცო-აიაცო (**Laiazo, Lenazo, Aiazo**), რომელიც პ. ინგოროყვამ ქ. ტუაფსეს ძველ სახელთან გააიგივა¹

პ. ინგოროყვას მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მაშინ აფხაზეთის ლოკალიზება მოგვიხდება არა იქ, სადაც დღევანდელი აფხაზეთია, არამედ ბევრად ჩრდილო-დასავლეთით, მაგრამ ზემოთ-დასახელებული რუკების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ უფრო სწორი იქნება ლაიაცო დღევანდელი ადღერის მიდამოებში გვევარაუდა, ხოლო რაც შეეხება ავოგაზიას, თუ ასეთი სახელწოდების ქალაქი არსებობდა², მაშინ იგი მდაბარეობდა დღევანდელი ადღერის სიახლოვეს, სადაც ინტერიანოს მიხედვით საქართველოს ჯიქეთთან საზღვარი გადიოდა. დაბოლოს, უნდა გავიხსენოთ XIV ს. არაბი ისტორიკოსი ალ-მუჰიბი (გარდ. 1384 წ.), რომელიც წერდა: „დადიანი განაგებს სუხუმსა და აბხაზს“³. ამასვე აღნიშნავდა მეორე არაბი ისტორიკოსი ალ-კალკაშანდი⁴.

განხილულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება კორექტივი შევიტანოთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებსა და ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ მოსაზრებაში (აფხაზეთის საერისთავოზე თითქოს არ ვრცელდებოდა დადიან-ბედიანის ხელისუფლება) და ვთქვათ, რომ XIV-XV საუკუნეებში აფხაზეთის ორივე საერისთავო ოდიშის საერისთავოში შედიოდა.

ამგვარად, ოდიშის საერისთავოს საზღვრები XIV-XV საუკუნეებში მდინარე ბზიფამდე კი არ ვრცელდებოდა, როგორც ზ. ანჩაბაძე ფიქრობდა⁵, არამედ უფრო ჩრდილოეთით, მდინარე ფსოუ-

მდე (მძიმთა) და მთელი აფხაზეთი ოდიშის სამთავროში შედიოდა.

ოდიშის მთავრის ამგვარი გაძლიერების მიუხედავად (მას ემორჩილებოდა გურიის სამთავრო), როგორც იმდროინდელი წყაროებიდან ირკვევა, ის მაინც მეფის უზენაეს ხელისუფლებას ცნობდა და ემორჩილებოდა. მეფე განსაკუთრებულ შემთხვევაში სამთავროს საქმეებში ერეოდა. ეს გარემოება საკმაოდ ნათლად აისახა ქართულ (ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი) და უცხოურ წყაროებში. ივ. ჯავახიშვილი კონტარინისა და ბარბაროს ცნობებზე დამყარებით აღნიშნავდა: „ბედიანის სამთავრო ამ დროს შეადგენდა ცალკე პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც თავისი საზღვრები და მართვა-გამგეობა ჰქონდა და საკუთარი ჯარი ჰყავდა, მაინც საქართველოს მეფეს უზენაესი უფლება ამ სამთავროზე შენარჩუნებული ჰქონდა და განსაკუთრებულ შემთხვევაში ის ამ სამთავროს საქმეებშიც ერეოდა ხოლმე“¹. მართლაც კონტარინი, როგორც თვითმხილველი, გადმოგვცემს, რომ საქართველოში ყოფნისას, 1475 წ. ივლისში, სამეგრელოს საზღვრებთან იგი შეხვდა ბაგრატ მეფის ჯარს, რომელიც სამეგრელოში იყო ბედიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მომხდარი რაღაც უთანხმოების გამო².

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბედიანს, მსგავსად ათაბაგისა, ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად ევროპაში საკუთარი ელჩი არ გაუგზავნია. როგორც ჩანს, მას XV საუკუნის 50-იანი წლების დასასრულისათვის ჯერ კიდევ არ მოუპოვებია პოლიტიკური უფლებები იმდენად, რომ მეფისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა.

ბედიანის ავტორიტეტის ზრდაზე მეტყველებს გიორგი VIII-ისა და ყვარყვარე ათაბაგის 1459 წ. რომსა და ბურგონში გაგზავნილ წერილები, რომლებშიც ჩამოთვლილია ვინ გამოთქვა კოალიციაში შესვლის სურვილი. მათში სამეგრელოს მთავარი მეფედ მოხსენიება. ესენი იყვნენ: ყვარყვარე II, გიორგი სპარსეთის

1 ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 123.

2 ვესკონტეს, ბენიკაზას და ფრედუჩეს რუკებზე ავოგაზია ისეთივე პირობითი ნიშნით არის აღნიშნული, როგორც შავი ზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ქალაქები.

3 XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 53.

4 იქვე, გვ. 54

5 Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, с. 240.

1 ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 104.

2 Ramusio G. B., Op. cit., p. 119r.

მეფე, დავით ტრაპეზუნტის იმპერატორი, ბენდია სამეგრელოს მეფემან, რაბია ანაკოსიის (აფხაზეთის) მთავარმა, და ბერლებეგ მცირე სომხეთის ბატონმა¹. როგორც ზ. ანჩაბაძე აღნიშნავდა, „ეს გარემოება, ერთი მხრივ, შეიძლება შეფასებული იქნეს, როგორც გიორგი VIII-ის მისწრაფება განედიდებინა კოალიციის წევრები, რათა დასავლეთ ევროპის მბრძანებლებზე, რომელთაგანაც დახმარების მიღებას ცდილობდა, მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოეხდინა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ფაქტი უეჭველად იმაზე მიუთითებს, რომ ბენდიანი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და გავლენიანი მთავარი იყო“².

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ ის რომ წერილის ლათინურ ტექსტში აფხაზეთი არ წერია. იგი მ. თამარაშვილმა ჩაამატა და ფრჩხილებში მოათავსა ანაკოსიის განმარტების მიზნით – აფხაზეთს ნიშნავსო. ეს ვარიანტი, როგორც შეიძლება ვიფიქროთ, მისაღებად ჩათვალა ზ. ანჩაბაძემ³ და მან, თავის მხრივ, ლათინურ ტექსტში მცირე შესწორება შეიტანა, რომლითაც ანოკაზია (Anocasia) აპოკასიად (Apocasia) მოგვევლინა და მან მკვლევრისათვის სასურველი ჟღერადობა (აპოკაზია/აფხაზეთი) შეიძინა. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არც მ თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ლათინურ წერილში და არც მის ფონდში დაცულ მასალებში არსად არ წერია Apocasia. ყველგან არის Anocasia ან Angosia⁴.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ანაკოზიის მთავარი იგივე ანაკოფიის მთავარი იყო. ადრე, როდესაც ამ საკითხს ვეხებოდი, გავიზიარე ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება და მხოლოდ მისი დაზუსტების მიზნით მოვიშველიე ზ. ანჩაბაძის ნაშრომი და ვთქვი, რომ რაბია აფხაზეთით დასახლებული მთელი ტერიტორიის ერისთავი კი არ იყო, არამედ მხოლოდ იმ ნაწილისა, რომელიც სა-

ბენდიანოს შემადგენლობაში არ შედიოდა, მას აფხაზეთის საერისთავო ერქვა და XV ს. მეორე ნახევარში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. იგი ანაკოფიიდან ნიკოფსიამდე იყო გადაჭიმული¹.

ეს საიონტერესო საკითხი მაშინ კვლევის საგნად არ გამიხდია და მხოლოდ არსებულ გამოკვლევებს ვეყრდნობოდი. რა თქმა უნდა, არც ის იყო მართალი, როდესაც Anocacia და Angosia ანაკოფიასთან გავაიგივე. ვფიქრობ, Rabia dux Anocasiae იყო ჯიქეთის (აფხაზეთა მონათესავე) მთავარი და არა აფხაზეთისა. ერთი შეხედვით, ამგვარი მოსაზრება თითქოს საეჭვოა მაშინ, როცა გიორგი მეფის მიერ ბურგონის დუკასათვის გაგზავნილ წერილში ცალ-ცალკე ვხედავთ „სამეგრელოს მეფე ბენდიას“ და „ანიკასიის მთავარ რაბიას“. ამ წერილში აფხაზეთი ნახსენებიც კი არ არის. მაგრამ როცა ვეცნობით 1460 წელს საქართველოს ელჩების მიერ პაპისათვის წარდგენილ მოკავშირეების სიას, სადაც ბენდიანი მოიხსენიება სამეგრელოს და აფხაზეთის მეფედ (Bendas Megreliae et Abasiae Rex) და იქვე მაინც დასახელებულია Fabia (იგივე Rabia dux Anogasiae), არავითარი საფუძველი არ რჩება იმისათვის, რომ ანგოზიაში აფხაზეთი ვიგულისხმოთ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ და შემდეგში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე დადიანისაგან დამოუკიდებელი სხვა რომელიმე პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა.

ქართული სამეფო კარი დაინტერესებული იყო ოდიშის სამთავროს სამფლობელოებში მოქცეული სოხუმის, იგივე სევასტოპოლისის საშუალებით მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელსაც ძირითადად გენუელები ახორციელებდნენ ყირიმის მთავარი სავაჭრო ფაქტორიის კაფას მეთაურობით.

გენუის რესპუბლიკა ადრევე დაინტერესდა აღმოსავლეთთან ვაჭრობით. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჯვაროსნულ ლაშქრობებში და სავაჭრო პრივილეგიები მოიპოვა ახლო აღმოსავლეთში.

¹ მაძისთვალისშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 45-47.

¹ თამარაშვილი მ. გვ. 595-596.

² **Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959, с. 239; Анчабадзе З. В., Очерк истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960, с. 90-91.**

³ **Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, с. 253.**

⁴ მ. თამარაშვილის ფონდი, №1053.

ვენეციის მიერ ინსპირირებული მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის (1204 წ.) შედეგად ბიზანტიის იმპერიის მოსპობით და მის ტერიტორიაზე ე. წ. ლათინთა იმპერიის წარმოშობით, გაძლიერდა ვენეცია. მის ხელში გადავიდა აღმოსავლეთთან ვაჭრობა. მაგრამ გენუა არ ურიგდებოდა შეცვლილ ვითარებას და ბიზანტიის იმპერიის აღდგენას ცდილობდა, რაც განახორციელა კიდეც 1261 წელს. გენუელებმა შავ ზღვაში უბაჟო ვაჭრობის უფლება მიიღეს, მაშინ, როდესაც ვენეციელებს საერთოდ აეკრძალათ იქ შესვლა. მცირე ხნის შემდეგ (1266 წ.), გენუელებმა ოქროს ურდოს ყაენთან შეთანხმებით, ყირიმის ნახევარკუნძულზე მიიღეს ქალაქი ფეოდოსია, რომელსაც კაფა ეწოდა. ეს ქალაქი გადიქცა გენუელების მთავარ დასაყრდენად შავ ზღვაში.

მოკლე დროში გენუელებმა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, ტანადან სევასტოპოლისამდე (cxumi) დაარსეს 39 კოლონია და დასახლება. აქედან შვიდი კოლონია იყო საქართველოს შავი ზღვისპირეთში, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ როლს თამაშობდნენ მიმდებარე ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრებაში XIV-XV საუკუნეებში.

ცხუმის ვაჭრობა ძირითადად გენუელების ხელში იყო. ეს ქალაქი, როგორც ბარბარო აღნიშნავდა, ბედიანის სამფლობელოებში შედიოდა. ცხუმი, გერმანელი მეცნიერის ვ. ჰეიდის თქმით, ერთ-ერთი მტკიცედ ნაგები ციხე-სიმაგრე იყო და ამავე დროს კავკასიის შავი ზღვისპირა ქვეყნებისათვის უმნიშვნელოვანეს „საქონლის საწყობს“ წარმოადგენდა¹.

ბედიანს ეკუთვნოდა, აგრეთვე, ზღვისპირას მდებარე დიდი თუ მცირე დასახლებული ადგილები. საინტერესოა, რომ გრაციოზო ბენიკაზას მიერ 1400 წელს შედგენილ რუკაზე, ფრედუჩეს 1497 წ. რუკაზე და XV საუკუნის უცნობი კარტოგრაფის რუკაზე ცხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მცირე დაშორებით, იქ სადაც მდ. კელასური ზღვას ერთვის, აღნიშნულია შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი პუნქტი „მეგრელების ნავსადგური“ (**Porto Megrello**). ამ ნავსადგურის აღმოცენებას X საუკუნეში (ადრინ-

დელ რუკებზე იგი არ ჩანს) ზ. ანჩაბაძე შავ ზღვაში გენუელთა კოლონიური სისტემის ლიკვიდაციას და მასთან ერთად ცხუმის დასუსტებას მიაწერდა¹.

XIV საუკუნიდან ცხუმში უკვე იყვნენ გენუის რესპუბლიკის კონსულები². ცხუმის პირველი კონსული ჩანს 1354 წლიდან. იგი იყო ამბროჯო დე პიეტრო³. ცხუმში კონსულის ყოფნა, გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის არსებობაზე მიუთითებს.

გენუის ანალებიდან (1424 წ.) ვიგებთ, რომ ამ ქალაქში, ისევე, როგორც შავი ზღვის სხვა ფაქტორიებში, გენუის მთავრობა ადგილობრივ მფლობელთან, ე.ი. ბედიანთან შეთანხმებით ნიშნავდა კონსულს, გადამწერებს და სხვა მოხელეებს⁴. აქვე იყო რომის კათოლიკე ეპისკოპოსის რეზიდენცია.

ცხუმში პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი დაინიშნა 1318 წელს. მოღწეული ცნობები ამ ქალაქის სამი კათოლიკე ეპისკოპოსის ვინაობას აღნიშნავს. ზემოთ დასახელებული პეტრე გერალდის წერილიდან ირკვევა, რომ ცხუმში იყო ქართველი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის რეზიდენციაც. იმავე წერილიდან გამომდინარე ვერ გავიზიარებ თითქოს ცხუმში და არა ბიჭვინთაში იყო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის სამყოფელი. წერილში ნათქვამია: „ზემოთ ნათქვამი სასაფლაოს მიცემით ძალიან განაწყენებული დარჩა სქიზმატიკოსი (ქართველი მართლმადიდებელი – ე.მ.) ეპისკოპოსი და სამღვდლოება“. ცოტა ქვემოთ აღნიშნულია: „მესამედ აღმართული (ჯვრები, ქვები) სქიზმატიკოს ეპისკოპოსთა ეპისკოპოსთან წაიღეს“⁵. ამონარიდიდან ჩანს, რომ ეპისკოპოსთა-ეპისკოპოსის, ე.ი. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის რეზიდენცია, სადღაც სხვაგან, ალბათ, ბიჭვინთაში იყო.

მიუხედავად იმისა, რომ 1318 წ. ცხუმში უკვე იმყოფებოდა კათოლიკე ეპისკოპოსი, 1330 წ., როგორც ეპისკოპოსი გერალდის

1 Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, с. 243.

2 Donaver, La storia della repubblica di Genova, 1913, p. 160.

3 Heyd W., Geschichte des Levantehandels im Mittelalter, S. 192.

4 Annali della repubblica di Genova, 1854, p. 304.

5 კიკნაძე ვ., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1982, №9, გვ. 157.

1 Heyd W., Geschichte des Lenantehandels im Mittelalter, S. 695.

წერილიდან ირკვევა, კათოლიკებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ თავიანთი ეკლესია, ეპისკოპოსიც უსახლკაროდ იმყოფებოდა და თავს ირჩენდა ქართველებისაგან შეწირულობებით¹. ასეთ ვითარებაში საეჭვოდ მეჩვენება იმის თქმა, რომ კათოლიკური საეკლესიო კათედრა თბილისის გარდა ცხუმშიც არსებობდა².

ცხუმი თავისი კარგი მდებარეობის გამო დიდი ხნის განმავლობაში კავკასიის შავიზღვისპირეთის ვაჭრობის ცენტრად ითვლებოდა. ცხუმში გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობებზე მიუთითებს 1449 წელს გენუაში მიღებული დადგენილება შავი ზღვის ფაქტორიებისათვის. მასში ჩანს ცხუმის კონსულის უფლებები ექსპორტ-იმპორტზე ღირებულების ერთი პროცენტის გადახდევინების შესახებ, რაც თავისთავად ამ ქალაქის სავაჭრო მნიშვნელობაზე მეტყველებს³.

ცხუმზე ბედიანის ხელისუფლება ვრცელდებოდა და, რა თქმა უნდა, მას ვაჭრობიდან მიღებულ ქალაქის შემოსავალზე პრეტენზია ექნებოდა. სავარაუდოა, ამის გამო ხდებოდა ბედიანსა და კოლონისტ ხელისუფალთ შორის კონფლიქტი⁴, რომლის თავიანთ სასარგებლოდ მოგვარებით გენუელები დიდად დაინტერესებულნი იყვნენ.

გენუელი ვაჭრები ცხუმში იძენდნენ ადგილობრივი წარმოების საგნებსა და პროდუქტებს: ხე-ტყეს⁵, ცვილს, ბეწვეულს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. გენუელებს შემოჰქონდათ მარილი, ფუფუნების საგნები, იარაღი და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ნაწარმი.

ცხუმი ითვლებოდა, აგრეთვე, მონებით ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. მონათვაჭრობა უძველესი და მტკიცეული პრობლემა იყო მთელი შავი ზღვისპირეთის მოსახლეობისათვის.

1 იქვე.

2 იქვე, გვ. 158.

3 *Записки Одесского Общества Истории и Древностей*, X, с. 809.

4 *Nuovo Archivio Veneto. Nuovo serie – anno XIV, t. XXVIII, parte I, Venezia, 1914, p. 392.*

5 აფხაზეთის ტერიტორიაზე ხე-ტყით ვაჭრობის ცენტრი იყო ბიჭვინთის მახლობლად მდებარე კავო ბუქსო. *Ibidem.*

დიდი მწუხარებით წერდა ცხუმის კათოლიკე ეპისკოპოსი პეტრე გერალდი 1330 წელს ცხუმში და სხვა ადგილებში ადგილობრივი დიდკაცობის მიერ ქრისტიანთა მუსლიმებზე გაყიდვის გამო. ეპისკოპოსს მოჰყავს ერთი ასეთი მაგალითი: „ამგვარად, აქ არის პატივმოყვარე ქალაქი (ცხუმი – ე.მ.), სადაც დაუმსახურებლად დანიშნული ვარ უმაღლესი მღვდელმთავრის (პაპის – ე.მ.) ნებასურვილით. როგორც ხმა დადის, ერთ დროს აქ ასი ქრისტიანი მიჰყიდეს სარკინოზებს. მათ ეს ქრისტიანები სარკინოზთა ქვეყანაში წაიყვანეს და იქ სარკინოზებად აქციეს... მიუხედავად იმისა, რომ აქ მბრძანებლები ქრისტიანები არიან, არც ამ საკითხსა და არც სხვაში არ მიგონებენ“¹.

მონებით ვაჭრობა გენუელებთან სრული თავისუფლებით სარგებლობდა და ამ საქმის ინიციატორნი დასავლეთ საქართველოში თვითონვე იყვნენ. როგორც ზ. ანჩაბაძე აღნიშნავდა: ისინი „შემდეგი დროის თურქ მონათვაჭრების ღირსეული წინაპრები იყვნენ“².

შავი ზღვისპირეთში არსებული გენუის კოლონიების 1449 წლის წესდებაში დაკანონებული ფორმა აქვს მონებით ვაჭრობას. მასში ვკითხულობთ: „თითოეულს რა წოდებისაც არ უნდა იყოს იგი, უფლება აქვს სრულიად თავისუფლად, კონსულის მხრივ რაიმე შეზღუდვის გარეშე, პირადად ან სხვების შუამავლობით შეიძინოს მამული, საქონელი და ადამიანები. თუ კონსული მყიდველს ან გამყიდველს შეუშლის ხელს, ყველა შემთხვევაში დაჯარიმდება 5 სომნით“³. მონებით ვაჭრობაში გენუელებს არც ვენეციელები ჩამორჩებოდნენ, როგორც ყირიმის სავაჭრო კოლონიების ისტორიის ცნობილი იტალიელი მკვლევარი ჯ. კანალე შენიშნავდა, ვენეციელებს ყველაზე მეტად იზიდავდა ვაჭრობა ქართველი ბავშვებით, „რომლებიც ეგვიპტეში მიჰყავდათ, სადაც შიმშის ზარის დამცემ მამლუქთა ბრბოებს ქმნიდნენ“⁴.

1 კიკნაძე ვ., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 157.

2 *Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, с. 246.*

3 *Записки Одесского Общества Истории и Древностей*, V, с. 396.

4 *Canale G., Della Crimea, p. 65.*

XV ს. მეორე ნახევარი, ისევე, როგორც იტალიელების შავი ზღვისპირეთის სხვა კოლონიებისათვის, ცხუმისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ გენუის კოლონიებზე შტევა ოსმალებმა ცხუმის აკლებით დაიწყეს. იტალიური წყაროების მიხედვით, 1454 წ. ივლისში¹ ოსმალეთის ფლოტი (52 გალერა) შავ ზღვაში შევიდა და გენუის კოლონიებზე თავდასხმა მონკასტროთი (დღევანდელი აკერმანი) დაიწყო, მაგრამ იგი ვერ აიღეს. ამის შემდეგ ცხუმს დაეცნენ და გაძარცვეს². აქედან კაფასკენ გაემუხრნენ და ყირიმის ხანის დახმარებით სცადეს ამ ქალაქის აღება, მაგრამ ვერ შეძლეს. ოსმალები იმით დაკმაყოფილდნენ კაფას კონსულმა ყოველწლიური ხარკის გადახდა რომ იკისრა³.

ოსმალების სამხედრო მოქმედებაზე ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთში ზოგიერთ დამატებით ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი, თუმცა ეს ამბავი დათარიღებული აქვს 1451 წლით. სულთნის ფლოტი 50 კატარლით (როგორც ზემოთ ითქვა, სხვა ცნობით ოსმალებს 52 გალერა ჰყავდათ) და საკმაოდ დიდი ჯარით მიადგა აფხაზეთის სანაპიროს და ალაოკრნეს და მოსწყვდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღვის პირნი.. უკუნ იქცნენ და წარვიდნენ“. მეფე გიორგი VIII სასწრაფოდ გაემურა აფხაზეთში შეჭრილი მტრის მოსაგერიებლად, მაგრამ დაიგვიანა. ოსმალები უკან გაბრუნებულიყვნენ. მეფემ განიზნული ხალხი უკან დააბრუნა, მხარე გაამაგრა, საქმეები მოაწესრიგა და გეგუთში დაბრუნდა⁴.

ამგვარად, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ოსმალებმა მხოლოდ ცხუმი კი არ გაძარცვეს, არამედ აფხაზეთის სანაპიროზე არსებული გენუის სხვა კოლონიებიც.

ოსმალთაგან აკლების შედეგებს ჯერ კიდევ არ გაველო, როდესაც 1455 წლის 28 ივლისს ცხუმმა ახალი თავდასხმა

განიცადა. ამასთან დაკავშირებით გვაქვს ერთადერთი ლათინური წყარო – წერილი ცხუმის მაშინდელი კონსულის გერარდო პინელისა. წერილში ნათქვამია: „მე ჩავიბარე სევასტოპოლისის კონსულობა... დაგყავი იქ მცირე ხანი... მოულოდნელად მას თავს დაესხნენ ავოგაზები და მოსახლეობა ერთიანად გაიქცა თავის გადასარჩენად. მეც მათსავით მოვიქეცი. [ავოგაზებს] სურდათ [მოსახლეობის] დიდი ნაწილის დატყვევება. ამის შემდეგ მე, დავკარგე რა ყველაფერი, დავბრუნდი კაფაში“¹. გამომცემელმა ა. ვინიამ ამ წერილს დაურთო მცირე ანოტაცია, რომელშიც ავოგაზები აფხაზებად ჩათვალა. ანოტაციაში წერია, შემდეგი: „გერარდო პინელი, სევასტოპოლისის კონსული პროტექტორებს მოახსენებს აფხაზების მიერ კოლონიის გაძარცვაზე და ითხოვს მფარველობას“². ავოგაზებში ჯიქები რომ უნდა იგულისხმებოდნენ, ამაზე უკვე ითქვა.

ზ. ანჩაბაძე, ეყრდნობოდა რა ფ. ბრუნის გამოკვლევას, ცხუმზე თავდამსხმელებად აფხაზები მიაჩნდა და ამ ფაქტს გაიაზრებდა, როგორც აფხაზების აჯანყებას გენუელების წინააღმდეგ. იმის დასამტკიცებლად, რომ აფხაზები ცხუმში ადრეც იბრძოდნენ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, ზ. ანჩაბაძე იმოწმებს უკვე რამდენჯერმე ხსენებულ კათოლიკე ეპისკოპოსს პეტრე გერალდს, რომელიც თითქოს ამბობს, რომ ცხუმში გენუელები სისტემატურ შევიწროებას და საშიშროებას განიცდიან ამ ქალაქში მცხოვრები „აღმოსავლეთის ქრისტიანებისგან“³. განსვენებული მეცნიერი „აღმოსავლეთის ქრისტიანებში“ აფხაზებს ხედავდა. ძნელია ამგვარი მოსაზრების გაზიარება, რადგან პეტრე გერალდი აფხაზებს საერ-

1 „A qua inrecognitionem laborum susceperam consulatum Savastopolis. In quo loco dum me reposuis... lattu ilo fun...paucissimo spatio ibidem commorano inopinante locum Auogasij. Cuntispue fugientibus ut saltem saluas facerant personas. Ego ceteros sum secutius. Qvo actum est ut perdiderimus oppidum et plures duxerint in captiulatem. Sic puod expilianus omni facultate Caffam redij“ (Atti della societa Liguria, v. VI, p. I, Genova, 1868, doc. 129, p.318).

2 „Gerardo Pinelli console di Savastopoli notifica al protettori il sacco dato alla colonia dagli Abasii e loro si raccomanda“ (Ibidem, p. 317)

3 Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, с. 247

1 მ. სვანიძის გამოკვლევით ოსმალებმა ცხუმი აიღეს 1454 წ. ივნისის დასარულს ან ივლისის დასაწყისში. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990, გვ. 112.

2 Записки Одесского Общества Истории и Древностей., VIII, с. 114.

3 Там же.

4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 284.

თოდ არ ახსენებს, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი მაშინ ცხუმში საერთოდ არ ცხოვრობდნენ. იგი თავის წერილში მხოლოდ ერთხელ მიუთითებს „აღმოსავლეთის ქრისტიანებზე“, როცა დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროს მიმართავს: „შეიბრალეთ აღმოსავლეთის ქრისტიანები, რომლებიც იჩაგრებიან და თავიანთ გაჭირვებაზე ტირიან“¹.

რაც შეეხება ჯიქების (თუნდაც აფხაზები ვიგულისხმობთ), როგორც თვითმხილველის ნათქვამიდან ჩანს, ცხუმზე თავდასხმა, აჯანყებულთა შურისძიების გამოხატულება კი არ იყო, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებულ უცხოტომელთა მიერ ნადავლისა და ტყვეების ხელში ჩაგდების მიზნით ქალაქის აკლება.

ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილო იყო გენუელების კოლონიზატორული მოქმედებით. გენუელები თავიანთ ფაქტორიებს ქალაქის ტერიტორიაზე ქმნიდნენ და ზოგჯერ მათ ხელში ქალაქის მთელი კვარტალები აღმოჩნდებოდა ხოლმე. ისინი თავიანთი ადათებითა და კანონებით ცხოვრობდნენ და ანგარიშს არ უწევდნენ მოსახლეობის ძირითადი მასის ინტერესებს. მკვიდრი მოსახლეობისთვის უცხო იყო კათოლიციზმიც, რომელსაც ძალით ახვევდნენ მართლმადიდებელ ქართველებს. მრავლის მოქმედია ცხუმის კათოლიკე ეპისკოპოსის პეტრე გერალდის წერილი, საიდანაც ჩანს, რომ მის დროს ცხუმში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ მუსლიმანები² და ებრაელები. როცა დადიანმა კათოლიკებს ცალკე სასაფლაო გამოუყო, ამან ცხუმელების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. აღშფოთებულმა ხალხმა ლათინთა სასაფლაოს შუაგულში ამართული ჯვარი ამოგლიჯა და 15 სასაფლაოს ქვაც დაამტვრია. „ლათინებმა ხელახლა აღმართეს ისინი,

1 კიკნაძე ვ., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 157.

2 ცხუმში მცხოვრები მუსლიმანები, ძირითადად რუმის სასულთნოდან მოსული თურქ-სელჯუკები იყვნენ. ისინი დიდ როლს ასრულებდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, ზღვისპირეთში აღმოჩენილი რუმის სასულთნოში მოჭრილი მონეტები. ბერაძე თ. ზღვაოსნობა და საზღვაო ვაჭრობა შუა საუკუნეების საქართველოში (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 1985, გვ. 110.

აქაურმა სქიზმატიკოსებმა, ღვლლებმა და ხალხმა, სარკინოზთა და იუდეველთა ხელის შეწყობით, მესამედ აღმართული (ჯვრები, ქვები) სქიზმატიკოს ეპისკოპოსთა ეპისკოპოსთან წაიღეს“¹.

ადგილობრივი მართლმადიდებელი ქართველობა უკმაყოფილო იყო დადიანის კეთილგანწყობით ლათინების მიმართ. „ამ ქვეყნის მბრძანებელი, – წერს ეპისკოპოსი გერალდი, – რომელიც საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის, მზად არის მთელი თავისი ლაშქრით, დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად (მუსლიმანების წინააღმდეგ – ე.მ.) გასალაშქრებლად. იგი ასე იქცევა: რომაული ეკლესიისადმი მორჩილებასა, კათოლიკობის მიღებაზე და სარწმუნოების ერთიანობაზე თანახმაა. აქაურ კათოლიკებს სასაფლაოც მისცა“².

ლათინებისა და ქართველების დაპირისპირებაში გარკვეულ როლს ასრულებდა გენუელთა ქედმაღლობა. პეტრე გერალდი დაუფარავად წერს ქართველთა შემწყნარებლობაზე, ისინი არ ასხვავებდნენ მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს, წინააღმდეგნი არ იყვნენ ქონდათ საერთო სასაფლაო. მაგრამ გენუელები უკადრისობდნენ და თავიანთ მიცვალებულებს ქართველთა სასაფლაოს გარეთ მარხავდნენ.

გენუელთა საწინააღმდეგო განწყობილებას აღვივებდნენ ცხუმში მცხოვრები მუსლიმანები და იუდეველნი, რომლებიც, ალბათ, ძირითადად, სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ და, ბუნებრივია, ცხუმში გენუელი ვაჭრების მოკალათება მათს ინტერესს ლახავდა. ამიტომ ისინი მართლმადიდებელი ქართველების მოკავშირეებად გამოდიოდნენ გენუელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცხუმის ზედიზედ ორჯერ აკლების შემდეგ გენუელთა მდგომარეობა უადრესად არასტაბილური შეიქმნა: 1454 წლის 23 ოქტომბერს გენუაში აირჩიეს შემდეგი, 1455 წლის, კონსულები შავი და აზოვის ზღვების კოლონიებისათვის. ცხუმის კონსულად აირჩიეს ფილიპო კლავერენცა. კონსულები არჩეული იყვნენ, ჩვეულებრივ, გენუაში გაბატონებული პატრიციების რიგებიდან, მაგრამ

1 კიკნაძე ვ., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 157

2 იქვე.

მათ უარი სთქვეს ფიცის დადებაზე, რადგან არ სურდათ ზემოთ-დასახელებულ ადგილებში წასვლა საშიში მდგომარეობის გამო. ამ დროს გენუასა და ოსმალეთს შორის იმდენად დაძაბული მდგომარეობა იყო, რომ გენუის ფლოტი შავ ზღვაში ვეღარ შედიოდა და კოლონიებთან კავშირს ხმელეთით ახორციელებდა. პროტექტორები იძულებულნი გახდნენ კონსულებად დაბალი წარმომობის ადამიანები აერჩიათ. ცხუმის კონსული გახდა ხსენებული გერარდო პინელი.

1456 წ. 6 თებერვალს გენუაში კვლავ ჩატარდა შავი ზღვის ფაქტორიების კონსულებისა და სხვა მოხელეების არჩევა. ცხუმის კონსულად აირჩიეს ფრანჩესკო ლომელინი¹, მაგრამ მან ისევ, როგორც შავი ზღვის სხვა კოლონიების ახლად არჩეულმა კონსულებმა, უარი განაცხადა ამ თანამდებობის დაკავებაზე. იმავე წლის 23 თებერვალს ხელახლა მოეწყო არჩევნები. ამჯერად კონსულად აირჩიეს კასპარე დე კოლუნუს ალბერტი². მე არ ვიცი დაიკავა თუ არა მან თანამდებობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, შემდგომი დროის დოკუმენტებში (რომელთა ნახვაც შევძელი), მთელი 17 წლის განმავლობაში არავითარი ცნობა არ არის ცხუმის კონსულის არჩევაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გენუელებმა შემდეგში მაინც შეძლეს აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში დაბრუნება³, ძველი პოზიციები ვეღარ აღიდგინეს. ამ დროიდან იწყება ცხუმის დაცემა და შემთხვევითი არ არის, რომ ერთ დროს აყვავებული სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი, იმავე საუკუნის 70-იან წლებში ბარბაროს მიერ მხოლოდ ციხე-სიმაგრედ იხსენიება⁴.

XV ს. 70-იანი წლების პირველ ნახევარში საბედიალოს გავლენის ქვეშ არსებული ტერიტორიები იმდენად შემცირებულა,

რომ კონტარინის თქმით, მისი გავლა სამ დღეში შეიძლებოდა¹. იმავე კონტარინის ცნობიდან ირკვევა, რომ ბედიანს დაუკარგავს ბათუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ათაბაგის ხელში გადასულა. მაგრამ კონტარინს არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ბათუმი „მეგრელების ქვეყანას ეკუთვნის“².

XV ს. 70-იანი წლების დასაწყისში, მსგავსად სამცხე-საათაბაგოსი, არც საბედიალო ჩანს ანტიოსმალური კოალიციისადმი კეთილგანწყობილი. თუმცა ამ მოსაზრების დამამტკიცებელი რაიმე პირდაპირი საბუთი არ ჩანს. მაგრამ ის მასალები, რომლებიც მაშინდელ ვითარებას ასახავს, ასეთი ვარაუდის დაშვების საფუძველს ნამდვილად იძლევა.

XV ს. 70-იანი წლების პირველ ნახევარში შავი ზღვის სანაპიროების მთელ რიგ პუნქტებში ჯერ კიდევ გენუელები ბატონობენ. ასევე ითქმის სევასტოპოლისზეც (ცხუმი), რომელიც, როგორც ბარბარო აღნიშნავდა, ბედიანის სამფლობელოებში შედიოდა. ასევე ეკუთვნოდა ბედიანს საქართველოს შავი ზღვისპირას მდებარე დიდი თუ მცირე დასახლებული ადგილები³, რომლებთანაც გენუელები მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყვნენ და სავაჭრო ურთიერთობაც ჰქონდათ.

საქართველოსთან ვაჭრობას კაფას გენუელი ხელისუფალნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და უფროხილდებოდნენ. კანონმდებლობა იბრძოდა კაფასა და საქართველოს შორის ვაჭრობის საქმეში ცალკეული პირების რაიმე მონოპოლიური უფლების წინააღმდეგ. ჯუზეპე კანალე აღნიშნავდა, რომ ამ პრინციპული მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა გენუის რესპუბლიკის დადგენილებები 1382-1434 წლებში⁴. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმასაც, რომ ვაჭრობა შეუფერხებლად წარმართულიყო. კაფას ხელისუფლება ცდილობდა დაეცვა, როგორც საქართველოში კომერციით დაკავებული გენუელების ინტერესები, ისევე იმ

1 *Atti della societa Liguria*, v. VI, p. 529.

2 *Ibidem*, p. 532. მ. ვოლკოვის მიხედვით, 1456 წ. ცხუმის კონსულად აირჩიეს ოლივერ კალვი, მაგრამ წყაროს არ უთითებს. იხ. *Записки Одесского Общества Истории и Древностей*, VIII, 1882, с. 137.

3 *Atti della societa Liguria*, v. VI, №№ 129, 658, 670, 790, 1032.

4 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 55.

1 *Ramusio G. B., Op. cit.*, p. 118r.

2 *Ibidem*, p. 114v.

3 *Ibidem*, p. 96v.

4 Canale G., *Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dall'origini fino al di nostri*, v. II, Genova, 1856, p. 352, 374.

ქართველი ვაჭრების ინტერესებიც, რომლებიც კაფაში დაიარებოდნენ ან მუღმივად იქ ცხოვრობდნენ.

საქართველო აფხაზეთში და, საერთოდ, ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გენუის სავაჭრო კოლონიებს უკავშირდებოდა სახმელეთო გზით, რომლითაც, იმავე დროს, ჩრდილო კავკასიასთან და რუსეთთან ურთიერთობა ხორციელდებოდა. ამ საქარაგნო გზას, რომლითაც ქართველებს გარდა სარგებლობდნენ მეზობლებიც, მისი ავ-კარგიანობა აღწერა ბარბარომ¹.

საქართველო გენუის რესპუბლიკასთან კავშირს ახორციელებდა კაფას საშუალებით. ამ ურთიერთობას ასახავს XIV ს. ბოლოს კაფას საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებშიც სხვა ქვეყნებთან ერთად (ტრაპიზონის იმპერია, ოქროს ურდო და სხვ.) მოხსენიებულია საქართველო².

1398 წლის ერთი საბუთიდან ვიგებთ, რომ გიორგი VII-სა ტრაპიზონის იმპერატორს საჩივარი აღუძრავთ მათი ქვეშევრდომების კაფაში შევიწროვების გამო. რათა გამოერკვიათ სამართლიანი იყო თუ არა კაფას კონსულისა და საბჭოს მოქმედება, გენუაში დაადგინეს, შექმნილიყო კომისია ოთხი კაცის შემადგენლობით (ორი ვაჭარი, ორი იურისტი). იმ შემთხვევაში, თუ კონსულისა და საბჭოს მიერ ქართველებისა და ტრაპიზონელების შემზღვეველი კანონები უსამართლოდ იქნებოდა მიჩნეული, მაშინ ისინი უნდა გაუქმებულიყო³.

კაფასა და საქართველოს შორის რომ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა, ამაზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე საბუთი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1468 წ. 15 მაისის ერთი წერილი, რომელიც გენუიდან კაფაშია გაგზავნილი. მასში ლაპარაკია იმ დავის შესახებ, რომელიც წამოიჭრა, ერთის მხრივ, კაფას მოქალაქეებსა – ავრამბეისა. ხოჯა კოტულსასა, ამირბეის ვაჟებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს მეფეს შორის. ეს დავა იმდენად სერიოზული იყო, რომ

გენუის პროტექტორები მისი შესწავლით დაკავებულნი იყვნენ მთელი ზაფხულის განმავლობაში. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს მეფის ერთ-ერთმა ქვეშევრდომმა, ქუთაისელმა გიორგი კეცაძემ (გვარის ზუსტად დადგენა ძნელია), ზემოთ დასახელებულ კაფელებს ზარალი მიაყენა, რომლის საერთო ღირებულება თანხებში გადაყვანილი შეადგენდა 83.191 კაფას ვერცხლის ასპერს. წერილიდან არ ჩანს, რა ფორმით განიცადეს კაფელებმა ზარალი (ვალის არ დაბრუნება, ქონების მითვისება თუ სხვ.), მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროისათვის ეს უზარმაზარი თანხა იყო.

წერილიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გადაწყვეტილება, რომელიც კაფას კონსულს მიუღია: კაფაში მცხოვრები ქართველების ქონების კონფისკაციით მოეხდინათ ზარალის კომპენსაცია. კაფას კონსულმა თავისი ეს გადაწყვეტილება გენუის პროტექტორებს აცნობა და იმედი ჰქონდა, რომ იქიდან თანხმობას მიიღებდა ცხოვრებაში მისი გატარებისათვის. მაგრამ გენუის საგარეო მდგომარეობის სერიოზულად განხილვის შემდეგ, პროტექტორებმა დაადგინეს: არ დაეშვათ კაფაში ქართველების შევიწროება, რადგან ეს გამოიწვევდა ურთიერთობის გამწვავებას საქართველოს მეფესთან. გენუაში აუცილებლად ჩათვალეს მასთან მშვიდობის შენარჩუნება. „უმჯობესია ფულის დაკარგვა, - წერდნენ პროტექტორები, - ვიდრე ომი მეზობელ სინიორთან“. ისინი დაზარალებულებს იმით ამშვიდებდნენ, რომ დადგებოდა ხელსაყრელი დრო და მაშინ შეეცდებოდნენ მათი ქონების დაბრუნებას. იმავე დროს მასარიებს¹ უბრძანეს, რომ ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით 26.393 ასპრი წაერთმიათ გიორგი კეცაძეს კრედიტორი სომხებისათვის².

საქართველოში გენუელებისათვის მიყენებულ ზარალზე ლაპარაკია, აგრეთვე, შემდგომი პერიოდის (1472 წ. 18 ივნისი) წერილში, მაგრამ, ამჯერად, საქმე ისე მოგვარებულა, რომ გენუელები კმაყოფილნი დარჩენილან³.

1 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 60.

2 Canale G., *Op. cit.*, p. 352, 374.

3 *Ibidem*, p. 352.

1 მასარიები – საზოგადოებრივი შემოსავლის ზედამხედველი მოხელეები.

2 Canale, v. I, Genova, 1855, p. 352, 374; *Atti della societa Liguria*, v. VI, p. 534-535.

3 *Atti della societa Liguria*, v. VI, p. 875.

კაფაში რომ მრავლად იყვნენ ქართველი ვაჭრები, ამაზე მიუთითებს ერთი ცნობა, რომელიც კაფას დაცემისა და მისი მოსახლეობისადმი ოსმალების მოპყრობის ამბავს ასახავს. „1475 წლის ივნისს ქალაქი მტერს დანებდა, ხოლო 7 და 8 რიცხვებში ყველა ქრისტიანი – ვალახები, პოლონელები, რუსები, ქართველები, ჩერქეზები და სხვანი დაატყვევეს, ქონება წაართვეს, მათი ნაწილი მონებად გაყიდეს, ნაწილსაც ბორკილები გაუყარეს“¹.

მიუხედავად იმისა, რომ გენუელებს სევასტოპოლისში კონსული და სხვა მოხელეები ჰყავდათ, როგორც ჩანს, ამ ქალაქის სრული ბატონპატრონი მაინც ბედიანი იყო. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ბარბარო². თავისი ამგვარი მდგომარეობის გამო სევასტოპოლისი საგრძნობლად განსხვავდებოდა შავი ზღვისპირა სხვა სავაჭრო ფაქტორიებისაგან, რომლებშიც გენუელები სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს. სევასტოპოლისში და ბედიანის სხვა სამფლობელოებში ისინი იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ ბედიანის პრეტენზიებისათვის. მიუხედავად ამისა, გენუელებს მაინც ხშირად უხდებოდათ მასთან კონფლიქტი, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მათს სავაჭრო საქმიანობაზე³.

გენუელები ბედიანთან კარგი ურთიერთობით დაინტერესებულნი იყვნენ, რადგან სევასტოპოლისი კავკასიასთან ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. გენუელ ვაჭრებს აქ დიდი მოგება ჰქონდათ, ხოლო თვით გენუა მნიშვნელოვან გადასახადებს იღებდა⁴.

გენუა თავისი უმთავრესი კონკურენტის, ვენეციის დასუსტებით იმდენად დაინტერესებული იყო, რომ საქრისტიანოს დაუძინებელ მტერთან, მეჰმედ II-სთან, კავშირსაც კი არ ერიდებოდა. გენუელებისათვის კარგად ცნობილი იყო ვენეციელების ანტიოსმალური საქმიანობა და ყოველნაირად უშლიდნენ ხელს. გენუელებმა, ალბათ, ისიც კარგად იცოდნენ, როგორი ურთიერთობა

არსებობდა ვენეციასა და ანტიოსმალურად განწყობილ ქვეყნებს შორის და ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ანტიოსმალური კოალიციის საზიანოდ. ვიმეორებ, ამგვარი ვარაუდის დამადასტურებელი რაიმე პირდაპირი ცნობა არ გავაჩნია, მაგრამ აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის მომენტი, როდესაც XV ს. 60-იანი წლების შუა ხანებში გენუის რესპუბლიკა ბედიანთან კავშირს ამყარებდა კაფას კონსულის მეშვეობით.

ბედიანსა და გენუელებს შორის ურთიერთობის გამწვავება XV ს. შუა ხანებიდან იწყება. ყოველ შემთხვევაში საბუთები ამ პერიოდიდან გვაქვს, რომლებსაც ქვემოთ გავცნობთ.

კაფის კონსულის რაფაელე მონტეროსის 1464 წ. 14 და 17 სექტემბრის წერილიდან ვიგებთ, რომ ბედიანმა ძალადობა გამოიჩინა კაფელ ვაჭრებზე, რითაც კაფას ხელისუფალთა და, რა თქმა უნდა, თვით დაზარალებულთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კაფას კონსულმა დაუყოვნებლივ საჩივრით მიმართა გენუის სან-ჯორჯოს ბანკის პროტექტორებს და დახმარება სთხოვა „სამართლიანობის“ აღსადგენად¹.

გენუის პროტექტორები კარგად გრძნობდნენ შეცვლილ ვითარებას, მათ არ შესწევდათ უნარი იარაღით დაეცვათ თავიანთი მოქალაქეების სიცოცხლე და ქონება და კაფას მესვეურებსა და დაზარალებულ ქვეშევრდომებს უბრძანეს: შურისძიებისათვის ნუ აჩქარდებიან, ხელსაყრელ დროს დაელოდნენ, მანამდე კი ბედიანს თავი მოაჩვენონ მეგობრად.

ვაჭრობის გარდა, გენუელები ბედიანთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად სამხედრო თვალსაზრისითაც დაინტერესებულნი იყვნენ².

გენუიდან გაგზავნილი რჩევა-დარიგება კაფელებს ჭკუაში დაუჯდათ და შურისძიების ნაცვლად ბედიანს მეგობრობა შესთავაზეს. მაგრამ ბედიანის გულის მოგება კაფელებისათვის იოლი

1 Canale G., *Della Crimea*, p. 350

2 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 55.

3 Heyd W. *Geschichte des Lenantehandels im Mittelalter*, II B., Stuttgart, 1879, S. 392.

4 Зевакин Е.С. и Пенчко Н.А. *Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе. «Исторические записки»*, №3, Л., 1936, с. 85.

1 *Atti della societa Liguria*, p. 321.

2 *Ibidem*, p. 335, 338-339. წერილი შედგენილია 1465 წ. 15, 18 და 25 მაისს. როგორც წერილიდან ჩანს, იგი სხვადასხვა დროს იწერებოდა, იმისდა მიხედვით, როგორი თანმიმდევრობით განიხილავდნენ გენუაში კაფასთან დაკავშირებულ საკითხებს. წერილი საკმაოდ ვრცელი და შინაარსით მრავალფეროვანია.

არ უნდა ყოფილიყო. 1465 წ. 1 დეკემბერს გენუადან კაფას კონსულისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ „ჩვენ კმაყოფილნი ვართ მენგრელიის ბატონ ბენდიანოსთან საქმეების კარგად შეთანხმებით. მაგრამ უკეთუ რაიმე ხარჯები იქნება გაწეული, ვიბრძანებთ, მთლიანად ან ნაწილნაწილ დააკისროთ იმ გენუელებს, ვინც მის ტერიტორიზე ვაჭრობენ ან დროებით ცხოვრობენ“¹.

ზემოთ მოყვანილი წერილიდან, მართალია, არ ჩანს, მაგრამ, საეჭვოა, რომ გენუისათვის ისეთი რთული საგარეო ვითარების დროს ბედიანთან დადებულ ხელშეკრულებაში მხოლოდ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები ყოფილიყო გათვალისწინებული.

როგორც შემდგომი დროის წერილიდან ჩანს, გენუას არ აკმაყოფილებდა ბედიანთან არსებული ურთიერთობის დონე. იგი უფრო მჭიდრო კავშირისაკენ მიისწრაფოდა.

1472 წ. 15 დეკემბერს კაფას კონსულისათვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილში გენუის პროტექტორები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ კონსული ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა ყველა იმ ხალხთან და მთავართან, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობდა რესპუბლიკის ფაქტორიები: „ასევე კმაყოფილნი ვართ იმით, - წერდნენ ისინი, - რასაც თქვენ გვწერდით სევასტოპოლისის მთავარ ბენდიანთან მტკიცე მშვიდობის დამყარების იმედებზე“².

როგორც იმავე წლის 18 ივლისის ერთ-ერთი ვრცელი წერილიდან ჩანს, კაფას კონსულს გოფრედო ლერკარის პროტექტორების იმედები გაუმართლებია და ბედიანთან საქმე ისე მოუგვარებია, რომ თავიდან აუცილებია შეიარაღებული კონფლიქტი³.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბედიანთან „მტკიცე მშვიდობა“, რომელზეც პროტექტორები ასე დიდ იმედს ამყარებდნენ, ანტიოს-

მალური კოალიციის წევრებთან სამეგრელოს მთავრის კავშირს გამორიცხავდა.

ცხუმის დაცემა, ძირითადად, დაკავშირებული იყო შავ ზღვაში ოსმალების მოქმედებასთან. ოსმალებისაგან შევიწროებულმა გენუელებმა თანდათან მიატოვეს თავიანთი კოლონიები. ზ. ანჩაბაზე ვარაუდობდა, რომ გენუელებს ცხუმი უნდა მიეტოვებინათ კაფას დაცემამდე (1475 წ.) ორი წლით ადრე, ე. ი. 1473 წელს¹. მაგრამ გენუელების ცხუმიდან წასვლის თარიღის უფრო დაზუსტება შეუძლებელია, რადგან აღნიშნულ წელს ცხუმის კონსულია ქრისტოფორო დე კანევალი². ამდენად, უფრო სწორი იქნება თქმა იმისა, რომ კაფას დაცემასთან ერთად გენუელთა კოლონიამ ცხუმში არსებობა შეწყვიტა.

1474 წლის გაზაფხულზე, როდესაც ვენეციის ელჩი კატერინო ძენო უზუნ ჰასანის დავალებით ევროპაში ბრუნდებოდა, მან, როგორც ითქვა, პოლონეთიდან წერილი გაუგზავნა „სამეგრელოს მეფე მელიკოს“³. ამ დროს ოდიშის მთავარი იყო შამადავლე დადიანი (1474-1477), ლიპარიტ დადიანის ძე. ძენომ მას ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. მაგრამ გენუელთა ზემოქმედებითა და და თავისი ინტერესების გათვალისწინებით, ასევე 50-60-იან წლების მიჯნაზე და 70-იანი წლების პირველ ნახევარში არსებული ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ვითარებების შეფასების შემდეგ, ის მხარს აღარ უჭერდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იდეას, რომლის განხორციელება ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში მხოლოდ აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს პოზიციებისა და გავლენის გაძლიერებას გამოიწვევდა. განსხვავებული პოლიტიკის გატარება მით უფრო გამართლებული ჩანდა, რომ გენუის პოზიციები შავი ზღვისპირეთში სუსტდებოდა, ოსმალეთი კი ჯერჯერობით ოდიშის სამთავროს რაიმე სერიოზულ საფრთხეს არ უქმნიდა. ოსმალების მიერ შავი ზღვისპირეთის აკ-

1 Ibidem, p. 357. შტრ. Зевакин Е.С. и Пенчко Н.А., Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе, с. 114; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), с. 246.

2 Зевакин Е.С. и Пенчко Н.А., Ук. труд, с. 112-113; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии УК. труд, с. 246.

3 Atti della societa Liguria, v. II, parte I, p. 875.

1 Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, с. 248.

2 Canale G., Della Crimea, II, p. 338.

3 XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 35. „მელიქი“ არაბულად ნიშნავს მფლობელს, გამგებელს, მეფეს.

ლებას ბედინი, ალბათ ნაკლებად ანგარიშგასაწევ ეპიზოდად თვლიდა, მაშინ, როდესაც ყველა ქართველისათვის ზედმიწევნით კარგად ცნობილი იყო უზუნ ჰასანთან „მეგობრობის“ შედეგები.

2. ოდიშის სამთავროს ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს. 50-იანო წლები)

ოსმალეთის გავლენა დასავლეთ საქართველოში ისე მყარი არ იყო, როგორც ირანისა აღმოსავლეთ საქართველოში. იმერეთის სამეფოსა და სამთავროების შინაურ საქმეებში ჩარევის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მათი სწრაფვა განკერძოებისაკენ. ოდიშისა და გურიის მთავრები ჯერ კიდევ ამასიის ზავამდე (1555 წ.) ატარებდნენ ისეთ პოლიტიკას, რომლითაც ისინი სულთნის მორჩილებაში აღმოჩნდნენ.

საინტერესოა ერთი ანონიმი ვენეციელის ცნობა, საიდანაც ვიგებთ, რომ ოდიშის მთავარი ოსმალეთს ხარკს არ უხდიდა. როგორც სულთნის ვასალი, იგი ვალდებული იყო, 30 (!) ათასი მხედრით ემსახურა სულთნის ჯარში, ყოველთვის როცა სპარსელების წინააღმდეგ საომრად წავიდოდა. „ქართველები ბერძნული რწმენისანი, თავისუფალნი და დაუნარკავნი არიან, მათ მთავარს დადიანი ჰქვია. ყოველთვის, როცა სულთანი სპარსელების წინააღმდეგ საომრად მიდის, დადიანი 30 ათასი მხედრით ემსახურება სულთანს“¹.

საეჭვოა, რომ მაშინ ამხელა სამხედრო ძალა ჰყოლებოდა სამეგრელოს სამთავროს. მაგრამ, ამ შემთხვევაში იმას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა რამდენი ჯარი ჰყავდა დადიანს, არამედ დადიანის სულთნისადმი ვალდებულების ფაქტს. დადიანისათვის ამგვარი ვალდებულების დაკისრება, ვფიქრობ, ამასიის ზავის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

ამასიის ზავამდე, რომ ოდიშის სამთავროსა და ოსმალეთის სახელმწიფოს შორის ურთიერთობა წინააღმდეგობრივი იყო, კარგად ჩანს უნგრელი დიპლომატის ანთალ ვერანჩიჩის მიერ კონსტანტინოპოლიდან მეფე ფერდინანდისათვის გაგზავნილი მოხსენებითი ბარათიდან. ვერანჩიჩის ცნობა ეხმაურება ე. ალბერის იმ ცნობასაც, რომელშიც გადმოცემული იყო ქართველ-სპარსელთა ჯარის მიერ ოსმალებისათვის მიყენებულ ზიანზე კაპადოკიაში. ანთალ ვერანჩიჩის 1554 წ. 3 მაისს კონსტანტინოპოლიდან მეფე ფერდინანდისთვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ „სულთანი გაგზავნის 10 გალერას შავ ზღვაში, რათა მათი საშუალებით გადაიყვანოს ყირიმელი თათრები კაპადოკიაში ქართველთა წინააღმდეგ, რომელთა რიცხვი, როგორც ამბობენ, 50.000-ს ძლივს აღგენს“¹. იმავე წლის აგვისტოსთვის გაირკვა, რომ „ის სამნიზიან გალერებს, რომლებიც შავ ზღვაში თათრების გადასაცვანად იქნენ გაგზავნილნი, კოლხეთის ჩრდილოეთით მცხოვრებმა მეგრელებმა... მდინარეში მოძრაობის საშუალება არ მისცეს და ახლა ამ გალერებს არც წინ და არც უკან არ შეუძლიათ სვლა. ახლა კიდევ სამ ზომადს ამზადებენ ამ გალერების გამოსასხნელად, თუმცა შთაბეჭდილება ისეთია, რომ მათი გაგზავნა შედარებით უფრო ნელა იქნება განხორციელებული“ – აღნიშნავს ა. ვერანჩიჩი². როგორც ა. ვერანჩიჩმა 1454 წლის სექტემბერში გაარკვია, „გასულ ზაფხულს სულთნის ბრძანებით შავ ზღვაში გავიდნენ სამნიზიანი (ტრირები) გალერები, – პირველად ხუთი, ხოლო მოგვიანებით კი სამი, მაგრამ არა იმ დანიშნულებით, რაც ზღვაში გასვლისას იყო გამოცხადებული. საქმე იმაშია, რომ თურქები არაფერს არ აკეთებენ დეზორიენტაციის და დეზინფორმაციის გარეშე. პირველი ხუთი გალერა იმისთვის კი არ იყო გაგზავნილი, ყირიმის თათართა აზიაში გადაყვანა დაეცვათ და დანარჩენი სამი გალერაც იმისათვის რომ საჩქაროდ დახმარება გაეწიათ მდ. რიონზე სახიფათო მდგომარეობაში მოხვედრილ წინამორბედ გალერებისათვის, არა, სულაც არა, რადგანაც ისინი

¹ Archivio storico italiano, ossia raccolta di opera e documenti finora inediti e divenuti. La storia d'Italia, t. VIII, parte I, Firenze, 1843, p. 314.

¹ ტარდი ლ., ანთალ ვერანჩიჩის მოხსენებითი ბარათები, გვ. 139.

² იქვე, გვ. 137-138.

ხომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სრულებითაც არ იმყოფებოდნენ სამიშ მდგომარეობაში. მთავარი მიზეზი მდგომარეობდა, რომ გადასახადი აეღოთ მეგრელებისგან და კოლხეთის მიწაზე მცხოვრებ სხვა ქართველებისგან, თან ყურადღება მიექციათ იქაური სანაპირო წყლებისათვის, რათა ევროპელებს არ მისცემოდათ შესაძლებლობა რომ სპარსელთათვის ზარბაზნები გადაეცათ. საქმე იმაშია, რომ თურქებმა მართლაც მიიღეს ამგვარი სახის ცნობა, რომ მზადდება ასეთი აქცია ქ. კაფაში მცხოვრები კომერსანტების მეშვეობით. სწორედ ეს იყო პირველი ხუთი გალერის გაგზავნის მთავარი მიზეზი. მომდევნო სამი გალერა გაგზავნილი იყო აზოვის ზღვაში კახაკებისა და რუსების წინააღმდეგ, რათა ყირიმის თათრებს დახმარებოდნენ¹.

როგორც მოყვანილი ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, მეგრელებს მდ. რიონში მართლაც მოუძწვედევიათ ოსმალეთის გალერები და გადასახადების გადახდაზე უარს ამბობდნენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, შაჰ თამაზის დაინტერესება ოდიშის სამთავროს დასუსტებით და მეზობლებთან მისი ცუდი ურთიერთობით. ამიტომ იყო, რომ შაჰი იმერეთის მეფეს აქეზებდა ოდიშის სამთავროს დასაპყრობად². როგორც ჩანს ირანის დიპლომატიის ამგვარმა ავითაცამ თავისი შედეგი გამოიღო და დადიანსა და მეფეს შორის ურთიერთობა უაღრესად დაიძაბა.

1557 წელს ოდიშის მთავარმა ლევან I-მა (1532-1572) დადიანმა სულთანს ხარკის გადახდა აღუთქვა და ძღვნად ძვირფასი ქვები გაუგზავნა. სამაგიეროდ მთავარს ოსმალეთის ფლოტით იმერეთის („კოლხეთის“) მეფე ბაგრატ III-ისათვის ანგარიშის გასწორება სურდა³. დადიანი ამგვარად ცდილობდა თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. აი როგორ აგვიწერს მარინო კავალი დადიანის ოსმალეთთან ურთიერთობას 1560 წელს: „მეგრელები, მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლმადიდებელი ქრისტიანები, ოსმალებთან დაახლოებულნი და მათი ქვეშევრდომნი არიან, ცდილობენ

ყველაფერი მათ გარეშე გააკეთონ. ოთხი თუ ხუთი წლის წინ¹. მათი მეფე თუ მთავარი დადიანი, რომელსაც სისხლისმღვრელი ომი ჰქონდა ჩერქეზებთან, პირადად წავიდა კონსტანტინოპოლში სულთანთან დახმარების სათხოვნელად² და ექვსი გალერა მიიღო. მაგრამ ოსმალები ისე დაეხმარნენ, რომ მისთვის ნათელი შეიქმნა, სულთნის მონა და მასზე უფრო დამოკიდებული ზღებოდა, ვიდრე დახმარებას იღებდა. ეს მტერთან ბრძოლაზე მძიმე იყო. ამიტომ შემდეგ წელს, მან მაღლობა მოახსენა სულთანს გაწეული დახმარებისათვის, ჩერქეზებს მოურიგდა, რომლებთანაც მეტი სამართლიანობა ნახა, ვიდრე თურქებთან“³.

ქართულმა წყაროებმა იციან ლევან I დადიანის სტამბოლში მოგზაურობის ამბავი, მაგრამ ზოგიერთი დეტალი მაინც დაზუსტებას მოითხოვს.

დადიანის ვიზიტი სულთანთან, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, უნდა მომხდარიყო 1568-1572 წლებს შორის⁴. მართალია, არც მარინო კავალი იძლევა ზუსტ თარიღს, მაგრამ ნათელია, ლევანი 1560 წლამდე (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა XVI საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარი) ყოფილა სტამბოლში. დადიანის სტამბოლში ყოფნის დროს დაზუსტება და ზოგიერთი სხვა ინფორმაციის მოპოვება შეიძლება უნგრეთის მეფის სტამბოლელი ელჩის ანთალ ვერანჩინის⁵ „ანგარიშებიდან“. 1557 წ. 16 თებერვალს ვერანჩინი წერდა, რომ სტამბოლში სამეგრელოს მთავარს ელიანო ვერანჩინის იმავე წლის 1 მარტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ დადიანი უკვე სტამბოლშია. „უკვე გვაქვს ზუსტი ცნობები სამეგრელოს მთავრის ჩამოსვლაზე, – სწერს ვერანჩინი, – იგი ჩამო-

1 ალბათ, 1557 წელს.

2 ჰაბსბურგების ელჩის კონსტანტინოპოლში ბუსბეკის მიხედვით, დადიანი 1560 წელს ჩასულა ოსმალეთის სატახტოში. **The turkish letters of Ogier Chiselin de Busbecq imperial ambasciador at Constantinople 1554-1564. Newly translated from the latin of the elzevir edition of 1633 by S. Foster, Oxford, 1937, p. 223.**

3 Alberi E., p. 279.

4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 816.

5 ანთალ ვერანჩინი (1504-1573) – უნგრეთის ჰუმანიტარული ისტორიოგრაფიის გამოჩენილი წარმომადგენელი, ცნობილი დიპლომატი და პოეტი. ორჯერ (1553-1557 და 1567-1568) იყო უნგრეთის მეფის ელჩად კონსტანტინოპოლში.

1 იქვე გვ. 139.

2 Magyar diplomáciai emlékek Mátyás király korából 1458-1490, p. 249.

3 Ibidem.

ბრძანდა ზღვით, ჩვენი 16 თებერვლის ანგარიშის გამოგზავნის მეორე დღეს. მის ჩამოსვლასა და მდგომარეობაზე იმიტომ გატყობინებთ, რომ ჩვენმა ზღვამ მთავრის ავტორიტეტულობაზე იმაზე მეტი წარმოდგენა არ იქონიოს, ვიდრე სინამდვილეში თავად არის. იგი ჩამოვიდა, როგორც „მეფე სრულიად სამეგრელოსი“. მან ეს ტიტული სულ ახლახან მიიღო, მაგრამ ამის მიუხედავად ამ ჩვენს მტერს დიდ მნიშვნელობას ნურავინ ნუ მიანიჭებს. დაე, თქვენმა უდიდებულესობამ იცოდეს, რომ ამ პირზე ვერ იტყვით ეგვიპტის რომელიმე ნებისმიერ პატარა მეფეზე მეტს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვრცელ მამულებს ფლობს და სათავეში უდგას საკმაოდ მრავალრიცხოვან ხალხს, დიდი სიმდიდრის პატრონი მაინც არ არის. ისე იქცევა, როგორც ჩვეულებრივი ხალხის წრიდან გამოსული უბრალო ადამიანი. ტიტული რომ არ ჰქონდეს, არავინ იფიქრებს მის მეფობას. არ იცავს სასახლის ცერემონიალებს და წესებს. თავისი ქცევით იფუჭებს ავტორიტეტს, არავითარ ყურადღებას არ აქცევს საკუთარი ღირსების წარმოჩენას. შეგვეცადეთ მოეყვანათ ჩვენთან მისი ამაღლის რომელიმე წევრი, რათა შეგვეტყოს რაიმე სამეგრელოს შესახებ. როდესაც ამის შესახებ აცნობეს, მან განაცხადა, რომ მზად იყო არამცთუ სხვა ვინმე, არამედ თავათ მოსულიყო, თუკი ქალაქის გუბერნატორის ნებართვა იქნებოდა. საქმე ისაა, რომ იგი ჩვენსავით მკაცრი დაცვის ქვეშ იმყოფება.

აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს მთავარი თვითონ ჩამოვიდა ელჩის სახით, თუქცა მან ეს გააკეთა მეზობელ ჩერქეზებზე შურისძიების მიზნით¹, რადგანაც მათ მოუკლავთ მამამისი². ამ მიზნით მეფეს მათ წინააღმდეგ გაუგზავნია ჯარი, მაგრამ მან მიგვახვედრა, რომ მისი სახმელეთო სამხედრო ნაწილები ვერ გაუძლებდნენ ჩერქეზების ძლიერ ლაშქარს. იგი დარწმუნებულია, რომ საზღვაო ფლოტის გარეშე ვერაფერს გახდებოდა მტრის წინააღმდეგ. მან

სულთანს საჩუქრად ჩამოუტანა ძვირფასი ქვებით მოჭედილი თასი, რათა სთხოვოს მას ნიჩბიანი გალერები. ამ თხოვნის შესრულების შემთხვევაში მეფემ გადასახადებიც კი იკისრა, რომლისგანაც იგი აქამდე თავისუფალი იყო³.

რაც შეეხება დადიანის მოგზაურობის მიზანს, ვის წინააღმდეგ სჭირდებოდა მას ოსმალთა დახმარება, მარინო კავალიც ჩერქეზებს ასახელებს. დადიანის სტამბოლში ჩასვლის მიზეზსა და მიზანში ვერ გარკვეულა ბუსბეკი², როცა ამბობს: „ერთნი ამტკიცებენ, რომ სამეგრელოს მთავარი კონსტანტინოპოლში სულეიმანის მოპატიუებით ჩამოვიდა თურქეთთან სამხედრო კავშირის დასადებად. ეს აწყობთ ამ უკანასკნელთ სპარსეთის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. მეორენი ირწმუნებიან, რომ იგი აქ ჩამოვიდა სულეიმანისათვის რამდენიმე ზომალდის სათხოვნელად, მეზობლებთან ომის დაწყების შემთხვევაში გამოსყენებლად. იმასაც ამბობენ, რომ მან სულეიმანს ხარკის გადახდაც კი აღუთქვა, თუკი თხოვნას შეუსრულებდა“³ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, დადიანი იმერეთის მეფე გიორგი II-ს (1564-1585) და გიორგი გურიელს (1564-1583) ებრძოდა. ქართული წყაროებით, სულთანს დადიანს ზომალდებით კი არ დაეხმარა, როგორც კავალი ამბობს, „არამედ მწე ეყო დადიანს ზონთქარი, მოსცა აზრუმ-ტრაპიზონის სპანი“⁴. კავალის ცნობას უნდა მიესადაგებოდეს ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული სიგელი, რომელიც, მართალია, ლევან II დადიანის (1611-1657) ხანას განეკუთვნება (ე. თაყაიშვილი საბუთის ათარიღებს 1639-1657 წლებით), მაგრამ ლევან I-ის მმართველობის ერთ ეპიზოდს ასახავს. „პაპა ჩუენი ლიონ დადიანი სტამბოლს წასულა, – წერს ლევან II, – ... და ქრისტეკოჩი⁵ სტამბოლს წარუტანია, და იქ პაპა ჩუენს გამარჯვებია, და იმათი ძალით

1 ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ლევან I დადიანი სულთანს ჯარით დახმარება სთხოვა იმერეთის მეფე გიორგი II-ისა და გიორგი გურიელისაგან თავდაცვისათვის (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 361; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 816).

2 ლევან I დადიანის მამა გიორგი დადიანი მართლაც ჯიქებთან ბრძოლაში დაიღუპა 1533 წელს (იქვე). ამასვე გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 811).

1 ტარდი ლ. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 77.
2 აუპერიუს ბუსბეკი ელჩობის წევრი იყო ანთალ ვერანჩინთან ერთად.
3 ტარდი ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 85.
4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 816; ქართლის ცხოვრება II, გვ. 361; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 124.
5 წაჩხურის მთავარანგელოზისათვის შეწირული ყმა.

